გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№23

2024

Ჩ(უაკ) 902(479.22)(066)
ა–846

რედაქტორი: ელდარ მამისთვალიშვილი
რედკოლეგია:
მეუფე ანდრია (გვაზავა)
ზაზა ალექსიძე
ბუბა კუდავა
პაველ ლიბერა
ელდარ ნადირაძე
მურმან პაპაშვილი
ჯაბა სამუშია
გიორგი სოსიაშვილი
როინ ყავრელიშვილი
დავით ყოლბაია
ნოდარ შენგელია

Editor: Eldar Mamistvalishvili
Editorial Board:
Metropolitan Andrea (Gvazava)
Zaza Aleksidze
Buba Kudava
Pawel Libera
Eldar Nadiradze
Murman Papashvili
Jaba Samushia
Giorgi Sosiashvili
Roin Kavrelishvili
David Kolbaia
Nodar Shengelia

ISSN 1512-4657

შინაარსი **სტატიები**
CONTENTS **Articles**

საქართველოს ისტორია
History of Georgia

ოთარ გოგოლიშვილი – *ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის აჭარაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში* 6
Otar Gogolishvili – *FIGHTING FOR FORMING NATIONAL CONSCIOUSNESS IN BATUMI AT THE END OF XIX CENTURY AND IN FIRST PART OF XX CENTURY*

გიორგი გოცირიძე – *XX ს-ის 20-30-იანი წლების პანკავკასიური მოძრაობა* 10
George Gotsiridze – *PAN-CAUCASIAN MOVEMENT OF THE 20S-30S OF THE 20TH CENTURY*

ელდარ მამისთვალიშვილი – *ავგუსტინელი მისიონერი ამბროსიო დუშ ანჟუსი ქეთევან წამებულის შესახებ* 20
Eldar Mamistvalishvili – *AUGUSTINIAN MISSIONARY AMBROSIO DOS ANJOS ON KETEVAN THE MARTYR*

მანანა მიჩიტაშვილი – *მასალები ლევან (ლეონ) ბატონიშვილის მკვლელობის პოლიტიკური მოტივისათვის* 25
Manana Michitashvili – *MATERIALS FOR THE POLITICAL MOTIVE OF THE MURDER OF LEVAN (LEON) BATONISHVILI*

პაატა ნაცვლიშვილი – *გრაფ აპოლონ ურუშაძის რამდენიმე ცხოვრება* 39
Paata Natsvlishvili – *SEVERAL LIVES OF COUNT APOLLON URUSHADZE*

ნესტან სულავა – *დავით აღმაშენებლის საგალობლის ერთი მეტაფორა-სიმბოლოს გააზრებისათვის („აღმართ მსრბოლი მდინარე“)* 50
Nestan Sulava – *FOR THE UNDERSTANDING OF ONE METAPHOR-SYMBOL OF DAVIT AGMASHENEBELI'S HYMN (“RIVER RUNNING UPHILL”)*

კახაბერ ფიფია – *მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ ისტორიისათვის* 56
Kakhaber Pipia – *FOR THE HISTORY OF „KINGDOM” OF MACRON-HENIOCHS*

ვლადიმერ წვერავა – *იაგორ ჭილაშვილი (1790-1838 წწ.) საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი* 63
Vladimer Tsverava – *IAGOR CHILASHVILI (1790-1838) PROSECUTOR OF THE SUPREME GOVERNMENT OF GEORGIA*

ზაზა წურწუმია – *„აფხაზფედი“ და აფხაზეთის საკითხი თურქეთში* 67
Zaza Tsurtsumia – *ABHAZFED AND THE ISSUE OF ABKHAZIA IN TURKEY*

ოთარ ჯანელიძე – *ტრანსკავკასიური საულელტეხილო რკინიგზა* 73
Otar Janelidze – *TRANS-CAUCASIAN PASS RAILWAY*

ეკლესიის ისტორია, სოფლების იტორია
Church History, Village History

იოსებ ალიმბარაშვილი – *საქართველოს საპატრიარქოსა და ეგზარქატის ყმა-მამული და ქონება ხიდისთავში* 80
Ioseb Alimbarashvili – *SERFDOM AND PROPERTY OF THE PATRIARCHATE AND EXARCHATE OF GEORGIA IN KHIDISTAVI*

დავით ახლოური – *საფერშეთის ისტორიიდან* 91
Davit Akhlouri – *FROM THE HISTORY OF SAFERSHETI*

სალომე ზვიადაძე – *მართლმადიდებლური სამონაზვნო ცხოვრების სათავეებთან ისტორიული დოკუმენტების მიხედვით* 101
Salome Zviadadze – *THE BEGINNINGS OF ORTHODOX MONASTIC LIFE ACCORDING TO HISTORICAL DOCUMENTS*

მერაბ კალანდაძე – *საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის ევოლუცია* 108
Merab Kalandadze – *THE EVOLUTION OF LEARNING SCANDINAVIAN COUNTRIES MEDIEVAL HISTORY IN GEORGIA*

ლია კარიჭაშვილი – *წინაპართა წუთისოფელი (გამოხმაურება იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის წიგნზე „ხიდისთავის ისტორია“)* 118
Lia Karichashvili – *THE LIFE OF THE ANCESTORS (RESPONSE TO IOSEB (SOSO) ALIMBARASH-VILI'S BOOK "HISTORY OF KHIDISTAVI")*

იგორ კეკელია, **ედიშერ ბაღათურია** – *სენაკის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიიდან (XIX ს. 70-90-იანი წლები)* 130
Igor Kekelia, **Edisher Baghaturia** – *FROM THE SOCIO-ECONOMIC HISTORY OF SENAKI (XIX C. 70S-90S)*

იგორ კეკელია – *აბაშის ხეობის გზებისა და თავდაცვითი ნაგებობების ისტორიისათვის – I* 143
Igor Kekelia – *FOR THE HISTORY OF THE ROADS AND DEFENSIVE STRUCTURES IN THE ABASHI VALLEY – I*

თამარ მესხი – *საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს და ალექსანდრიის საპატრიარქოს პოზიცია* 153
Tamar Meskhi – *RESTORATION OF AUTOCEPHALY OF THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH IN 1917 AND THE POSITION OF THE PATRIARCHATE OF ALEXANDRIA*

მურად მთვარელიძე – *ქრისტე და მარიამი რუჰი ბაღდადის პოეზიაში* 160
Murad Mtvarelidze – *CHRIST AND THE VIRGIN MARY IN THE POETRY OF RUHI BAGHDADI*

ნიკოლოზ ოთინაშვილი – *ქსნის ხეობის ძეგლები* 167
Nikoloz Otinashvili – *THE MONUMENTS OF KSANI GORGE*

მურმან პაპაშვილი – *კათოლიკური ფერწერული ტილო ოდიშის სამთავროს ეკლესიებში - მართლმადიდებლურ-კათოლიკური იდენტობის ფაქტი?* 172

Murman Papashvili – *CATHOLIC PAINTINGS IN THE CHURCHES OF THE ODISHI PRINCIPALITY - A FACT OF ORTHODOX-CATHOLIC IDENTITY?*

გიორგი სოსიაშვილი, იოსებ ალიმბარაშვილი – *ოკუპირებული პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (დისევი-კულბითი-ქსუისი)* 178
Giorgi Sosiashvili, Ioseb Alimbarashvili – *FROM THE HISTORY OF OCCUPIED PATARA LIAKHVI (DISEVI-KULBITI-KSUISI)*

წყაროთმცოდნეობა, ეთნოგრაფია, ისტორიოგრაფია
Source Studies, Ethnography, Historiography

თამარ გოგოლაძე – *ლეგენდა დავით აღმაშენებელზე აკაკის „თვიურ კრებულში“* 189
Tamar Gogoladze – *LEGEND OF DAVIT AGHMASHENEBELI IN AKAKI'S "MONTHLY COLLECTION"*

ირინა გოგონაია – *გოგირდი და „გოგირდის წყალი“ როგორც სამკურნალწამლო საშუალება ძველ ქართულ საექიმო წიგნებსა და კარაბადინებში* 194
Irina Gogonaia – *SULFUR AND "SULFUR WATER" AS MEDICINAL REMEDIES IN OLD GEORGIAN MEDICAL BOOKS AND QARABADINS*

ელდარ თავბერიძე – *რამდენიმე ეპიზოდი ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობიდან* 198
Eldar Tavberidze – *SEVERAL EPISODES FROM THE RELATIONSHIP BETWEEN ILIA CHAVCHAVADZE AND EKVTIME TAKAISHVILI*

კახა კვაშილავა – *ახალი ცნობები არჩილ II-სა და გიორგი XI-ს შესახებ* 203
Kakha Kvashilava – *NEW INFORMATION ABOUT ARCHIL THE 2ND AND GIORGI THE 11TH*

ვაჟა კიკნაძე – *ახალი მასალა ალექსანდრე ორბელიანის ბიოგრაფიისათვის* 212
Vazha Kiknadze – *THE NEW DATA ABOUT ALEXANDER ORBELIANI*

თამაზ ლაცაბიძე – *ხიდირბეგიშვილების საგვარეულოს ისტორიისათვის* 216
Tamaz Latsabidze – *FOR THE HISTORY OF THE KHIDIRBEGISHVILIS FAMILY*

მარიამ მარჯანიშვილი – *იასონ კერესელიძე - რიგით მე-13* 229
Mariam Marjanishvili – *IASON KERESELIDZE – 13-TH IN A ROW*

ზურაბ ოქროპირიძე – *შიდა ქართლის ტბელი ერისმთავრები კლდეისის ეკლესიის სამშენებლო წარწერებში* 238
Zurab Okropiridze – *TBELI RULERS OF SHIDA KARTLI IN THE BUILDING INSCRIPTIONS OF THE CHURCH OF KLDEISI*

კახაბერ ქებულაძე – *პავლე მარდალეიშვილი - მოღალატე თუ მსხვერპლი?* 246
Kakhaber Kebuladze – *PAVLE MARDALEISHVIL - „TRAITOR OR VICTIM”?*

დავით შავიანიძე – *აჭარის და ტაო-იმერხევის ისტორიულ-კულტურული ყოფის ზოგიერთი საკითხი (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)* 250
Davit Shavianidze – *SOME ISSUES OF HISTORICAL AND CULTURAL TRADITIONS OF ADJARA AND TAO-IMERKHEVI (ACCORDING TO THE LATEST ETHNOGRAPHIC MATERIALS)*

ოთარ გოგოლიშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძოლა ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის აჭარაში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში

20-საუკუნის დასაწყისისთვის ბათუმი უკვე მოზრდილი ქალაქი იყო. მოკირწყლული და ქვაფენილიანი ქუჩებით, ელსადგურით, წყალსადენებით, ვაჟთა და ქალათა გიმნაზიებით, სკოლებით, თითქმის ყველა ეროვნებისთვის სამოქალაქო სასწავლებლით, 120–საწოლიანი საავადმყოფოთი, ნურიის მოედანზე აგებული დახურული ბაზრით. მოასფალტებული ტროტუარებით, ფოსტით, ქალაქის გამგეობის ახალი შენობით, რომელიც დღეს ამშვენებს ბათუმს. გაიხსნა ბანკები და მათი ფილიალები, დაწესდა ლომბარდი, და ა.შ. გახშირდა კულტურული ღონისძიებებიც. მთელი დატვირთვით მოქმედებდა ე.წ რკინის თეატრი. უკვე აღარავის აოცებდა დედაქალაქიდან ჩამოსული თეტრალური დასების მიერ დადგმული წარმოდგენები. გამოჩნდნენ ადგილობრივი თეატრალური ჯგუფებიც. ყველაფერი ეს ქალაქის თვითმმართველობის დაუღალავი უნარიანი საქმიანობის შედეგი იყო. გამოჩნდა ბევრი ნიჭიერი, საერო და საქვეყნო საქმისთვის თავდადებული მოღვაწე, რომლებმაც საბოლოდ დაამტკიცეს, რომ ქართველობას სხვაზე უკეთესადაც კი შეუძლია ხელმძღვანელობა და საზოგადო საქმეთა კეთება. თვითმმართველობაში მომუშავე მამულიშვილთა თანამოაზრენი და თანამოსაქმენიც იყვნენ ქალაქის სამხედრო ნაწილებში მომსახურე ქართველი ოფიცრობა და ჯარისკაცები. ზოგიერთი თვითმმართველობის ხმოსნადაც იყო არჩეული და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადო საქმიანობაში. მაგალითად, ციხის სამხედრო ნაწილის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი იოსებ მდივანი, პოდპოლკოვნიკი ნიკო დუმბაძე და რა თქმა უნდა პოდპოლკოვნიკი დავით კლდიაშვილი, დიდი ქართველი მწერალი და მამულიშვილი. იყვნენ სხვებიც რომელთა წარმოჩენა და სათანადო პატივის მიგება მომავლის საქმეა. მათი ეროვნული მოღვაწეობაც არანაკლები გმირობაა, რადგან იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკა სამხედრო ნაწილებში უფრო ძლიერი იყო: „შენი სამშობლო რუსეთია და შენც რუსი ხარ, რუსი", – ასე უტენიდნენ თავს ქართველ ახალგაზრდებსაც სამხედრო ნაწილებში და ცდილობდნენ ექციათ მორჩილ, ბრძანების უსიტყვოდ შემსრულებელ მანქანებად. ჩვენი ეროვნული მოღვაწეები შეერთებული ძალით ცდილობდნენ წინ აღდგომოდნენ ამგვარ ანტიადამიანურ და ანტიეროვნულ პოლიტიკას და ეშველათ, ცხოვრების სამზეოზე გამოეყვანათ ეს ახალგაზრდები.

„ჯერ ადამიანი ვარ და მოქალაქე, შემდეგ კი სამხედრო მოსამსახურე", – ასეთი სულისკვეთებით მუშაობდნენ დავით კლდიაშვილი და მისი თანამოაზრე სამხედროები ჯარისკაცებთან. ზრუნავდნენ მათი განათლებისა და კულტურული დონის ამაღლებაზე, ასწავლიდნენ შეეცნოთ ცხოვრება, დაეცვათ ეროვნული და პიროვნული ინტერესები, ადამიანური ღირსება. ცხადია ეს ხდებოდა შესაბამისი ღონისძიებების და საუბრების მეშვეობით და განაპირობებდა ოფიცერთა და ჯარისკაცთა დაახლოვებას რაც მიუღებელი იყო მაშინდელი მკაცრად იერარქიული სამხედრო წესრიგისთვის. ჯარისკაცისადმი ადამიანური მოპყრობა დანაშაულადაც კი ითველბოდა. სწორედ ასეთი სულისკვეთებით მუშაობის გამო აითვალწუნეს და პოლიტიკურად არასაიმედოდ სცნეს წარჩინებული ოფიცერი დავით კლდიაშვილი და ოცდაექვს წლიანი სამსახურის შემდეგ აიძულეს თავი დაენებებინა სამხედრო სამსახურისთვის, მაგრამ საქმე კეთდებოდა. სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულ ახალგაზრდებს, თავიანთ სოფლებში თან მიჰქოდნათ შეძენილი ცოდნა და კულტურული ღირებულებები, ეროვნული და სოციალური თავისუფლებების იდეები.

ანალოგიური შეიძლება ითქვას მუშათა შემთხვევაშიც. ამ დროისთვის ბათუმის მოსახლეობის ნახევარზე მეტს გურიიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან და აჭარის მთის სოფლებიდან გამოსული მუშა–ახალგაზრდები შეადგენდნენ. მათი ეროვნული გამოფხიზლებისა და ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსაყვანად, ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად დიდი საგანმანათლებლო

და კულტურული მუშაობა იყო საჭირო. უკვე ვთქვით, რომ ჩვენმა ეროვნულმა მოღვაწეებმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვეს თავი. კიდე ვიმეორებ, რომ ესაა კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობის ერთიანი ჯაჭვი, რომელიც გაბმულია წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი სკოლის გახსნიდან ბათუმში, აჭარის მთიანეთში ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მისიონერულ მოღვაწეობამდე.

ერთობ კოლორიტულად იხსენებს დავით კლდიშვილი თბილისიდან თეატრალური დასის ერთ–ერთ ჩამოსვლას ბათუმში.

„...დასის ერთ–ერთი ჩამოსვლის დროს გავეცანი ქართველ არტისტებს: მარიამ საფაროვა–აბაშიძისა, ქეთო ანდრონიკაშვილისას, ვასო აბაშიძეს, სანდრო ყაზბეგს, ლადო მესხიშვილს, ნატო გაბუნიას, ესენი თამაშის გარდა საზოგადოებას ხიბლავდნენ თავიანთი სიმღერებით, საუბრებით. ძლიერ იზიდავდა საზოგადოებას ქეთო ანდრონიკაშვილის ლეკური. ხანჯლებით ლეკურის პირდაპირ გიჯური მოთამშე იყო სანდრო ყაზბეგი... ვის არ გამოაღვიძებდა ლამაზი, ცქრიალა, საუცხოო კილოზე მოლაპარაკე საფაროვა–აბაშიძისა ან ნატოს თამაში–სიმღერა, ვასოს უნიჭიერესი თამაში და კუპლეტები, მესხიშვილსი დანახვა და მოსმენა''...[1]

ამგვარ თეატრალურ დასებს დედაქალქიდან ბათუმში ჩამოჰქონდათ ეროვნული სული და ახალი ცხოვრების წყურვილი, გამოცოცხლების განცდა. წერა–კითხვის გამავრცელებელი სკოლის მატერიალური გაღონიერებისათვის ყოველწლიურად, 12 იანვარს, გ. ვოლსკისა და ი. მესხის თაოსნობით, ქალაქის საკრებულო დარბაზში იმართებოდა ნინოობის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, თეატრალური დასები.

კულტურული–საგანმანათლებლოდ და საერთოდ საზოგადო მუშაობა არ შენელებულა ლუკა ასათიანის გარდაცვალებისა და ივანე ანდრონიკაშვილის ქალაქისთავად არჩევის შემდეგაც. იგი ასათიანის ღირსეული მემკვიდრე გამაოდგა. 14 წელი უმეთაურა ქალაქს და მისი აღმშენებლობის, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის ნამდვილი ორგანიზატორი იყო. მას კიდევ უფრო ხშირად უწევდა ბეწვის ხიდზე გავლა, რომ ეროვნული ცნობიერების გაძლიერებისთვის ბრძოლა შეეთავსებინა სოციალური და პიროვნული თავისუფლებისა და თანასწორებისათვის ბრძოლასთან. ამ იდეებით სულ რომ ხშირად გამოდიოდა უკვე მომძლავრებული მუშათა კლასი. ეს იყო ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილი და მისი ინტერესების დაცვა ეროვნულ–განმანთავსუფლებელი მოძრაობის ნაწილი იყო.

„მუშებმა ნელ–ნელა ერთგვარი ორგანიზაციის შემოღება იწყეს. ხელმძღვანელებიც ამისთვის ბათუმში ბლომად მოიპოვებოდნენ. ამასთან მესამე დასელები დღითიდღე აძლიერებდნენ მუშაობას მათ შორის. აქ მათ ჰყავდათ უფროსი ხელმძღვანელები... ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, საშა წულუკიძე... ნოე ჟღდანია, ფილიპე მახარაძე.

ამათ იმდენი მოახერხეს, რომ ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა–სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნი და უწერდნენ ჟრნალ–გაზეთებს. სამკითხველო ნურიაში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველით. დიდი მეცადინეობის შემდეგ გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში... როტშილდის ქარხანაში. სკოლის პასუხისმგებელ გამგედ იყო მღვდელი სიმონ თოთიბაძე... თოთიბაძე ახალგაზრდა მღვდელი იყო, გულწფელი, განვითარებული, მოწინავე აზროვნების მქონე პიროვენება.

... სკოლაში აუარება ხალხი დადიოდა. სწავლის გათავების შემდეგ იმართებოდა ერთგვარი საუბრები''[2]

ასეთივე სკოლა, ოღონდ იატაკქვეშ, მუშაობდა ნობელის ქარხანაშიც. როტშილდის ქარხნის მუშებმა კი სკოლა არ იკმარეს და დრამატული დასიც შეადგინეს. გადაწყვიტეს მუშებისთვის ეჩვენებინათ ცხოვრებისეული პიესები. დანიშნული ხელმძღვანელი ვერ გაუძღვა ამ საქმეს და მის ნაცვლად მოიწვიეს დავით კლდიაშვილი, შედეგიც წარმატებული იყო. მუშა არტისტებმაც და მათმა

[1] კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1980, გვ. 32.
[2] კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1980, გვ. 39.

ხემძღვანელმაც გამოიჩინეს თავი, ოღონდ ქარხნის ადმინისტრაციას და სამხედრო ნაწილის ხემ-ძღვანელობას არ მოსწონდა ყველაფერი ეს, რასაც კომფლიქტები მოსდევდა ხოლმე[1]

]ჩვენმა საზოგადო მოღვაწეებმა კარგად იცოდნენ, რომ დედა სამშობლოს, თანამოძმეს რამდე-ნიმე საუკუნით ჩამოშორებული და თითქმის გაუცხოებული აჭარელი კაცის ეროვნული გათვითცნო-ბიერება ვერ მოხდებოდა აქ ქართული სკოლების, სხვა სასწავლებლებისა და კულტურული დაწე-სებულებების უქონლობის პირობებში. თუ აქაური ქართველი თავის მშობლიურ ენაზე არ შეისწავ-ლიდა შოთას, ილიას, აკაკის, და საერთოდ ქართულ მწერლობას, მათში ვერ გაიღვიძებდა ქართუ-ლი სული... და დაიწყო კიდეც კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნა, ქართული წიგნის გავრცელება. თუ ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ამ საქმეს ბათუმში ივანე მესხი და მიხეილ შარაშიძე უძღვებოდნენ, აჭარის მთიანეთში ამ მისიას ჩვენი მოგზაური საზოგადო მოღვაწეები ას-რულებდნენ. სხვა ეროვნულ საქმიანობასთან ერთად ისინი მოსახლეობაში ავრცელებდნენ ქართულ წიგნებს, უპირველესად დედაენას. ესაუბრებოდნენ სამშობლოს ისტორიაზე, ასწავლიდნენ ახალი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას.

მაშინ ბათუმის ქუჩებში თურმე ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით გატაცებით მოსაუბრე ადამია-ნებს ქართული ჟურნალ–გაზეთებით ხელში. მუდამ ხალხმრავლობა იყო ნურიის ბაზარზე სპირიდან ჭელიძის ბუკინისტური წიგნების მაღაზიაში. მაღაზიის პატრონი იაფად ჰყიდდა სიმწრით მოგრო-ვილ წიგნებს ღარიბ, მაგრამ ცოდანას მოწყურებულ ხალხზე, უფრო ხშირად ჩუქნიდა მათ. მისი ასეთი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი აჭარის მთის მოსახლეობა იყო, სადაც ზაქარია ჭიჭინაძე ხშირად სტუმრობდა წიგნებით დატვირთული[2]

ესეც ბრძოლა იყო, საკმაოდ მკაცრი და დაუნდობელი, რადგან რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგობა ეროვნულობის მიმართ, აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ინტრესების უგულებელყო-ფაშიც ცხადდებოდა. განსაკუთრებით მთიანი სოფლების დაბეჩავებული და ეკონომიკურად უაღესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მცხოვრებნი იყვნენ შეჭივრებულნი. მაგრამ ქართულ მოღვაწეთა დახ-მარებით ახალგაზრდობა მაინც იკვლევდა გზას ბათუმის სასწავლებლისაკენ და აქტიურად ერთვე-ბოდა საზოგადო საქმიანობაში.

ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ქართელ ეროვნულ მოღვაწეთა მოგზაურობების ჩანაწერები აჭარის მთიანეთში.

„შარვაშიძეთა გარდა, (იგულისხმება თუფან–ბეგ შარვაშიძე ო. გ.) ქედის მიდამოებში სახლო-ბენ ბეგები ბეჟანიძეები... მათი ოჯახი განთქმულია შემლებით, დარბაისლობით და განსაკუთრებით, ქართული ენის ცოდნით. როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებული ქართული წერა''... 24 მარიამობისთვის მშვენიერ დილას, სოფელ ქედასაც თავი დავუკარით. თანამგზავრებად მომყვებოდა ოთხი მოზარდი ყმაწვილი : ორი თოფალ–ბეგ შარვაშიძის შვილი და ორიც მისი ნათესავი. ოთხივე ბათუმში, ახლად გახსნილ გიმნა-ზიაში უნდა მიებარებინათ. ორ მათგანს ბათუმის სამოქალაქო სასწავლებელში უსწავლია და ცდი-ლობდნენ ჩემთან რუსული ენის ცოდნით თავი გამოეჩინათ, თუმცა მეტად უჭირდათ ამ ენაზე ლაპა-რაკი. სამაგიეროდ მათ ქართული ლაპარაკის სმენას არა სჯობდა რა. მეტად საამო საყურებელნი იყვნენ ეს თავისუფალი შვილნნი აჭარის მშვენიერი ბუნებისა, აჭარულად კოხტად გამოწყობილნი, თავზე სირმიანი ყაბალახით... ოთხსავეს ცხენებზე ისე მაგრად ეჭირათ თავი, თითქოს ზედ დაბადე-ბულანო. ქედის ბოლოში შემოგვიერთდა ბათუმელი ახალგაზრდა ბეგი აბაშიძე, მეტად კოხტა აჭა-რულადვე სირმიან ტანისამოსით გამოწყობილი. ქართულს წმინდად ლაპარაკობდა...აღმოჩნდა, რომ „წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების'' სკოლაში უსწავლია ბათუმში, განსვენებულ მოსე ნათაძის ხელში, სასოებითაც იხსენებდა თავის დაუვიწყარ მასწავლებლის სახელს, მის გულკეთი-ლობას და შეგირდების სიყვარულს. რაც ვიცი სულ „ჩვენმა მოსემ'' მასწავლაო, მაჰმადიანი ქარ-თველები განსაკუთრებით ვუყვარდითო და მამასავით ზრუნავდა ჩვენზედაო. რომ უფრო ვესიამოვნე-

[1] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 76, საქ. 143, ფურც. 11.
[2] აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 76, საქ. 143, ფურც. 45.

ბინეთ, მოგვიყვა აკაკის, ჭალა დიდელის, გურიელის ლექსები. იმღერა „სამშობლო ხევსურისა", რომლისაც როგორც კილო, ისე სიტყვები მეტად მოსწონდა. ბოლოს ნაღვლიანად დასძინა : უფრო მეტი მეცოდინებოდა მაგრამ ორ წელიწადს დავრჩი ამ სკოლაშიო.

შევყევით ლაპარაკს. საგნად ჩვენი ლაპარაკისა თავისთავად, ბუნებრივად შეიქმნა ის კითხვა, რომელიც აქეთ სტუმრად გადმოსულ ქართულ კაცს ყოველთ უწინარეს ებადება .... – კითხვა ეროვნული. თანამოსაუბრემ, 16–20 წლის ყმაწვილმა ქართველის გულს დაკოდილს უალერსა და უსალბუნა"[1].

ამ რწმენით, ამ გრძნობითა და სულისკვეთებით მოგზაურობდნენ ჩვენი საზოგადო მოღვაწეები აჭარაში, აღწერდნენ მის ყოფას, მძიმე მემკვიდრეობას და სახავდნენ უკეთესი მომავლისკენ წინსვლის გზებს, დედასამშობლო საქართველოსთან ერთად. ეროვნული ცნობიერების გაძლიერება, სწავლა–განთლება, კულტურის დონის ამაღლება, ახალი ცხოვრები ასპარეზზე თამამად გამოსვლა, – ნივთიერი ცხოვრების გაუმჯობესებასთან ერთად, იყო ქართული საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი ამ მხარეში, და არა მხოლოდ ამ მახრეში. მსგავს ზრუნვას მოითხოვდა აფხაზეთი, სამხრეთ საქართველოში ახლად განთავისუფლებული მაჰმადიანი ქართველობა და სხვა მხარეებიც, რომლებისთვისაც მეტად მტკივნეული იყო რუსული იმპერიული მმართველობა ამ მმართველობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში გაერთიანდა ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევისათვის და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. ეს განსაკუთრებით მძაფრად აისახა მუშათა მოძრაობასა და არმიაში, ამ შემთხვევაში ბათუმის სამხედრო ნაწილებში, სადაც ჯარისკაცთა უმრავლესობა ქართველები იყო.

Otar Gogolishvili
Batumi Shota Rustaveli State University

FIGHTING FOR FORMING NATIONAL CONSCIOUSNESS IN BATUMI AT THE END OF XIX CENTURY AND IN FIRST PART OF XX CENTURY

RESUME

At the beginning of 20th century, Batumi was bigger than earlier. With carriageways, stations, water pipes, secondary schools for girls and boys, colleges almost for every nationalities, hospitals for 120 bed, and the market, which was built on Nuria's square. With Asphalted pavements, post and new building of town's government, which beautifies town today. Also banks and it's branches were opened, established pawnshop and etc. Cultural measures became more frequent. Set in motion the so-called iron theatre. Noone was wondered about theatre groups, who were arriving from the capital and were staging performances. Also appeared local theatre groups. Everything these was the result of untiring work of self-government. Appeared many talents and devoted people for their country, who asserted that Georgians can be leaders and can do general works.

[1] სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი, 1978, გვ. 28.

გიორგი გოცირიძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XX ს-ის 20-30-იანი წლების პანკავკასიური მოძრაობა

„როს ეს ტოტნი, ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავ კავკასისა,
ერთისა ფიქრით, ერთისა აზრით განდიდდებიან?“[1]

ილია ჭავჭავაძის მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში ნათქვამ ამ სიტყვებს აქტუალობა არასდროს დაუკარგავს. მით უფრო დღეს, უამრავი საშინაო და საგარეო გამოწვევის წინაშე მდგარი კავკასიის სამი სახელმწიფოსათვის. დღევანდელი გადასახედიდან კავკასიურ ერთობაზე, მით უფრო, კავკასიის კონფედერაციაზე საუბარი ოცნებების სფეროს წარმოადგენს. თუმცა ერთ დროს იგივე შეიძლებოდა თქმულიყო ევროკავშირზეც. სწორედ ევროპული ერთობის ისტორია გვისახავს კავკასიური ერთობის ხორცშესხმის იმედს, მით უფრო, რომ ჩვენს საერთო წარსულში უხვად მოიძებნება პანკავკასიური მოძრაობის ფაქტები, რომელთა შორის თავისი მნიშვნელობითა და აქტუალობით გამოირჩევა მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებში მიმდინარე მოვლენები.

აღნიშნულ პერიოდში კავკასიის პოლიტიკურმა ელიტამ საკუთარი სუბიექტური შეცდომებისა თუ ობიექტური სიძნელეების კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე დამოუკიდებლობის დაკარგვიდან მალევე სწორად გაათვითცნობიერა მათი სახელმწიფოების დამოუკიდებლად არსებობის სირთულე/მოწყვლადობა ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობისა და გარე საფრთხეებზე ერთობლივი რეაგირების გარეშე და ოფიციალურად განაცხადა კავკასიის კონფედერაციის შექმნის აუცილებლობის შესახებ კავკასიის სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. სწორედ ამიტომ, წარსულის გააზრებას თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში, წმინდა შემეცნებითთან ერთად, განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს დღევანდელი რუსეთის ფედერაციის აგრესიული და მილიტარისტული კურსის ფონზე, რომლის დევიზიც არის: „დამწყვდეული მყავდი, მყევხარ და უნდა მყავდეო.“[2]

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების პანკავკასიური მოძრაობის ცალკეული ასპექტები, გამოყოფილია მისი ეტაპები, ნაჩვენებია მათზე საშინაო და საგარეო ფაქტორების გავლენა, გამოკვეთილია მოვლენები, რომლებმაც ხელი შეუწყო დეზინტეგრაციული პროცესების განვითარებას და ხაზგასმულია მისი დამღუპველობა კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისათვის.

კავკასიის ერთიანობის იდეამ ზემოაღნიშნულ პერიოდში რამდენიმე ეტაპი გაიარა, რა დროსაც მასზე საგარეო და საშინაო ფაქტორების დამოკიდებულების ხარისხი და მასშტაბები იცვლებოდა. პირველმა ეტაპმა მოიცვა პერიოდი 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის 9 აპრილამდე, მეორემ - 1918 წლის 9 აპრილიდან იმავე წლის 26 მაისამდე, მესამემ - 1918 წლის ივნისიდან კავკასიის სახელმწიფობის დამოუკიდებლობის დაკარგვამდე და მეოთხე ეტაპმა - 1921 წლის აპრილიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე.

---

[1] ვლადიმერ ახმეტელი, კავკასიურ ერთა აქციონს-პროგრამა“: ჟურნალი „კავკასია“, 2, 1937.
[2] ი. ხანანაშვილი “ჩატეხილი ხიდი“: გაზ. „მამულიშვილი“, №1, IX, 1926.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულად ძალით გაერთიანებულმა კავკასიამ 1917 წლამდე იარსება. 1917 წლის რუსეთის ცნობილი მოვლენების შემდეგ ფაქტობრივად დაიწყო ცენტრისაგან კავკასიის ჩამოშორების პროცესი ამ მხარის საზოგადოებრივი ფენებისა და გავლენიანი პოლიტიკური პარტიების სუბიექტური მისწრაფებების მიუხედავად, რომლებიც, ძირითადად, მხარს უჭერდნენ რუსეთის ერთიანობის იდეას.

1918 წლის იანვარში, ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, აღნიშნული საკითხისადმი მათი დამოკიდებულება შეიცვალა და კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის პროცესმა, ფაქტობრივად, შეუქცევადი სახე მიიღო. ამავე დროს, ამ პროცესზე დიდი გავლენა მოახდინეს I მსოფლიო ომში ჩაბმულმა სახელმწიფოებმა. თუ ანტანტის ბლოკის ქვეყნები კავკასიას რუსეთის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ და ამიერკავკასიის ფაქტობრივი ხელისუფლების დახმარებაც დროებით მოვლენად მიაჩნდათ რუსეთში ბოლშევიკების დამარცხებამდე, ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკი ხელს უწყობდა რუსეთისაგან კავკასიის გამოყოფას.

ეს უკანასკნელი ეყრდნობოდა რა ლენინის პრინციპს ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, ცდილობდა ჩაეშალა მისი მოთხოვნა უანექსიო ზავის შესახებ და მიეღწია მისთვის ასე საჭირო ტერიტორიული დათმობებისათვის, რაც უნდა განხორციელებულიყო ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაარსებით და მათზე თავიანთი პროტექტორატის დაწესებით.[1] სწორედ ამიტომ, 1918 წლის 3 (16) იანვარს რუსეთის ყოფილი იმპერიის სხვა ხალხებთან ერთად, კავკასიის წარმომადგენლებიც მიიწვიეს ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.[2] სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ერთიანი რუსეთის იდეით შეპყრობილმა სამხრეთ კავკასიის ფაქტობრივმა მმართველმა ორგანომ, კომისარიატმა, მოწვევა არ მიიღო და ზავის საკითხი რუსეთის კომპეტენციად მიიჩნია.[3] ამ უკანასკნელმა კი დათმო ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები.[4]

აღნიშნულ პერიოდს წითელ ზოლად გასდევს სამხრეთ კავკასიის ხალხების ერთიანობის იდეა. მათი აზრით, ერთიანი სამხრეთ კავკასია შემდგარი ფაქტი იყო, რომელსაც უნდა ეარსება ან დემოკრატიული რუსეთის ფარგლებში, ან - დამოუკიდებლად. მათ კარგად ესმოდათ უახლესი ისტორიული წარსულის როლი კავკასიის მოსახლეობის ერთიანობის საკითხში, რაც დაკავშირებული იყო კავკასიაში რუსეთის ბატონობის ობიექტურ შედეგებთან, რეგიონის საერთო მართვა-გამგეობასთან, რომელმაც დიდწილად განაპირობა კავკასიის ეკონომიკური და პოლიტიკური მთლიანობა ცარიზმის გადავარდნის შემდეგაც და ამ ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების ერთიანობა. ამის თაობაზე გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ წერდა: „კავკასიის ერებმა ჯერ კიდევ თავისუფლების რიჟრაჟზე იგრძნეს შეკავშირებისა და თანამშრომლობის საჭიროება. ამას ხელს უწყობდა, ერთის მხრით, კავკასიის გეოგრაფიული, ეკონომიკური და აქედან პოლიტიკური მთლიანობა და, მეორეს მხრით, ერთ საუკუნეზე მეტი რუსეთის მფლობელობის ქვეშ ყოფნა, რომელსაც ბევრ უარყოფით მხარესთან ერთად, არ შეეძლო არ გამოეწვია მცხოვრებთა დაახლოება ყოველდღიურ საქმიანობის ნიადაგზედ.“[5]

კავკასიის სიღრმეში ოსმალეთის ჯარების წინსვლა და, განსაკუთრებით, ბათუმის დაცემა გახდა ბიძგი იმისა, რომ ამიერკავკასიის სეიმმა 1918 წლის 9 (22) აპრილს მიიღო ოსმალეთის წინადადება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ამიერკავკასიის სეიმის წევრთა უმრავლესობისათვის, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებლად არსებობის შემდგარი ფაქტის აღიარებასთან ერთად, გადამწყვეტი იმ ვითარების აღქმაც იყო,

---

[1] გიორგი გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009, გვ. 157.

[2] Документы и Материалы по Внешней Политики Закавказья и Грузии, Тиф., 1919, 52.

[3] იქვე, გვ. 158.

[4] Документы Внешней Политики СССР, М., 1957, 121.

[5] გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 252.

რომელიც ამიერკავკასიას „იმპერიალისტურმა სამხრეთმა და ანარქისტულმა ჩრდილოეთმა“ შეუქმნეს.[1]

სეიმის ამ ისტორიულ სხდომაზე დეპუტატმა თუმანოვნა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ერთი წლის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, არც ერთ ერს არ დაუყენებია რუსეთისაგან მთლიანად ჩამოშორების საკითხი. „თუ ახლა წამოიჭრა იდეა გამოყოფაზე, დამოუკიდებლობაზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მომდინარეობს თურქი იმპერიალისტებისაგან,“ - დასძინა მან.[2] ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა ნ. ჟორდანიამ კი განაცხადა: „...როცა არის არჩევანი - რუსეთი თუ თურქეთი, ჩვენ რუსეთს ვარჩევთ, მაგრამ როცა არის არჩევანი - თურქეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებელ ამიერკავკასიას.“[3]

ამდენად, ოსმალეთის იმპერიამ იმ ეტაპზე ობიექტურად ხელი შეუწყო პანკავკასიური ერთობის იურიდიულ გაფორმებას ახალი კავკასიური სახელმწიფოს სახით. მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენები შემდგომში კავკასიის დეზინტეგრაციის მიმართულებით განავითარა. ოსმალეთი არ დაკმაყოფილდა ყარსის, არდაგანისა და ბათუმის დაპყრობით და ახალ-ახალი ტერიტორიები მოითხოვა. „ხანგრძლივი წარმატებებით გათამამებული თურქები, რომლებიც მოწინააღმდეგის სისუსტეს ხედავდნენ, არაფერზე იხევდნენ უკან, რათა რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაესაკუთრებინათ.“[4]

სამხრეთიდან მომდინარე აგრესიისა და ახალი ტერიტორიული დაპყრობების ფონზე ძნელი აღმოჩნდა ბალანსის დაცვა ამიერკავკასიის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების ინტერესებს შორის. ომისა და ზავის საკითხებისადმი ამიერკავკასიის ხალხთა შორის არაერთგვაროვანი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება არსებობდა. ამის თაობაზე აკაკი ჩხენკელი წერდა: „იმ დროს, როცა ჩვენი მოთხოვნების ერთი პუნქტი აწყობდა ერთ ერს, იმავე დროს ლახავდა სხვის ინტერესებს და აწყობდა რა მეორეს, ეწინააღმდეგებოდა მესამის ინტერესებს და ა.შ.“[5]

სეიმის აზერბაიჯანელი დელეგატები ხმამაღლა აცხადებდნენ: „თუ თქვენ არ დააკმაყოფილებთ თურქების მოთხოვნებს, ომი გარდაუვალია... მუსულმანები მონაწილეობას არ მიიღებენ ამ ომში.“[6] ფაქტობრივად, ოსმალეთის ჯარების წინსვლამ კავკასიის სიღრმეში, მათმა ზღვარგადასულმა მოთხოვნებმა და პრეტენზიებმა, შექმნილი ვითარების გამო ჩამოყალიბებულმა აზერბაიჯანელების თურქულმა ორიენტაციამ ძირი გამოუთხარა ამიერკავკასიის ფედერაციის ერთიანობას და გარდაუვალი გახადა მისი დაშლა, იმისათვის, რომ კავკასიის ერებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოეხერხებინათ ფიზიკური გადარჩენა.

იმ დროსაც კი, როდესაც მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დღის წესრიგში დადგა ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლისა და მის ადგილას კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაარსების საკითხი, რითაც, ობიექტურად, მძიმე დარტყმა მიიღო პანკავკასიურმა მოძრაობამ, საქართველოს პოლიტიკურ ელიტას კარგად ჰქონდა გააზრებული კავკასიის ხალხთა შორის ერთობის მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში.

მომავალში კავკასიის კონფედერაციის შექმნის იმედითა და სურვილით იყო გამსჭვალული საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას, სიტყვა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს ისტორიულ სხდომაზე. საუბრობდა რა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებზე, ის

---

[1] Документы...., გვ. 206, 208.

[2] იქვე.

[3] Закавказский Сеим, Стенографический Отчет, Тиф., 1918, с. 20.

[4] ფირუზ ქაზემზადე, ბრძოლა ამიერკავკასიისათვის 1917-1921 წლებში, თბ., 2016, გვ. 150.

[5] Материалы по Истории Отпадения Закавказья от России, Тб., 1931, 48-49.

[6] იქვე, გვ. 55.

იმედს გამოთქვამდა, რომ „ეს ხალხები, გაერთიანებულნი საერთო დროშის ქვეშ, დაამყარებენ კავშირს ჩვენი სახელმწიფოს საზღვრების გარეშე მცხოვრებ ხალხებთან და ამ გზით აღორძინდება სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ, ჩვენს წინაშე დაშლილ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება - კავკასიის კონფედერატიული კავშირი. ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიმართულია ასეთი კავშირის შედგენისაკენ. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი - სახელმწიფოთა კავშირი - რომელიც შემოიკრებს თავის ირგვლივ საერთო ძალებს, ერთის ნებით დაუხვდება გარეშე მტერს და დაიცავს მისგან თავს.“[1]

ქართული პოლიტიკური სპექტრის პროკავკასიური ორიენტაციის მანიშნებელია ის მქუხარე ტაში და ოვაციები, რომელიც მოჰყვა ნოე ჟორდანიას ამ გაცხადებულ პოზიციას ეროვნული საბჭოს ისტორიულ სხდომაზე, სადაც ქართული სახელმწიფო ხელახლა დაიბადა.

გერმანიაში საქართველოს სამთავრობო დელეგაციის წევრმა ზურაბ ავალიშვილმა გერმანიის მთავრობას ივნისში ორი მემორანდუმი წარუდგინა, სადაც ჩამოაყალიბა საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანები. ფინანსური მდგომარეობისა და სამხედრო შესაძლებლობების გამყარებასთან, უცხოეთის ქვეყნებისაგან აღიარების მოპოვებასა და მათთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებასთან ერთად, ზურაბ ავალიშვილი მეორე ამოცანად „საქართველოსა და მის მეზობლებს შორის ალიანსების დამყარებას და ამიერკავკასიის კონფედერაციის შესაქმნელად მზადებას სახავდა, რომელსაც საკმარისი სამხედრო ძალა ექნებოდა, რათა შესაძლო თავდასხმისაგან დაეცვა თავი.“[2]

დეკლარაციების დონეზე ერთიანი კავკასიის იდეის მხარდაჭერას პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური ძალა გამოხატავდა. თვით აზერბაიჯანის მუსავატმაც კი 1919 წელს გააცნობიერა, რომ „კარს მომდგარ ქარიშხლიან მოვლენებს ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდებოდა“ და რომ „მხოლოდ ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანი ფრონტი შეიძლებოდა ყოფილიყო სამი რესპუბლიკის ტერიტორიალური მთლიანობის გარანტი.“[3] მუსავატის პარტიის მეორე ყრილობაზე გადაწყდა, რომ აზერბაიჯანს საქართველოსა და სომხეთისათვის მიემართა, შეექმნათ ამიერკავკასიის ხალხთა თავისუფალი კავშირი.

ჩრდილოეთ-კავკასიაში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, დენიკინის მცდელობამ - საკუთარი ძალაუფლება დაემყარებინა მთიელთა რესპუბლიკაში და ამ უკანასკნელის მომართვამ დახმარების თაობაზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელისუფლებისადმი დააჩქარა ჯერ 1919 წლის აპრილ-მაისში თბილისში კავკასიის სახელმწიფოთა კონფერენციის ჩატარება, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და მთიელთა რესპუბლიკიდან, ხოლო 1919 წლის 16 ივნისს - საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თავდაცვითი სამხედრო ხელშეკრულების გაფორმება. სომხეთს ორი კვირა მიეცა ხელშეკრულებას შეერთებოდნენ. არც ისინი შეერთებიან ამ ხელშეკრულებას და, მთლიანობაში, ხელშეკრულებასაც არ უმუშავია.

სამწუხაროდ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მმართველმა პოლიტიკურმა ელიტებმა ვერ შეძლეს დაეძლიათ დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინაშე წარმოშობილი სირთულეები, რაც პირველ რიგში, სასაზღვრო დავებთან იყო დაკავშირებული. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ხალხებში არსებობდა კონფედერაციად გაერთიანების იდეა, იგი მათ შორის მტრობამ, დაწვრილმანებამ და ურთიერთქიშპობამ გადაწონა.

დასავლეთის ძლევამოსილ სახელმწიფოებსაც არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული მყარი მიდგომა კავკასიისადმი. როგორც აღვნიშნეთ, ისინი თავდაპირველად კავკასიას „რუსეთის საკითხის“ გადაწყვეტასთან აკავშირებდნენ, მას დემოკრატიული რუსეთის შემადგენელ ნაწილად განიხილავდნენ. ბოლშევიკების მიერ მოხალისეთა არმიის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ კი დაიწყეს ფიქრი ამიერკავკასიის რესპუბლიკების მხარდაჭერაზე, როგორც საბჭოთა

[1] გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო, №17, 1927.
[2] ფ. ქაზემზადე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 189.
[3] იქვე, გვ. 275.

რუსეთის ექსპანსიის შემაკავებელ ბარიერზე, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. დასავლეთის სახელმწიფოების ასეთმა დამოკიდებულებამ რეგიონისადმი და კავკასიის სახელმწიფოების უუნარობამ საკუთარი კონფლიქტები თავადვე მოეგვარებინათ და უცხოელი აგრესორების წინააღმდეგ ეთანამშრომლათ, ისინი საბჭოთა რუსეთისათვის იოლ ნადავლად აქცია 1920-1921 წლებში.

როგორც გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო" წერდა: „ისინი ჩაიჭრნენ არაჩვეულებრივ ეპოქის მიერ წარმოშობილ ისტორიულ გამოცდაზედ და სათითაოდ დაჰკარგეს დამოუკიდებლობა."[1]

კავკასიის მმართველი პოლიტიკური ელიტა ემიგრაციაში წავიდა, სადაც კრიტიკულად გაიაზრა დაშვებული შეცდომები და ოცნებებთან ერთად დაიწყო პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა კავკასიის კონფედერაციის შესაქმნელად. პანკავკასიურ მოძრაობას ახალი სიცოცხლე გაეხსნა. ამის შესახებ ზურაბ ავალიშვილმა მოსწრებულად შენიშნა „... კავკასიურმა რესპუბლიკებმა საერთო კავკასიური ფრონტის გაშლა ვერ მოასწრეს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მთლიანი კავკასიის იდეა სწორედ ამ დამოუკიდებელ რესპუბლიკების საფლავიდან აღმოცენდა."[2]

საზღვარგარეთ ჩასული კავკასიის პოლიტიკური ემიგრაციის დღის წესრიგში ყოველთვის პრიორიტეტული იყო კავკასიის მომავალთან დაკავშირებული ერთობლივი თანამშრომლობის ფორმების, მეთოდებისა და მასშტაბების გამორკვევის საკითხები. ამ მხრივ, უაღრესად საინტერესოა სხვადასხვა წლებისა და სახის ისტორიული წყაროების გაცნობა, რომლებიც ნათლად წარმოგვიდგენს მათი დამოკიდებულების გრადაციას ერთმანეთს შორის უბრალო თანამშრომლობის სურვილიდან მოყოლებული, კონფედერაციის მყარ პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ხელშეკრულებამდე.

კავკასიის პოლიტიკური ელიტის პირველი ნაბიჯი კავკასიური ერთობის შექმნის გზაზე ემიგრაციაში იყო 1921 წლის 19 აპრილს აკაკი ჩხენკელის კაბინეტში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული თათბირი, რომელზეც იმსჯელეს ოთხ რესპუბლიკას (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და მთიელთა რესპუბლიკა) შორის კავშირის გაფორმების შესახებ. მისი საფუძველი უნდა ყოფილიყო ერთიანი საბაჟო, სამხედრო და საგარეო პოლიტიკის წარმოება, ორიენტაცია თავის თავზე, რაც გამორიცხავდა კავკასიაში რუსეთის ან ოსმალეთის ბატონობას.[3]

1921 წლის 8 მაისს კი პარიზში ჩატარებულ თათბირზე, რომლის მუშაობაში უკვე სომხეთის წარმომადგენლებმაც მიიღეს მონაწილეობა, კავკასიაში ბოლშევიკური რეჟიმის დამხობის, საერთო კავკასიური ბლოკის შექმნისა და მსოფლიო საზოგადოების წინაშე კავკასიის როლის წარმოჩენის გზები დასახეს.[4] ამ მუშაობის პირველი ოფიციალური შედეგი იყო საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის დიპლომატიური წარმომადგენლების მიერ პარიზში 1921 წლის 10 ივნისს ხელმოწერილი დეკლარაცია კავკასიის სახელმწიფოების კავშირის შესახებ, რომელიც ეხებოდა სამხედრო, საბაჟო და დიპლომატიურ სფეროებში თანამშრომლობას.[5]

ამავე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული მეორე დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა 1924 წლის 27 სექტემბერს საქართველოში დაწყებული ანტისაბჭოთა აჯანყების გავლენით. იმავე წლის ნოემბერში კი მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, კავკასიის ერთა კავშირისათვის მომავალში კონფედერაციის იურიდიული ფორმა მიეცათ. მათვე იკისრეს კონფედერაციის

---

[1] გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო," სარედაქციო სტატია, №72, 1932.

[2] ზურაბ ავალიშვილი, პოლიტიკური არაბესკები: ჟურნალი „კავკასია", №1, 1934.

[3] სცსსა 1831. აღ. 2, საქმე 280, ფ. 1.

[4] დოდო ჭუმბურიძე, აკაკი ჩხენკელი, სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი, თბ., 2018, გამ. „უნივერსალი", გვ. 312-313.

[5] ჟურნალი „თავისუფალი საქართველო", №2, 1921, პარიზი.

კონსტიტუციის ან მის მთავარ დებულებათა პროექტის შედგენა. ერთმანეთს შორის კოორდინირებული მოქმედებებისათვის შექმნეს კავკასიის განთავისუფლების კომიტეტი. იმ ეტაპზე სომხეთის წარმომადგენლები არ შეუერთდნენ ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ კავკასიის დანარჩენი ერების წარმომადგენლები ამ იმედს არ კარგავდნენ.[1]

კავკასიის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ინდივიდუალურად და ერთობლივად აწარმოებდნენ პროპაგანდას ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ, საპარლამენტო და კომერციულ წრეებში კავკასიის რესპუბლიკების კავშირის სასარგებლოდ. გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად (მაგ. სომხების მკვეთრად გამოხატული ანტითურქული განწყობა, ურთიერთობა „თეთრ“ რუსეთთან და სხვ.), ემიგრაციაში მყოფი პანკავკასიური მოძრაობის ლიდერები ითვალისწინებდნენ მსოფლიოს ძლევამოსილი სახელმწიფოების მიერ კავკასიის ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად მოაზრებას და ცდილობდნენ ერთმანეთთან მჭიდროდ ეთანამშრომლათ, რაც არაერთი ფაქტით დასტურდება.

პანკავკასიური იდეის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა პარიზში ჩასახული პრომეთეელთა მოძრაობა და მისი საგამომცემლო ორგანო - ჟურნალი „პრომეთე.“ 1926 წელს მან რუსეთის მიერ ჩაგრული ხალხების პრომეთეს ლიგის სახელწოდება მიიღო, რომელშიც, გარდა კავკასიის წარმომადგენლებისა, შევიდნენ დნეპრისპირა უკრაინის, დონისა და ყუბანის კაზაკების, ყირიმისა და ვოლგისპირა თათრების, თურქესტანისა და ჩრდილო რუსეთის უგროფინური წარმოშობის სამი მცირე ერის წარმომადგენლები.

ლიგის მიზანი იყო რუსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ერთიანი ფრონტით ბრძოლა, აქ გაწევრიანებულ ერებს შორის სადაო საკითხების მოგვარება, აგრეთვე დემოკრატიის იდეალებისა და ხალხთა ლიგის პროპაგანდა. პრომეთელთა მოძრაობის გააქტიურება დაკავშირებულია ცნობილი პოლონელი პოლიტიკური მოღვაწის, მარშალ იოზეფ პილსუდსკის, სახელთან, რომელსაც კარგად ჰქონდა გააზრებული არარუსი ხალხების ბრძოლის კონსოლიდაციის აუცილებლობა პოლონეთისა და რუსეთის გარშემო სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნისა და გადარჩენის საქმეში.

კავკასიის პოლიტიკური ემიგრაციის წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ გააზრებული პრომეთეელთა მოძრაობის წარმატების მნიშვნელობა უსაფრთხო მსოფლიოსათვის. ამ მხრივ ნიშანდობლივია ელ. პატარიძის სტატია „პრომეთეელთა მოძრაობა“, რომელიც ჟურნალ „სამშობლოში“ გამოქვეყნდა 1938 წელს: „პრომეთელთა მოძრაობა არის რუსეთის მიერ დაპყრობილი ერების და იმ ერებისაც, რომლებმაც დროებით თავი დააღწიეს რუსეთის ბატონობისაგან, მაგრამ რომელთა თავისუფალ არსებობას კვლავ დასაპყრობად უდარაჯებს რუსეთის იმპერიალიზმი... ამ ახალ სახელმწიფოებს დიდი სიფხიზლე და თავდაცვითი ძალთა მზადება მართებთ და ურთიერთ თავდაცვითი კავშირი, რომ იმ ისტორიულ მომენტს მზად დახვდნენ და რუსეთის პირდაღებულ იმპერიალიზმს კვლავ პირში არ ჩაუვარდნენ. ის, რაც კავკასიის ერებს თავს დაატყდათ ცალ-ცალკე რუსეთის მიერ, შეიძლება ამ ერებსაც მოევლინოთ ახლო მომავალში. ეს აღდგენილი სახელმწიფოები თავიანთი გეოგრაფიული მდგომარეობითაც წინ ეღობებიან და რუსეთის იმპერიალიზმის წინსვლას გზებს უჭრიან ევროპის ქვეყნებისაკენ. რუსეთს არ შეუძლია ამისადმი შერიგება და ამ ქვეყნებისაგან საბოლოოდ ხელის აღება.... მათი თავდაცვითი მიზნები და საარსებო ინტერესები მოითხოვენ, დღეს არსებული რუსეთის იმპერიის შემადგენელ ეროვნულ ერთეულებად დაშლა-დანაწილებას და ნამდვილი რუსეთის მის ბუნებრივ-ეროვნულ საზღვრებში ჩაყენებას.“[2]

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კავკასიის სახელმწიფოების წარმომადგენლები პოლიტიკურ ემიგრაციაში ყოფნის პირველივე დღეებიდან დიდ მხარდაჭერას ღებულობდნენ პოლონეთის მთავრობიდან, რომელიც, ერთი მხრივ, იბრძოდა კავკასიის პოლიტიკური ძალების

[1] Георгий Мамулия, Кавказская Конфедерация в официальных декларациях тайной переписке и секретных документах движения „Прометей“, Сборник документов, Москва, 2012, стр. 47-48.

[2] ელ.პატარიძე, პრომეთეელთა მოძრაობა“: ჟურნალი „სამშობლო“, 1938, №25-26, გვ. 5-9

ვიწროპარტიული ინტერესებისა და მოქმედებების წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, აქტიურად უჭერდა მხარს კავკასიის პოლიტიკური ემიგრაციის ევროპის ცენტრებში - სტამბოლში, პარიზსა და ვარშავაში - პანკავკასიური მოძრაობის ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნას.

სწორედ პოლონელების აქტიური მხარდაჭერით 1926 წელს გაერთიანდნენ ისინი კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტად, რომელსაც კავკასიელთა ყველა მოქმედების კოორდინაცია უნდა მოეხდინა. მისი მიზანი იყო პრაქტიკული საქმიანობის წარმოება, მოსახლეობის დარაზმვა კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღსადგენად და კავკასიის კონფედერაციის შემადგენლობაში მათ გასაერთიანებლად.[1] მაგალითად, კომიტეტის მიერ კავკასიაში გავრცელებულ ბიულეტენში რასულ ზადე ხაზს უსვამდა კავკასიაში მოქმედი ანტიბოლშევიკური ორგანიზაციების, მათ შორის, აზერბაიჯანისა და სომხეთის გაერთიანების საჭიროებას. მასში ნათქვამი იყო: ,,კავკასიის ხალხთა ერთობა და დამოუკიდებელი კავკასიის კონფედერაციის იდეის განხორციელების აუცილებლობის სრული აღქმა - აი პირველი ნაბიჯი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისა. ასე რომ, კავკასიის ხალხებო, გაერთიანდით, შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები და თქვენს ეროვნულ დროშებთან ერთად მაღლა ასწიეთ კავკასიის ერთიანობის დროშა. ვიმეორებ, ამაშია ჩვენი საერთო ხსნა!"[2]

პანკავკასიური მოძრაობის აქტივისტები კონფედერაციის სასარგებლოდ კავკასიის მოსახლეობაში წარმოებული ახსნა-განმარტებითი მუშაობის დროს ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ კონფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნები სახელმწიფოებრიობას კი არ კარგავდნენ, არამედ პირიქით, კონფედერაციას ქმნიდნენ ეროვნული სახელმწიფოების გადასარჩენად, მოსახლეობის ქონებისა და სიმდიდრის დასაცავად.

ემიგრაციაში მყოფი კავკასიის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული კავკასიის ერთიანობის საკანონმდებლო ბაზის შემუშავების პროცესში. კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტზე მუშაობა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. რა თქმა უნდა, ისინი კარგად აცნობიერებდნენ, რომ იმ ეტაპზე კავკასიის კონფედერაციის აქტი ვერ ამოქმედდებოდა კავკასიაზე რუსეთის ბატონობის გამო, მაგრამ პაქტის პროექტის შესამუშავებლად თავიანთი მუშაობის გასამართლებლად საერთაშორისო პრაქტიკაც (ჩეხეთის, პოლონეთის) მოჰყავდათ და პრაქტიკული საჭიროებაც - თავიდან აეცილებინათ ბევრი დავა, რომელიც შესაძლებელი იყო ჩამოვარდნილიყო კავკასიის ერთა თავისუფლების აღდგენის დროს.[3]

1932 წელს საქართველოს ეროვნულმა ცენტრმა პარიზში შეიმუშავა ,,კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი", რომელიც წარმოადგენდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი კავშირის იურიდიულ ფორმაში ჩასმის პირველ ცდას, რომლის მიზანი რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, მშვიდობის შენარჩუნება[და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება იყო.

ერთიანი კავკასიის იდეის მომხრეებს მაგალითად მოჰყავდათ შვეიცარიის კონფედერაცია, ,,სადაც სამი სხვადასხვა ერი შეთანხმებულად და მშვიდობიანად სცხოვრობს." დათა ვაჩნაძე თავის არაჩვეულებრივ წერილში - ,,კავკასიის კონფედერაცია", კავკასიის ერების მარცხის უმთავრეს მიზეზად მიიჩნევდა რა მათ შორის შინაგანი და საგარეო ერთობის არარსებობას, ისტორიული ექსკურსის მაგალითზე (შვეიცარია, ბრაზილია, არგენტინა, გერმანია, აშშ.) სწორ მიმართულებას უჩვენებდა გაერთიანებისაკენ სავალ რთულ გზაზე. ის წერდა: ,,შვეიცარიის პოლიტიკურ გაერთიანების ისტორიაში მთავარ როლს ორი გარემოება ასრულებდა:

---

[1] Георгий Мамулия, Кавказская Конфедерация в официальных декларациях тайной переписке и секретных документах движения ,,Прометей", Сборник документов, Москва, 2012. стр. 14.

[2] Бюллетень Комитета Независимости Кавказа. 1931.N13, с. 10.

[3] მიხეილ მუსხელიშვილი, რამდენიმე შენიშვნა კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტისათვის: ჟურნალი ,,დამოუკიდებელი კავკასია", №76, 1932.

დამოუკიდებლობისადმი მისწრაფება და ეკონომიკური ფაქტორი, მაგრამ ეს გაერთიანება ნაყოფი იყო ამ საერთო ინტერესების თანდათანი აღმოჩენისა და შეგნებისა. ყველაზედ ადრე ფოსტა გაერთიანდა (1849), მას მოჰყვა საბაჟოს კანონი. საერთო ფულის სისტემა შემოღებული იყო 1850 წ., რკინის გზების გაერთიანება კი 1852 წ. სამხედრო ძალების გაერთიანების საჭიროება შეტანილ იქნა 1874 წლის კონსტიტუციაში."[1] ქართველების აზრით, კავკასიაში უფრო მეტი იყო საფუძველი ერთიანობისა, რომლის უმთავრესი ნიშანი მისი გეოგრაფიული და ეკონომიკური მთლიანობა იყო. კავკასიის პოლიტიკურ დაყოფას აუცილებლად მოჰყვებოდა ეკონომიკის რღვევა, ქვეყნების გაღარიბება და რუსეთისათვის მათი დაპყრობის გაადვილება.

მთლიანობაში პაქტის პროექტს მაღალი შეფასება მისცა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ყველაზე თვალსაჩინო მეცნიერ-იურისტმა, სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა და ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტის ავტორმა, მიხეილ მუსხელიშვილმა, რომელიც მასში უფრო მეტ „ფედერატულს" ხედავდა ვიდრე „უნიტარულს" და მოვლენების ასეთ განვითარებას მიესალმებოდა.[2]

ზურაბ ავალიშვილი, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, ფრთხილად ეკიდებოდა კავკასიის კონფედერაციის იდეას, მაგრამ ხაზს უსვამდა ამ იდეის მნიშვნელობას კავკასიის ეროვნული სახელმწიფოების განმტკიცების საქმეში. იგი წერდა: „რა სახეც არ უნდა მიიღოს მათმა გაერთიანებამ, მისი დანიშნულება ის არის, რომ უმჯობესად დაიცვას კავკასიის ყოველი ცალკე ერი და ამასთანავე დაიფაროს იგი ურთიერთ შეხლისა და არეულობისაგან.... საჭიროა..., რომ ცალკე წამოწეულ პროგრამებში შეთანხმება სუფევდეს; საჭიროა, რომ გარდასულ ეპოქის სამზღვრების აღდგენაზედ არსებითად უმანკო, ან ამ გაუმაძღარ და უმოწყალო მეზობლების მიერ მიყენებულ სიმწარეზედ ლაპარაკით გონებას არა რევდნენ. ...ნუ დავივიწყებთ, რომ არსებით საკითხების გამო, მეტ-წილად, მოკამათეთა შორის, უთანხმოება არ არსებობს[3]."

კავკასიის ერთა კონფედერაციის შექმნის თაობაზე თავისი აზრი აქვს გამოთქმული მიხაკო წერეთელს. მას მოსწონს იდეა, მაგრამ მისი განხორციელება ადვილად არ მიაჩნია, ძირითადად, კავკასიის ერთა რელიგიური განსხვავებულობისა და ერთმანეთის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების გამო. მისი აზრით, ბევრი შინაგან დაბრკოლებათა გადალახვაა საჭირო, რომ „მრავალმა" და „მრავალფერმა" კავკასიაში შესძლოს „ეზიაროს" „ერთს."[4]

მიხაკო წერეთლის აზრით, კავკასიის ერები საგარეო დახმარების გარეშე ვერ შეძლებდნენ რუსეთისაგან განთავისუფლებას. იგი იმედოვნებდა, რომ კავკასიას კვლავ გამოუჩნდებოდა გერმანიის მსგავსი ძალა, რომელიც რუსეთს კავკასიიდან განდევნიდა და შექმნიდა შესაძლებლობას კავკასიის პოლიტიკური თავისუფლებისათვის. კავკასიის პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების მოაზროვნე ნაწილის ვალდებულებად ის თვლიდა ამ მიმართულებით მუშაობას, როგორც შიგნით, ისე გარეთ იმ უცხო სახელმწიფოებთან ერთად, ვისაც კავკასიის ბედი აინტერესებდა.[5]

უკრაინელების მოსკოვის უღლისაგან თავის დასაღწევად წარმოებული ბრძოლა და „სლავიანების წიაღში" გაჩენილი უკმაყოფილება, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღნიშნულ პერიოდში, მნიშვნელოვან ხელისშემწყობ გარემოებად მიაჩნდა დათა ვაჩნაძეს კავკასიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.[6]

---

[1] შარაძე გურამ, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004, გვ. .230

[2] მიხეილ მუსხელიშვილი, რამდენიმე შენიშვნა კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტისათვის: გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., 2001, გვ. 276

[3] ზურაბ ავალიშვილი, პოლიტიკური არაბესკები: ჟურნალი „კავკასია", №1, 1934

[4] მიხაკო წერეთელი, „კავკაზ"-ისათვის ჩემ შემკითხველთა საპასუხოდ: ჟურნალი „თეთრი გიორგი", №103, 1938

[5] იქვე

[6] დათა ვაჩნაძე, კავკასიის კონფედერაცია: ჟურნალი „სამშობლო", №2, 1929

„რუსეთმა ერთი საუკუნის განმავლობაში ორჯელ დაიპყრო კავკასია და ეს აგრე იქნება ყოველთვის, სანამ კავკასიის ერები ვერ ამაღლდებიან იმ შეგნებამდე, რომ მხოლოდ მთლიან კავკასიას შეუძლიან გზა გადაუჭრას რუსეთის იმპერიალიზმს,“ - წერდა გიორგი გვაზავა.[1]

ამდენად, პაქტის პროექტის საყოველთაო განხილვის შემდეგ, 1934 წლის 14 ივლისს საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო-კავკასიის ეროვნული ცენტრების მიერ ხელმოწერილ იქნა კავკასიის კონფედერაციის პაქტი. სომხეთი ამ დოკუმენტს, ფაქტობრივად, 1940 წლის 28 მაისის პაქტზე ხელმოწერით შეუერთდა, მას შემდეგ, რაც კარგად გაიაზრა 1918 წლის გამოცდილება და უარი თქვა თურქეთთან ტერიტორიულ პრეტენზიებზე. ეს პანკავკასიური მოძრაობის დიდი გამარჯვება იყო. 1935 წელს შეიქმნა ერთიანი კავკასიის დევნილობაში მყოფი მთავრობა კავკასიის კონფედერაციის საბჭოს სახით.

პაქტის მიხედვით, კავკასიის სახელმწიფოთა ეროვნულ ცენტრებს კავკასიის ერების ყოველმხრივი განვითარება შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ სრულიუტარხმოება არ არს დამოუკიდებლობის პირობებში, რომლის მისაღწევად და შესანარჩუნებლად საჭირო იყო კავკასიის ყველა ძალის გაერთიანება გეოგრაფიული (ქვეყნების საზღვრებში) და ეკონომიკური (საბაჟო კავშირი) ერთობის ფარგლებში კონფედერაციის სახით. კავკასიის კონფედერაციის საფუძვლებს წარმოადგენდა მასში შემავალი თითოეული რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის პირობით საერთო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკური კურსის განხორციელება, რომელსაც უზრუნველყოფდა სპეციალურად შექმნილი კონფედერაციის „სათანადო ორგანოები.“

XX ს-ის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ვითარება უარყოფითად აისახა ევროპის სახელმწიფოთა მთავრობების ურთიერთობაზე კავკასიის პოლიტიკურ ემიგრაციასთან, რომელსაც მოვლენებზე ზემოქმედების ბერკეტები თანდათან ხელიდან გამოეცალა საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის როლის გაზრდის პარალელურად. ევროპის ქვეყნები მხარს აღარ უჭერდნენ პანკავკასიურ მოძრაობას, რომელიც „გაჭყლიტა იმდროინდელი დემოკრატიების ცინიზმმა და ეგოიზმმა და ბოლშევიკურმა მხეცობამ.“[2]

ამრიგად, XX ს-ის 20-30-იანი წლების პანკავკასიურმა მოძრაობამ, რომლის მიზანი საბჭოთა მარწუხებიდან კავკასიის რესპუბლიკების დახსნა და მათი კონფედერაციაში გაერთიანება იყო, მარცხი განიცადა. თუმცა ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიელებისათვის ერთმანეთს შორის მჭიდრო კავშირის დამყარების, საერთო იდეის განხორციელებისაკენ სავალ რთულ გზაზე კომპრომისების აუცილებლობის დანახვისა და წარსულში დაშვებული შეცდომების გადაფასების მხრივ, რაც გამოიხატა ბოლშევიკური რუსეთის ძალის სათანადოდ დაუფასებლობაში, მაჰმადიან და ქრისტიან ერთა შორის სოლიდარობის არარსებობაში, იმის გააზრებაში, რომ მათი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისათვის ქვეყნის გარეთ და შიგნით საერთო ბრძოლის არქონამ მოდერნიზებულ რუსეთის იმპერიას გაუადვილა მიზნის მიღწევა და მათი ქვეყნების ოკუპაცია-ანექსია. პანკავკასიური იდეის მხარდამჭერებმა და მთავარმა მოქმედმა პირებმა, მოგვიანებით, მაგრამ მაინც ისწავლეს კომპრომისებზე წასვლა, რაც მათი არაერთი წარმატების მიზეზი გახდა.

დღეს შექმნილი რეალობა შესაძლებლობის ფანჯარას აჩენს პანკავკასიური მოძრაობის იდეის სასარგებლოდ. იმედი ვიქონიოთ, რომ წარსულის პანკავკასიურმა იმპულსებმა ოცდამეერთე საუკუნეში ბიძგი მისცენ, პირველ რიგში, კავკასიელების კულტურულ და ეკონომიკურ სოლიდარობას და შემდეგ ახალი კავშირების დამყარების შესაძლებლობას, ილია ჭავჭავაძეს თუ დავესესხებით, გააზრებას იმისას, რომ „ერთად დავიღუპებით, ერთად ავშენდებითო!“

---

[1]გიორგი გვაზავა, მთლიანი კავკასია, გაზ. „მამულიშვილი“, №2, XII,1926.

[2] კოპო ეტიენ, პრომეთეელთა მოძრაობა, აღმოსავლეთ შუაზღვისპირეთისა და თათრულ-ირანული სამყაროს კვლევის რვეულები, პარიზი, ნომერი 16, 1993 წლის ივლის-დეკემბერი// http://ai-ia.info/online-arqivi/39-etien-kopo-prometeuli-modzraoba.htm

George Gotsiridze
Iakob Gogebashvili Telavi State University

PAN-CAUCASIAN MOVEMENT OF THE 20S-30S OF THE 20TH CENTURY

RESUME

The present paper analyzes the separate aspects of the Pan-Caucasian movement of the 20s-30s of the 20th century, identifies its stages, shows the influence of domestic and foreign factors on them, sheds light on the events that, on the one hand, contributed to the development of integration processes, and, on the other hand, caused disintegration processes, which had a disastrous effect on the independence of the Caucasus states.

The article shows that the idea of the unity of the Caucasus went through several stages in the above-mentioned period, during which the degree and extent of the influence of foreign and domestic factors on it changed. The contributing factors of the Pan-Caucasian idea are considered the geographical, economic and political integrity of the Caucasus and the position of the member states of the Union of Four at the initial stage of the movement, and after the conquest of the Caucasus countries by the modernized Russian Empire – the fact, that the political elite of the Caucasus realized cooperation, joint response to external threats, compromises and reassessment of past mistakes for the independent existence of their states. The Pact of the Confederation of the Caucasus is considered the highest manifestation of the latter. The work shows the role of European states in this process.

The article emphasizes the importance of understanding the historical processes of a hundred years ago and the Pan-Caucasian movement in the way of building the current stability of the region and the state independence of its countries.

ელდარ მამისთვალიშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავგუსტინელი მისიონერი ამბროსიო დუშ ანჟუსი ქეთევან წამებულის შესახებ

ამბროსიო დუშ ანჟუში. დაიბადა ლისაბონში, ჟუან პინტუში. დაბადების წელი უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ უნდა დაბადებულიყო დაახლოებით 1591 წელს, რამეთუ 1611 წელს, როდესაც ის შევიდა ავგუსტინელთა ორდენში, იყო 18 ან 19 წლის, 1612 წელს მან მიიღო რელიგიური აღსარება, ხოლო 1618 წელს გახდა მღვდელი. 1618 წელს იმყოფებოდა ესპანეთის ელჩობაში ისპაანში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დონ გარსია დე სილვეა ფიგუეროა.[1] მან შვიდი წელი გაატარა ისპაანში, ორი წელი საქართველოში. 1640 წელს მან თავის მიერ გაწეულ შრომაზე სპარსეთსა და საქართველოში რომში წარადგინა ანგარიში. ამბროზიო იმავე წელს აპირებდა საქართველოში დაბრუნებას, მაგამ ზღვაში დაიღუპა.[2]

* * *

საინტერესოა, რომ ავგუსტინელმა ბერებმა საქართველოში თავიანთი მისიონის დაარსება ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასასრულს განიზრახეს, როდესაც ისპაანში გაიცნეს სამცხის ათაბაგი მანუჩარ II და პროექტიც შეიმუშავეს, მაგრამ მაშინ მისი განხორციელება ვერ შესძლეს, მანუჩარის 1614 წელს გარდაცვალების გამო. ამის შემდეგ მათ ხელსაყრელად ჩასთვალეს წამებით მოკლული ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი მისი შვილის, ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-სთვის წაეღოთ საქართველოში და ამით მიეღწიათ მისგან მისიონის დაარსების ნებართვის მიღება. ამგვარი რჩევა აბროზიოს მისცა ავგუსტინელ მისიონერთა პრეფექტმა. ავგუსტინელ მისიონერთა ვიკარუსმა აღმოსავლეთში ქეთევანის ნეშტის წასვენება დაავალა ამბროზიოს და მეორე პორტუგალიელ მისიონერს, სებასტიანს. პატრებმა ორჯერ სცადეს საქართველოში ჩასვლა, მაგრამ სებასტიანის ავადმყოფობის გამო ვერ განახორციელეს. ბოლოს, როგორც ამბროზიოს მიერ 1628 წ. 20 ივნისს გორიდან გაგზავნილი წერილიდან ჩანს, ამბროზიომ და მორჩილმა ძმამ პედრო დუშ სანტოშმა და ამბროზიომ 1626 წლის ოქტომბერში დატოვეს გოა, ჩავიდნენ ისპაანში, იქიდან კი შირაზში, სადაც მიაგნეს ქეთევან დედოფლის საფლავს, რომელიც ერთ ღრმა ორმოს წარმოადგენდა, ნეშტი ამოიღეს და ავგუსტინელთა ეკლესიაში გადაიტანეს.

1627 წლის აგვისტოში ამბროზიომ მამა სებასტიანო დე ჯესუსთან ერთად აიღო გეზი საქართველოსკენ, მაგრამ მხოლოდ სოლთანიამდე მიაღწიეს. ამბროზიოს ავადმყოფობის გამო იძულენულნი გახდნენ იმავე წლის 1 ნოემბერს უკან, ისპაანში დაბრუნებულიყვნენ.[3] ამბროზიო დუშ სანტუშმა და პედრო დუშ სანტოშმა 1628 წ. 11 მაისს, ხუთშაბათს, გორამდე მიაღწიეს და ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი მიიტანეს.[4] ამბროზიოს თქმით, ეს ერთი ნაწილი

---

[1] *Carlos Alonso (O.S.A). Misioneros agustinos en Georgia (Siglo XVII), Valiadolid, 1978, 142.*

[2] *Idem, 277; John M. Flannery. The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beiond (1602-1747), Leiden-Boston, 2013, 202.* https://books.google.ge/books?id=Nz5TO9BNFH8C&printsec=frontcover&source-Zgbs_ViewAPI&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

[3] *Idem, 215*

[4] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, II, თბ., 1986,134;*

წმინდანის თავი იყო.[1] ამგვარად, მხოლოდ 1628 წელს ამბროზიო დუშ ანჟუსმა შესძლო ავგუსტინელთა მონასტრის დაარსება გორში. ახალი მისია დაარსდა არა ადრე არსებული მეგობრული კონტაქტების საფუძველზე, არამედ თეიმურაზის დედის სპარსეთში, შირაზში მოწამებრივ სიკვდილთან მისი წმინდა ნეშტის ნაწილის საქართველოში ჩამოტანასთან დაკავშირებით.[2]

ავგუსტინელებს სურდათ ქეთევან წამებული ვატიკანს კათოლიკური ეკლესიის წმინდანად შეერაცხა და რომისკენ მიმავალ სომხეთის ვიკარს, გრეგორიო ორსინოს ისპაანში გადასცეს შირაზში ქეთევან დედოფლის მოწამებრივი სიკვდილის „ნამდვილი ამბები", დაწერილი ამბროსიოს მიერ, რომელიც იმ დროს იყო შირაზის წმ. ავგუსტინეს ორდენის მონასტრის ბერი. ავგუსტინელი მისიონერები, ითვალისწინებდნენ რა კათოლიკური ეკლესიის და სამისიონერო საქმიანობის გამოჩენილი მოღვაწის გრეგორიო ორსინოს დიდ ავტორიტეტს რომში, მას სთხოვეს შუამდგომლობა პაპის წინაშე წამებული ქეთევან დედოფლის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად გამოცხადებისთვის. ისიც საინტერესოა, რომ ავგუსტინელმა მისიონერებმა ორსინოს სთხოვეს, თავისი შეხედულების მიხედვით, „ნამვილი ცნობები" ან უცვლელად ჩაებარებინა ვატიკანში, ან მის საფუძველზე შეედგინა ახალი მოხსენებითი ბარათი, რაც მან მართლა გააკეთა და იგი კარდინალთა კოლეგიას ჩააბარა.[3]

მამა ამბროზიო დუშ ანჟუში გორიდან გაგზავნილი წერილით (1627 წ. 27 აპრილი) რომის პაპს და პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს მოუთხრობდა დედოფლის წამების შესახებ, რაც მან აღწერა „მამა გრეგორიოს (ორსინო – ე.მ.) მიერ ჩატანილი მისი უწმიდესობისათვის განკუთვნილ ცნობაში".

თეიმურაზ I-მა დიდი პატივით მიიღო პატრები თბილისის სიახლოვეს საფურცლეში (ნატახტარი), ქართლ-კახეთის მეფეთა რეზიდენციაში. მან ამბროზიო თავის სასახლეში დააყენა. პატრებმა მაშინვე არ მოახსენეს მეფეს თავიანთი ჩამოსვლის მიზეზი, მაგრამ თეიმურაზისათვის ისედაც ცნობილი იყო, რომ მისი დედის ნეშტი კათოლიკე მისიონერებს ჰქონდათ. ამის თაობაზე მას თვითონვე უთქვამს პატრებისათვის. როცა შეიტყო, რომ პატრებმა თან მოიტანეს მისი დედის ნაწილები, დიდად გაიხარა.

მესამე დღეს, სპეციალური წირვის შემდეგ, რომელსაც მეფე და დედოფალი ესწრებოდნენ, ამბროზიომ 1628 წლის ივნისში მეფეს გადასცა ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილი. თეიმურაზის კითხვაზე სამაგიეროდ რას ისურვებდნენ პატრები, მათ ითხოვეს გორში ეკლესიისა და საცხოვრებელ სახლის ასაშენებელად ადგილი. მეფემ პატრებს მათ მიერ შერჩეული ადგილი უბოძა.

1629 წელს თეიმურაზ I-ს მისივე ხელშეწყობით წარმატებული პატრების მის სამეფოში კარგად დაბინავების შესახებ პაპ ურბან VIII-ს აცნობა.[4]

საყურადღებოა ის ცნობა, რომლის მიხედვით, „მისიონერებისადმი კეთილგანწყობილმა თეიმურაზ მეფემ, წმიდა მამა ამბროზიოს და მორჩილ ძმა პედროს საშუალება მისცა გორში, მდ. მტკვრის პირას აეგოთ სახლი და ეკლესია".[5]

მაშინ, როდესაც გორში შავი ჭირი მძვინვარებდა, გორელი ავგუსტინელების პრიორი (წინამძღვარი) ამბროზიო დუშ ანჟუში ნახჭევანში კათოლიკე ეპისკოპოსთან იმყოფებოდა, საიდანაც მან გორში თავისი მონასტრის მეთვალყურედ გამოგზავნა ორი დომინიკანელი სომეხი

---

[1] *გულბენკიანი რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ / ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბ., 1987 44.* სხვადასხვა წერილებში ლაპარაკია ქეთევან წამებულის სხვადასხვა ნაწილებზე, *იქვე, 77.*

[2] *John M. Flannery. The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beiond (1602-1747), 202.*

[3] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბ.*, 1987, 77-78.

[4] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902, 108-109*

[5] *Metzler J. Fondation of the Congregation de Propaganda Fide by Gregorio XV, „sakrae Congregationis de Propaganda Fide, Memoria rerum 1622-1972", vol. 1/1, Rom, Freiburg, Wien, 1972, 79-111.* ციტირებულია: *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 87.*

ბერი – მღვდელი და ნოვიციანტი (მორჩილი ძმა).[1] ის რომ 1637 წლის მარტში ამბროზიო ჯერ ისევ ნახჭევანში იმყოფებოდა, ამის შესახებ გადმოგვცემს ცნობილი გერმანელი მოგზაური ადამ ოლეარიუსი იმავე წლის 7 მარტს. როგორც ჩანს, შემდეგში ამბროზიო დუშ სანტუში კვლავ გორში დაბრუნდა

ადამ ოლეარიუსის გადმოცემით, ამბროზიომ გერმანელ ელჩებს დახმარება შესთავაზა, რადგან თვითონ ამ მხარეში, კავკასიაში უკვე 27 წლის განმავლობაში იმყოფებოდა და ბევრი რამ იცოდა ადგილობრივი ხალხებისა და მათი წეს-ჩვეულებების შესახებ. მას სცოდნია რამდენიმე ენა: პორტუგალიური, ლათინური, ქართული, თურქული, სპარსული. ოლეარიუსის ყურადღება განსაკუთრებით იმან მიიპყრო, რომ პატრს შემუშავებული ჰქონდა ენების შესწავლის თავისებური მეთოდი.[2]

თეიმურაზ მეფე 1629 წელს პაპს სწერდა: „აი უკვე ერთი წელია, რაც დედა ჩვენის მშრალი ძვალი, ე.ი. ჩვენი დედის სხეული, ანუ მისი ნაწილი, ღირსეულმა მამა ამბროზიო ავგუსტინელმა ქალაქ ისფაჰანიდან, სპარსეთის სამეფოს კარიდან, ჩვენს ქვეყანაში ჩამოიტანა. ამისათვის მადლობის ნიშნად მე იგი ავიყვანე ჩემი მფარველობის ქვეშ და აღმოვუჩინე მოწყალება, მივეცი რა მას კერა და მიწა იმრიგად, რომ მან შეძლოს იცხოვროს და ააშენოს სახლი და ეკლესია...“ ამბროზიომ თავდაპირველად დროებითი პატარა სახლი და ეკლესია ააშენა. შემდგომ ინდოეთში გაგზავნა მორჩილი ძმა პეტრე, რომელმაც საჭირო ფული ჩამოიტანა. პატრებმა გორში მონასტერი და სახლი ააგეს, რომელიც, როგორც ისინი ამბობდნენ ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა იყო მთელ საქართველოში. დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიხედვით: მისიონერებმა „თავიანთთვის იმოდენა სახლი ააშენეს, რომ მოხერხებულად ცხოვრება შეეძლოთ. ასევე ააგეს მოციქულთა თავადისადმი (პეტრე მოციქული – ე.მ.) მიძღვნილი ეკლესიაც“.[3] აგებული იქნა ეკლესია, რომელიც, როგორც მიქელ თამარაშვილი წერდა, „საქართველოში საუკეთესო ეკლესიად ითვლებოდა“.[4]

1630 წელს თეიმურაზ მეფემ დონ პიეტრო ავიტაბილე დიპლომატიური მისიით გაგზავნა რომში. მან იტალიის თეატინელთა მონასტრებში შეკრიბა მისიონერთა ჯგუფი და საქართველოში წამოიყვანა. 1632 წ. 10 ივლისს ისინი გორში მოვიდნენ.[5] ამ ქალაქში იმდენად ბევრმა მისიონერმა მოიყარა თავი (15 თეატინელი და 2 ავგუსტინელი), რომ რომში განიზრახეს შეექმნათ მისიონერთა კონვენტი, რომელსაც მორიგეობით უხელმძღვანელებდნენ თეატინელი დონ პიეტრო ავიტაბილე და ავგუსტინელი ამბროზიო დუშ ანჟუში.[6]

ამბროზიოს მიერ 1629 წლის აპრილში[7] გორიდან გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, რომელშიც ლაპარაკი იყო ქეთევან დედოფლის კათოლკობაზე მოქცევის შესახებ, რომამდე მიაღწია 1630 წლის შუა ხანებში. მაგრამ მისმა შინაარსმა გავლენა ვერ მოახდინა პროპაგანდის პოზიციაზე, მით უმეტეს, რომ არავითარი დამატებითი მოწმობა დედოფლის კათოლიკობაზე მოქცევის შესახებ არ გამოჩენილა. ამიტომ მასში დედოფალი ნახსენები არ არის.[8]

---

[1] *დონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოს შესახებ (XVII ს.) / შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბ, 1977, 31.*

[2] *Подробнее описание путешествия голштинского посольства в Московию и Персию составленое секретарем посольства Адамом Оларием // Чтения в Обществе Истории и Древностей Российских при Московском Университете, №1, Москва, 1869, 549.*

[3] *დონ კრისტოფორო კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ / ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1976, 60.*

[4] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 103-104*

[5] *იქვე, 117.*

[6] *ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 181.*

[7] Alonso, `Misiones en Georgia’ 246-247. *John M. Flannery. The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beyond (1602-1747), 221.*

[8] Alonso, `Misiones en Georgia’ 249; *John M. Flannery. The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beyond (1602-1747), 221.*

პროპაგანდისათვის გაგზავნილ თავის მოხსენებაში პედრო დუშ სანტუში ამტკიცებდა, რომ ის და ამბროზიო ეხმარენოდნენ და ამშვიდებდნენ დედოფალ ქეთევანს, ისმენდნენ მის აღსარებას და ყველაფერს აკეთებდნენ მისი სულის გადასარჩენად ეს მოხსენებები იყო დამარხული და მივიწყებული ვატიკანის არქივებში, აღნიშნავს ჯონ მ. ფლანერი, ვიდრე ტამარატმა (Tamarati. მიქელ თამარაშვილი) არ მიაგნო ამბროზიოს 1640 წლის ანგარიშს დედოფლის წამების შესახებ, ხოლო კარლოს ალონსომ (Karlos Alonsom) არ გამოაქვეყნა პედრო დუშ ანჟუსის მოკლე მოხსენებები (Breve Relacioni) 1962 წელს და ამბროზიო დუშ ანჟუსის 1640 წლის ანგარიში 1965 წელს.

სრულიად გასაგებია, რომ ამბროზიო დუშ ანჟუსი და სხვებიც, ვინც ქეთევან დედოფალს იცნობდნენ, რა თქმა უნდა, ავგუსტინელთა ორდენის წარმომადგენლებს ქეთევან წამებული ღირსად მიაჩნდათ, ჩარიცხული ყოფილიყო რომის ეკლესიის წმინდანთა კალენდარში.

მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამბროზიოს „მართალ ცნობებში“, არ აისახა მისი აღიარება და საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის დასახელებული თხზულება კვლავ მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. ამიტომ იყო, რომ რ. გულბენკიანმა, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ქეთევან დედოფლის შირაზში წამების ვსტიკანსა და პორტუგალიაში დაცული მასალები, წერდა: „მამა ამბროზიო ბოლომდე არ ამჟღავნებს თავის მიზანს, მაგრამ უეჭველია რომ შეგნებულად მოგვითხრობს იმას, რაც დედოფლის წმინდანთა თანაშერაცხვასა და კანონიზაციისათვის სჭირდება. ცდილობს დაადგინოს დედოფლის წმინდანობა, ცხადყოს მისი გმირული თუ თეოლოგიური სათნოება, იმედი და გულმოწყალება, გონიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და თავდაჭერილობა“.[1]

რომში ყოფნის დროს 1640 წელს თვით ამბროზიო დუშ ანჟუსმა სცადა ბოლო მოეღო საკამათო საკითხვისათვის – აღიარა თუ არა ქეთევან დედოფალმა კათოლიკობა. ამბროზიომ პირდაპირ განაცხადა, რომ სინამდვილეში ქეთევანს არასოდეს დაუტოვია ქართული ეკლესია. ამისდა მიუხედავად, ამბროზიოს თქმით, „უნდა დავიჯეროთ, რომ ეს დედოფალი ეხლა ზეცაში იმყოფება და უფლის დიდებით ხარობს, მიუხედავად იმისა, რომ ის განეკუთვნებოდა ბერძნულ წესს (მართლმადიდებლობას – ე.მ.), მაგრამ მაინც ამჟღავნებდა წმინდა კათოლიკური ეკლესიისადმი ერთგულებას და ძლიერ სიყვარულს ყველა ლათინების მიმართ და ეხმარებოდა მათ, რაც მის ძალებში იყო. ის ყოველთვის ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო ჩვენთან, რომ არ შეეძლო რაიმე ჩაედინა წმინდა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ“.[2] ამბროზიოს ამ აღიაებას იცნობდა პატრი მიქელ თამარაშვილი და იგი არა მხოლოდ დაიმოწმა, არამედ მისი ფრანგულა თარგმანიც გააკეთა და გამოაქვეყნა თავის წიგნში.[3] მიუხედავად ამისა, ის მაინც წერდა: „ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტანების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად და მათი ჩაგონებით გამხნევებული კათოლიკედ აღესრულაო“.[4] რაც ცნობილი წყაროებით არ დასტურდება.

---

[1] გულბენკიან რ., ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივი სიკვდილის შესახებ / ფრანგულიდან თარგმნეს ი. ტაბაღუამ და ც. ბიბილეიშვილმა, თბ., 1987, 64, შენ. 96

[2] Alonso, `Misiones en Georgia’ 271; *John M. Flannery. The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beyond (1602-1747), 222.*

[3] ჯონ მ. ფლანერი იმოწმებს მიქელ თამარაშვილის ნაშრომს ფრანგულა ენაზე: Mikheil Tamarati . L’ Eglize Georgienn des origins jusqu’es nos jours. Rome, 1910, 484-485; ქართული გამოცემა: მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე / რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ბაბა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1995, 539. მ. თამარაშვილის ქართულ და ჯ. ფლანერის ინგლისურ თარგმანებს შორის უმნიშვნელო განსვავებაა. *John M. Flannery. The Mission of the Portuguese Augustinians to Persia and Beyond (1602-1747), Leiden-Boston, 2013, 222.*

[4] თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 88.

Eldar Mamistvalishvili
Gori State University

AUGUSTINIAN MISSIONARY AMBROSIO DOS ANJOS ON KETEVAN THE MARTYR

RESUME

Ambrosio dos Anjos, a member of the Augustinian order and a Portuguese missionary (1591-1640), as he himself wrote, personally knew Queen Ketevan, who was held captive by Shah Abbas I in Shiraz, witnessed her torture, later recovered her remains and a portion of her for the queen's son and brought them to King Teimuraz I in Georgia (Gori). The delighted king assisted the Augustinian missionaries in establishing a mission. Ambrosio dos Anjos and the Augustinians aimed to canonize Ketevan the Martyr as a saint of the Catholic Church. However, Rome did not share their enthusiasm. Eventually, Ambrosio himself acknowledged that Queen Ketevan was martyred for Orthodox Christianity

მანანა მიჩიტაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მასალები ლევან (ლეონ) ბატონიშვილის მკვლელობის პოლიტიკური მოტივისათვის

მეფე ერეკლეს სახელოვანი მემკვიდრის ლევან(ლეონ) ბატონიშვილის მკვლელობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო მსჯელობის საგანი დღემდე არ გამხდარა. ცნობილ მკვლევართა ნაწილი მის მკვლელობას (გ. ქიქოძე, ვ. მაჭარაძე, გ. პაიჭაძე, ა. იოსელიანი, ს. კაკაბაძე და სხვ.) ბატონიშვილის ტრაგიკულ შემთხვევად, ან საბედისწერო დამთხვევად (მ. სამსონაძე) თვლიან. მეორენი გამიზნულად გავრცელებულ სამეფო სახლის ინტრიგებს (ლ. ტუხაშვილი) უკავშირებდნენ, რომლის მიხედვით ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ ლევან ბატონიშვილს ამზადებდა. ამ ვერსიების ფორმულირებას გვთავაზობდა საბჭოური ისტორიოგრაფია და ამყარებდა ჩვენთვის „ხელმისაწვდომი“ მასალებით. ლევან ბატონიშვილის ელჩობის მასალების „გაუჩინარება“, მის მკვლელობასთან რუსეთის ჯაშუშური ქსელის მასალების გასაიდუმლოება რუსეთის არქივებში, კიდევ უფრო მეტ კითხვებსა და ინტერესს აჩენს ლეონ ბატონიშვილის მკვლელობის პოლიტიკური მოტივის შესახებ. სავარაუდოთ, ამ არცთუ უსაფუძვლო ვერსიების ლაბირინთებიდან ეჭვი რომ არ მიეტანათ რუსეთის აგენტების მიერ „უკვალოდ“ განხორციელებული მკვლელობის ვერსიაზე.

მ. კეკელია პირველი მკვლევარია, რომელმაც პირველად მიანიშნა 25 წლის ლევან ბატონიშვილის გამიზნულ მკვლელობაზე, მეტად საყურადღებო ფორმულირებით, „ლეონ ბატონიშვილის სიკვდილმა უეჭველად გარკვეული გავლენა იქონია სახელმწიფოს საგარეო ორიენტაციაზედაც“,[1] თუმცა პირდაპირ არაფერს მიუთითებს მკვლელობის მიზანზე, ძირითადად შემოიფარგლება მსაჯულთშეკრებულების განაჩენით.

XVIII ს. 70-იანი წლების ქართლ-კახეთის პოლიტიკური ვითარების, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ექსპანსიური მიზნების გათვალისწინებისა და ლევან ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ ისტორიულ განზომილებაში განხილვის გარეშე ძნელია მსჯელობა, თუ რატომ გახდა სამიზნედ ლევან ბატონიშვილი ერეკლე მეფის მრავალრიცხოვანი ოჯახიდან. ჩვენს მიერ მოძიებული ისტორიული მასალების ისტორიულ-შედარებითი მეთოდის, ეპოქის რეკონსტრუქციის და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა განსაკუთრებული ინტერესი ლეონ ბატონიშვილის მოღვაწეობისა და მისი მკვლელობის საკითხისადმი. გასაიდუმლოებული მკვლელობის დასადგენად ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ ვის ინტერესებში შედიოდა, რატომ და როდის იქცა მტრის სამიზნედ ბატონიშვილი.

ლეონ ერეკლეს ძე ბატონიშვილი (1756-1782 წწ.) სამეფო კარზე განათლებით, გამჭრიახი გონიერებით, გამბედაობით და პოლიტიკური აქტივობით გამოირჩეოდა. დიდად განსწავლული, პროევროპული ორიენტაციის ანტონ პირველის გვერდით ყოფნამ დიდი გავლენა მოახდინა მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. 14 წლის უფლისწულმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო აწყურისა და ასპინძის ბრძოლებში. სამხედრო წვრთნას გადიოდა დავით სარდალთან. ლეონი ქვეყნის გაერთიანების სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებაში ყოველთვის მტკიცე საყრდენი იყო მეფისთვის, რაშიც დიდი იყო მამის, ერეკლეს წვლილი. ლეონ ბატონიშვილის მჩქეფარე, სახელოვანი, მაგრამ ხანმოკლე ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე სათანადოდ შეუსწავლელი და შეუფასებელია.

[1] მ. კეკელია, მსაჯულთშეკრებულობის განაჩენი 1782 წლისა, საისტორიო მოამბე, თბ., 1963, №15-16, გვ. 276.

1772 წ. 5 იანვარს ეკატერინე მეორის საიმპერატორო კარზე გაიგზავნა სრულუფლებიანი ელჩობა ლევან ბატონიშვილისა და კათალიკოს ანტონ პირველის ხელმძღვანელობით.[1] დიპლომატიური მისია ასტრახანში დიდხანს ალოდინეს, ყიზლარში ჩასული ელჩობა აცნობებს 1772წ. 30 იანვარს გუბერნატორს ნიკიტა ბეკეტოვს ასტრხანში ჩასვლის უფლებას პეტერბურგში იმპერატორთან აუდიენციამდე. ა.იოსელიანის ცნობით საგარეო საქმეთა კოლეგიამ გამოითხოვა და გულდასმით გადაამოწმა ელჩობის წევრთა მასალები.[2]

მეფე ერეკლეს ,,ეჭვიანობისა და ცილისწამების" გამო განაწყენებული რუსეთის მთავრობა გულგრილად შეხვდა მაღალი რანგის ელჩებს. რასაც წინ უძღოდა ავანტურისტ ტოტლებენთან დაკავშირებული სკანდალი, ჩაშლილი 1770-1771 წლების საომარი კამპანია საქართველოს ფრონტზე, რამაც ფაქტიურად გამოავლინა რუსეთის ჭეშმარიტი ინტერესები. ამას დაემატა სუხოტინის წარუმატებელი, მარცხიანი სამხედრო ექსპედიცია და მისი საქართველოდან გაწვევის გადაწყვეტილება 1771 წლის 15 დეკემბერს, რომელიც ერთგვარად ჩრდილს აყენებდა არამარტო რუსეთის საიმპერატორო კარს, არამედ მის სამხედრო ძლიერების იმიჯს. ამ ფონს ამწვავებდა თურქეთთან დაწყებული საზავო მოლაპარაკების ჩაშლა. მოსალოდნელი ომის გაჭიანურების საფრთხის გამო თავად გაურკვევლობაში მყოფ რუსეთს არ შეეძლო გარკვეული პასუხის გაცემა ქართველი ელჩების შემოთავაზებულ პირობებზე, რაც საბოლოოდ დასრულდა სრული იმედგაცრუებით. გაურკვევლობაში მყოფი მეფე ერეკლე სათანადო მხარდაჭერისა და დახმარებისთვის სათხოვარ წერილებს უგზავნის პ. ვ. ბაკუნინს, ვიცე-კანცლერ გოლიცინს. 1773 წ. 16 მარტით დათარიღებულ საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელთან, ნიკიტა პანინთან მიწერილი წერილიდან აშკარად ჩანს ელჩობისადმი უპატივისმცემლობით განაწყენებული მეფის აშკარა უიმედობა.[3]

ამის შემდეგ მეფე ერეკლე იძულებული გახდა იმპერატორისთვის თავად მიემართა ელჩების მიღების თაობაზე 1773 წ. 23 იანვარს.[4] ერთი წელზე მეტ ხანს, 1772წ. იანვრიდან 1773წ. გაზაფხულამდე ალოდინეს ასტრახანში გაჩერებული ელჩები და როგორც იქნა 30 იანვარს შეძლეს ეკატერინე მეორის ბრძანებით გზა გაეგრძელებინათ პეტერბურგისკენ. 69 კაციანი ამალიდან პეტერბურგს გაგზავნის ნება დართეს მხოლოდ 25 წევრს.[5] მათ შორის იყვნენ რუსეთ-თურქეთის ომის გმირები, რომლებიც შეახსენებდნენ ქართველთა თავდადებას: ხერთვისის ციხის მფლობელი იბრეიმ ბეგი, თავადი ვაჩნაძე, რომელიც განუდგა ახალციხის ფაშას, სულეიმანს და ერეკლეს დიდად დაეხმარა ხერთვისის ციხის აღებაში.[6] ასპინძის ბრძოლის გმირი პავლე ანდრონიკაშვილი კი ითხოვდა დახმარებას ლეკების მიერ გატაცებული ოჯახის წევრების დასაბრუნებლად. მათი ელჩობაში მონაწილეობით რუსეთს შეახსენებდნენ ომის მძიმე შედეგებს საქართველოსთვის და სურდათ დაერწმუნებინათ საიმპერატორო კარი, რომ თურქეთის ხელში დარჩენილი ისტორიული ჯავახეთის, ამ ქართული ტერიტორიის შემოერთებას ქართლ-კახეთისთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

მოგვიანებით 1774-1775 წწ. არაერთგზის შეეცადა რუსეთის მხარეს ომში ჩაბმის გამო მის წინააღმდეგ ამხედრებული მეზობლების დიდი საფრთხისა და საომარი დანახარჯების, 43 ათასი თუმნის (430 000 მინალთუნი/რუბლი) სანაცვლოდ ამ რაოდენობის სესხი მაინც მიეღო,

---

[1] სცსსა, ფ. 1449, საქმე 1368.

[2] ა. იოსელიანი, თვისებრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, თურქეთთან 1768-1774 წლების ომში ერთობლივი მონაწილეობა და რუსეთის პროგრესული მისია, საისტორიო მოამბე, თბ., 1 985, №51-52, გვ. 340.

[3] Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии. Т. II. Вып. I. С 1768 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели. СПб. 1898, с. 69.

[4] იქვე, გვ. 98.

[5] ხეც. ფ. Hd საბ. 1374; Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии, т. I, Вып. I, Под редакцией А. Цагарели. СПб. 1898, с. 370.

[6] Грамоты и другие исторические документы… т. II, Вып. I, с. 89, 79.

სამაგიეროდ აზერბაიჯანული სახანოების დამორჩილებას და ირანის წინააღმდეგ ახალი ლაშრობის პერსპექტიულ გეგმას სთავაზობდა, რაც უპასუხოდ დარჩა.

ლევან ბატონიშვილმა ხანგრძლივი მოგზაურობისას სათანადოდ გაიცნო რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობა, სამხედრო ძალების, მათ შორის ჯარის წვრთნის, ბრძოლისა და აღჭურვის საკითხები. ელჩობისას მისი მიზანი ყოფილა: „შეიტყონ და გამოიკვლიონ იქაური დაწყობილობა, როგორც ადმინისტრაცია, ისე მხედრობის რიგი, რომ იქაურს კუალობაზედ საქართუწლოშიაც ისე დააწყონ.“[1] ასტრახანში ყოფნისას გუბერნატორ პორუჩიკ ნიკიტა ბეკეტოვისთვის მიუმართავს ბატონიშვილს თხოვნით რუსეთის სამხედრო სამსახურში მიღების თაობაზე. გუბერნატორი პანინისადმი მიწერილ 1773 წ. 22 იანვრის წერილში ლეონ ბატონიშვილის თხოვნის შესახებ აცნობებდა: „...მისი თხოვნა საკმაოდ თამამად მიგვაჩნია ... მან შემდეგშიც არაერთხელ გაიმეორა თავისი სურვილი.“ ამიტომ თავს ვალდებულად თვლიდა ეცნობებინა „პასუხის გაცემა მისი იმპერატორობითი დიდებულების სურვილის შესაბამისად.” [2]

ბატონიშვილს ცივი უარი განუცხადეს სამხედრო სამსახურში მიღებაზე, რომლის პოლიტიკური მიზეზი ადვილი მისახვედრია.

1772წ. 24 ოქტომბერს ლევან ბატონიშვილის მიწერილ წერილს საგარეო საქმეთა კოლეგიის ხელმძღვანელის, გრაფ ნიკიტა პანინისადმი, დაუფარავად გასდევს ელჩობისადმი უპატივისმცემლობის საყურადღებო დეტალები. დიდი ხნის ლოდინით გაწამებული, ნუგეშისმცემლებისგან უყურადღებოდ მიტოვებული ბატონიშვილი თავს ტყვეობაში გრძნობდა: „... ვითარცა ტყუწნი ვიყოფებით დაკლებულნი მამულისაგან ჩუწნისა და ვერ მიწთომილნი სრულყოფად კომისიისა... უქმად მყოფნი მივცემულ ვართ, ჰაერისა სიმძიმითა ვერ შემწყნარებელნი... ვედრებით ვთხოვთ, რათა განვთავისუფლდეთ ჩუწნ აქათგან და ღირს ვიქმნნეთ წინაშე ... წარდგომად...“ [3] ამას წინ უსწრებდა ასტრახანის გუბერნატორის 1772 წ. 23 ოქტომბრის წერილი პანინისადმი,[4] სადაც აცნობებდა მისიით უკმაყოფილო ბატონიშვილის მტკიცე მოთხოვნას, თუ პეტერბურგში გამგზავრების ნებას არ დართავდნენ, რაშიც მას ბრალს აშკარად სდებდა, მაშინ ელჩობის უკან დაბრუნების განკარგულების გაცემას დაუყოვნებლივ მოითხოვდა.[5]

ასტრახანს დიდხანს მყოფი ბატონიშვილი დიპლომატიური მისიით გათვალისწინებული დავალებების გარდა დიდად დაინტერესებულა ყირიმში მოხვედრილი ქართველი ტყვეების ბედით, რომელთაც მოუხერხებიათ რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთისთვის შეეფარებინათ თავი, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლების ნაცვლად, ძალით ასახლებდნენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. რუსეთის აგენტ ოთარ თუმანოვის ცნობით დაღესტნელ ფეოდალთა სისტემატური თავდასხმებით გატაცებული ტყვეები დაღესტნიდანაც ჩაჰყავდათ ყირიმში, რომლებიც თურქეთის ვრცელ იმპერიაში იყიდებოდა. ყირიმში გამოხსნილი ქართველი ტყვეების საქართველოში დაბრუნების უზრუნველსაყოფად, ბატონიშვილს 1774 წლის თებერვალში წერილითაც მიუმართავს საიმპერატორო კარზე გრაფ ნიკიტა პანინისთვის. [6]

---

[1] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1914, გვ. 11.

[2] მ. ბულეიშვილი, ქართველი ეკლესიის მსახურები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბ., 1991, გვ. 64.

[3] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до грузии, т. II, Вып. I. Под редакцией А. Цагарели, с. 88, д. 68.

[4] Грамоты и другие исторические документы XVIIIстолетия относящиеся к Грузии, т. I, Вып. I, Под редакцией А. Цагарели. СПб. 1898, с. 365.

[5] იქვე, გვ. 365.

[6] ა. იოსელიანი, თვისებრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, თურქეთთან 1768-1774 წლების ომში ერთობლივი მონაწილეობა და რუსეთის პროგრესული მისია, საისტორიო მოამბე, თბ., 1985, №51-52, დოკ. 11, გვ. 365.

ჭკვიანმა და გაბედულმა ბატონიშვილმა სიღრმისეულად გამოიძია და ელჩობისას ამხილა სამხედრო აგენტ ბაკუნინის ფარული ანტისახელმწიფოებრივი კავშირი ალექსანდრე ბაქარის ძესთან და მის მხარდამჭერ თავადთა ჯგუფთან, რაც ნამდვილად საამებელი მოსასმენი არ უნდა ყოფილიყო საიმპერატორო კარის უმაღლესი რანგის მოხელეთათვის ტოტლებენის ავანტურისტული საქმიანობის მხილების შემდეგ, კიდევ ერთი სამხედრო მაღალჩინოსანი მოხელის ღალატი. ელჩობამ ქართლ-კახეთის 1772 წ. შეთქმულების კვალს ასტრახანშივე მიაგნო და დოკუმენტური მასალებით გამოამჟღავნა შეთქმულ თავადთა საქმიანობა (ზაალ ორბელიანის მეთაურობით) და მათი კავშირი ბაკუნინთან. გაბედული და შეუვალი ლეონ ბატონიშვილი სწორედ ამიტომ გახდა რუსეთშივე თვითმპყრობელობის სადაზვერვო სამსახურის სამიზნედ.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე მეფის ნებართვით აქტიურად ჩაერთო შეთქმულთა გამოსავლენად. ერთიანი სამეფოს აღდგენის ერეკლესეული გეგმა მიუღებელი იყო ქართლის ტახტის ლეგიტიმაციის უფლების მქონე მეფე ვახტანგის შთამომავალთა მხარდამჭერი ზაალ ორბელიანის შეთქმულთა დასისთვის. იგი რუსეთის საიმპერატორო კარის მოხელეთა ყურადღების ცენტრშია. ანებივრებენ ძვირფასი საჩუქრებით, რაზეც მიანიშნებს ეკატერინე II-ის ფავორიტ გრ. ორლოვისადმი მიწერილი წერილი.[1] საქართველოდან რუსეთში გაგზავნილი კორესპოდენციები კი ადასტურებს, რუსეთის დაზვერვასთან მის აქტიურ თანამშრომლობას.[2] პარალელურად ფარული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ერეკლეს მოწინააღმდეგე ახალციხის ფაშა სულეიმანთან. იესე მდივნისგან ინფორმაციის მიღებისთანავე, ზაალ ორბელიანმა ახალციხის ფაშას შეაფარა თავი, მოგვიანებით 1775წ. ახალციხიდან დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს, დაკითხვისას არ დაუმალავს: „მართალია ბაკუნინს ვუთხარი ჩვენი ქვეყნის შებრალებაო. იმან მითხრა ... ხელმწიფე მეფე ერეკლეს უწყრებაო და თქვენ მხარს დაგიჭერთო. მერე მე უთხარიო: „თუ მეფე ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა და ან მეფეს სოლომონსაო“. [3]

1772-1774 წწ. რუსეთში ელჩობამ საბოლოოდ დაარწმუნა ლეონ ბატონიშვილი „ერთმორწმუნეობის“ და დიპლომატიური მოლაპარაკების იმედათ ყოფნა ქვეყანას ვერ გადაარჩენდა. ქვეყნის ხსნა მხოლოდ ჯარის სიძლიერით, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებით და ქვეყნის ერთიანობის სიმტკიცით შეიძლებოდა.

ამდენად, მეფე ერეკლეს მიზანი რუსეთის დახმარებით მტრული გარემოცვის გარღვევისა მარცხით დამთავრდა. რუსეთთან მოკავშირეობის გამო დიდად დაზარალებულ ერეკლეს ისღა დარჩენოდა თავად მოენახა გონივრული მანევრირების გზა. დრო იყო რუსეთთან მოკავშირეობის გამო სამტროდ წამოშლილ მაჰმადიანურ მეზობლებთან ლავირების და ბალანსირების ტრადიციულ პოლიტიკას დაბრუნებოდა. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად მამის გვერდში გააქტიურდა ლეონ ბატონიშვილი.

საქართველოში დაბრუნებული ენერგიული ბატონიშვილი დიდი შემართებით და თავგამოდებით შეუდგა 1774 წ. „მორიგის ლაშქრობის განაჩენის“[4] მიხედვით ლაშქრის ჩამოყალიბების ორგანიზებას. ომან ხერხეულიძის ცნობით: „მოჰსცა ღმერთმან მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელად ლეონ, რომელიცა ემსგავსა მამასა თვისსა სიმხნითა და მრავალგზის შემუსრნა მან ლეკნი და მოსპო ამან ლეონ ხშირად ჰრბევა ქართლისა ლეკთაგან და ეგრეთვე განაწესა მეფემან ირაკლი მორიგე ქართლ-კახეთით ... და იყო მარადის სამი ათასამდის

---

[1] ი. ცინცაძე, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1782-1791 წწ.), საისტორიო მოამბე, თბ., 1970, № 23-24, გვ. 4-6.

[2] იქვე, გვ. 6, 14.

[3] ს. კაკაბაძე, საქართველო ერეკლე II-ს დროს, ჟურნ. შვიდი მნათობი, თბ., 1919, №165.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1965, დოკ. 127, გვ. 436.

განმზადებული ჯარი, თავადნი, აზნაურნი და გლეხნი და ამათ თანა თვით და ძენიცა მისნი.“ [1] ამასთან ლეონმა მეგობრების და სამეფო კართან დაახლოებული ქვეყნისთვის თავდადებული მებრძოლებისგან შექმნა 2000 კაციანი სწრაფი რეაგირების მოიერიშე ამალა, ამაზე მიანიშნებს ბატონიშვილის დისწული, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი.[2] 1774-1780წწ. ლეონ ბატონიშვილის ორგანიზებით და თავდაუზოგავი ბრძოლებით, შესაძლებელი გახდა დაღესტნელ ფეოდალთა პერმანენტული თავდასხმების ალაგმვა.[3] მორიგე ჯარის შემოღებამ უზრუნველყო გახიზნული მოსახლეობა მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებოდა.

ეკატერინე II-ის ფავორიტი, რუსეთის საგანგებო რწმუნებული სტეფან ბურნაშევი (1743-1824წწ) ქართ-კახეთის სამეფო ჯარის მდგომარეობის და თავდაცვისუნარიანობის შესწავლისას ადასტურებს ამ ჯარით, ადრე ლეკთა თავდასხმების აღკვეთას ლეონ ბატონიშვილის მიერ და საგანგებო დავალებით გამოგზავნილი საიმპერატორო კარს მათთვის საყურადღებო ცნობას აწვდის: „1783 წლისთვის მეფის ვერც ერთი შვილი ლევან ბატონიშვილის მსგავსად ვერ ახერხებდა მორიგე ჯარის ორგანიზებას“.[4]

მეფის ბრძნული და შორს გამიზნული გადაწყვეტილებით მორიგე ჯარის მეთაურს, ლეონ ბატონიშვილს 1778წ. ქსნის ერისთავის, გიორგი (ყულარაღასის) ღალატის ლიკვიდაციის შემდეგ, არაგვის საერისთავოს მმართველობა და ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვრის დაცვაც ჩააბარა.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებამ, ოპოზიციურად განწყობილ შიდა დაპირისპირებულ ძალებზე გამარჯვებამ და ქვეყნის სტაბილურობის აღდგენამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ირანის ახალ განმგებელ ქერიმ-ხანთან ურთიერთობის დარეგულირებაში, რამაც ქვეყანას სპარსეთის მხრიდან განსაცდელი აარიდა. ქერიმ ხანმა „დაივიწყა“ ძველი წყენა. შირაზიდან გრიგოლ სახლთუხუცესის ცნობის საპასუხოდ 1775 წ. 15 ივნისს ერეკლე კმაყოფილებით წერდა, „ვინცავინ გარეშემო მეზობლები გვყვანან, ღვთით ყველასას ჩვენი საქმე სჯობს. ფაშა ახალციხისა და სხვანი მეზობლებიც ჩვენთან კაის დოსტობით არიან.“[5] მართლაც, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ პორტას ძლევამოსილება გატეხილი იყო. თურქეთს არ შეეძლო საქართველოს წინააღმდეგ ახალი საბრძოლო ოპერაციები წამოეწყო, ამას ემატებოდა სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავება. ხელსაყრელ ვითარებაში „სიუზერენთან“ დიპლომატიური მოლაპარაკება „მფარველობის“ თხოვნის თაობაზე თურქეთის სულთანმა, აბდულ ჰამიდმა ამჯობინა ერეკლესთან მშვიდობიანი მორიგების გზას დათანხმებოდა. 1776წ. 1 დეკემბერს მეფე ერეკლეს თურქეთთან დაწყებული მოლაპარაკება 1778 წლის გაზაფხულზე ხელშეკრულებით დამთავრდა, რომლითაც ერეკლე უარს ამბობდა ირანის ქვეშევრდომობაზე და აღიარებდა სულთნის უზენაესობას. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ქართლ-კახეთის ამ დათმობის სანაცვლოდ სულთნის კარი ერეკლეს დასავლეთ საქართველოზე გაბატონების სანქციას აძლევდა, რადგან ლიხთიმერეთი თურქეთის გავლენიდან გამოსული იყო და მასზე ქვეშევრდომობის აღდგენის პერსპექტივა უახლოეს ხანებში არსად ჩანდა.[6] აშკარაა სამეფო კარზე ქვეყნის გაერთიანების იდეა ძალას იკრებდა. მოხდა ის, რაც

---

[1] ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბ.,1989,გვ.68.

[2] დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თბ.,1941, გვ.15.

[3] ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ, ტფ., 1914, გვ.34.

[4] С. Н. Бурнашев, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго.Сделанное пребывающим при его Высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Темуразовиче полковником и кавалером Бурнашевым в Тифлисе в 1786г. Издание К.Н. Бегичева, Тифлис, 1896 с. 1-5.

[5] ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII ს. მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკვ. II, თბ., 1997, გვ. 93. ხეც. Hd -8520.

[6] მ. სამსონაძე, საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში, თბ., 1988, გვ. 209.

რუსეთს აშინებდა - თურქეთთან ურთიერთობის მოგვარება, რაც ქართლ-კახეთის სამეფოში ახალი სამხედრო და პოლიტიკური რეალობის დადგომას მოასწავებდა, ხოლო მეფის გვერდით ლეონის გაბედული, მტკიცე ხელით „ასე შეკრეს ყუწლა.“[1]

მეფე ერეკლე მეორის და ლეონ ბატონიშვილის წარმატებებმა კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მეზობლებზე, თუ გავითვალისწინებთ ერეკლე მეფის პოპულარობის ამსახველ ახალ ცნობებს XVIIIს. 60-იანი წლების დასავლეთ ევროპის პრესაში[2] და რუსეთში „სანკტ-პეტერბურგის უწყებანის“[3] ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს, მაშინ ადვილი წარმოსადგენია თურქეთისა და ირანის მიერ დამორჩილებული ხალხები მთელ იმედებს რატომ ამყარებდნენ საქართველოზე.

XVIII ს. 70-იანი წლების ბოლოს ჩრდილო კავკასიის, კერძოდ ყაბარდოელი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოში სამუდამოდ გადმოსვლის სურვილს გამოთქვამს, რასაც დიდი სიხარულით ხვდება მეფე ერეკლე, სათანადოდ იყენებს და ააქტიურებს ყაბარდოელებთან სისხლით ნათესაურ კავშირებს. რუსეთის დაზვერვის აგენტებს შეუმჩნეველი არ დარჩათ სამეფოს სტრატეგიულ ადგილებზე, იმერეთისა და ახალციხის საზღვრის გასწვრივ მათი დასახლების გეგმის მნიშვნელობა. 1778 წ. დეკემბერს ბუტკოვის ცნობით: „Царь Ираклий приглашает кабардинскихъ владельцев переселиться к имеретинским и ахалцихским границам Посланные к Кавардинцам Иван Бочьелов, Дворянин, Тархан и Армянин Зураб задержаны в Моздок“.[4] ქართულმა მხარემ სათანადო სამზადისიც დაიწყო, გაიწმინდა გზა დარიალის ხეობაში, დაიწყო ხიდების შეკეთება არაგვსა და დარიალზე. ამიერკავკასიაში რეგიონალური მნიშვნელობის წარმატებები სრულიად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დამპყრობლურ გეგმებს, მალე რუსეთის მხრიდან ქართველი ელჩების დაპატიმრება მოჰყვა, ხოლო ყაბარდოელებს სასტიკად აეკრძალათ საქართველოში გადასახლება. რუსეთმა იმავდროულად სასტიკად აკრძალა ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების დაქირავება, რითაც მოშალა კავკასიის მოსახლეობიდან დაქირავებული ლაშქრის გადმოყვანის საუკუნოვანი ტრადიცია. ეს იყო ერთმორწმუნე რუსეთისგან ვერაგულად გამიზნული დარტყმა რეგიონში ქართლ-კახეთის სამეფოს ჰეგემონობის იმიჯზე და ქართული ჯარის სიძლიერეზე, რითაც საბოლოოდ მოუშალა სამხედრო რეზერვის მიღებისა და ქვეყნის სტაბილური განვითარების შესაძლებლობა.

ამავე პერიოდში სომეხთა წამოწყებულ ინიციატივას საქართველოში ჩამოსახლების თაობაზე ერეკლე დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდა, ჰპირდებოდა მიწებსა და სხვადასხვა პრივილეგიებს. იწერებოდა მანიფესტები სომხურ ენაზე („აღქმები“). [5] რაც ასევე სრულიად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გეგმებს. XVIII ს. 70-იან წლებში ქართულ-სომხური ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში, იოსებ ემინისა (1726-1809 წწ.) და ერეკლე მეფის სამომავლო გეგმები, მოგვიანებით ამავე იდეის მქონე ცნობილი ჯგუფის, მადრასელი მილიონერების იაკობ და შაამირ შაამირიანების საქართველოსთან დაახლოების სურვილი, მათივე არათანმიმდევრული, მერყევი და პრორუსული პოზიციის გამო, 80-იან წლებში „სომხური სახელმწიფოს“ აღდგენის გეგმა „რუსულმა“ სასწრაფოდ ჩაანაცვლა და მალევე გაურკვეველი დროით გადაიდო. რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ დაუყოვნებლად აჩვენა თავისი მიზანი და განწყობა: დიპლომატიურად ჩაუკეტა

---

[1] ა. ვ. ორბელიანი, დაღესტნიდან ლეკობის გამოსვლა და სხვა ამბები ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანისა, გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ, თბ., 1914, გვ. 11.

[2] ნ. დობორჯგინიძე, ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია, წიგნში, ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, თბ., 2019, გვ.166.

[3] დ. შველიძე, სანკტ-პეტერბურგის უწყებანი ერეკლე II- ის შესახებ, ცისკარი, თბ., 1983, № 2, 3.

[4] П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, съ 1722 по 1803 годъ, часть Ш. СПБ., 1869, с. 145.

[5] სცსსა, ფ. 1448, საქმე 1300.

დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების გზები და კიდევ ერთხელ ჩაშალა საქართველოს გაერთიანების და ამიერკავკასიაში გაძლიერების ქართული პროექტი.[1] რაც თვალნათლივ გამოჩნდა ერევნის სახანოსთან ბრძოლის დროს, სადაც გააქტიურდნენ რუსი დიპლომატები.

ერეკლე მეფის თურქეთთან გასაიდუმლოებული სამოკავშირეო 1778 წ. ხელშეკრულების დადებით და მოსალოდნელი ტახტის დაკარგვის საფრთხეებით შეშინებული იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ელჩი ბესარიონ გაბაშვილი 1778 წლის აგვისტოში იმპერატორის კარზე გაიგზავნა. მალევე ასტრახანის გუბერნატორის დახმარებით[2] ბესიკი რუსეთზე გავლით უსაფრთხოდ და შეუფერხებლად ჩადის ირანში, სადაც ალექსანდრე ბაქარის ძე ქერიმ-ხანთან თავს აფარებდა. მაშინ როცა 1775 წ. 7 ოქტომბრის ბრძანებით ქართველი მეფეების წარგზავნილ ელჩებს რუსეთის ტერიტორიაზე გადაადგილება აკრძალული ჰქონდათ.[3] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული მოვლენების ანალიზის მიხედვით გამიზნულად გავრცელებული ჩანს ერეკლე მეფის მხრიდან იმერეთის ტახტზე ლეონ ბატონიშვილის აყვანის ცნობა,[4] რაც წყაროებით დღემდე არ დასტურდება, თუ არ ჩავთვლით გრაფი პანინის წერილს ლვოვისადმი.[5] ამიტომ ჩნდება ლოგიკური კითხვა, ხომ არ იყო რუსეთის ხელისუფლების მხრიდან კარგად დაგეგმილი ავანტიურა, რათა მეფე ერეკლეს სამეფო კარზე მყოფი ოპოზიციური ძალები, „ლეგიტიმისტების“ მხარდამჭერთა დასი და რუსეთის დაზვერვის მიერ გადაბირებული ძალები გაეერთიანებინათ მთავარი სამიზნის - ლეონ ბატონიშვილის ლიკვიდაციისთვის.

ერეკლეს წინააღმდეგ შინაფეოდალური დაპირისპირების მიზნით კვლავ გააქტიურეს ალექსანდრე ბატონიშვილი. რუსეთის იმპერატორის სამხედრო სამსახურში დაწინაურებულ ალექსანდრე ბაქარის ძეს სამხედრო ჩინი ადრევე, აჰყარეს, რუსული მუნდირი გახადეს იმის დემონსტრირების ნიშნად, რომ რუსეთი ამიერიდან პასუხს აღარ აგებდა მის ქმედებებზე, თუმცა ფარულად თანხით უზრუნველყვეს და რუსეთიდან „გამოაძევეს“. ასე გააქტიურეს წინასწარ კარგად დაგეგმილი მორიგი ავანტიურა ქართლის სამეფოს ტახტის ლეგიტიმური უფლებების მქონე ალექსანდრე ბატონიშვილი ჯერ კიდევ 1767წ. ამ წელსვე ერეკლეს გაუგზავნია რუსეთში წერილი ალექსანდრეს შესახებ არქიმანდრიტი პორფირის ხელით, მაგრამ თუ რა შინაარსისა იყო ეს წერილი, არა ჩანს. ი. ლორთქიფანიძეს უნახავს ამ საქმის შესახებ, მხოლოდ გარეკანი და დასძენს: „...ამის შემდეგაც საქმეებში არაფერია 1782 წლამდის-ო.“ [6] მისი „დაკარგვა“ არ უნდა იყოს შემთხვევითი და ვფიქრობ ლოგიკური ახსნა აქვს. სავარაუდოდ მეფე ერეკლემ ამხილა, რომ ალექსანდრე ბაქარის ძის ჩამოსვლა საიმპერატორო კარის უმაღლეს მოხელეთა მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე ვერ მოხდებოდა. რა თქმა უნდა, ასეთი სამხილების გამოაშკარავებამდე თავად უნდა გაენადგურებინა რუსეთის დაზვერვას ჯაშუშური ქსელის ანტისახელმწიფოებრივი მასალები. ეკატერინეს მთავრობა ოფიციალურად თითქოს აკავებდა, თუმცა 1764 წ. 13 თებერვლის იმპერატორის ბრძანებულებიდან ფრაზა, „охотно соизволяет отпустить Александра искать там счастья своего“[7] ფარდას ხდის

---

[1] ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ.17.

[2] ვ. მაჭარაძე, ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე, თბ., 1968, გვ. 36, 213.

[3] А. А.Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до грузии, т. II, Вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, СПб. 1902. с. 10-11.

[4] ს. კაკაბაძე, საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა(1500-1810წწ.), ტფ., 1922, გვ. 215; გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 370.

[5] Грамоты и другие исторические документы XVIIIстолетия относящиеся к Грузии, т. I, Вып. I, Под редакцией А. Цагарели. СПб. 1898, с. 342.

[6] ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის(მე-18ს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბ., 1940, გვ. 28.

[7] О. Маркова, Феодальная реакция на прогрессивную политику единодержавия Грузии (Выступление князя Александра Грузинского 1766-1783 гг.), კრებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 367.

საიმპერატორო კარის თვალთმაქცობას. აქვე ისმის ლოგიკური კითხვა რატომ ჩნდება მასალები მხოლოდ 1782 წლიდან. ამ კითხვის პასუხი 1782 წლის 6 აგვისტოს მეფე ერეკლეს წერილშია,[1] რომლითაც რუსეთი კვლავ „მხსნელის“ როლს ირგებს.

1779 წ. ბესიკი და ტახტისმაძიებელი უფლისწული, ალექსანდრე ბაქარის ძე ერთდროულად იმ დროს გამოჩნდნენ იმერეთის სამეფო კარზე, როცა ერევნის ხანის ურჩობისა და ხარკის შეწყვეტის გამო დასასჯელად შეჭრილიყო მეფე ერეკლე. ალექსანდრე შეეცადა ესარგებლა შექმნილი ვითარებით ქართლის თავადებს გამოსვლისკენ მოუწოდა, მათი გულის მოსაგებად კი წყალობის სიგელებს უხვად უგზავნიდა. მალე მას უერთდება ერთგული თავადი, ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახვარი (1750-1802 წწ.). ერეკლე თავისი ლაშქრით იძულებული გახდა ნაჩქარევად „განუწესოს მოურავიცა მუხრანის ბატონი სიძე თვისი იოანე კონსტანტინეს ძე და იყო ერევანი მოხარკედ მეფის ირაკლისა“ და უკან გამობრუნებულიყო.

ამდენად, ინასკვება რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობათა ახალი ჯაჭვი. ლეონ ბატონიშვილის მეთაურობით ქართული ჯარის მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა, სამეფო კარის ოპოზიციური ძალების გამოაშკარავება, მშვიდობიანი ურთიერთობა მაჰმადიან მეზობლებთან, თურქეთთან დადებული ფარული ხელშეკრულება, ქართლ-კახეთის სტაბილური მდგომარეობა და ეკონომიკური წინსვლა სრულიად მიუღებელი და მოულოდნელიც აღმოჩნდა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის დამპყრობლური გეგმებისთვის.

სავარაუდოდ მეფე ერეკლემ ამჯობინა რუსეთიდან მართული ოპოზიციური ძალებისთვის და საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ქართლის ტახტის ლეგიტიმური პრეტენდენტი ალექსანდრე ბაქარის ძე მართლა „იმპერატრიცას შერისხული“ ჰგონებოდათ. ამაზე უნდა მიანიშნებდეს ბაგრატ ბატონიშვილის ცნობა: „წელსა 1765 წავიდა ალექსანდრე მეფის ბაქარის შვილი როსი(ი)დამა სპარსეთს, შერისხული იმპერატრიცა ეკატირინას მიერ, და მივიდა ქარიმ-ხანთანა... დაშთა სპარსეთში ... ესეცა ლამდა დაპყრობასა ქართლისასა.“ [2]

ამრიგად, ზემოაღნიშნული პოლიტიკური აქცენტები ნათლად მიანიშნებს რომელი ძალისთვის იყო მიუღებელი ქართლ-კახეთში თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ქვეყნის გაერთიანება და პოლიტიკური ვითარების სტაბილურობა. 70-იან წლებში დროებით დარეგულირებულმა სტაბილურმა ვითარებამ დაარწმუნა საიმპერატორო კარი, რომ რუსეთზე პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა აღარ იდგა ქართლ-კახეთის სამეფოში. აგენტურული ქსელისგან ისიც ცნობილი იქნებოდა, რომ ამ წარმატების ავანგარდში მეფის გვერდით, მეფის მარჯვენა ხელით ცნობილი ლეონ ბატონიშვილი იდგა, რომელსაც „მეფის ხმალს“ უწოდებდნენ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ბატონიშვილმა ასტრახანში ჩასვლისთანავე მიიქცია რუსეთის უმაღლეს მოხელეთა ყურადღება. ორწლიანი „თვალთვალი“ საკმარისი იყო დარწმუნებულიყვნენ, რომ მათთვის სასურველი მონური მორჩილების ნაცვლად საქმე ჰქონდათ მტკიცე ნებისყოფის, გაუტეხელი, მეფური ღირსების მქონე ბატონიშვილთან, რომელსაც ბუნებრივია არასასურველ კანდიდატად და მათი კავკასიური გეგმების მტრად აღიქვამდნენ, რომლის განეიტრალებას, მხოლოდ მისი სიკვდილით თუ შეძლებდნენ. ჯერ კიდევ ბატონიშვილის ელჩობისას მის საქმიანობას და მიმოწერას რომ მკაცრად აკონტროლებდნენ და მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ დაზვერვის აგენტები, ნათლად ჩანს 1773წ. 16 მარტის დოკუმენტიდან, სადაც ერეკლე შეშფოთებული სწერს პანინს: „ასტრახანიდან ძმასა ჩემსა კათალიკოზს ანტონის და ძესა ჩემსა ლეონს ჩემთან თავისი კაცი გამოეგზავნათ ... საჩქაროდ წამოსულიყო ჩემთან და გზაზე დახვედროდნენ ... შთავარდა მტრის ჴელში თავისის ყოვლის წიგნებით ... მხოლოდ ესე ვცანით იმ ქვეყნის კაცთაგან ... და ჯერაც არ ვიცით მართალი იმ კაცის მოუწევნელობისათვის, თუ სად იმყოფებიან ეგენი.“[3] მართლაც დაუჯერებელია, მრავალი ჭირ-ვარამის მნახველ

[1] იქვე, გვ. 2

[2] ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბ., 1941, გვ. 53.

[3] А.А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы относящиеся до грузии, т. II, Вып. I, с. 89, док.69.

ერეკლეს ეჭვი არ გასჩენოდა რუსეთის აგენტებზე. როგორც ჩანს რუსეთის მზვერავები მეფეს და ბატონიშვილს გამალებით თვალს ადევნებდნენ, ცნობების შეკრებას საგანგებო კონსპირაციით აწარმოებდნენ, რადგან ხელმოცარული ელჩობის შემდგომ რუსეთის ორიენტაციაზე ხელი საბოლოოდ ისე არ აეღოთ, რომ სამომავლოდ მათთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებში გააქტიურებისას დასაყრდენი ძალა აღარ ჰყოლოდათ.

ამ პერიოდში საკმაოდ გაძლიერებული ჩანს რუსეთიდან მართული შეთქმულ თავადთა დასი ზაალ ორბელიანის მეთაურობით. მდივანბეგი იესე ბარათაშვილი, ზაალ ორბელიანთან და ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერას არ უარყოფდა. ქართლის ოპოზიციონერ ამილახვრებთან სიახლოვეზე კი თავად საუბრობს 1738 წლის გადაწერილ „ქორანიკონში“. მკვლევარ ქ. შარაშიძის მოსაზრებით, როცა გივი ამოლახვარს ჰქონდა „ვექილობა ქართლისა“,[1] სწორედ მაშინ დაუწყია მოღვაწეობა ახალგაზრდა იესეს გივი ამილახვრის კარზე. ჩვენს მიერ მოძიებული საარქივო დოკუმენტები, „ფიცის წიგნები“[2] საინტერესო მტკიცებულებაა შეთქმულთაგან იესე მსაჯულისთვის „სამარადისოდ მეგობრად და ჭირში“ შემწეობის ფიცი, რომელთა შორისაა: ქსნის ერისთავი დავით, მაჩაბელი იესე, სულხან მდივანი, აბაშიძე მილახორბაში და სხვ. იესე ბარათაშვილი შეთქმულების მონაწილეებს შორის ასახელებს მეფე ერეკლეს ქეშიქჩიბაშს* ივანე აბაშიძეს,[3] რომლის კოშკშიც გაათია უკანასკნელი ღამე ლეონ ბატონიშვილმა. ამასთან თუ გავითვალისწინებთ შეთქმულთა თავშესაფრად გადაქცეულ იმერეთის სამეფო კარზე მობილიზებულ ძლიერ შეთქმულთა დასს, (მათ შორის დასჯილი ქსნის ერისთავის, გიორგის შვილი ელიზბარია) და ალექსანდრე ბაქარის ძის მოკავშირე ძალების რუსეთის, ირანის და ყუბა-დარუბანდის მფლობელი ფათ-ალი- ხან იბნ ჰუსაინის დახმარების რეალურ საფრთხეს, მეფემ ამჯობინა საპირწონედ აღარ მიემართა რეპრესიებისთვის. ამიტომ შეთქმულების მეთაურსაც აპატია ღალატი და გაათავისუფლა სასჯელისგან, თუმცა სიახლოვეს აღარ გაიკარა. როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ შეაფასეს რუსეთის დაზვერვის აგენტების გადაბირებულ შეთქმულთა დასის ავბედითი სამიზნე.

ბატონიშვილის მკვლელობაზე განსხვავებული და დაუსაბუთებელი ვერსიები გვხვდება. ვ. კარბელაშვილის ცნობით,[4] „ლეონ ბატონიშვილის სიკვდილი ს. ვეჯინში“ 1782წ. მაისის პირველ რიცხვებით თარიღდება. ლევან ბატონიშვილი მიპატიჟებული ყოფილა კახეთში ს. ვეჯინს, ქეშიქჩიბაშის*, იოანე აბაშიძის ოჯახში, სადაც ეტრფიალა ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა მეუღლეს. ქალი ქორწილიდან გააპარეს კარდანახში, სადაც გაჰყოლია ბატონიშვილიც. ქალმა უზრდელობად ჩათვალა ქცევა ბატონიშვილისა და დანა წააძგერა მუცელში. ქალისაგან დაჭრილი ბატონიშვილი იმ წამსვე გამობრუნდა სოფ. ვეჯინისაკენ, უვახშმოდ დაიძინა აბაშიძიანთ კოშკში, სადაც იმ ღამესვე გარდაცვლილა. მრავალ ბრძოლებში მონაწილე, უშიშარი ბატონიშვილის დაკნინებისა და პოლიტიკური მოტივის შენიღბვის მიზნით გავრცელებული მდაბიო ჭორების კვალი ადვილი ამოსაცნობია. მეორე ვერსიით, ლეონ ბატონიშვილის სასიკვდილოდ დაჭრა ასათ ვაჩნაძეს მიჩენილ კაცებს ბრალდებოდა. ეს მიჩენილი მკვლელნი კი შერმაზან აფხაზის ყმები ყოფილან. მათი ვინაობის შესახებ წყაროები დუმილს ამჯობინებენ.

ჩვენამდე მოღწეული საარქივო დოკუმენტის[5] მიხედვით ბატონიშვილის მკვლელობა მეფემ „ფრთხილათ გამოძიებით გამოიკითხა,“ მოწამლული ბატონიშვილი ცხედარი თავად

---

*ქეშიქჩიბაში მეფის მცველთა (ქეშიკთა) უფროსი ივანე (იოანე) აბაშიძე. ერეკლე II-ის მეორე მეუღლის (1769-99წწ.), დედოფალ ანა ზაალის ასულის (1730-1749წწ.) ძმა. 1774წ. მეფე ერეკლეს სიმამრი ზაალ ზურაბის ძე თავისი ოჯახით კახეთში დამკვიდრდა.

[1] ქ. შარაშიძე, იესე ოსეს ძის ქორანიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 124.

[2] სცსსა, ფ. 1448, საქმე 4561, ფ. 1448, ს. 4562, ფ. 1448, ს. 4557, ფ. 1448, ს. 4558.

[3] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. იოსელიანმა, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის(მსკ) ნაკვ. 28, თბ., 1950, გვ. 70.

[4] ივერია, 1892წ. №121.

[5] სცსსა, ფ.1448, საბუთი №5524.

დაუთვალიერებია, „მთელი სხეული ძალიან გალურჯებული ჰქონდა და სიშავე დასცემდა-ო.” [1] მოსამართლეების ცნობით აფხაზისშვილის შერმაზანისა ამ საშინელის ხმის შეწამება ყოველის მხრიდან სიცრუე ყოფილა.

ლეონის მკვლელობის განსხვავებულ განგებ შემოგდებულ ვერსიაზე ცნობა შემოუნახავს სომეხთა კათალიკოსს გუკასს:„В одном из селений они лезгины угнали овец и ограбили крестьян отважный царевич, которого звали Леваном, снемногочисленным отрядом отправился в погоню и догнал их. В рукопашном бою Леван-Мирза ушел в перед и один из противников убил его выстрелом из ружья“. [2]

ბატონიშვილის მკვლელობის ერთი-ერთი ვერსიით ერეკლე განაწყენებული ყოფილა შვილის უღირსი საქციელით, რაც სავარაუდოთ, გამიზნულად უნდა გაევრცელებინათ მოსალოდნელი მღელვარების თავიდან ასაცილებლად. როგორც ჩანს რუსეთის დაზვერვამ, როგორც სჩვევია კვალის წაშლის მიზნით წინასწარ, მოამზადა და მკვლელობისთანავე სწრაფადვე გაავრცელა ურთიერთგამომრიცხავი ვერსიები.

ლეონის ბურუსით მოცული მკვლელობის მიზანზე სამეფო კარის ვერსიას ახმოვანებს მეფის შვილიშვილი, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი: „ეს სამი საკვირუწლი კაცი: მეფე ირაკლი, ანტონი ქათალიკოზი და ბატონიშვილი ლევან სამნიმ ხშირათ იყვნენ ერთად და საქართუწლოს საქმეს აწყობდნენ. მაგრამ ეს მეფის ირაკლის საიდუმლოს მტრებს არ იამებოდათ, რა ქნან როგორა ქნან, რომ მოშალონ იმათი თათბირობა? მოიგონეს ... საწამლავით საიდუმლოთ მოკლეს.“ იქვე საყურადღებოდ და საეჭვოდ მიანიშნებს ლეონის მკვლელობის გარდაცვალების დროსა[3] და რუსულ კვალზე. „ლევან ბატონიშვილს 1782-სა წელსა დაუმარცხდა, ესე იგი მინამ რუსეთთან მეფე ირაკლი ტრაკტატს შეჰკრავდა, წელიწად ნახევრის წინათ.“[4] სავარაუდოდ, ახალი ევროპული წყაროების მიხედვით „სამთა თათბირობა“ საიდუმლოდ შემუშავებული ევროპული გზის „ბერძნულ პროექტს“ შეეხებოდა. ერეკლეს მიერ ევროპაში ორგზის გაგზავნილი ელჩობის მთავარი მიზანიც ამ პროექტთან იყო დაკავშირებული. რითაც ქვეყანას შესაძლებლობა ეძლეოდა თავი დაეღწია ირანისა და ოსმალეთის მაჰმადიანური გარემოცვის მუდმივი საფრთხისაგან, სადაც სამეფო კარის მცდელობის მიუხედავად მოსახლეობა ტყვეთა ბაზრის ძირითად წყაროდ იყო გადაქცეული. ფაქტიურად ქვეყანას მოუსპეს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საშუალება და დაუკარგეს აბრეშუმის გზის ფუნქცია. ახლა ჩნდებოდა პერსპექტივა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების და ოსმალეთის უღელქვეშ მყოფი ტერიტორიების შემოერთებისა.

---

[1] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, წ. I, თბ., 1914, გვ. 19.

[2] В. Р. Григорян Архив армянского католикоса Гукаса Карнеци как первоисточник по истории Закавказья последних десятилетиий XVIII века. ჟურნ. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1972, გვ. 176.

[3] ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ორი მოსაზრებიდან ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია მკვლევართა მეორე ნაწილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლის მიხედვით ლეონ ბატონიშვილი მოწამლული იქნა 1782წ. გაზაფხულზე; ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის და ანტონ კათალიკოსის წერილების მიხედვით, ლეონ ბატონიშვილი 1782 წ. თებერვალს უნდა გარდაცვლილიყო. (სცსსა, ფ. 1448, ს. №192)) ამ მოსაზრების მტკიცებულებად მიგვაჩნია ამბროსი წილკნელის ხელით ჩაწერილი მოსახსენებელი (12 გვ. ივლისის 14-ს), რომლის მიხედვით ვახტანგ ბატონიშვილის სახელი გერგეტის მატიანეში შეუტანიათ, ლეონის გარდაცვალების შემდეგ, როგორც სამეფო გვარეულობის უკანასკნელი წარმომადგენელი,, ბატონისშვილი ვახტანგ, მპყრობელი სრულიად არაგვთა, რიმელი ფრიადითა კეთილგანგებითა განაგებდა „ყოველთავე საეროთა
და საეკლესიოთა“ 1782წ. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIIIს.) მსკ 30 გვ. 245].

მ. ჯანაშვილის ცნობით ლეონი გარდაიცვალა 1782 წელს. (მ. ჯანაშვილი, მეფე ერეკლე თბ., 1898, გვ. 7); ლეონის მკვლელობას 1782 წლით ათარიღებენ მკვლევარები: გ. ქიქოძე (გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1983, გვ. 121-122.), მ. სამსონაძე (მ. სამსონაძე, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ცდები XVIIIს. მეორე ნახევარში, ანალები, თბ., 2012, გვ. 426), ა. იოსელიანი, ქრონიკები ... გვ. 149. ს. კაკაბაძე, (ს. კაკაბაძე, საბუთი შერმაზან აფხაზის მოკვლის შესახებ, საისტორიო მოამბე, თბ., 1925, წიგნი I, გვ. 251, 254).

[4] ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1914, გვ. 11.

ევროპის ახალი გადანაწილების საიდუმლო გეგმა - „ბერძნული პროექტი“ მართალია ითვალისწინებდა ოსმალეთის ევროპული ნაწილის დანაწილებას, მოლდოვის, ვლახეთის და ბესარაბიის ტერიტორიებზე დაკიის ბუფერული სახელმწიფოს შექმნას და ბიზანტიის იმპერიის აღდგენას, მაგრამ საერთაშორისო პროცესების ცვლილების გამო ისე გაქრა, რომ მისი რეალიზაცია არც კი დაწყებულა. რუსეთი კი შეეცადა იმპერიული მიზნები ქრისტიანობის დაცვის სურვილად შეეფუთა და თურქთა მფლობელობაში მყოფი ქრისტიანული ხალხებისთვის „მხსნელისა და განმათავისუფლებლის“ მანტია მოირგო, რადგან ოსმალეთთან მოსალოდნელ ომში ბალკანეთისა და კავკასიის ხალხების მოკავშირეობა სჭირდებოდა. პროექტის მთავარი ნაწილი კი ითვალისწინებდა ყირიმის (ასევე ტამანისა და ყუბანის) საბოლოოდ ხელში ჩაგდებას, შავ ზღვასა და სრუტეებზე გაბატონებისთანავე სტრატეგიული მდებარეობის სამხრეთი კავკასიის სრულ ექსპანსიას.

ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებით, „რუსეთს აზრად არ ჰქონდა საქართველო გაეძლიერებინა, არამედ უნდოდა იგი სრულიად დაუძლურებულიყო, რომ შემდეგ ადვილი მოსასპობი ყოფილიყო.“[1]

მკვლევარ ო. ჯანელიძის მართებული შენიშვნით[2] სამხრეთი კავკასია, რომელიც რუსეთისთვის აღმოსავლეთის საკითხის გასაღებს წარმოადგენდა და შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფო ხდებოდა არაფრით დაუშვებდა ერეკლეს პოლიტიკური გაძლიერებით ჩაეშალა რუსეთის ექსპანსიონისტური პროექტი.

ამაზე მიანიშნებს 1782 წ. იმპერატორისგან გრიგოლ პოტიომკინისთვის შედგენილი, „უზენაესი მითითებანი რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების დასადებად,“ სადაც მოეთხოვებოდა: „Отклонить всякое ихъ знакомство съ другими Императоромъ (Римскимъ) и съ другими Христіанскими державами сказавъ, что он имеютъ условіе не мешаться въ дела, до Азіатскихъ нашихъ соседей касающіяся; Да и писемъ къ Императору (Римскому) не посилать.“ [3]

სწორედ რუსეთის ამ ექსპანსიონისტური მიზნების წინააღმდეგობათა პრიზმაშია განსახილველი ლეონ ბატონიშვილის მკვლელობა.

პრაგმატული ეროვნული ინტერესების შესაბამისად კავკასიის საკითხით დაინტერესებულ ავსტრიის იმპერატორ იოზეფ მეორესთან დაკავშირება, რომელიც ამავდროულად საღვთო რომის იმპერატორიც იყო და „ბერძნული პროექტით“ რომის იმპერიის საზღვრების აღდგენის კონტურები მოჩანდა, საქართველოს ხელსაყრელი შესაძლებლობა ეძლეოდა უშუალოდ ჩართულიყო ახალ ევროპულ პოლიტიკურ პროცესებში, ქრისტიანულ სამყაროსთან პოლიტიკური, კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აღდგენილიყო და ევროპული განვითარების გზას დასდგომოდა. ამის შესახებ ცნობები პროპაგანდა ფიდეს საისტორიო არქივის ქართულ მასალებშია[4] დაცული. საიდანაც ცნობილი ხდება, რომ 1779 წ. აპრილში სამსახურის ვადა ამოეწურა საქართველოს მისიის პრეფექტს, მეფე ერეკლესთან დაახლოებულ პირს კაპუცინელ დომენიკო და ტრიესტეს.

1781 წ. 14 მარტის კაპუცინელი მისიონერის, მაური და ვერონას პაპთან მიწერილი წერილიდან ცნობილი ხდება პადრე დომენიკე და ტრიესტეს ელჩობის შესახებ: „ პადრე დომენიკო, ამ წერილის მომტანი, ვენაში გაამგზავროთ რაც შეიძლება სწრაფად, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები აბარია.“ ფრაზაში „მნიშვნელოვანი საქმეები“, რა თქმა უნდა არ

---

[1] ი. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ.,2006, გვ. 38.

[2] ო . ჯანელიძე, დაპყრობა თუ ნებაყოფლობითი შეერთება, ანალები, თბ., 2010, №6, გვ. 68-69.

[3] А. А.Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до грузии, т. II, Вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, СПб. 1902. с. 30.

[4] ნ. დობორჯგინიძე, ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია, წიგნში, ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, თბ., 2019, გვ. 182-184, 189; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1904, გვ. 398.

მოიაზრება დახმარება მხოლოდ „ორი პოლკის“ შესაქმნელად. ქვეყნის ევროპული მოდერნიზაციის შემდგომ განმათავისუფლებელ ბრძოლაში თანამონაწილეობის პათოსი ისმის ერეკლეს სიტყვებში, ავსტრიის იმპერატორ იოზეფ მეორისადმი მისიონერ მავრო ვერონელის ხელით გაგზავნილი 1782წ. წერილიდან: „რადგან წარსულს წელიწადებში ამ ჩვენის მხრის აზიის ქვეყნებში ამბავი მოდიოდა, რომ თქვენს უმაღლესობასა და უდიდებულესობას თურქეთის სულთანზე საფარი აქვსო, ამ სასიხარულო ამბავმა ჩემს გონებასა შინა მყოფი ერთგულება განაღვიძა და სიხარულად აღძრა. და ის პატრი ამისთვის გამოვგზავნეთ, რომ ეგება თქვენის უმაღლესობის საკადრის სამსახურს ვეღირსნეთ-ო“.[1] ერეკლეს საინსტრუქციო წერილში ხაზგასმულია მისიის საიდუმლოების დაცვა, „... დიდად საიდუმლო იყოს და არ გამოცხადდეს, რომ ჩვენი დიდი საზიანო იქნება ამ საქმის გამოცხადება.“ სამოკავშირო საიდუმლო გზავნილები პირდაპირ მიანიშნებს რუსეთის მუდმივი ინტრიგებიდან თავის დაღწევის აშკარა მცდელობას.

წერილი იმ მხრივაცაა მნიშვნელოვანი, რომ მასში საუბრობს თბილისში მყოფი პატრი დომენიკოს ელჩად გაგზავნის თაობაზე, რაც წარმოდგენას გვიქმნის 1781წ. წერილის შინაარსზე და ზეპირ დანაბარებზე.

მ. თამარაშვილის ცნობით 1781წ. 20 ივნისს კონსტანტინოპოლში ჩასული ერეკლეს ელჩი, რომელსაც დახმარების თხოვნით უნდა მიემართა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან: ავსტრიის იმპერატორთან, საფრანგეთის მეფესთან, სარდინიის მეფესთან, ვენეციის რესპუბლიკის სენატთან და რომის პაპთან, 3 ივლისს მოულოდნელად გარდაიცვალა. მისი სიკვდილი, რომ ევროპაში ელჩობის პოლიტიკურ მიზანს უკავშირდება, დაწვრილებით არის აღწერილი პადრე ფორტუნატო და ტრენტოს წერილში ის დიდი წინააღმდეგობა, რათა ერეკლეს წერილები არ გაეგზავნათ დანიშნულებისამებრ რომის პაპთან და ავსტრიის იმპერატორთან.[2] იმდენადაა შეშინებული და დაშანტაჟებული მისიონერი, რომ ამ პიროვნების ვინაობის გამხელას ვერ ბედავს. მკვლევარი ი. ტაბაღუა საარქივო მასალებით ასაბუთებს კონსტანტინოპოლში კათოლიკე მისიონერებთან, ვენის საკონსულოსთან და ავსტრიის სამეფო კართან დოქტ. რაინექსის და გრაფ იანოშ კოჰარის კონტაქტს. აქვე მიანიშნებს გრაფ კოჰარის კავშირს ავსტრიის წარმომადგენელთან კონსტანტინოპოლში, ბარონ ჰერბერტთან,[3] რაც გვაძლევს საფუძველს საიდუმლო ინტრიგებით ცნობილი ამ ავანტურისტი რაინეგსის (ქრისტიან რუდოლფ ელიხი) რუსეთის დაზვერვასთან თანამშრომლობაზე. ამაზე მიგვანიშნებს საკვლევი პერიოდის ისტორიული მოვლენების დროსა და სივრცეში ქრონოლოგიური თანამიმდევრობით რეკონსტრუქციისას დროში ძალზედ საეჭვოდ თანხვედრილი ისტორიული ფაქტები, მათ შორის ევროპაში პირველი ელჩობის მზადების პერიოდშივე, 1779 წ. ერეკლე II-ის სამეფო კარზე მისი სტუმრობა,[4] საკმაოდ კარგად მორგებული ნიღბით, გიორგი ბატონიშვილის „სამკურნალოდ“ და „სამეფო საქმეებში დახმარების მიზნით.“ პადრი დომინიკეს მკვლელობიდან იგი მალევე, 10 ივლისს[5] მიემგზავრება რუსეთში. 1781 წლის 4 აგვისტოს, სასაზღვრო სიმაგრე მოზდოკშია, საიდანაც ფელდმარშალ გრიგოლ პოტიომკინის მიერ მიწვეული იქნა პეტერბურგში, საიდანაც საგანგებო დავალებით აგზავნის, რათა დაერწმუნებინა მეფე ერეკლე რუსეთისგან „მფარველობა“ თავად ეთხოვა.

---

[1] ი. ტაბაღუა, საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 100.

[2] იქვე, გვ. 185.

[3] იქვე, გვ. 61; იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 17. მ. ნაცვალაძე, შვიდწლიანი ომისა და ბერძნული პროექტის კავკასიური სეგმენტის ურთიერთმიმართებისათვის, აბრეშუმის გზის მე-16 დისტანციური საერთაშორისო კონფერენცია, 14-15 ოქტ., თბ., 2021.

[4] იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და სამიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ.,2002, გვ.10-35.

[5] А. А.Цагарели, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до грузии, т. II, Вып. II. С 1769 по 1801 год. Под редакцией А. Цагарели, СПб. 1902. с. VI.

1782 წ. ნოემბერში ერეკლეს სამეფო კარზე მის ყოფნას ადასტურებს 27 დეკემბრით დათარიღებული ერეკლეს წერილი გრიგოლ პოტიომკინთან,[1] სადაც ერეკლე კმაყოფილებას გამოთქვამს კაპიტან ბაღდათლუ სოლაღოვის(სოლოღაშვილის) მიერ გიორგი ბატონიშვილისთვის ალექსანდრე ნეველის ორდენის გადაცემის გამო და მოიხსენიებს სამეფო კარზე უკვე რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლის სტატუსით ჩამოსულ, პოლკოვნიკ იაკობ რაინექსს. წერილი ერთის მხრივ კიდევ ერთი მტკიცებულებაა რაინექსის საიმპერატორო კართან ურთიერთობის, მეორეს მხრივ აშკარად მიანიშნებს ქართლ-კახეთის სამეფო კართან რადიკალურად შეცვლილ რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებას.

რუსული დაზვერვის კვალზე და სხვადასხვა ჯურის ავანტურისტების მომრავლებაზე მიანიშნებს პროპაგანდა ფიდეს არქივში დაცული პადრე ფორტუნატო და ტრენტოს 1782 წ. 10 იანვარს კონსტანტინოპოლიდან საიდუმლო შეტყობინება,[2] რომ გააქტიურდნენ საქართველოს მისიის, განსაკუთრებით კი ერეკლე მეორის კარზე მყოფი ევროპელი მისიონერების მტრები.

პირველწყაროების ანალიზის და ინტერპრეტაციის საფუძველზე ლოგიკური ახსნა ეძებნება ჩვენს მოსაზრებას, რომ საიმპერატორო კარზე ტოტლებენის ავანტიურის ჩაშლის შემდეგ როგორ ვერაგულად და მიზანმიმართულად მუშავდებოდა, ქართლ-კახეთის ექსპანსიის რუსული სცენარი, რომლის მიხედვით წარიმართა ჩვენი კვლევისთვის საინტერესო 1781-1782 წწ. პოლიტიკური მოვლენები. მეფე ერეკლეს ევროპული ორიენტაციის პრაგმატული პოლიტიკური გეგმის პირველივე (1781 წ.) მარცხის შემდეგ, რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შემდეგი ნაბიჯი რითაც ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენდნენ მასზე, ქვეყნის თავდაცვის, უსაფრთხოების და მტკიცე საყრდენის მოშლა უნდა ყოფილიყო, რაც ლეონ ბატონიშვილის მკვლელობას უთუოდ მოჰყვებოდა. ამ მზაკვრული გეგმით შეეძლოთ მეფე ერეკლეს საბოლოოდ „ჩიხში“ მოქცევა. შვილის სიკვდილით თავზარდამცემ მწუხარებას მალე მოჰყვებოდა 1782 წ. 14 ნოემბერს რუსეთზე გავლით გაგზავნილი პოლონელი კათოლიკე მისიონერის, მავრო ვერონელის ელჩობის კრახი. მოვლენების ელვის სისწრაფით განვითარება და ერთ წელიწადში დამსხვრეული პოლიტიკური გეგმებით იმედგაცრუებულ მეფე ერეკლეს იმის შიშით, რომ სამეფოც არ ჩამოშლოდა, რომლის საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდა, იძულებული გახდებოდა „ ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის“ გზა აერჩია.

ამ მიზნის მისაღწევად ლეგიტიმაციის ნიღაბს ამოფარებული ალექსანდრე ბატონიშვილის გამიზნულად ფათ-ალი-ხანთან თავშეფარებამ და მასთან „გაჭიანურებული მოლაპარაკების“ იმიტირებულმა სცენარმა გარკვეული როლი შეასრულა რუსეთისგან შემოთავაზებული მფარველობის ოფიციალურად თხოვნის გადაწყვეტილებაზე, რომლის კვალი აშკარად იკითხება ერეკლე II-ის მიერ რუსეთის საიმპერატორო კარისადმი 1782 წლის 21 დეკემბერს გაგზავნილ მფარველობის თხოვნაში.[3]

ამდენად, ვერ გავიზიარებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ლეონ ბატონიშვილის სიკვდილი უბედური შემთხვევა იყო და კავშირი არ შეიძლებოდა ჰქონოდა პოლიტიკურ პროცესებთან, თუმცა მკვლევარები იქვე ობიექტურად აფასებენ და თანხმდებიან იმაზე თუ როგორ შეცვალა ამ ტრაგედიამ ქვეყნის ევროპული განვითარების გზა ერთმორწმუნე რუსეთის „მფარველობისკენ“.

---

[1] იქვე, გვ. 27.

[2] ნ. დობორჯგინიძე, ერეკლე მეორისა და მისი სამეფოს ევროპული პროექცია, წიგნში ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში, თბ., 2019, გვ. 186.

[3] Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся до грузии, т. II, Вып. II. … с. 24-25.

Manana Michitashvili
Gori State University

MATERIALS FOR THE POLITICAL MOTIVE OF THE MURDER OF LEVAN (LEON) BATONISHVILI

RESUME

The paper describes a political situation of Kartl-Kakheti and the expansionist goals of Russia's Caucasian politics in the 70-80's of the 18th century. The work for pubic good of Levan Batonishvili, the ancestor of the well-known King Erekle, and the political motive of his murder are also analyzed in this paper.

Based on the first sources of information and the chronological order, it is defined that it has been in the interests of Russia to secretly murder Batonishvili. It is well explained when and why Leon Batonishvili became the target of Russia from the extended royal family of King Erekle.

The paper highlights how the death of Batonishvili has disrupted Georgia's European perspective and drastically changed the country's European development path towards Russia.

პაატა ნაცვლიშვილი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

გრაფ აპოლონ ურუშაძის რამდენიმე ცხოვრება

ლეგენდარულობისა რა გითხრათ, – ლეგენდარულობა ალბათ მეტ ცნობადობას და პოპულარობას გულისხმობს, – მაგრამ ამ კაცის იდუმალი ბიოგრაფია რომ უაღრესად შთამბეჭდავია, წინააღმდეგობებითა თუ უკიდურესობებით არის აღსავსე და ზოგჯერ დაუჯერებელიც გვეჩვენება, ფაქტია!

გრაფ აპოლონ ურუშაძეზე მოგახსენებთ.

ცოტამ თუ იცის, რომ 1921 წლის თებერვალში თბილისს შემოსეულ წითელ არმიას სხვებთან ერთად ებრძოდა გენერალ-მაიორი აპოლონ ურუშაძეც. თუმცა მის ხსენებას ვერ ნახავთ დამოუკიდებელი საქართველოს გენერალთა შორის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სამხედრო წოდება მას არ ჰქონია. საქმე ის არის, რომ 1915 წელს მას, სრულიად ახალგაზრდას, 29 წლისას, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველის საკლასო ჩინი მიენიჭა, რაც რუსეთის იმპერიის რანგთა ტაბელით გენერალ-მაიორის სამხედრო წოდებას შეესაბამებოდა. არადა, რა გრაფი, რის გენერალ-მაიორი, რომელი სახელმწიფო მრჩეველი... სამსახურებრივი კარიერა ჩვეულებრივი სტომატოლოგობით დაიწყო.

მისი რამდენადმე შორეული, მაგრამ უშუალო წინაპარი ყოფილა ლანჩხუთელი აზნაური, გურიელთა სამთავრო კარის მდივან-მწიგნობრის ოჯახში დაბადებული მახარობელ ურუშაძე (1788-1861) – გურიის უკანასკნელი მთავრის მამია V გურიელის სიყრმის მეგობარი და თანამოაზრე, რომელიც მამიას მხარდამხარ იბრძოდა ლანჩხუთის სეპარატისტი მოურავის ზუბაიდელ ჟორდანიას წინააღმდეგ. ჟორდანიას დამარცხების და მამიას სამთავრო ტახტზე ასვლის შემდეგ მახარობელ ურუშაძეს ჯერ ლანჩხუთის მამასახლისობა ებოძა ზუბაიდელ ჟორდანიასეული მამულით და მასზე მოსახლე გლეხებითურთ, შემდეგ კი – გურიელების სოფელ ლესას მამულის მოურავობა. მახარობელ ურუშაძე 1810-1812 წლებში მონაწილეობდა თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ამას გარდა იყო 1828-1829 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე. მხედრული წარჩინებისთვის დააჯილდოვეს წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენითა და I და II ხარისხის მედლებით. ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის დავით II-ის შვილთაშვილი მართა თავდგირიძე. მათი შვილიშვილი ყოფილა პავლე ურუშაძე, ხოლო ამის შვილები – ძმები აპოლონ და აკაკი ურუშაძეები მახარობელის შვილთაშვილები არიან. აპოლონი 1886 წელს დაიბადა, აკაკი – 1893-ში (სხვა ცნობით – 1890-ში). აპოლონს და აკაკის დაც ჰყოლიათ – სარა, რომელიც მეორე ცოლი იყო 1888 წელს ლანჩხუთში დაბადებული ჯერ სოციალ-დემოკრატი, შემდეგ სოციალ-ფედერალისტი და ბოლოს კომუნისტი თედო ღლონტისა. თედო ღლონტი – გაზეთ „ზვირთის“ დამფუძნებელი და რედაქტორი, გაზეთ „სახალხო ფურცლის“ რედაქტორი, საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული საქართველოში, რომელმაც 1926 წელს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე ივანე ჯავახიშვილი შეცვალა, 1937 წელს დახვრიტეს, როგორც გერმანიის დაზვერვის აგენტი, რაც თავადვე აღიარა დაკითხვისას. იმ დროს იგი უკვე საქართველოს კომუნალური ბანკის დირექტორი და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარი იყო. ხოლო გერმანიის დაზვერვასთან სათანამშრომლოდ მისი პირველი ცოლის, ერნას მამას – რიხარდ ციულკეს მიუდრეკია.

წარჩინებული ლანჩხუთელი აზნაურების შთამომავალი, უკვე გრაფი და უკვე პროფესორი აპოლონ ურუშაძე, 1953-ში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის ბრალდებით დაპატიმრებული, პირველსავე დაკითხვაზე ასე იხსენებდა მისი ცხოვრების იმ საწყის პერიოდს:

„რსდმ პარტიაში შევედი 1904 წლის ბოლოს თბილისში, სადაც მაშინ მე-2 გიმნაზიაში ვსწავლობდი. 1905 წელს შევუერთდი მენშევიკებს, რომელთაც მაშინ ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა. ეს განაპირობა იმან, რომ ჟორდანია ავტორიტეტად ითვლებოდა და თანაც ჩემი თანასოფლელი იყო. 1906 წელს მოსალოდნელ რეპრესიებს გავეცალე და პეტერბურგში წავედი, სადაც თავისუფალ მსმენელად შევედი უნივერსიტეტში“.

ჩვენებაში ამას აპოლონ ურუშაძე არ ამბობს, მაგრამ საქმეში ჩართულ მის ავტობიოგრაფიაში წერს, რომ 1905 წელს აქტიურად მონაწილეობდა გურიის ამბებში და, როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო მოელოდა რეპრესიებს, რომელთაც პეტერბურგში გარიდებია. იმავე ავტობიოგრაფიიდან და მისი სხვა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ პეტერბურგში აპოლონ ურუშაძე, ნოე ჟორდანიას დავალებით, გადასახლებიდან თავდახსნილ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებაში ეხმარებოდა, რისთვისაც კონსპირაციული ბინა ჰქონია.

კონსპირაციული მუშაობისა და უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად სიარულის პარალელურად, აპოლონ ურუშაძეს პეტერბურგის ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა, რომელიც დაუდგენელი მიზეზების გამო არ თუ ვერ დაუმთავრებია.

„სამაგიეროდ“, 1910 წელს დაუმთავრებია პეტერბურგის კბილ-საექიმო სასწავლებელი და სტომატოლოგიურ კლინიკაში დაუწყია მუშაობა ცნობილი ოდონტოლოგის, პროფესორ ფრანც ზვერჟხოვსკის ასისტენტად. შემდეგ კბილ-საექიმო კურსების ქირურგიული განყოფილების გამგე ყოფილა. 1912 წელს საიმპერატორო კარზე მიუწვევიათ და 1917 წლამდე ნიკოლოზ II-ის და მთელი მისი ოჯახის პირადი სტომატოლოგი გამხდარა.

მისი ბიოგრაფიის ამ ალბათ ყველაზე გამორჩეული და საინტერესო ეპიზოდის შესახებ არაფერია ნათქვამი აპოლონ ურუშაძის საქმეში, რომელიც ფოტოპირების სახით დღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება. როგორც ჩანს, და ეს გასაგებიც არის, აპოლონ ურუშაძე მთელი თავისი მომდევნო ცხოვრების განმავლობაში მალავდა იმპერატორის ოჯახთან თავის ასეთ სიახლოვეს, მალავდა გრაფის ტიტულსაც, მაგრამ ის კი გაუგებარია, როგორ დარჩათ ეს მომენტები ყურადღების მიღმა საბჭოთა კავშირის უშიშროებისა თუ შინაგან საქმეთა ორგანოებს. საკვირველია, რომ არაფერია ნათქვამი აპოლონ ურუშაძის ცხოვრების ამ ეპიზოდის შესახებ არც გრიგოლ ლიპარტელიანის წიგნში „ქართველები პეტერბურგში“, რომელიც ორჯერ – 2008 და 2012 წლებში გამოიცა სანკტ-პეტერბურგში. ამ წიგნში აპოლონ ურუშაძეს ერთი გვერდი ეთმობა და, ჩემი ცოდნით, ეს არის ყველაზე ვრცელი მასალა, რაც მის შესახებ დღემდე გამოქვეყნებულა ამა თუ იმ ენაზე.

შეიძლება ეს ამბავი თანადროულ თუ გვიანდელ ლეგენდად, გამოგონილ ამბად, ერთგვარ ფაქტოიდად ჩაგვეთვალა, მაგრამ აპოლონ ურუშაძის კარის სტომატოლოგობა ერთი-ორი ისეთი სანდო წყაროთი დასტურდება, როგორიცაა, მაგალითად ცარსკოე სელოში გადაღებული მისი და მისი პირველი ვაჟიშვილის ფოტოები ან საბჭოთა ეპოქის ყველაზე გამოჩენილი დანტისტის, ალექსეი დოინიკოვის მოგონებები.

სხვათა შორის, სწორედ აპოლონ ურუშაძის მიერ ნამკურნალები კბილების მიხედვით მოხერხდა თავის დროზე ეკატერინბურგში დახვრეტილი ნიკოლოზ მეორისა და მისი ოჯახის წევრთა იდენტიფიკაცია. აი, რას იხსენებს ამასთან დაკავშირებით მთელი საბჭოთა და პარტიული ელიტის კბილების მკურნალი, 1953-1984 წლებში სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს ცნობილი მე-4 სამმართველოს მთავარი სტომატოლოგი, კრემლის ლეგენდარული დანტისტი, პროფესორი ალექსეი დოინიკოვი:

– 1952 წელს თბილისში მე გავიცანი აპოლონ პავლეს ძე ურუშაძე, გრაფი და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე. თავის დროზე ის მკურნალობდა ნიკოლოზ II-ის კბილებს და პროთეზიც გაუკეთა მეფეს. ურუშაძემ კერძოდ მიამბო, თუ რა დიდხანს მკურნალობდა იგი მე-4 კბილის პერიოდონტიტს და როგორ აღუდგინა მეფეს ქვედა ეშვი პლატინის შტიფტზე დამაგრებული კბილით. ექსპერტიზის დროს სწორედ ქვედა მარჯვენა მეოთხე კბილში აღმოჩნდა პლატინის შტიფტი. აპოლონ ურუშაძე მკურნალობდა ანა

დემიდოვასაც – შინამოსამსახურეს, რომელსაც მაშინ ყველაზე მოწინავე ევროპული მეთოდით ოქროსგან გაუკეთა ხიდისებური პროთეზი, რაც დადასტურდა კიდეც ნეშტზე. თავიდან ასე იყო: ჯერ მე და მერე სხვა სპეციალისტებსაც მოგვცეს ლენინგრადული ექსპერტიზის ორი ვეება ტომი – დაწვრილებითი აღწერებით, კარგად დოკუმენტირებული და უხვად ილუსტრირებული... ექსპერტ-პროკურორს ვუამბე, რაც ვიცოდი და ვუთხარი, რომ ამის შესახებ შეიძლება რაღაც ჩანაწერები ყოფილიყო თბილისში, აპოლონ ურუშაძის ოჯახში. მართლაც, ასეთი ჩანაწერები აღმოჩნდა და ჩემი ცნობები და მტკიცებულებები დამაჯერებლად ჩათვალეს...

აპოლონ ურუშაძე სამეფო კარის სტომატოლოგობის პერიოდში დაოჯახდა – ცოლად მოიყვანა მისივე კოლეგა ელიზავეტა ანდრიას ასული გავრილოვა (1893-1953). მათ ორი ვაჟი შეეძინათ – ოლეგი (1913-1930) და იგორი (1916-1997). რევოლუციამდე ორივენი ცარსკოე სელოში ცხოვრობდნენ და იზრდებოდნენ.

ოლეგი სრულიად ახალგაზრდა, 17 წლისა გარდაიცვალა, იგორ ურუშაძემ კი რვა ათეულ წელზე მეტი იცოცხლა და ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა არაერთი თაობა აღზარდა. მათ შორის – საკუთარი ქალიშვილები – ლიორა (დ. 1943) და პაოლა (დ. 1947) ურუშაძეები. ლიორასა და პაოლას დედა – ნინო ურუშაძე – მოქანდაკე იყო, იაკობ ნიკოლაძის მოწაფე. ლიორა ურუშაძემ სასცენო კოსტიუმების მხატვრობაში გამოიჩინა თავი, ხოლო მისმა დამ – პოეზიაში: პაოლა ურუშაძე რუსულენოვანი პოეტია და მისი ლექსები გარდა იმისა, რომ რეგულარულად იბეჭდება საქართველოში გამომავალ რუსულ ლიტერატურულ პრესაში, ცალკე კრებულებადაც არის გამოცემული. სწორედ პაოლა ურუშაძემ ჩააბარა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას ურუშაძეთა ოჯახში დაცული იშვიათი ფოტოები.

იგორ ურუშაძე ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი იყო. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასპირანტურა. სხვადასხვა დროს იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ესთეტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის გამგე. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის, ქართველ და კავკასიელ მხატვართა შემოქმედების, ხელოვნების ესთეტიკისა და თეორიის საკითხებზე. გამოსცა მონოგრაფიები სერგო ქობულაძეზე, იაკობ ნიკოლაძეზე, აპოლონ ქუთათელაძესა და სილოვან კაკაბაძეზე...

იგორის დაბადებისას აპოლონ ურუშაძე პეტროგრადის საიმპერატორო ჰოსპიტლის სტომატოლოგიური განყოფილების უფროსი იყო – ის ამ თანამდებობას 1914-1917 წლებში იკავებდა. სწორედ იმ პერიოდში ებოძა აპოლონ ურუშაძეს გრაფის ტიტული. ერთიხანობა – საიდან სადაო! – პეტერბურგის ვიბორგის მხარის რაიონის კომენდანტიც ყოფილა და ამ თანამდებობაზე კარლო ჩხეიძის რეკომენდაციით დაუნიშნავთ. ის კი არა, საბჭოთა სპეცსამსახურების ისტორიის ცნობილი მკვლევარი, არაერთი წიგნის ავტორი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ზდანოვიჩი წერს, რომ ურუშაძე თითქოს 1917 წელს რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრადაც აირჩიეს, თუმცა მისი გვარი დამფუძნებელი კრების წევრთა სიაში არ იძებნება. არ იძებნება ურუშაძის გვარი არც სახელმწიფო დუმის წევრთა შორის, თუმცა მისი ნათესავი და მახარობელ ურუშაძის კიდევ ერთი შთამომავალი, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ახალგაზრდულ ასაკში ტრაგიკულად დაღუპული ლევან ზ. ურუშაძე წერდა, რომ აპოლონ ურუშაძე რუსეთის მეოთხე სათათბიროს წევრი იყო 1916-1917 წლებში...

1918 წელს აპოლონ ურუშაძე საქართველოში ჩამოსულა. ცოლ-შვილი, როგორც ჩანს, უფრო ადრე გამოარიდა რევოლუციურ ქაოსს.

1953 წლის 9 სექტემბერს იგი სიტყვასიტყვით ასეთ ჩვენებას აძლევს პოლკოვნიკ მაკლაკოვს:

„აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი თებერვლის რევოლუციაში და არჩეული ვიყავი მუშათა დეპუტატების პირველ საბჭოში და დავინიშნე პეტროგრადის რაიონის სამხედრო

კომენდანტად. 1917 წლის მაისში ცენტრალურ დუმაში შევედი მენშევიკებისაგან. 1918 წლის თებერვალში კი საქართველოში ჩამოვედი, ოჯახთან“.

სამწუხაროდ, ურუშაძის რომელიმე წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის დადასტურება ჯერჯერობით არ ხერხდება. ცენტრალური დუმა რა არის, საერთოდ გაუგებარია. ისე კი გამორიცხული არაფერია: იმ ქაოსში ვინ ვის სად ირჩევდა და ვინ რომელი საბჭოს წევრი იყო, მართლა ძნელი გასარკვევია. სამაგიეროდ, დადასტურებული ფაქტია, რომ აპოლონ ურუშაძე პეტროგრადის ვიბორგის მხარის სამხედრო კომენდანტი იყო და სწორედ მას ევალებოდა ევროპიდან ჩამოსული ლენინის დაჭერა და იზოლაცია. ვინ იცის, აპოლონ ურუშაძეს რომ ისეთივე პროფესიონალიზმი გამოეჩინა ამ პოსტზე, როგორსაც იგი სტომატოლოგიაში იჩენდა მანამდე თუ შემდეგ, რუსეთისა და მსოფლიო ისტორია იქნებ სხვაგვარად წარმართულიყო.

ქართველი თუ რუსი ავტორები ვერც აპოლონ ურუშაძის პოლიტიკურ შეხედულებებზე თუ პარტიულ კუთვნილებაზე თანხმდებიან საბოლოოდ. მის ესერობაზე ყველა წერს, მაგრამ ამავე დროს იგივე ალექსანდრ ზდანოვიჩი ამტკიცებს, რომ თითქოს იგი ბოლშევიკებს ემხრობოდა, რასაც ქართველი მკვლევარები არ იზიარებენ. თუმცა, მეორე მხრივ, შემორჩენილია საგაზეთო ცნობა, რომ აპოლონ ურუშაძე უეჭველ სიკვდილს სწორედ ბოლშევიკების მიერ გაცემულმა რაღაც მოწმობამ გადაარჩინა. ვერ თანხმდებიან ისტორიკოსები ვერც აპოლონ ურუშაძის სამთავრობო კარიერაზე. რუსი ავტორები თვლიან, რომ იგი 20-30-იანი წლების მიჯნაზე საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრი იყო, ხოლო იმავე ლევან ზ. ურუშაძის აზრით, ის დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წევრი იყო.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ აპოლონ ურუშაძე აქტიური კაცი გახლდათ და საკმაო ავტორიტეტითაც სარგებლობდა როგორც თავის პროფესიაში, ისე პოლიტიკურ თუ სახელისუფლებო წრეებში. თებერვლის რევოლუციიდან მოყოლებული, აპოლონ ურუშაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან, ნოე რამიშვილთან, ევგენი გეგეჭკორთან, აკაკი ჩხენკელთან და სხვა ქართველ მენშევიკებთან. ის კი არა, თუ მისი წინაპარი მახარობელ ურუშაძე ზუბაიდელ ჟორდანიას ებრძოდა, აპოლონი იმ ჟორდანიას შთამომავალს თუ შორეულ ნათესავს – ნოე ჟორდანიას – არათუ უპირისპირდებოდა, ემეგობრებოდა კიდეც.

ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, რუსეთის დამფუძნებელი კრების დათხოვნისთანავე აპოლონ ურუშაძე საქართველოში ჩამოვიდა, თავისი სტომატოლოგიური კაბინეტი დააარსა და კერძო პრაქტიკას მიჰყო ხელი. ამავე დროს როგორც წითელი ჯვრის საქართველოს საზოგადოების ცენტრალური გამგეობის წევრი, ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელიც ყოფილა. პარალელურად იყო ამიერკავკასიის სამედიცინო განყოფილების უფროსი.

1918 წლის 26 მარტს საქართველოსკენ გზად მომავალი სიკვდილს ძლივს გადაურჩა. აი, როგორ აღწერს იმ ამბავს „სახალხო ფურცლის“ კორესპონდენტი გაზეთის 1918 წლის 214-ე ნომერში:

„არმავირის სადგურზე იმ ვაგონს, რომელშიც პეტროგრადიდან სამხრეთისკენ მომავალი ქართველები ისხდნენ, ბოლშევიკებმა ალყა შემოარტყეს. ყველა ქართველი (სულ 15) გარდა აპ. ურუშაძისა და კალ. გოგუასი, რომელთაც ბოლშევიკური მთავრობის მოწმობები ჰქონდათ, ბოლშევიკებმა დახვრიტეს. გვამების გადმოსვენება შეუძლებელი იყო, ისინი ძალიან დაუსახიჩრებიათ და საერთო ორმოში ჩაუმარხავთ“.

ამ ამბავს ადასტურებს გაზეთი „საქართველოც“ 1918 წლის 77-ე ნომერში.

თუმცა არც იმდროინდელ პრესაში წერია და არც არავინ იცის, საიდან ჰქონდა აპოლონ ურუშაძეს ბოლშევიკური მთავრობის მოწმობა. მისი სახელი იმთავითვე მემარჯვენე ესერებთან ასოცირდებოდა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე აქტიურად ჩაება პოლიტიკურ საქმიანობაში. იყო საქართველოს ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის სექტემბერში ირაკლი წერეთლისა და დიომიდე თოფურიძის რეკომენდაციითა და ნოე ჟორდანიას წინადადებით, თბილისის პოლიციის

უფროსად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ნიკოლოზ II-ის ყოფილი პირადი სტომატოლოგი 1919 წლის აპრილამდე დარჩა.

რატომ ასე მცირე ხნითო, გამომძიებელი რომ ჰკითხავს 1953 წლის 9 სექტემბერს, აპოლონ ურუშაძე იტყვის:

„მე შემომთავაზეს, რომ მილიციას პოლიტიკური საქმეებიც აეღო თავის თავზე, რასაც არ დავეთანხმე და მეტიც – 1919 წლის 4 აპრილს ყოველდღიურ „ტიფლისსკი ვესტნიკში“ დავაბეჭდვინე განცხადება, რომ ქალაქის მილიცია მასობრივ დაპატიმრებებში არ მონაწილეობს და პასუხისმგებლობას არ კისრულობს. ამის შემდეგ მე გამათავისუფლეს“.

გამომძიებელი მაკლაკოვი ეკითხება, რომ მათ ხელთ არსებული ცნობებით, მილიციის უფროსის თანამდებობაზე ყოფნისას აპოლონ ურუშაძე მონაწილეობდა ალექსანდრეს ბაღში ბოლშევიკების დარბევასა და დახვრეტაში, რაზეც ბრალდებული პასუხობს, რომ ის და მისი მილიცია პოლიტიკური საქმეებში არ ერეოდა და თანაც ეს დარბევა მის დანიშვნამდე კარგა ხნით ადრე იყო მომხდარი.

მართლაც, სახალხო გვარდიის მიერ ამიერკავკასიის სეიმის გადაწყვეტილებით ბოლშევიკთა მასშტაბური მიტინგის დარბევა 1918 წლის 10 თებერვალს მოხდა. დღეს ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცეოდა აპოლონ ურუშაძე, ეს ყველაფერი რომ მის დროს მომხდარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამ დარბევის შედეგად ჩაიშალა სტეფანე შაუმიანის მეთაურობით ბოლშევიკთა ამიერკავკასიის ხელისუფლებაში მოსვლის მცდელობა.

მერე ის იყო, აპოლონ ურუშაძე ფრონტზე წავიდა და თავისი სტომატოლოგიური თუ საპოლიციო გამოცდილება საქართველოს შეიარაღებული ჯარების სამსახურში ჩააყენა სწორედაც ბოლშევიკების წინააღმდეგ. ჟურნალ „მწყემსის“ ცნობილი რედაქტორისა და გამომცემლის, დეკანოზ დავით ღამბაშიძის შვილიშვილი გივი ღამბაშიძე, რომელიც მოხალისედ იბრძოდა იმ ომში, თავის მემუარებში იხსენებს თბილისისთვის გამართულ ერთ-ერთ უკანასკნელ ბრძოლას, როცა „საჩქაროდ მოიქრიალა თბილისიდან ავტომობილი და აპოლონ ურუშაძემ მოგვიტანა ჯიჯიხიას სამახარობლო ტელეგრამა, რომ გამარჯვება ჩვენ მხარეზედ იყო და მტერი საშინლად გარბოდა უკან. სიხარული იმდენათ დიდი იყო, რომ აღტაცებულნი ვეცით ჩვენი გუნდის უფროსს, კაპიტან ანდღულაძეს და მისი სურვილის წინააღმდეგ რამოდენიმეჯერ შევაგდეთ ჰაერში. სულ ყველა გამოცოცხლდა, გამხიარულდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ასე დამთავრდა ვაზიანის გმირული ბრძოლა, რომელშიდაც ქართველები კიდევ ერთხელ გამარჯვებულნი დარჩნენ“.

სხვათა შორის, იმ დროს ბოლშევიკურ წითელ არმიაში იბრძოდა აპოლონის უმცროსი ძმა აკაკი ურუშაძე, რომელიც 1918-1919 წლებში მენშევიკური პარტიის წევრი იყო. 1923 წელს აკაკი ურუშაძე ბოლშევიკებმა აიყვანეს და 7 თვე პატიმრობაში ჰყავდათ. მანამდე, საქართველოს გასაბჭოებისთანავე, სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით მენშევიკებმა ქუთაისში დააპატიმრეს აპოლონ ურუშაძეც, რომელიც თითქოს ბოლშევიკებს ეხმარებოდა და ქვეყნის მთავრობასთან ერთად ბათუმში წასულმა წითელი ჯვრის ორი გატენილი ვაგონი ბოლშევიკებს დაუტოვა თბილისში. ბრალდება სულაც არ იყო მოკლებული საფუძველს, რადგან გასაბჭოების პირველსავე დღეებში აპოლონ ურუშაძე ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში რევკომის წარმომადგენლად დაინიშნა ბათუმში. საინტერესოა, რომ იგი მისი ძველი მოკეთისა და მფარველის ნოე ჟორდანიას სატელეგრაფო განკარგულების საფუძველზე დააპატიმრა საქართველოს რკინიგზის გენერალ-გუბერნატორმა ვალოდია სულაქველიძემ. არანაკლებ საინტერესო ფაქტია, რომ ეს სწორედ ის სულაქველიძე გახლავთ, რომელმაც სულ რაღაც ორი წლით ადრე ურუშაძე თბილისის მილიციის უფროსის პოსტზე შეცვალა და მთავრობამ ეს თანამდებობა მას რკინიგზის უფროსად დანიშვნის შემდეგაც შეუნარჩუნა. ვალოდია სულაქველიძემ თავისი წინამორბედი საველე სასამართლოს გადასცა. იგი ერთხანს სერგო ქავთარაძესთან ერთად ყოფილა საკანში, მაგრამ არ გაუსამართლებიათ, რადგან როგორღაც გაქცევა მოუხერხებია და კარგა ხანს გურიაში იმალებოდა.

დაკითხვაზე იგი ამტკიცებს, რომ 1919 წლის შემდეგ არავითარი კავშირი აღარ ჰქონია მენშევიკებთან, თუმცა აღიარებს, რომ 30-იანი წლების დასაწყისში ვორონეჟში მატარებლით გავლისას ორჯერ შეხვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს გრიგოლ ლორთქიფანიძეს, რომელიც იქ იყო გადასახლებული, მას შემდეგ, რაც სტალინს 50 წლის იუბილეზე საკმაოდ მკაცრი წერილი მისწერა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აპოლონ ურუშაძე კვლავ რჩებოდა მემარჯვენე ესერთა ორგანიზაციაში. 1922-1923 წლებში თავის სახლში მალავდა ნოე ხომერიკს. მაგრამ მალე ბოლშევიკებს მიემხრო თავის ძმასთან ერთად, თუმცა იმასაც წერენ, რომ თითქოს 1926-1927 წლებში მენშევიკური პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო. უფრო გვიან კი გარევოლუციონერებული გრაფი საერთოდ გაემიჯნა პარტიულ საქმიანობას, ხელისუფლების მიმართ თითქოს ლოიალურიც გახდა და კვლავ სტომატოლოგიას დაუბრუნდა – 1926 წელს ექსტერნად დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი და იმავე წელს თბილისში დააარსა პირველი საჩვენებელი სტომატოლოგიური კლინიკა. ამ კლინიკის მთავარ ექიმობას იგი უთავსებდა ლექტორობას თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. იმ ხანებში ნიკოლოზ II-ის ყოფილი პირადი სტომატოლოგი ლავრენტი ბერიას პირადი სტომატოლოგიც გამხდარა. და არა მარტო ლავრენტი ბერიასი, არამედ ბოგდან ქობულოვისაც, ბუდუ მდივნისაც, გერმანე მგალობლიშვილისაც და სხვა მსხვილი პარტიული თუ სახელმწიფო ფუნქციონერებისაც. თუმცა ასეთი კავშირების მიუხედავად, 1928 წელს ლუბიანკაზე დაუხვრეტიათ მისი ძმა – აკაკი ურუშაძე.

როგორც აპოლონ ურუშაძის საქმის მასალებიდან ირკვევა, იმავე 1928 წელს მას სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან დაუწყია თანამშრომლობა „დოქტორის“ ფსევდონიმით. ორგანოებიდან დავალება მიუღია, რომ დაემუშავებინა პოლონეთის საკონსულოს თანამშრომლები, რომლებიც მასთან კბილების სამკურნალოდ დადიოდნენ. უშიშროების კომიტეტის 1929 წლის 25 ოქტომბრის საატესტაციო ფურცელში მითითებულია, რომ „დოქტორმა“ რამდენიმე უმნიშვნელო ცნობა მიაწოდა საკონსულოს თანამშრომელთა შესახებ.

1935-1961 წლებში აპოლონ ურუშაძე სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრას, ხოლო ამის პარალელურად – 1937-1948 წლებში – ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ სახელმწიფო სტომატოლოგიურ ინსტიტუტს. გვიან, უკვე 50 წლისამ, 1936 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1947 წელს სადოქტოროც დაიცვა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხთან ერთად პროფესორის თანამდებობაც მიიღო. მანამდე, 1945 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. 1953 წლიდან გარდაცვალებამდე იყო სტომატოლოგთა საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე. და რაც ყველაზე საოცარია, ამ ყველაფერს მან მიაღწია ისე, რომ კომუნისტური პარტიის წევრი არ ყოფილა.

აპოლონ ურუშაძე არის ავტორი ათეულობით სამეცნიერო ნაშრომისა. მას ეკუთვნის სტომატოლოგიაში პირველი ქართული სახელმძღვანელო „თერაპიული სტომატოლოგია“. აპოლონ ურუშაძის სახელი მინიჭებული აქვს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკას.

მედიცინის ისტორიის რუსულენოვანი საიტი აპოლონ ურუშაძის შესახებ წერს:

„ა. პ. ურუშაძის სახელთან დაკავშირებულია სტომატოლოგიურ დაწესებულებათა ფართო ქსელის შექმნა საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მან დიდი ძალისხმევა და ენერგია შეალია იმას, რომ ეს დაწესებულებები კვალიფიციური სამეცნიერო კადრებით დაკომპლექტებულიყო და სამედიცინო დახმარების თანამედროვე საშუალებებით აღჭურვილიყო. ის სტომატოლოგიურ პრაქტიკაში მკურნალობის ყველაზე მოწინავე მეთოდების დანერგვას ცდილობდა, ეწეოდა კბილის სანაციის ფართო პროპაგანდას, განსაკუთრებით წარმოება-დაწესებულებებსა და სკოლებში, რამაც რიგი დაავადებების შემცირება გამოიწვია და საქართველოში საწარმოო და საბავშვო სტომატოლოგიის დაფუძნებას შეუწყო ხელი. ა. პ.

ურუშაძემ ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო დიაგნოსტიკაში ბაქტერიოლოგიური და რენტგენოლოგიური ანალიზი, შექმნა სათანადო ლაბორატორიები პირველ საჩვენებელ სტომატოლოგიურ კლინიკაში, რომელსაც სათავეში ედგა 1926 წლიდან. ხელმძღვანელობდა რა რიგ სხვა სტომატოლოგიურ სამკურნალო დაწესებულებებს და იყო რა იმავდროულად რესპუბლიკის მთავარი სტომატოლოგი თუ სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს, მათ შორის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წევრი, ა. პ. ურუშაძე ყველა ღონეს ხმარობდა საიმისოდ, რომ მოსახლეობის სტომატოლოგიური მომსახურება სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა დონეზე ყოფილიყო. 30-იანი წლების დასაწყისში ა. პ. ურუშაძის ინიციატივითა და მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა კბილის ექიმთა გადაკვალიფიცირება ექიმ-სტომატოლოგებად. შემდეგი მიღწევა იყო პირველი ეროვნული სტომატოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის დირექტორიც იყო ა. პ. ურუშაძე 1937-დან 1948 წლამდე. ა. პ. ურუშაძის მრავალმხრივ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეცნიერულ გამოკვლევებს. ა. პ. ურუშაძის სამეცნიერო შრომები ეხებოდა სტომატოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის დიდად აქტუალურ და ხშირად ნაკლებად დამუშავებულ პრობლემებს. ისეთებს, როგორიცაა ალვეოლარული პიორეის მკურნალობის ბიოლოგიური და ქირურგიული მეთოდები, მწვავე ოდონტოგენური პერიოდონტიტების ეტიოლოგია და მკურნალობა, პაროდონტოზის მკურნალობა, ორსულ და მეძუძურ ქალთა პირის ღრუს ქირურგია, სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების პირის ღრუს სანაცია და პროფილაქტიკა. იგი ავტორია 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ერთი სადოქტორო და 12 საკანდიდატო დისერტაცია. ა.პ. ურუშაძე დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით".

ამ ყველაფერთან ერთად და მის პარალელურად 1930-1940-იანი მიჯნაზე აპოლონ ურუშაძე ყოფილა ევროპაში მოქმედი ძლიერი საერთაშორისო ანტიბოლშევიკური პოლიტიკური მოძრაობის, – პრომეთეული მოძრაობის წევრი და საფრანგეთში არსებული საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენტი საქართველოში. სწორედ ამ ბრალდებით სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953-1954 წლებში იგი ორი წლით დაპატიმრებულიც იყო საბჭოთა უშიშროების კომიტეტის მიერ. 1955 წელს მიიღო სრული რეაბილიტაცია.

აპოლონ ურუშაძე 1961 წელს გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ და უფრო გვიან – XXI საუკუნეში ფრაგმენტულად გამოქვეყნდა აპოლონ ურუშაძის პოლიტიკურ, პარტიულ თუ კონსპირაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო ფაქტი თუ დოკუმენტი.

აი, რას წერს საბჭოთა სპეცსამსახურების ისტორიის მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრ ზდანოვიჩი 2017 წელს მოსკოვში გამოცემულ თავის წიგნში „საბჭოთა კონტრდაზვერვის პოლონური ჯვარი":

„1937 წლის ერთი დოკუმენტიდან, რომელიც ფრიად შემთხვევით ხასიათს ატარებს, ვიგებთ, რომ ეგრეთ წოდებული ქართული ეროვნული ცენტრის აგენტი ყოფილა მავანი გავლენიანი თბილისელი ექიმი, საქართველოს სსრ მთავრობის ყოფილი წევრი აპოლონ ურუშაძე, რომელსაც „კარგი რეპუტაცია" ჰქონია საბჭოთა ხელისუფლების თვალში, როგორც ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეს და როგორც ოკუპანტებისა თუ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლს კავკასიაში სამოქალაქო ომის დროს".

თუმცა, „კონტრრევოლუციის წინააღმდეგ მებრძოლის" სტატუსი აშკარად არ შეესაბამება ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლი გივი ღამბაშიძის მოგონებების იმ ნაწილს, რომელიც აპოლონ ურუშაძეს ეხება. და დღეს ძნელი გადასაწყვეტია, მთლიანობაში საკმაოდ სანდო ამ ორი ავტორიდან რომელი იმსახურებს მეტ ნდობას. არ არის გამორიცხული, რომ ორივე მათგანი მართალია და ასეთი გაორებული შეფასების საფუძველს თავად აპოლონ ურუშაძის

ბიოგრაფია, ამა თუ იმ კონკრეტულ პერიოდში მისი საქმიანობა თუ გაორებული სიმპათია-ანტიპათიები იძლეოდა.

მეორეგან ალექსანდრ ზდანოვიჩი წერს:

„№ 2 ექსპოზიტურას თავისი რეზიდენტურები ჰქონდა პოლონეთის დიპლომატიურ საკონსულო წარმომადგენლობებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ცნობილია ორი ასეთი რეზიდენტურა. ერთ-ერთი მათგანის ხელმძღვანელი იყო ვიცე-კონსული თბილისში კსავერი ზალევსკი. ვერ დადგინდა, თუ კონკრეტულად რას ეფუძნებოდა ამ რეზიდენტურის მუშაობა და როგორი იყო მისი როლი ექსპოზიტურის (1920-1939 წლებში ასე ერქვა პოლონეთის სადაზვერვო ორგანოების ტერიტორიულ ქვედანაყოფებს – პ.ნ.) აგენტურულ საქმიანობაში. ზალევსკის საქმიანობის ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი მომენტია მისი შუამავლობა 1937 წელს ზემოთ უკვე ნახსენებ ექიმ ურუშაძესა და ნოე ჟორდანიას შორის ადრე გაყინული კონტაქტის განახლებაში“.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული მოქმედებებისა და ომამდელი პოლონეთის დაზვერვის სასარგებლოდ ჯაშუშური საქმიანობისთვის აპოლონ ურუშაძე 1953 წლის 28 აგვისტოს დააპატიმრეს თბილისში და იმავე დღეს ეტაპით გაუგზავნიათ მოსკოვში.

აპოლონ ურუშაძის შესახებ საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა საგანგებოდ დაჰკითხა ლავრენტი ბერია 1953 წლის 10 ნოემბერს. დაკითხვის ოქმი დღეს უკვე განსაიდუმლოებულია. აი, რას ვკითხულობთ ამ დოკუმენტში:

„კითხვა: იცნობთ თუ არა აპოლონ პავლეს ძე ურუშაძეს?

პასუხი: ვიცნობ. ეს იყო კბილის ექიმი თბილისში. წარსულში აქტიური მენშევიკი. საქართველოს ჩეკა იყენებდა მენშევიკებთან კავშირისთვის.

კითხვა: ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ ურუშაძემ პოლონეთის საკონსულოს დახმარებით არალეგალური კავშირი დაამყარა მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროსთან, კერძოდ – პოლონეთში ქართული კომიტეტის თავმჯდომარესთან, ნ. ჟორდანიას ყოფილ მდივანთან იმნაძესთან?

პასუხი: ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველო იყენებდა პოლონეთში მყოფ მენშევიკებთან კავშირისთვის თბილისში პოლონეთის კონსულის მეშვეობით. ურუშაძე, როგორც ექიმი, ემსახურებოდა კონსულს.

კითხვა: წარმოგიდგენთ ასლს ა. პ. ურუშაძის წერილისა, რომელიც მან 1937 წლის 8 თებერვალს გაუგზავნა იმნაძეს თბილისში ყოფილი გენკონსულის ზალევსკის მეშვეობით და რომელშიც ნათქვამია:

„ძმაო კოტე!

გისურვებ ჯანმრთელობას. მხოლოდ დღეს მომეცა შესაძლებლობა, მომეწერა შენთვის წერილი. რამდენი ხანია არ მინახავხარ და რამდენი რამის გადატანა მოგვიხდა ამ პერიოდში! ვფიქრობ, ახლა რომ გვნახო, ვერც კი გვიცნობდი. საშინელია ჩვენი მორალური მდგომარეობა და ჩვენი ტანჯვა. ჩვენ აქ მთლიანად მოწყვეტილი ვართ სამყაროს. არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ რა ხდება მანდ. დიდხანს ვიცადეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აქ სრული ანარქიაა გამეფებული. გაუგებარია, ვინ ვის სვამს ციხეში. გუშინდელი მთავრობა ციხეშია და არავინ იცის, ვინ სად მოხვდება ხვალ. მდგომარეობა ძალზე რთულია. ყოველდღე ველით რაღაც ახალს. ახლა ყველაფერი შესაძლებელია.

ამხანაგები ძალიან მთხოვენ, დავამყარო თქვენთან კავშირი. აუცილებელია, რაც შეიძლება მალე მივიღოთ თქვენგან ცნობები. როგორ გრძნობს თავს ნოე ჟ[ორდანია]? სად არის? რას აკეთებს? თუ ნახავ, გთხოვ, გადასცე ჩემგან გულითადი სალამი. ველი შენგან დაწვრილებით ინფორმაციას ამავე გზით. რაც შეეხება ამ წერილს, მის შესახებ მხოლოდ შენ უნდა იცოდე. იყავი ფრთხილად, რომ არავინ, ჩვენებმაც კი არაფერი გაიგონ ამ წერილზე.

ბოლშევიკებს ახლა ყველგან თავისი აგენტები ჰყავთ. პასუხი ზალევსკის სახელზე გამომიგზავნე, ცალკე კონვერტი ჩადე ჩემთვის. ზალევსკიმ იცის ამის შესახებ და მე გადმომცემს. ჩვენი მიმოწერის შესახებ გვეცოდინება მხოლოდ მე, ზალევსკის და შენ. თუ საჭიროდ ჩათვლი, გააგებინე ნოეს. სხვას არავის უთხრა. გახსოვდეს,რომ ეს საშიშია და საქმე შეიძლება გაფუჭდეს.

ამბობენ, რომ ემიგრანტებში შუღლი და ანარქია სუფევს. რაშია საქმე? მომწერე დაწვრილებით. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, ვინ რას წარმოადგენს. ვინ დარჩა, ვინ გავიდა. სად არიან ევგენი, აკაკი, კოწია გვარჯალაძე, არსენიძე, კაკი წერეთელი და ჩვენი სხვა ლიდერები? არიან თუ არა რამით დაკავებული? მომწერე პოლიტიკურ ვითარებაზე. შეიძლება თუ არა უახლოეს მომავალში რამის იმედი ვიქონიოთ თუ არა! საჭიროა ცნობები სანდო წყაროებიდან, რომ ამაზე რაღაც დაშენდეს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი დასკვნები გაკეთდეს.

ასე რომ, ველით პასუხს უახლოეს დროს. ეს წერილი სრულიად საიდუმლოა. შენს გარდა არავინ არ უნდა წაიკითხოს. წაკითხვისთანავე გაანადგურე. მიპასუხე იმავე გზით.

შენი აპოლონ ურუშაძე“.

იცნობთ თუ არა ამ წერილს?

პასუხი: მე მახსენდება, რომ უნდა დაწერილიყო წერილი იმნაძის სახელზე, მაგრამ ეს არის თუ არა ის წერილი, – არ შემიძლია თქმა. ეს ეცოდინებათ გოგლიძეს და ქობულოვს.

კითხვა: განა ურუშაძემ არ მოგცათ ეს წერილი ზალევსკის მეშვეობით მის პოლონეთში გაგზავნამდე?

პასუხი: შეიძლება. ვერ უარვყოფ, მაგრამ არ მახსოვს.

კითხვა: გაგაცნობთ ა. პ. ურუშაძის ჩვენებას ამ საკითხზე:

„ლ. ბერიას დავალებით ზალევსკისთან საუბარში მე დავადგინე, რომ პოლონეთში ცხოვრობენ იმნაძე კოტე – ნ. ჟორდანიას ყოფილი მდივანი, პოლკოვნიკი სიამონშვილი (სიც! – პ.ნ.) და სხვ., რის შესახებაც მე მოვახსენე ლ. ბერიას და მისგან მივიღე დავალება, მიმეწერა წერილი იმნაძისთვის და გადამეცა ზალევსკის მეშვეობით. ლ. ბერიამ მიკარნახა წერილის თემა და როცა დავწერე, წერილი წავაკითხე ლ. ბერიას, რომელმაც მოიწონა მისი შინაარსი. წერილი დაწერილი იყო ქიმიური ფანქრით, საკოპიო ქაღალდის მეშვეობით და წერილის ასლი მე გადავეცი პირადად ლ. ბერიას...“

სწორია ა. პ. ურუშაძის ჩვენება?

პასუხი: შესაძლოა, ასეც იყო, როგორც ამბობს ჩვენებაში ურუშაძე, მაგრამ ახლა მე არ შემიძლია ეს გავიხსენო.

კითხვა: მაშასადამე, თქვენ პირადად, ურუშაძის მეშვეობით საიდუმლო კავშირს ამყარებდით ქართველ მენშევიკებთან პოლონეთში?

პასუხი: მე უკვე ვთქვი ჩვენებაში, რომ საქართველოს შინსახკომი ურუშაძეს ქართულ ემიგრაციასთან კავშირისთვის იყენებდა.

კითხვა: თქვენი ჩვენება ტყუილია. შინსახკომის საარქივო დოკუმენტებში არ არის ეს წერილი, იგი აღმოჩნდა პოლონეთის გენერალური შტაბის მე-2 განყოფილების არქივში, რაც თქვენთვის ცნობილი იყო.

პასუხი: შესაძლოა, ამის შესახებ ჩემთვისაც იყო ცნობილი, მაგრამ ახლა ვერ ვიხსენებ. მახსენდება, რომ დაახლოებით ერთი წლის შინ სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამომიგზავნეს ცნობა იმის შესახებ, რომ პოლონეთის გენერალური შტაბის არქივებში აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლებიც მიუთითებდნენ ურუშაძის კავშირს პოლონურ დაზვერვასთან პოლონეთის კონსულის მეშვეობით. როგორც ჩანს, საქმე შეეხებოდა ამ წერილს და სხვა დოკუმენტებს. ეს ცნობა მე მაშინ გადავეცი გოგლიძეს, რათა ის ამ საქმით დაინტერესებულიყო.

კითხვა: 1939 წელს საქართველოს შინსახკომიდან თქვენ გამოგეგზავნათ დაწვრილებითი ცნობა იმის შესახებ, რომ ა. პ. ურუშაძე იმხილება საქართველოს კონტრრევოლუციურ

იატაკქვეშეთში აქტიურ მონაწილეობაში და ჯაშუშურ საქმიანობაში გერმანული და პოლონური სადაზვერვო სამსახურების სასარგებლოდ. თქვენ გახსოვთ ეს?

პასუხი: არ მახსოვს, მაგრამ შეიძლება კიდეც გამომიგზავნეს.

კითხვა: თქვენ წარგედგინებათ გასაცნობად ასლი ამ ცნობისა, რომელშიც იკვეთება ურუშაძის აქტიური მტრული საქმიანობა.

პასუხი: მე წარმომიდგინეს ასლი 1939 წლის 2 მაისის №44174 ცნობისა 10 ფურცელზე. მე მახსენდება ურუშაძის მტრული საქმიანობის ზოგიერთი ფაქტი.

კითხვა: რატომ არ დააპატიმრეს ა. პ. ურუშაძე, რომელიც კერენსკის მთავრობის დროს პეტროგრადის ერთ-ერთი რაიონის მილიციის უფროსი იყო, ხოლო საქართველოში მენშევიკური მთავრობის დროს – ტფილისის საქალაქო მილიციის უფროსი, იყო დამფუძნებელი კრების წევრი და 1918 წელს მონაწილეობდა ბოლშევიკების დახვრეტაში თბილისში, ხოლო 1924 წელს აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკურ აჯანყებაში და მხილებული იყო აქტიურ ჯაშუშურ საქმიანობაში უცხოური დაზვერვების სასარგებლოდ.

პასუხი: მე არ მახსოვს, რატომ არ დააპატიმრეს ურუშაძე.

კითხვა: აღიარეთ, რომ თქვენ დაიფარეთ ა. პ. ურუშაძე პასუხისგებისაგან, რადგან გქონდათ მასთან ჯაშუშური საქმიანობის ძველი დანაშაულებრივი კავშირები.

პასუხი: მე ამას არ ვაღიარებ.

ოქმი წავიკითხე. ყველაფერი სწორადაა ჩაწერილი ჩემი სიტყვებიდან.

ლ. ბერია.

დაკითხვა დასრულდა 18 საათზე.

დაჰკითხა სსრკ გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ".

ამ ოქმში ნახსენები წერილის გარდა, აპოლონ ურუშაძეს კიდევ ერთი წერილი გაუგზავნია ქართული ემიგრაციისთვის. აი, რას ამბობს ერთ-ერთი დაკითხვისას:

„რაც შეეხება ჩემს წერილს, რომელიც ქართული ემიგრაციის თავკაცს გავუგზავნე პარიზში თავაძის ხელით, ამ ფაქტის შესახებ ცალკე განმარტება უნდა მოგცეთ". ეს ცალკე განმარტება საქმეში არ ჩანს.

„სამაგიეროდ", გამოჩნდა სხვა წერილი, რომელიც აპოლონ ურუშაძეს რეემიგრანტ აკაკი ნიჟარაძისთვის გაუტანებია ნოე ჟორდანიასთან. ამ წერილის შესახებ თავის ცნობილ წიგნში „ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები" გელა სულაძე წერს:

„1947 წლის მარტში, მოსკოვში, სასტუმრო „ევროპაში", ცნობილმა ექიმ-სტომატოლოგმა, პროფესორმა, ყოფილმა სოციალ-დემოკრატმა აპოლონ ურუშაძემ, რომელსაც თავის დროზე ახლო ურთიერთობები ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან, ამ უკანასკნელისთვის განკუთვნილი წერილი გადასცა რეემიგრანტ აკაკი ნიკოლოზის ძე ნიჟარაძეს (დაბ. 1909 წ. ქ. ფოთში) საბჭოთა საგარეო დაზვერვის პარიზის რეზიდენტურის საიდუმლო პირს, რომელიც საფრანგეთში ბრუნდებოდა. წერილში ა. ურუშაძე მოუწოდებდა ნოე ჟორდანიას, შეეწყვიტა ანტისაბჭოთა საქმიანობა საზღვარგარეთ და თავისი ძალისხმევა მიემართა საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოდ".

საბჭოთასი რა გითხრათ და, თავად აპოლონ ურუშაძე, როგორც ჩანს, მუდამ ცდილობდა საქართველოს საკეთილდღეოდ გარჯილიყო, იმის მიუხედავად, სად რა როლს ასრულებდა და სად რა თანამდებობა ეკავა.

მოკლედ, ასეთია სტომატოლოგი გრაფის ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითადი ქარგა.

ლანჩხუთელი აზნაური. გურიელთა სამთავრო კარის მდივან-მწიგნობართა შთამომავალი. მენშევიკი, არალეგალი და კონსპირატორი. დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ანუ გენერალ-მაიორი. გრაფი. ჯერ ნიკოლოზ II-ისა და მერე ლავრენტი ბერიას პირადი სტომატოლოგი. პეტროგრადის ვიბორგის მხარის მილიციის უფროსი. რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი თუ რაღაც ამის მაგვარი. ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილისა და სხვა ცნობილ ქართველ მენშევიკთა ახლო ნაცნობი. დახვრეტას, საველე სასამართლოს და უშიშროების კლანჭებს

სასწაულით გადარჩენილი. ქართველ ესერთა ერთ-ერთი ლიდერი. თბილისის მილიციის უფროსი. საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლი. საქართველოს რომელიღაც მთავრობის ჯანდაცვის მინისტრი. მის მიერვე დაარსებული კლინიკებისა თუ ინსტიტუტების ხელმძღვანელი. მეცნიერული სტომატოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედიცინის დოქტორი და პროფესორი. საქართველოს დამსახურებული ექიმი. ორგზის პატიმრობაში მყოფი და შემდეგ რეაბილიტირებული. ბოლშევიზმის წინააღმდეგ პრომეთეული მოძრაობის წევრი. ემიგრაციაში არსებული საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენტი თბილისში...

თითქოს რამდენიმე ადამიანის ცხოვრებაა ჩატეული აპოლონ ურუშაძის არასრულ 70 წელიწადში – ექიმისა, პოლიციელისა, რევოლუციონერისა, პარტიული თუ სახელმწიფო ფუნქციონერისა, რეზიდენტისა, პატიმრისა...

Paata Natsvlishvili
Grigol Robakidze University

SEVERAL LIVES OF COUNT APOLLON URUSHADZE

RESUME

The research is about a very extraordinary person, with his contradictions, legal or illegal way of life.

Apollon Urushadze (1886-1961) was a dentist who first treated Russian Emperor Nicholas II, then Lavrentiy Beria, and the entire party elite of Georgia at that time.

A nobleman from Lanchkhuti. Descendant of the secretaries-scribes of the Guria's principality court. Menshevik, illegal and conspirator. Deistvitelni Statski Sovetnik or Major General. The Count. The head of the militia of the Vyborg district of Petrograd. A close acquaintance of Noah Jordania, Noah Ramishvili, and other famous Georgian Mensheviks. Miraculously saved from being shot, the military field court, and the clutches of Soviet security. One of the leaders of the Georgian Esers. Head of Tbilisi militia. A frontline fighter for the defense of Georgia's independence. Minister of Health of the Government of Georgia. Head of medical clinics or institutes founded by him. The founder of scientific dentistry in Georgia. Doctor of Medicine and Professor. Honored Doctor of Georgia. Twice imprisoned and then rehabilitated. A member of the Promethean movement against Bolshevism. A Tbilisi resident of the National Council of Georgia in exile...

It seems that the lives of several people were included in the 70-year life of Apollon Urushadze – a doctor, a policeman, a revolutionary, a party or state functionary, a resident, a prisoner...

ნესტან სულავა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის საგალობლის ერთი მეტაფორა-სიმბოლოს გააზრებისათვის („აღმართ მსრბოლი მდინარე“)

დავით აღმაშენებლის საგალობელი ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებს დაემყარა, გააგრძელა მას და თავად იქცა სასულიერო და საერო პოეზიისათვის საფუძვლად. ამაში სტრუქტურულად, იდეურ-შინაარსობრივად და სახისმეტყველებითად წარმმართველი ადგილი დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს უჭირავს ანდრია კრიტელის „დიდ კანონთან“ ერთად. სტატიის მიზანია საგალობლის ერთი სიმბოლური, მეტაფორული, ენიგმური, ალუზიური სახის კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, საღვთისმეტყველო და მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზი. ესაა მესამე გალობის მეორე ტროპარის ბოლო ტაეპი: „ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“, რომელმაც ადრეც მიიქცია მკვლევართა ყურადღება.

დავითის საგალობლის მესამე გალობის მეორე ტროპარში ჩამოთვლილია ადამის მოდგმის მიერ ჩადენილი ცოდვები, რომლებიც კაცობრიობამ დააგროვა პირველცოდვის ჩადენის შემდეგ, რის შედეგადაც პირველხატს დაცილებული ადამიანი ასცდა განგებისეული, ღვთივგანსაზღვრული განვითარების გზას და საგალობლის ავტორმა მთელი კაცობრიობის თანამოზიარედ მიიჩნია თავი. დავიმოწმებ ტროპარს:

„კაენის მკვლელებრი ცნობაჲ,
სეითის ძეთა ლირწებაჲ,
გმირთა სიღოდით მავალობაჲ,
ხუთ-ქალაქელთა
შეგინებისა მწჯრე –
უფროჲს ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისამან“[1].

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ საგალობლებში ტროპული მეტყველება იშვიათად გვხვდება, რაც განაპირობებს მხატვრული სააზროვნო სივრცის შეზღუდულობას. ტროპარში ჩამოთვლილ ცოდვათა პირველწყარო ბიბლიური წიგნებია, რომლის რელიგიურ-ქრისტიანული დოგმატური მზა ფრაზებით გადმოიცემა ჰიმნოგრაფის ფიქრი, განწყობილება, მრწამსი, რომელთა საშუალებით საგალობლის ლირიზმი უმაღლეს დონეზეა აწეული. სწორედ ესაა სასულიერო პოეზიის სპეციფიკური მახასიათებელი: ჰიმნოგრაფის სულიერი ძვრები, განწყობა შერწყმული ლირიზმთან. განსახილველი ტროპარი მთავრდება ფრაზით, რომლის ახსნა მხოლოდ მხატვრული საშუალებებითაა შესაძლებელი და იგი ერთდროულად არის ალუზია, მხატვრული და სიმბოლური სახე, ენიგმა, რის ახსნასაც ეძღვნება ეს ნაშრომი. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფრაზის მართებულმა გააზრებამ სამეცნიერო ლიტერატურაში პოლემიკა გამოიწვია.

მსჯელობა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური საკითხის განხილვით უნდა დავიწყოთ. ამთავითვე აღვნიშნავ, რომ საგალობლის ტექსტის შემცველ ყველა ხელნაწერში, ხოლო მათი რაოდენობა თხუთმეტია, რაც საგალობლის პოპულარობაზე მიუთითებს, ზუსტად ისეა, როგორც დამოწმებულ ტექსტშია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ ფრაზას: „ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან

[1] გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ. 215.

მდინარემან უკეთურებისამან“. გამოცემებში ლექსიკური ერთეული „აღმართ-მსრბოლმან“ სახეშეცვლილი სახით შეიტანეს და საგალობლის პირველი გამოცემიდან მოყოლებული კარგა ხნის განმავლობაში იგი არ იბეჭდებოდა ხელნაწერის მონაცემის გათვალისწინებით; ლექსიკური ერთეულის - „აღმართ-მსრბოლმან“ - ნაცვლად იბეჭდებოდა „დაღმართ-მსრბოლმან“; კერძოდ, გ. ხელაძის, მ. საბინინის, თ. ჟორდანიას, ი. ეკალაძის, ს. ყუბანეიშვილის, პ. ინგოროყვას, ი. ლოლაშვილის გამოცემებში სწორედ ამ ფორმითაა დაბეჭდილი; აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მათგანი არ არის მეცნიერული გამოცემა, ე.ი. ამ გამოცემებში არაა გათვალისწინებული ხელნაწერული მონაცემი და ტრადიცია. ხელნაწერთა ტრადიცია აღდგენილია ლაურა გრიგოლაშვილის გამოცემაში (1975 წლის გამოცემა და შემდეგ ყველა მის გამოცემაში), რომელშიც ეს სიტყვა ხელნაწერის ფორმითაა დაბეჭდილი: „აღმართ-მსრობლმან“. ასევე, „ქართული პოეზიის“ პირველ ტომში (გამოცემულია 1979 წელს), რომელიც სარგის ცაიშვილის მიერ არის შედგენილი, ლ. გრიგოლაშვილის გამოცემის კვალდაკვალ, აღდგენილია ხელნაწერთა ტრადიცია. ზურაბ ჭავჭავაძის მონოგრაფიაშიც ამავე ფორმით დაიბეჭდა (1993 წელი).

ლ. გრიგოლაშვილმა ტექსტის კომენტარებში აღნიშნა: „გალობანის“ დღემდე არსებულ ყველა გამოცემაში ხელნაწერების „აღმართ-მსრბოლი მდინარე“ შეცვლილია „დაღმართ-მსრბოლი მდინარით“, რითაც გამკრთალებულია ფიგურალური ნათქვამის მხატვრული შინაარსი. დაღმართმსრბოლობა მდინარის ისეთი განუყრელი თვისებაა, რომელიც საგანგებო დასახელებას არც საჭიროებს. ჩვენ არ ვამბობთ „ღრმა ზღვა“, „ნათელი ცეცხლი“, „დაღმართ-მსრბოლი მდინარე“, რადგან ეს ნიშნები თავისთავად იგულისხმება აღნიშნული საგნების დასახელებისას. ნაწარმოების ავტორმა „უკეთურების მდინარე“ შებრუნებულად, უკუღმა მსრბოლადაც წარმოგვიდგინა და ამით უმაღლეს ემოციურობას მიაღწია. საინტერესოა, რომ „აღმართი“ „შებრუნებულის“, „უკუღმას“ მნიშვნელობით დასტურდება ისეთ გამოთქმებშიც, როგორიცაა: „აღმართ-მეტყველება“, „აღმართ-აღთუალვა“, შეცვლილი ზმნისწინით - „მოღმართ-აღიარება“; საამისოდ მკვლევარს დამოწმებული აქვს ბასილი დიდის თხზულებისა და „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები. კერძოდ: „და კუალად დასჴსენ და იგივე საქმენი აღმართ-მეტყუელებენ“ (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაი, 1947: 92). „უკუეთუ ოდენ ისწრაფო აღმართ-აღთუალვისა ცილობითა ამის ჟამისთგან, რომელსა შენ ხარ პოვნად დღისა მის პირველისა, რომელსა შინა შეიქმნა სოფელი“ (იქვე, გვ.2). „რომელ თჳთ იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას“ (ქართლ. ცხ. I, 1955: 341). ასე რომ, „გალობათა“ ძირითად ტექსტში უნდა აღვადგინოთ ხელნაწერებისეული „აღმართ-მსრბოლი“[1].

ფრაზა ხატოვნად წარმოაჩენს ღმერთის ძლიერებას, რომ მას შეუძლია ბუნებაში ერთხელ დავანებული კანონის საპირისპირო ქმედება – მდინარის აღმა დინება. საყურადღებოდ ის მიგვაჩნია, რომ დავით აღმაშენებელმა კაცობრიობისა და თავისი ჩადენილი ცოდვები უკეთურების აღმართ-მსრბოლ მდინარეს შეადარა, რითაც ოპოზიციური სახე კიდევ ერთხელ შემოიტანა საგალობელში. მსგავსი მხატვრული სახე ფსალმუნში გვხვდება და შესაძლოა სწორედ ის იყოს „გალობანის“ ლიტერატურული წყარო: „იყო ჰურიასტანი სიწმიდე მისა და ისრაელი საბრძანებელი მისა, ზღუამან იხილა და ივლტოდა, და იორდანე უკუნიქცა მართლუკუნ“ (ფს. 113, 2-3). „რაჲ არს შენდა, ზღვაო, რამეთუ ივლტოდე და შენ, იორდანე უკუნიქეც მართლუკუნ?“ (ფს. 113, 5). მეორე ტროპარის ხსენებული მხატვრული სახე, სიმბოლური ხატი უკეთურების აღმართ-მსრბოლი მდინარის გამოძახილს პოულობს მეოთხე ტროპარის ბოლო ფრაზაში: „მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“, საიდანაც ჩანს, რომ დავით აღმაშენებელი თავის თავს მიაწერს ყოველგვარ ცოდვას, რაც კი

[1] გრიგოლაშვილი ლ., დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005, გვ. 207-208.

ჩაუდენია კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე, ე. ი. თავად კისრულობს კაცობრიობის მიერ ჩადენილ ცოდვებს, და თვითონ არის ცოდვილთა შორის „პირველი, საშუალი და დასასრული“, რომელშიც ბილწების ღვარი შეიკრიბა. უკეთურების აღმართ-მსრბოლი მდინარე და ბილწების ღვარი ისეთი პარალელური პარადგიმული სახეებია, რომელთაგან ერთი მეორეს ეყრდნობა, მეორე პირველისაგან გამომდინარეობს, ე.ი. ერთი და იმავე სახის განვითარებაა, მეორე (ბილწების ღვარი) პირველითაა განპირობებული. მდინარის „აღმართ დინების“ ფსალმუნურ მოტივს იცნობს წმ. ნინოს „ცხოვრება“. არეოპაგიტული სწავლებით, სიმბოლოები, პირობითი ნიშნები, სახეები შეიქმნა ურთიერთსაპირისპირო მიზანდასახულობით: ერთდროულად გამოვლინდეს და დაიფაროს ჭეშმარიტება, ე.ი. ისინი ენიგმური ხასიათისაა[1]. არეოპაგიტიკით, ანტინომიური ფორმულით ხდება ჭეშმარიტების ძიება[2] (იქვე). საგალობლის სახისმეტყველება ემყარება ბიბლიურ სიმბოლოებს, სახეებს, ხატებს, ენიგმებს, რომლებიც ზოგჯერ კონტრასტულია. სწორედ ამგვარი ენიგმური და ანტინომიური აზროვნების შედეგია დავით აღმაშენებლის „გალობანის“ ფრაზა: „...ვამრავალწილე, ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“, სადაც სიტყვა „აღმართ“ თავის ადგილზეა.

ტროპარის შინაარსის გათვალისწინებით, დაისმის კითხვა, ვინ ამრავალწილა ჩამოთვლილი ცოდვები? საგალობლის ავტორმა, როგორც „აღმართ მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“, ჰიმნოგრაფმა ადამიანის ზნეობრივი დაცემის სრული სურათი წარმოაჩინა, დავითმა თავისი ცოდვები, ჩადენილი და გაფიქრებულიც, უკეთურების აღმართ მსრბოლი მდინარის სხით წარმოდგენილი საკუთარის თავის ჩადენილად მიიჩნია, რაც ერთდროულადაა მეტაფორული, სიმბოლური, ალუზიური, ენიგმური გააზრების საფუძველი. დავით აღმაშენებელი თავადაა „აღმართ მსრბოლი მდინარე უკეთურებისა“, რომელიც არა-ჩვეულებრივი გზით ცდილობს სულიერ განწმენდას და ღმერთთან ადგილის დამკვიდრებას.

ამიტომ „ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ მეტაფორული აზროვნების გამოხატულებაა, რომელიც კონტრასტული მხატვრული სახეა და ერთდროულად არის საღვთისმეტყველო საზრისის მქონეც და ესთეტიკური ფენომენიც. ეს მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების მქონე სახე მეტაფორულად მიუთითებს უკეთურების მდინარის არაბუნებრივ მდგომარეობას, აღმართსრბოლას, რაც დაკავშირებულია ცოდვათა სიმრავლესთან, რომელთაგან განწმენდა საგალობლის ლირიკული გმირის სულიერი განახლებისათვის აუცილებელია.

„ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ არის სიმბოლური სახე, რომელიც მიანიშნებს როგორც თვით ავტორის პასუხისმგებლობას ღმერთის, საზოგადოების, საკუთარი თავის წინაშე, ისე მისწრაფებას ცოდვათაგან განთავისუფლებისაკენ, რითაც მთლიანად საგალობელი და კონკრეტულად ეს ტროპარი დავით აღმაშენებლის სულიერ ავტოპორტრეტად წარმოგვიდგება. ედემის ბაღიდან დევნილი ადამისა და ევას ყოფა, მათი განძარცვა ნათლის სამოსლისაგან გახდა საფუძველი უკეთურების მდინარის აღმართსრბოლისა, რომლითაც უნდა დაიძლიოს ტროპარში, მთლიანად საგალობელში ჩამოთვლილი ცოდვები.

„ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ არის ალუზია, რომელიც ბიბლიურ წყაროებს ემყარება. საზოგადოდ, ალუზია ავტორის სუბიექტურ თვალთახედვას გულისხმობს და მსმენელის//მკითხველის განათლებულობაზეა ორიენტირებული; ესაა ავტორის მხატვრული აზროვნების ამოკითხვის ენობრივი საშუალება; მკითხველის მიერ მისი წვდომა სულიერი და ინტელექტუალური პროცესია; იგი კავშირს ამყარებს ბიბლიური აზროვნების ორ ეტაპს შორის: ძველი და ახალი აღთქმის ეპოქებს შორის, რადგან იგი წარმოაჩენს ჰიმნოგრაფიული თხზულების მიმართებას ფსალმუნთა წიგნთან.

---

[1] **Дионисий Ареопагит**, Сочинения. **Максим Исповедник,** Толкования. Греческий текст с русским переводом Г. М. Прохорова. "Алетейя". СПБ. 2002. გვ. 508-509. (მითითებულია ბერძნული ტექსტის გვერდი).

[2] **Дионисий Ареопагит**, Сочинения. **Максим Исповедник,** Толкования. Греческий текст с русским переводом Г. М. Прохорова. gv. 508-509.

„ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ ალეგორიადაც შეიძლება მოვიაზროთ, რადგან ტაეპში ზოგადი მოვლენის, ადამიანის ცოდვით დაცემის, კონკრეტული სახე, ავტორის მიერ კაცობრიობის ცოდვის ტვირთვა საკუთართან ერთად, შენიღბულადაა მონიშნული.

„ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ - ეს ფრაზა ენიგმურია, რის საფუძველიც ისაა, რომ მასში არა-ბუნებრივი, არა-ჩვეულებრივი სახის მეშვეობით მჟღავნდება ავტორის ხატ-სახე, მისი ჩანაფიქრი; ამ სიტყვებით, უჩვეულო, ბუნების საწინააღდეგო მოვლენის გამოყენებით ავტორმა ჭეშმარიტების წვდომის საშუალებად ენიგმა გამოიყენა. ენიგმური სააზროვნო გამოთქმებით მდიდარია როგორც სასულიერო, ისე საერო პოეზია. ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ ჰიმნოგრაფიაში დავით აღმაშენებლის მემკვიდრის, დემეტრე-დამიანეს, ერთსტროფიანი იამბიკო, მიძღვნილი წმ. შიო მღვიმელისადმი („ცასა ბეწვითა ეკიდა, ვნახე, კაცი, და მასვე კაცს შუბის წვერს ედგნეს დარბაზნი“...), საერო ლიტერატურიდან – გალაკტიონ ტაბიძის „მესტიის ხიდი“ („მესტიის ხიდი, მესტიის ხიდი! თხას მატყლს სთხოვს დიდი, ბომბორა ცხვარი, ნუ თუ არ გჯერათ, ორბს დასაჭერად დასდევს ამჯერად ბელურა ცხარი“...) და კიდევ მრავალი სხვა. ენიგმები ხალხურ პოეზიაშიც დასტურდება, რის მაგალითადაც დავიმოწმებთ ხალხურ ლექსებს – „საბრალო დედაბრისასა“, სვანური „ბილება“ და სხვ. ესაა რეალობის უჩვეულო, სამყაროს შესახებ შებრუნებული, ამოყირავებული წარმოსახვა, რომელიც უძველეს ზეპირ და ლიტერატურულ წყაროებში იღებს სათავეს. ენიგმატურ პოეტიკას თავისი წესები აქვს. რამდენადაც წარმოსახულ სამყაროში ემპირიული წესრიგი გაუქმებულია, ენიგმატიკაში ყველაფერი ემორჩილება თაურცდომილებას პირველადი სიცრუის დაშვების თაობაზე. ეს „ცრუ საფუძველი“ არის აუცილებელი წანამძღვარი საოცრებათა თუ უცნაურობათა აქტის განსახორციელებლად. საგალობლის ამ ტაეპის აზრი ენიგმატური ლოგიკის ფარგლებშია მოქცეული.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის საგალობლის ერთი სიმბოლური, მეტაფორული, ენიგმური, ალუზიური სახის – „ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ – კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური, საღვთისმეტყველო და მხატვრულ-ესთეტიკური ანალიზის შედეგად გამოვლინდა მისი მხატვრული ღირებულება. მესამე გალობის მეორე ტროპარში ჩამოთვლილია ადამის მოდგმის მიერ ჩადენილი ცოდვები, რომლებიც კაცობრიობამ დააგროვა პირველცოდვის ჩადენის შემდეგ და პირველხატს დაცილებული ადამიანი ასცდა ღვთივგანსაზღვრული განვითარების გზას. საგალობლის ავტორმაც მთელი კაცობრიობის თანამოზიარედ მიიჩნია თავი.

საგალობლის ტექსტის შემცველ ყველა ხელნაწერში, ხოლო მათი რაოდენობა თხუთმეტია, რაც საგალობლის პოპულარობაზე მიუთითებს, საანალიზო ფრაზა ზუსტად ისეა, როგორც დავიმოწმეთ. ადრეულ გამოცემებში ფრაზა „აღმართ-მსრბოლმან“ შეცვლილია სიტყვით „დაღმართ-მსრბოლმან“; მხოლოდ ლაურა გრიგოლაშვილმა 1975 წელს ხელნაწერთა მონაცემების მიხედვით გაასწორა და აღადგინა სწორი ფორმა: „აღმართ-მსრობლმან“; მისი სრულყოფილი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ამ კონტექსტში. ასევეა 1979 წელს სარგის ცაიშვილის მიერ გამოცემულ „ქართული პოეზიის“ პირველ ტომში, ლ. გრიგოლაშვილის გამოცემის კვალდაკვალ და აღდგენილია ხელნაწერთა ტრადიცია. ზურაბ ჭავჭავაძის მონოგრაფიაშიც ამავე ფორმით დაიბეჭდა 1993 წელს.

ჰიმნოგრაფმა, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ავტორმა საგალობლისა, როგორც „აღმართ მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“, ტროპარში ადამიანის ზნეობრივი დაცემის სრული სურათი წარმოაჩინა, დავითმა თავისი ცოდვები, ჩადენილი და გაფიქრებულიც, უკეთურების აღმართ მსრბოლი მდინარის სახით წარმოდგენილი საკუთარის თავის ჩადენილად მიიჩნია, რაც ერთდროულად ქმნის მეტაფორული, სიმბოლური, ალუზიური, ენიგმური გააზრების საფუძველს. დავით აღმაშენებელი თავადაა „აღმართ მსრბოლი მდინარე უკეთურებისა“, რომელიც არა-ჩვეულებრივი გზით ცდილობს სულიერ განწმენდას და ღმერთთან ადგილის

დამკვიდრებას. ამიტომ იგი ენიგმურია, რადგან მასში არა-ბუნებრივი, არა-ჩვეულებრივი სახის მეშვეობით მჟღავნდება ავტორის ხატ-სახე, ჩანაფიქრი; უჩვეულო, ბუნების საწინააღდეგო მოვლენის გამოყენებით ავტორმა ჭეშმარიტების წვდომის საშუალებად ენიგმა გამოიყენა. „ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ ღრმა მეტაფორული აზროვნების გამოხატულებაა, რომელიც კონტრასტული მხატვრული სახეა და ერთდროულად არის საღვთისმეტყველო საზრისის მქონეც და ესთეტიკური ფენომენიც. ეს მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების მქონე სახე მეტაფორულად მიუთითებს უკეთურების მდინარის არა-ბუნებრივ მდგომარეობას, აღმართსრბოლას, რაც დაკავშირებულია ცოდვათა სიმრავლესთან, რომელთაგან განწმენდა საგალობლის ლირიკული გმირის სულიერი განახლებისათვის აუცილებელია. სიმბოლურად ეს ტროპარი დავით აღმაშენებლის სულიერ ავტოპორტრეტად წარმოგვიდგება. იგი არის ალუზიაც, რადგან ბიბლიურ წყაროებს, კერძოდ, ფსალმუნებს, ემყარება. საგალობელში შეიგრძნობა, რომ ავტორმა შეიცნო ყოვლისშემცნობი ღმერთის უზენაესობა, მისი სიწმინდე, მრავალმოწყალება, სამართლიანობა და მეტაფორულ-სიმბოლური, ალუზიურ-ენიგმური მხატვრული აზროვნებით გამოხატა დამოკიდებულება ღმერთისადმი, სამყაროსადმი, ადამიანისადმი, ზნეობრივ-ეთიკური პრინციპებისადმი. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ საგალობლისეული „ვითარცა რაჲ აღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან“ არაა მარტივად გასააზრებელი და მკითხველისა თუ მსმენელისაგან სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს.

Nestan Sulava
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Samtskhe-Javakheti State University

FOR THE UNDERSTANDING OF ONE METAPHOR-SYMBOL OF DAVIT AGMASHENEBELI'S HYMN
(“RIVER RUNNING UPHILL”)
RESUME

The purpose of the article is a symbolic, metaphorical, enigmatic, allusive codicological-textological, theological and artistic-aesthetic analysis of Davit Agmashenebeli's hymn. This is the last stanza of the second troparion of the third hymn: “As if a rushing river of violence”; The Troparion lists the sins committed by Adam's race, which humanity accumulated after committing the original sin, and the original man deviated from the divinely determined path of development. The author of the hymn also considered himself a sharer of all humanity.

In all the manuscripts containing the text of the hymn, and there are fifteen of them, indicating the popularity of the hymn, the analysis phrase is exactly as we have seen. In the early editions, the phrase “uphill runner'” was replaced by the word “downhill runner”; Only Laura Grigolashvili in 1975 corrected and restored the correct form according to the manuscript data: “Agmarth-Msroblman”; It can only be fully understood in this context. Also in the first volume of “Georgian poetry” published by Sargis Tsaishvili in 1979, In the footsteps of L. Grigolashvili's publication, the tradition of manuscripts has been restored. It was printed in the same form in Zurab Chavchavadze's monograph in 1993.

The hymnographer, the highly responsible author of the hymn, as “the river of wickedness ran uphill”, presented a complete picture of the moral decline of man in the troparion. David considered his sins, both committed and thought, as his own doing, presented in the form of a river of wickedness, which simultaneously creates a metaphorical, symbolic, The basis of allusive, enigmatic understanding. Davit Aghmashenebeli himself is the “uphill stream of the river of evil”,

who tries in an unusual way for spiritual purification and to establish a place with God. That's why it is enigmatic, because in it, the image of the author, the idea, is revealed through an unnatural, non-ordinary face; Using an unusual, pre-Easter event of nature, the author used an enigma as a way to access the truth. “As if an up-rushing river of corruption” is an expression of a deep metaphorical thought, which is a contrasting artistic form and is at the same time a theological phenomenon and an aesthetic phenomenon. This face with artistic-aesthetic value metaphorically indicates the unnatural state of the river of evil, the uphill race, which is connected with the multitude of sins, the purification of which is necessary for the spiritual renewal of the lyrical hero of the hymn. Symbolically, this tropar serves as a spiritual self-portrait of Davit Agmashenebeli. It is also an allusion because it is based on biblical sources, namely, the Psalms. That's why the hymn's phrase “as if a river ran up and down the river” requires deep access from the reader/listener.

კახაბერ ფიფია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ ისტორიისათვის

ახ.წ. II ს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული ცალკეული პოლიტიკური ერთეულებიდან ერთ-ერთი გამორჩეული იყო მაკრონ-ჰენიოხების „სამეფო.“ ფლავიუს არიანეს (დაახლ. 95-175 წწ.) ცნობით, ეთნიკურად ერთგვაროვან ტომებს – მაკრონებსა და ჰენიოხებს – ერთი „მეფე“ ჰყოლიათ[1]. ამდენად, ახ.წ. II ს. დასაწყისიდან ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეული გაერთიანებების ფორმირების პროცესში მაკრონებსა და ჰენიოხებს ერთიანი სამეფო შეუქმნიათ. მაკრონ-ჰენიოხების „სამეფოს“ შესახებ წერილობითი წყაროები მწირი და ფრაგმენტულია. აქედან გამომდინარე ჩვენ არ ვიცით კონკრეტულად რა პირობებში მოხდა მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ ფორმირება და რამ განაპირობა ის, რომ ამ ორმა ტომმა ერთიანი პოლიტიკური გაერთიანება შექმნა, მაშინ, როცა თუნდაც, მათზე ბევრად სუსტ აფსილებსა და აბაზგებს საკუთარი „მეფეები” ყავდათ.[2] ვფიქრობთ, ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ გეოგრაფიული მდებარეობით. იგი ისტორიული კოლხეთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობდა და უშუალოდ ესაზღვრებოდა რომის პროვინციულ სისტემაში ჩართული სანების მიწა-წყალს.[3] ჩრდილოეთით მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ საზღვრები მდ. ჭოროხის შესართავამდე,[4] იბერიის ქვეშევრდომობაში მოქცეულ ზიდრიტთა ოლქამდე აღწევდა[5], ხოლო აღმოსავლეთიდან, ასევე ძლიერი მეზობელი – არმენიის სამეფო ესაზღვრებოდა. ასეთი ძლიერი მეზობლების (რომი, იბერია, არმენია) გარემოცვაში მოქცეული ჭანური ტომების – მაკრონებისა და ჰენიოხებისათვის, ბუნებრივია, კოლხეთის ტერიტორიაზე I ს. ბოლოდან მიმდინარე ცალკეულ „სკეპტუხიათა” დაპირისპირებისა და მათი გამსხვილების შედეგად რომზე დამოკიდებული „სამეფოების” ჩამოყალიბების პროცესში,[6] უფრო პერსპექტიული ჩანდა ერთიანი „სამეფოს” შექმნა, რაც დამოუკიდებლობის შენარჩუნების მეტ გარანტიას იძლეოდა. შესაბამისად, როგორც ჩანს, II ს. დასაწყისისათვის, როდესაც რომმა გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ხელი შეუწყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ისტორიულად ჩამოყალიბებული ავტონომიური ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების - „სკეპტუხიების” ბაზაზე უფრო მსხვილი გაერთიანებების, ფორმალურად დამოუკიდებელი „სამეფოების” ფორმირებას,[7] ჰენიოხებსა და მაკრონებს ერთიანი „სამეფო“ შეუქმნიათ. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ადგილი ჰქონოდა ჰენიოხების, რომაელთა ამ ძველი მოკავშირეების მიერ მაკრონების ტომის დამორჩილებას.[8] ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია, მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანების ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო რომის სანქციითა და გარკვეული მხარდაჭერით.

---

[1] Arr., PPE, 11; **ფლავიუს არიანე.** მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა **ნ. კეჭაღმაძისა**. თბ., 1961, გვ. 42.

[2] Arr., PPE, 11.

[3] Arr., PPE, 11; **ნ. ლომოური.** ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 7.

[4] **ნ. ლომოური.** ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 8-10; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения.Тб., 1981, გვ. 220-221.

[5] Arr., PPE, 11.

[6] იხ.: **კ. ფიფია.** რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული „სამეფოების” წარმოქმნა კოლხეთში (ახ.წ. II ს.). თბ., 2012. გვ. 41-64.

[7] **კ. ფიფია**. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005, გვ. 45-50; **კ. ფიფია.** რომის აღმოსავლური პოლიტიკა..., გვ. 58-62.

[8] **კ. ფიფია.** რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული.., გვ. 63.

მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო საკმაოდ ძლიერ გაერთიანებას წარმოადგენდა. ის ტერიტორიული თვალსაზრისითაც, ყოველ შემთხვევაში იმ პერიოდის ცალკეული კოლხური პოლიტიკური ერთეულების სტანდარტებიდან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვან და შინაგანი პოტენციალითაც ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. ფლავიუს არიანეს ცნობით, მაკრონ-ჰენიოხების მეფის, ანქიალეს სასახლე მდ. პრიტანიდთან ყოფილა.[1] რამდენადაც მდ. პრიტანიდი გაიგივებულია თანამ. მდ. ფურტუნასთან (აბოვიწე), აქედან გამომდინარე შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს ცენტრი მდებარეობდა დაახლოებით ქ. ათინასთან".[2]

მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იმთავითვე იქცა რომაელთა მოკავშირედ და რომის პოლიტიკის ერთ-ერთ აქტიურ მხარდამჭერად აღმოსავლეთში. მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანებას, კოლხეთის სხვა „სამეფოებთან" შედარებით, უფრო მეტად სჭირდებოდა რომის კეთილგანწყობა, რამდენადაც იმპერიის ძლიერი მხარდაჭერის გარეშე აგრესიული მეზობლები – არმენია და იბერია ადვილად მოუღებდნენ მას ბოლოს[3]. შესაბამისად, მაკრონ-ჰენიოხთა მმართველები თავისი „სამეფოს'' განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებას რომაელთა ეგიდით ცდილობდნენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი რომზე დამოკიდებულება არ იყო უფრო მძიმე და მათაც იგივე ვალდებულებები ეკისრებოდათ, როგორიც კოლხეთის სხვა გაერთიანებათა „მეფეებს''. კერძოდ, მაკრონ-ჰენიოხთა „მეფეს'' ევალებოდა მისადმი რწმუნებულ ტერიტორიაზე წესრიგის დამყარება, ადგილობრივ მოსახლეობაში ანტირომაული ტენდენციების აღკვეთა და მათი მორჩილების უზრუნველყოფა; საჭიროების შემთხვევაში რომაული არ-მიისათვის სამხედრო დახმარების გაწევა, მისი სურსათით მომარაგება და მეკობრეობა-ყაჩაღობის წინააღმდეგ ბრძოლა[4].

მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს" მმართველები პირნათლად ასრულებდნენ მათზე დაკის-რებულ სამოკავშირეო ვალდებულებებს, რამდენადაც ეს მათ ინტერესებშიც შედიოდა და შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომის პოლიტიკასა და მაკრონ-ჰენიოხთა მისწრაფებებს შორის იყო ფაქტობრივად სრული თანხვედრა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დამოკიდებულება მაკრონ-ჰენიოხებსა და რომს შორის არ ყოფილა მხოლოდ ახ.წ. II ს. შექმნილი პოლიტიკური კონიუქტურის შედეგი. საინტერესოა, რომ ჰენიოხების გაერთიანება რომაელთა მოკავშირედ იხსენიება ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს. შუახანებიდან. როგორც ცნობილია ძვ.წ. 49-48 წწ. იულიუს კეისარსა და პომპეუსს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომის გადამწყვეტი ბრძოლა თესალიაში, ქალაქ ფარსალოსთან გაიმართა. ამ ბრძოლაში მთელი რომაული აღმოსავლეთი პომპეუსის მხარეს იდგა. პომპეუსის დროშებქვეშ იბრძოდა აღმოსავლეთის მრავალი მეფე და სარდალი.[5] რომაული საისტორიო ეპოსის თვალსაჩინო წარმომადგენელი ლუკანუსი (ახ.წ. 39-65) ფარსალოსის ბანაკის აღწერისას, პომპეუსის მოკავშირეთა შორის ასახელებს „მრისხანე ჰენიოხებსაც."[6] ამდენად, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, რომსა და ჰენიოხებს შორის მეგობრულ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ პომპეუსის დროს.

არ არის გამორიცხული, რომ ჰენიოხებს პოლემონიდური პონტოს სამეფოს შემადგენლო-ბაში ყოფნის დროსაც აღმოეჩინათ დახმარება რომაელებისათვის. ასეთი ვარაუდის საფუძველს

---

[1] Arr., PPE, 7.

[2] **ს. ჯანაშია.** თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, – *შრომები.* ტ. III. თბ., 1959, გვ. 22-23.

[3] **გ. მელიქიშვილი.** საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები. I. თბ., 1970, გვ. 546.

[4] **М. П. Инадзе.** К истории Грузии античного периода (Флавий Арриан и его сведения о Грузии), автореферат диссертации, представленной на соискание ученной степени кандидата исторических наук, Тб., 1953, გვ. 14; **Д. Браунд.** Римское присутствие в Колхиде и Иберии. – *Вестник древней истории*, №4, 1991, გვ. 48.

[5] **App.,** Bell. civ., II, 70-71; **Plut.,** Pomp., 64.

[6] **Lucan.,** Phars., III, 265-270; **Ф. А. Петровский.** Марк Анней Лукан и его поэма о гражданской войне. – წგნ.: **Марк Анней Лукан.** Фарсалия или поема о гражданской войне. *Перевод **Л.Е. Остроумова,** редакция, статья и комментарии **Ф.А. Петровского.*** М., 1993, გვ. 251-299.

იძლევა ტაციტუსის (ახ.წ. 55-120 წწ.) „ანალების“ ერთი ეპიზოდი, სადაც საუბარია რომაელთადმი მეგობრულად განწყობილ ტომზე, რომელიც ახ. წ. 58 წ. თავს დასხმია სომხეთს და ამით დახმარება გაუწევია რომაელი სარდლის კორბულონისათვის.[1] თუმცა, ამ ტომის ვინაობის შესახებ ტაციტუსის ცნობა არაზუსტია და ხელნაწერში ისინი „Insochi“-ებად იხსენებიან. ამ „Insochi“-ებს მკვლევართა ნაწილი „ჰენიოხებად“ ასწორებს,[2] ნაწილი კი, მას „მოსხებად“ მიიჩნევს[3]. ტაციტუსის ეს ცნობა რამდენადმე ბუნდოვანია, თუმცა, ვფიქრობთ, არაა გამორიცხული „Insochi“-ში ჰენიოხები იგულისხმებოდეს, რადგანაც, როგორც აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, მოსხები – ესაა იბერიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა და მათი ცალკე, იბერთაგან განსხვავებული ძალის სახით გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე ნაკლებ საფიქრებელია.[4] გარდა ამისა, აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ტაციტუსი „Insochi“-ების შესახებ ამბობს, რომ ესაა „ხალხი, რომელიც უმალ სხვებზე უფრო ერთგულ მოკავშირეობას უწევს რომაელებს.“[5] რომსა და მაკრონ-ჰენიოხების გაერთიანებას შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს თუ გავითვალისწინებთ, ასეთი „ერთგული მოკავშირეობა“ პირველ რიგში სწორედ ჰენიოხებს მიესადაგება.

ახ.წ. II ს. დასაწყისიდან მაკრონ-ჰენიოხთა პრორომაული ტენდენციები კიდევ უფრო გამოიკვეთა. ისინი აქტიურად მონაწილეობენ რომის აღმოსავლურ ბატალიებში. ტრაიანეს აღმოსავლური ლაშქრობის დროს, 114 წელს მაკრონ-ჰენიოხთა რაზმები მოკავშირეობას უწევენ სომხეთში შეჭრილ რომაულ არმიას. დიონ კასიოსის (დაახლ. 153-235წწ.) ცნობით, ტრაიანე „მივიდა სატალაში და ანქიალე – ჰენიოხებისა და მახელონების მეფე, საჩუქრებით დააჯილდოვა“.[6] სომხეთზე გალაშქრების წინ სატალა წარმოადგენდა რომაული ჯარების თავშეყრის პუნქტს და აქ კონცენტრირებული იყო რომაელთა აღმოსავლური კამპანიის მონაწილე ძირითადი ძალები. სატალაში ანქიალეს ყოფნა და იმპერატორის მიერ მისი დასაჩუქრება მიუთითებს, რომ მაკრონ-ჰენიოხთა დამხმარე ძალები ერთგულ მოკავშირეობას უწევდნენ სომხეთში შესაჭრელად გამზადებულ ძირითად რომაულ არმიას.[7] ანქიალეს მონაწილეობა პართია-სომხეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში, განპირობებული იყო არა მხოლოდ მისი სამოკავშირეო ვალდებულებით, არამედ საკუთარი ინტერესებითაც: მას არ აწყობდა სომხეთში პართელთა დამკვიდრება[8]. მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს” ისედაც გართულებული ჰქონდა მდგომარეობა იბერიის სამეფოს გაძლიერებისა და ამ უკანასკნელის კოლხეთის ზღვისპირეთში, ზიდრიტთა ოლქში შეღწევის სურვილის გამო.[9] ასეთ პირობებში, ანტირომაული ძალების მოსვლა სომხეთის ხელისუფლებაში, მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანებას ფაქტობრივად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა.

როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან რომისა და მაკრონ-ჰენიოხთა ურთიერთობები ახალ ფაზაში

---

[1] **Tac.,** Ann., XIII, 37.

[2] **გ. მელიქიშვილი.** საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 546; ***Cambridge Ancient History. vol. X. Cambridge, 1963, გვ. 880.***

[3] **Т. Моммзен**. История Рима, V, М., 1949, გვ. 350; **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и Кавказе, Вестник древней истории, 1949, №3, გვ. 219; ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, – *ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებითურთ გამოსცა* ***ა. გამყრელიძემ***. თბ., 1973, გვ. 87; **Н. Ю. Ломоури**. Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 225-226.

[4] **გ. მელიქიშვილი.** საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 546, შენ. 1.

[5] **Tac.,** Ann., XIII, 37.

[6] **Dio Cass.,** LXVIII, 19, 2;

[7] **კ. ფიფია.** მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფო” – რომის მოკავშირე აღმოსავლეთში. – საისტორიო ძიებანი. IV. თბ., 2001, გვ. 52-54; **კ. ფიფია**. ტრაიანეს აღმოსავლური ლაშქრობის ისტორიისათვის. – საისტორიო ძიებანი. VII, თბ., 2004, გვ. 213-218.

[8] დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, – *ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო* ***ნ. ლომოურმა***. თბ., 1966, გვ. 136; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские.., გვ. 228.

[9] **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские.., გვ. 228 შენ. 61.

შევიდა. მათი ინტერესების თანხვედრა ხდება კოლხეთის სანაპირო სექტორში, ზიდრიტთა ოლქში შეჭრილი იბერიის სამეფოს შემდგომი ტერიტორიული გაფართოების პრევენციის საკითხშიც. იბერიის მხრიდან მოსალოდნელი ექსპანსიის აღკვეთა იყო მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიაზე, აფსაროსის ციხეში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი რომაული გარნიზონის განლაგების ერთ-ერთი მიზეზი. აფსაროსის ციხე მოდერნიზებულ იქნა 129-131 წწ. იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) ბრძანებით.[1] არიანეს საინსპექციო მოგზაურობის დროისათვის აქ ხუთი სპეირა მდგარა[2]. აფსაროსის ციხე-სიმაგრის (Castellum) ზომიდან (194X245მ)[3] გამომდინარე, იგი საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს და მას დაახლოებით ათასი სამხედრო მოსამსახურე შეეძლო დაეტია[4].

მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს" რომის მხარდაჭერა სჭირდებოდა დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობისათვის ბრძოლაშიც. როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილი პოლიტიკური კონიუქტურის პირობებში, რომი წინააღმდეგი არ იყო კოლხეთის მთელი ტერიტორია მასზე დამოკიდებული, შედარებით ძლიერი მმართველის ხელით გაეკონტროლებინა.[5] ბუნებრივია, მაკრონ-ჰენიოხებს ჰქონდათ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პირველობის პრეტენზია. თუმცა, მათ ძლიერი კონკურენტიც ყავდათ ლაზთა სამეფოს სახით. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანება ლაზებზე ძლიერიც კი იყო, ის ამ ბრძოლაში თავიდანვე წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. რომისათვის შესაძლოა უფრო ხელსაყრელიც კი იყო მათი უშუალო მეზობლისა და ძველი მოკავშირის ხელით დანარჩენი კოლხეთის გაკონტროლება, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მაკრონ-ჰენიოხთა ამბიცია - თავისი გავლენა გაევრცელებინა მისი ჩრდილოეთით არსებულ დანარჩენ კოლხურ ტერიტორიებზე, გადაულახავ ბარიერს აწყდებოდა ზიდრიტთა ოლქში გაბატონებული იბერიის სახით. ფარსმანის მიერ ზიდრიტთა ოლქის მიტაც-ებამ ფაქტობრივად დაასამარა მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს" ჩრდილოეთისაკენ გაფართოების მისწრაფებები. კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს" არ ქონდა ზღვისპირეთიდან იბერიის გაძევების საშუალება, და ეს თუნდაც რომ მოეხერხებინა (რაც ძნელად წარმოსადგენია), შემდეგში ლაზთა სამეფოს წინააღმდეგ ექსპანიის გაგრძელება, მათი დამარცხებაც და ჩრდილო-დასავლეთისკენ გაჭრა არათუ მაკრონ-ჰენიოხების, არამედ სხვა, ბევრად უფრო ძლიერი სახელმწიფოს ძალებსაც აღემატებოდა. იბერიის წინააღმდეგ მაკრონ-ჰენიოხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ გამოსვლა თუ ექნებოდათ რომის თანხმობა და რეალურ სამხედრო დახმარებასაც მიიღებდნენ იმპერიისაგან. თუმცა, მაკრონ-ჰენიოხებს ამ მხრივაც არ გაუმართლათ. ტრაიანეს დიდი დაპყრობების ხანა დასრულდა, ხოლო იმპერატორი ადრიანე ოფიციალურად თავდაცვით პოლიტიკაზე გადავიდა და მაქსიმალურად ცდილობდა თავიდან აერიდებინა კავკასიაში მოვლენათა ესკალაცია.[6] ფარსმანმა კი, თავისი აქტიური პოლიტიკით საკმაოდ გაამყარა იბერიის პოზიციები ამიერკავკასიაში, შეინარჩუნა დაპყრობილი ზიდრიტთა ოლქი და მოგვიანებით მიაღწია იმასაც, რომ ადრიანეს მემკვიდრის ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) პრინცეპსობისას რომმა ცნო იბერიის ტერიტორიული გაფართოება დასავლეთისაკენ, კოლხეთის ზღვისპირეთში.

ამდენად, მაკრონ-ჰენიოხთა ექსპანსია ჩრდილოეთის მიმართულებით იბერიის ფაქტორის გამო იმ პერიოდში გამოირიცხა. რომმა ნათლად დაინახა, რომ მაკრონ-ჰენიოხთა ეგიდით დასავლეთ საქართველოს გაერთიანება პერსპექტივაში ნიშნავდა მაკრონ-ჰენიოხების

---

[1] **კ. ფიფია.** რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., თბ., 2005, გვ. 115-116.

[2] **Arr.,** PPE, 6.

[3] **В. А. Леквинадзе.** Материалы по истории и архитектуре Апсарской крепости, – *„Византийский временник"*, т. XX, 1961, გვ. 230; **В.А. Леквинадзе.** Понтийский лимес. – Вестник древней истории, 1969, №2, გვ. 77-78.

[4] **თ. თოდუა,** რომაული სამყარო და კოლხეთი, თბ.,2003, გვ. 56.

[5] **კ. ფიფია.** ანტონინუს პიუსის აღმოსავლური პოლიტიკა და ლაზეთის სამეფო. – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული. N 22, 2023, გვ. 59-62.

[6] **კ. ფიფია.** რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 107-115.

დაპირისპირებას ჯერ იბერიასთან, შემდეგ კი, ასევე ძლიერ ლაზიკასთან, რაც სიტუაციას მხოლოდ თუ არევდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და რეალურ შედეგს ვერ მოიტანდა. ასე რომ, იბერიამ, მისდა უნებურად დიდი სამსახური გაუწია ლაზებს, რამდენადაც კოლხეთს მოწყვიტა და პირველობისთვის ბრძოლას ჩამოაშორა მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო; ამასთან უზრუნველყო რომის ძლიერი მხარდაჭერა ლაზიკისთვის, რაც II ს. 50-60-იან წწ. დასრულდა კიდეც ლაზთა მიერ ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის შემოერთებით.[1]

საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთიანი ლაზთა სამეფოს წარმოქმნის შემდეგ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო თანდათანობით ქრება ანტიკური წყაროებიდან. მაკრონ-ჰენიოხები რომის აღმოსავლური ლაშქრობების კონტექსტში ბოლოს სწორედ II ს. 60-იანი წწ., მარკუს ავრელიუსისა (161-180) და ლუციუს ვერუსის (161-169) ერთობლივი მმართველობის დროს ფიქსირდებიან. დიონ კასიოსის ცნობით, იმპერატორმა მარკუს ავრელიუსმა „სატრაპი ტირიდატე, რომელმაც აჯანყება მოახდინა არმენიაში და მოკლა ჰენიოხების მეფე და რომელმაც ხმალი აღმართა ვერუსის წინააღმდეგ, როდესაც უკანასკნელი ამ საქმეების გამო საყვედურობდა, სიკვდილით კი არ დასაჯა, არამედ მხოლოდ ბრიტანეთში გადაასახლა“.[2] ჩვენ გვქონდა საშუალება შეგვესწავლა ეს ცნობა და იმ პერიოდში რომაულ აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაციის ანალიზის შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ დიონ კასიოსის მიერ აღწერილ ამ ეპიზოდს ადგილი უნდა ჰქონოდა მარკუს ავრელიუსის მმართველობისას რომსა და პართიას შორის გაჩაღებული საკმაოდ ხანგრძლივი ომის დროს (161-166წწ.), რომლის მიზეზიც კვლავ არმენია გახდა. ტირიდატეს აჯანყების დაწყების დროისათვის ჰენიოხთა „მეფის“ სომხეთში ყოფნა იმით შეიძლება აიხსნას, რომ იგი თავის სამოკავშირეო დამხმარე ძალებთან ერთად მონაწილეობდა სომხეთისათვის ბრძოლაში და ირიცხებოდა სომხეთში დისლოცირებული რომაული საოკუპაციო ჯარის ნაწილების შემადგენლობაში.[3] ამდენად, მაკრონ-ჰენიოხების მეფე ასრულებდა თავის სამოკავშირეო ვალდებულებას, რასაც შეეწირა კიდეც.

აღნიშნული პერიოდის მაკრონ-ჰენიოხების „სამეფოს“ რომთან ურთიერთობის შესახებ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ციხისძირში, იმ დროს მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ ტერიტორიაზე აღმოჩენილი განძის ერთ-ერთი ნივთი. ეს არის ოქროს გულსაბნევი. მასში ჩასმულია ამოკვეთილი ქვა – მთის ბროლი ლუციუს ვერუსის გამოსახულებით.[4] აღნიშნული გულსაკიდი ლუციუს ვერუსის პორტრეტით სწორედ მის მეფობას, თანაც მისი აღმოსავლეთში ყოფნის დროს უნდა ეკუთვნოდეს, ვინაიდან საეჭვოა, რომ ასეთი მაღალი ოსტატობით შესრულებულ ჩარჩოში მოთავსებული ლუციუს ვერუსის პორტრეტი უფრო გვიან გაჩენილიყო[5]. ლუციუს ვერუსის გამოსახულებიანი გულსაკიდის ჰენიოხთა ტერიტორიაზე აღმოჩენა შეიძლება მიჩნეულ იქნას ჰენიოხების რომისადმი მოკავშირეობა-მეგობრობისა და 161-166წწ. პართიასთან ლუციუს ვერუსის მთავარსარდლობით მებრძოლი არმიისათვის აქტიური მხარდაჭერისა და ერთგულების ნიშნად.

ამის შემდეგ მაკრონ-ჰენიოხები როგორც სამხედრო-პოლიტიკური აქტორები ფაქტობრივად ქრებიან ანტიკური წყაროებიდან. ჩვენ არაფერი ვიცით მათ შესახებ III ს. შუახანებამდე. როგორც ჩანს, მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანების ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. როგორც ვნახეთ, ის დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა ძალთა იმ ბალანსის პირობებში, რომელიც არსებობდა რეგიონში რომს, არმენიასა და იბერიას შორის. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში

---

[1] **კ. ფიფია.** ანტონინუს პიუსის აღმოსავლური პოლიტიკა და ლაზეთის სამეფო, გვ. 57-62

[2] **Dio Cass.,** LXXI, 14, 2; დიონ კასიოსის ცნობები.., გვ. 83.

[3] **კ. ფიფია.** მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფო" – რომის მოკავშირე აღმოსავლეთში, გვ. 61-67.

[4] **ნ. ხოშტარია.** ციხისძირი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, თბ., 1962, გვ. 8; **Б. В. Фармаковский.** Случайные находки и приобретения, Кутаисская Губерния. – Отчет Археологической Комиссии, 1907, СПб., 1910, გვ. 117; **М. И. Максимова.** Античные резные камни Эрмитажа. – Путеводитель по выставке, Государственный Эрмитаж, Л., 1926, გვ. 91.

[5] **ნ. ხოშტარია.** ციხისძირი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, გვ. 28.

ერთიანი ლაზიკის სამეფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ბუნებრივია, მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანება დაკარგავდა რომაელთა საყრდენის ფუნქციას რეგიონში და მისი გავლენა შემცირდებოდა. საინტერესოა, როგორ აისახა მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანებაზე II ს. მიწურულს კოლხეთში მომხდარი მოვლენები, როცა აღმავლობის გზაზე მდგარმა ლაზეთის სამეფომ, რომელიც ამ დროისათვის მოიცავდა კოლხეთის უდიდეს ნაწილს ზიდრიტთა ოლქიდან გაგრა-ბიჭვინთის სექტორამდე, ისარგებლა 193-197 წწ. რომში მიმდინარე სამოქალაქო ომით და სცადა რომის გავლენისაგან გათავისუფლება, თუმცა უშედეგოდ.[1] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში, იმპერატორ სეპტიმიუს სევერუსის (193-211 წწ.) მიერ ლაზთა სამეფოს დამორჩილების[2] შემდეგ, რომაულ დღის წესრიგში კვლავ დადგა მაკრონ-ჰენიოხების გაერთიანების გაძლიერების საკითხი, თუმცა ამის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია.

III ს. დასაწყისიდან საერთო-პოლიტიკური სიტუაცია მახლობელ აღმოსავლეთში მკვეთრად შეიცვალა. რომის სახელმწიფოში იწყება სოციალურ-ეკონომიკური სტაგნაციისა და მძაფრი პოლიტიკური კრიზისის ხანა. იმპერიის შინაგანმა დასუსტებამ გამოიწვია მისი მტრების გააქტიურება. თითქმის ყველა საზღვარზე დაიწყო ბარბაროსთა პერმანენტული თავდასხმები. კრიზისმა კულმინაციას მიაღწია „ჯარისკაცთა იმპერატორების" (235-284 წწ.) ხანაში და ის იმდენად მასშტაბური იყო, რომ რომის სახელმწიფომ რღვევა დაიწყო. კატასტროფული მდგომარეობა შეიქმნა აღმოსავლეთშიც. III ს. 20-იან წლებში სუსტი, დეცენტრალიზებული და რომთან კონფრონტაციით დაუძლურებული პართიის სამეფოს ნანგრევებზე ახალი, ძლიერი სასანიდთა სამეფოს წარმოქმნამ რადიკალურად შეცვალა ძალთა ბალანსი და სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია მახლობელ აღმოსავლეთში. იმ ცვლილებებმა, რომლებიც ირანში სასანიდთა ხელისუფლებაში მოსვლამ გამოიწვია, დიდი გავლენა მოახდინა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ვითარებაზეც და, კერძოდ, თითქმის მთლიანად რომზე ორიენტირებულ მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოზე". ამიტომ, როგორც კი შეიცვალა ძალთა თანაფარდობა ირანის სასარგებლოდ და მისი ზეწოლა რომაულ სამფლობელოებზე გაძლიერდა, მაკრონ-ჰენიოხების „სამეფო" სპარსეთის მეფის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა. ამის შესახებ ჩვენ ვიგებთ მეორე სასანიანი მეფის, შაბურ I-ის (242-272) ცნობილი სამენოვანი (პართულ-ფალაური, სასანურ-ფალაური და ბერძნული) წარწერიდან, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1936 წ. პერსეპოლისის მახლობლად, ნაკშ-ი რუსტამში მდებარე ზოროასტრის ტაძრის, ე.წ. „ზოროასტრის ქაბის" კედელზე.[3] ეს წარწერა წარმოადგენს შაბურ I-ის მეფობის პირველი ოცწლეულის შედეგების თავისებურ აღწერას. მასში ლაპარაკია რომის წინააღმდეგ წარმატებულ ბრძოლებზე და იმ ქვეყნებსა და ხალხებს შორის, რომლებიც ირანს უხდიან ხარკს, დასახელებულია მახელონიაც.[4]

ამდენად, „ზოროასტრის ქაბის" წარწერის თანახმად, მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფო", შაბურ I-ის ქვეშევრდომობაში მოქცეულა. სპარსელების შეჭრას მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიაზე ადგილი უნდა ჰქონოდა III ს. შუა წლებში, 254/255 წ. ბარბალისასთან გამარჯვების შემდეგ, როცა სპარსელებმა სასტიკად ააოხრეს სირია, კილიკია, კაპადოკია და მცირე არმენია. ამ ლაშქრობის დროს აღებულ იქნა ქალაქი სატალაც, რომელიც უშუალოდ მაკრონ-ჰენიოხთა სამეფოს მეზობლად მდებარეობდა. სპარსელთა ამ ძლევამოსილი რეიდის შემდეგ, რომს უნდა ეცნო ირანის დაპყრობათა დიდი ნაწილი და სწორედ ამ დროს უნდა მომხდარიყო ირანის დამკვიდრება მახელონიაშიც.[5] თუმცა, როგორც ჩანს, მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანების ტერიტ-

---

[1] **Georg. Syncell.,** 671, 1-10. – გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. I. *ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო* ***ს. ყაუხჩიშვილმა***. თბ., 1941, გვ. 68.

[2] **კ. ფიფია.** იმპერატორი სეპტიმიუს სევერუსი და ლაზეთის სამეფო.- ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი. X. თბ., 2008, გვ.323-332.

[3] **M. Sprengling.** Third Century Iran. Sapor and Kartir. Chicago, 1953, გვ. 7; **E. Honigmann** et **A. Maricq**. Recherches sur les Res gestae divi Saporis, Bruxelles. 1953, გვ. 3-4, 11-17.

[4] **M. Sprengling,** Third Century..., გვ. 7; **E. Honigmann et A. Maricq,** Recherches..., გვ. 11.

[5] **ნ. ლომოური.** ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. თბ., 1975, გვ. 34-35; **კ. ფიფია.** რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ახ.წ. III ს.). თბ., 2006, გვ. 47-49.

ორია დიდხანს არ დარჩენილა სპარსელთა ხელში. III ს. 80-იანი წლების დასაწყისში, იმ დროს, როდესაც იმპერატორ კარუსის (282-283 წწ.) ლაშქრობის შედეგად სპარსეთმა დაკარგა სომხეთი, იგი დაკარგავდა მახელონიასაც, რომელიც კვლავ რომაელთა გავლენის სფეროში უნდა მოხვედრილიყო.[1] მაგრამ ამჯერად რომაელებმა, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად არ ჩათვალეს თავიანთი ძველი მოკავშირის დამოუკიდებლობის აღდგენა და ყოფილი მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოს“ ტერიტორია უშუალოდ თავიანთ სამფლობელოებს შეუერთეს. როგორც IV ს. მეორე ნახევრის რომაელი ისტორიკოსის ამიანე მარცელინეს ცნობიდან ირკვევა, IV ს. 60-იანი წლებისათვის ლაზიკის სამეფოს რომაული სამფლობელოებისაგან მხოლოდ „მაღალი მთები“ ყოფდა.[2] აქ, როგორც ჩანს, ჭოროხის შესართავის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მაღალი მთიანეთი იგულისხმება.[3] მაშასადამე, ლაზეთის სამეფოს სამხრეთი საზღვარი უკვე ამ მთებს (ჭანეთის მთები) უნდა მისდგომოდა.[4] ამდენად, თუ II ს. 30-იან წლებში რომაულ სამფლობელოებსა და ლაზეთის „სამეფოს“ შორის მდებარეობდა ჯერ მაკრონ-ჰენიოხთა, ხოლო შემდეგ იბერიის ქვეშევრდომი ზიდრიტების ტერიტორია,[5] IV ს. 60-იანი წლებისათვის ისინი უკვე აღარ იხსენიებიან. მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორია რომმა უშუალოდ თავის პროვინციულ მმართველობას დაუქვემდებარა, ხოლო ზიდრიტთა მიწა-წყალი, როგორც ჩანს, აქეთკენ გაფართოებული ლაზეთის სამეფოს საზღვრებში მოექცა.[6]

ამრიგად, რომი-ირანის დაპირისპირება მაკრონ-ჰენიოხთა „სამეფოსათვის“ ძალზე მძიმე შედეგით დასრულდა და ის საბოლოოდ გაქრა ისტორიის ასპარეზიდან.

Kakhaber Pipia
Sokhumi State University

FOR THE HISTORY OF „KINGDOM” OF MACRON-HENIOCHS

RESUME

Since the beginning of the 2nd century political unions, formed on the territory on the Eastern Black Sea Coast, were officially Rome’s “friends and allies”. One of the most prominent among them was the kingdom of Macron-Heniochs. During almost the whole II century existed “friendly” relation and “alliance” between Rome and the “kingdom” of Macron-Heniochs. According to the data at our disposal, it is possible to consider the “kingdom” of the Macrons and Heniochs as a faithful ally of Rome and one of the active conductors of Roman policy in the East.“kingdom” of the Macrons and Heniochs had a claim on the hegemony in the West Georgia.

The “kingdom” of Macron-Heniochis experienced the worst consequences of the 3-rd century crisis. Approximately, on 255/256 it fell under the protectorate of Iran. Nevertheless, in 270-280’s, after the improvement of the military and political situation in the Roman Empire, it was returned to the imperial sphere of influence. This time it lost its independence and disappeared from the historical scene.

---

[1] **Н.Ю. Ломоури**, Грузино-римские..., გვ. 273-274; **კ. ფიფია.** რომაული სამყაროს კრიზისი.., გვ. 68-70.

[2] **Amm. Marc.,** Res ges., XXVII, 12, 11. – **გეორგიკა,** ტ. I, გვ. 128

[3] **გ. მელიქიშვილი,** საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 555; **Г.А. Меликишвили,** К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 381.

[4] **ნ. ლომოური**, ეგრისის სამეფოს..., გვ. 67; **Н.Ю. Ломоури**, Грузино-римские..., გვ. 273-274.

[5] **Arr.,** PPE, 11.

[6] **ნ. ლომოური,** ეგრისის სამეფოს..., გვ. 68; **Г.А. Меликишвили,** К истории..., გვ. 382.

ვლადიმერ წვერავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იაგორ ჭილაშვილი (1790-1838 წწ.) საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი

XVIII-XIX საუკუნის მიჯნა საქართველოსათვის საბედისწერო გამოდგა. საქართველომ საუკუნეების განმავლობაში მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში დიდის ვაივაგლახით შენარჩუნებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა და ბაგრატოვანთა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.

ალექსანდრე I–ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, ქართლ–კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა საბოლოოდ უქმდება და საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად ცხადდება.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმებას და ახალი, სრულიად უცხო მმართველობის დაარსებას, რაც არ უნდა სამართლებრივ საფუძველზე ყოფილიყო დამყარებული ეს უკანასკნელი, არც ერთი ერისათვის არ შეეძლო დადებითი შედეგის მოტანა, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ამ უბედურებას, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმებას რუსი მოხელეების საქვეყნოდ ყბადაღებული თვითნებობა, უზნეობა და ვერცხლის მოყვარულობა ემატებოდა, რაც მოსახლეობის ყველა ფენისათვის სავსებით აუტანელს ხდიდა ახალ მმართველობას და აძნელებდა მასთან შეგუებას. საქართველოში დაიწყო რუსულ ენაზე საქმისწარმოება. ახალი დებულების შემუშავების შემდეგ საქართველოს მმართველობას სათავეში ჩაუდგა მთავარმართებელი, რომელსაც ეკითხებოდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო საქმეები. მთავარმართებელი საქართველოს განაგებდა რუსი მოხელეების დახმარებით, მათ კი მოადგილეებად ანუ მრჩევლებად პრორუსულად განწყობილი თავადაზნაურობა ეხმარებოდა. ყოველი ახალი მთავარმართებელი თავისი ჭკუით და მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. ყვაოდა განუკითხაობა, უზნეობა, მექრთამეობა და ა.შ.

მთავარმართებელი ერმოლოვი ცდილობდა სამოქალაქო მმართველობის მხრივ საქართველოში ცოტად თუ ბევრად კეთილსინდისიერი მოხელეების შერჩევას.

საქართველოში საგანგაშო მდგომარეობა იყო. მოხელეების აღვირაშვებულობა იმ ზომამდე იყო მისული, რომ საგანგებოდ დანიშნული პროკურორები, რომელთა მოვალეობა იყო თვალყური ედევნებინათ და მთავარსარდლისა და იუსტიციის მინისტრისათვის მოეხსენებინათ მოხელეების მიერ კანონის დარღვევის ან ბოროტმოქმედების შემთხვევები, თვითონ თაღლითობდნენ ისე, რომ ზოგი მათგანი აშკარა ქურდობასაც არ ერიდებოდა. მაგალითად, 1821 წლის თბილისის მაზრის ხაზინიდან გატაცებულ იქნა ტომარა 615 ჩერვონეცით. ქურდი კი აღმოჩნდა თვითონ პროკურორი – მელინი[1]. აქედან უნდა წარმოვიდგინოთ, რა ზნეობისა იქნებოდნენ ჩვეულებრივი მოხელეები.

1822 წელს ერმოლოვი საგანგებოდ მიმართავდა შინაგან საქმეთა მინისტრს და სთხოვდა, კანცელარიის მოხელეები შერჩევით გამოეგზავნათ, უმთავრესად უნივერსიტეტისა და სასულიერო სემინარიების კურსდამთავრებულები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კვლავ განაგრძობდნენ განურჩევლად, შემთხვევითი მოხელეებით მისი კანცელარიის დაკომპლექტებას, იგი წესრიგის დაცვასა და საქმის წარმატებით წარმოებაზე უარს იტყოდა[2].

მოხელეების შერჩევის მხრივ ყველაზე კარგი, რაც გააკეთა ერმოლოვმა, ეს იყო 1822 წელს მისი ინიციატივით საქართველოს პროკურორად იაგორ ჭილაშვილის დანიშვნა.

---

[1] Акты, собранные Кавказской Археографической комисией под ред, А. Верже, т. VI, ч. I, с. 40

[2] ორჯონიკიძე ე., რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, თბ., 1992, გვ. 123

იაგორ (გიორგი) გაბრიელის ძე ჭილაშვილი იმ დუშელ ჭილაშვილთა გვარს ეკუთვნის, რომელიც ერეკლე მეორისა და გიორგი XII–ის დროს მაღალგავლენიანი იყო. მამა – გლახა (გაბრიელ) ჭილაშვილი 1803 წელს ვახტანგ ბატონიშვილის იძულებით გასახლებასთან ერთად გაჰყვა მას პეტერბურგს თავისი ოჯახით. უშვილო ვახტანგ ბატონიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ჭილაშვილების ვაჟების აღზრდაში. უფროსი ვაჟი კი სწორედ იაგორი იყო. იგი 1790 (ზოგიერთი ცნობით 1792) წელს დაიბადა. ვახტანგ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით იაგორმა შესანიშნავი განათლება მიიღო პეტერბურგში. 1808-1813 წლებში იაგორი ვახტანგ ბატონიშვილთან მუშაობს „მდივნისა და მთარგმნელის წოდებით" [1].

ი. გ. ჭილაშვილი „პირველი ქართველთაგანია, რომელმაც მიიღო რუსულ–ევროპული სწავლა–განათლება და ამასთან ზედმიწევნით რომ იცნობდა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას"[2] .

იაგორ ჭილაშვილმა ჯვარი დაიწერა 1813 წლის 23 აპრილს პრასკოვაია პეტრეს ასულ პოპოვაზე. 1815 წ. მარტში მათ შეეძინათ ვაჟი ფედენკა, რომელიც 1817 წელს მოუკვდათ. 1816 წელს ეყოლათ მეორე ვაჟი მიხეილი. პრასკოვაია პეტროვნამ ისწავლა ქართული ლაპარაკი და წერა–კითხვა იმდენად, რომ მულსაც ქართულად სწერს წერილს[3]. იაგორ ჭილაშვილის ერთი ქალიშვილი ნინო ცოლად ჰყავდა დიმიტრი ყიფიანს, მეორე – თბილისის კერძო ბიბლიოთეკის ერთ–ერთ დამაარსებელს ი.ი. ნაზაროვს. ვაჟი მიხეილი შემდეგში „ტაინი სოვეტნიკია"[4].

1815 წლის სექტემბერში ჭილაშვილი შევიდა მოწაფედ ა. თ. ლაბზინის მასონთა ლოჟაში „მომაკვდავ სფინქსში" (ჭილაშვილის ცოლი ლაბზინის ნათესავი იყო), იყო ამ საზოგადოების ერთ–ერთი თავდადებული წევრი და ლაბზინის დიდი თაყვანისმცემელი. 1816 წელს გახდა ამ ლოჟაში „ამხანაგი", 1817 წელს – „ოსტატი", 1818 წელს „მეთვალყურე"[5] . როგორც ცნობილია, მასონობა თავისთავად სრულიადაც არ წარმოადგენდა საშიშროებას მეფის ხელისუფლებისათვის, მაგრამ მასონთა შორის გვხვდებოდა ისეთნიც, რომლებიც კრიტიკულად იყვნენ განწყობილი არსებული სინამდვილისადმი. ცნობილია, რომ დეკაბრისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა დროს მასონთა ლოჟის წევრები იყვნენ. შემთხვევითი როდი იყო, რომ იმპერატორის ბრძანებით 1821 წელს სამხედრო პირთათვის, ხოლო 1822 წლიდან საზოგადოდ აიკრძალა მასონთა ლოჟა, ისე, როგორც ყოველი სხვა საიდუმლო საზოგადოება [6]. 1821 წლიდან ი. ჭილაშვილი სამსახურს იწყებს კავკასიაში. პეტერბურგში განსწავლული იაგორი, რუსული და ქართული ენების შესანიშნავი მცოდნე, ქართულ ყოფა–ცხოვრებასა და ზნე–ჩვეულებებსაც ზედმიწევნით იცნობდა და რეალური სარგებლობის მოტანა შეეძლო. მით უმეტეს, რომ თვით ერმოლოვიც დარწმუნებული იყო იაგორის კეთილსინდისიერებასა და განსწავლულობაში. ყველა მის წამოწყებას აქტიურად უჭერდა მხარს. უკვე 1822 წლის თებერვალში იაგორ ჭილაშვილი სთხოვდა ერმოლოვს, ეშუამდგომლა იუსტიციის მინისტრის წინაშე, რათა საქართველოში დაეწესებინა საპროკურორო ზედამხედველობა. საქართველოში ასეთი ინსტიტუტის არარსებობის გამო. ადგილებზე მოხელეებისათვის თვალყურის დევნება რომ სწორად ეწარმეობინათ, სასამართლო საქმეები დავალებული ჰქონდათ სამაზრო და საოლქო სასამართლოების მდივნებს. მდივნები კი, როგორც ჭილაშვილი აცხადებდა, თვითონ იყვნენ პასუხისმგებელნი სასამართლოში წარმოებულ საქმეებზე და, რა თქმა უნდა, არც უფროსების და არც საკუთარი თავის საწინააღმდეგოს არაფერს შეატყობინებდენ პროკურორს. მით უმეტეს,

---

[1] ჯორბენაძე ს., ჭილაშვილი ი.გ., დიდი მოაზროვნე და სახელოვანი იურისტი, ჟურ. „საბჭოთა სამართალი", N 1, თბ., 1963, გვ. 4

[2] ყიფიანი დ., მემუარები, სიმონ ხუნდაძის რედაქციით, თბ., 1930, გვ. 126

[3] ბერძნიშვილი მ., მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოების ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 257

[4] იქვე

[5] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1987, გვ. 399

[6] ჯორბენაძე ს., ჭილაშვილი ი.გ., დასხ. ნაშ., 1963, გვ. 64

რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუსული ენის უცოდინარობისა და უფროსების მიერ ქართულის არცოდნის გამო ყოველგვარი ბოროტმოქმედების მიჩქმალვა არ გაუჭირდებოდათ[1].

უკვე 1822 წლის 30 ივლისს, ერმოლოვის დაჟინებით შუამდგომლობის შედეგად, საქართველოში დაარსდა საპროკურორო ზედამხედველობა 2 საგუბერნიო და 4 სამაზრო ვექილის შემადგენლობით.

ი. ჭილაშვილი ქართული სინამდვილის, მისი წარსულისა და წეს–ჩვეულებების შესანიშნავი მცოდნე იყო. რუსული და ევროპული კულტურის ცოდნას მასში სრულიადაც არ ჩაუკლავს სამშობლოს სიყვარული. ამას დიდად უწყობდა ხელს ი. ჭილაშვილის მდიდარი მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მან ქართულიდან რუსულად თარგმნა „საქართველოს მეფის ძის ვახტანგ ირაკლის ძის წერილები", რომლებიც 1812 წელს გამოსცა საიმპერატორო აკადემიამ. აქტიურად მონაწილეობდა ჩვეულებითი სჯულის, განსაკუთრებით კი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის გადათარგმნაში.

იაგორ ჭილაშვილი, როგორც საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი, ცდილობს „დახმარების ხელი გაუწოდოს" ღარიბ და კანონებში გაუთვითცნობიერებელ მოსარჩლესა და დაზარალებულს; მას სურს პროკურატურის ზედამხედველობა ქმედითი გახადოს, იმით, რომ მისი გატარება იმ პირებს დაავალოს, რომლებიც არ იქნებიან დამოკიდებული ადგილობრივ უფროსებზე. ამ მიზნით იგი საჭიროდ თვლიდა თვითონ პროკურორის გასვლას თბილისიდან ადგილებზე მდგომარეობის შესასწავლად. მას კარგად ესმოდა მთელი სიძნელე კანონიერების განხორციელებისა, როცა ადგილობრივი ხელისუფალნი აშკარა თვითნებობასა და ბოროტმოქმედებას მიმართავენ. ამგვარ ვითარებაში სასამართლო წარმოება ქართველთა წინააღმდეგ იყო მიმართული.

ი. ჭილაშვილმა უაღრესად დიდი მუშაობა ჩაატარა ფეოდალთა და ყმათა ურთიერთობის გასარკვევად. უნდა აღინიშნოს, რომ იგი მარტო ქართული ფეოდალური წყობის ღრმამცოდნე როდი იყო. 1828 წელს გრაფ პასკევიჩის წინადადებით შეიქმნა „მუსულმანური პროვინციების მოწყობის კომიტეტი". ამ კომიტეტის აქტიური წევრი იყო ი. ჭილაშვილი. ყველაზე მნიშვნელოვანი კი რაც ი. ჭილაშვილის პროკურორად ყოფნის პერიოდში ჩატარდა, ეს იყო მისი დაჟინებითი ბრძოლა ყმების საჯაროდ გაყიდვის წინააღმდეგ. მისი სიტყვებით, გლეხების ყიდვა–გაყიდვის აკრძალვა „დაცულ იქნა ამ თანამდებობის შესრულების დაწყების დროიდან"[2] . მას არ მოუთხოვია ბატონყმობის გაუქმება. თავისი ოფიციალური მდგომარეობით ეს მას არ შეეძლო, მაგრამ თავისი თანამდებობრივი მდგომარეობის გამოყენებით ცდილობდა მათი მდგომარეობის შემსუბუქებას.

1826-1827 წლებში ი. ჭილაშვილი ისევ პეტერბურგში ფინანსთა მინისტრის – კანკრინის განკარგულებაშია. 1827 წელს აპრილში იგი საქართველოშია მოვლინებული ქვეყნის „ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვისათვის". ამ პერიოდში ადგენს მიმოხილვას საქართველოს სამხედრო გზის შესახებ. იგი ამუშავებს ეკონომიკური და სამართლებრივ ღონისძიების პროექტს, რომელმაც უნდა შეამსუბუქოს მთის ხალხთა მდგომარეობა. შემდეგ იგი თბილისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის გენერალ სიპიაგინის განკარგულებაშია, სადაც მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებს. ი. ჭილაშვილისა და მისი ძმების ოჯახებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ საქართველოსა და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან[3].

ი. ჭილაშვილს მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალ. ჭავჭავაძესთან. მათი იდეური სიახლოვეც უწყობდა ამას ხელს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ა. გრიბოედოვისა და ი. ჭილაშვილის ურთიერთობა. 1828 წელს გენერალ სიპიაგინის სიკვდილის შემდეგ ჭილაშვილი იძულებულია დატოვოს სამსახური. გრიბოედოვი და მისი მეუღლე ნინო ჭავჭავაძე გრაფ

---

[1] ორჯონიკიძე ე., დასახ. ნაშრომი, 1992, გვ. 124

[2] ჯორბენაძე ს., ჭილაშვილი ი.გ., დასახ. ნაშრომი, 1963, გვ. 66

[3] ჯორბენაძე ს., ჭილაშვილი ი.გ., დასახ. ნაშრომი, 1963, გვ. 67

პასკევიჩს წერილს სწერენ, რათა მიიღოს სამსახურში ჭილაშვილი. ამ წერილმა იმოქმედა და იგი საქართველოს მთავარმართებლის საგანგებო დავალების ჩინოვნიკად იწყებს მუშაობას.

ი. ჭილაშვილის, როგორც პატრიოტის სახეს მნიშვნელოვნად ავსებს მის მიმართ 1832 წლის შეთქმულთა დამოკიდებულება. თვითონ იგი ამ შეთქმულების მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი იდეურ და მეგობრულ კავშირში იყო შეთქმულებთან და ყოველმხრივ თანაუგრძნობდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ გამარჯვების შემთხვევაში ი. ჭილაშვილს ერთდროულად განათლებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი უნდა დაეკავებინა. ნიშანდობლივია, რომ იგი ერთადერთი იყო, რომლისთვისაც მინისტრის ორ პორტფელს ითვალისწინებდნენ.

1832 წლის შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ შეთქმულნი მის დანიშვნას აპირებდნენ მინისტრად, იაგორ ჭილაშვილის კარიერა თავქვე დაეშვა, ის გადაიყვანეს ლენქორანში, სადაც კიდევაც გარდაიცვალა 1838 წელს და იქვე დაასაფლავეს.

ამგვარად, XIX საუკუნემ მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მოაზროვნე მოგვცა. ამ მოღვაწეთა დიდი რიგის დასაწყისში მკვეთრად გამოირჩევა იაგორ ჭილაშვილის კოლორიტული ფიგურა, რომელიც საქართველოს პროკურორად ყოფნის ჟამს ცდილობდა ქართველთა მდგომარეობის შემსუბუქებას; სურდა პროკურატურის ზედამხედველობა ქმედითი გაეხადა, რათა უკანონოდ არ დასჯილიყო ქართველი მოსახლეობა რუსი ჩინოვნიკებისაგან.

Vladimer Tsverava
Akaki Tsereteli State University

IAGOR CHILASHVILI (1790-1838) PROSECUTOR OF THE SUPREME GOVERNMENT OF GEORGIA

RESUME

Georgia knows many public men and thinkers in the 19th century. Among them is Iagor Chilashvili one of the most prominent public men, who during his tenure of the legal career, tried his best to ease the burden of the life condition of his people by his attempts to make the prosecutor's supervision more efficient and protect his people both, plaintiffs and defendants, who were unaware of the laws, from unfair trial of the Russian officials.

I. Chilashvili was appointed the prosecutor of Georgian in 1822 by the immediate support of Ermolov, Czar's governor, who in his turn tried to select honest and educated officials on the positions.

I. Chilashvili and his family had accompanied Prince Vakhtang Batonishvili in his exile in Russia.

Vakhtang Batonishvili, himself a childless man, took patronage of the family and helped them to receive good education.

In 1815 I. Chilashvili joined "Dying Sphinx". Lobzin Lodge of freemasons Lodges and all the other secret organizations.

Having held the prosecutor's office I. Chilashvili carried out much work for making out the relationships between feudals and serfs. Although his position obliged him to work for the Czarism interests he managed to serve his people as well.

I. Chilashvili enjoyed close relationship with the leading members of the intelligentsia in Georgia and with the one who would come from Russia to stay in Georgia. I. Chilashvili shared fellow feelings with members of the 1932 plot, who had prepared two portfolios of the minister in case of their victory. This fact was enough for the authorities to suspect him to be an accomplice of the conspirators and he was exiled to Lencora where he died in 1838 and was buried there.

ზაზა წურწუმია
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

„აფხაზფედი“ და აფხაზეთის საკითხი თურქეთში

თურქეთის რესპუბლიკაში ეთნიკური აფხაზების რაოდენობა 150 ათასიდან 170 ათასამდეა. თურქეთში აფხაზების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია საქარიას (ადაფაზარი), ქოჯაელის (იზმითი), გოლჯუკის, ბილეჯიკის, დუზჯეს, ბალიკესირის, ესკიშეჰირის, ბურსის, იზმირის, სამსუნის, სივასისა და იოზგათის ოლქებში და ქ. სტამბოლში. თურქეთის ქართული წარმოშობის მოსახლეობასთან აფხაზები თანაცხოვრობენ საქარიაში, დუზჯეში, ბალიკესირში, გოლჯუკში, ინეგოლში.[1]

აფხაზებს თურქეთში ძირითადად შენარჩუნებული აქვთ ადათ-წესები და ყოფითი ჩვეულებანი, სარიტუალო (საქორწილო) ცეკვა-თამაშობები, სიმღერები, ტრადიციული დამოკიდებულება უფროს-უმცროსებს შორის. აფხაზები ატარებენ თურქულ სახელებსა და გვარებს, მაგრამ იციან საკუთარი საგვარეულოები და ამის მიხედვით განსაზღვრავენ ნათესაურ კავშირებს. უფროსი და საშუალო თაობა საკმაოდ კარგად ფლობს მშობლიურ აფხაზურ ენას.

თურქეთში აფხაზები გაერთიანებულნი არიან სათვისტომოებსა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში, რომლებიც შექმნილია აფხაზების კომპაქტურად განსახლების ადგილებში, ქ. სტამბოლსა და დედაქალაქ ანკარაში. თურქეთის აფხაზების აქტივობა გამოიხატება მათი სათვისტომოებისა და კულტურულ-საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმიანობაში.

1992-1993 წლებში, აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში თურქეთიდან ჩამოსული ეთნიკური აფხაზები იღებდნენ მონაწილეობას. მოხალისეთა გადაგზავნის, ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარების მიწოდების კოორდინაციის მიზნით 1992 წლის 23 აგვისტოს სტამბოლში ჩამოყალიბდა თურქეთის მოქალაქე ეთნიკური აფხაზების ორგანიზაცია „კავკასია-აფხაზეთის სოლიდარობის კომიტეტი“[2]

საომარი მოქმედებების შემდგომ, ტრაპიზონსა და სოხუმს შორის საზღვაო ტრანსპორტით კავშირურთიერთობები მიმდინარეობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მხრიდან დაწესებული სანქციების მიუხედავად. 1996 წელს სანქციებს თურქეთი შეუერთდა და სოხუმთან საზღვაო მიმოსვლა ოფიციალურად აკრძალა, თუმცა მიმოსვლა კერძო თურქული კომპანიების მხრიდან გაგრძელდა. არაერთი თურქული სავაჭრო, სატრანსპორტო, სარეწაო/თევსაჭერი გემი იქნა დაკავებული, დაჯარიმებული ქართველი მესაზღვრეების მიერ.[3]

თურქეთის აფხაზური წარმოშობის მოქალაქეები აფხაზეთში რუსეთის ტერიტორიის გავლით ჩადიან, ძირითადად სტამბოლი-სოჭის საჰაერო რეისების გამოყენებით. აფხაზეთის მცხოვრებნი კი თურქეთში რუსეთის პასპორტებით მოგზაურობენ. თურქეთში რეგისტრირებული კომპანიები, რუსული კომპანიების შემდეგ, აფხაზეთისთვის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორები არიან. საზღვაო გზით აფხაზეთიდან თურქეთში ძირითადად გააქვთ ქვანახშირი, ხე-ტყე, ლითონები. შემოაქვთ სურსათი, ტექსტილი, სამშენებლო მასალა, საყოფაცხოვრებო საგნები, საზეთ-საპოხი საშუალებები. აფხაზეთთან ვაჭრობაში მონაწილე თურქული კომპანიების

---

[1] **კოპსირგენ ორხანი.** აფხაზური სოფლები თურქეთში. https://www.sakaryaabhaz.org/sayfa.php?id=95

[2] **ფათიჰ ატანი.** კავკასია-აფხაზეთის სოლიდარობის კომიტეტი. სტამბოლი 2010. http://apsnyteka.org/3501-Atan_F_Kafkas_Abhazya_dayanisma_komitesi_2010_nur.html

[3] **ფრანცისკა სმოლნიკი, ანდრეა ვაისი, იანა ზაბანოვა.** მყიფე წონასწორობა. თურქეთი, საქართველო და დე ფაქტო სახელმწიფო აფხაზეთი. https://ge.boell.org/ka/2018/02/05/mqipe-conascoroba-turketi-sakartvelo-da-de-pakto-saxelmcipo-apxazeti

უმეტესობა თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს ეკუთვნის. ამაზე მეტყველებს აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ფარგლებში მოქმედი „აფხაზეთ-თურქეთის ბიზნეს საბჭოს“ დაარსების ფაქტი.[1]

თურქეთში აფხაზების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ხასიათის საქმიანობისათვის ორგანიზებული სახის მიცემის თვალსაზრისით, აღსანიშნავია „თურქეთის აფხაზური სათვისტომოების ფედერაცია“ (შემოკლებით „აფხაზური ფედერაცია“ – „აფხაზფედი“).

2010 წელს სტამბოლში დაფუძნებული ორგანიზაცია „აფხაზფედი“ აერთიანებს თურქეთის სხვადასხვა რეგიონში მოქმედ რამდენიმე აფხაზურ სათვისტომოს. „აფხაზფედ“-ის დაფუძნების მიზანია თურქეთში მცხოვრები აფხაზების ორგანიზებულ ძალად ჩამოყალიბება, მათი შესაძლებლობების თავმოყრა ერთ, მაკოორდინირებელ სტრუქტურაში - სათვისტომოების ფედერაციულ გაერთიანებაში.

2021 წლის ნოემბერში „აფხაზფედის“ ხელმძღვანელად არჩეული თურქეთის მოქალაქე მურად გუმუში, აფხაზური წარმომავლობის ხაზგასმისთვის ატარებს არაფორმალურ გვარს - მახარია. მურად გუმუში, თავისი არჩევიდან მცირე ხანში ჩავიდა აფხაზეთში, სადაც სამუშაო შეხვედრები გამართა საოკუპაციო რეჟიმის „რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტის“ ხელმძღვანელობასთან ეთნიკური აფხაზების თურქეთიდან აფხაზეთში გადასახლების გეგმებთან დაკავშირებით.[2]

აფხაზური წარმოშობის თურქი ბიზნესმენები, პოლიტიკოსები და აფხაზური სათვისტომო-ორგანიზაციები, სოხუმის განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ზრუნავენ იმაზე რომ აფხაზმა სტუდენტებმა გაიარონ თურქული ენის შესასწავლი სპეციალური კურსები და მიიღონ განათლება თურქულ უნივერსიტეტებში. თურქეთის უნივერსიტეტებში აფხაზი სტუდენტები სწავლობენ სტამბოლის, ესკიშეჰირის, დუზჯეს უნივერსიტეტებში. დაგეგმილია აფხაზური ენის შემსწავლელი კურსების გახსნა აფხაზებით დასახლებული რეგიონების უნივერსიტეტებში. ისინი უზრუნველყოფილნი არიან სტიპენდიით, უფასო კვებითა და საცხოვრებლით.[3]

„აფხაზფედი“ დახმარებას უწევს აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლობას ქ. სტამბოლში. ეს წარმომადგენლობა მოქმედებს არაოფიციალურ ნიადაგზე.

2021 წლის მარტში, საოკუპაციო რეჟიმის „პრეზიდენტ“ ა. ბჟანიას ბრძანებით იბრაჰიმ ავიძბა (თურქული გვარი ოზილდირიმი) დაინიშნა ე.წ.წარმომადგენლად თურქეთში. იბრაჰიმ ავიძბა ეთნიკურად აფხაზი თურქეთის მოქალაქეა. 1992-1993 წ.წ. მონაწილეობას იღებდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში საქართველოს წინააღმდეგ. თურქეთში აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლობის უმთავრესი ამოცანა არის აფხაზეთის დამოუკიდებლობის იდეის თურქეთში ლობირება და თურქეთის აფხაზების სოხუმთან კავშირების განმტკიცება. ამისათვის, ი. ავიძბა ცდილობს თურქეთში სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის დადებითი სახით წარმოჩენას, აფხაზეთის „დამოუკიდებლობის ნარატივისთვის“ ხელსაყრელი საინფორმაციო-პროპაგანდისტული ველის შექმნას.

თურქეთში აფხაზეთის ე.წ. წარმომადგენლის საქმიანობაში დიდი როლი უკავია სტამბოლში რუსეთის ფედერაციის გენერალურ საკონსულოსთან ურთიერთობებს. სტამბოლში რუსეთის ფედერაციის გენერალური კონსულის მიწვევით, ი. ავიძბა, „აფხაზეთის წარმომადგენლობის“ თანამშრომლები ჯანსუღ ლაზბა და კავკას ოზთურქი (ატრიშბა), ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელი თურქეთში ბურჰან ჯანპოლატი, მონაწილეობას იღებენ

---

[1] ***აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა".*** აფხაზეთ-თურქეთის ბიზნეს საბჭო-ს ოქმი. https://www.tppra.org/news/documents/delovoy-sovet-po-predprinimatelstvu-abkhaziya-turtsiya-protokol-1-2805.html

[2] ***"რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტი".*** თურქეთის რესპუბლიკიდან დელეგაციის ჩამოსვლა. https://repatriate.apsny.land/tr/haber/item/630-turki-ye-cumhuri-yeti-nden-heyet-geldi

[3] **გიორგი კანაშვილი.** სად (ვერ) სწავლობენ აფხაზი სტუდენტები? https://civil.ge/ka/archives/471079

საკონსულოში გამართულ ღონისძიებებში. საკონსულოში საზეიმო მიღებებს ესწრებიან „აფხაზფედის“ ხელმძღვანელებიც. [1]

„აფხაზფედი“ცდილობს მაქსიმალურად შეიკავოს თავი რუსეთის მიმართით ყველანაირი სახის უკმაყოფილების თუ პრეტენზიის გამოთქმისაგან. თუ წინათ, თურქეთის აფხაზური და ჩერქეზული ორგანზაციები ერთად აღნიშნავდნენ რუსეთის იმპერიის მიერ ოსმალეთში მათი წინაპრების ძალადობით გასახლების წლისთავებს, 2022 წელს, „აფხაზფედმა“ ტრადიციის საწინააღმდეგოდ, არ მიიღო მონაწილეობა თურქეთის მასშტაბით და უმთავრესად ქ. სტამბოლში 21 მაისს გამართულ „ჩერქეზული მუჰაჯირობის“ 158-ე წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებში, რადგან ამ აქციებს ლეიტმოტივად გასდევდა რუსეთის ფედერაციის მიერ „ჩერქეზული გენოციდის“ აღიარებისა და ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური დისკრიმინაციის შეწყვეტის მოთხოვნები.[2]

აფხაზებმა ჩერქეზებისაგან ცალკე ჩაატარეს მცირე მასშტაბის ღონისძიება ქოჯაელის ოლქის აფხაზურ სათვისტომოში, რასაც დაესწრო აფხაზეთიდან ჩამოსული, საოკუპაციო რეჟიმის რეპატრიაციის კომიტეტის უფროსი ვადიმ ხარაზია, ასევე აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „წარმომადგენლები თურქეთში“ - იბრაჰიმ ავიძბა და ბურჰან ჯანპოლატი.[3]

„აფხაზფედი“ თანამშრომლობს რუსეთში, ქ. ჩერკესკში მოქმედ „აფხაზი-აბაზა ხალხის მსოფლიო კონგრესთან“, რომელიც იმართება რუსეთის ხელისუფლების მიერ. „აფხაზფედი“-ს ხელმძღვანელი „აფხაზი აბაზა ხალხის მსოფლიო კონგრესის“ გამგეობის წევრია. [4]

„აფხაზფედი“ თავის საქმიანობაში სრულად ითვალისწინებს საოკუპაციო რეჟიმის ინტერესებს თურქეთში. რეგულარულად ხორციელდება საკონსულტაციო სახის შეხვედრები, როგორც საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების თურქეთში ჩასვლისას, ასევე „აფხაზფედი“-ს დელეგაციების აფხაზეთში ვიზიტების დროს.

„აფხაზფედი“ ცდილობს ლობისტური საქმიანობა აწარმოოს თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ წრეებში თურქეთ-აფხაზეთს შორის პირდაპირი სატრანსპორტო მიმოსვლის, ფინანსური, სავაჭრო-ეკონომიკური და ჰუმანიტარულ-კულტურული კავშირების გაძლიერებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. ამ მიმართულებთ „აფხაზფედი“ თანამშრომლობს „თურქეთის აფხაზ ბიზნესმენთა საზოგადოებასთან“. [5]

ქართული გამოცემა „ნეტგაზეთის“ ინფორმაციით, 2021 წლის ნოემბერში თურქეთს ეწვივნენ აფხაზეთის პარლამენტის წევრები. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ასტამურ ლოგუას განცხადებით, მათ შეხვედრები გამართეს თურქეთის პარლამენტის ცალკეულ დეპუტატებთან. ასტამურ ლოგუა და აფხაზეთის პარლამენტის წევრები დაეწრნენ „აფხაზფედის“ ყრილობას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოცემა „ნეტგაზეთს“ განუცხადეს, რომ აფხაზური დელეგაცია თურქეთში რუსული პასპორტებით შევიდა და მათი შეხვედრები პირადი ხასიათის იყო. კერძო ხასიათის შეხვედრები კი ვერ ჩაითვლება თურქეთის მხარესთან ოფიციალურ კომუნიკაციად. საქართველოს საელჩო ანკარაში მუდმივ თანამშრომლობაშია თურქეთის მხარესთან, რომელიც მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს საერთაშორისო არენაზე

---

[1] ***რუსეთის დღის აღნიშვნა.*** http://www.abhazyam.com/haber/7046/rusya-gunu-kutlamasi.html

[2] **დუვარი.** ჩერქეზთა დიდი გადასახლების 158-ე წლისთავი: 21 მაისი გრძელდება. https://www.gazeteduvar.com.tr/buyuk-cerkes-surgunu-158-yilinda-anildi-21-mayislar-devam-ediyor-haber-1565723

[3] ***ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გადასახლების 158-ე წლისთავის აღმნიშვნელი ღონისძიებები დიასპორაში.*** https://abhazpostasi.com/kuzey-kafkas-halki-surgunun-158-yili-anma-etkinlikleri-tum-diasporada-gerceklesti/883/

[4] **ოზენ ატსანბა, ნეჯდეთ აგუმაა.** შეკითხვები „აფხაზფედ“-ის თავმჯდომარეობის კანდიდატ მახარია მურატ გუმუშს.https://abhazpostasi.com/yazarlar/editor-den/abhaz-fed-genel-baskan-adaylarimizdan-maharia-murat-gumus-e-sorduk/259/

[5] **ფატიჰ ატანი.** აფხაზი ბიზნესმენების შეხვედრა. http://www.abhazyam.com/haber/7103/abhaz-is-insanlari-kahvaltida-bulustu.html

არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებაში“, – წერია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ „ნეტგაზეთისთვის“ გაგზავნილ წერილში.[1]

ასტამურ ლოგუა თურქეთში ყოფნისას ასევე შეხვდა ნაციონალისტური პარტია „ვათანის“ ლიდერ დოღუ ფერინჩექს. დოღუ ფერინჩეკი გამოირჩევა აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების მხარდაჭერით. 2019 წელს ფერინჩეკი იმყოფებოდა აფხაზეთში, სადაც განაცხადა, რომ აფხაზეთი უნდა გახდეს თურქეთ-რუსეთის დამაკავშირებელი ხიდი.[2]

დოღუ ფერინჩექი მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას, რომ ანკარამ განიხილოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესაძლებლობა რუსეთის მხრიდან ე.წ. ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების სანაცვლოდ.[3]

2022 წლის სექტემბერში, „აფხაზფედის“ დელეგაცია, თავმჯდომარე მურატ გუმუშის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა სოხუმში, სადაც შეხვდა საოკუპაციო რეჟიმის ლიდერებს. სოხუმში გამართულ შეხვედრაზე მურატ გუმუშმა დაასახელა „აფხაზფედ“-სა და საოკუპაციო რეჟიმს შორის მიმდინარე კონსულტაციების მთავარი თემები, რომელთა შორისაა:

- თურქეთში მცხოვრები აფხაზებისათვის „აფხაზური პასპორტების“ გადაცემა;
- თურქეთიდან აფხაზეთში პირდაპირი მიმოსვლისა და სატრანსპორტო კავშირურთიერთობის მოწესრიგება;
- თურქეთიდან აფხაზეთში საცხოვრებლად ჩასული აფხაზების სოციალურ- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ადაპტაციის პროცესი;
- აფხაზეთის სახალხო კრებაში (პარლამენტი) თურქეთის აფხაზებისათვის სადეპუტატო კვოტის გამოყოფა;
- აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ თურქეთის აფხაზების მეტი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.[4]

სოხუმის საოკუპაციო რეჟიმი ცდილობს უცხოეთის მოქალაქეების - ძირითადად თურქეთში მცხოვრები ეთნიკური აფხაზების - საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში ჩამოსახლებას და ამას „რეპატრიაციას“, ანუ „სამშობლოში დაბრუნებას“ არქმევს. სოხუმში მიიჩნევენ, რომ აფხაზეთში აფხაზების მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორებისათვის, აუცილებელია თურქეთიდან, სირიიდან, ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზი-აბაზა ხალხის დიდი გადმოსახლება მოაწყონ. მუსლიმი აფხაზების მასობრივმა ჩამოსვლამ აფხაზეთში კი შეიძლება მკვეთრი დემოგრაფიული ცვლილება გამოიწვიოს და ისლამიც მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორად აქციოს.[5]

აფხაზეთში მუსლიმური თემი ამ დროისათვის შედგება სამი კომპონენტისაგან: ადგილობრივი მუსლიმი აფხაზები; აფხაზეთში საცხოვრებლად ჩამოსულნი თურქეთიდან და სირიიდან; აფხაზეთში დროებით ან მუდმივად მყოფი ჩრდილოკავკასიელები - აბაზები, ჩერქეზები, დაღესტნელები, ჩეჩნები და შუა აზიელი შრომითი მიგრანტები. 1999 წელს

---

[1] **ზურაბ მენაღარიშვილი.** აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის წევრები თურქეთის პარლამენტს ეწვივნენ. https://netgazeti.ge/news/577553/

[2] **აიდინლიკი.** პარტია „ვათან“-ის ვიზიტი აფხაზეთში. https://www.aydinlik.com.tr/haber/vatan-partisinden-abhazya-ziyareti-turkiye-abhazyayi-taniyacak-198515

[3] **აიდინლიკი.** დოღუ ფერინჩექის მოსაზრება: ისტორიული შანსი ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკისთვის.https://www.aydinlik.com.tr/haber/dogu-perincek-degerlendirdikktc-icin-tarihi-firsat-239495

[4] **„აფხაზური სათვისტომოების ფედერაცია“.** „აფხაზფედ“-ის შეხვედრები აფხაზეთში გრძელდება. http://abhazfederasyonu.org/post/abhaz-fed-abhazya-temaslari-suruyor?fbclid=IwAR23wwx6xBKcWCx3kbfvEF_fdFpDl8QtpHWSPgh0z72XP6JZ1gQUY4jExB4

[5] **ალექსანდრე კვახაძე.** ისლამი თანამედროვე აფხაზეთში: რატომ არ მიესალმება მოსკოვი რეგიონში ისლამის გააქტიურებას? https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/105-expert-opinion-geo.pdf

დაარსდა აფხაზეთის მუსლიმთა სამმართველო-სამუფთო. მუსლიმები შეადგენენ აფხაზური მოსახლეობის 15 პროცენტამდე. მოქმედებს ორი მეჩეთი-სოხუმსა და გუდაუთაში.[1]

„აფხაზეთის მუსლიმთა სამმართველო“ აწარმოებს მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე ახალი მეჩეთის სამშენებლო სამუშაოებს გუდაუთაში.[2]

აფხაზეთის მუფთის რეგულარულად იწვევენ თურქეთში ისლამური თემატიკის კონფერენციებზე, მათ შორის „ევრაზიის ისლამური საბჭოს“ სხდომებზე.[3]

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული მუსლიმური თემი, მისი მცირერიცხოვნობის მიუხედავად, გამოირჩევა დინამიზმით და ზრდის ტენდენციებს ამჟღავნებს. აფხაზეთში ისლამის გავრცელება ძირითადად დაკავშირებულია რეპატრიაციის უკანონო პროცესთან.

„აფხაზფედი“-ს და საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან მოსალოდნელია თურქეთში აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“, „აფხაზების რეპატრიაციის“ თემატიკის გააქტიურება სხვადასხვა დონეზე. ეს აქტივობები, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს რუსეთის მიერ, თურქეთში ანტიქართული საქმიანობის პროვოცირებისა და გამწვავებისათვის, რაც მიზნად ისახავს თურქულ-ქართული ურთიერთობებისათვის ზიანის მიყენებას.

თურქეთის ხელისუფლების პოზიცია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მკაფიოდ გამოხატა საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუდ ჩავუშოღლუმ, 2022 წლის 12 დეკემბერს თურქეთის პარლამენტში გამოსვლისას. პარლამენტის ეთნიკური აფხაზი დეპუტატის, ოპოზიციური „სახალხო-რესპუბლიკური პარტიის“ წევრის ენგინ ოზკოჩის შეკითხვაზე აფხაზეთის საკთხისადმი დამოკიდებულების შესახებ, მინისტრმა განაცხადა, რომ თურქეთს აფხაზეთთან ჰუმანიტარული, ნათესური ურთიერთობები აკავშირებს, აფხაზეთი მოქცეულია საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. თურქეთი აღიარებს საქართველოს საზღვრებსა და ტერიტორიულ მთლიანობას, შესაბამისად აფხაზეთს არ მიიჩნევს საქართველოსგან განცალკევებულად. შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული შეხედულებები, მაგრამ თურქეთის სახელმწიფოს პოზიციას წარმოადგენს საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა.[4]

---

[1] **„აჟანს კავკას“.** აფხაზეთის მუფთის თემურ ძიბას მოხსენება „აფხაზეთი და ისლამი“. https://ajanskafkas.com/manset/abhazya-muftusu-timur-dzyba-abhazya-ve-islam-baslikli-konferans-verdi/

[2] **დენის პოლანდოვი.** ისლამი აფხაზეთში: პოლიტიკა მეჩეთების წინააღმდეგ. https://www.ekhokavkaza.com/a/28815823.html

[3] **ომერ ფარუკ მადანოღლუ.** აფხაზეთში მუსლიმები საუკუნეების განმავლობაში დისკრიმინაციასა და ძალადობას ებრძვიან. https://www.aa.com.tr/tr/ayrimcilikhatti/ayrimcilik/abhazyadaki-muslumanlar-yuzyillardir-ayrimcilik-ve-siddetle-mucadele-ediyor/1815306

[4] **თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მევლუდ ჩავუშოღლუს გამოსვლა თურქეთის პარლამენტში საბიუჯეტო მოსმენებზე.** თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. 12.12.2022. ანკარა. https://www.mfa.gov.tr/disisleri-bakani-sayin-mevlut-cavusoglu-nun-tbmm-butce-gorusmelerinde-yaptigi-konusma-12-12-2022.tr.mfa?fbclid=IwAR1RSb1CReTJD1W-_VW44qGNAIJ2KqYElWSER1j7rtdOe5Cr8B835Ux8RCo

Zaza Tsurtsumia
Saint King Tamar University of Georgian Patriarchate

ABHAZFED **AND THE ISSUE OF ABKHAZIA IN TURKEY**

RESUME

The article discusses the activities of „The Federation of Abkhazian Cultural Centres" (Abhaz Dernekleri Federasyonu - ABHAZFED in Turkish) in Turkey that focus on and concern Abkhazia. The organization itself belongs to the ethnic Abkhazians, residing in Turkey.

ABHAZFED strives to lobby among political, financial and economic circles of Turkey, as the declared objective of the organization is to urge Turkey to recognize Abkhazia as an independent state.

In September 2022, the delegation of ABHAZFED visited Sokhumi and met the leaders of the occupied regime. Under the framework of the meeting Chairman of ABHAZFED Murat Gümüş named major issues which ABHAZFED discussed with the leaders of the occupied regime. The issues for discussion were as follows: handing of „Abkhazian passports" to ethnic Abkhazians residing in Turkey, establishment of direct transportation links as well as trade and economic communications, improvement of social and economic conditions for ethnically Abkhazian citizens of Turkey willing to move to Abkhazia from Turkey and support for their further adaptation, establishment of quota for Turkish Abkhaz's (ethnic Abkhazians who hold the Turkish citizenship) in the parliament of Abkhazia.

The official position of the government of Turkey regarding the issue of Abkhazia was clearly expressed by the Minister of Foreign Affairs, Mevlüt Çavuşoğlu as he addressed the Turkish parliament on December 12, 2022. The minister said that Abkhazia is within the internationally recognized borders of Georgia. He noted that Turkey recognizes territorial integrity as well as the official borders of Georgia, thus Turkey does not view Abkhazia other than being part of Georgia. According to the minister, the official position of Turkey supports Georgian territorial integrity and Georgian borders.

ოთარ ჯანელიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრანსკავკასიური საუღელტეხილო რკინიგზა

საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს საქართველოში კარგად ახსოვთ ვნებათაღელვა, რაც 30-35 წლის წინ ჩვენში ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის თემამ გამოიწვია. ამ გიგანტური მშენებლობის შეჩერების მოთხოვნა, გარეჯის სამონასტრო კომპლექსისიდან პოლიგონის გადატანის საკითხთან ერთად, მძაფრ საპროტესტო მღელვარებებში გადაიზარდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად იქცა. მაშინ არავის გახსენებია და არც თქმულა, რომ კავკასიონის ქედში გვირაბის გაჭრისა და რკინიგზის გაყვანის პროექტი კომუნისტებს არ ეკუთვნოდათ და მათ მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერიაში წარმოშობილი იდეა გამოაცოცხლეს. საკავშირო ბიუჯეტში შესაბამისი თანხაც გამოიყო და მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოებიც ინტენსიურად დაიწყო. პროექტი ითვალისწინებდა 38 გვირაბის გაჭრას, მათ შორის 23 კილომეტრიანი გვირაბის აშენებას არხოტში. გვირაბის მოწინააღმდეგენი მიიჩნევდნენ, რომ მისი მშენებლობა დააზიანებდა, როგორც საქართველოს ეკოლოგიას, ისე მაგისტრალის მარშრუტის გასწვრივ მდებარე არაერთ ისტორიულ ძეგლს. ამ ამბებიდან მალე საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთის საქართველოსთან კავკასიონის ქედში გაჭრილი გვირაბით დაკავშირების გეგმა დღის წესრიგიდან მოიხსნა და აღარც განახლებულა.

კავკასიონის ქედის გავლით ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასის დამაკავშირებელი რკინიგზის მაგისტრალის გაყვანაზე მსჯელობა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის პოლონური წარმოშობის რუს ინჟინერს ბოლესლავ სტატკოვსკის.

სტატკოვსკის პროექტითა და ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1861 წლისათვის დასრულდა მუშაობა საქართველოს სამხედრო გზაზე, რომელიც გზატკეცილად იქცა. მანვე კავკასიაში პირველმა ჩაატარა რკინიგზის ტაქეომეტრიული კვლევა და შეიმუშავა მითითებები ზვავ, მეწყერ და ღვარცოფსაშიშ ადგილებში რკინიგზის ხაზის გაყვანის შესახებ. სტატკოვსკის 1889 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ეკავა გზათა მიმოსვლის კავკასიის ოლქის უფროსის თანამდებობა და ცხოვრობდა თბილისში. გარდაიცვალა იალტაში 1898 წელს. ჩამოასვენეს და დაკრძალეს თბილისში, სოლოლაკში არსებულ კათოლიკურ სასაფლაოზე.[1]

ბოლესლავ სტატკოვსკის ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის პროექტზე მუშაობა მან თითქოს 1873 წლიდან დაიწყო.[2] საკითხისადმი მიძღვნილ პუბლიკაციებში გვხვდება სხვა თარიღიც, კერძოდ 1875-1876 წლებიც.[3] სინამდვილეში, 1872 წლის 7 აპრილს სტატკოვსკიმ რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების კავკასიის ფილიალში, რომლის თავმჯდომარეც თვითონ იყო, წაიკითხა მოხსენება „რკინიგზა კავკასიონის ქედის გავლით ვლადიკავკაზის ტფილისთან დასაკავშირებლად“. მოხსენების ტექსტი ბროშურის სახით იმავე წელს დაიბეჭდა და გამოქვეყნდა თბილისში.[4]

---

[1] Газ. „Кавказ“, 1898 г. 5 марта.

[2] L. Piatkowski, Działalność gospodarcza Polaków na Zakaukaziu na przełomie XIX i XX wiek. http://dlibra.umcs.lublin.pl/dlibra/plain-content?id=5335

[3] https://moyaokruga.ru/sevosetia/Articles.aspx?articleId=470225

[4] Железная дорога через хребет Кавказских гор, для соединения Владикавказа с Тифлисом (Чит. в заседании Кавк. отд. Рус. техн. о-ва 7 апр. 1872 г.) Б. И. Статковским.

ბ. სტატკოვსკიმ ინჟინერთა ჯგუფთან ერთად, ასევე, დეტალურად გამოიკვლია კავკასიის საუღელტეხილო მაგისტრალის შესაძლო მიმართულებები და არჩევანი „დარკოხ-გორის“ მარშრუტზე შეაჩერა. ჩრდილო ოსეთის სოფელ დარკოხიდან რკინიგზა ალაგირ-ზარამაგის გავლითა და როკის გვრაბით სოფელ ძაუში გადავიდოდა, საიდანაც ცხინვალის გავლით გორში ჩააღწევდა. პროექტით, რკინიგზის საერთო სიგრძე 196 კმ-ს უტოლდებოდა უღელტეხილის ქვეშ გასაყვანი 6500 მეტრი გვირაბის ჩათვლით. მშენებლობის ჯამური ღირებულებად ნაანგარიშევი იყო 27 მილიონი რუბლი. ლიანდაგის დაგება ხუთ წელიწადში უნდა დასრულებულიყო.

1879 წელს პროექტი რუსეთის გზათა მიმოსვლის უწყებამ მოიწონა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საუღელტეხილო გვირაბის მშენებლობის საკითხი არაერთხელ დაისვა, იმპერიის ფინანსთა სამინისტრო სახსრებს არ გამოჰყოფდა.[1]

ტრანსკავკასიური რკინიგზის სტრატეგიულ მნიშვნელობას კარგად აცნობიერებდა და მისი განხორციელების იდეას 1870-იან წლებში განსაკუთრებით ლობირებდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავადი ალექსანდრ გორჩაკოვი, რომელიც საჭიროდ მიიჩნევდა ვლადიკავკაზიდან თბილისამდე და შემდეგ ჯულფასა და თავრიზამდე რკინიგზის მაგისტრალის გაყვანას.

საუღელტეხილო რკინიგზის მხარდამჭერთა შორის იყო ასევე რუსეთის იმპერიის გენერალური შტაბის უფროსი 1881-1897 წლებში, გენერალ-ადიუტანტი ნიკოლაი ობრუჩევი და სხვ., მაგრამ ყოველნაირი გათვლებით, მაგისტრალი იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ მისი განხორციელება ვერა და ვერ ხერხდებოდა.

ამის მიუხედავად, ინტერესი მაგისტრალისადმი არ განელებულა. დგებოდა სხვადასხვა პროექტი, რომელთა შორის ერთი წარმოშობით ბელგიელსა და რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომს, ლეიტენანტსა და სამთო ინჟინერს ნიკოლაი ფილკოვიჩს ეკუთვნოდა. ამ პროექტის მიხედვით, მშენებლობა სოფელ დარკოხიდან უნდა დაეწყოთ, მარშრუტი როკის გადასავლელამდე არდონისა და ზარმაგის ხეობების გავლით მივიდოდა. როკში გვირაბი უნდა გაეჭრათ, ხოლო შემდეგ რკინიგზა ჯავისა და ლიახვის ხეობის გავლით, გორს შეუერთდებოდა. მაგისტრალის სიგრძე 184 ვერსი იქნებოდა და ორლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა ჯამში 25,5 მილიონი მანეთი დაჯდებოდა. პროექტის ავტორი დარწმუნებული იყო, რომ რკინიგზა შემოსავლიანი იქნებოდა და იგი არათუ ხარჯს დაფარავდა, არამედ მოგებასაც მისცემდა მის გამყვანთ. გაზეთების ცნობით, მაგისტრალის მშენებლობას კისრულობს საზღვარგარეთელ ბანკირთა სინდიკატი, რომელიც თუ ნებართვას მიიღებს, განზრახული აქვს მოიწვიოს ესპანეთისა და მცირე აზიის მთიან ადგილებში მუშაობის გამოცდილების მქონე დახელოვნებული და გამოცდილი ინჟინრები.[2]

1899 გაზეთ „ფიგაროს“ ცნობით, „ფილკევიჩს, რომელიც ამჟამად პარიჟში იმყოფება, დიდად თურმე გაუძნელდა საქართველოს სამხედრო გზაზედ რკინისგზის გაყვანის პროექტი შეეწყნარებინა მთავრობისათვის. როგორც ვიცით, ამ გზამ ამიერკავკასია რუსეთს უნდა შეუერთოს. „ფიგაროს“ აზრით, ეს გზა აუცილებლად საჭიროა არა მარტო რუსეთისა, არამედ ყველა ქვეყნის ვაჭრობა აღებ-მიცემობისთვის და განსაკუთრებით სასარგებლოა კავკასიის მრეწველობის განვითარებისა და რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობა აღებ-მიცემობისათვის, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება. ფილკევიჩს იმედი ჰქონია, რომ დასძლევს ყოველგვარ სიძნელეს და ამ პროექტს განახორციელებს“.[3]

---

[1] დ. რეიფილდი, საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი. სამიათასწლოვანი ისტორია, თბ., 2022, გვ. 467.
[2] გაზ. „ივერია“, 1901 წ., 13 დეკემბერი.
[3] გაზ. „ივერია“, 1899 წ., 24 ნოემბერი.

1903 წელს „Санкт-Петербургские ведомости“-ში დაიბეჭდა ტრანსკავკასიის რკინიგზისადმი მიძღვნილი პროფესორ ფრანც ლევისონ-ლესინგის[1] სტატია. ავტორი მხარს უჭერდა მშენებლობის იდეას, განიხილავდა მის ტექნიკურ მხარესა და მარშრუტებს. მისი აზრით, კავკასიისათვის რკინიგზას უფრო მეტი მნიშვნელობა ექნებოდა თუ მას გორიდან დარკოხამდე როკის უღელტეხილის გავლით გაიყვანდნენ, მაგრამ ნიადაგის არამდგრადობა და ზვავების საშიშროება ამ პროექტს განუხორციელებელს ხდიდა. ძნელად შესასრულებლად წარმოედგინა მას თბილისი კავკავის მიმართულებაც, რომელიც უნდა აჰყოლოდა თეთრ არაგვს, გადაეხვია გუდამაყრის არაგვისაკენ, გადასულიყო ბურსაჭირის (გუდამაყრის) გადასავლელს და საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ დაშვებულიყო კავკავისაკენ. გასაყვანად უფრო ადვილი მოსჩანდა მესამე მარშრუტი – იგი ავჭალიდან დუშეთს ზემოთ, ფშავის არაგვზე შეუხვევდა, შემდეგ ხევსურეთის არაგვს გასცდებოდა, არხოტის გადასასვლელს გადაივლიდა და მდინარე ასსას გასწვრივ კავკავისაკენ დაექანებოდა, თუმცა, როგორც პროფესორი წერდა, – მას კავკასიის ეკონომიკური ცხოვრებისათვის ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა.[2]

სხვადასხვა პერიოდში ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტები დაამუშავეს ინჟინრებმა ა. კუჩინსკიმ, ნ. ავდეევმა და სხვებმა. ქართველი საზოგადოებრიობა ყოველივეს საქმის კურსში იყო და ამ წამოწყებას აქტიურად ეხმაურებოდა. მაგალითად, ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიაში“ წერდა: „ჯერ თუმცა მარტო ამბავად გავრცელებულია ტფილისში ხმა, რომ როკის ხეობაზედ რკინიგზას გამოატარებენ კავკავიდამო, მაგრამ დარწმუნებით კი ლაპარაკობენ. ...ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაკეთდეს და მისვლა-მოსვლა გაიმართოს ამ ახალ გზაზედო. მამისონის უღელტეხილზედ კი გზატკეცილი გადავაო. ეს უკანასკნელი ამბავი მით უფრო შესანიშნავია, რომ მამისონის უღელტეხილი წინ აღუდგა როკის ხეობას და საკმაოდ მოსარჩლეობა მოიპოვა აქაურთა მოხელეთა შორის. ბოლოს კი, როგორც ვხედავთ, ბურთი და მოედანი როკის ხეობას დაჰრჩენია და ამ სახით ქართლს, მაგ ერთგულს და ჭირნახულს დედას ჩვენი ქვეყნისას, ერთი სახსარი კეთილდღეობისა და აყვავებისა კიდევ მიჰმატებია. ჩვენ აქ სიხარულის მეტი არა გვმართებს-რა. ღმერთმა მშვიდობაში და ბედნიერებაში მოახმაროს ჩვენს მრავალტანჯულს დედა-ქართლსა“.[3]

არსებულა პროექტიც, რომლის მიხედვით, სარკინიგზო გვირაბი ჩრდილო კავკასიის სოფელ დიგორიდან რაჭის სოფელ ღებამდე უნდა გაეყვანათ. გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ერთი წერილის თანახმად, „თუ ამ მიმართულებით გაკეთდა რუსეთთან საქართველოს შემაერთებელი რკინის გზა, მთელის სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა ექმნება და განსაკუთრებით-კი მივიწყებულის რაჭა-ლეჩხუმისათვის და მათთან სვანეთს, რომელიც სულ ახლოს აკრავს სოფელ ლომს, ფეხზედ დააყენებს და გააცოცხლებს“. სტატიაში იმედი იყო გამოთქმული, რომ მთავრობა დაინახავდა რაჭის გზის პროექტის თვალსაჩინო უპირატესობას სხვა პროექტებთან შედარებით და არჩევანს მასზე შეაჩერებდა.[4]

ქართული პერიოდული პრესა დროდადრო მიუბრუნდებოდა ხოლმე ტრანსკავკასიის რკინიგზას და მკითხველს ახალ და დამატებით ინფორმაციებს სთავაზობდა. მაგალითად, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1904 წლის ზაფხულში იუწყებოდა: „ამ რამდენიმე წლის წინათ მთავრობა ფიქრობდა რკინიგზის გაყვანას, მაგრამ ამ საქმემ შემდეგ მიიძინა. ამ ჟამად ინჟინერ ვურცელს, რომელმაც ყარსი-ერევნის რკინიგზა გაიყვანა და სპარსეთისაკენაც მიჰყავს, ეს საქმე

---

[1] ლევისონ-ლესინგი 1925 წელს აკადემიკოსი გახდა. 1930-იან წლებში ისევ აგრძელებდა გეოლოგიურ კვლევებს როკის უღელტეხილზე. მისი თანავტორობით ამ საკითხზე გამოცემულია საინტერესო ნაშრომიც: Иностранцев А. А., Левинсон-Лессинг Ф. Ю., Каракаш Н. И., Стрешевский С. И. Чрез Главный Кавказский хребет. Геологические исследования предполагаемого ж. д. пути чрез Архотский перевал между Владикавказом и Тифлисом: Отчёт Управлению казённых ж. д. СПб.: Изд. Упр. казённых ж. д. 1896.

[2] „Санкт-Петербургские ведомости“, 1903, # 35; გაზ. „ივერია“, 1903 წ., 25 მაისი.

[3] გაზ. „ივერია“, 1899 წ., 24 ნოემბერი.

[4] გაზ. „ივერია“, 1895 წ., 10 ოქტომბერი.

გაუახლებია. შეუდგენია დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა და შესაძლოდ უცვნია ფშავ-ხევსურეთზე კავკავამდის რკინის გზის გაყვანა“. ვურცელი მოკლე ხანში აპირებდა პეტერბურგს გამგზავრებას, სადაც უნდა წარედგინა თავისი პროექტი. ამ პროექტის მიხედვით, რომლის ბიუჯეტი 50 მილიონ მანეთზე იყო გათვლილი, რკინიგზა მცხეთიდან დაიწყებოდა, გაივლიდა ფშავის სოფელ თვალივს, ხევსურეთში – ბარისახოს და გადავიდოდა კავკავში. გათვალისწინებული იყო 18 ვერის სიგრძის დიდი გვირაბის გაჭრა და შვიდი სადგურის აგება.[1]

როგორც ირკვევა, ე. ვურცელმა თავისი პროექტი 1906 წლის 12 მარტს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის ფილიალის სხდომაზეც გაიტანა და მოხსენების ტექსტი ცალკე ბროშურადაც გამოაქვეყნა.[2]

იმავე პერიოდში სხვა პროექტებსაც განიხილავდნენ. მაგალითად, რუსეთის საიმპერატორო ტექნიკური საზოგადოების კავკასიის ფილიალში, 1906 წლის 3 ივნისს, ბ. სტატკოვსკის პროექტზე დადებითი დასკვნა წარადგინა სამთო ინჟინერმა დ. გიოევმა.[3] მოხსენებად წაკითხული ეს დასკვნა ბეჭდურადაც არის გამოცემული.[4] ბ. სტატკოვსკის პროექტი რუსეთის იმპერიის მინისტრთა საბჭომაც განიხილა და მხარი დაუჭირა, თუმცა მისი რეალიზება ვერ მოხერხდა.

პროექტებზე მსჯელობა არ შეწყვეტილა. 1909 რუსეთის გზათა სამინისტროს სპეციალისტებმა ადგილზე შეისწავლეს საუღელტეხილო რკინიგზის სავარაუდო მონაკვეთი და გამოთქვეს თვალსაზრისი, რომ მისი განხორციელება წამგებიანი იქნებოდა. ამის მიუხედავად პროექტი მაინც გადააგზავნეს სახელმწიფო სათათბიროში.[5]

მაგისტრალის მშენებლობის პროექტი იმპერატორმა ნიკოლაი II-ემაც დაამტკიცა, მაგრამ მისი დაწყება არაერთხელ გადაიდო 1905-1907 წლების რევოლუციისა თუ მსოფლიო ომის გამო. ყოველივეს მიუხედავად, კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის იდეა აქტუალობას არ ჰკარგავდა. ამ მხრივ, 1916 წლის ოქტომბერში საგულისხმო სტატია გამაქვეყნა გაზეთმა „საქართველომ“.

სტატიაში ხაზგასმული იყო, რომ მიმდინარე მსოფლიო ომში რუსეთმა ვერ შესძლო მთელი თავისი სამხედრო ძლევამოსილების გაშლა, იმიტომ რომ მას მოწინააღმდეგეებთან შედარებით ხეირიანი გზები, მათ შორის – რკინიგზები აკლია. უგზოობა განსაკუთრებით მწვავედ საქართველოში იგრძნობა. „დღეს ამ სიმწვავეს გრძნობს არა მარტო მცხოვრებთა მასა, არამედ თვით რუსის მთავრობაც. უეჭველია, რომ რუსეთს ოსმალეთთან ბრძოლა ბევრად გაუადვილდებოდა და ხარჯიც დიდად შეუმოკლდებოდა საუღელტეხილო გზა რომ მზად ყოფილიყო ომის დაწყებამდე. ის ზედმეტი მილიონები, რაც ახლა ჯარის გადმოსხმაზე და სურსათის გადმოზიდვაზე იხარჯება, სრულიად საკმარისი იქნებოდა კავკავ-თბილისის შტოს გასაყვანად“.

გაზეთი განიხილავდა კავკასიის საუღელტეხილო მაგისტრალის სამ პროექტს, კერძოდ – ვურცელის, კურინსკისა და ავდეევისას. ინჟინერ ვურცელის გეგმის მიხედვით, ახალი ლიანდაგის დაგება სადგურ სლეპცოსკაიასთან უნდა დაწყებულიყო, გაევლო არხოტისა და გველის მთა, ხევსურეთი და თიანეთის მაზრა და თბილისთან ამიერკავკასიის მაგისტრალს შეერთებოდა. „ეს პროექტი საქართველოსთვის იმით არის სახელდახელო, რომ ლიანდაგი

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904 წ., 30 მაისი.

[2] Доклад инженера п.с. Е.Д. Вурцеля "К вопросу о развитии путей сообщения на Кавказе" прочитанный в заседании Кавказского Отделения Императорского Русского Технического Общества, 12 марта 1906 года.

[3] https://cominf.org/node/1166482138

[4] Доклад иженера п.с. Д.Г. Гиоева по вопросу о выборе направления железной дороги через главный Кавказский хребет, прочитанный в заседании Кавказского Отделения Императорского Русского Технического общества 3 июня 1906 г. / Д.Г. Гиоев. [Тифлис, 1906].

[5] ჯ. სამუშია, თბილისსა და ვლადიკავკაზს შორის კავკასიონზე „საუღელტეხილო“ რკინიგზის მშენებლობის პროექტი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბ., 2018, გვ. 192-193.

მივარდნილ, ჩამორჩენილ პროვინციებს გადასჭრის და ეკონომიკურად და კულტურულად გამოაცოცხლებს“. პუბლიკაციის ავტორი სინანულს გამოთქვამდა, რომ პროექტს, რომელიც არხოტის მთაში 22 კილომეტრიანი გვირაბის გაყვანას ითვალისწინებდა, ბევრი დამცველი არ ჰყავდა, რადგან მისი განხორციელება უზარმაზარ ხარჯებს ითხოვდა და ტექნიკურადაც ძნელად შესასრულებელი იყო.

კურინსკის პროექტით, საუღელტეხილო რკინიგზა ვიწროლიანდაგიანი უნდა ყოფილიყო. დაიწყებოდა კავკავთან, მიბრუნდებოდა ქვენამთისკენ და საქართველოს სამხედრო გზის პარალელურად, თბილისში დამთავრდებოდა. პროექტის უპირატესობას მისი სიიაფე და ტექნიკური სიადვილე განაპირობებდა – სულ 30 მილიონი რუბლი დაჯდებოდა და სამ-ოთხ წელიწადში დამთავრდებოდა. როგორც გაზეთი წერდა: „გზის წარმოების ექსპლუატაციას გააადვილებს ის გარემოებაც, რომ მამოძრავებელ ძალისათვის გამოყენებული იქნება თერგისა და არაგვის ენერგიაც, რისთვისაც სამი დიდი საელექტრონო სადგური მოეწყობა ამ მდინარეზე“. გაზეთი მიიჩნევდა, რომ ამ პროექტს ყველაზე მეტი მომხრე უნდა ჰყავდეს მთავრობაში.

მესამე – ინჟინერ ავდეევის პროექტი გაცილებით ახალი იყო და „ყველაზე გაბედულიც“. პროექტით, სადგურ დარკვეთთან დაწყებული რკინიგზა გადაჭრიდა არდონისა და დიდი ლიახვის ხეობებს და სოფელ ჯავასთან ორად გაიყოფოდა. ერთი შტო ყვირილსაკენ წავიდოდა, ხოლო მეორე თბილისისაკენ. „ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება ასეთი რკინიგზა დიდად სასარგებლოც იყოს, მაგრამ საეჭვოა რომ ის ახლო მომავალში განხორციელდეს. სხვა არა იყოს რა, ინჟინერ ავდეევის პროექტი 35 ვერსტიანი გვირაბის გათხრას ჰგულისხმობს“, – დასძენდა გაზეთი.[1]

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა რუსეთში კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის პროექტი უკანა პლანზე გადასწია, მაგრამ საქართველოში ეს პროექტი არ დავიწყებიათ. 1918 წელს თბილისში კონსტანტინე აფხაზის თავმჯდომარეობით დაარსდა „საუღელტეხილო რკინის გზის საზოგადოება“, რომლის გამგეობაში შედიოდნენ გ. თუმანიშვილი, ინჟინერი ა. კუჩინსკი და სხვა სპეციალისტები.

ინჟინერი ა. კუჩინსკი ამ პროექტთან ჯერ კიდევ ათი წლის წინ იყო დაკავშირებული. გაზეთის ცნობით, 1907 წლის დასაწყისში, კავკასიის მეფისნაცვლს ი. ვორონცოვ-დაშკოვს თბილისიდან ვლადიკავკასამდე და ბესლანამდე რკინიგზის გაყვანის საქმე გადაუცია „განსაკუთრებული საზოგადოებისათვის“, რომელსაც სათავეში ინჟინერი ა. კუჩინსკი ედგა. „ამ გზის გასაყვანად საჭიროა 15 მილიონი მანეთი. გზა ოთხი წლის განმავლობაში დასრულდება“, – იუწყებოდა გაზეთი „წინ“.[2]

1918 წლისათვის კუჩინსკიმ ხელახლა გადაამუშავა თბილისის ვლადიკავკაზთან დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის პროექტი, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წლისათვის ჰქონდა შედგენილი და განსახილველად მოამზადა მისი ახალი ვერსია. მაგისტრალის მარშრუტად შერჩეული იყო ქვენამთის მიმართულება: მდინარეების არაგვისა და თერგის ხეობების გავლით. იმავე პერიოდში განიხილებოდა ქუთაისიდან კავკასიონის უღელტეხილის გავლით დარგკოხამდე რკინიგზის გაყვანის საკითხიც, მაგრამ პროექტმა სიძვირისა და სირთულის გამო მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.[3]

საუღელტეხილო რკინიგზას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება განიხილავდა, როგორც მჭიდრო კომუნიკაციის საშუალებას ჩრდილო კავკასიაში წარმოქმნილ მთის რესპუბლიკასთან და არა ბოლშევიკურ რუსეთთან. ამ რესპუბლიკასთან (ცენტრი ჯერ

[1] გაზ. „საქართველო“, 1916 წ., 13 ოქტომბერი.
[2] გაზ. „წინ“, 1907 წ., 25 თებერვალი.
[3] ჯ. სამუშია, დასახელებული სტატია, გვ. 192.

ვლადიკავკავში, შემდეგ თემირ ხან-შურში) კი, რომელმაც მცირე ხანს იარსება, თბილისს სავაჭრო-ეკონომიკური და სტრატეგიული ურთიერთობაც ჰქონდა.[1]

კუჩინსკის პროექტზე სპეციალურად იმსჯელა ხუთმა დარგობრივმა კომისიამ (ეკონომიური, სარკინიგზო-ტექნიკური, ჰიდროტექნიკური, ელექტროფიკაციის და იურიდიულ-საფინანსო), მოიწონა შეთავაზებული ვარიანტი და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ, რეკომენდაცია მისცა განსახორციელებლად. პროექტი გადაეცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გზათა კომისიას. ამ მასშტაბური პროექტის დაფინანსება ახლად შექმნილი ქართული სახელმწიფოს ბიუჯეტს მაშინ არ შეეძლო, ამიტომ მოისინჯა სახსრების გამოძებნის სხვა გზა კერძო და უცხოური კაპიტალის თანამონაწილეობით. განიხილებოდა ბრიტანული ინვესტიციის მოზიდვა (დაახლოებით 100 მილიონის ფარგლებში), წარმოებდა მოლაპარაკებები ფრანგულ, იტალიურ და ქართულ ბანკებთანაც.

1920 წლის 3 თებერვალს საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანის საკითხზე გაიმართა განსაკუთრებული თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა გზათა სამინისტროს ტექნიკური სამმართველოს უფროსი ინჟინერი მ. ანდრონიკაშვილი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას მიიღეს „საუღელტეხილო რკინის გზის საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარე კ. აბხაზმა, ზემოხსენებილი რკინის გზის პროექტის განმხილველ კომისიის წევრებმა, უწყებათა წარმომადგენლებმა და მოწვეულმა სპეციალისტებმა.

თათბირმა განიხილა დამფუძნებელი კრების გზათა კომისიის შეკითხვები: „1. სასურველათ და საჭიროთ სცნობს თუ არა თათბირი საუღელტეხილო რკინის გზის გაყვანას?

2. სცნობს თუ არა თათბირი, რომ უკვე არჩეული ქვენამეთის მიმართულება აკმაყოფილებს პირველი რიგის სამაგისტრალო გზის პირობებს?

3. მისაღებათ სცნობს თუ არა თათბირი ელექტრონის საუღელტეხილო რკინის გზის – ტფილისი-ბესლანი განხილულ პროექტს, კომისიის მიერ შეტანილი შესწორებებით? და

4. სასურველია თუ არა, რომ კონცესია მიეცეს „ელექტრონის საუღელტეხილო რკინის გზის ამხანაგობას“ წესდების პირობებზე“.[2]

თათბირმა ყველა კითხვას უპასუხა და საკითხზე დადებითი დასკვნა წარადგინა, მაგრამ თბილისი-ვლადიკავკაზის საუღელტეხილო რკინიგზის პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა.

[1] მ. ბახტაძე, კ. ცერცვაძე, დოკუმენტები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ურთიერთობების შესახებ 1918-1921 წლებში, თბ., 2000.

[2] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 5 თებერვალი.

Otar Janelidze
Gori State University

TRANS-CAUCASIAN PASS RAILWAY

RESUME

In the 70s of the 19th century, engineer Boleslav Statkovsky put forward the idea of cutting a tunnel and laying a railway in the Caucasus Mountains. Together with a group of specialists, he explored possible directions for the route and drew up a project that included the construction of a 196 km long railway line within five years, including a 6,500-meter-long tunnel under the pass. The total cost of construction was estimated at 27 million rubles. There were several more projects that belonged to N. Filkovich, E. Wurtzel, A. Kuchinsky, N. Avdeev and others.

The Empire's Ministry of Railways approved Statkovsky's project, but the Ministry of Finance refrained from allocating funds. Statkovsky's project was supported by the Council of Ministers of the Russian Empire and approved by Emperor Nicholas II, although it could not be implemented due to the revolution of 1905-1907 or the First World War. The overthrow of the monarchy and the events that took place the following year in Russia took the Trans-Caucasian Railway project off the agenda.

The idea of the project had not been forgotten in Georgia. In 1918, under the chairmanship of Konstantin Abkhazi, the “Society of the Trans-Caucasian Pass Railway” was founded in Tbilisi. Engineer Kuchinsky revised the project for the construction of the Tbilisi-Vladikavkaz railway line drawn up back in 1907 and prepared a new version of it.

The authorities of the Democratic Republic of Georgia considered the transshipment railway as an important means of communication from a trade and economic point of view with the mountainous republic that had formed in the North Caucasus. However, the budget of the newly created Georgian state was unable to finance this large-scale project. An option with the participation of private and foreign capital was considered but without success.

იოსებ ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს საპატრიარქოსა და ეგზარქატის ყმა-მამული და ქონება ხიდისთავში

გორის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე მტკვრისა და ტანის შესართავთან მდებარე სოფელი ხიდისთავი გორის მოსაზღვრე და დღეისათვის რაიონში ერთ-ერთი უდიდესი სოფელია.

საქართველოს საპატრიარქო, მოგვიანებით კი ეგზარქატი ხიდისთავში მნიშვნელოვან ყმა-მამულსა და ქონებას ფლობდა.

პირველივე დოკუმენტიდან, რომელიც ჩვენთვის ცნობილია და დავით „მეფეთა-მეფის" მიერაა გაცემული 1382 წლის 30 ივნისს, ვიგებთ, რომ ხიდისთავი, თავის „გაღმა-გამოღმა სამზღვრითა", ოქონის ეკლესიისათვის თამარ მეფეს შეუწირავს. დოკუმენტში ვკითხულობთ: „*ქ. ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვან აფხაზთა რანთა კახთა შაა* (შაჰანშა – ი. ა.) *და შირვან და საქართველოს მპყრობელმან და ჴელმწიფემან მეფეთ მეფემან დავით და ძეთა ჩვენთა გიორგი და ალექსანდრე, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ მას ჟამსა ოდეს საყდარი ოქონისა ბებიის ბებიასა ჩვენსა თამარ დედოფალს აღეშენა ქალაქსა გორისასა სანახებსა, დაეხატა და შეემკო და შეეწირა სოფელ ხიდისთავ გაღმა გამოღმა სამზღვრითა, ამით ნეტარის ჯვარის წვერი რამ ხევამდის, მას დამართებით ზემო წითელი კლდე, მას დაპირისპირ ქათამაურის ბოლომდინ, კამკამაურის პირისპირ დიდს რუსხმულამდინ, რუსხმულის დაპირისპირებით კლდათ ხევამდინ. ამისითა რუთა, წყლითა, მიწითა და ჭალითა. მოგვიხსენებია და შეგვიწირავს ხატისა ოქონისათჳს*".[1]

აღსანიშნავია, რომ თამარ მეფეს გორის ოქონის ეკლესიისათვის მხოლოდ ხიდისთავი კი არა, გორისა და მისი ახლომდებარე სოფლების მიწებიც შეუწირავს: „ზემო რეხას ათი საკომლო ...გარეჯვარს ლომსათუბანი ...რუის უმეკაშვილი მისითა მამულით ...ატენს მამული ერთი ჩიყლიყაძის ...გორს ვაჭარნი ექვსნი მათითა სახლ-კარითა" და სხვ.[2]

მიუხედავად საბუთის გამცემის დავით „მეფეთა-მეფის" მიმართ გარკვეული ეჭვისა,[3] თამარ მეფის მიერ გორის ოქონის ტაძრისადმი ხიდისთავის შეწირულობა შედარებით გვიანდელი საბუთებიდანაც დასტურდება. ესაა 1725 წლის 13 იანვრის წყალობის სიგელი, რომლითაც, ვახტანგ VI-მ იგივე პირობებით, რაც დიდმა თამარ მეფემ („გამოღმა სარბეუითა იმავ წესითა და რიგითა"), ხიდისთავის შეწირულობა გორის ოქონის მონასტრისადმი კვლავ განაახლა[4].

საისტორიო დოკუმენტებში ხშირია ხიდისთავის ყმა-მამულის გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი შეწირულობა.

1539 წლის 27 თებერვლით დათარიღებულ წყალობის სიგელით შალვა და და გიორგი ჯომარდიძეებს გორიჯვრისადმი შეწირულ – გრიგოლ პეტეტაშვილისა და მისი შვილებისათვის უბოძებიათ: „მათი მკვიდრი მამული გუფთას ჭაობში ხიდისთავს აქათ ოთხი დღის მიწა სავენახეზედ"[5].

---

[1] გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, № 7601/30.

[2] იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, ოქონის ხატებისა და ტაძრების ისტორიიდან, თბ., 2012, გვ. 53.

[3] იოსებ ალიმბარაშვილი, კიდევ ერთი დავით „მეფეთა-მეფის" რიგითობისა და ვინაობის საკითხისათვის, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 1, გვ. 12-22.

[4] ელდარ მამისთვალიშვილი. გორის ისტორია I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბ., 2018, გვ. 500-501.

[5] საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი. ფ. 1451. დავთ. 1. წიგნი 2ა. საქმე. 1.

1791 წლის 13 სექტემბრის ოთარ ამილახვრისა და ქაიხოსრო და ბეჟან ამილახვრისშვილების გაყრილობის წიგნიდან ჩანს, რომ ხიდისთავს „სახლობდნენ“ გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიის „ყმანი გორისეველნი“, სულ 5 კომლი და 11 სული:

ქ. გორისეველი კატაპარასძე გლახა შვილი ღთისია, გოგია კომლი ა, თავიც გ;

ქ. ლაზარაშვილი პაპა, ძმა დათუა კომლი ა, თავიც ბ;

ქ. ბატატაშვილი ქიტესა, ბიძაშვილი ნინია და ლაზარე კომლი ა, თავიც გ;

ქ. გორისეველი გოგია, ქიტესაშვილი კომლი ა, თავიც ა;

ქ. გორისეველი ლაზარეშვილი ბარნაბე, გორსა დგას ამისი შვილი კომლი ა, თავიც ბ“[1].

გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიის ყმები ხიდისთავში XIX საუკუნეშიც აქტიურად ჩანან (იხ: ქვემოთ).

თუ ხიდისთავის გეოგრაფიულ მდებარეობას გავითვალისწინებთ, მას საკმაოდ დიდი ქარტეხილებისათვის უნდა გაეძლო. ნებისმიერი დამპყრობლის გორზე შეტევა ხიდისთავზე თავისთავად აისახებოდა, ხოლო მტრის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ქართლის „დედაქალაქზე“ თავდასხმის შემთხვევაში პირველ დარტყმებს სწორედ ხიდისთავი იღებდა.

ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ ხიდისთავი XIV-XVII საუკუნის ისტორიულ საბუთებში თითქმის აღარ იხსენიება. ჩვენი ვარაუდით, ამ მხრივ, გადამწყვეტი როლი თემურ-ლენგის შემოსევებმა შეასრულა. ცნობილია, რომ მისი 1400 წლის ლაშქრობა განსაკუთრებით მძიმე შიდა ქართლისათვის აღმოჩნდა. თბილისის შემდეგ თემურმა დაანგრია სვეტიცხოველი, ქვათახევში ბერ-მონაზვნები ცოცხლად გამოწვა, აიკლო რკონი, ატენის ხეობა, გორის ციხეს შემოადგა და აიღო. ანუ, თემურის მარშრუტი თბილისიდან გორამდე ხიდისთავზე გადის. ასევე ხიდისთავზე გაიარა 1609 წელს ქართლში შემოჭრილმა ყირიმელ თათართა 60 ათასიანმა ურდომ, რომელიც ტაშისკართან დაამარცხა გიორგი სააკაძემ.

აღნიშნულის გამო, სოფლის გადარჩენილი მოსახლეობა სხვა, შედარებით უსაფრთხო ადგილებში უნდა დაფანტულიყო და მოგვიანებით მათი დაბრუნება მხოლოდ სამეფო კარის აქტიური ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი.[2]

ხიდისთავში საქართველოს ეკლესიისადმი ყმა-მამულის შეწირულობის დამადასტურებელი საბუთები უკვე აქტიურად ჩანს XVIII ს. დასაწყისიდანვე. როგორც ზემოთ ითქვა, ვახტანგ VI-მ ხიდისთავის შეწირულობა გორის ოქონის მონასტრისადმი კვლავ განაახლა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV (1704-1741 წწ.), თავის მდივან-მწიგნობარს მღვდელ იასე ტლაშაძეს, ერთგულებისა და თავდადების ნიშნად, ასევე, კათალიკოსთან ერთად კონსტანტინოპოლში მამულისა და საყდრის დასაცავად გაღებული ღვაწლის გამო, კათალიკოსი 1727 წელს ატენსა და ხიდისთავში 27 კომლ ყმას უბოძებს და სახუცო გადასახადისაგანაც ათავისუფლებს.[3]

ხიდისთავში ყმები ჰყავდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანტონ II-საც. 1789 წლის კათალიკოსის სახასო და საარნაურშვილო დავთრის მიხედვით, ხიდისთავში მოხსენიებულნი არიან ლაშქარაშვილი გოგია და დვალიშვილი ღვთისია[4].

სამეფო კარის ერთგულების სანაცვლოდ მიუღიათ ალექსიშვილებს ხიდისთავში „ბეითალმანი“ მამულები ფარნაოზ ბატონიშვილისაგან 1789 წლის 17 თებერვალს: „ჟამთა და დროთა გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ შენ

---

[1] აპოლონ თაბუაშვილი, შიდა ქართლის მოსახლეობის აღწერის დავთრები XVIII ს-ის II ნახევარი, თბ., 2010, გვ. 83.

[2] იხ: იოსებ ალიმბარაშვილი, ხიდისთავის ისტორია, გორი 2022, გვ. 188-190.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლო-ბისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი III (1700 წლიდან XIX ს.60 – იან წლებამდე). გა-მოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ. თბ., 1967. გვ. 113.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.ს.), *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ*, თბ., 1970, გვ. 993, დოკ. 429.

ჩუცნს ერთგულს და თავდადებით ნამსახურს აზნაურშვილს ალექსის-შვილს მღუდელს ბესარიონს ...და მომავალთა სახლთა თქვენისათა, ასე რომე ავის დროის მიზეზით თქვენს მამულს ვეღარ უდგებოდით და მამულის წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ჩვენი სახასო ყმის ატენელის აფკარაშვილის ბეციას ბეითალმანის მამულიდამ ხიდისთავის სავენახედ სოფლის ახლოს ექვსი დღის მიწა და თუ სოფლის ახლოდამ არ შეგისრულდეს, მინდვრიდამ უნდა ეს ექვსი დღის მიწა შეგისრულდეს"[1].

„ბეითალმანი" მამულები ხიდისთავში მღვდელ ბესარიონ ალექსიშვილისათვის სამეფო კარისაგან ეს ბოლო წყალობა არ არის. 1797 წლის 7 სექტემბერს ფარნაოზ ბატონიშვილი და მისი თანამეცხედრე - ქსნის ერისთავის ასული ანა, მღვდელ ბესარიონსა და მის ძმებს: იაკობს, გაბრიელს, სოლომონსა და ნინიას „ერთგულებისა" და „ნამსახურობის" ნიშნად „შვილთა და შვილიშვილთა გამოსადეგი" წყალობის ნიშნად ატენელ მუკნიაშვილსა და ბერბუკს ხიზნად მდგომ გელიაშვილებს უბოძებს (იხ: დანართი).

წყალობის სიგელი დამოწმებულია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ანტონ II-ისა და დედოფალ დარეჯანის მიერ და ნაწერია ლამაზი მხედრული ხელით, ხვეული, ბმული ასოებით. „ქანწილი" გამშვენიერებულია, ბოლოში ქორონიკონის შემდეგ უზის ორი მართკუთხა ბეჭედი, ხოლო დარეჯან დედოფლის მინაწერთან - მცირე მრგვალი ბეჭედი.

რიგ ადგილებში ქაღალდი დაზიანებულია, მაგრამ ტექსტი მთლიანობაში კარგად იკითხება (იხ: დანართი).[2]

ცნობილია, რომ საქართველოს სოფლებში სახალხო დღესასწაულები იმ წმინდანს უკავშირდებოდა, რომლის სახელზეც იყო აგებული ეკლესია-მონასტერი. ხიდისთავში ასეთი დღესასწაულია „ახალჯვრობა", რომელიც „ახალჯვარს" ეძღვნება. ამ სასწაულმოქმედ ჯვარს, ჩვენი ქვეყნის სიწმინდეთა და სიძველეთა შორის გამორჩეული ადგილი ეკავა. შემთხვევითი არ არის, რომ XVIII საუკუნით დათარიღებულ ნასყიდობის ერთ საბუთში სწორედ ახალჯვრის წმ. გიორგის „ძალითა და შეწევნით" ხდება სამართლებრივი აქტის (მამულის ნასყიდობის) განხორციელება.[3]

ახალჯვრის ეკლესია მდებარეობს ატენის ხეობაში, სოფელ ბობნევში და მის სასწაულმოქმედ ძალაზე მიანიშნებს ვახუშტი ბატონიშვილი: „სასწაულთმყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუჭშველნი და მცველნი არაოდეს ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი".[4] სერგი მაკალათია გადმოგვცემს ხალხურ ვერსიას, თითქოს დანახვისი და ახალჯვარი ხელში მშვილდ-ისრებით ეშმაკებს (ბოროტ სულებს) ხოცავდნენ და ხეობას ისე იცავდნენ.[5]

ახალჯვრის ეკლესიაში დაცული იყო ჯვარი, საკმაოდ შთამბეჭდავი ზომებით, დაახლ., სიმაღლით 2 და სიგანით 1,30 მ.

ეკლესიასა და ჯვარს საუფლისწულო აზნაურები სააკაძეები მფარველობდნენ, რადგან სოფელი ბობნევი მათი სამკვიდრო იყო, ხოლო ჯვარისმტვირთველნი და ეკლესიის მღვდელ-დეკანოზნი კოშორიძეები ყოფილან. 1790 წელს ჯვარი ვერცხლით შეუმკია და მოუცხოველებია ფარნაოზ ბატონიშვილს და მის თანამეცხედრეს ანას, ქსნის ერისთავის ასულს. ჯვრის შემკობაში დიდი ღვაწლი და შრომა გაუღიათ გრიგოლ და ზურაბ სააკაძეებსა და ახალჯვრის ეკლესიის მოძღვარს გიორგი კოშორიძეს.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II. გვ. 145; დოკ. № 232.

[2] საბუთის პირი დახლ. 15 წლის წინ მომაწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, აწ განსვენებულმა ბატონმა ლევან ალექსიძემ.

[3] მაგ. 1738 წლის 12 მარტით დათარიღებულ მამულის ნასყიდობის წიგნში, მიცემული ტინისხიდელი გიორგი შოშიაშვილის მიერ მგელია ბერინაშვილისადმი, საბუთის შესავალ ღვთის სადიდებელ ნაწილში, სხვა წმინდანებთან (გორიჯვრის წმინდა გიორგი, ოქონის ხატი და სხვ.) ერთად, ახალჯვრის წმინდა გიორგიცაა მოხსენიებული (იხ: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, გვ. 29, დოკ. 43).

[4] ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 343.

[5] სერგი მაკალათია. ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 23.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის გადმოცემით, ახალჯვარი იმ ხისგან იყო დამზადებული, რომელიც მაცხოვრის კვართის მოტანისას აღმოცენდა მცხეთას, წმინდა ნინოს წყაროს გვერდით და სასწაულებრივი (განკურნების) უნარით გამოირჩეოდა. ჯვარში ასევე ჩატანებული იყო ძელი ჭეშმარიტის ნაწილი, რომელიც მას სასწაულთმოქმედ ძალას ჰმატებდა.[1]

XVIII ს. 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან ერეკლე II-მ საბოლოოდ „გაიერთგულა" და დიდი რაოდენობით „ბეითალმანი" მიწები უწყალობა სამეფო კარის მომხრე აზნაურებს მეღვინეთხუცესიშვილებსა და ალექსიშვილებს, ხიდისთავი საუფლისწულოდ გამოაცხადა და ფარნაოზ ბატონიშვილს უბოძა.[2] აქედან მოყოლებული ფარნაოზ ბატონიშვილი და მისი თანამეცხედრე ანა ქსნის ერისთავის ასული ხიდისთავში უხვად გასცემენ სხვადასხვა სახის წყალობებს ერთგულებზე.[3] ამავე დროს უნდა გადმოეტანათ ხიდისთავში ახალჯვარიც.

კოშორიძეები ხიდისთავში, ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებიდან ჩანან ახალჯვრის „მღვდელ-დეკანოზებად". 1785 წლის 6 აგვისტოს ახალჯვრის დეკანოზ გიორგი კოშორიძის ერეკლე II-სადმი მიწერილი არზიდან ჩანს, რომ კოშორიძეებს ჯერ კიდევ როსტომ მეფის, ანა დედოფლისა და ლუარსაბ მეფის მიერ გაცემული მათი გვარის ახალჯვრისადმი შეწირულობის სიგელები ჰქონდათ.[4]

XIX საუკუნის დასაწყისში ხიდისთავში ერთდროულად ორი ეკლესია აუშენებიათ 17 მეტრის მოშორებით.

1801 წელს მემამულე ალექსიძის (ალექსიშვილის) ინიციატივით აშენებულა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელშიც იატაკი დაუგია, მოუპირკეთებია და ხატებით შეუმკია მღვდელ - გიორგი კარიჭაშვილს.

ამ უკანასკნელის შესახებ საბუთში ნაჩვენებია, რომ იგი სოფელში უძრავ-მოძრავ ქონებას არ ფლობს[5]. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობით, სოფელში არსებულ ორ ეკლესიას ჰყოლია „ორი შტატის მღვდელნი აქაური მაცხოვრებელნივე თავის პრიჩეტნიკებით და მთავრით. აქვე სცხოვრობდნენ ოთხი კვამლი აზნაურიშვილები მცირე მებატონენი".[6]

ზემოხსენებული მღვდელი გიორგი კარიჭაშვილი ცნობილი ქართველი მეცნიერის და რუსთველოლოგის დავით კარიჭაშვილის მამა იყო. იგი დიდი ხნის განმავლობაში სოფელს უანგაროდ ემსახურებოდა, ამიტომ მრევლიც დიდ პატივს სცემდა. მისი გარდაცვალება სოფელში საყოველთაო გლოვის მიზეზი გამხდარა, რასაც „ივერიაც" ეხმაურებოდა: „ამ ხანებში სოფელმა დაკარგა სამოცდაათი წლის მოხუცი დეკანოზი გიორგი კარიჭაშვილი, რომელიც მრევლს ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა. 26-ს კვირას (იგულისხმება 1886 წლის 26 თებერვალი - ი. ა) მამა არქიმანდრიტმა მაკარიმ სწირა შტატის ეკლესიაში მშვენივრად იგალობა კარბელოვის გუნდმა ბ-ნ ნიკო ბერიშვილმა გორის სასულიერო სასწავლებლიდან მოწვეულ ოთხ მოსწავლესთან ერთად"[7]. იგი დაკრძალულია ხიდისთავში, ზედაველას სასაფლაოზე, ცნობილი მოღვაწის დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის სიახლოვეს, სამხრეთ-აღმოსავლეთით.

1801 წლის 15 მარტს, გორის კაპიტან-ისპრავნიკ – ენოხინის ციციანოვისადმი გაგზავნილი „ვედომოსტის" მიხედვით, ხიდისთავში ფარნაოზ ბატონიშვილს ყოფილ ყმათაგან აღრიცხულია 14 კომლი (63 მამაკაცი და 54 ქალი), აქედან ქართველია 11 კომლი (50 მამაკაცი, 37 ქალი) და სომეხი 3 კომლი (13 მამაკაცი, 17 ქალი), სულ 117 სული[8].

---

[1] იოსებ ალიმბარაშვილი, ახალჯვარი და მისი წარწერწები, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის სამეცნიერო შრომათა კრებული, № 19, თბ., 2020, გვ. 266.

[2] Акты... т. II. ч. I, стр. 75; док. №121.

[3] იოსებ ალიმბარაშვილი, ახალჯვარი და მისი წარწერწები, გვ. 270.

[4] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 666, დოკ. 701.

[5] ЦГИА Грузии, Фонд 489, опись 1, дело 41, 294, л. 21.

[6] ჟურნ. სასოფლო გაზეთი", 23. 07. 1868 წ. № 21, გვ. 2.

[7] გაზ. „ივერია," 18. 02. 1886, №39; გვ. 3.

[8] Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею т. II. ч. I, Тифл., 1868, стр. 75; док. №121.

იმ დროისათვის ხიდისთავში ყმებსა და მიწებს ასევე ფლობდნენ დარეჯან დედოფალი (2 კომლი), გიორგი ამილახვარი (5 კომლი, ყველა ქართველი), აზნაური თომა მეღვინეთუხუცესი (10 კომლი, ყველა ქართველი), აზნაური ზურაბ სააკაძე - 4 კომლი ქართველი, მაიორი სააკაძე (4 კომლი), აზნაური ივანე სააკაძე (2 კომლი ქართველი), კათალიკოსი (2), აზნაური თურმანიძე (1), თავადი დავით ციციანოვი (3), თავადი ნიკოლოზ გლურჯიძე (1), მემამულე ალექსიშვილი (1), სულ 35 კომლი.[1]

1804 წლის კამერალური აღწერაში ხიდისთავში აღრიცხულია სულ 74 კომლი (279 კაცი, 233 ქალი), აქედან საეკლესიო უწყების მფლობელობაშია 18 კომლი. მღვდელ დიმიტრი ჯომარჯიძეს ეკუთვნის 3 კომლი (3 კაცი, 3 ქალი), კათალიკოსს 0 1 კომლი (3 კაცი, 1 ქალი), ბებნისის წმ. ჯვრის მონასტერს ეკუთვნის 7 კომლი (30 კაცი, 24 ქალი) და ამდენივე – გორიჯვრის წმ. გიორგის მონასტერს (30 კაცი, 24 ქალი).[2]

1831 წლის გორის მაზრის საეკლესიო გლეხთა აღწერის მიხედვით, ხიდისთავში აღრიცხულია 20 კომლი საეკლესიო გლეხი (100 მამაკაცი, 84 ქალი), აქედან ორი კომლი მცხეთის ეკლესიას ეკუთვნის:

1. პეტრე ლაშქარაშვილი, ქვრივი;
2. ბერუა დვალიშვილი, ქვრივი.

რვა კომლი ახლჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიის საკუთრებაშია:

1. ქვრივი გიორგი კოშორიძე;
2. ქვრივი გაბრიელ კოშორიძე;
3. ისააკ კოშორიძე;
4. ნინია დურ....შვილი;
5. ბერუა კარაბაგ (?) დვალიშვილი;
6 თალია მაისლიძე (მაისურაძე?);
7. ანდრია რევაზაშვილი;
8. გიორგი ნაკაშაშვილი.

კომლი წმინდა გიორგის გორიჯვრის ეკლესიის საკუთრებაში:

1. ქვრივი იორამ ქიტიაშვილი;
2. ქიტესა კატაპარიაშვილი;
3. ქვრივი დათუნა ლაზარაშვილი;
4. ქვრივი რამაზ ქიტიაშვილი
5. ქვრივი გიორგი ლაზარაშვილი;
6. ბერუა ბატატაშვილი;
7. გიგოლა ბატატაშვილი;
8. დავით ქიტესაშვილი;
9. თევდორე ლაზარაშვილი;
10. სოსია ლომაშვილი.[3]

როგორც ვხედავთ, აღწერაში მითითებული 20 მამაკაციდან, 8 მათგანის გასწვრივ მითითებულია, რომ „ქვრივია“. ცნობილია, რომ 1830 წელს ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა რუსმა ჯარისკაცებმა გორში ქოლერის ეპიდემია შემოიტანეს,[4] რამაც ხიდისთავის მოსახლეობაც მნიშვნელოვნად დააზარალა.

---

[1] Акты... т. II. ч. I, стр. 75; док. №121.

[2] იოსებ ალიმბარაშვილი. შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორი 2021, გვ. 107.

[3] საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი (სეაცსა), ფ. 254, ანაწ. 1, საქმე 1246, გვ. 103-108.

[4] ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, ტ. II, თბ., 2019, გვ. 83; გ. სოსიაშვილი, „შავი ჭირის” ეპიდემია და შიდა ქართლი, „ანალები”, 2020, № 16, გვ. 15.

1840 წელს ხიდისთავში უკვე 25 კომლი საეკლესიო გლეხია აღწერილი.[1] 1842 წლის საეკლესიო გლეხთა აღწერაში ხიდისთავში უკვე 32 კომლი ჩანს. მცხეთის მონასტერს ისევ ორი კომლი ყმა ჰყავს:

1. ბერუა ლაშქარაშვილი (ოჯახის წევრთა რაოდენობა – 8);
2. ხვთისავარ დვალიშვილი (10).

აღსანიშნავია, რომ ახალჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიის კუთვნილი ყმები აღწერაში ორჯერ არის მითითებული, პირველად 8 კომლია ჩამოთვლილი, შემდეგ -7.

1. გიორგი კოშორიძე (3);
2. გიორგი გაბრიელის ძე კოშორიძე (3);
3. ისაკა კოშორიძე (7);
4. ნინია ჯერიაშვილი (5);
5. ბერუა ჯერიაშვილი (8);
6. თომა მავეიძე (?) (7);
7. ანდრია რევაზის ძე რევაზაშვილი (3);
8. გაბრიელ ნაკაშაშვილი (7).

გორიჯვრის წმინდა გიორგის უკვე 15 კომლი ეკუთვნის:

1. ივანე კლიმიაშვილი (2);
2. ქიტესა კატაპარიაშვილი (2);[2]
3. დიმიტრი ლაზარაშვილი (4);
4. რამაზ კლიმიაშვილი (12);
5. ტეტია ლაზარაშვილი (5);
6. ბერუა ბატატაშვილი (3);
7. გიგოლა ბატატაშვილი (2);
8. შიო დავითის ძე ქიტესაშვილი (6);
9. თევდორე ლაზარაშვილი (3);
10. სტეფანე ლაზარაშვილი (1).
11. სოსია გიორგის ძე ლომაშვილი (7);
12. ბერუა ქიტესას ძე ბატატაშვილი (10);
13. შიო კატაპარიაშვილი (2);
14. ტეტია ლაზარაშვილი (7);
15. თევდორე გაბრიელის ძე ლაზარაშვილი (3).

---

[1] სეაცსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქმე 1774, გვ. 159.

[2] ცნობილ მკვლევარსა და მეცნიერს, პროფესორ იოსებ მეგრელიძესა და გორის პედაგოგიური ინსტიტიუტის დოცენტს ილია ბერძნიშვილს 1954 წლის 11 ივლისს, გორიჯვრის სიძველეების დათვალიერებისას, გზაზე, გორიჯვრის დაწყებით სკოლის შენობის წინ, უნახავთ ზარი (სიმაღლე - 42 სმ, განი - 32 სმ) ქართული მხედრული წარწერით:

(1) „შემოგწირე მე (,) ხიდისთაველმა კატაპარიაშვილმა ქიტესამა (,) შესაკრებელი მზგავსი საყვირისა მის მეორეთ მოსვლისა ეგ სახედ სულიერთა ცხვართა მომწოდებელი

(2) წმინდასა ეკლესიასა შინა ესე ზარი შემოგვძღვენ წმიდის გიორგის გორიჯვრის ეკლესიის სულთა მშობელთა და ძმათა ჩემთა საოხად და გრძელ დღეოსნობისა ჩემისა

(3) და ძეთა ჩემთათვის სადღეგრძელოდ და (,) რომელნიც აღმოიკითხევდეთ (,) კეთილ დღეოსნობით მოგვიხსენებდეთ().

(4) ჩყლა წელსა(,) გიორგობისთვის თ-ს დღესა“.

ზარს ფოთლოვანი ორნამენტები ჰქონია თავსა და ბოლოში“ (იხ: *იოსებ მეგრელიძე. სიძველეები ლიახვის ხეობაში, თბ., 1984, გვ, 28-29*).

როგორც ვხედავთ, ქიტესა კატაპარიაშვილს, გორიჯვრის წმ. გიორგის ეკლესიისათვის ზარი შეუწირავს 1831 წლის 9 ნოემბერს. ამ დროისათვის მას მშობლები და ძმები უკვე გარდაცვლილები ჰყოლია და საკუთარ თავსა და ძეების დღეგრძელობას ავედრებს უფალს (იხ: ჩვენი ნაშრომი „ხიდისთავის ისტორია“, გორი, 2022, გვ. 202).

ახალჯვრის წმინდა გიორგის მფლობელობაში:

1. მღვდელი იოსებ კოშორიძე (5)[1];
2. ნინია ჯერიაშვილი (6);
3. ბერო ჯერიაშვილი (6);
4. ივანე მოდებაძე (9);
5. გაბრიელ ნაკაშაშვილი (5);
6. გიორგი რევაზაშვილი (12);
7. გიორგი ბაიაძე (7).[2]

1865 წლის ოფიციალური მონაცემებით, ხიდისთავში აღწერილია - 71 სახელმწიფო, 38 საეკლესიო და 26 დროებით ვალდებული გლეხი, სულ - 135 სული[3].

თბილისის გუბერნიის სტატისტიკური კომიტეტის 1884-85 წლების ანგარიში, რომლის მიხედვით, სოფელში უკვე აღრიცხულია 184 კომლი (528 მამაკაცი და 445 ქალი, სულ 973 სული), ყველა ქართველია და მართლმადიდებელი, 3 კომლი სასულიერო წოდებას ეკუთვნის (5 სული მამაკაცი, 4 ქალი), კერძო მესაკუთრეა 78 კომლი (265 სული მამაკაცი, 223 ქალი), სახაზინო უწყებაზე მიწერილ გლეხთა რაოდენობა 80 კომლია (212 მამაკაცი, 184 ქალი), დროებით ვალდებულია 22 კომლი გლეხი (46 მამაკაცი, 34 ქალი). მოსახლეობის საკუთრებაშია 20 ცხენი, 400 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 120 კამეჩი, 500 ცხვარი, 200 ღორი, 8 ვირი. სახელმწიფო გადასახადის სახით იხდიან 736, 75 მანეთს, ხოლო საგუბერნიო მიწის ფონდში შეაქვთ 762 მანეთი[4].

1870 წლის აღწერაში ხიდისთავში კვლავ აღრიცხულია ორი ქართული ეკლესია[5].

გარკვეული მიზეზების გამო (საბუთში არ კონკრეტდება), ეპარქიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 1883 წელს ახალჯვრის ეკლესია დაუხურავთ, ამიტომ 1818 წლიდან 1883 წლამდე ეკლესიის მეტრიკული და მრევლის სრულყოფილი აღწერილობები გადაუციათ სინოდალური კანტორისათვის, თუმცა 1891 წლისათვის ეკლესია ისევ გაუხსნიათ.

1887 წლის მონაცემებით ეკლესიის მღვდელი ყოფილა დიმიტრი ტატიევი (ტატიშვილი), დიაკვანი („პრიჩეტნიკი“) - ივანე სამხარაძე და იაკობ გიორგის ძე ოქუევი (ოქუაშვილი).

დიმიტრი ტატიშვილს 1872 წელს დაუმთავრებია თბილისის სასულიერო სემინარია. უმსახურია თელავის, სადგერის, წრომის, სანებლის ეკლესიებში. ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვებული ყოფილა ეგზარქოს პავლეს მიერ. ხიდისთავის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდლად უკურთხებიათ 1886 წლის 7 თებერვალს[6].

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ხიდისთავის „წედისის“ წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი 1896-1897 წლებში ყოფილა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და შემდგომში (1927-1932 წწ.) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე ციცქიშვილი[7].

1886 წლის კამერალური აღწერით ხიდისთავში მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა შემდეგი სახისაა[1]:

---

[1] სასულიერო პირები, მღვდლები, მამა-შვილი: გიორგი და იოსებ კოშორიძეები ცნობილი მოღვაწეები და ალექსანდრე და ლეონიდე ოქროპირიძეებთან დაახლოებული პირები იყვნენ. მათ ძალზე დიდი ღვაწლი მიუძღვით მშობლიური ხიდისთავისა და, ზოგადად, მოსახლეობაში განათლების გავრცელების თვალსაზრისით . ვრცლად მათზე, იხ: ჩვენი ნაშრომი „ხიდისთავის ისტორია“, გვ. 162-167.

[2] სეაცსა, ფ. 254, ანაწ. 1, საქმე 1938, გვ. 19-29.

[3] Документы по истории Грузий (1862-1917), т. I, ч. I. Под ред. Ш. Чхетия, Тб., 1954, стр. 767.

[4] Труды Тифлисского губернского статистического комитета, вып. 1-й, сведения за 1884 и 1885 г.г. Тифл., 1886, gv. 80.

[5] Сборник материалов для описания Тифлисской губернии, под ред. К. Л. Зиссермана, т. I, вып. I, Тифл., 1870, gv. 59.

[6] ЦГИА Грузии, Фонд 489, опись 1, дело 41, 294, л. 22.

[7] სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში, თბ., 2001, გვ. 54. გორის სახელმწიფო არქივი. წედისის წმ. გიორგის ეკლესიის 1897-1898 წლების დავთრები.

მართლმადიდებლები		გრიგორიანელები, კათოლიკები		სექტანტები, იუდეველები, შიიტ-სუნიტები	
ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
583	677	12; 1	12; 7; 3; 8; 2	-	-

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოკუპაციისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ბოლშევიკებმა ეკლესიას და სამღვდელოებას დაუფარავი ომი გამოუცხადეს. მასიურად ხურავდნენ ეკლესიებს, იტაცებდნენ საეკლესიო ქონებას, იძულების წესით კრეჭდნენ მღვდლებს, მათ მიწას მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდნენ, თუ მღვდლობას თავს დაანებებდნენ. ამ პროცესმა იმდენად მახინჯი ფორმები და მასშტაბები მიიღო, რომ ხელისუფლება იძულებული გახდა 1923 წლის 21 მარტს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საგანგებო კომიტეტი შეექმნა. მისი შექმნის მიზეზი იმ საიდუმლო ცირკულარში განიმარტა, რომელიც ყველა სამაზრო აღმასკომსა და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაეგზავნათ. მის შესავალში ნათქვამი იყო: „სსს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოში მოსული ცნობებით, ანტირელიგიურ მოძრაობასთან დაკავშირებით ადგილობრივ ბევრგან ისეთ სახუროთმოძღვრებო ძეგლებსა და შიგ დაცულ სიმდიდრეს შეეხნენ, რომელთაც დიდი საისტორიო მნიშვნელობა აქვთ.“

საბედნიეროდ, კომიტეტის რწმუნებულად ცნობილი ისტორიკოსი - სიმონ ჯანაშია დაინიშნა. გორის მაზრის აღმასკომისადმი 1923 წლის 11 ივნისს მიწერილ წერილში ჯანაშია აღნიშნავდა: „თქვენდამი რწმუნებულ მაზრის ქვემოხსენებულ ეკლესიები (ჩამონათვალში ხიდისთავის თემში მოხსენიებულია ხიდისთავისა და ატენის ეკლესიები) წარმოადგენენ მაღალ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ძეგლებს ძველი ქართული ხელოვნებისას და მათი (ე. ი. შენობების) რაიმე გარეშე მიზნისათვის გამოყენება ყოვლად დაუშვებელიაო“[2].

თუმცა, ჯანაშიას განცხადებამ ეკლესიასა და სასულიერო ფენას ვერ უშველა, რადგან მისი ბედი ბევრად უფრო მაღალ ინსტანციებში იყო გადაწყვეტილი. 1923 წლის დასაწყისშივე ყველა თემის აღმასკომს მისდის შინამმართველობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილის საიდუმლო ცირკულარი: „გავალებთ, მიღებისთანავე ამისა, გამოარკვიოთ და გვაცნობოთ ფრიად სასწრაფოდ, რომელ თემში და სოფლებში დარჩა კიდევ დაუხურავი ეკლესიები“[3].

საგანგებო დავალებით, ეკლესიების დახურვამდე აღწერეს იქ დაცული ქონებები და ღირებულებების მიხედვით სხვადასხვა ადგილი მიუჩინეს, ხოლო ნაწილი განიავდა (ან თვითონ გაინაწილეს).

ხიდისთავის ეკლესიებში აღრიცხულია შემდეგი ქონება (იხ: ცხრილი)[4]:

---

[1] Свод статистических данныхъ о населения Закавказского края извлеченныхъ изъ посемейныхъ списковъ 1886 года, *Тифлисская губерния, Горийский уездъ, Хидиставский участок, Тифл., 1893, № 1185*

[2] გორის არქივი, ფონდი № 3; აღწერა 1; საქმე № 37, გვ. 44-45

[3] გორის არქივი, ფონდი № 3; აღწერა 29; საქმე № 39, გვ. 291

[4] გორის არქივი, ფონდი № 3; აღწერა 2; საქმე № 304, გვ. 37

ხიდისთავის წედისის ეკლესია			ხიდისთავია ახალჯვრის ეკლესია		
№	ნივთის დასახელება	რ-ბა	№	ნივთის დასახელება	რ-ბა
1	სახარება დაჭყლეტილი	1	1	ბარძიმი ვერცხლის	1
2	ჯამი ბარძიმის ვერცხლის	1	2	ფეშხუმი ვერცხლის	1
3	ფეშხუმი თითბირის	1	3	ჯვარი პატარა ვერცხლის	1
4	ვარსკვლავი თითბირის	1	4	ვარსკვლავი ვერცხლის	1
5	ჩარექა ვერცხლის ზედაშის	1	5	შანდალი უბრალო	1
6	სტაქანი ჩაის	1	6	სახარება ვერცხლის	1
7	კოვზი ვერცხლის	1	7	ჯვარი დიდი ვერცხლის	1
8	თეფში ვერცხლის	2	8	ზარი	
9	ჩაშკა ვერცხლის	1	9	შესამოსი მხიარული	
10	ჯვარი ვერცხლის	1	10	შესმოსი შავი	

1923 წლის 23 ივლისს გორის სამაზრო აღმასკომში შესულია ხიდისთავის რაიონის რევოლუციური კომიტეტის №375 გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „თანახმად თქვენი მოწერილობისა 16 ივნისი დაწ. ა. წ. თარიღით №4047, ამასთან ერთათ გირდგენთ ეკლესიების ქონების სიებს ორ ცალად და მოგახსენებთ, რომ სიები შედგენილია თანადამსწრე პატიოსანი პირებისა და ჩაბარებული აქვთ აქტის შედგენით და ხელის მოწერით კეთილსინდისიან სანდო პირებს“[1]. მიმართვას ხელს აწერს ატენის თემის აღმასკომის თავმჯდომარე - მ. ჯებისაშვილი და მდივანი (ხელმოწერა გაკრული ხელითაა და ძნელად იკითხება - სავარაუდოდ - ალექსიძე).

ანუ, 1923 ივლისისათვის ხიდისთავის ორივე ეკლესიას (წედისის და ახალჯვრის) ფუნქციონირება უკვე შეწყვეტილი აქვს და ქონებაც ხელისუფლებისათვის არის გადაცემული. შენობები, სავარაუდოდ, მალევე დაანგრიეს, ხოლო სამშენებლო მასალა ღარიბ მოსახლეობას დაურიგეს, როგორც ამას გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის 1924 წლის 27 სექტემბრის დადგენილება (ოქმი № 36) ითვალისწინებდა, ხსენებული დადგენილების მიხედვით, ეკლესიების ქონება, გარდა ისტორიული მნიშვნელობის მქონე სამკაულებისა, ყველგან გლეხკომებს უნდა გადასცემოდათ[2].

საარქივო საბუთებიდან ჩანს, თუ როგორ ანებებენ იძულებით მღვდლობას თავს ხიდისთავში 1923-24 წლებში, კოლა გიორგის ძე კარიჭაშვილი, ზაქარია დავითის ძე დავიდოვი, ანდრია გიორგის ძე კარიჭაშვილი და სხვები. მიუხედავად, სასულიერო წოდებიდან გამოსვლისა, ხელისუფლება მათ მაინც არ ენდობა, საარჩევნო ხმის უფლებასაც ართმევენ, შავ სიაში სტოვებენ და არც საარსებო მიწას აძლევენ, რის შედეგად, ნაწილი სოფელს სტოვებს და თბილისში გადადის საცხოვრებლად.

[1] გორის არქივი, ფონდი №3; აღწერა №29, საქმე 39, გვ. 57, 1923 წ.
[2] გორის არქივი, ფ. 3; არქ. № 2; აღწ. 1. გვ. 22.

Ioseb Alimbarashvili
Gori State University

SERFDOM AND PROPERTY OF THE PATRIARCHATE AND EXARCHATE OF GEORGIA IN KHIDISTAVI

RESUME

Khidistavi situated near Gori is currently one of the largest villages in the district.

It is located southeast of Gori, at the confluence of Mtkvari and Tana rivers.

The Patriarchate of Georgia, and later the Exarchate, owned significant serfs and property in Khidistavi.

We learn from the deed issued by David the "King of all Kings" on June 30, 1382, that Khidistavi, with its surrounded area, was donated to the Okoni Church by King Tamar.

On January 13, 1725, Vakhtang VI, under the same conditions as the great Tamar King ("with the surroundings, according to the order"), renewed the donation of Khidistavi to the Okoni Monastery of Gori.

In historical documents, the donation of the serfs of Khidistavi to St. George's Church of Gorijvari is frequent.

The Catholicos-Patriarch of Georgia Domenti IV (1704-1741), as a sign of loyalty and dedication, as well as for the services for the protection of the estate and the see in Constantinople, in 1727, the Catholicos gave 27 household serfs in Ateni and Khidistavi to his secretary-scribe priest Iase Tlashadze and exempted him from priesthood taxes.

Anton II, Catholicos-Patriarch of Georgia, also had serfs in Khidistavi.

Under the Russian government, the serfdom of the patriarchate was passed onto the hands of the exarchate. In the chamber census of 1804, a total of 74 households (279 men, 233 women) were recorded in Khidistavi, out of which 18 households are owned by the church.

According to the 1831 census of church peasants of Gori Uezd, there are 20 households of church peasants (100 men, 84 women) in Khidistavi, two of which belong to the Church of Mtskheta, in 1840 there were already 25 households of church peasants censused in Khidistavi, according to the official data of 1865, there were 38 households of church peasants and so on. According to the 1886 census, majority of them are Orthodox Christians.

Two churches in Khidistavi (Akhaljvari and St. George of Tsedisi) were demolished by the Soviet authorities in 1923, by the special order, before the closing of the churches, the possessions protected there were marked and relocated to different places according to their value, whilst a part of it was wasted (or they divided them among themselves).

დანართი, 1799 წლის 7 სექტემბერს გაცემული სიგელი მღვდელ ბესარიონ ალექსიშვილისათვის ხიდისთავსა და ბერბუკში ყმებისა და მამულის წყალობის გაცემის შესახებ



დავით ახლოური
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფერშეთის ისტორიიდან

საფერშეთი, მთა დუშეთისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების საზღვართან, ალევის ქედზე მდებარეობს, ზღვის დონიდან 2602 მეტრ სიმაღლეზე, შედგება ცარცული კირქვებით, მერგელებითა და ქვიშაქვებით. მთის თხემი სუბალპური მდელოებითაა შემოსილი, კალთები - ფართოფოთლოვანი ტყით.[1] ვახუშტის აღწერით „ვეძათხევის დასავლით არს საფერშეთი და ალევი, მთასა ზედა; და ალევი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ესე წარივლის სამხრით ოძისამდე და ჩდილოდ ლომისამდე. ესე მთა ჰყოფს კსნის-ხევსა და ბაზალეთსა".[2] 1772 წლის 29 ივნისს გერმანელი მოგზაური იოჰან ანტონ გიულდენშტედტი ახალგორიდან ჩრდილოეთით მგზავრობისას 15 წუთის შემდეგ მისულა სოფელ კორინთაში, სადაც შეუტყვია, რომ რამდენიმე ვერსით მაღლა უნდა იყოს სოფელი ალევი და მის ზემოთ ოსური მხარე საფერშეთი.[3] გერმანელი მეცნიერი საფერშეთის ლოკალიზაციასაც ახდენს და მის მდებარეობას მიგვანიშნებს „ქსანსა და არაგვს შორის ზემოთ ლორწობანთან. ის ემორჩილება ქართლის მეფეს და შეიცავს 6-ოდე სოფელს".[4]

მართალია, გიულდენშტედტი მიგვითითებს, რომ საფერშეთის მხარე ქართლის მეფეს ექვემდებარებაო, მაგრამ იგი უშუალოდ ქსნის ერისთავის მფლობელობაში გახლდათ, სამეფო კარს საერისთავოს გაუქმების შემდეგ გადაეცა. იგი ჯერ გიორგი ბატონიშვილს ეკუთვნოდა, ხოლო, როცა ქსნის ერისთავები საბოლოოდ გამოდევნეს საერისთავოდან, ქსნის, საფერშეთის, ალევის, ცხრაზმის, ჭურთის, ქარჩოხის, ჟამურის ხეობები იოანე ბატონიშვილს გადაეცა.[5] რომელიც ამ მხარეს მოიხსენიებს კიდეც თავის აღწერაში: „საფაშეთი (ოსები არიან მოსახლე)"[6].

ახალგორიდან იკოთის, კორინთის, ალევისა და საფერშეთის ხეობების გავლით გზა მიემართებოდა ფასანაურისკენ, რითაც ქსნის ხეობა არაგვის ხეობას უკავშირდებოდა. ჯ. გვასალიას მიხედვით საფერშეთის მთების გავლით გზა მიემართებოდა ჭართალშიც: „გადასასვლელს ქსნის მხრიდან ჰქვია „ჭართალის ყელი", ხოლო ჭართალელები კი უწოდებენ საფერშეთის ან ქსნის ყელს. ამ გზით უძველესი დროიდან დღემდე სარგებლობენ ქსნის ცხავატელი მეჭურჭლენი. აქედანვე იწყებოდა მათი გზა კახეთისაკენ".[7] არაგვის ხეობის გადმოსასვლელებს ქსნის ხეობის რამდენიმე ციხე კეტავდა, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფერშეთის ციხე იყო.

---

[1] საფერშეთი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 9, თბ., 1985. გვ. 152.

[2] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973. გვ. 353.

[3] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962. გვ. 95.

[4] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ., II, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1964. გვ. 63

[5] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი", 1955. გვ. 330.

[6] იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1986. გვ. 36.

[7] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983. 44.

1804 წლის პირველი რუსული კამერალური აღწერის მიხედვით შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა გვარის ხალხი დამკვიდრდა თავდაპირველად საფერშეთში, როგორი იყო მათი ეკონომიკური მდგომარეობა და რა სახის გადასახადებს იხდიდნენ.

აღწერის მიხედვით, საფერშეთის მხარე ერთ მთლიან სოფლადაა მოხსენიებული...

აქ მცხოვრები ოსები:

1) იოთამ ბედა ფირტ, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 5 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 6 დღის - სახნავად გამოუყენებელი (სათიბი ან საქონლის საძოვრად განკუთვნილი - დ. ა.), 80 თივა, 1 წისქვილი თავისი პურისთვის, გადაიხადა 2 ფუთი ყველი, 2 ფუთი კარაქი, 1 ცხვარი, სულ: 90 კაპიკი.

2) ტოტი ბედა ფირტ, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 7 ქალი, 8 დღის სახნავი მიწა, 12 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 80 თივა, გადაიხადა 2 ცხვარი, 2 ლიტრა ყველი, 6 ფუთი კარაქი, სულ: 3 მანეთი და 40 კაპიკი.

3) კანიკო ბედა ფირტ, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 40 თივა, გადაიხადა 1 ცხვარი და 1 ლიტრა კარაქი, სულ: 1 მანეთი და 80 კაპიკი.

4) გაგო ბედოა ფირტ, 1 კომლი, 12 მამაკაცი, 5 ქალი, 8 დღის სახნავი მიწა, 20 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 80 თივა, გადაიხადა 4 ცხვარი, 3 ლიტრა კარაქი და 2 ლიტრა ყველი, სულ: 7 მანეთი და 20 კაპიკი.

5) გოგი ბედოა ფირტ, 1 კომლი, 6 მამაკაცი, 5 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 40 თივა, გადაიხადა 2 ცხვარი, 2 ლიტრა ყველი და 1 ლიტრა კარაქი, სულ: 3 მანეთი და 60 კაპიკი.

6) ბაღათარ ბედოა ფირტ, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 40 თივა, გადაიხადა ასევე 3 მანეთი და 60 კაპიკი.

7) ჩინო ბედოა ფირტ, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 6 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 10 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 40 თივა, გადაიხადა ასევე 3 მანეთი და 60 კაპიკი.

8) პირან ზაალი ფირტ, 1 კომლი, 6 მამაკაცი, 3 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 9 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 40 თივა, გადაიხადა 3 ცხვარი, 2 ლიტრა ყველი, 2 ლიტრა კარაქი, სულ: 5 მანეთი და 40 კაპიკი.

9) სავკუძე ბედოა შვილი, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 40 თივა, გადაიხადა 1 ცხვარი, 1 ფუთი კარაქი, 1 ლიტრა ყველი, სულ: 1 მანეთი და 50 კაპიკი.

10) ბარძიმა ბედოა ფირტ, 1 კომლი, 7 მამაკაცი, 5 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 9 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 60 თივა, გადაიხადა 1 ცხვარი, 1 ლიტრა კარაქი, 2 ფუთი ყველი, ფული - 40 კაპიკი, სულ: 2 მანეთი და 30 კაპიკი.

11) ულუბი ბედოა შვილი, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 4 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა, გადაიხადა 45 კაპიკი.

12) შიო ზალუა ფირტ, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 40 თივა, გადაიხადა 1,5 ცხვარი, 1 ლიტრა კარაქი, 1 ლიტრა ყველი, სულ: 2 მანეთი და 70 კაპიკი.

13) გუჩა ხოსროა ფირტ, 1 კომლი, 1 მამაკაცი, 2 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 3 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადაიხადა 1,5 ცხვარი, 1 ლიტრა კარაქი, 1 ყველი, სულ: 2 მანეთი და 75 კაპიკი.

14) ზალ ზოლოა ფირტ, 1 კომლი, 6 მამაკაცი, 6 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 25 თივა, გადაიხადა ასევე 2 მანეთი და 70 კაპიკი.

15) ბელუა ხოსროა ფირტ, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 4 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 4 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადაიხადა ასევე 2 მანეთი და 70 კაპიკი.

16) გიგო ოლიგასუა ფირტ, 1 კომლი, 7 მამაკაცი, 6 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 3 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 16 თივა, გადაიხადა ფული - 80 კაპიკი, 2 ფუთი კარაქი, 2 ფუთი ყველი, სულ: 1 მანეთი და 10 კაპიკი.

17) დადი ოლიგელუა ფირტ, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 2 ქალი, მიწა აქვს და გადაიხადა ასევე 1 მანეთი და 10 კაპიკი.

18) ზაგსეო ჩაროკოა ფირტ, 1 კომლი, 6 მამაკაცი, 6 ქალი, 6 დღის სახნავი მიწა, 6 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 60 თივა, გადაიხადა 1,5 ცხვარი, 1 ლიტრა ყველი, 1 ლიტრა კარაქი, სულ: 2 მანეთი და 70 კაპიკი.

19) გიგიასე ალოკოა ფირტ, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 30 თივა, გადაიხადა 1 ლიტრა ყველი და 1 ლიტრა კარაქი, სულ: 1 მანეთი და 20 კაპიკი.

20) ბატგო ხოსროა ფირტ, 1 კომლი, 9 მამაკაცი, 6 ქალი, 3 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 30 თივა, გადაიხადა 1,5 ცხვარი, 1 ლიტრა ყველი, 1 ლიტრა კარაქი, სულ: 2 მანეთი და 70 კაპიკი.

21) გაგი ხალოა ფირტ, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადაიხადა 1 ცხვარი, 2 ფუთი ყველი, 2 ფუთი კარაქი, სულ: 1 მანეთი და 30 კაპიკი.

22) ტოტი ხოსოა ფირტ, 1 კომლი, 5 მამაკაცი, 5 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 16 თივა, გადაიხადა ფული - 70 კაპიკი, 2 ფუთი კარაქი, 2 ფუთი ყველი, სულ: 1 მანეთი.

23) შაკუჯა ხოსოა ფირტ, 1 კომლი, 4 მამაკაცი, 4 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 6 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 16 თივა, გადაიხადა ასევე 1 მანეთი.

24) გოტომა ხოსოა ფირტ, 1 კომლი, 3 მამაკაცი, 3 ქალი, 4 დღის სახნავი მიწა, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 30 თივა, გადაიხადა 1,5 ცხვარი, 1 ლიტრა კარაქი, 1 ლიტრა ყველი, სულ: 2 მანეთი და 70 კაპიკი.

25) ჯაჩა ხოსოა ფირტ, 1 კომლი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა, გადაიხადა 2 ცხვარი, 1 ლიტრა კარაქი, 1 ლიტრა ყველი, სულ: 3 მანეთი და 20 კაპიკი.

გადასახადს იხდიან მეცხოველეობით.

სულ სოფელ საფერშეთში ცხოვრობს 25 ოჯახი (112 მამაკაცი, 99 ქალი). მათ მფლობელობაშია 109 დღის სახნავი მიწა, 176 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 909 თივა, 1 წისქვილი, გადახდილი აქვთ 62 მანეთი და 55 კაპიკი.[1]

ოსურ გვარებს „ფირტ" - აქვთ დაბოლოება და არა „თი" ან „ევი". ფირტ ძის, შვილის აღმნიშვნელი იყო. როგორც სხვა სოფლების შემთხვევაში ვნახეთ, აღწერაში ასევე „შვილით" ბოლოვდება არა მხოლოდ შვილზე, მაგალითად, ბალაშვილი, არამედ ძე-ზე (ქენქაძეშვილი) და ურ-ზე (ახლოურიშვილი) დაბოლოებული ქართული გვარებიც...

საფერშეთის მხარის დომინანტი გვარი ბედოშვილები და ხოსროშვილები არიან... გვარების ჩამონათვალში ვხვდებით მთელ რიგ უზუსტობებსაც, მაგალითად ბედოშვილები ხან ბედაშვილებად, ხან ბედოაშვილებად არიან მითითებულნი, ხოსროშვილები - ხოსოაშვილებად და ხოსროაშვილებად, ზოლოშვილები - ზალუაშვილებად და ზოლოაშვილებად... სავარაუდოდ, ერთი წარმომავლობის უნდა იყოს ჩაროკოაშვილი და ალოკოაშვილი, ოლიგასუაშვილი და ოლიგელუაშვილი...

იოანე ბატონიშვილის 1803 წლის საუფლისწულოს აღწერის მიხედვით „სოფელშეთში" (Сорелшети) 15 კომლია, 76 მამაკაცი და 53 ქალი.[2] მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის

---

[1] გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წელს, №7486. გვ. 52-55.

[2] Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868. Ст. 82.

ოსთა რიცხვი ქსნის ხეობაში მკვეთრად იზრდებოდა, მაინც რთული საფიქრებელია, 1803 წლიდან 1804 წლამდე დემოგრაფიული ვითარების ასეთი ცვლილება. როგორც ჩანს, ქართულისაგან განსხვავებით, რუსულ წყაროში, საფერშეთის სახელით გაცილებით მეტი სოფელი თუ უბანია აღწერილი...

მოსახლეობის კუთვნილ მიწებს და გადასახადებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ სახნავად გამოუყენებელი მიწები აღემატება დამუშავებული მიწის ფართობს, გეოგრაფიულად საფერშეთის მხარე მაღალმთიანია და მცირე მოსავლიანი. ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა გახლდათ, გადასახადების მცირე ნაწილს იხდიან ფულის სახით, ძირითად ნაწილს კი - ნატურით: ცხვრით, კარაქით, ყველით...

ცალკე თემაა ოსების საქართველოში ჩამოსახლების საკითხი, რომელსაც არაერთი მკვლევარი შეეხო, ქართველებიც, ოსებიც, უცხოელებიც...[1] ყველა ავტორის ჩამოთვლა თითქმის შეუძლებელიცაა, რაც მეტყველებს იმ ფაქტზე, თუ როგორი დიდია ინტერესი საკითხისადმი. თითოეულ მკვლევარს თავისი სუბიექტური და ობიექტური ხედვა აქვს. რუს და ოს ავტორებთან ხშირად ვხვდებით ტენდენციურ მოსაზრებებსაც, რაც ნაკარნახევია არა ისტორიული რეალობიდან, არამედ ამა თუ იმ დროს არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან. რუსული მმართველობა ყოველთვის ცდილობდა, იდეოლოგიური გამართლება მიეცა თავის ოკუპანტური მიზნებისთვის. უნდა ითქვას, რომ ქართულ-ოსური ურთიერთობების შესახებ ლიტერატურის ნაწილი თავის დროზე მიმოიხილა და გაანალიზა როლანდ თოფჩიშვილმა.[2] მან დვალეთის საკითხზე, ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე არაერთი საყურადღებო ნაშრომი შესთავაზა დაინტერესებულ საზოგადოებას. მკვლევარის დასკვნით „შიდა ქართლის მთიანეთში,

---

[1] იხ., ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV; Д. Лавров, Заметки об осетии и осетинах. вип III. Тифлис, 1883; Г. Кокиев, Очерки по истории, Владикавказ, 1926; З. Ванеев, к вопросу о времени заселения Юго-осетий, Изв. ЮОНИИ, вып. III, Сталинир, 1936; Б. Скитский, Очерки по истории осетинского народа с древнейших времён до 1867 года, Владикавказ, Известия СОНИИ, т. XI, 1947; დ. გვრიტიშვილი, დვალელთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, მიმომხილველი I, თბ., 1949; გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან (უძველესი დროიდან XIV საუკუნის დამლევამდე, ტ. I, სტალინირი, 1958; ტ. II, სტალინირი, 1969; გ. თოგოშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977; გ. თოგოშვილი, ი. ხაბალაშვილი, ოსეთის მოსახლეობა, 1983; В. Н. Гамрекели, „Двалы в Двалетия в I - XV вв. н. э.", издательство академии наук Грузинской ССР, Тб., 1961; В. И. Абаев, Осетинский язык и фольклор, М., 1949; Б. Калоев, Осетины, М. 1971; Б.В. Техов, Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тбилиси, 1971; გ. ჯალაბაძე, ქსნის ხეობის მოსახლეობა, წიგნში „ქსნის ხეობა", თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1975; გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, თბ., 1987; ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983; Дж. Гвасалиа, Историческая география Восточной Грузии, Шида Картли, Тб., 1991; ცოტნიაშვილი მ., ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986; ლ. ზურაბაშვილი, ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ტრადიციები საქართველოში, თბ., 1989; ნ. აფხაზავა, ალანები და საქართველო, თბ., 1991; ნ. ლომოური, ოსთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორიის ძირითადი ასპექტები, „ცისკარი", №5, 1992; კ. ხარაძე, შიდა ქართლში ტოპონიმთა გაყალბების წინააღმდეგ; ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში; ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე; თოიძე, ოსური ავტონომიის შექმნა საქართველოში, წიგნში „ოსთა საკითხი", თბილისი, გამომცემლობა „პითაგორა", 1996; ვახტ. ითონიშვილი, ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1995; ვახტ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2002; მ. ვახტანგაშვილი, ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბ., 2017; ავ. სონღულაშვილი ავ, „სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!" თბ., 2009; მ. ბურდული, ქსნის ხეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური მიმოხილვა, ნ. ჯალაბაძე, ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში, ლ. ჯანიაშვილი, საისტორიო მწერლობა - ეთნოცენტრისტული სტერეოტიპების ინსპირატორი, კრ., ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, 2015; დ. ახლოური, ქსნის ხეობის ისტორია, თბილისი, გამომცემლობა „საარი", ტ. I. 2019; ტ. II, 2021; ტ. III. 2022; გ. სოსიაშვილი, სამაჩაბლოს ისტორია, შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია (დიდი ლიახვის ხეობა), თბ., 2021; გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობის ისტორია (შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიის ისტორიული რეპრეზენტაცია), თბ., 2022...

[2] რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი", 1997; რ. თოფჩიშვილი, ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, თბ., 2019.

კერძოდ მდინარეების დიდი ლიახვისა და პატარა ლიახვის ზემოთ წელში, ოსთა მიგრაცია ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან; ისინი თანდათან მოიწევენ სამხრეთისაკენ და XVIII საუკუნის 30-იანი წლებისთვის ითვისებენ დასახლებული ორი ხეობის მთიან ზოლს მთლიანად. აქ დასახელებულ პერიოდში ზოგიერთ მთიან სოფელში ოსები თანაცხოვრობდნენ ადგილზე დარჩენილ მცირერიცხოვან ქართველ მოსახლეობასთან ერთად". ვახუშტი ბატონიშვილი მიგვანიშნებს, რომ ოსების კავკასიის მთებიდან გადმოსვლა ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ბარისკენ გადასახლების მიზეზით ხდებოდა: „ხოლო რაოდენი ოსნი დავსწერეთ ამა ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი, შემდგომად მეპატრუნეთა მათგან გადმოსახლებულან ოსნი და ქართველნი ბარსა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთაგან ბარსა შინა კაცნი შემცირებულან".[1] ცხადია, ქართველი მეფეები და ფეოდალები დაინტერესებული იყვნენ უცხო ეთნოსის მეშვეობით შეეცვალათ ხანგრძლივი ომებით გამოწვეული მძიმე დემოგრაფიული ფონი და გაეზარდათ ყრმების რიცხვი, რომლებიც აითვისებდნენ და დაამუშავებდნენ ქართული მოსახლეობისაგან შემცირებულ ან დაცლილ მიწებს, რაზეც მართებულად მიგვანიშნებს ვ. ითონიშვილი: „XVII საუკუნის დამდეგიდან იწყება ოს-ირონთა მშვიდობიანი და მნიშვნელოვანწილად ყმათა მომრავლებაში („ოსების შოვნაში") დაინტერესებული ქართული ფეოდალური წრეებისაგან სანქციონირებული გადმოსახლება ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთი სექტორის მაღალმთიან ხეობებში.[2] თუმცა, როგორც წყაროები მიგვითითებენ, ოსების საქართველოში დამკვიდრება ყოველთვის არ იყო მშვიდობიანი პროცესი, რაზეც ყურადღებას ამახვილებს რ. თოფჩიშვილი, როგორც იგი აღნიშნავს, ოსები ძალით იკაფავდნენ გზას დვალეთისა თუ შიდა ქართლის მთიანეთისკენ, მათი თავდასხმებისაგან შეწუხებული ქართული სოფლების მოსახლეობა კი იძულებით ტოვებდა წინაპართა მიწას და ბარში სახლდებოდა.[3] სამწუხაროდ, საქართველოში დამკვიდრების შემდეგაც ხშირი იყო ქართველი მოსახლეობის დაყაჩაღების ფაქტები: „ოსები კვლავაც არ ღალატობენ თავიანთი ცხოვრების წესს და ქართველთა დაყაჩაღებით ითბობდნენ ხელს. ამ საქმიანობით უმთავრესად მუყაითობდნენ საქართველოში დამკვიდრებული ოსები, რომლებიც ქურდობდნენ, ადამიანებს ატყვევებდნენ და ჩერქეზეთში ყიდიდნენ.[4] ოსიანობით შეწუხებული მეფე ერეკლე არაგვის ოსებს მიმართავს: „ყველამ გაიგონეთ, თქვენი სიავკაცე ქართლში დიაღ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივისთო".[5] ოსებისაგან ქართველი მოსახლეობის შევიწროვების ფაქტები მეფის რუსეთის დროსაც გრძელდებოდა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ 1802 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლის სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით განხორციელდა სამხედრო ექსპედიცია დიდი და პატარა ლიახვის, არაგვის, ქსნის, მეჯუდის, ფცისა და ფრონეს ხეობებში, რომლის მიზანი იყო ამ ხეობათა მთიან ზოლში მცხოვრები ოსების დამორჩილება და ქართულ სოფლებზე თავდასხმების აღკვეთა... რა თქმა უნდა, მთავარი მაინც რუსული ინტერესი გახლდათ და უნდოდათ მთის ხალხს რუსეთის იმპერატორის მორჩილების ფიცი მიეღო და ადგილზე რუსული მართველობის დამკვიდრებას ისახავდნენ მიზნად, მაგრამ აქედან, ისიც კარგად ჩანს, როგორ ავიწროვებდნენ ჩამოსახლებული ოსები ქართველებს... ვთქვათ ისიც, რომ სიმონოვიჩის ექსპედიციის დოკუმენტისა და რუსული ოფიციალური საბუთების მიხედვით, 1802 წელს ქსნის, არაგვის, ფცის, დიდი და პატარა ლიახვის ოსების საერთო რაოდენობა 35 ათას კაცს არ აღემატებოდა.[6]

---

[1] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 363-364.

[2] ვახტ. ითონიშვილი, ქართულ-ოსური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 13.

[3] Р. Топчишвили, История миграции осетин в Грузию, Кавказоведческие исследования, Тб., 2011. Ст. 85.

[4] ვახტ. ითონიშვილი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბ., 2008. გვ. 129.

[5] ვახტ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი", 2002. გვ. 232.

[6] М. Ткавашвили, Некоторые вопросы миграции Осетин на Кавказе и российские официальные документы начала XIX века о демографическом положении живущих в Грузии Осетин, сб. Некоторие вопросы истории осетин Шида Картли, Тб., 2010. Ст. 280.

რაც შეეხება ქსნის ხეობაში ოსების დასახლების საკითხს; რ. თოფჩიშვილის აზრით: XVIII საუკუნის დასაწყისში ოსები სახლდებიან ჯეჯორის ხეობის სათავეში (კუდარო) და ქსნის ხეობის სათავეში (ჟამური). ჟამურში ოსთა მიგრაცია ხდება როგორც ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან, ისე ლიახვის ხეობის მთიანი ზოლიდან. კუდაროში ისინი ძირითადად მიგრირებულნი არიან დვალეთიდან. შიდა ქართლის მთიანეთში ოსები ჯერ ესახლებიან დიდი ლიახვის ხეობაში, შემდეგ პატარა ლიახვის ხეობაში, ქსნის სათავეში (ჟამური).[1]

დავუბრუნდეთ უშუალოდ საფერშეთს; როგორც ვ. ღუნაშვილი მიგვანიშნებს, შანშე ერისთავის ანტიირანული გამოსვლის დამარცხების (1741) შემდეგ „ქსნის საერისთავოში უამრავი ადამიანი დაიხოცა, ბევრიც თურქეთში გადავიდა და გათურქდა, ხოლო ცხრაასი ადამიანი ავღანელმა ჯარისკაცებმა ზოგი დახოცეს და ზოგიც დაყიდეს, შეიძლება დავასკვნათ: ადგილობრივ მოსახლეობისაგან დაცლილ ქსნის საერისთავოში ოსთა ჩამოსახლება ეტაპობრივად მიმდინარეობდა. შანშემ ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილი ჟამურის ხეობასა და ს ა ფ ე - რ შ ე თ შ ი (ხაზგასმა ჩვენია - დ.ა.) XVIII საუკუნის 30-იან წლებში, ჩამოასახლა გაოსებული დვალები, ხოლო შემდგომ 40-იან წლებში ლიახვის ხეობაში.[2] გაოსებული დვალების ქსნის ხეობაში დასახლებაზე საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „და კუალად დიდის ლიახვსა, პატარას ლიახვსა, კსნის ხევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დუალნივე, ამ დუალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა“.[3] ვახუშტი მიგვანიშნებს, რომ ჟამურის გარდა ოსები ცხოვრობენ ქსნის ხეობის კიდევ ერთ მთიან რეგიონში - ჭურთის ხეობაში, თუმცა არაფერს ამბობს ალეურას ხეობაში მდებარე საფერშეთის მხარეში ოსთა განსახლებაზე. აქ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსურ ახალშენებზე საუბრობენ გიულდენშტედტი და იოანე ბატონიშვილი. ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების აღწერათა ერთმანეთთან შედარებით, რ. თოფჩიშვილი მიიჩნევს, რომ ალევის ხეობაში ოსური სოფლები XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიქმნა: „თუ შევადარებთ ვახუშტი ბაგრატიონისა და იოანე ბაგრატიონის სიებს, ესე იგი XVIII საუკუნის 30-იანი წლებისა და XVIII საუკუნის დასასრულისა, დიდ სხვაობას ვნახავთ. XVIII საუკუნის განმავლობაში ქსნის ხეობაში ოსები სხვა პუნქტებშიც დასახლებულან. მათ უფრო დაბლობისაკენ ჩამოუნაცვლიათ. ვახუშტის დროინდელი სამი ოსის სოფელი მდინარე ჭურთაზე, რვა სოფლად იქცა. ქართველებმა კი დაიკლეს და ექვსი ქართული სოფლის მაგივრად ორი სოფელი დარჩა... ეს ცვლილება ძირითადად XVIII საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ის ქართული გვარები, რომლებიც აქ მკვიდრობდნენ 1774 და 1781 წლების აღწერით, XIX საუკუნის დასაწყისში ჭურთაზე აღარ არიან და მათ განსახლებებს ვხვდებით ქართლ-კახეთის სხვადასხვა სოფელში. ი. ბაგრატიონის მიხედვით, XVIII საუკუნის ბოლოს, ალევის ხეობაში სამი ოსური სოფელი წარმოქმნილა... ალევის ხეობის სათავეში (საფერშეთი) - ორი. იოანე ბაგრატიონს ქსნის ხეობაში ახალი ოსური სოფელი მითითებული აქვს იფნევს, ერთი სოფელიც ცხრაწყაროსა და ლოგოშეთს შორის. ახალი ოსური სოფელი იყო ძაბოეთიც, მუჯუხიც. ერთი ოსური სოფელი წარმოიქმნა ქარჩოხშიც".[4] ის ფაქტი, რომ ჟამურში და ჭურთის ხეობაში XVIII საუკუნის 30-იან წლებში ოსური მოსახლეობა უკვე ცხოვრობდა, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ, ჩემი აზრით, ალეურას ხეობაში ოსები უფრო გვიან უნდა დასახლებულიყვნენ.

---

[1] რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი", 1997. 219.

[2] ვ. ღუნაშვილი, ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია (VI საუკუნის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით), გამოცემა მეორე, თბ., 2007. გვ. 276.

[3] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. გვ. 648.

[4] რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი", 1997. გვ. 146.

ქსნის ოსების საკომლო მამულების ნუსხის მიხედვით, რომელიც დათარიღებული არაა და სავარაუდოდ, XVIII საუკუნის ბოლო პერიოდის უნდა იყოს, „საფეშეთში" მითითებულია 20 კომლი, „ახალს გატეხილს გარდა".[1] „ახალ გატეხილში" ახალი საკომლოები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებსაც უწევდათ ახოების გატეხვა, მიწების ათვისება-დამუშავება... შესაძლებელია ისინი ძველი ოჯახების განაყარნი იყვნენ, მაგრამ უფრო ახალ მიგრირებულნი უნდა ყოფილიყვნენ საფერშეთის ტერიტორიაზე. ეს თავის მხრივ მიგვანიშნებს, რომ იმ პერიოდისთვის ხდებოდა ოსური ახალშენების თანდათან მომატება ქსნის ხეობის სოფლებში. ასევეა მითითებული ჭურთაში - „ქ. ჭურთას სამოცი კომლი, მომეტებულს ახალს-ახალს გატეხილებს გარდა" და ჟამურში „ქ. ჟამურს საკომლო ორმოცდა ცამეტი, ახალს გატეხილს გარდა"...

XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ქსნის ხეობაში ხშირი ყოფილა პატარა ლიახვის ხეობიდან ოსთა მიგრაციის შემთხვევები. „დროის აღნიშნულ მონაკვეთში (ქსნის ხეობაში - დ.ა.) 33 კომლი ოსი მიგრირებულა".[2] მათგან უმრავლესობა საფერშეთში დასახლდა (8 კომლი).

შემდგომ პერიოდში ქსნის ხეობაში ოსების რიცხვი მკვეთრად იმატებს. 1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, მხოლოდ საფერშეთში ოსური მოსახლეობა 54 კომლამდეა (544 სული) გაზრდილი...

ჩვენ ზემოთ ყურადღება გავამახვილეთ იმ ფაქტზე, თუ როგორ რთული შეიძლება ყოფილიყო მკვიდრი ქართული მოსახლეობისა და ჩამოსახლებული ოსების ურთიერთობა პირველ წლებში, მაგრამ შემდგომ ერთმანეთთან ათწლეულობით თანაცხოვრებამ ურთიერთობები დაათბო: „შესაშური კეთილი ურთიერთობებით იყო გაჯერებული ოსი და ქართველი, ქართველი და ოსი მოსახლეობის კავშირები. იყო მრავალი შერეული ოჯახები. ხშირი იყო ძმადშეფიცვის, და-ძმობის, ნათელმირონობის, მეგობრობის მაგალითები".[3] ოსებმა ახალ გარემოში შემოინახეს სამშობლოდან მოყოლებული მამაპაპური ტრადიციები და ასევე შეითვისეს ქართველ მთიელთა ყოფისა და კულტურის ნორმები, ქართველებსაც მიეცათ საშუალება გაცნობოდნენ ოსურ წეს-ჩვეულებებს და რიგ შემთხვევებში გამოეყენებინათ კიდეც.[4] ამის მაგალითები მრავლადაა ქსნის ხეობის მოსახლეობის ცხოვრებაში... როგორც ნ. ჯალაბაძე შენიშნავს: „ახალგორი ცხინვალის რაიონთან შედარებით, ყოველთვის გამოირჩეოდა ქართულ-ოსური მოსახლეობის ინტეგრაციის მაღალი დონით", რასაც, მკვლევარის აზრით, განაპირობებდა რაიონის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში ქართველების უპირატესობა, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ქსნის ხეობაში ოსური ეთნიკური ერთეულის დასახლება გვიან მოხდა.[5]

ჩვენ ჩავიწერეთ როგორც ქართველი, ისე ოსი ქალბატონების მონათხრობი საფერშეთელი ოსების შესახებ. ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფლ დადიანეთის მკვიდრი ქალბატონი ლამარა ბერიანიძე: საფერშეთი რამდენიმე უბნად იყო გაყოფილი; ციხისოფელში აგებული იყო ვასთირჯის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც უკვე თითქმის დანგრეულია... დედაჩემი - ნუშა გიორგის ასული ბედოევა სამ დედმამიშვილთან ერთად მამულაანთ უბანში ცხოვრობდა. იქ გავატარე ბავშვობის საუკეთესო წლები... როგორც დედაჩემის ძმის მონაყოლიდან ვიცი, პაპაჩემის წინაპარი გათავადებული ოსის, ვინმე ბედოევის ყმა გლეხი ყოფილა, გვარად მამულაშვილი. ბატონყმობა რომ გადავარდა, ყმები რომ არ წაერთმიათ, ამ ბედოევს ყველა თავის გვარზე ჩაუწერია და მას შემდეგ ბედოევები ვართო...

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს.), წიგნი II, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება", 1974. გვ. 188.

[2] რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „ლომისი", 1997. გვ. 167.

[3] ვ. ქენქაძე, ქსნური ხალხური ფაბლიო, თბ., 2010. გვ. 66.

[4] ვალ. ითონიშვილი, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1974. გვ. 70.

[5] ნ. ჯალაბაძე, ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში, კრ., ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, 2015. გვ. 89.

საფერშეთში ოსები 1990-91 წლამდე მკვიდრობდნენ. პირველი არეულობისთანავე დაიცალა სოფელი. ზოგიერთმა ქართველმაც და ოსმაც ხელი მოითბო შექმნილი სიტუაციით. დააყაჩაღეს დედაჩემის ძმის და დეიდაჩემის ოჯახები ყოდიჯვარში... სოფელი ბოლოს ბედოევებმა დატოვეს. ყოდიჯვარში კი ვიქტორ ხინჩაგოვის ოჯახი ცხოვრობდა მარტო, ალბათ, 10-15 წელი...

ჩემი ბებია - ბაბალე ბუნტური, ზოდეხიდან გახლდათ. ასე იყო ერთმანეთს შესისხლხორცებული ქართული და ოსური ოჯახები. ძალიან მტკივა გული დღევანდელი მდგომარეობის გამო..."

მაკა ჩიტიშვილი (ახალგორის მუნიციპალიტეტი): საფეშელი - ასე ეძახდა მშობლიურ სოფელს ბებიაჩემი. კარგად მახსოვს ეს მაღალმთიანი, მწვანეში ჩაფლული სოფელი. სათიბზე დავდიოდით ქვემო ალევიდან".

მარიკა ბედოევა: „ბოლოს საფერშეთში ბედოევების 8 ოჯახი ცხოვრობდა, 5 მამულაანში და 3 ციხისოფელში, მათ შორის ჩემი ოჯახიც... როგორც პაპაჩემისგან ვიცი, ბედოევების გარდა საფერშეთში ასევე ცხოვრობდნენ: გულაროვები, დრიაევები და ზოლოევები. სოფელი გაყოფილი იყო 5 უბნად: ციხისოფელი, მამულაანი, ცილუბანი, ზორბეგაანი და ზალოითა.

ციხისოფელში, მამულაანში და ზორბეგაანთში ბედოევები ცხოვრობდნენ, ცილუბანში - გულაროვები და დრიაევები, ზალოითაში - ზოლოევები (რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის აღწერებიდან ჩანან საფერშეთის ხეობაში - დ.ა.).

გარდა ამისა, საფერშეთის ხეობა რამდენიმე სოფლისგან შედგებოდა: მონასტერი, გდუ, ყოდიჯვარი, ჩანდარი, ბოსელთა...

გასული საუკუნის 80-იან წლებში მონასტერში - გარიევები და თეგეტაევები ცხოვრობდნენ, ჩანდარში - ბედოევები, გდუში - დრიაევები, ასაევები, თეგეტაევები, ყოდიჯვარში - ხინჩაგოვები, ბოსელთაში - თეგეტაევები. რამდენიმე ოჯახმა უფრო ადრე, სამამულო ომის (მეორე მსოფლიო ომი - დ.ა.) შემდეგ დატოვა საფერშეთის ხეობა, მათგან ზოგი საქართველოს ბარში ჩასახლდა, ძირითადად, კასპისა და დუშეთის რაიონებში, ზოგი ვლადიკავკაზში წავიდა საცხოვრებლად. დღეს ხეობა მთლიანად დაცლილია, მხოლოდ ერთი - ბედოევების ოჯახი მკვიდრობს მამულაანთ უბანში, ისინიც ზაფხულობით მიდიან ამჯერად ვლადიკავკაზში ვცხოვრობ, მაგრამ ახალგორშიც და საფერშეთშიც მივდივარ ხოლმე...

საფერშეთში, კერძოდ, ციხისოფელში იყო წმინდა გიორგის ეკლესია და ღვთისმშობლის ნიში. აღვნიშნავდით გიორგობას ნოემბერში და მარიამობას სექტემბერში. ნიშები გვქონდა ასევე წმინდა სამების - ცილუბანში და თარანგელოზის (მთავარანგელოზის - დ.ა.) - მამულაანთ უბანში.

განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო გიორგობის დღესასწაულზე, სოფელში რომ ამოდიხართ, ჯერ წმინდა გიორგის ტაძარს ნახავთ, რომლის დანახვისას ყველა მგზავრი, ადგილობრივიც და სტუმრად მოსულიც ქუდს იხდიდა და ილოცებოდა. მაგ ადგილს ოსურად „ხუდისანს“ ვეძახდით, რაც ქუდის მოსახდელს ნიშნავს."

ქალბატონ მარიკა ბედოევას მონათხრობით, მათი წინაპრები ჩრდილოეთ კავკასიიდან, ალანების სოფელ დადაიყაუდან არიან გადმოსულები ყაზბეგის რაიონში, იქიდან კი ქსნის ხეობაში...

XX საუკუნის 90-იან წლებში დაწყებულმა კონფლიქტმა მძიმე დააღი დაასვა ქსნის ხეობის როგორც ქართულ, ისე ოსურ მოსახლეობას. უნდა ითქვას, რომ ქსნისხეობელი ოსების დიდი უმრავლესობა ემიჯნებოდა ცხინვალში მიმდინარე ანტიქართულ მოძრაობას. თბილისში შექმნილ ოსურ ასოციაცია სიმართლეში - „ირონასოციაცია რასძინად" გაერთიანდა არაერთი

ოსი მოქალაქე, მათ შორის ახალგორიდანაც. მათი მიზანი სიტუაციის განმუხტვა და ქართველთა და ოსთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გაფრთხილება იყო.[1]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქსნის ხეობიდან ქართულ მოსახლეობასთან ერთად ოსებიც იქცნენ დევნილებად: „ეთნიკური იდენტობის გამო დაპირისპირება რაიონში არასდროს ყოფილა. ომი ახალგორელი ოსების უმრავლესობისთვისაც ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც იქ მცხოვრები ქართველებისთვის. ომის შემდგომ ახალგორის რაიონის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, როგორც ქართველმა, ისე ოსმა, ხეობა დატოვა. როგორც დევნილები აღნიშნავენ, ისე არ მომხდარა, რომ „თუ ქართველი იყავი, გამოხვიდოდი და თუ ოსი, დარჩებოდი“. აქ ადგილი არ ჰქონია, ცხინვალის მსგავსად, წინასწარი შერჩევით ომამდე ოსი იდენტობის ქალებისა და ბავშვების ქალაქიდან გაყვანას. ადგილზე დარჩნენ როგორც ოსები, ისე ქართველები. ანუ ორივე მხარე, ახალგორში დარჩენილი და დევნილი კონტიგენტი, ეთნიკურად შერეული მოსახლეობით არის წარმოდგენილი".[2]

ქსნისხეობელ ქართველებსა და ოსებს შორის დღემდე გრძელდება ნათესაური და კეთილმეზობლური ურთიერთობები. ფრეზეთში, წილკანსა თუ წეროვანში დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ ამის არაერთი მაგალითი აქვს ნაჩვენები ნათია ჯალაბაძეს. საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ, როგორც ოსი, ისე ქართველი დევნილების ნათქვამი: „ჩვენ ოსობა, საცა ვართ გაზრდილები და ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთსა, როგორც ერთი ოჯახი, ისე ვართ. არც ერთი ოჯახი არ არის, რომ ოსი რძალი არა ჰყავდეთ. ერთმანეთისთვის არ გვითქვია, შენ ოსი ხარ, შენ ქართველიო. ახალგორში არავის უთქვია, ეს ქვეყანა ჩემია და ის ქვეყანა თქვენიაო. ახლაც, როგორც ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთში, ისევ ისე არიან" (წილკანი, 2014)... „ომის მერე ოსები და ჩვენა ისივ ერთი ვართ, ერთიმეორეში არც ცუდობა, არც ბოროტობა, არაფერი! არა ის ოსია, არა ის ქართველი - არა, არაფერი ეგეთი! ეგეთი რამე ჯერ ჩვენთვინ არავის არ უთქვია და ისე დიდი რაიონია და სხვაგან რა ხდება, რა ვიცი (ფრეზეთი, 2014)... „ეგ ოსები არასოდეს არაფერს არ გვიშავებდნენ. ეხლაც რო ჩავდივართ, არც ეხლა გვიშავებენ. ყოფილ მეზობლებს, ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა ძალიან კარგია. მე მეგობარი ოსი მყავს, მივდივარ, გაუხარდებათ ხოლმე, ხან დავპატიჟებ, ხან დამპატიჟებენ" (წეროვანი, 2013).[3]

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ჩრდილოეთ ოსეთში გადასახლებული ოსების ოჯახებში ხშირად სასაუბრო ენა ქართული იყო... ქსნისხეობელი ოსები არც ჩვენს ენას ივიწყებენ და არც თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებულ საერთო კავკასიურ ტრადიციებს...

---

[1] დ. ახლოური, ქართულ-ოსური კონფლიქტი და ახალგორი (1988-1991), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, №21, 2022. გვ. 15.

[2] ნ. ჯალაბაძე, ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში, კრ., ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, 2015. გვ. 89.

[3] ნ. ჯალაბაძე, ქართულ-ოსური ურთიერთობის თავისებურებანი ახალგორის რაიონში, კრ., ოკუპირებული ახალგორის რაიონი და ქართულ-ოსური ურთიერთობის დინამიკა, 2015. გვ. 99-103.

Davit Akhlouri
Gori State University

FROM THE HISTORY OF SAFERSHETI

RESUME

Safersheti is the historical Georgian part of the occupied Akhalgori municipality. It is located on the Alevi ridge, at the border of Dusheti and Akhalgori municipalities, at 2602 meters above sea level.

As is known from Georgian and foreign sources, Ossetians who emigrated from the North Caucasus settled here since the eighteenth century.

Information about Safersheti is preserved in the descriptions of two famous travelers in the Ksani valley, Vakhushti Batonishvili and Johan (Anton) Guldenstedt. Vakhushti does not say anything about the settlement of the Ossetians in the Aleuri valley in the Safersheti area, however, he indicates that, in addition to Zhamuri, the Ossetians lived in another mountainous area of the Ksni valley - the Churti valley.

Guldenstedt and Ioane Batonishvili drew attention to new Ossetian buildings created in Safersheti. By comparing the sources, we can conclude that the Ossetian population must have settled here in the second half of the XVlll century.

According to the list of Ossetian estates in Ksni, which is not dated and probably dates from the end of the XVlll century, 20 households are specified in "Safersheti", "except for the newly broken ones". By "newly demolished" we must mean new houses, the walls of which had to be torn down, the land used and cultivated...

In the paper, the data of the first chamber census of Russia of 1804 is extensively reviewed, where it is discussed about the Ossetians living in Safersheti, their economic situation, taxes. The reasons that caused Ossetians from the North Caucasus to miss Georgian land and water and settle down are analyzed. It is shown how the demographic situation changed in the Ossetian villages of Safersheti in the XlX-XX centuries, what could have been the relationship between the indigenous Georgian population and the settled Ossetians in the first years and after decades of living together. The friendship and unity of Georgian and Ossetian people was strengthened by mixed marriage, brotherhood and peace.

In addition to historical facts, the work provides examples from the recent past, religious and ethnographic existence of Safersheti, which are told by both Georgian and Ossetian respondents. It is important to remember the conflict that started in the 90s of the XX century and the war of August 2008, which put a heavy burden on the Georgian and Os population of the Ksani valley and the whole of Georgia. Attention is also paid to the current reality of the coexistence of these two peoples settled in different settlements of displaced persons.

სალომე ზვიადაძე
სამთავროს დედათა მონასტერი

მართლმადიდებლური სამონაზვნო ცხოვრების სათავეებთან ისტორიული დოკუმენტების მიხედვით

მეოთხე საუკუნის მოღვაწემ, ღირსმა მამამ, წმ. პახომი დიდმა, თვით ანგელოზისგან მიიღო მონაზონთა საერთო საცხოვრისში მცხოვრებთა მონაზვნური განაწესი, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ქრისტიანულ სამყაროში შექმნილ დანარჩენ სამონაზვნო ტიპიკონებს, მათ შორის ქართულსაც (წმ. გრიგოლ ხანცთელის, წმ. ეფთჳმე მთაწმინდელის, გრიგოლ ბაკურიანის ძისა და სხვ.).

უცხოელი მკვლევარი მიხეილ სკაბალანოვიჩი ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნეს „მოციქულთა ღვთისმსახურებას“/“მოციქულებრივ ღვთისმსახურებას“ უწოდებს და წერს, რომ ქრისტეს აღდგომით ფრთაშესხმული მოციქულები და ქრისტეს სხვა მოწაფეები ჯერ ტაძარსა და სინაგოგაში იკრიბებოდნენ, შემდეგ – ხან ერთი, ხან მეორე ქრისტიანის სახლში[1], სადაც მთელ დღეს ლოცვა–გალობაში ატარებდნენ. იკითხებოდა ძველი აღთქმის საკითხავები. გალობდნენ ფსალმუნებს. აქ მხოლოდ ქრისტიანებს შეეძლოთ აღესრულებინათ „პურის განტეხა“, რასაც არაერთხელ მოიხსენიებს წიგნი „საქმე მოციქულთა“ და ევქარისტიული ხასიათის საერთო ტრაპეზად მოიაზრება. მაცხოვრის საიდუმლო სერობის მაგალითის მიხედვით, ეს ტრაპეზი საღამოს იმართებოდა. ყოველდღიური, მთელი დღის ლოცვების რიგში ეს იყო მათი ბოლო მაღალი მომენტი, კულმინაცია, რითაც მთავრდებოდა მთელ დღეს მზარდი ლოცვითი აღფრთოვანება... ეს ტრაპეზი, ისევე, როგორც მაშინდელ ქრისტიანთა მთელი დღე, მთლიანად ლოცვით, უფლის ქებით იყო გამსჭვალული[2]. აქვე დავიმოწმებთ ზოგიერთ ადგილს: „და იყვნეს განკრძალულ მოძღურებასა მას მოციქულთასა და ზიარებასა და განტეხასა პურისასა და ლოცვასა“ (საქმე 2, 42). „და დღითი–დღედ განკრძალულ იყვნეს ტაძარსა მას შინა, აკურთხევდეს სახლ-მდაბრ პურსა, მიიღებდეს საზრდელსა მხიარულითა და განმარტებულითა გულითა. აქებდეს ღმერთსა და აქუნდა მადლი ყოვლისა მიმართ ერისა, ხოლო უფალი შესძინებდა ცხოვნებულთა დღითი–დღედ ეკლესიასა“ (საქმე, 2,46–47). ასე დაედო სათავე აღაპებს, ანუ სიყვარულის საღამოებს, რომლებიც ქრისტიანულ ეკლესიაში IV საუკუნემდე არსებობდა და მაშინ, როცა ევქარისტია მისგან გამოიყო და გადატანილ იქნა დილით ან შუადღეს, მათ საფუძველზე აღმოცენდა ახლანდელი საღამოს მწუხრი თავისი პურის კურთხევით, – აღნიშნავს მ. სკაბალანოვიჩი[3], იგი გამოჰყოფს კვირა დღის – კოლ. 2.16. გალ. 4, 8–11, რომ. 14–5–6, ებრ. 4, 4–9. 1კორ. 16:12. 1 კორ. 5, 7–8, აღდგომის – (პასხის) საქმე, 13, 2. იოანე 19,4, 18, 28. შდრ.13.1 და დიდი მარხვის დღესასწაულებს, თუმცა აქვე მოაქვს ისტორიკოს სოკრატესის სიტყვები, რომ არ არსებობს იმ მოსაზრების დამადასტურებელი წერილობითი მოწმობა, რომ ის მოციქულებმა პეტრემ და პავლემ დააარსეს[4].

---

[1]თავდაპირველი ქრისტიანული ტაძარი არის domus ecclesiae (ეს ტერმინი აღნიშნავდა წირვა-ლოცვის აღსასრულებელ უძველს ადგილებს). ეკლესიის შეკრებისა და პურის ევქარისტიული განტეხის ადგილი... ტაძარი განიცდება და შეიგრძნობა, როგორც საკრებულო, როგორც ქრისტეში ცისა და მიწისა და ყოველი ცოცხალი ქმნილების ერთად შეკრება, რაც არის კიდეც ეკლესიის არსი და მოწოდება. შმემანი ა., ევქარისტია სასუფევლის საიდუმლო, თარგმნეს ოთარ ზოიძემ და ფრიდონ საყვარელიძემ, თბ., 2014, 29.

[2] Скабаланович М., Толковый типикон, объяснительное изложение типикона, М., 2011, 25.

[3] Скабаланович М., Толковый типикон, объяснительное изложение типикона, М., 2011, 25.

[4] Скабаланович М., Толковый типикон, объяснительное изложение типикона, М., 2011, 47.

მოციქულთა ქადაგებითა და სასწაულებით ქრისტიანთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა[1]. ისინი დადიოდნენ ქვეყნითი ქვეყნად, აარსებდნენ ქრისტიანულ ეკლესიებსა და თემებს, მოძღვრავდნენ ზეპირად და წერილობით და მოციქულთა ეპისტოლეებში ამისი მრავალი მაგალითი გვხვდება: „ეტყოდეთ თავთა თქუენთა ფსალმუნითა და გალობითა და ქებითა სულიერითა, უგალობდით და აქებდით გულითა თქუენითა ღმერთსა“ (ეფეს., 5: 19)... „და სიტყუაჲ იგი ქრისტჱსი დამკჳდრებულ იყაჳნ თქუენ თანა მდიდრად ყოვლითავე სიბრძნითა; ასწავებდით და ჰმოძღურიდით თავთა თქუენთა ფსალმუნითა, ქებითა და გალობითა, სულიერითა მადლითა უგალობდით გულთა შინა თქუენთა ღმერთსა“ (კოლ. 3:16) და მისთ., მაგალითების მოხმობა მრავლად შეიძლება.

ე. კოჭლამაზაშვილი აღნიშნავს, რომ მოციქულებთან ერთად და შემდეგ ღვთისმსახურების დახვეწასა და გავრცელებაში დიდია ეკლესიის ცნობილი მამების, მაღალი სასულიერო იერარქების, მღვდლებისა და სხვათა წვლილი – დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა სხვადასხვა წესები. ღვთისმსახურების ყოველი ელემენტი – კითხვა, ლოცვა, გალობა, საღმრთო მოქმედება – საღმრთო მოძღვრების ამა თუ იმ ნიუანსს გამოხატავდა[2].

სავარაუდოა, რომ პირველი საუკუნეებიდანვე უნდა გამოჩენილიყვნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს მთლიანად უძღვნიდნენ უფალ მაცხოვარს, იესო ქრისტეს, უარყოფდნენ ამქვეყნიურ, საწუთო ცხოვრებას და ისწრაფვოდნენ, რაც შეიძლება მეტად მიახლოებოდნენ მას – უდიდეს სიკეთესა და სათნოებას და ამაში რომ ხელი არაფერს შეეშალა, ტოვებდნენ საცხოვრისს და უკაცრიელ ადგილებში გადიოდნენ. „ბერ-მონაზვნური ცხოვრება, როგორც განსაკუთრებული მოვლენა, ეგვიპტეში წარმოიშვა და აქედან სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ მონაზვნობა გაჩნდა სწორედ ქრისტიანობის დევნის დამთავრების შემდეგ... და ისინი ოფიციალური ქრისტიანობის ერთგვარ საპირწონედ იქცნენ...მონაზვნები საზოგადოებიდან უდაბნოში თავიანთი გასვლით აღასრულებდნენ ეკლესიის წინასწარმეტყველურ და ესქატოლოგიურ მოწოდებას, შეახსენებდნენ ქრისტიანებს, რომ ღვთიური სამეფო ამქვეყნიური არაა... მონაზვნობის ძირითადი თვისება მისი ფუნდამენტურად ბიბლიური ხასიათია. უდაბნოში არ არის არც წყალი, არც სიცოცხლე, ის სიკვდილისა და ეშმაკის სამეფოა. უდაბნოში გასვლა აღიქმებოდა, როგორც განწმენდის აქტი“[3]. ასე გაჩნდნენ პირველი განდეგილები ეგვიპტესა და მცირე აზიაში. მათ შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი III საუკუნის დასასრულამდე, როცა ეგვიპტის უდაბნოში გამოჩნდა **ანტონი დიდი** (251–356), რომელიც ეგვიპტეში განდეგილურ–სამონაზვნო ცხოვრების დამაარსებლად ითვლება[4].

„ანტონი დიდი დაიბადა შეძლებულ კოპტურ ოჯახში 250 წელს (გარდაიცვალა 355 წ.), მალე დაობლდა, სკოლაში არ უსწავლია, არ იცოდა არც წერა-კითხვა და არც ბერძნული ენა. დაახლოებით 20 წლისა იქნებოდა, როცა ეკლესიაში მოისმინა უფლის სიტყვები- „უკუეთუ გნებავს, რათა სრულ ხოლო იყო, წარვედ და განყიდე ნაყოფი შენი და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე“ (მ.19, 21), - რამაც მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა: განუყო გლახაკებს მშობლების მთელი ქონება და უდაბნოს მიაშურა - ჯერ თავისი სოფლის განაპირას, მერე და მერე - უფრო შორს. თავისი ცხოვრების პირველ

[1] ძველი ეკლესიის ისტორიის მკვლევარი ა. დვორკინი აღნიშნავს, რომ ახალი რწმენა სწრაფად გავრცელდა არა მხოლოდ დამასკოში, არამედ ანტიოქიაში, სირიის დედაქალაქში... სადაც წარმართებმა მის მიმდევრებს შეარქვეს ქრისტიანები და ისინიც სიხარულით უწოდებდნენ თავიანთ თავს ამ დამაცირებელ მეტსახელს. Дворкин А., Очерки по истории Вселенской Православной Церкви, М., 2020, 68.

[2] კოჭლამაზაშვილი, ექვთიმე, ლიტურგიკის შესავალი; ლიტურგიკა - საეკლესიო-საღვთისმეტყველო და ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერება (გვ. 145-159) წიგნში: ღვთისმსახურების წეს-განგებანი (ტიპიკონი, ნაწილი II, შეადგინა თაისი ტორონჯაძემ, თბილისი, 2006, 147.

[3] Дворкин А., Очерки по истории Вселенской Православной Церкви, Кн. 1, М., 2020, 112-113.

[4] მკვლევარი ა. მიხაილოვი აღნიშნავს, რომ პირველ განდეგილად მიჩნეულია ნარკის იერუსალიმელი (201–217 წწ.); მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ტ. VII, 144.

პერიოდში მას ჰქონდა სასტიკი ბრძოლები ეშმაკთან“[1] და მკაცრად ჩაკეტილ განდეგილურ ცხოვრებას ეწეოდა უდაბნოში, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი სახელი გაითქვა და უამრავმა ადამიანმა მიაშურა სულის საცხოვნებლად, ვერ გაწირა ამდენი სული და ცხოვრების შემდეგი წესი დაუდგინა: განმარტოების მსურველნი განალაგა სხვადასხვა მანძილით დაშორებულ სენაკებში; თითოეული მათგანი თავისი შრომით ირჩენდა თავს და ისე მკაცრად იცავდნენ მამა ანტონის დარიგებას, არც ერთი მათგანი ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა და ერთ ყლუპ წყალს არ დალევდა მოძღვრის ლოცვა–კურთხევის გარეშე. დიდი სულიერი სიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი მოძღვრისა და ერთმანეთის მიმართ და გარეგნულად ცალ–ცალკე მყოფნი, ერთ სულიერ ძმობას წარმოადგენდნენ. შაბათ–კვირას ერთად ლოცულობდნენ, ეზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს, საუბრობდნენ თავ–თავიანთ გამოცდილებაზე. შემდეგში ღირსი ანტონის მოწაფეებიც ასე აწყობდნენ მონასტრებს.

ანტონი დიდის მოღვაწეობის „შემდეგ სამოც თუ სამოცდაათ წელსაც არ გაევლო, რომ მონაზონთა სავანეებით გაივსო ეგვიპტის ყველა უდაბნო. მონასტრები იყო ალექსანდრიასთან ახლოს, 5 000 მონაზონს ნიტრიის მთაზე ითვლიდნენ, მრავალრიცხოვანი საძმოები ჰქონდათ სკიტის უდაბნოში, მემფისისა და ბაბილონის მიმდებარე მხარეები მთლად მონაზვნებით ჩანდა დასახლებული... წარმართული ტაძრები მონაზონთა საცხოვრისებად გადაიქცა“[2].

ღირსი ანტონის ცხოვრებიდან არ ჩანს, რომ მას ან მის მოწაფეებს ეზრუნათ მონასტერში განდეგილთა ერთად ცხოვრების მოსაწესრიგებლად რაიმე წესების შექმნისათვის[3]. ცოტა მოგვიანებით ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ღირსმა **პახომი დიდმა** (290–346), ღვთიური ბრძანებით, რომელიც მას ანგელოზმა ამცნო და და გადასცა საწერი დაფა, რომელზეც მონაზონთა საერთო საცხოვრისის მოწყობისა და ყოფის წესები იყო ჩამოწერილი.

„ადრინდელი ქრისტიანული ასკეტიზმის არსი მდგომარეობდა უქორწინებლობასა და ბავშვობის შენარჩუნებაში. დანარჩენი, რასაც განდეგილები მიმართავდნენ - მარხვა, ღამე სიფხიზლე - მხოლოდ სულისთვის სხეულის დამორჩილების საშუალება იყო“[4].

ღმერთი უნერგავდა ღირს პახომს ადამიანების ასეთ ცხოველ სიყვარულს, რადგან ბევრი სულის გადასარჩენად ამზადებდა. ერთხელ იგი, უდაბნოში განმარტოებული, ერთ ადგილას, რომელსაც ტაბენისი ერქვა – არის ვერსია, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ქ. სიენის ახლოს მდებარე ნილოსის კუნძული – განსაკუთრებით გულმხურვალედ, ჩვეულებრივზე დიდხანს ლოცულობდა, როცა ზეციდან ჩამოესმა ხმა: „დაამტკიცე შენი აქ ყოფნა, პახომი, და ააშენე მონასტერი, რადგან ბევრნი მოვლენ შენთან იმისათვის, რომ გადარჩნენ სამონაზვნო ცხოვრების გზით, და შენ უხელმძღვანელებ მათ იმ წესებით, რომელსაც მე ახლავე გამოგიზავნი“[5]. ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მის წინ გაჩნდა დიდი სამონაზვნო სქემით შემოსილი ანგელოზი

---

[1] Дворкин А., Очерки по истории Вселенской Православной Церкви, Кн. 1, М., 2020, 113.

[2] კაზანსკი პ., ეგვიპტელ მონაზონთა ცხოვრება (IV-V სს.), თარგმნა გოჩა კუჭუხიძემ, ჟურნალი „რელიგია”, 2015, N1.

[3]ცნობილია ღირსი ანტონის ასკეტიკური შინაარსის შვიდი ეპისტოლე. მის დიდ ავტორიტეტსა და სამონასტრო მოღვაწეობას უნდა ვუმადლოდეთ ჰაგიოგრაფიული მწერლობის, ახალი „ცხოვრება–მოქალაქობის“ ჟანრის წარმოშობას. ანტონი დიდის გარდაცვალებისთანავე (357 წ.) ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსმა ათანასე დიდმა დაწერა ამ ჟანრის პირველი თხზულება „ცხორებაᲘ წმიდისა მამისა ჩუენისა ანტონისი“. გაბიძაშვილი ე., შრომები ტ. II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები. თბ., 2010, (გაბიძაშვილი ე., შრომები ტ. II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები. თბ., 2010, 293), რომელიც გამოსცა ივ. იმნაიშვილმა (1970, 1975 წწ.). გარდა ეპისტოლეებისა, ანტონი დიდი არის „ავტორი და მთხრობელი მრავალრიცხოვანი დამოძღვრა–დარიგებებისა და გამონათქვამ–აფორიზმებისა, რომლებიც შესულია სხვადასხვა შედგენილობისა და დანიშნულების ასკეტიკურ–პათეტიკურ კრებულებში“. გაბიძაშვილი ე., შრომები ტ. II, ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური ნარკვევები, თბ., 2010, 284.

[8] Поснов М., История христианской церкви, Киев, 1991.

[4] Поснов М., история христианской церкви, Киев, 1991, 224.

[5] Епископ Феофан, древние иноческие уставы, М., 1892, 14.

და გადასცა სპილენძის საწერი დაფა, რომელზეც ეწერა სამონაზვნო ცხოვრების წესები მათთვის, ვინც მისი ხელმძღვანელობით ცხოვრებას მოისურვებდა.

რა ეწერა ფირფიტაზე, გადმოგვცემენ პალადი ჰელენოპოლელი „ლავსაიკონში", სოზომენე, დიონისე მცირე და ნიკიფორე კალისტა. პალადი აღნიშნავს (Patrologie latinae, t. 50), რომ ფირფიტაზე ეწერა შემდეგი:

1. ნება მიეცი ყველას, ჭამონ იმდენი, რამდენიც უნდათ.
2. თითოეულს დაუნიშნე სამუშაო თავისი ძალის მიხედვით.
3. არ აუკრძალო არც მარხვა, არც ჭამა.
4. მძიმე საქმე დაავალე მათ, ვინც უფრო ძლიერია და მეტს ჭამს, ცოტა და იოლი დავალება კი მიეცი სუსტებს, რომლებიც მოღვაწეობას მიჩვეული არ არიან.
5. სენაკები მოაწყვე ცალ–ცალკე სახლებში და თითო სენაკში იცხოვროს სამმა მონაზონმა.
6. საკვები ყველამ ერთად მიიღოს.
7. ძილის დროს არ უნდა იწვნენ – გააკეთონ თავიანთთვის დაქანებულზურგიანი სკამი/დასაჯდომი, მასზე გაიშალონ ლოგინი და დაიძინონ.
8. მათ ღამეც უნდა ეცვათ ტილოს ლევიტონი და შემოჭერილი ჰქონდეთ ქამარი.
9. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს თხის (ან ცხვრის) ტყავის მილოტი, ურომლისოდ არც ძილი და არც ჭამა არ შეიძლება.
10. შაბათს და კვირას ქრისტეს წმინდა საიდუმლოს მისაღებად მიეახლონ მხოლოდ კუნკულ–ბარტყულით (თავსაბურავი), შეიხსნან ქამარი და გაიხადონ მილოტი.
11. თავსაბურავი–კუნკული იყოს შესაკრავის გარეშე, როგორც ბავშვის ქუდი და ეკეროს ალისფერი ჯვარი.

ძმები დაყავი 24 დასად 24 ბერძნული ასოს შესაბამისად ალფა და ბეტადან მიყოლებით ომეგამდე. სხვებზე უბრალო და უბოროტო ბერებს უწოდე ι– იოტა, ურჩებს და მძიმე ხასიათის პატრონებს

12. –ξ– ქსი – ამდენად, თავად ასოს ფორმით გამოიხატება თითოეული დასის ადამიანის მიდრეკილება, ხასიათი და ცხოვრება. ასოების მნიშვნელობა გასაგები უნდა იყოს მხოლოდ სულიერი მოძღვრებისათვის.

13. სხვა წესდებით მცხოვრები მონასტრიდან მოსულ ადამიანთან ერთად არც ჭამა, არც სმა არ შეიძლება – მხოლოდ მგზავრობის დროს შეეძლოთ პახომის მოწაფეებს მათი ტიპიკონის არმცოდნე ბერთან ერთადეჭამათ პური.

14. გარედან მოსული ადამიანი არ შეიძლება შევიდეს მონასტერში და თუ შევა, სამუდამოდ უნდა დარჩეს.

15. ახალმოსულს მხოლოდ სამი წლის მკაცრი გამოცდის შემდეგ შეეძლება, შეუდგეს სერიოზულ სამონაზვნო მოღვაწეობას.

16. ტრაპეზზე ყველას უნდა ეხუროს კუნკულ–ბარტყული, რათა ერთმა ძმამ ვერ დაინახოს, როგორ ჭამს მეორე.

17. ტრაპეზის დროს ასევე არ შეიძლება ლაპარაკი და აქეთ–იქით ყურება, მხოლოდ მაგიდასა და საკუთარ თეფშს უნდა უცქირონ.

18. თუ რამე დასჭირდებათ, უნდა ანიშნონ მორიგე მეტრაპეზეს.

19. მონაზვნებმა ყოველდღე შეასრულონ 12 ლოცვა, ასევე საღამოს – 12, ღამეც – 12 და სამი – მე–9 ჟამზე.

წმ. პახომის აზრით, ეს ცოტა იყო, რაზეც ანგელოზმა უპასუხა: ამდენი იმიტომ დავადგინე, რომ სუსტებმა ადვილად, დამძიმების გარეშე აღასრულონ წესი. სრულყოფილი ვინცაა, იმას წესდება არ სჭირდება, თავის სენაკში ისედაც მთელ თავის ცხოვრებას ღვთის ჭვრეტაში ატარებს. წესდებას მე ვაძლევ იმათ, ვისი გონებაც სათანადოდ მომწიფებული არაა,

რომ მათ, როგორც ურჩმა მონებმა, ღვთის შიშით მაინც შეასრულონ ცხოვრების საერთო წესები და სულის თავისუფლება მოიპოვონ.

ასეთი წესდება გადასცა ანგელოზმა მამა პახომს და აღასრულა რა თავისი სამსახური, განშორდა[1].

ბოლოს დადგა ძმათა შემოკრების ჟამიც. შუაღამის ლოცვაზე მდგარ ღირს პახომს გამოეცხადა ანგელოზი უფლისა: „ღმერთს ნებავს, რომ ამიერიდან მიიღო ძმები და მკაცრი მოღვაწეობითი ცხოვრების გზის გავლით მიჰგვარო მას“[2] – სამჯერ გაუმეორა და განშორდა. მამა პახომმა მადლობა შესწირა ღმერთს და გულმოდგინედ შეუდგა მისი ნების აღსრულებას: ღებულობდა მისდამი მოლტოლვილებს, რომელთაც სურდათ, მონაზვნური ცხოვრებით დამონებოდნენ უფალს, სათანადოდ გამოსცდიდა მათ სიმტკიცეს და მხოლოდ ამის შემდეგ შემოსავდა სამონაზვნო სქემით.

ერთ–ერთი პირველები მოვიდნენ მომავალი დიდი მამები პეტრონიუსი, თეოდორე განწმენდილი და ორსისი. სანამ ახალმოსულები ცოტანი იყვნენ, თავიდან ღირსი პახომი თვითონ აკეთებდა ყველაფერს მონასტერში, უფლის მცნების მიხედვით, თვითონ ემსახურებოდა ყველას, რომ მათ მხოლოდ ღვთისთვის შეეწირათ მთელი თავიანთი დრო და სულიერი შრომა. ამასთან აცნობდა მათ მონასტრული ცხოვრების წესებს – ლოცვის, ხელსაქმის, საჭმლისა და სასმლის, ძილისა და სიფხიზლისა და სხვ. – ნაწილობრივ, იმას, რაც ღვთის ნებით გადასცა ანგელოზმა, ნაწილობრივ – როგორც ცხოვრება და გამოცდილება კარნახობდა. მამა პახომი საზეიმო დღეებში წირვის ჩასატარებლად და ზიარებისათვის მღვდელს ახლო სოფლებიდან იწვევდა – მას სურდა, რომ მონასტერში ყველა თანასწორი ყოფილიყო და არავის ჰქონოდა უპირატესობა სხვათა წინაშე, ძმებს არ გასჩენოდათ მანკიერი აზრები და დიდი მონაზვნური შრომით მოპოვებული მადლი არ დაეკარგათ[3]. თავიდან, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, ტაბენისის მონასტერში მხოლოდ კოპტები მოსაგრეობდნენ, შემდეგ მოვიდნენ ბერძნები და რომაელებიც... ღირსი პახომი სწავლობდა ბერძნულ ენას, რომ თავად შესძლებოდა მათთან ურთიერთობა (ღირსი პახომი დიდი, იხ. ლინკი).

ღირსი პახომის მონასტერში დამკვიდრებული ბრძნული წესების ამბავი ფართოდ გავრცელდა და სულის ცხონების სურვილით ანთებული ადამიანების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. წინასწარ აშენებული მონასტერი უკვე ვეღარ იტევდა აქ დამკვიდრების მსურველებს, დადგა ახალი საცხოვრისის აშენების საჭიროება.

ახალი მონასტერი, სახელად პაბო, უდაბნო ადგილას აშენდა და მომავალში დიდი და სახელოვანი, სხვა მონასტრებზე აღმატებული გახდა, მაგრამ ღირსი პახომის წესდებით მცხოვრებ ყველა მონაზონს ტაბენისელები ერქვათ, პირველი მონასტრის სახელის მიხედვით.

მალე მამა პახომის სამწყსოს შემოუერთდა ორი სხვა მონასტერი – შებენოსკა და მონხოსი. მამა პახომმა იქ გამოცდილი მონაზვნები გაგზავნა და თავისი წესები დაამყარა. ესეც არ იყო საკმარისი და მან შემდეგ ააშენა უკვე სხვა ხუთი მონასტერი. ამათ გარდა, კიდევ ერთი დედათა მონასტერიც ნილოსის მეორე მხარეს, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ღირსი პახომის დამ, რომელმაც, ძმის მსგავსად, გადაწყვიტა, მონაზვნური ღვაწლით ემსახურა ღვთისთვის. შემდგომში მამა ორსისმა და თეოდორე განწმენდილმა კიდევ სხვა მონასტრები ააშენეს.

ღირსი პახომის მონასტრებში უამრავი ადამიანი მოსაგრეობდა. ყველა მათგანი ღირს პახომს მშობელი მამასავით შესცქეროდა, ისიც ყველას ერთნაირად უნაწილებდა თავის სითბოსა და მზრუნველობას, ყველა სათნოებაში მაგალითს აძლევდა თავის სამწყსოს, ყოველ წუთს მათზე ზრუნვაში ატარებდა. ღირსი პახომი და მისი მონაზვნები ზრუნავდნენ არა მხოლოდ თავიანთი ცხონებისა და სიკეთის, მოყვასის ხსნისა და კეთილდღეობისათვისაც (ღირსი პახომი

[1] Епископ Феофан, древние иноческие уставы, М., 1892.

[2] Епископ Феофан, древние иноческие уставы, М., 1892, 21.

[3] Епископ Феофан, древние иноческие уставы, М., 1892, 21.

დიდი, იხ. ლინკი). მიუხედავად იმისა, რომ ღირსმა პახომმა თვისი ნებით კი არა, ღვთის ბრძანებით იტვირთა მრავალი სული, იყო კანონიერი მოძღვარი მათი, მას ეს მოვალეობა აღქმული ჰქონდა, როგორც სრული უარყოფა საკუთარი თავისა სხვათა სამსახურში. სწორედ ამიტომ გადმოდიოდა მასზე დიდი მადლი ღვთისა, ბრძნულად ხელმძღვანელობის უნარის მიმნიჭებელი, რასაც მოწმობდნენ მის მონასტერში მცხოვრები მონაზვნები[1].

ღირს მამას მიაჩნდა, რომ მორჩილება არის სამონასტრო წესების ყველაზე მტკიცე საფუძველი და მონაზვნობის სულის მაცხოვნებელი, ამიტომ თავისი მოწაფეებისაგან ყველაზე მეტად ამ სათნოების დაცვას ითხოვდა და დარღვევის არცერთ შემთხვევას დაუსჯელს არ ტოვებდა (მის ცხოვრებაში მოყვანილია მაგალითები). იგი ყველას ასწავლიდა, რომ ჩუმად უნდა ეკეთებინათ სიკეთე, ღვთის წინაშე და არა ადამიანების დასანახად და მათგან ქების მისაღებად.ამასთანავე, იგი ზრუნავდა, რომ მძიმე შრომის შემდეგ ყველა ძმას უნდა დაესვენა და ძალა მოეკრიბა (ცხოვრება პახომი დიდისა, იხ ლინკი).

მამა პახომი ძმებს ურჩევდა, სხვადასხვა ცდუნებასთან საბრძოლველად გამოეყენებინათ ორი იარაღი: პირველი, ღვთის შიში, რომელიც მუდამ უნდა ღვიოდეს ყველა ქრისტიანის გულში და მეორე, ყოველთვის გაემხილათ თავიანთი უხერხული და შემაშფოთებელი გრძნობები გამოცდილი ბერებისათვის, რომლებიც გასწავლიან, როგორ სძლიო და გათავისუფლდე მათგან. „როგორც ცეცხლი წმენდს მეტალს, ისე ღვთის შიში ასუფთავებს კაცის გულს ყოველგვარი ვნებისაგან და აქცევს მას ღვთის რჩეულ ჭურჭლად“, – ამბობდა მამა პახომი. ასევე, ასწავლიდა ძმებს, ებრძოლათ სხვა ვნებების – პატივმოყვარეობის, სიზარმაცის, შურის, ცნობისმოყვარეობისა და ყოველგვარი უწმინდურობის წინააღმდეგ, რასაც მტერი მონაზვნების გულში თესავს. ამაზე ის ყოველდღე ესაუბრებოდა ძმებს, გარდა ამისა, ყოველი მოსახერხებელი შემთხვევითაც უსაბუთებდა[2].

ღირსი პახომი გარდაიცვალა 348 წელს, 56 წლისა, იმ მხარეში გაჩენილი ჭირით; სიკვდილის წინ დაიბარა ყველა მონასტრის მამასახლისი, უკანასკნელად დამოძღვრა, თავის შემდეგ მთავარ წინამძღვრად დანიშნა პეტრონიუსი და მშვიდობით განისვენა სულიერ სიხარულში, რითაც სახე გაუბრწყინდა.

მშვიდობით განისვენა სულიერ სიხარულში, რითაც სახე გაუბრწყინდა.

წმ. პახომის მიერ დაწერილი ტიპიკონის გარდა, შემორჩენილია წერილებიც ნეტარი იერონიმეს ლათინური თარგმანით (Patr. lat. t., 23).

ღირსი პახომი დიდის წესდება, როგორც აღნიშნავენ, შეიცავს მამა ორსისისა და თეოდორე განწმენდილის მიერ ჩამატებულ პუნქტებსაც.

წმ. პახომმა თავისი მოღვაწეობის განმავლობაში სულ ცხრა მამათა და ერთი დედათა მონასტერი ააშენა, თეოდორემ – ოთხი მამათა და ერთი – დედათა. თითოეულ მონასტერში იდგა 30 ან 40 ცალკე სახლი, 12 ან 13 სენაკით, რომელშიც, ანგელოზის ბრძანებისამებრ, სამი ძმა ცხოვრობდა[3].

ყოველ მონასტერს ჰქონდა თავისი ტაძარი, სატრაპეზო, სამზარეულო, პურის საცხობი, საავადმყოფო, სასტუმრო, სურსათის, ტანსაცმლის, სამუშაო იარაღებისა და მასალების საწყობები (ცალკე შენობები), ასევე თავისი ბაღი, ბოსტანი და სახნავ–სათესი მიწები. ყველა მონასტრის ბერები ერთი სულით, ერთიანი მმართველობითა და მეურნეობით შეკავშირებულ ერთ ძმობას შეადგენდნენ. მათ განაგებდათ ერთი მთავარი ამბა; ამასთან, ყველა მონასტერს ჰყავდა თავისი წინამძღვარი, რომელიც მთლიანად მთავარზე იყო დამოკიდებული და მთელი მონასტერი ხელში ეჭირა. მონასტრის წინამძღვარს ემორჩილებოდნენ სახლის ზედამხედველები, მათი თანაშემწეები, კერძო იკონომოსები, მოლარე, მემსგეფსე და ყველა სხვა პირი, ვინც მონასტერში

[1] Епископ Феофан, древние иноческие уставы, М., 1892.

[2] Епископ Феофан, древние иноческие уставы, М., 1892.

[3] Епископ Феофан, древние иноческие уставы, М., 1892, 90.

ამა თუ იმ, დროებით ან მუდმივ, სამუშაოს ასრულებდა. დაწვრილებით მათი განხილვა-გაანალიზება აქ საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ, ასევე არაფერს ვამბობთ ბასილი დიდისა და სხვა საეკლესიო მოღვაწეთა შესახებ.

Salome Zviadadze
Samtavro Nunnery

THE BEGINNINGS OF ORTHODOX MONASTIC LIFE ACCORDING TO HISTORICAL DOCUMENTS

RESUME

In the work we come across the lives and activities of the first monks of desert: Antoni Big, Pakhomi Big and Basili Big, their honor in building the churches and monasteries and the differences in style and symbols among them. Their orthodox rules are still active and almost nothing has been changed even today. For example, Basili Big Asketikoni – is discussed as well.

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის ევოლუცია

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს თვალი გაადევნოს საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესების, პოპულარიზაციის წარსულს, განვლილ გზას, მის ევოლუციას და მოინიშნოს ის საკვანძო მომენტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ხნის მანძილზე. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. მას ქართული კონტექსტი გააჩნია ეს სიახლეა და აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და "თეთრი ლაქები" ამ დარგში ნაკლები დარჩება.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს მიერ ჩაფიქრებული დიდი პრობლემის "სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლა საქართველოში" ერთ მონაკვეთს და ამ დიდი თემის დამუშავების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯია. მისი შესწავლის დასაწყისია. ის ორი დიდი ნაწილისაგან შედგება: საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა, ის სამ ნაწილადაა დაყოფილი. მას საფუძვლად უძევს საკითხის პერიოდიზაცია. ა. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესება 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ბ. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). გ. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განხილვა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (90-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე). ანალოგიური სქემა, მხოლოდ მინიმალური განსხვავებით, უძევს საფუძვლად სკანდინავიის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლას საქართველოში. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად, რაც პირველ ყოვლისა, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. პოლიტიკურ კატაკლიზმებს უკავშირდებოდა.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების, შესწავლის, პოპულარიზაციის საქმეში ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ პლუსად, საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დამოკიდებულება მიგვაჩნია. ეს, უმთავრესად, იმით გამოიხატება, რომ აქცენტი კეთდება არა ამ პრობლემატიკის მეცნიერულ შესწავლაზე, რაც გარდა ენობრივი ბარიერისა, მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული, არამედ პოპულარიზაციაზე. ეს არცაა გასაკვირი. ქართულმა ისტორიოგრაფიამ კარგად გათვალა თავისი ძალა და შესაძლებლობები და შესატყვისი არჩევანი გააკეთა. ზედმეტი ამბიციები უადგილოა. ერთს პირობით, პროგრამა მინიმუმი შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციას. მეორეს კი პროგრამა მაქსიმუმი, რომელიც მიზნად ისახავს მის კვლევას, მეცნიერულ შესწავლას.

პროგრამა მინიმუმის შესრულების თვალსაზრისით, ქართულ ისტორიოგრაფიაში რაღაც კეთდება და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის საქმეში და ამას, უმთავრესად, გამოძახილი ჰქონდა საცნობარო ლიტერატურაში. სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. ეს მწირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს, მაგრამ სხვა უფრო ხელშესახები მასალა არ გაგვაჩნია და იმას უნდა დავჯერდეთ, რაც გვაქვს. ამ მასალის შეუფასებლობა უადგილოა და ამ სფეროში ქართული

ისტორიოგრაფიის მოკრძალებულ წვლილზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. რაც შეეხება საკითხის მეცნიერულ შესწავლას აქ ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევები მეტად მოკრძალებულად გამოიყურება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ეს ტრაგედია არაა და ამის დრამატიზირების საჭიროება არ არსებობს.

და ბოლოს დავძენთ, რომ საკითხის ობიექტურად შეფასებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი კრიტერიუმის შერჩევას. რა კრიტერიუმით შეიძლება შევაფასოთ ეს მასალა? აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ეს ხომ, ძირითადად, სახელმძღვანელოებია. მის წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. საინტერესოდ გადმოგვცეს ამ რეგიონის წარსული. დღევანდელი გადასახედიდან ამ მწირი ინფორმაციის შეფასება მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. მას, უპირველეს ყოვლისა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ ურიგოდ როდი გაართვა თავი, რაც მის წარმატებად მიგვაჩნია. ის ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვალიანებდა და სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებზე საერთო წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა. მთავარი ეს იყო, ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ აქ ყოველგვარი სკეფსისი უადგილოა და მიუღებელია.

ამ პრობლემის გაშუქებას აქვს მნიშვნელობა და ეს საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ თუ რა გვაქვს ამ სფეროში გაკეთებული და რა არის კიდევ გასაკეთებელი. უმთავრესად, აქცენტი კეთდება პოპულარიზაციაზე, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გამოგვევლინებინა ის და აგვეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები.

***

ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის განსხვავებული მიდგომა, რომელსაც მკვეთრად გამოკვეთილი პოლემისტური მუხტი გააჩნია და მიზნად ისახავს ამ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენის, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში, მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გაბათილებას. ამ შემთხვევაში ჩვენ ვცადეთ, რომ ეს წარმოდგენა გაგვევრცელებინა საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლაზე, პოპულარიზაციაზე[1].

საბჭოთა წარმოდგენა არის უაღრესად ცალმხრივი და ტენდენციური. ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია. ძალზე ხისტად მიგვაჩნია. ძირშივე მცდარია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტიეროვნული და არაპატრიოტულია. დღეს საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა, გაკოტრებულია, სრული ფიასკო განიცადა. ნათქვამი, ცხადია, ეხება სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას საქართველოში. საბჭოთა წარმოდგენის ექო აქაც ძალუმად იგრძნობოდა. საბჭოთა მიდგომის მთავარ პოსტულატს წარმოადგენდა წინამორბედების წვლილის სრული იგნორირება, უგულებელყოფა და ამ ფონზე საბჭოთა ისტორიოგრაფიის უსაშველოდ განდიდება, ხოტბა-დიდება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. განსხვავებული მიდგომის მთავარ თეზად დავსახეთ, წინამორბედების, პირველ ყოვლისა კი, ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის,

[1] კალანდაძე მ. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება., თბ., 2021. კალანდაძე მ. ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, თბ., 2009. კალანდაძე მ. ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015. კალანდაძე მ. საქართველოში ძველი მსოფლიო ისტორიის შესწავლის ძირითადი ეტაპები., ქართული დიპლომატია, წელიწდეული 19., 2021.

წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა პერიოდში ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ საკითხის შესწავლის წარსულიდან, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოს არც კი არსებობდა. მივიწყების ნისლში გაეხვია. ამგვარი მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა წმინდა აკადემიური განსჯის საგნად გვექცია. სრულიად განსხვავებული სურათი დავდეთ.[1]

ევფიქრობთ, საინტერესო ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ჩვენ ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დავდეთ, რომელიც პრინციპულად განსხვავდება თავისი წინამორბედისაგან. ის აღნიშნული საკითხის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებებზე გავამახვილეთ ყურადღება. ეს მიდგომა შემდგომში გავავრცელეთ ცალკეულ, კონკრეტულ თემაზე. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა ამ განსხვავებული მიდგომის გამოძახილია. ის მთელის შემადგენელი ნაწილია. მთავარი საბჭოთა მითი იმაში მდგომარეობდა, რომ ფაქტების საწინააღმდეგოდ გვიმტკიცებდნენ, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ დარგში და კონკრეტულად ამ საკითხზე პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილესთან როდი ასოცირდება.

1. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესების დაწყება საქართველოს გასაბჭოებით 1921 წელს, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ დაგვიანებულად მიგვაჩნია, სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს და დაზუსტებას საჭიროებს. საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის, შესწავლის საქმეში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უვერტურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამ საკითხის გაშუქებას ეროვნული მუხტი დაუბრუნეთ, რაც ბოლშევიკების პარტიულმა ინტერესებმა შეიწირა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამის უარყოფა არ შეიძლება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ მონაკვეთს დაუბრუნეთ თავისი კუთვნილი ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ასეთი გახლდათ რეალობა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალთახედვის არეალს მიღმა რჩებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, ჩვენ ვცადეთ აღნიშნული საკითხის განხილვა, ნორმალურ, აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა და აღგვედგინა დიდი ხნის წინ მივიწყებული სამართლიანობა. ჩვენი აზრით, ამ პრობლემის შესწავლის ათვლის წერტილად, სწორედ, ეს მონაკვეთი შეიძლება იქნას აღებული.[2]

2. საქართველოში აღნიშნული პრობლემის შესწავლა, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს, ნულიდან, ცარიელ ნიადაგზე კი არ დაუწყია, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა წლებში, არამედ მომზადებული ნიადაგი დახვდათ, რომლის წაყრუებას, გვერდის ავლას, დიდი ხნის განმავლობაში, ამაოდ ცდილობდნენ. საბჭოთა წარმოდგენა ჩამოიშალა, გაკოტრდა, სრული ფიასკო განიცადა. ასეთია რეალობა, რომლის არც შელამაზებულად, ვარდისფერებში და არც მუქ საღებავებში წარმოჩენა, სასურველ შედეგს ვერ იძლევა.

---

[1] კალანდაძე მ. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება გვ. 65.

[3] კალანდაძე მ. ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი პირველი, თბ., 2011. გვ. 232-265

3. უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით საქართველოს სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საერთო სურათი და პერიოდიზაცია, გამრუდებული იქნა. ეს იმით გამოიხატება, რომ მას იმაზე ცოტათი უფრო ხანგრძლივი წარსული გააჩნია, ვიდრე საბჭოთა წლებში ეგონათ. ის საქართველოს გასაბჭოებამდე 1921 წელს, გაცილებით უფრო ადრე იწყება. მის გამოძახილს ვხედავთ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს გამოსულ შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში. აქ, ბუნებრივია, მოვიძიებთ მცირე ინფორმაციას ამ ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებზე.

4. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებით დაინტერესების დროს სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდნენ. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული, სწორ აქცენტებს სვამდნენ, სწორ არჩევანს აკეთებდნენ. უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამგვარი დამოკიდებულება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ორი გარემოებით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული: უწინარესად, მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს, თავისუფალი აზროვნების გამოძახილი უნდა დავინახოთ. მეორეც ერთი, ის, ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. უნდა შევეცადოთ გამოვნახოთ საშუალედო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ, როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ მისი გამომწვევი მიზეზები. სწორედ, ასე გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა.[1] წინამდებარე ნაშრომი ამ ოქროს შუაგულის მოძიების მცდელობაა. როგორ გავართვით თავი ამ რთულ მისიას დე ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს.

სახელმძღვანელოებში თავმოყრილი მწირი ინფორმაცია ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ცდილობს ფეხი აუწყოს, არ ჩამორჩეს ევროპული, პირველი კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის მიღწევებს.

5. კიდევ ერთი საბჭოთა წარმოდგენა ვცადეთ გაგვებათილებინა, სერიოზული კორექტივები შეგვეტანა, დაგვეზუსტებინა. ჩვენი აზრით, საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესება თავის კულმინაციას, პიკს, აღწევს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას სულ ცოტა ხნის წინათ გვიმტკიცებდნენ, არამედ ცოტათი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში განხორციელებულ ღონისძიებებში. დაიწყო მუშაობა შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე, სადაც სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქებას, ბუნებრივია, სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ამ მონაკვეთმა, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, უმთავრესად, სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა. საქართველოს ისტორიის "პატარა ოქროს ხანა" ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, ეს გარემოება არანაირ ჩრდილს არ აყენებს არც აღნიშნული მონაკვეთის და არც ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. კვლავ გავმეორდებით. აქ ნიჰილისტური დამოკიდებულების ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავთ. მკაფიოდ იკითხება ამ თემატიკისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს.

---

[4] კალანდაძე მ. ქართული-მედიევისტიკის სათავეებთან, გვ. 75-79. კალანდაძე მ., ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, გვ. 86.

6. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესება, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან, ერთფეროვან, ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიმტკიცებდნენ. პირიქით, მან საკმაოდ საინტერესო მეტამორფოზი, სახეცვლილება, განიცადა და სწორხაზოვნად კი არა უფრო სპირალისებურად, ზიგზაგისებურად, გვესახება.

თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია სწორი, მეცნიერული გზით მიდიოდა. როგორც უკვე ითქვა, ძირითადი აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ ლიბერალურ ღირებულებებზე, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ მემკვიდრეობის არც შეუფასებლობა, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა პერიოდში და არც აპოლოგეტური შეფასება, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა არჩეული გზიდან გადაეხვია. მისი განვითარება სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელია მივიჩნიოთ. საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან, რომლის შელამაზებულად წარმოჩენა, რაც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს.

მკვეთრ სახეცვლილებას აქვს ადგილი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა სულ სხვა გზით წარიმართა. პრიორიტეტული შეიქმნა საკითხისადმი მონისტური მიდგომა, ფორმაციული პრინციპი, კლასობრივი ხედვა. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. მყარდება ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი, რამაც გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. მნიშვნელოვანწილად ამით იყო გამოწვეული, რომ ჩრდილი დომინირებდა შუქზე. ამ გზას ჩიხში მივყავართ და გამოიწვია საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ლეტალური, სასიკვდილო, ხასიათი მიიღო.

ახალ მკვეთრ მეტამორფოზს აქვს ადგილი 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს თავი დააღწიოს ვიწროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას. ახალ სიმაღლეზე გავიდეს. [1]კალანდაძე მ. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, გვ. 82-87.

სწორ გზაზე დაბრუნდეს, აღადგინოს და განივითაროს საწყისი ღირებულებები, რომელიც საბჭოთა წლებში მივიწყების სქელმა მტვერმა დაფარა. გარკვეული პოზიტიური ძვრები ნამდვილად შეინიშნება. აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის ცენტრის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარკვეული ყურადღება ეთმობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის შესწავლას და პოპულარიზაციას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ცოტაა. გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. მთელი ყურადღება, ვფიქრობთ, სწორედ, აქეთკენ უნდა წარვმართოთ.[1]

7. განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაბათილოთ კიდევ ერთი ბოლშევიკური მითი. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე, რომელიც, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველაფერი საბჭოთა სინამდვილეს როდი უკავშირდება: ა. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესება შეუქცევად ხასიათს იძენს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წელს, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ საბჭოთა პერიოდში, არამედ შედარებით ცოტა

[1] კალანდაძე მ. ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, გვ. 19-50.

უფრო ადრე, კერძოდ კი, 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა იმ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე, სადაც, სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქებას მეტნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი. ბ. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესების საქმეში სერიოზულ თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებს ადგილი აქვს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, არამედ ცოტათი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ასეთია განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი კომპონენტი.

8. როგორც ირკვევა, ქართულ სკოლაში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის ნორმალურ სწავლებას ადგილი აქვს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დიდი ხნის მანძილზე, არამედ ცოტათი უფრო ადრე, 1918-1921 წლებში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს იმ წლებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. იქმნება პირველი პრეცედენტი ქართულ სკოლაში აღნიშნული საგნის, მათ შორის, ცხადია, სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის, ნორმალურად სწავლების. ეს ფაქტია, მას სხვადასხვა ინტერპრეტაცია შეიძლება გაუკეთდეს, მაგრამ მას ვერავინ ვერ უარყოფს. ეს სიმართლე არ იქნებოდა.

9. და ბოლოს უნდა შევეხოთ ერთ, შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ საკმაოდ აქტუალურ საკითხს, რომელიც აბათილებს კიდევ ერთ საბჭოთა მითს. როგორც ირკვევა, ამ დარგში ქართული ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ამას დიდი ხნის განმავლობაში გვიმტკიცებდნენ, არამედ შედარებით ცოტა უფრო ადრე 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მას გამოძახილი ჰქონდა იმ ხანებში გამოსულ შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. ბევრმა ტერმინმა შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი ვერ მოიკიდა. მთავარი ის იყო, რომ ამ მიმართულებით პირველ სერიოზულ მცდელობას ჰქონდა ადგილი.

***

ახლა დაუბრუნდეთ კონკრეტულად ამ საკითხს. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესებას. დავიწყოთ საკითხის პერიოდიზაციით. როგორც უკვე ითქვა, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესების საერთო სურათი და პერიოდიზაცია გამრუდებული იქნა. ის აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ პრობლემის განხილვა აკადემიურ ჩარჩოებში დაგვებრუნებინა. აღგვედგინა რეალობა, რომელიც მივიწყების სქელ ნისლში იქნა გახვეული და სულ სხვა აქცენტები დავსვით.

დავიწყოთ იმით, რომ გამოვარკვიოთ საქართველოში ამ თემატიკით დაინტერესების პირველი ნაბიჯები. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და საშუალებას მოგვცემს გავაბათილოთ ამ საკითხზე მანამდე არსებული წარმოდგენა. საქართველოში აღნიშნული პრობლემებით დაინტერესების ათვლის წერტილად პირობით შეიძლება აღებული იქნას 1918-1921 წლები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა იმ წლებში გამოსული შუა საუკუნეების პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, სადაც, ბუნებრივია, ჩვენთვის საინტერესო თემის განხილვას, მეტნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი.

ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ქართულ სინამდვილეში ამ პრობლემატიკის გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება ამ დარგის და კონკრეტულად აღნიშნული საკითხის ისტორიიდან, გამართლებული არ უნდა ჩანდეს და ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიყალიბებს.

საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებით დაინტერესება პირობით სამ პერიოდად შეიძლება დავყოთ:

1. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიით დაინტერესება 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

2. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქება საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991).

3. საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის განხილვა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და დღესაც გრძელდება.

რაში მდგომარეობს განსხვავებული მიდგომის მნიშვნელობა, არსი? ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისტორიოგრაფიაში სამ საინტერესო სიახლესთან. ის, ძირითადად იმით გამოიხატება, რომ სამივე პერიოდში განსხვავებული შინაარსია ჩადებული, სულ სხვა აქცენტებია დასმული, სულ სხვა ღირებულებებია პრიორიტეტული.

1. პირველი სიახლე ეს არის აღნიშნული საკითხით დაინტერესების პირველი პერიოდის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ეს, ძირითადად იმით გამოიხატება, რომ ეს მონაკვეთი, დიდი ხანის განმავლობაში, საბჭოთა წლებში, სრულიად უმართებულოდ იქნა მივიწყებული. ელიმინირებული, ამოღებული, იქნა საერთოდ ამ დარგის და კონკრეტულად აღნიშნული საკითხის, წარსულიდან. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გამოგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და აღნიშნული საკითხის განხილვა აკადემიური განსჯის საგნად გვექცია. ამ საკითხის გაცილებით უფრო ობიექტური სურათი დაგვედო.

2. სულ სხვა შინაარსია ჩადებული მეორე პერიოდში. კატეგორიულად დაგმობილია მისი აპოლოგეტური შეფასება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა წლებში. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ, ორივე უკიდურესობა მიუღებელია, როგორც წესი ჭეშმარიტება, სადღაც შუაში ძევს. ჩვენ ვცადეთ გამოგვენახა ეს საშუალედო გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ გამოვკვეთოთ როგორც შუქი, ისე ჩრდილი და შევეცადოთ შეძლებისდაგვარად ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები. ასე გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა.

3. ეს საკითხი თანამედროვე საქართველოს პირმშოა. სრულიად ახალია, ხელუხლებელი თემაა და წინამდებარე ნაშრომი მისი გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს. ჩვენ გთავაზობთ აღნიშნული საკითხის საკუთარ ვერსიას. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია არის რთული და მრავალწახნაგოვანი. მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ძალზე ძნელი იქნება. მარტო წითელი და მუქი ფერები საკმარისი არ უნდა იყოს. წარმატებებთან ერთად არის პრობლემები.

დავიწყოთ პირველი პერიოდით. 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა და შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და ამის დაუნახაობა, ცხადია, არ ივარგებს. საქართველოში აღნიშნული თემატიკის პოპულარიზაცია მარტივ, პრიმიტიულ, ხასიათს იძენს და, უმთავრესად, ასახვა ჰპოვა შუა საუკუნეების ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. როგორ უკვე ითქვა, ეს არ აკნინებს და არავითარ ჩრდილს არ აყენებს არც ამ მონაკვეთის და არც ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ ნოვაციების, სიახლეების მნიშვნელობის გადაჭარბება, ცხადია, არ ღირს. საქმე გვაქვს მის წანამძღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. იკვეთება აღნიშნული საკითხის მეცნიერული გაშუქების წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს, მთავარი, სწორედ ესაა. ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტეხილები, ისინი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და დაასრულებდნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა. ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა გადაეხვია არჩეული გზიდან და მისმა განვითარებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ეს სწორი გზიდან გადახვევა იყო.

ამ თემაზე კიდევ უფრო სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენა, რომ ჩამოგვიყალიბდეს, ურიგო არ იქნება, რომ მას ცოტა სხვა მხრიდან შევხედოთ. ამ რაკურსით საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა. ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთის შეფასების დროს აუცილებლად უნდა გავითვალსიწინოთ არა მხოლოდ ის რისი გაკეთება მოასწრეს, არამედ ისიც რისი გაკეთებაც ჩაფიქრებული ჰქონდათ, მაგრამ, ჩვენთვის ცნობილ მიზეზთა გამო, ვერ მოასწრეს. ასე უფრო ადეკვატური იქნებოდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მხოლოდ მათი ჩანაფიქრის ერთი ნაწილი იყო, რომელზეც მუშაობის დაწყება მოასწრეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მათ წარმატებად მიგვაჩნია. ამას ექნებოდა გაგრძელება, რომელიც ასე წარმოგვიდგენია. ის სამი საფეხურისაგან შედგება: პირველი ის, რისი გაკეთებაც მოასწრეს, დაიწყო მუშაობა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. მეორე. ამას ექნებოდა გაგრძელება, რომელიც ითვალისწინებდა ამ დარგში ახალი ტიპის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ნათქვამი, რა თქმა უნდა, შეეხება სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლას. ის გამონაკლისს არ წარმოადგენს და კარგად თავსდება ამ კონტექსტში. მესამე. ამ ჩანაფიქრის დასკვნითი აკორდი იქნებოდა სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის, პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს ჩანაფიქრი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. რა თქმა უნდა, სულ არაობას ეს, ნამდვილად ჯობდა. აქ სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქება უყურადღებოდ არ რჩება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, როდესაც აღნიშნულ საკითხზე ქართულ ენაზე არაფერი არ იყო დაწერილი, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. საქმე გვაქვს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვაკუუმის შევსების პირველ მოკრძალებულ მცდელობასთან. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ნიჰილისტური დამოკიდებულება საჭირო არაა, ამ მასალის მნიშვნელობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის და პირდაპირ მივყავართ საბჭოთა წარმოდგენის რეანიმაციასთან, რაც დაუშვებელია. უკან კი არ უნდა მივბრუნდეთ, არამედ წინ უნდა წავიდეთ.[1]

საბჭოთა პერიოდში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებით დაინტერესებამ კვლავ შეინარჩუნა მეცნიერული ხასიათი. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა, და ამას ვერავინ უარყოფს, მაგრამ ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ამან გამოიწვია მისი თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა.

[1] კალანდაძე მ. ქართული მედიევისტიკის სათავეებთან, გვ. 79. კალანდაძე მ. ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება. გვ. 88

განსხვავებული აზრისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლი იყო.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს ააღორძინოს და განავითაროს საწყისი ღირებულებები. გაათავისუფლოს ისტორია იმ არასახარბიელო მემკვიდრეობისგან, რომელიც ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლის შედეგად ხვდა წილად. ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით არაფერი კეთდებოდეს, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. გასაკთებელი უფრო ბევრია.

დასასრულს უნდა დავძინოთ, რომ ეს სქემა, უმნიშვნელო კორექტივებით და დაზუსტებით, სავსებით შეესატყვისება საქართველოში სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის შესწავლას, მაგრამ ეს ცალკე თემაა და მასზე სხვა დროს ვისაუბროთ.

Merab Kalandadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

THE EVOLUTION OF LEARNING SCANDINAVIAN COUNTRIES MEDIEVAL HISTORY IN GEORGIA

RESUME

The present paper has a historiographical character and aims to find out the past, past way of covering the medieval history of the Scandinavian countries in Georgia. to follow its development, evolution. In this regard, we consider the study of the mentioned issue interesting and relevant. It has a Georgian context, this is news and it appears as the first attempt to cover the mentioned issue. This matters. This will allow us to fill another clean sheet in Georgian historiography, and there will be fewer white spots in this field.

The present paper has a sharply marked polemical charge, which aims to scientifically and argumentatively invalidate the Soviet idea on the mentioned issue. It was extremely one-sided, tendentious, devoid of any scientific basis, we consider it very rigid and fundamentally wrong. This kind of approach was highly ideological and politicized. Such was the political will. We tried to correct this inconsistency and turn the discussion of the mentioned issue from the sphere of political judgment to the subject of academic reasoning. We put completely different accents. We set completely different values. We tried to paint a much more adequate picture of the mentioned issue, which for a long time, due to the efforts of the totalitarian-Bolshevik regime, remained out of sight of the general public.

The main Soviet myth was that, contrary to the facts, we were told that before the sovietization of Georgia in 1921, nothing positive was happening in general in this field and specifically on the mentioned issue, and there was complete silence. Denigrating the contribution of the predecessors, at the expense of diminishing them, became the glorification of the achievements of Soviet historiography, which did not help the Georgian society to create a perfect, exhaustive, representation of the mentioned issue.

According to the Soviet idea, the contribution of the Democratic Republic of Georgia in 1918-1921 was eliminated, removed, both from the history of this field in general, and from the history of this topic in particular. This does not give us an adequate picture of the mentioned issue. Primarily, with the efforts of the totalitarian-Bolshevik regime, the general picture and periodization of the coverage of the medieval history of the Scandinavian countries in Georgia was distorted. As the main thesis, starting postulate of a different approach, we set the rehabilitation and resuscitation of

the contribution of the Democratic Republic of Georgia in this issue in 1918-1921, and we returned to this section the right to exist, which was literally taken away from it in the Soviet years, disappeared, disappeared, as if it did not even exist. We tried to correct this discrepancy and put a more adequate picture of the mentioned issue.

After the sovietization in 1921, the beginning of interest in the medieval history of the Scandinavian countries in Georgia is inadequate and we consider it overdue. We made some corrections and clarified it. It can be conditionally divided into three periods, which have a clear political content: L1. Interest in medieval history of Scandinavian countries in 1918-1921 in the Democratic Republic of Georgia. 2. Coverage of the medieval history of the Scandinavian countries in the Georgian historiography of the Soviet period (1921-1991). 3. Discussion of medieval history of Scandinavian countries in Georgian historiography of the post-Soviet period. It begins in the early 90s, when the Soviet Union collapsed, and continues today.

It should be perfectly reasonable that the interest in the medieval history of the Scandinavian countries in Georgia takes its first steps in the Tbilisi State University opened by the great Ivane Javakhishvili on February 8, 1918 and in the Democratic Republic of Georgia in 1918-1921. This was the reality that was carefully ignored during the Soviet years. This is exactly how we see this issue. Its main quintessence, bottom line, should lie in this.

ლია კარიჭაშვილი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

წინაპართა წუთისოფელი

(გამოხმაურება იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის წიგნზე „ხიდისთავის ისტორია“)

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის მონოგრაფია „ხიდისთავის ისტორია“ 2022 წელს გამოსცა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ნაშრომი 310 გვერდს მოიცავს, შედგება 7 თავისა და 21 ქვეთავისგან, დართული აქვს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა, დასასრულ - პირთა და გეოგრაფიული საძიებლები. წიგნში შედის ხიდისთავის ისტორიასთან დაკავშირებული ვიზუალური მასალა: ფოტოები, ცხრილები, სქემები

წიგნის რედაქტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელდარ მამისთვალიშვილი. რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯაბა სამუშია და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი. გარეკანის დიზაინი ეკუთვნის გია ქიტიაშვილს, ხოლო მხატვრობა - ვანო ვანიშვილს.

ჩემი რეცენზია თუ გამოხმაურება წიგნზე მინიმუმ ორმა ფაქტმა განაპირობა. პირველი ჩემი წინაპრების სამკვიდრო-საცხოვრებელი და საძვალე სწორედ ხიდისთავია, და მეორეც - ჩემი სადოქტორო დისეტრაცია ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დავით კარიჭაშვილს ეძღვნება, რომელმაც ბავშვობისა და სიყრმის წლები ხიდისთავში გაატარა, ამიტომ, ნებისმიერი საარქივო ცნობა, სიახლე თუ ინფორმაცია, ბუნებრივია, ჩემი ყურადღებისა და ინტერესის საგანს წარმოადგენს.

როგორც შესავალ ნაწილშია აღნიშნული, „ნაშრომში მრავალრიცხოვან საარქივო დოკუმენტებზე, ნარატიულ წყაროებზე, პრესის ფურცლებზე, ლიტერატურასა და ჭარმაგ ხიდისთაველთა მოგონებებზე დაყრდნობით, გაანალიზებული და გადმოცემულია შიდა ქართლის ერთ-ერთი ულამაზესი და მდიდარი წარსულის მქონე სოფლის – ხიდისთავის ისტორია, მისი ადგილმდებარეობა, ბუნება, ტოპონიმები, მოსახლეობა, საქმიანობა, განათლება, რელიგია, კულტურა, ტრადიციები, სპორტული მიღწევები, ცნობილი ხიდისთაველები“ (გვ. 2).

ნაშრომი სოფლის გეოგრაფიული მდებარეობის, ფართობის, რელიეფისა და ჰავის აღწერით იწყება. წარმოდგენილია რუკა, რომელზეც დატანილია სოფლის ვენახები, საძოვრები, უბნები, საგანმანათლებლო, კულტურისა და ადმინისტრაციული დაწესებულებები, საწარმოები, ეკლესიები, სასაფლაო, რკინიგზა, საავტომობილო გზა და სხვა.

XIX საუკუნის პრესა არაერთხელ ეხება ხიდისთავს. ჩანს, რომ ის უკვე გამორჩეული და სახელგანთქმული სოფელია: „ყველა ქართლელი დაგიმტკიცებთ, რომ ქართლში ორი სოფელი არ იპოვება ხიდისთავისთანა შემკობილი ტყით, წყლებით, მინდვრებით და უფრო ვენახებით....“ - წერდა 1871 წელს ჟურნალი „ივერია“. ამავე ჟურნალში 1878 წელს გამოქვეყნებულ წერილში დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი ხიდისთავის შესახებ აღნიშნავდა: „ჰავა აქვს მრთელი, წყაროები ცივი, გემოიანი, მდინარე წყლები მტკვარი და ტანა კალმახიანი ...პური და ღვინო ნაქები“.

ხიდისთავთან დაკავშირებულ უძველეს დოკუმენტად ნაშრომში დასახელებულია 1382 წლის 30 ივნისით დათარიღებული დავით მეფის წყალობის სიგელი, რომლის მიხედვით, სოფელი ოქონის ეკლესიისათვის თამარ მეფეს შეუწირავს.

თავის დროზე, სოფელში მდგარა რამდენიმე ეკლესია, რომელთაგან ავტორი გამოჰყოფს სოფლის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიას, თავისი „შემოგარენით და თაღოვანი გალავნით“ აქვე უნდა ყოფილიყო სასაფლაო, მკვლევრის

ვარაუდით, XIX ს. 50-იან წლებამდე, რადგან ამ დროიდან საფლავები, ეპიტაფიებიდან გამომდინარე, უკვე ზედაველას ველზე გვხვდება.

მონოგრაფიაში ცალკე თავი აქვს დათმობილი XIX საუკუნის ხიდისთავს, მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. როგორც ჟურნალ „ივერიის“ ერთ კორესპონდენციაშია აღნიშნული, გლეხების ბანიანი საცხოვრებლები ერთმანეთზე მიჯრით ყოფილა განლაგებული. 1887 წელს კი უკვე მრავლად ყოფილა ორსართულიანი სახლები.

ხანდაზმულ ხიდისთაველთა მოგონებების მიხედვით (ჩაწერილია თამილა კოშორიძის მიერ), წარმოდგენილია, თუ როგორი იყო იმდროინდელი ტიპური საცხოვრებლის კონსტრუქცია და შიდა ინტერიერი.

მდინარე მტკვრისა და ტანის წყალობით ხიდისთავის მიწები განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩეოდა, თუმცა არც წყალდიდობები და მათგან გამოწვეული ზარალი ყოფილა იშვიათი. მკვლევარს მოაქვს ასეთ ფაქტებთან დაკავშირებული ცნობები XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ქართული პრესიდან, საიდანაც იმასაც ვიგებთ, რომ წყალდიდობები სოფელში ხშირად ჭაობებს წარმოქმნიდა და მალარიის გავრცელების საფრთხე ჩნდებოდა. თბილისი-ფოთის დამაკავშირებელი რკინიგზის გაყვანამ მიმდებარე ტერიტორიების დაჭაობება გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. ხიდისთავის მოსახლეობას გადაუტანია არაერთი სახადი: თურქული, წითელა, ყვავილი, შავი ჭირი. ამ ეპიდემიებს, გარდა საქონლის განადგურებისა, ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყოლია.

ქვეთავში „გზები“ საუბარია ხიდისთავის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, როგორც აზიიდან ევროპაში საქართველოზე გამავალი „აბრეშუმის გზის“ ერთ-ერთ პუნქტზე. სოფელი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გორის საბაჟოს ფუნქციასაც ასრულებდა. ნიკო ბერძენიშვილის ცნობით, თამარის ეპოქაში თბილისიდან დასავლეთით გზა ხიდისთავზე გადიოდა. დავით მუსხელიშვილის კვლევაზე დაყრდნობით კი აღნიშნულია ისიც, რომ ადრე ამავე გზით გაუვლია ურბნისიდან მცხეთაში მიმავალ წმინდა ნინოს.

მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონია მდინარე ტანას ხეობაზე გამავალ გზასაც, რომელიც ხიდისთავს ვერ ასცდებოდა. „ეს გზა მუდმივ მოქმედებაში იყო როგორც ქვემო ქართლში, სომხეთსა და ირანში მიმავალი დიპლომატებისათვის, ასევე გარეშე (შაჰ თამაზის მეოთხე ლაშქრობა, ლეკთა შემოსევები და სხვ.) და შინაური (ავ-გიორგის ლაშქრობები, ქართლის თავადთა აჯანყება როსტომ ხანის წინააღმდეგ) მტრისათვის“, - აღნიშნავს მკვლევარი (გვ. 20).

ქვეთავში „ხიდები“ სოსო ალიმბარაშვილი გვთავაზობს მისეულ ვერსიას, როგორ და როდის წარმოიშვა სოფელი: როგორც ცნობილია, გორი ქალაქად დავით აღმაშენებლის ეპოქაში გადაიქცა და ხიდისთავთან კაპიტალური ხიდიც მაშინ უნდა გადებულიყო. ხიდის თავთან მუდმივად იდგა გუშაგი, რომელსაც ორმაგი ფუნქცია ჰქონდა, მცველისა და მებაჟისა. სწორედ ეს მებაჟეები და ხიდის მცველები უნდა ყოფილიყვნენ პირველი ხიდისთაველები. როგორც ჩანს, მათ ახლო-მახლო ნაყოფიერი მიწების დამუშავებას მიჰყვეს ხელი, ხოლო შემდგომში დასახლდნენ კიდეც ამ ტერიტორიებზე. თავდაპირველი სოფელი გაშენებულა ხიდის თავთან, რომელიც მტკვარზე უნდა ყოფილიყო გადებული.

ცნობილ დრამატურგს, ეთნოგრაფსა და მწერალს ანდრეი მურავიოვს, 1848 წელს უფლისციხისა და ატენის სიონის მოსანახულებლად მიმავალს, ხიდისთავის ხიდზე გაუვლია. მისი გადმოცემით, იმ დროს ახალი ქვის ხიდის მშენებლობა იყო დაწყებული, აშენებდნენ ძველი ხიდის ბურჯების მიხედვით. როგორც ს. ალიმბარაშვილი აღნიშნავს, სამწუხაროდ, დღეისათვის ხიდისთავისა და გორის დამაკავშირებელი ძველი ხიდის ნაშთები აღარ არის შემორჩენილი. ხიდი რამდენჯერმე აშენდა. 1908 წელს აიგო კაპიტალური ხიდი მდ. მტკვარზე, რომელმაც ხიდისთავი, ქვახვრელი, უფლისციხე და სხვა სოფლები გორს დააკავშირა.

მკვლევარი აღწერს რა პრობლემებს უქმნიდა მოსახლეობას უხიდობა და უგზოობა გორსა და ხიდისთავს შორის. დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონია მდინარე ტანის ხიდსაც.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ხიდისთავში არსებულ ტოპონიმებზე, არკვევს მათ ეტიმოლოგიას, განიხილავს ვერსიებს, მაგ. იგი იზიარებს ბიზანტიოლოგ თამარ მესხის მოსაზრებას, რომ ზემო ხიდისთავის ძველი სახელი „ოხერა“ უნდა მომდინარეობდეს ბერძნული „ოხირა ტა“ (οχυρά ᾶ)-დან, რაც ბუნებრივი ან ხელოვნური გზით გამაგრებულ ადგილს, ციხე-კოშკს ნიშნავს. „თუ ამ ფაქტს გავიზიარებთ, ხიდისთავის წარმოშობა შორეულ წარსულშია საძიებელი, - აღნიშნავს მკვლევარი და დასძენს - მართლაც ლოგიკურია, ხიდისთავის გზასაყარზე ქართველებს უძველესი პერიოდიდან გამაგრებული ციხე-სიმაგრე ჰქონოდათ და გზები ეკონტროლებინათ, მაგრამ, იგივე მიზეზის გამო, მას უამრავჯერ შემუსრავდა მტერიც, ამიტომაც მისი ნაშთები დღეისათვის აღარ შემოგვრჩა“ (გვ. 7).

ხიდისთავში არსებულ სხვა ტოპონიმებს მკვლევარი თავს უყრის ისტორიული დოკუმენტების, სხვა ნარატიული წყაროებისა და ადგილობრივთა მოგონებების მიხედვით. დავით მეფის ოქონის ეკლესიისადმი შეწირულობის 1382 წლის დოკუმენტში ნახსენები „სოფელ ხიდისთავ გაღმა გამოღმა სამზღვრითა“ აფიქრებინებს, რომ იმდროისათვის ხიდისთავი მტკვრის ორივე მხარეს იყო განფენილი. აქ მოხსენიებული „ნეტარის ჯვარის წვერი“ და „ხევიც“ კვერნაქის ქედზე უნდა ყოფილიყო. „წითელი კლდეები“ კი დღემდე აქტიური ტოპონიმია. გარდა ამისა, სოფლის ადგილების დასახელებებია: „ნარუალი“, „ურიული“, „სანიაჟორი“, „ქვაშავი“, „გუფთა“„ხოდაბუნები“, „ფლატის მიწა“. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ერთ წერილში მოხსენიებულია „აღმა მიწა“, „სარკეების მიწა“, „კინკიბაურა მიწა“, „ვერხვის მიწა“, „ლომაურის მიწა“ „კოლოტაური“ და სხვა. ნინო ოქროპირიძის გადმოცემით, ხიდისთავში ყოფილა „სანებლები”, „საწნაქე”, „გუდაანთ ხევი”, „წიწაანთ უბანი”, „ქოქაანთ უბანი”, „ხვაკალაანთ უბანი” და სხვ.

ამის შემდეგ მკვლევარი მსჯელობს რამდენად უკავშირდება ცნობილი ქართული ხალხური სიმღერა „ჩაკრულო“ სოფელ ხიდისთავს. აანალიზებს ტექსტის ფაქტობრივ მონაცემებს და აღნიშნავს, რომ მუხრანბატონების მფლობელობა ხიდისთავზე ისტორიული საბუთებით არ დასტურდება. უფრო ლოგიკურია მუხრანბატონების წინააღმდეგ შეთქმულებს პირობა მუხრანის სიახლოვეს, მდ. ქსანზე გადებულ ერთ-ერთ ხიდის თავთან დაედოთ და არა სოფელ ხიდისთავში. როგორც სიმღერის ტექსტიდან ჩანს, თავდასხმის მიზეზი სოციალური ხასიათისაა. პირობის „შემკვრელები” მუხრან ბატონის ყმები არიან. სიმღერა, სავარაუდოდ, გვიან ფეოდალურ ხანაში, ერეკლე II-ის დროსაა შექმნილი („მეფე ერეკლემ გაკურთხა,/საომრად ჯვარი დაგწერა“). ერეკლეს მეფობის დროს ხიდისთავი უკვე სახასო სოფელია, 1790 წლიდან კი ფარნაოზ ბატონიშვილის საკუთრებაა.

„დიდი სურვილის მიუხედავად, - წერს მკვლევარი -„ჩაკრულოს“ „ხიდის თავისა“ და გორის რაიონის ხიდისთავის იდენტურობა ჩვენ ნაკლებად დამაჯერებლად მიგვაჩნია“ (გვ. 39).

ნაშრომის II თავში, „სოფლის თავგადასავალი“, პირველ რიგში, მკითხველი ხიდისთავში აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალას ეცნობა. „სოფლის ტერიტორიაზე მიუგნიათ სამარხისათვის, სადაც აღმოჩენილა ორი ოქროს ბეჭედი - ირმისა და მზის გამოსახულებიანი თვლებით“, - სწერდა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი 1849 წელს პეტერბურგში მარი ბროსეს. როგორც ცნობილია, აღნიშნული სიმბოლოები წინარექრისტიანული პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. ახალ აღმოჩენებსაც აუწყებს მკითხველს მკვლევარი: 2016 წელს სოფლის მკვიდრმა ლერი თოიძემ საკუთარ ეზოში სამშენებლო სამუშაოების დროს მიაგნო დიდი რაოდენობით დანალექ ნაცარს, კერამიკული და მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტებს, საქონლის ქვედა ყბის ძვალს, ჩონჩხების ნაშთებს.

საყურადღებოა, რომ დავით ბერძენიშვილი ძვ. წელთაღრიცხვის XV-VII საუკუნეებით ათარიღებს ურარტული სამყაროდან შიდა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებულ კერამიკას, რომლის ნაშთები მრავლადაა მოპოვებული მტკვრის სამხრეთ სანაპიროზე, კერძოდ, ხოვლეგორის, დიღომის, ხიდისთავის ტერიტორიაზე. ეს კიდევ უფრო ამყარებს ს. ალიმბარაშვილის მოსაზრებას, რომ ხიდისთავი უძველესი პერიოდიდან უნდა ყოფილიყო

დასახლებული, ხოლო იმ ფაქტს, რომ სოფელი XIV-XVII საუკუნეთა ისტორიულ საბუთებში თითქმის აღარ იხსენიება, მკვლევარი მტრის ხშირი თავდასხმებით ხსნის. ამას მოწმობს უზუნ ჰასანის ლაშქრობა 1477 წელს; კახეთის მეფის ავ-გიორგის ლაშქრობა ქართლში 1511 წელს; 1554 წლის შაჰ თამაზის შემოსევა და სხვა.

მკვლევარი ცალკე ქვეთავს უთმობს 1724 წელს ზედაველასთან გამართულ ბრძოლას კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანსა და იესე-მუსტაფას შორის. ამ ბრძოლას ავტორმა ცალკე ნაშრომიც მიუძღვნა:(იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი, „ზედაველას ბრძოლები“, თბ., 2016). ამჯერად ყურადღება გამახვილებულია ხიდისთავთან დაკავშირებულ გარემოებებზე. დეტალურად განხილულია ბრძოლის პერიპეტიები, ქართველთა თავდაპირველი გამარჯვებისა და საბოლოო დამარცხების მიზეზები. მკვლევარი იზიარებს იმ აზრს, რომ ქართველთა დამარცხება შინა ღალატის შედეგი უნდა ყოფილიყო. ბრძოლის აღმწერ ისტორიკოსთაგან ამაზე მიანიშნებს მხოლოდ იასე ტლაშაძე პოემა „კათალიკოზ-ბაქარიანში“ და დავით გურამიშვილი პოემა „დავითიანში“ („მათ ჩვენმა ჯარმან აჯობა პირველ მისვლაზე შატევით,/მაგრამ ბოლოს კი დამარცხდა შინათვე ნაღალატევით“). მათი მონათხრობი სანდოა, რამდენადაც დავით გურამიშვილი ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო, ხოლო იესე ტლაშაძე - ხიდისთავის მკვიდრი და, მაშასადამე, ამ ყველაფრის თვითმხილველი.

მკვლევარი აზუსტებს ამ ბრძოლასთან დაკავშირებულ რამდენიმე დეტალს: რომელი გზით უნდა მოსულიყო თბილისიდან ოსმალთა ჯარი ზედაველაზე? ჯარების რა რაოდენობა იბრძოდა? კონკრეტულად სად და როდის მოხდა ბრძოლა? განხილულია გ. ნატროშვილისა და მ. სვანიძის მოსაზრებები და აღნიშნულია, რომრა გზითაც არ უნდა წამოსულიყვნენ ოსმალები გორში, ისინი ხიდისთავს უთუოდ გაივლიდნენ.

ს. ალიმბარაშვილი ფიქრობს, რომ ორივე მხრიდან ბრძოლაში მონაწილეობდა 25-30 ათასი კაცი. ბრძოლის ადგილი კი იყო ზედაველა, რომელიც ატენსა და ხიდისთავს შუა მდებარეობს. ბრძოლის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ვერსიაა: 1724 წელი (თ. ჟორდანია, მ. ბროსე), 1725 წელი (თ. ბოცვაძე, გ. მაისურაძე). ვ. დონდუა და ე. მამისთვალიშვილი 1724 წელს ემხრობიან. მ. სვანიძემ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ბრძოლა უნდა მომხდარიყო 1724 წლის 23 სექტემბერს, ან ორი-სამი დღის შემდეგ. სოსო ალიმბარაშვილი კი ბრძოლის თარიღს კიდევ უფრო აკონკრეტებს: ეს უნდა ყოფილიყო 1724 წლის 26 სექტემბერი.

ნაშრომში ცალკე ქვეთავი ეთმობა „ლეკიანობასა“ და მის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. ლეკების ინტენსიური შემოსევები ქართლში XVIII ს. 10-იანი წლებიდან დაწყებულა. ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით აღწერილია ეს მოვლენები. ხიდისთავის ციხე და კოშკი ამ დროს მნიშვნელოვნად დაზიანებულა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ერეკლე II-ის მიერ დაგეგმილ თავდაცვით ღონისძიებებში ხიდისთავის კოშკის აღდგენა-გამაგრებაც შედიოდა. ციხე და კოშკი, მკვლევრის ვარაუდით, ატენ-ხიდისთავის საზღვარზე უნდა მდგარიყო. სერგი მაკალათიას ცნობით, 1957 წლისთვის ხიდისთავში სამი მრგვალი ტიპის კოშკი იყო. მას სოფელ ოხერაშიც უნახავს ძველი ნაკოშკარი და ეკლესიის ნანგრევი. ამ კოშკებიდან, როგორც ს. ალიმბარაშვილი მიუთითებს, მხოლოდ ერთის ნაშთებმა მოაღწია XX ს-ის 60-იან წლებამდე.

ქვეყნის თავდაცვით ღონისძიებებში ხიდისთაველებსაც შეჰქონდათ წვლილი. მკვლევარი იმოწმებს პლატონ იოსელიანის ცნობას, რომლის მიხედვით გიორგი მეთორმეტის თოფხანის გამორჩეულ მსროლელთა შორის ყოფილა ზურაბა ხიდისთაველიც.

ისტორიული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ხიდისთავში ხშირი ყოფილა დავა მიწებისთვის. სოსო ალიმბარაშვილი განიხილავს რამდენიმე ასეთ ეპიზოდს. დავა ალექსიშვილსა და ძმებ მირზაშვილებს შორის დარეჯან დედოფლის გადასაწყვეტი გამხდარა. ალექსიშვილებსა და მეღვინეთხუცესიშვილებს შორის დავაზე განაჩენი ფარნაოზ ბატონიშვილს გამოუტანია. არაერთი სადავო საკითხი მისულა მეფე ერეკლემდე. „ბეითალმანი“ (უმემკვიდროდ დარჩენილი)

მიწები მეფისა და მის ერთგულთა ხელში გადადიოდა. ასეთი მიწების სიუხვეკი, როგორც ბატონი სოსო შენიშნავს, სოფლის მძიმე ხვედრზე მიუთითებს.

სოფელი ფარნაოზ ბატონიშვილის სამემკვიდრო ყოფილა (ქვეთავი „ხიდისთავის მფლობელობის საკითხისათვის“), თუმცა, XVIII საუკუნის ბოლოს უფლისწულებს შორის სადავო გამხდარა. 1812-13 წლებში ხიდისთავის მფლობელობის საკითხი კიდევ ერთხელ განიხილეს ხელისუფლების უმაღლეს წრეებში. ს. ალიმბარაშვილი გვაცნობს გენერალ-მაიორ სტალის მოხსენებას, რომლის მიხედვით, ხიდისთავი, სხვა სოფლებთან ერთად, თავდაპირველად ალექსანდრე და ივანე ბაგრატიონების საკუთრება იყო, მათი რუსეთში გადასვლის შემდეგ კი მეფისწულებს: იულონს, ალექსანდრესა და ფარნაოზს გადაეცათ. სხვადასხვა დროს არაერთი დიდგვაროვანი ფლობდა სოფელში ყმა-მამულს.

XIX საუკუნეში ხიდისთავი გორის მაზრის ერთ-ერთ დიდ უბანს წარმოადგენდა. რადგან ხშირი იყო დავა მიწებისა და სარწყავი წყლის გამო, სოფელში შეუქმნიათ საზოგადოებრივი სასამართლო, რომელიც სადავო საკითხებს განიხილავდა. მკვლევარი რამდენიმე ასეთ ეპიზოდს გვაცნობს.

1867 წელს ფოთი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას სოფლის კუთვნილი მიწების გარკვეული ნაწილი „შეუწირავს“. ზიანის სანაცვლოდ კი ხელისუფლებას ხიდისთაველებისათვის გარკვეული თანხა მიუცია. როგორც „სასოფლო გაზეთის“ 1868 წლის ერთი პუბლიკაციიდან ჩანს, სოფლის მოხელეებს გადაუწყვეტიათ ეს თანხა „საზოგადოების ცხოვრების განკეთილებისათვის“ მოეხმარათ და სოფელში სკოლა, პურის მაღაზია და ღვინის მარანი გაემართათ. ისინი მოსახლეობას მოუწოდებდნენ თანხა თვითონაც შეეტანათ საზოგადოების ანგარიშზე.

იოსებ მამაცაშვილის ინიციატივით, 1868 წელს ხიდისთავში გახსნილა ბანკი, თუმცა წარუმატებლად. მოსახლეობამ ამ წამოწყებას მხარი ვერ აუბა. იმდროინდელი პრესიდან ჩანს გლეხების მძიმე მდგომარეობა: ეკონომიკური სიდუხჭირე, ავადმყოფობები. პრობლემებს ქმნიდა უხიდობა, სავალი გზის მოუწესრიგებლობა, სკოლის უქონლობა და სხვა.

XXს. დასაწყისი მთელი ქვეყნისთვის ნიშანდობლივი იყო სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული პოლიტიკური ძვრებით, რომლებიც ხიდისთავის ყოფაზეც აისახა. ნაშრომში მოთხრობილია 1902 წლის 6-7 თებერვლის გამოსვლების შესახებ ატენში, ავგუსტ ზეზმანის სამხერხაო ქარხანაში, სადაც ხიდისთაველებიც მუშაობდნენ. გარდა ამისა, გლეხები მემამულე რევაზ ერისთავს აუჯანყდნენ. 1905 წლის აპრილში ხიდისთავში ჩაუყენებიათ კაზაკთა ასეული, რომელსაც სოფლის მაცხოვრებელთა მღელვარება მოჰყოლია.

მკვლევარი პირველი მსოფლიო ომის თემასაც ეხება. მან მოიძია ცნობები ორი პიროვნების, თევდორე კურდღელაშვილისა და პოლკოვნიკ შიო რამაზაშვილის შესახებ, რომლებიც ამ ომში მონაწილეობდნენ.

XX საუკუნის დასაწყისის ტრაგიკული მოვლენაა 1920 წლის 20 თებერვლის მიწისძვრა გორში, ხიდისთავსა და მიმდებარე სოფლებში. შედეგები სავალალო იყო: ხიდისთავსა და ოხერაში (ახლანდელი ზემო ხიდისთავი) 46 კაცი დაღუპულა, ზოგიერთი მონაცემით კი - 59. დაზარალებულა 338 ოჯახი(დართულია ფოტომასალა).

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მალე მიწისძვრას პოლიტიკური კატაკლიზმებიც მოჰყვა. 1921 წლის თებერვალი მთელი ქვეყნისთვის მძიმე იყო. ნაშრომში აღწერილია წითელ არმიასთან მებრძოლი ქართული ჯარისუკანდახევა გორისკენ ხიდისთავის გავლით, მათი ბრძოლები. როგორც მკვლევარი ფიქრობს, ხიდისთავის ერთ-ერთი ტოპონიმი, „დაჭრილები“, ქართველი ჯარისკაცების წითელ არმიასთან შეტაკების შემდეგ უნდა გაჩენილიყო.

1921 წელსვე დაწყებულა სოფელში ახალი საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურების ჩამოყალიბება. ამ პერიოდის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია იყო. გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

ნაშრომში აღწერილია ხიდისთავში კოლექტივიზაციის საწყისი ეტაპიც, მოსახლეობის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. კულაკთა რიცხვში აღმოჩენილან არა მარტო ის პირები, რომლებსაც მიწის დადგენილ ფართობზე მეტი რაოდენობა ეკავათ, არამედ ისინიც, ვინც დაქირავებულ შრომას იყენებდნენ (კოლექტივიზაციასთან დაკავშირებული არაერთი აქტი ეხება საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებებს). „მიუხედავად ხელისუფლების იდეოლოგიისა, კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა ინდივიდუალურთან შედარებით მხოლოდ რაოდენობრივ მონაცემებში აისახა, რაც შეეხება ხარისხობრივს, აქ აშკარა უპირატესობა უკანასკნელს ჰქონდა“, -შენიშნავს მკვლევარი (გვ. 111)

საბჭოთა მშენებლობის ფერხულს ნაშრომის ცალკე თავი ეთმობა. ავტორი თავიდანვე უსვამს ხაზს იმ სავალალო ტენდენციას, რომლითაც აღნიშნული ეპოქა იყო დაღდასმული: „საუკუნეების განმავლობაში ხალხში არსებული ტრადიციები, რწმენა და მოწიწება ქრისტიანული სიწმინდეების მიმართ, უვიცობის, უკულტურობისა და ჩამორჩენილობის მაჩვენებელი იყო, ხოლო ვინც საბჭოურად არ აზროვნებდა, ის სოციალისტური ქვეყნის, კულტურული რევოლუციისა და „ხალხის“ მტრად ცხადდებოდა“ (გვ. 113).

ნაშრომში ვეცნობით ხიდისთავთან დაკავშირებულ ამონარიდებს იმდროინდელი პრესიდან, რომელიც პოპულარიზაციას უწევდა საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბეებს, საბჭოთა მშრომელებს. ამდენად, „იდეოლოგიური ღონისძიებების ფონზე მიმდინარეობდა სოფლის კეთილმოწყობა“: დაუგიათ და გაუფართოებიათ გზები, 1929 წელს გახსნილა საექიმო პუნქტი, 1959 წელს - ამბულატორია, 1939 წელს დაუწყიათ ხიდისთავ-ოხერის 600-700 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და სხვა. აქვე წარმოდგენილია ოფიციალური მონაცემები ხიდისთავის სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის შესახებ.

1946 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, „ოხერას“ ოფიციალურად „ზემო ხიდისთავი“ დაერქვა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტოპონიმი დღესაც „ცოცხალია“.

ს. ალიმბარაშვილი მოგვითხრობს ქართლის ხიდისთავისა და გურიის სოფელ ხიდისთავის მშრომელების დაძმობილებისა და ურთიერთობის ამბებსაც. მიმოხილულია მოსახლეობის შრომითი წარმატებების ამსახველი დოკუმენტები და პრესა.

ქვეთავში „ხიდისთაველები ქვეყნისა და სამშობლოს სადარაჯოზე“ ასახულია ხიდისთაველთა მონაწილეობა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში. სხვადასხვა ფრონტზე 181 კაცი გაუწვევიათ, რომელთა უმრავლესობა დაღუპულა ან უგზო-უკვლოდ დაკარგულა. წარმოდგენილია ომში დაღუპულ-დაკარგულთა სრული სია. აქ არიან ტლაშაძეები, ნონიკაშვილები, დვალიშვილები, კარიჭაშვილები, დაღელაშვილები, ჩიტუაშვილები

აღსანიშნავია, რომ ომის წლებში სოფელს თავდაცვის ფონდში 100 ათასი მანეთი შეუტანია. 1945 წელს 9 ხიდისთაველი დაჯილდოვებულა „კავკასიის დაცვისათვის“.

არაერთი ადგილობრივი იბრძოდა სხვა ომებშიც: ავღანეთის საომარ ოპერაციებში, XX ს. 90-იანიწლების ეთნოკონფლიქტებში, 2008 წლის აგვისტოში.

ნაშრომის III თავში, „მოსახლეობა“, მკვლევარი წარმოგვიდგენს გვარებს, რომლებიც ისტორიულად მკვიდრობდნენ ხიდისთავში. ესენი არიან: ამბრიაშვილები, ოქუაშვილები, ტლაშაძეები, ბერიშვილები, კარიჭაშვილები, ოქრუაშვილები (ოქუაშვილი), ლაშქარაშვილები, დავალიშვილები (დვალიშვილი), ნონიკაშვილები, მუკნიაშვილები და სხვა, თუმცა აღნიშნულია ისიც, ბევრი ამ გვართაგან უფრო ადრე ატენში სახლობდა.

საინტერესოა, რომ სერგი მაკალათიას ცნობით, ხიდისთავში მოსახლე გვარები ატენის ზემო მხრიდან გადმოსულან ლეკიანობის შიშით. XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულში (1794-1799 წ.წ.) იოანე ბატონიშვილს ხიდისთავი „მოსახლე“ სოფლების კატეგორიაში შეჰყავს.

პირველი ოფიციალური ცნობები მოსახლეობის რაოდენობის, ეთნიკური შემადგენლობისა და გადასახადების შესახებ, როგორც მკვლევარი მიუთითებს, გვაქვს XVIII ს-ის 20-იანი წლებიდან, ე. წ. „ოსმალობის“ დროიდან. ეს არის 1728 წლის „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“. შემდეგი მონაცემები ეყრდნობა სხვადასხვა წლის (1794, 1804, 1865, 1886,

1929,2002, 2014, 2015) აღწერებსა და ოფიციალურ დოკუმენტებს. დღეისათვის სოფელში ყველაზე გავრცელებულ გვართა შორის ჩამოთვლილია: ტლაშაძე, ნონიკაშვილი, კარიჭაშვილი, დაღელაშვილი, რამაზაშვილი, ლუკაშვილი, სამადალაშვილი, ლაშქარაშვილი, გიუაშვილი, დვალიშვილი, ალიმბარაშვილი, კოვზიაშვილი და სხვ.

მოსახლეობაში დიდი რაოდენობით ყოფილან სამეფო ყმები. სხვადასხვა დროს ყმებსა და მიწებს ფლობდნენ დარეჯან დედოფალი, ფარნაოზ ბატონიშვილი, გიორგი ამილახვარი, თავადი ციციშვილი, თომა მეღვინეთხუცესიშვილი, ზურაბ სააკაძე და სხვანი. ყმები ჰყოლია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანტონ II-საც. აქ სახლობდნენ გორიჯვრის წმინდა გიორგის ეკლესიის „ყმანი გორისეველნიც“.

როგორც ერთი ხალხური ლექსი მოწმობს, „ხიდისთაური ქალი და რძალი“ მთელ ქართლში ცნობილი და სასურველი ყოფილა. ალექსანდრე გარსევანიშვილის მონათხრობზე დაყრდნობით მკითხველი ეცნობა აქაურ „მაია წყნეთელსაც“.

„თავისი მადლიანი მიწისა და სტუმართმოყვარე მოსახლეობის გამო, ძვირფასი და ავტორიტეტული სტუმარი არასოდეს დაკლებია ხიდისთავს“,-აღნიშნავს ს. ალიმბარაშვილი (გვ. 143) და საპატიო სტუმართა შორის ასახელებს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ს (რომელიც, 1867 წელს ბორჯომში მიმავალი, გავლით იმყოფებოდა ხიდისთავში), მარი ბროსეს, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილს, გიორგი ლეონიძეს, ოთარ თაქთაქიშვილს

სხვადასხვა დროს ხიდისთავს სწვევიან გერმანიის (გდრ), ჩინეთის, ინდოეთის, კუბის, ესპანეთის, ბირმის, ვიეტნამის წარმომადგენლები. 1954 წლის ინდოეთის დელეგაციასთან ერთად იმყოფებოდა რაჯ კაპური (აქვეა ფოტო). 1958 წელს - მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინები: მაია პლისეცკაია, მარინა ჩერკასკაია და სხვები.

ქვეთავში „ხიდისთავის მოამაგენი“ მკვლევარი წარმოგვიდგენს იმ მწერლებს, მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი წარმოშობით ან ცხოვრების გარკვეული წლებით ხიდისთავთან იყვნენ დაკავშირებულნი. ასეთები არიან: იესე ტლაშაძე, დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი (რომელსაც მკვლევარმა ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა), კონსტანტინე მეღვინეთხუცესიშვილი, მამა-შვილი: გიორგი და დავით ერისთავები, ზურაბ ანტონოვი, დიმიტრი ბაქრაძე, იოსებ მამაცაშვილი, დავით კარიჭაშვილი, დავით და ოთარ ონიაშვილები, ზაქარია ქიტიაშვილი, დავით ლუკაშვილი, დეკანოზი ლევან ტლაშაძე, ნიკო სამადაშვილი. ამ ადამიანთა ბიოგრაფიები და ღვაწლი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ ამჯერად ს. ალიმბარაშვილი მათი ცხოვრების იმ ფაქტებსა და ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ხიდისთავთან არის დაკავშირებული.

ნაშრომის შემდეგი თავი რელიგიის საკითხს ეთმობა. მკვლევარი ცდილობს დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით, მიახლოებითი ისტორიული სურათი აღადგინოს.

როგორც უკვე აღინიშნა, XIX საუკუნის დასაწყისში სოფელში ორი ეკლესია იყო. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია 1801 წელს აშენებულა. მკვლევრის ვარაუდით, ის სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში უნდა მდგარიყო, დაახლოებით იმავე ადგილას, სადაც ახლა ახალჯვრის ეკლესიაა. აღსანიშნავია, რომ ხიდისთავის„წედისის“ წმ. გიორგის ეკლესიის წინამძღვარი 1896-1897 წლებში იყო ცნობილი საეკლესიო მოღვაწე და შემდგომში (1927-1932 წწ.) სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე ციცქიშვილი.

აქ მოღვაწე სასულიერო პირთა შორის მკვლევარი ასახელებს ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის დავით კარიჭაშვილის მამას, დეკანოზ გიორგი კარიჭაშვილს, რომელიც მრევლის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მკვლევარი ხაზს უსვამს დეკანოზ გიორგი კოშორიძის ღვაწლსაც. მას ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესია აუშენებია. საგულისხმოა, რომ სწორედ ხიდისთავში დეკანოზ კოშორიძესთან სტუმრობით იწყებენ თავიანთ მოგზაურობას იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ პერსონაჟები – იონა ხელაშვილი და გრიგოლ ღამბარაშვილი. როგორც ცნობილია, თხზულების წერა იოანე ბატონიშვილმა 1813 წელს

დაიწყო. აქედან გამომდინარე ს. ალიმბარაშვილი ასკვნის, რომ საუკუნის დასაწყისში ხსენებული ეკლესია უკვე არსებობდა დადეკანოზიც ჰყავდა.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მკვლევარი მოგვითხრობს ახალი ჯვრის წარმომავლობის შესახებ. დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობით, ახალი ჯვარი სვეტიცხოვლის ნაწილია. იგი იმ ხისგან იყო დამზადებული, რომელიც მაცხოვრის კვართის დაკრძალვის ადგილას აღმოცენდა მცხეთას(ახალი ჯვრის წინა ნაწილის ქვედა მკლავში მართლაც ჩატანებული ყოფილა მომცრო ხის ჯვარი).

ს. ალიმბარაშვილი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე: როდის წამოიღეს ახალჯვარი ბობნევიდან ხიდისთავში, რატომ გადმოიტანეს სააკაძეებმა და დეკანოზმა გიორგი კოშორიძემ ახალჯვარი იმერეთიდან მაინცდამაინც ხიდისთავში და რატომ უზის ჯვარს განახლების თარიღად ორი განსხვავებული 1790 და 1796 წელი.

მკვლევარს შეუსწავლია ხიდისთავის ორივე ეკლესიის დავთრები (მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს დავთრების ნიმუშს).

1923 წლის ივლისში ხიდისთავის ორივე ეკლესიაში ღვთისმსახურება შეწყვეტილა, ხოლო ეკლესიების ქონება (თანდართულ ცხრილში მოცემულია ნივთების ჩამონათვალი) ხელისუფლებისათვის გადაუციათ. შენობები, როგორც მკვლევარი ვარაუდობს, მალევე დაანგრიეს. სოფელში არსებობდა ე. წ. „ღვინიაანთ“ საყდარიც, რომლის ნანგრევები დღესაც არის შემორჩენილი. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეკლესია მეღვინეთხუცესიშვილების საკუთრებას წარმოადგენდა და, სავარაუდოდ, ამავე გვარის წარმომადგენელთა მიერ იყო აშენებული.

ს. ალიმბარაშვილი თანამედროვე მდგომარეობასაც აცნობს მკითხველს: XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ადგილობრივთა ინიციატივით სოფელში სამი ეკლესია აშენდა, ხოლო მეოთხე, ცამეტი ასურელი მამის სახელობის ეკლესია, რომლის მშენებლობა 2006 წელს დაიწყო, 2017 წლიდან მოქმედია.

ნაშრომის V თავი განათლებას ეხება. ქართლის სოფლებიდან პირველად სკოლა ხიდისთავში დაარსებულა. ამ საქმის ინიციატორი და ხელისშემწყობი ყოფილა იოსებ მამაცაშვილი. დიდი ღვაწლი დაუდია აგრეთვე დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს.

მკვლევარი მოგვითხრობს სოფელში სკოლის გახსნის პირველი მცდელობების, ხელშემწყობი და დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, გვაცნობს მოამაგე ადამიანებს და პირველ მასწავლებლებს. ხიდისთავის სკოლის საკითხი არაერთხელ გამხდარა პრესის ფურცლებზე მსჯელობის საგანი. როგორც დოკუმენტები ცხადყოფს, ხიდისთაველების განათლებაზე ზრუნავდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და „წიგნების გამომცემელ ქართველთა საზოგადოება“, რომლებიც სოფელს ეხმარებოდნენ სახელმძღვანელოებითა და საკითხავი წიგნებით.

ს. ალიმბარაშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს ღვაწლს მარიამ კარიჭაშვილისა, რომელიც თბილისის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1914 წელს დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. მას საკუთარი ინიციატივით გაუხსნია ორწლიანი სკოლა და თავიდან მისი ერთადერთი მასწავლებელი ყოფილა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა 1957 წლამდე გაგრძელდა.

მკვლევარი თვალს მიადევნებს ხიდისთავის სკოლის/სკოლების, მათი შენობების, ცვლილებებისა და განახლების ეტაპებს. ასახელებს იმ პედაგოგებსა და დირექტორებს, რომლებმაც თაობები აღზარდეს. აქვეა ცნობები 1955 წელს ხიდისთავში გახსნილი № 15 პროფ. ტექნიკური სასწავლებლის შესახებ. აღნიშნულია ისიც, რომ XX ს. 90-იან წლებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენების შედეგად, სასწავლებლის კორპუსებში იძულებით გადაადგილებული რამდენიმე ათეული ოჯახი შეასახლეს.

ხიდისთავის თეატრალურ ტრადიციებს საფუძველი, როგორც ცნობილია, გიორგი ერისთავმა და დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა ჩაუყარეს. გიორგი ერისთავს პირველად აქ მოუმზადებია თავისი დასი, რომელსაც უკვე 1848 წელს დაუდგამს სპექტაკლი.

1850 წლის 2 იანვარი, როდესაც დაიდგა გიორგი ერისთავის „გაყრა“, ითვლება ქართული პროფესიული თეატრის დაარსების დღედ, თუმცა, როგორც ს. ალიმბარაშვილი შენიშნავს, ჯერ კიდევ 1845 წელს დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს გორში დაუდგამს თავისი პიესა „გამოუცდელობა, ანუ დროებით განშორება საყვარელთან“.

ამ ფაქტით, ფაქტობრივად, ქართული თეატრის დაარსების თარიღი, მინიმუმ 5 წლით ადრე უნდა განისაზღვროს. ეს საკითხი უკვე მოექცა ქართული თეატრცმცოდნეებისა და მკვლევრების ყურადღების ცენტრში.

თეატრალური წარმოდგენები სოფელში გიორგი ერისთავის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელებულა. საინტერესოა, რომ 1887 წლის 16 ივლისს დაუდგამთ რაფიელ ერისთავის კომედია „ადვოკატები“. როლების შემსრულებელთა შორის დავით კარიჭაშვილი და სოფრომ მგალობლიშვილიც ყოფილან.

როგორც გაზეთ „ივერის“ პუბლიკაციიდან ირკვევა, ხიდისთაველი სცენისმოყვარეები საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდნენ. XX ს. 30-იანი წლების ბოლოს ხიდისთავის თეატრალურ ცხოვრებაში აქტიურად ყოფილია ჩართული პოეტი ნიკო სამადაშვილი.

სოფლის კულტურული ცხოვრების შესახებ საინტერესოა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებებიც.

მოგვიანებით კულტურის ცენტრად იქცა სოფლის კლუბი, რომელშიც ფუნქციონირებდა დრამატული, ცეკვის, სიმღერის, ჭადრაკის წრეები. აქტიურად მუშაობდა კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა.

ქვეთავში „მასობრივი სანახაობანი“ მკვლევარი ნარატიულ წყაროებზე დაყრდნობით აღწერს XIX საუკუნის ხიდისთავურ ქორწილს, რთველს, ახალ წელს (ტრადიციულად, აღინიშნებოდა ძველი სტილით - 14 იანვარს), რელიგიურ დღესასწაულ „ახალჯვრობას“, რომელიც ეკლესიაში წირვით იწყებოდა, გრძელდებოდა ჭიდაობითა და სხვა ტრადიციული ასპარეზობებით, იყო ცეკვა-თამაში და ლხინი. ასევე, პოპულარული ყოფილა „ჭონა“, „ჭიაკოკონობა“, „ლახტი“, „ღილაობა“, „კოჭაობა“ და სხვა სახალხო დღესასწაულები.

მოსახლეობა დიდ პატივს მიაგებდა ქართულ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს.

ს. ალიმბარაშვილი გვაცნობს იმ ხიდისთაველებსაც, რომელთაც თავი გამოიჩინეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

ნაშრომის VII თავი რამდენიმე ქვეთავს აერთიანებს: „სოფლის მეურნეობა“, „ვაჭრობა“, „მევახშეობა“, შინამრეწველობა-ხელოსნობა.

ხიდისთავში წამყვან დარგად სოფლის მეურნეობა ითვლებოდა.

როგორც ს. ალიმბარაშვილი ფიქრობს, „XVIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის სოფელში გავრცელებული ყოფილა მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა და სხვ.“ (გვ. 234). 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარიდან ჩანს, რომ ხიდისთავიდან გადასახადის სახით მიჰქონდათ ხორბალი, ქერი, ჭვავი, ფეტვი. იყო გადასახადი ვენახზე, ერბოზე, ცხვარზე, ღორზე, სკაზე, 1 თვალ წისქვილზე და სხვ. გარდა ამისა, სოფელს უწევდა საქვეყნო ბეგრის გადახდა, საბატონიშვილოს გამოსაღები და სხვა ვალდებულებანი.

1864 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ბატონყმობის გაუქმებას და მიწის რეფორმას გარკვეულწილად დაუზარალებია ხიდისთაველები. მათთვის მიწების დაახლოებით 52% „ჩამოუჭრიათ“. ასეთ ინტერესს მიწის მაღალი ხარისხით ხსნის მკვლევარი.

ხიდისთაური ღვინო მთელ საქართველოში იყო განთქმული და საკმაოდ მაღალი ფასიც ჰქონია. ცნობილი ეთნოგრაფი და მწერალი ევგენი მარკოვი, რომელიც 1887 წელს იმყოფებოდა კავკასიაში, ხიდისთაურ ღვინოსაღწერს როგორც მსუბუქს, არომატულსა და გემრიელს. ხიდისთავურმა ღვინომ ხალხურ პოეზიაშიც დაიმკვიდრა ადგილი და კინემატოგრაფიაშიც. „შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ „ხიდისთაურით“ იწონებს თავს ცნობილ ქართულ ფილმში - „ღიმილის ბიჭები“, საქართველოს სახალხო არტისტი - შალვა ხერხეულიძე“ - აღნიშნავს მკვლევარი (გვ. 237).

მკვლევარი თვალს მიადევნებს ხიდისთავში მეღვინეობის ტრადიციების შემდგომ განვითარებას თანამედროვე მდგომარეობის ჩათვლით. აღწერს და ფოტომასალით წარმოგვიდგენს სოფელში არსებულ უძველეს მარნებს: ე. წ. „შიოს მარანს“„კარიჭაანთ უბანში“ მდებარე სახლის მარანს და თანამედროვე მარნებს.

მევენახეობა-მემინდვრეობის პარალელურად სოფელში ვითარდებოდა მესაქონლეობა და მეაბრეშუმეობა. აღსანიშნავია, რომ დღემდე ფუნქციონირებს წყლის წისქვილი.

ხიდისთაველებს თავიანთი მოსავალი სარეალიზაციოდ გაჰქონდათ გორში. ღვინო უფრო ფართოდ ვრცელდებოდა, იყიდებოდა ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში .როგორც მკვლევარი გვამცნობს, დიდ მანძილზე გადასაადგილებლად, ადგილობრივებს ღვინის ტრანსპორტირების ორიგინალური ხერხი მოუფიქრებიათ, ისინი „ხიდისთაურს“ რუმბებში ასხამდნენ და მტკვარზე აცურებდნენ თბილისში ჩასატან-გასაყიდად“ (გვ. 256).

ღვინის გარდა, სოფლისთვის ყველაზე მოსავლიანი ატამი ყოფილა.

საგლეხო რეფორმის შემდეგ მოსახლეობას თავისუფალი ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობა მიეცა, რამაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობები გააქტიურა და მათ შორის, მევახშეობასაც შეუწყო ხელი. ქვეთავში „მევახშეობა“ სწორედ ასეთი ეპიზოდებია განხილული (ბარბარა ღვინიევასა და ანა ბაქრაძის გარიგება, ძმებ ზურაბ და ნიკოლოზ ანტონოვებისა და მევახშე მირონ ამიროვი ამბები და სხვა).

ხელმოკლე ოჯახების დიდი ნაწილი იძულებული ხდებოდა შემოდგომის მოსავალზე წინასწარ მორიგებოდა მევახშეებს „ჩალის ფასში“, შემდეგ თანხის გადახდას ვეღარ ახერხებდა და მთელი წლის შემოსავალი მევახშეს მიჰქონდა. 1910 წელს დაბადებული თევდორე კარიჭაშვილის გადმოცემით, ბაყლები განთქმულ ხიდისთაურ ატამს ყვავილობაშივე ყიდულობდნენ. როდესაც ნაყოფი სიმწიფეში შევიდოდა, ბაყალი თავისი მკრეფავებით მოდიოდა და მთელი მოსავალი მიჰქონდა. ამდენად, გაჭირვებაში ჩავარდნილი გლეხობა იძულებული ხდებოდა საუკეთესო მამულები გორელი ჩარჩ-ვაჭრებისათვის დაეთმო. ამ საკითხს პრესაშიც მიექცა ყურადღება. ს. ალიმბარაშვილი გვაცნობს 1882 წლის „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც გაანალიზებულია ხიდისთაველი და, ზოგადად, ქართველი გლეხის გაღატაკების მიზეზები. სტატიის ავტორს, სოსო „ტანიხეველს“, გამოსავლად განათლება ესახება, „ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული და ცოდნით გაჯერებული“.

დასასრულ, ხიდისთავის ისტორიის კიდევ ერთ ასპექტს მიმოიხილავს მკვლევარი, ეს არის „შინამრეწველობა და ხელოსნობა“.

როგორც ისტორიული დოკუმენტები მოწმობს, 1868 წლისათვის ხიდისთავში ყოფილა წისქვილები, დუქნები, ფურნე, სახაბაზო და სხვა.საუკუნის ბოლოს სოფელში სამრეწველო საწარმოები გაჩნდა. 1865 წელს დავით ერისთავისგან იჯარით აღებულ „ქვაშავას“ მიწაზე წარმოშობით ფინელმა მრეწველმა, ავგუსტ ზეზემანმა, მოაწყო რკინიგზის შპალების გამჟღენთავი ქარხანა. მოგვიანებით მის ბაზაზე განთავსდა თანამედროვე შპალსაჟღენთი ქარხანა.

1898 წლისათვის სოფელში ჩანს ნავთის მსხვილი რეზერვუარი, პურის საცხობი, სავაჭრო დუქანი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხიდისთავში ფუნქციონირებდა სამი წისქვილი, ხილისა და ხის გადამამუშავებელი, შამპანურის, აგურის ქარხნები, კონიაკის სახდელი საწარმო. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე მუშაობდა რამდენიმე სამხერხაო. სოფელში არსებულმა ზემოაღნიშნულმა საწარმოებმა 90-იანი წლების დასაწყისიდან თანდათანობით შეწყვიტეს ფუნქციონირება.

ხიდისთაველ ცნობილ ოსტატ-ხელოსანთაგან მკვლევარი ასახელებს დურგლებს, მლესავებს, ხეზე კვეთის ოსტატებს, რკინის შემდუღებლებს, მეთუნუქეს, ოქრომჭედელს და სხვა.

ერთიც, წიგნი გამართული ენითაა დაწერილი და ერთი ამოსუნთქვით, ინტერესით იკითხება, მაგრამ დამრჩა შთაბეჭდილება, თითქოს ავტორი თხრობას საგანგებოდ ასრულებს

გასული საუკუნის 90-იანი წლებით, არადა. XXI საუკუნის თითქმის ერთი მეოთხედი მიიწურა და ინტერესმოკლებული არ იქნებოდა რამდენიმე გვერდი სოფლის თანამედროვე ყოფასაც დათმობოდა, რითი ცხოვრობს სოფელი, მისი ახალგაზრდობა, რა სტკივა, რა უხარია...

***

„მშობლიური სოფლის ისტორიის აღწერა შინაგან მოწოდებასთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობაცაა“- წერს მონოგრაფიის შესავალში ავტორი. მის მიერ განხორციელებული კვლევა, საფუძვლიანი და მრავალმხრივი, მეცნიერული მიუკერძოებლობითა და კეთილსინდისიერებით, სწორედ დიდი პასუხისმგებლობისა და იმ ღრმა სიყვარულის დასტურია, რომელსაც საქმით გამოხატავენ სოსო ალიმბარაშვილის რანგის პიროვნებები. მისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველა ისტორიული წყარო, დოკუმენტი, ოქმი, დავთარი, სქემა, ჩანაწერი თუ მოგონება, რომლებიც მშობლიური სოფლის ისტორიას ეხება. ყველაფერი საყურადღებოა, ყველაფერს საგულდაგულოდ სწავლობს და იძიებს, რათა მკითხველის თვალწინ გამოკვეთილ ამ მშვენიერი სოფლის სურათს არ დააკლდეს არც ერთი შტრიხი, არც ერთი დეტალი ...

ძნელია წერდე მშობლიურ სოფელზე და იყო ასე გაწონასწორებული, თავდაჭერილი. არც ერთი სუბიექტური, მიკერძოებული ტონი არ შეიმჩნევა მის მსჯელობაში. ყველა თვალსაზრისი თუ ვარაუდი საფუძვლიანია და დამაჯერებელი. ეს ყოველივე მაღალ სამეცნიერო ღირებულებას სძენს ნაშრომს, რომელიც თავისთავად მხოლოდ ერთი სოფლის ისტორია კი არა, მთელი საქართველოს ისტორიის განუყოფელი და საგულისხმო ნაწილია.

სოსო ალიმბარაშვილმა შეიძლება ითქვას ხიდისთავის ისტორიის მთლიანი, მონოლითური სურათი შექმნა. ყველა ხელმისაწვდომ დოკუმენტს, პუბლიკაციას, ცნობასა თუ მოგონებას მოუყარა თავი. აქ ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, დაწყებული ცნობილი ბრძოლებითა და დამთავრებული ყოფითი დეტალებით; შეეცადა არ გამორჩენოდა არც ერთი პიროვნება, რომელსაც რაიმე წვლილი მიუძღვის სოფლის წინაშე: სასულიერო პირები, მასწავლებლები, სკოლის დირექტორები, სხვადასხვა ომის მონაწილენი და მსხვერპლნი, მშრომელები, მეწარმეები, სპორტსმენები, მეღვინეები, გუთნისდედები, ხელობით განთქმულნი, თამადები და პირველი მძღოლებიც კი მას შემდეგ, რაც სოფელში ხარ-კამეჩი ავტომობილმა შეცვალა.

განსაკუთრებული რუდუნებითა და პატივისცემით არის გამოკვეთილი ხიდისთავთან დაკავშირებული იმ პიროვნებათა სახეები, რომელთა ღვაწლი ეროვნული მნიშვნელობისაა. თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ბატონი სოსო სწორედ მათ გვერდით მოიაზრება. ის ვალმოხდილი მამულიშვილია, რომლითაც იამაყებს მშობლიური სოფლის ყველა თაობა. ამ მონოგრაფიის სახით, ასე ხელშესახებად რომ გაუცოცხლა წინაპართა წუთისოფელი, მათ ფასდაუდებელი საჩუქარი მიიღეს.

სიმბოლურია ვანო ვანიშვილის საოცარი ნახატი წიგნის გარეკანზე. იგი თითქოს ხიდისთავისა და ხიდისთაველების სულს გამოხატავს: მდინარეზე მომავალი ხარებით, ურმით, ურემზე ქვევრით, კოფოზე შემომჯდარი დინჯი, დარბაისელი გლეხით... მოდის ჩაფიქრებული თავისი დარდითა და იმედებით, უკეთესი დღის მოლოდინით...

არის ამ სურათში მთელი საქართველოსთვის რაღაც ძალიან თბილი და მშობლიური.

დაბოლოს, ბატონი იოსებ ალიმბარაშვილი შემთხვევით არ არის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საგანგებო ბრძანებით შექმნილი „საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის“ წევრი, რომელსაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მამა იოანე ცუხიშვილი უდგას სათავეში და უაღრესად საჭირო და დროული საქმე კეთდება.

„ხიდისთავის ისტორიის“ გარდა, ბატონი იოსების სხვა მონოგრაფიები: „ატენის ქუეყანა“, „ტინისხიდის ისტორია“, „შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის

პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით“ და ათეულობით სამეცნიერო სტატიები მნიშვნელოვანი შენაძენია, არა მარტო შიდა ქართლის ისტორიით დაინტერესებული მკითხველის, არამედ, ზოგადად, ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ლია კარიჭაშვილი
4.10.2022

იგორ კეკელია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ედიშერ ბაღათურია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სენაკის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიიდან (XIX ს. 70-90-იანი წლები)

საქართველოში, ძველი დროიდანვე განვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ქვეყანაში, უშუალოდ მწარმოებელ ძალას გლეხი წარმოადგენდა. მეურნეობის ძირითადი უჯრედი გლეხის ფუძე, საკომლო მიწა იყო. მრავალსაუკუნოვანი დაკვირვებისა და ემპირიული გამოცდილების შედეგად სწორედ გლეხს გამოჰყავდა მარცვლეულის, ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშები, მოაშენებდა ცხენს, ხარს, ძროხას, კამეჩს, ცხვარს, თხას, ღორს, ფრინველს. მისდევდა მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობას. წარმატებას მიაღწია შინამრეწველობაშიც. სახელმწიფოს ძლიერების ძირითად საფუძველს გლეხური მეურნეობა შეადგენდა[1].

გლეხობის საშოვარზე გასვლის ძირითად მიზეზად პ. გუგუშვილი ეკონომიკურ გაჭირვებას ასახელებს. 1870-80-იანი წლებიდან სოფლის შემდგომი დიფერენციაციის პროცესში მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე თუ გვიან იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა მამაპაპური საცხოვრებელი ადგილი და შორეულ თუ ახლობელ რაიონებში გადახვეწილიყო, ჯერ, როგორც წესი, დროებით საშოვარზე წასვლის სახით, ხოლო შემდეგ სამუდამოდაც[2].

ფულადი-სასაქონლო და კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში ვაჭართა სოციალური ფენის რიცხობრივი ზრდა იყო, რომლის უდიდესი ნაწილი ქალაქებსა და სავაჭრო-სამრეწველო დაბა-სოფლებში ეწეოდა კომერციულ საქმიანობას[3].

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ ვაჭართა უმრავლესობა გლეხთა წრიდან იყო გამოსული, მაგრამ, ამასთანავე, ვაჭრობაში ჩაბმული იყვნენ თითქმის ყველა სოციალური წრის, ყველა წოდების წარმომადგენლები: ხელოსნები, აზნაურები, თავადები, მოხელეები[4].

როგორც აღინიშნა, სასაქონლო წარმოების სწრაფი ზრდის პირობებში გლეხი იძულებული იყო, რომ ფულის საშოვნად გასულიყო და თავისი სამუშაო ძალა გაეყიდა. ამასთანავე, სოფლის წვრილ ბურჟუად ქცეული გლეხი ვაჭრობით დიდძალ ქონებას აგროვებდა. ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ქალაქების მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, სავაჭრო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ზრდა და ფაბრიკულ საქონელზე მოთხოვნილების გადიდება. ქალაქში გასული გლეხობა ეწერებოდა მეშჩანთა და ვაჭართა წოდებაში. ლ. ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს ამ ფაქტის თანმხლებ პროცესზეც, კერძოდ, ამავე პერიოდში ძალიან ძლიერი იყო ტენდენცია ქალაქელი ვაჭარ-მრეწველების სოფლად დამკვიდრებისა. ისინი დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ ადგილ-მამულს, ხსნიდნენ სავაჭრო მაღაზიებს, ფარდულებს[5].

გლეხობის საშოვარზე გასვლას მასობრივი ხასიათი ჰქონდა განსაკუთრებით მოუსავლიან წლებში, XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან XX საუკუნის 10-იან წლებამდე, რაც

---

[1] ბენდიანიშვილი ა., გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრაობა საქართველოში, თბ., 1989, გვ. 14.

[2] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. II, თბ., 1956, გვ. 784.

[3] იქვე, გვ. 44.

[4] საქ. ცსია, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 3546, გვ. 23-25; საქ. 3513, გვ. 7-12, საქ. 3384, გვ. 1-7.

[5] საქ. ცსია, ფ. 254, აღწ. 3, საქ. 2229, გვ. 603-611, 1013, 838-842, 1040-1046, 1166-1170, 1176-1178, 1181-1183; ბერძენიშვილი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლები 1865-1917 წლებში, თბ., 1990, გვ. 44-45.

ზოგიერთ მაზრას, გუბერნიას თუ მთელ ქვეყანას ერთად, პერიოდულად დაატყდებოდა გვალვების, ხშირი წვიმების, სეტყვის, ფილოქსერის, საქონლის ჭირისა და სხვათა შედეგად. ასეთი პერიოდები აუძლურებდა გლეხობას, აძლიერებდა სოფლის სოციალურ დიფერენციაციას და აძლიერებდა გაღატაკებული გლეხობის საშოვარზე ლტოლვას[1].

მიწის სივიწროვით გამოწვეული გლეხთა გაჭირვება განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქუთაისის გუბერნიაში. ამიტომ მცირემიწიანი გლეხები დამატებით საშოვარს რკინიგზის ხაზზე და ქვის კარიერებზე ეძებდნენ, ხელს კიდებდნენ ხე-ტყის დაცურებას, ყავრის დამზადებას, ამზადებდნენ და ყიდდნენ ხის ნახშირს, შეშას, კაკლის ხეს და ა. შ. ეს პროცესი, თავისთავად, იყო ერთგვარი ხელშემწყობი ფაქტორი სოფლად შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარებისა. გლეხობის ნაწილისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან და ძირითად წყაროს წარმოადგენდა მჭედლობა, ზეინკლობა, ხარატობა, დურგლობა, მეთუნეობა, მლესაობა და სხვ.[2]

მოსახლეობის სოფლიდან ქალაქებში გადასახლების ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნეოდა 90-იან და 900-იან წლებში. გლეხობა მიეშურებოდა ბათუმში, ფოთში, ახალსენაკში, სამტრედიასა და სხვა სარკინიგზო პუნქტებში, ჭიათურაში – მარგანეცის მაღაროებში, სოხუმის ოკრუგში – თამბაქოს პლანტაციებზე სამუშაოდ. „ყველას კარგად მოეხსენება, – წერდა 1903 წელს ალ. წულუკიძე, – თუ როგორ აამოძრავა ეკონომიურმა სივიწროვემ ჩვენებური გლეხები: სვანი, რაჭველი, იმერელი, კახელი, ქართლელი ურიცხვად მოედინებიან ქალაქებისაკენ და ადგილს დაეძებენ"[3].

900-იან წლებში, განსაკუთრებით 1907-08 წლებიდან მოყოლებული, შეიმჩნევა სამხრეთ რუსეთის მრეწველობის ცენტრებში დამზადებული სოფლის მეურნეობის (მიწათმოქმედების) გაუმჯობესებული სახვნელი იარაღ-მანქანების შემოზიდვა, ძირითადად – ფოთის ნავსადგურიდან, რაც შეუჩერებლად იზრდებოდა I მსოფლიო ომამდე. უშუალოდ რკინიგზის რაიონში მდებარე მაზრებს შორის დასავლეთ საქართველოში აღსანიშნავია ქუთაისისა და სენაკის მაზრები, სადაც უფრო მეტად ვრცელდებოდა შემოტანილი იარაღ-მანქანები[4].

სენაკის მაზრის მოსახლეობა, წერს ბ. შენგელია, ძირითადად მიწათმოქმედებით იყო დაკავებული. უხვად მოჰყავდათ სიმინდი, მისდევდნენ მეცხოველეობას, მევენახეობას და მეაბრეშუმეობას. ვაჭრობის თანდათანობით განვითარების შემდეგ დაიწყეს უცხოეთის ბაზრებზე აქაური სიმინდის, ხე-ტყისა და აბრეშუმის გატანა[5].

ღვინო საყოველთაო მოხმარების საგანი იყო სამეგრელოსა და ლეჩხუმში, ჯერ კიდევ XIX ს. 30-იან წლებში. ზუგდიდის სამოურავოდან ღვინო სავაჭროდ გაჰქონდათ ქუთაისში, ხოლო სენაკის სამოურავოდან – რედუტ-კალეში. 40-50-იან წლებში გურია-სამეგრელოში ღვინით ვაჭრობის განვითარებაზე მეტყველებს ამ მხარეებიდან ღვინოების ქუთაისში, ყულევში, ახალციხესა და გორში, ხოლო ზღვით – ქერჩში, ნოვოროსიისკში, ფეოდოსიაში, ტაგანროგსა და ოდესაში გატანა[6]. სენაკი და მისი მიმდებარე სოფლები მევენახეობა-მეღვინეობის განთქმულ მიკრორაიონს წარმოადგენდა.

XIX ს. მიწურულს სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში სოკოვანი დაავადებების (ფილოქსერას) გავრცელებით ვაზის ადგილობრივი ჯიშების შემცირებისა და თითქმის განადგურების გამო, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში მევენახეობა დაეცა და ვენახებისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები თანდათან სიმინდის სათეს ფართობებად იქცა[7].

---

[1] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. V, გვ. 784-785.

[2] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. V, გვ. 789.

[3] წულუკიძე ალ., თხზულებანი, 1943, გვ. 116.

[4] Кавказское хозяйство, 1910, №12, ст. 4-5; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, თბ., 1959, გვ. 111.

[5] შენგელია ბ., ახალსენაკის ისტორიიდან. გაზ. „კოლხეთი", №61, 23 მაისი, 1989, გვ. 1.

[6] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. V, 1962, გვ. 502

[7] ჯიშკარიანი პ., ზუგდიდის მაზრის სოციალ-ეკონომიური და კულტურული მიმოხილვა (1870-1921 წწ.). გაზ. „მებრძოლი", №3, 1963, 4 იანვარი.

XIX საუკუნის სამეგრელოში საყოველთაო მოხმარების მარცვლეულ კულტურას ღომი და სიმინდი შეადგენდა. 1880-იან წლებში სენაკის მაზრის სოფლებში, ე. ი. მისი გავრცელების მთავარ რაიონში, ღომი კარგ მიწას და განსაკუთრებით მეტ მუშაობას მოითხოვდა. ამასთანავე, სიმინდთან შედარებით ნაკლებ მოსავალს იძლეოდა და მხოლოდ შეძლებული გლეხები თესდნენ[1]. XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სამეგრელოში ღომი საკმაოდ იშვიათ საკვებს წარმოადგენდა. „სიმინდმა არა მხოლოდ ღომი... გამოდევნა, არამედ უწინარეს ძალზე შეავიწროვა და თითქმის მოსპო ჭადი... ჭადისაგან გაკეთებული პური შეცვალა სიმინდისაგან წარმოებულმა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ სიმინდისაგან გაკეთებულმა მთავარმა საკვებმა სწორედ მისი სახელწოდება მიიღო, რაც სიმინდის მიერ ჭადის როლისა და მნიშვნელობის დაკავების მაჩვენებელია"[2].

სიმინდის კულტურა ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სენაკის მაზრის მარცვლეულ მეურნეობაში. XIX საუკუნის II ნახევარში ის უკვე სავსებით იყო გაბატონებული ქუთაისის გუბერნიაში. 1884 წლის მონაცემებით ქუთაისის გუბერნიაში აღებული 4651 ათასი ჩეტვერტი სიმინდიდან ნახევარზე მეტი მხოლოდ სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში მოდიოდა[3]. უმეტესი წილი სიმინდი სენაკის მაზრიდან რიონით ფოთში ჩაჰქონდათ. გადატანის ფასი ძალიან იაფი ჯდებოდა.

სამეგრელოში სიმინდი მთავარი საექსპორტო პროდუქტი იყო. მსხვილ ვაჭართა მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით ფრანგი მოგზაური ჟიულ მურიე აღნიშნავს, რომ რედუტ-კალედან და ანაკლიიდან ყოველწლიურად ორი მილიონი ფუთი სიმინდი იგზავნება კონსტანტინოპოლში, რუსეთსა და საფრანგეთში და ვაჭრობის ეს დარგი ქვეყანას წელიწადში მილიონ რუბლ შემოსავალს აძლევს[4].

ფოთი-თბილისის რკინიგზის გაყვანის შემდეგ, 1900-იან წლებამდე, ახალსენაკიდან ფოთის ნავსადგურით დასავლეთ საქართველოდან გატანილი საექსპორტო სიმინდის 35% სენაკის მაზრაზე მოდიოდა. 1909-1913 წლებში 1 დესეტინა მიწაზე სენაკის მაზრაში მოდიოდა საშემოდგომო ხორბალი 45 ფუთი, საგაზაფხულო – 41, ხოლო ქერი – 48 ფუთი[5].

სენაკის მაზრის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და გლეხური მეურნეობის ერთგვარ აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა მერძეობა და მეფრინველეობა. პ. გუგუშვილი იმოწმებს დ. ნოსოვიჩის ცნობას, რომ 1884 წელს სამეგრელოს დაბებში ყოველკვირეულ ბაზრობებზე მახლობელი სოფლებიდან სისტემატურად მოჰქონდათ გასაყიდად, ან სხვადასხვა სამრეწველო საქონელზე გასაცვლელად, როგორც ყველი და აბრეშუმი, აგრეთვე მეფრინველეობის პროდუქტები – კვერცხი და სხვ.[6] საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სენაკი, აბაშა, კულაში, საჯავახო, ქუთაისი, ლანჩხუთი და, განსაკუთრებით სამტრედია, 1880-1890-იანი წლებიდან მეფრინველეობის პროდუქტთა მთავარი მიმწოდებელი პუნქტები იყვნენ[7]. ამიერკავკასიის მთელი სავაჭრო-სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრებისა და კურორტების მომარაგება ცოცხალი თუ დაკლული ფრინველითა და კვერცხით ამ პუნქტებიდან ხდებოდა.

1890-იან წლებში მეფრინველეობა ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისისა და შორაპნის მაზრებში. გუბერნიის ოფიციალური მიმოხილვა იუწყებოდა, რომ 1906 წელს, ჩამოთვლილ მაზრებში გვხვდება მეურნეობანი, რომლებიც ზრდიან 500 ცალზე მეტ სხვადასხვა სახეობის შინაურ ფრინველს... მეფრინველეობის პროდუქტებზე უზარმაზარი მოთხოვნილების მიუხედავად, ფრინველის ხორცი ახლა

---

[1] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, თბ., 1959, გვ. 263.

[2] იქვე, გვ. 263-264.

[3] იქვე, გვ. 268.

[4] ჟიულ მურიე, სამეგრელო, გვ. 279.

[5] იქვე, გვ.268.

[6] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, თბ., 1959, გვ. 625.

[7] Журн. «Кавказское сельское хозяйство», №420, 1902, с. 3.

უფრო ხშირად გლეხობის მიერ მოიხმარება, ვინემ წინა წლებშიო[1]. XIX საუკუნის 90-იან წლებში საშუალოწლიურად გაზრდილი ფრინველიდან (ქათამი, ინდაური, ბატი) სენაკის მაზრის მოსახლეობის ერთ კომლზე საშუალოდ მოდიოდა 389 ფრთა[2].

სამეგრელოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და უძველეს დარგს მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა. XIX ს-ის 40-60-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მეაბრეშუმეობის რაიონებში დაარსებული აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმოებიდან ცნობილია 1847 წელს ფრანგი ვაჭრის, გრაფ როზმორდიუკის მიერ ზუგდიდში გახსნილი აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა (იარსება 1865 წლამდე), ქართველი აზნაურის – ჩიჯავაძის მიერ 1852 წელს სოფ. საბეკაში გახსნილი საწარმო; ამავე წელს აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმო ნ. რაიკომ გახსნა სოფ. მარანში, 1858 წელს ვარიანცმა – სოფ. ორპირში, დეფურმა – ქუთაისში, 1860 წელს ვაჭარმა ბ. სიჭინავამ – სოფ. ლესიჭინეში, 1861 წელს გოხშტრაზერმა – სოფ. მარანში, ცხენისწყლის შესართავთან[3]. ხსენებული ფაბრიკებიდან მნიშვნელოვანი იყო როზმორდიუკისა და გოხშტრაზერისა, სადაც უცხოეთიდან ჩამოტანილი ორთქლის მანქანები ყოფილა მოწყობილი[4]. ბ. სიჭინავას მიერ 1872 წელს ლესიჭინეში ხელმეორედ გახსნილი საწარმო მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გარდამავალი ტიპის საწარმო იყო[5]. 1885 წელს ამ ქარხანაში 8 ორთქლის ქვაბი, ოთხი ცხენის ძალის ერთი ორთქლის მანქანა, 32 დაზგა და ამდენივე თითისტარი მოქმედებდა. საწარმომ 66 მუშით 10 300 მანეთის ნაწარმი დაამზადა[6].

თავად ვასილ ბებუთოვის თხოვნის პასუხად 1852 წელს სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მიერ დაწერილ „უსტარში" აღნიშნულია, რომ აბრეშუმს „ძველთა დროითაგანვე გამოაკეთებდიან მომცრო თავის ოჯახის საჭიროებისათვის ჩასაცმელათ, გარნა ეს მეშვიდე წელიწადია ფაბრიკაც გაკეთდა ზუგდიდს გრაფ როზმორდუქის მიერ, რომელიც სყიდულობს პარკსა და ახვევს ფრანციულ გვარათ. ამან მოიყვანა თან ორი დედაკაცი ფრანციიდან აბრეშუმის ამოხვევის ოსტატნი და პირველ წელიწადსვე ასწავლეს ამათ სხვათა ქალთა აქაურთა გვარი ხვევისა და აწ უკვე არიან ათ-თუთხმეტი მცოდნე ქალი აქაური, რომელნიცა მსგავსათ ფრანციული ქალებისა ახვევენ. ეხლა შენდება დიდი ფაბრიკა, სადაცა დაიდგმის თავის გამართულობით სამოცი მაშინა და წელსავე იწყებს მოქმედებას. შარშან პირველათ ამოიხვა ათსა-მეტი ფუთი ძაფი აბრეშუმისა და გაისყიდა ლიონსა შინა ორას ერგასის მანეთად თითოეული ფუთი... მცხოვრებთა ოჯახში გაკეთებული აბრეშუმი ისყიდება თბილისს, გააქვსთ ოსმალოში, აგრეთვე აფხაზეთში"[7].

ფრანგი მოგზაურის – ჟიულ მურიეს ცნობით, „თითქმის ყველგან, სადაც ვაზი ხარობს, თუთის ხეები გვხვდება. მაშასადამე, თუთის მოსაშენებლად და აბრეშუმის ჭიის მოსაყვანად სამეგრელოზე უფრო შესაფერისი კუთხე არ არსებობს. მიუხედავად ამისა, გლეხობის უვიცობისა და უდარდელობის გამო წარმოების ეს დარგი, სამწუხაროდ, უყურადღებოდაა მიტოვებული" [8].

სენაკის „ოკრუგის" მმართველობა ცდილობდა დახმარებოდა მოსახლეობას აბრეშუმის ჭიის ჯანსაღი თესლის მიწოდებაში. 1863 წლის 30 აპრილს სამეგრელოს, სამურზაყანოსა და სვანეთის მმართველის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათის მონაცემებით იმ დროს ზუგდიდისა (10 912 კომლი) და სენაკის (12 506 კომლი) „ოკრუგში" მცხოვრები 23418 კომლიდან მეაბრეშუმეობას არანაკლებ 10000 კომლისა მისდევდა, და ითხოვდა

---

[1] Обзор Кутаисск. губ. за 1906 г., с. 33-34.

[2] Журн. «Кавказское сельское хозяйство», №435, 1902, с. 341.

[3] ვახტანგიშვილი თ., კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბ., 1976, გვ. 45-46, და იქვე მითითებული ლიტერატურა.

[4] იქვე, გვ. 46.

[5] ვახტანგიშვილი თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 57; სიჭინავა ა., საქართველოში მეაბრეშუმეობის ისტორიიდან (ბასა სიჭინავას აბრეშუმსახვევი საწარმო სოფელ ლესიჭინეში). „მოამბე", I, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ისტორიული მუზეუმის სამეცნიერო-შემოქმედებითი ჟურნალი, ჩხოროწყუ, 2012, გვ. 14.

[6] იქვე, გვ. 58.

[7] მეუნარგია ი., სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, გვ. 102.

[8] ჟიულ მურიე, სამეგრელო, გვ. 271-272.

ორივე ოკრუგის მოსახლეობისათვის 8 ფუთი აბრეშუმის ჭიის თესლის გამოწერას ნუხიდან, ანდა იაპონიიდან და ჩინეთიდან[1].

XIX საუკუნის 90-იანი წლების ამიერკავკასიაში აბრეშუმის პარკის რეალიზაციის მთავარი პუნქტები იყო სენაკი, აბაშა, ხონი, ბანძა, სამტრედია, ლესიჭინე... აბრეშუმის პარკის რეალიზაციის მხრივ მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში გაჩნდა აბრეშუმის პარკის საწყობები, საშრობი და ძაფსახვევი ქარხნები. ასეთ პუნქტებში თავს იყრიდა მეზობელი თემების სხვა პროდუქციაც, რაც ხელს უწყობდა ვაჭრობის განვითარებას[2].

მეაბრეშუმე გლეხის მიერ ნედლი პარკის გაყიდვა ხდებოდა უახლოეს ბაზარში გატანით. ამასთანავე, თვით წარმოების ადგილებში, სოფლებში მოსული წვრილი შემსყიდველები წვრილი მწარმოებლისაგან ადგილზე იძენდნენ ამოხვეულ აბრეშუმს. „შემსყიდველი... წინასწარ ავალიანებდა წვრილმწარმოებელს, აძლევდა მას ბეს, ასესხებდა ფულს, ან ნისიად აწვდიდა მრეწველობის საქონელს თავისი დუქნიდან, ხშირად პირობით, მომავალი მოსავლის (პარკის) ანგარიშში აძლევდა თვით გრენას, რომ გლეხმა, ბოლოს, ვალი აბრეშუმის პარკის ჩაბარებით დაფაროს – რეალიზაციის პერიოდში არსებული მაზანდის (ფასის) მიხედვით. ასეთ პირობებში წვრილი გლეხისაგან პარკის შესყიდვა ხშირად, ეკონომიკურის თვალსაზრისით, არაფრით განსხვავდებოდა პირდაპირი ძარცვისაგან"[3].

გაზეთ „ივერიის" 1893 წლის №125-ში გამოქვეყნდა ინფორმაცია ახალსენაკში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ: წელს აქეთ საზოგადოდ გვარიანი მოსავალი იყო აბრეშუმისა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ფასი არა აქვს. ჯერჯერობით არც არავინ მოსულა მყიდველი. მხოლოდ აქაური ებრაელი ვაჭრები თუ იყიდიან რჩეულ აბრეშუმის ძაფს, 4-5 მანეთად ოყას (3 გირვ.), ისიც ღვთის წყალობაა. აქაურები ისევ ჩვენებურ, ძველებურ ჯიშის აბრეშუმის ჭიის მოშენებას მისდევენ და ამიტომაა, რომ მცირე ფასსაც აძლევენ. წერილში აღნიშნულია, რომ ერთი აქაური მოვაჭრე პავლე ხმალაძე გულმოდგინედ შეუდგა, საზოგადოებისათვის დაენახვებინა, თუ რა კარგი ჯიშისა და რამდენად სასარგებლოა ევროპული ჭიის მოშენება. საბედნიეროდ ხმალაძის შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ამ კაცმა ზოგიერთ ღარიბსა და ხელმოკლე ხალხს მუქთად დაურიგა სათესლედ პარკი და ჩააგონა ამ ჯიშის ყაჭი მოეშენებინათ. რაკი საზოგადოებამ ეს შეიტყო, ყველანი სულ იმის ნატვრაში არიან, ნეტა ვინმე გამოჩნდებოდეს ისეთი კაცი, რომელიც ევროპული ჭიის თესლს მოიტანდეს გასასყიდადაო. კარგას იზამდა ტიფლისის აბრეშუმის სადგურის მმართველი, რომ გამოგზავნიდეს აქ ხალხში გასავრცელებლად და გასასყიდად კარგი ფირმის ჭიის თესლს, რომელიც არამცთუ სენაკის მაზრაში გავრცელდება, არამედ მთელს სამეგრელოსთვის სასარგებლო და ხელსაყრელი იქნება"[4].

ჩარჩ-ვაჭრების მიერ გლეხ მეაბრეშუმეთა ძარცვის შესახებ კორესპონდენციები ხშირად ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე. გაზეთ „ივერიის" 1894 წლის ნომერში ცნობილი საზოგადო მოღვაწე ტრიფონ კალანდარიშვილი წერდა, რომ სამეგრელოსა და, განსაკუთრებით სენაკის მაზრაში, აბრეშუმის კარგი მოსავალი იყო. ეს ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც ასეთი უხვი მოსავალი არ უნახავს ჩვენს ქალებს. მაგრამ უბედურება და სავალალო ის არის, რომ ვიღაც ბერძნებისაგან მიუღიათ ჩვენს ქალებს თესლი, იმ პირობით, რომ რასაც მოიყვანდნენ, იმისი ნახევარი ბერძნებისათვის უნდა მიეცათ. მართლაც, წელს კარგი მოსავალი გამოუვიდა აბრეშუმსა და რაკი ეს ბერძნებმა დაინახეს, მაშინვე მიჰყვეს ხელი თავიანთ ხერხსა და ხრიკს, მაგრამ ამაოდ. ესენი ეუბნებოდნენ ქალებსა, ორი წილი ჩვენია და ერთი წილი თქვენიო, მაგრამ ქალებმა ამ პირობაზე უარი რომ უთხრეს, გულმოსულმა ბერძნებმა შეჰკრეს პირობა სხვა ბერძნებთანაც და ახლა ჩალის ფასად

---

[1] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, გვ. 722.

[2] გ. ელიავა „თეკლათის სასოფლო საბჭოს" ტოპონიმთა ნუსხაში რკინიგზის ბაქნის მახლობლად მიუთითებს ადგილ „ნაყაზარმუს", სადაც ყოფილა აბრეშუმის ყაზარმა. ტოპონიმს ახლავს სილიბისტრო და აპალონ გვარამიების გადმოცემა: აქ ებრაელი კაცი აბრეშუმის პარკს აშრობდა და გასაყიდად სათათრეთში გაჰქონდა. იხ. ელიავა გ., სენაკის რაიონის ტოპონიმია, გვ. 27.

[3] იქვე, გვ. 749.

[4] „ივერია", №125, 16. 06. 1893, გვ. 2.

ყიდულობენ აბრეშუმსა. ცეცხლია აბრეშუმის ასე გაყიდვა, მაგრამ რა ქნან, როდესაც ისევ იმ ბერძნებისაგან ხმა დადის, ვითომც ქარხნებშიც კიტრის ფასი ჰქონდეს აბრეშუმს. თუ ვისმეს გაყიდვა უნდა, ახლა გაყიდოს, თორემ მერე მუქთადაც არავინ წაიღებსო. ამ ამბით შეშინებული ქალები ყიდიან აბრეშუმს იმ ფასად, როგორც ბერძნების სურვილი არის... ჩვენი თვალით გვინახავს: ახალსენაკში ჩამოდიან გატიტვლებული ბერძნები, ძონძებით, მეორე და მესამე თვეზე კი ისე იცვლიან ფერს, რომ ვერც კი იცნობთ[1].

1895 წელს გაზეთ „კვალში" გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან ირკვევა, რომ ხონში, სენაკში, ხობსა და სხვაგან იციან ცხენების, ძროხა-ხარების და სხვა ამგვარი ოთხფეხი საქონლის ყიდვა-გაყიდვა და გაცვლა-გამოცვლა. სამაგიეროდ ოზურგეთის მაზრის სოფელ ქვემოხეთში, თავად ვ. ერისთავის მამულში, 29 ივნისს, პეტრეპავლობას დაწყებული 12-დღიანი ბაზრობა აბრეშუმის ყიდვა-გაყიდვაზეა აღმოცენებული, სადაც ვაჭრები იკრიბებიან თითქმის ყველა ჩვენი დაბა-ქალაქიდან: ქუთაისიდან, ოზურგეთიდან, ნაგომარ-ჩოხატაურიდან, აბაშა-სუჯუნიდან, კულაშიდან და სხვ. ამ ბაზრობას მრავალი სხვადასხვა სოფლები სწვდებიან სავაჭროდ – გურიის უმეტესი ნაწილი, აგრეთვე ნაწილი სამეგრელოსი, საჭილაოს მხარე და იმერეთის სოფლები...[2]

აბრეშუმის პარკზე ფასებს და უცხოეთში კოოპერატიული გზით გასაღებას „მეაბრეშუმეთა ამხანაგობა" აწესრიგებდა. სამეგრელოში საექსპორტო აბრეშუმის მთავარი პუნქტები იყო ახალსენაკსა და აბაშაში. 1897 წელს ქუთაისსა და სენაკში ჩამოყალიბდა მეაბრეშუმეთა ამხანაგობები, რომლებიც „აბრეშუმის პარკის რეალიზაციის საქმეში თანდათანობით უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ისინი კონკურენციას უწევდნენ პარკის შემსყიდველებს და ამ საქონელზე მინიმალური ფასების დაწესების საშუალებას არ აძლევდნენ"[3].

გაზეთ „ჩვენი საქმის" 1909 წლის №7-ში გამოქვეყნდა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის განცხადება აბრეშუმის ჭიის საღი და ხარისხიანი თესლის მიწოდების შესაძლებლობაზე. ამხანაგობის გამგის – კოლია ცაგარეიშვილის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველმა ამხანაგობამ შეიძინა უფრო კარგ პირობებში საღი და უტყუარი აბრეშუმის თესლი „ძმები პასხალიდების" ფირმისა, რომელსაც ამხანაგობამ დაუკვეთა თავის დროზე. ამხანაგობა ურჩევდა მეაბრეშუმეებს, რომ შეეძინათ აბრეშუმის ჭიის თესლი მეაბრეშუმეთა ამხანაგობისაგან და ყიდვის დროს მიექციათ ყურადღება ამხანაგობის ფირმისა და ბეჭდისათვის. ამხანაგობის ჭიის თესლი იყიდებოდა სოფელ კუხში (ამხანაგობის კანტორაში), ბათომში, ოზურგეთის მაზრაში, ქუთაისში, დიდ ჯიხაიშში, ხონში, სამტრედიაში, ნაოღალევსა და სხვაგან. ჭიის თესლის შეძენა შესაძლებელი იყო აგრეთვე ახალსენაკში, ვარლამ ალექსის ძე ჩაჩიბაიასთან[4].

გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა მეაბრეშუმეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის პოპულარიზაციისათვის. თქმულის საილუსტრაციოდ აქვე დავიმოწმებთ გაზეთ „ივერიაში" 1899 წელს ტრიფონ კალანდარიშვილის ავტორობით გამოქვეყნებულ პუბლიკაციას, ახალსენაკში სოფლის ნაწარმის გამოფენის მოწყობის შესახებ. 20 ივლისს ახალსენაკში გაიმართა სოფლის ნაწარმის გამოფენა იოსებ ქუთათელაძის[5] თაოსნობით. გამოფენამ სამ დღეს გასტანა. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს სამინისტრო და საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლებმა და სოფლებმა. 20 ივნისს აქაური ნორმალური სკოლა, სადაც გამოფენა იყო მოწყობილი, მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა. დილიდან ხალხი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი,

---

[1] „ივერია", №144, 8. 07. 1894, გვ. 2.

[2] „კვალი", №37, 1895, გვ. 6-7.

[3] ხოშტარია ე., კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865-1900 წწ.). ვაჭრობა და კრედიტი. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", ტ. V, თბ., 1970, გვ. 423.

[4] „ჩვენი საქმე", №7, 12. 02. 1909, გვ. 4.

[5] იოსებ იაკობის ძე ქუთათელაძე იყო მეაბრეშუმოების ცნობილი სპეციალისტი, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, წარმოშობით ქალაქ ხონიდან.

ყველა გამოფენაზე მიეშურებოდა, სადაც მაგიდებზე ეწყო სოფლის ნაწარმი. ამ აუარებელ ხალხს ი. ქუთათელაძე უხსნიდა, თუ როგორი მოვლა-მოშენება ესაჭიროებოდა აბრეშუმის ჭიას. ხალხი დიდ მადლობას სწირავდა ქუთათელაძეს და სთხოვდა, რომ, რადგანაც იგი ესოდენ თავდადებულია ხალხის ეკონომიკური წარმატებისათვის, მომავალი წლისათვის აბრეშუმის საღი თესლი გაევრცელებინა ხალხში. ქუთათელაძეც ამ თხოვნაზე ხალხს ჰპირდებოდა შეძლებისდაგვარად დახმარებას. მეორე დღეს, 21 ივნისს, ბატონმა ქუთათელაძემ აბრეშუმის ძაფის რიგიანი ამოხვევა აჩვენა მეაბრეშუმეებს. მესამე დღეს საპატიო კაცთა თანდასწრებით გარჩევა იყო ადგილობრივი ნაწარმის სიავკარგისა: სხვადასხვა კაცისაგან წარმოგზავნილი იყო სულ 92 ექსპონატი. ამათში უმეტესი ნაწილი აბრეშუმის პარკი იყო სხვადასხვა ფირმისა, აგრეთვე აბრეშუმის დარაიები და აბრეშუმის ძაფი, ადგილობრივ ამოხვეული და სხვ.[1]

1908 წელს ახალსენაკის რკინიგზის სადგურიდან გატანილი მეაბრეშუმეობის პროდუქტები შეადგენდა 8707 ფუთს, 1912 წლისათვის – 8799 ფუთს, 1914 წლისათვის – 3771 ფუთს. 1908 წელს აბაშის სადგურიდან გატანილ იქნა 3468, 1912 წ. – 3024, ხოლო 1914 წ. – 1190 ფუთი. ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელოვან სადგურს წარმოადგენდა სამტრედიაც. 1908 წელს აქედან გაიტანეს 13920, 1912 წ. – 14888, 1914 წ. – 13171 ფუთი მეაბრეშუმეობის პროდუქტი[2].

I მსოფლიო ომის წლებში და შემდგომ სამეურნეო პროდუქტებისა და აბრეშუმის პარკის წარმოების კოეფიციენტმა საგრძნობლად იკლო. „1914 წელს სენაკის მაზრაში წარმოებულ იქნა 3771 ფუთი აბრეშუმის პარკი, ე. ი. თითქმის 5 ათასი ფუთით ნაკლები, ვიდრე 1912 წელს, აბაშაში – 1190 ფუთი, ანუ 1834 ფუთით ნაკლები"[3].

1919 წელს სენაკის მაზრის ერობის სხდომაზე სამაზრო ერობის წევრი კალანდარიშვილი აღნიშნავდა, რომ „მეაბრეშუმეობას ჩვენი ხალხი ძალიან მისდევს, მაგრამ მას ხელისშემწყობი არავინ გამოუჩნდა და წლეულს ცუდი ბედი ეწია. აბრეშუმის პარკი ბევრი იყო დამზადებული, მაგრამ მთავრობამ გამოაცხადა მცირე ფასები, მცხოვრებლებმა არ ისურვეს გაყიდვა და პარკი ძაფად ამოიღეს"[4].

გამშრალი და დახარისხებული პარკი იყიდებოდა არა მხოლოდ სენაკის ბაზარზე, არამედ იგზავნებოდა ფოთსა და ბათუმში, აქედან კი უცხოეთში საექსპორტოდ. აბრეშუმის პარკის ექსპორტი ძირითადად ამ წესით წარმოებდა 1900-იან წლებშიც.

პარკისათვის საჭირო იყო ორთქლის სახრჩოლავები. სოფლის მეურნეობისა და მეაბრეშუმეობის ამხანაგობები ქუთაისში, ხონსა და სენაკში მცხოვრებ მეაბრეშუმეებს დახმარებას უწევდნენ, რაც გამოიხატებოდა მსურველთა აბრეშუმის პარკით უნაცვალგებოდ შეხრჩოლვაში. ეს შეღავათი ნაკლებ ეფექტური და, რაც მთავარია, არამასობრივი იყო[5]. საზოგადოებრივი სახრჩოლავების ორგანიზაცია მეაბრეშუმეობის რაიონებში გაცხოველდა XIX ს-ის 90-იანი წლებიდან. სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებიდან გამოირჩეოდა: მეაბრეშუმეობის ამხანაგობა „კოლხიდა" ქუთაისში, „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა" ხონსა და კუხში (დაარსდა 1895 წელს). 1896 წლიდან ასეთი ამხანაგობა მოქმედებდა სენაკში, „შუამავლის" სახელწოდებით. აბრეშუმის შეხრჩოლვა და გაშრობა მოეწყო ახალსენაკში, წალენჯიხაში, ჭაქვინჯში, ზუგდიდში, გურიის დაბა-სოფლებსა და სხვ., რასაც მეაბრეშუმეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა[6]. ამასთანავე, 1906 წლისათვის, აბრეშუმის პარკის ბაზარი საზოგადოებრივი სასწორით, მოეწყო ქუთაისში, ხონში, ზუგდიდში, წალენჯიხაში, აბაშაში, ნაოღალევში, სამტრედიასა და ა. შ.[7]

---

[1] „ივერია", №141, 6. 07. 1899, გვ. 2.

[2] გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში. ტ. III, გვ. 763.

[3] დავითაია ბ., ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე, თბ., 1976, გვ. 13.

[4] სცსა, ფონდი 1863, აღწ. 1, საქმე 927, გვ. 31; დავითაია ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 13-14.

[5] Отчет о деятельности Кавказской шекловодственной станции в 1906 г., с. 21; გუგუშვილი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. III, გვ. 760.

[6] გუგუშვილი პ., დასახელებული ნაშრომი, III, გვ. 761-762.

[7] იქვე, გვ. 762.

1906 წელს გაზეთ „მეგობარში" გამოქვეყნდა მცირე ინფორმაცია დაბა ახალსენაკში სამეურნეო განათლების მქონე ახალგაზრდობის მიერ ამხანაგობის ჩამოყალიბების შესახებ. მასში აღნიშნულია, რომ ახალგაზრდებს აზრად აქვთ მეურნეობის განვითარება და გაუმჯობესებული კულტურის შეტანა სამეგრელოს მეურნეობაში. ამხანაგობას მიუმართავს სახელმწიფო ქონებათა გამგეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად, როგორც მატერიალურად, ისე საჭირო ცნობების მიწოდების თვალსაზრისით[1].

ამხანაგობები სამეურნეო ცოდნის გავრცელების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდნენ. ამხანაგობის კაპიტალიც სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას ხმარდებოდა. ამასთანავე, კოოპერაციული გაერთიანებების მთავარ დანიშნულებას ჩარჩ-ვაჭრებისა და სპეკულიანტების წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

სამეგრელოში სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობების დაარსების აუცილებლობას ასაბუთებდა ტრიფონ კალანდარიშვილი თავის წერილში, სადაც აღნიშნავდა: სამეგრელო მოკლებულია ყოველგვარ ეკონომიურ დაწესებულებას. ამიტომ ფრიად საჭირო და სასურველია სამეგრელოს შუაგულ ადგილში დაარსდეს ე. წ. სავაჭრო და სამრეწველო ამხანაგობები. ეს მით უფრო საჭიროა, რადგან სამეგრელოში ვაჭრობა და აღებმიცემობა, აქაური ნაჭირნახულევი სულ ჩალის ფასად მიაქვთ გარდმოხვეწილს და ამჟამად გამდიდრებულს ახალსენაკელ ბერძნებს... სიმინდი, რაც ერთადერთი წყაროა მთელი სამეგრელოს მცხოვრებთათვის, აგრეთვე აბრეშუმი, თუთუნი, ხურმა, თაფლი, დაფნის ფოთოლი და სხვა, დღეს ყოველივე ესე უფლისად ახალსენაკელი ბერძნების ხელშია. ახლა, რაკი სიმინდის ფასი დაეცა და გასავალი არა აქვს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს აბრეშუმის ვაჭრობას. ბერძნებმა სამეგრელოს დაბა-სოფლებში გაავრცელეს თავიანთი აბრეშუმის თესლი. მწარმოებლისაგან მეგრულს დიდს ორ ქილა უმს პარკს ღებულობენ. ამათ გამართეს აგრეთვე პარკის სახმობი ფარდულები იქ, სადაც სოფლელები უფრო ეტანებიან აბრეშუმის მოვლა-მოშენებას. ასე და ამგვარად, წლევანდელი აბრეშუმის მოსავალი ბერძნების ხელში იქნება და ღმერთმა უწყის, თუ რა ფასად მიიღებენ ეს „ბატონები". შარშანაც მუქთად ჩაიგდეს აბრეშუმის მოსავალი ბერძნებმა ხელში და წელს რაღა სულგრძელობას უნდა მოველოდეთ იმათგან? ამიტომ დიდად საჭიროა, რომ დაარსდეს აქეთ „შუამავალი" პირდაპირ ამ საქმისათვის, რადგანაც აბრეშუმის მოვლა-მოშენებამ წლითიწლობით თანდათან იმატა... ამგვარი დაწესებულება ჩვენის დღევანდელ ჩაგრულ მეურნეთა ეკონომიკური წარმატების ლამპარია... „შუამავლის" და ამხანაგობის დაარსება ერთობ კარგია, მაგრამ სად? ტრიფონ კალანდარიშვილი – წერილის ავტორი – ფიქრობს, რომ ამხანაგობა უმჯობესია დაარსდეს ახალსენაკში, მითუმეტეს, რომ სამეგრელოს შუაგული ადგილი ახალსენაკია. აქ მიმოსვლა უფრო ძლიერია, ვიდრე სხვაგან. უვლის რკინიგზა, რომელიც სანატრელია ამ საქმისათვის. ასეა თუ ისე, ახალსენაკისთანა მარჯვე და ხელმისაწვდომი ადგილი მთელს სამეგრელოში მეორეც არ მოიძებნება. ამიტომ ურიგო არ იქნება, უწინარეს ყოფლისა, ახალსენაკელებმა მოკიდონ ხელი ამ საზოგადო და სამადლო საქმეს. წერილის ავტორი მოუწოდებდა ახალსენაკის თავადაზნაურობას, ინტელიგენციას და ვაჭრებს, მხარი დაეჭირათ ამ სამომავლო და კეთილი საქმისათვის[2].

ტრ. კალანდარიშვილის წერილს გამოეხმაურა გაზეთი „ცნობის ფურცელი". მართალია, ამჟამად სოფ. ძველ სენაკში დაარსდა სამეგრელოს ამხანაგობა „შუამავალი", მაგრამ მისი მოქმედება ძველ სენაკში ვერაფერს ხეირს დააყრის ჩვენს დღევანდელს დაქვეითებულ მდგომარეობას. მით უფრო, რომ იგი მიყრუებულ ადგილას არის და იქიდან კონკურენციას ვერ გაუწევს ახალსენაკელ ჩარჩ ბერძნებს. ამიტომ ვურჩევ „შუამავლის" დამაარსებელთ, თუ სურთ ჩარჩ-ბერძენთა მსხვერპლი მოძმეების ნივთიერი დახმარება და ხელშეწყობის აღმოჩენა, გადმოიტანონ იქ, სადაც ბერძნები უფრო აღვირახსნილად მოქმედებენ. აი, ამგვარი ადგილია ახალსენაკი და აქ უფრო სიკეთეს მოუტანს „შუამავალი" მთელ სამეგრელოს მცხოვრებთ, ვიდრე სოფ. ძველ სენაკში[3].

---

[1] „მეგობარი", №67, 15. 12. 1906, გვ. 3.

[2] „ცნობის ფურცელი", №212, 1897, გვ. 3.

[3] „ცნობის ფურცელი", №242, 1897, გვ. 3.

გაზეთ „ჩვენი საქმის" კორესპონდენტი „ამან" 1909 წელს საყურადღებო ინფორმაციას აქვეყნებს დაბა ახალსენაკში მოქმედი ამხანაგობის შესახებ: „დღემდე საზოგადოება გულგრილათ ეკიდებოდა დ. ახალსენაკში რამოდენიმე პირის ინიციატორობით დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „მეურნეს", რადგან მას მასზე არ ქონდა ნათელი წარმოდგენა, მაგრამ ამან ოდნავ არ შეაშინა ამხანაგობის წევრები და განაგრძობდენ მუშაობას: ამზადებდენ მრავალ სხვადასხვა მცენარეთა დამყნობილ ნერგებს, განსაკუთრებით – ვენახებისას და სხვადასხვა საბოსტნე თესლებს. და ყველა ამათ ხელმისაწვდომ ფასათ აწვდიდენ მსურველთ. დღეს ამხანაგობის სინდისიერმა მუშაობამ დააინტერესა მცხოვრებნი და ბლომათ მოაწყდა მას. რაკი დაინახა ფართე ნიადაგი, ხსენებულმა ამხანაგობამ წევრთა მიღება განუსაზღვრელი გახადა. ღებულობენ ყველას, ვინც გადაიხდის საწევრო ფულს, რაიც უკანასკნელ გლეხისათვისაც მისაწვდომია. მარტო წარსულ იანვრის შუა რიცხვებიდან ამხანაგობა „მეურნეს" წევრათ მიღებულ იქმნა 50-ზე მეტი კაცი. ახალი წევრები სარგებლობენ იმავე უფლებებით, როგორითაც ძველები. ამავე საზოგადოებამ მოისურვა სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლათ უფასო საჯარო ლექციების გამართვა სამეგრელოს სხვადასხვა დაბა სოფლებში, რისთვისაც იწვევენ მცოდნე პირებს"[1].

წერილში აღნიშნულია, რომ ამხანაგობის თხოვნით ახალსენაკში ლექცია წაუკითხავს ქუთაისიდან მოწვეულ ნ. თ. მკურნალს, შემდეგ თემაზე: „სამეგრელოში მეურნეობის შესახებ". ამხანაგობების დაარსებას საერთოდ დიდი ყურადღება ექცეოდა 900-იან წლებში. გაზეთი „ჩვენი აზრი" 1909 წელს წერდა, რომ კავკასიის ნამესტნიკი არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნის ამასწინათ მიწათმოწყობისა და მიწათმოქმედების მთავარ სამმართველოში დასამტკიცებლად წარდგენილ წესდებას დაბა ახალსენაკში ამხანაგობა „მეურნეს" დაარსების შესახებ[2].

იმავე გაზეთის ცნობით სენაკში არსებულ ამხანაგობა „მეურნეს" დაუარსებია „საპაიო ამხანაგობა"[3].

გაზეთ „ფონის" ინფორმაციით, ვ. ხორავამ, დ. ხუნწარიამ[4] და სხვებმა აღძრეს შუამდგომლობა სენაკში კოოპერატიული მომხმარებელი საზოგადოების დაარსების შესახებ და წესდებაც აგერ თვეზე მეტია, რაც წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად. აღსანიშნავია, რომ წესდებით თითო საწევრო პაი ღირს ერთი მანეთი, რითაც საშუალება ეძლევა ღარიბ სოფლელსაც, ჩაეწეროს წევრად ამ კოოპერატივში, რომელსაც, როგორც „ერთობის დუქანს", უნდობლად და დაცინვით ეკიდება ზოგიერთი აქაური ვაჭარ-მეშჩანი[5].

ამხანაგობებში გაერთიანებულებს შეჰქონდათ გარკვეული თანხა, რასაც განკარგავდა ამხანაგობის მიერ არჩეული გამგეობა. ამხანაგობის უმრავლესობას განსაზღვრული ჰქონდა მოქმედების ვადა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულმა ამხანაგობა „მეურნემ" უკვე დაიწყო თავისი საქმიანობა, – წერდა გაზეთ „ფონის" კორესპონდენტი „სტუმარი", – ჯერჯერობით მასში ითვლება 150 წევრი. საწევრო პაი ღირს 5 მან. ამხანაგობამ აგვისტოს პირველ რიცხვებში აირჩია გამგეობა, რომელიც, იმედია, ფრთხილად და მუყაითად მოეკიდება ამ ერთადერთ სამეურნეო კოოპერატივს და მით გულს არ გაუტეხს ხალხს საზოგადო საქმისადმი[6].

ამხანაგობები არსდებოდა სენაკის მიმდებარე სოფლებშიც. ასე, მაგალითად, სოფ. უშაფათში გლეხებმა დააარსეს ამხანაგობა „ოდიში", რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული მეურნეობის

---

[1] „ჩვენი საქმე", №18, 25. 02. 1909, გვ. 4.

[2] „ჩვენი აზრი", №9, 9. 05. 1909, გვ. 4.

[3] „ჩვენი საქმე", №6, 1909, გვ. 4.

[4] შესაძლებელია ეს პიროვნება იყოს გაზეთ „ცნობის ფურცლის" 1898 წლის №484-ში ახალსენაკის გილდიის ვაჭრად დასახელებული მარკოზ გიორგის ძე ხუნწარია, რომელსაც ისულას წმ. ბარბარეს ეკლესიისათვის შეუწირავს სულ 120 მან. ღირებულების საეკლესიო ნივთები (გარდამოხსნა, ბაირაღი, სანაწილე, ხატების წინ დასადგამი სასანთლე, მაცხოვრის ხატი, ტრაპეზის წინ დასაგები ნოხი, საცეცხლური, სტიქარი.

[5] „ფონი", №5, 4. 10. 1909, გვ. 2-3.

[6] „ფონი", №1, 6. 09. 1909, გვ. 7.

რიგიანად შესწავლა და სამეურნეო ცოდნის გავრცელება სამეგრელოს გლეხთა შორის. ამ მიზნით შეიმუშავეს კიდეც წესდება და დასამტკიცებლად გააგზავნეს ქუთაისის გუბერნატორთან[1].

გაზ. „ივერიის" ცნობით ძველი სენაკის მეაბრეშუმეთა სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი" დაარსებულა 1897 წელს. მასში 1902 წლის მონაცემებით გაერთიანებული იყო 260 წევრი. ამხანაგობის გამგეობაში აირჩა ა. ს. წითლიძე, მოლარედ – თავადი ლ. ჩიჩუა, მდივნად – პ. ე. ლორთქიფანიძე, წევრებად – ს. ი. ენუქიძე და ბ. გ. ბერიძე, სარევიზიო კომისიის წევრებად – თავადი ოტია დადიანი, თავადი გიორგი ჩიჩუა და ბლაღოჩინი მღვდელი ა. კალანდარიშვილი[2].

1916 წელს გაზეთ „თანამედროვე აზრში" გამოქვეყნებული ცნობით, ძველ სენაკში ამას წინათ დახურულმა მომხმარებელთა საზოგადოება „შრომის კავშირმა" ამ დღეებში კვლავ განაახლა მუშაობა. ამასთანავე, სენაკის მაზრის ყველა საკრედიტო ამხანაგობამ რჩევა მიიღო ბიუროსაგან, რომ ხელი შეუწყონ მომხმარებელი საზოგადოების დაარსებას. ამის შესახებ უმრავლესობას კიდეც მიუღია ზომები[3].

I მსოფლიო ომის პერიოდში თავი იჩინა სურსათის სიმცირემ და ფასების ზრდამ. 1919 წლის მონაცემებით სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში ერთი ფუთი სიმინდის ღირებულება 80 მან. ყოფილა[4]. მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობის სურსათ-სანოვაგის მიწოდებას ქალაქის მმართველობა და ამხანაგობები უზრუნველყოფდა. 1915 წელს დაბა ახალსენაკმა ეკონომიური საზოგადოებისაგან გამოგზავნილი 1000 ფუთი სიმინდი მიიღო. აქედან 47 ფუთი სიმინდი არგუნეს აბედათის საზოგადოებაში მცხოვრებთ, და, როგორც გაზეთ „თანამედროვე აზრშია" მითითებული, „კიდეც დარიგდა დანიშნულებისამებრ, რისთვისაც დიდ მადლობას სწირავენ პატივცემულ საზოგადოებას, ასეთ უკიდურეს გაჭირვებულ დროში დახმარებისათვის"[5].

მეცხოველეობის პროდუქტთა შორის უმნიშვნელოვანეს როლს რძე და რძის ნაწარმი თამაშობდა. ახალსენაკის გარეუბნების (საქაჩიბაიო, საკინწურაშვილო, სალომიო, ნატოჩაო...) მცხოვრებნი ძროხებს სწორედ რძის წარმოებისათვის ინახავდნენ, ხოლო რძის ნაწარმის უმი სახით გასაღების ვრცელ ბაზარს ახალსენაკი წარმოადგენდა. მეცხოველეობის დანარჩენი პროდუქტებიდან იყიდებოდა ძროხის, ხბოს, კამეჩის, ღორის ხორცი, ღორის ქონი, ტყავი, პირუტყვის ნამატი, დაკლული და ცოცხალი ფრინველი, ქათმის კვერცხი, ღინღლი და ბუმბული, თაფლი, სანთელი, სკა, აბრეშუმის ნედლი პარკი და ა. შ. მეცხოველეობის პროდუქტები გადიოდა მსოფლიო ბაზრებზე: მარსელში – აბრეშუმი და მატყლი, ლონდონში – კვერცხი და ა. შ.

საექსპორტო ვაჭრობის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენდა აგრეთვე ბზა, სელი, თამბაქო, დაფნის ფოთოლი, კაკალი და კაკლის ხე, ხის ტკეჩი (საკასრე ფიცარი), შეშა, თევზეული და სხვ.[6]

XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ახალსენაკი სამრეწველო აღმავლობას განიცდიდა. იქმნებოდა ახალი საწარმოები წვრილი ერთეულების სახით. 30-იანი წლებიდან დაწყებული საგრძნობი წინსვლა განსაკუთრებით რეფორმისშემდგომ პერიოდში დაჩქარდა, რასაც ხელი შეუწყო რკინიგზის მშენებლობამ და საგლეხო რეფორმის გატარების შედეგად თავისუფალი მუშახელის რიცხვის ზრდამ.

XIX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში სახაზინო ტყის ყველაზე მეტი ფართობი (33%) ლეჩხუმის მაზრაზე მოდიოდა; შემდეგ მოსდევდა ოზურგეთის მაზრა (23%), სენაკისა და ზუგდიდის მაზრები (2%), სადაც მემამულეთა ტყეები გაცილებით ჭარბობდა[7]. ასე თუ ისე სწორი ექსპლუატაცია წარმოებდა დადიანის მამულებში. მისი კუთვნილი ტყეები მდ. ტეხურაზე და სოფ. ჭალადიდის მიდამოებში მდებარეობდა. კუთვნილი ტყეები ჰქონდათ აგრეთვე აზნაურ გეგელიებს, მდ.

---

[1] „ჩვენი საქმე", №6, 1909, გვ. 4.

[2] „ივერია", №75, 1902.

[3] „თანამედროვე აზრი", №28, 1916.

[4] მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები (1892-1921 წწ.), ქუთ., 1993, გვ. 310.

[5] „თანამედროვე აზრი", №138, 1915.

[6] ჟიულ მურიე, სამეგრელო, გვ. 279-281.

[7] მუშკუდიანი ქ., ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ დასავლეთ საქართველოში, თბ., 1982, გვ. 23.

აბაშაზე, და დადიანებსა და მხეიძეებს – მდ. რიონის პირას[1]. ლანჩხუთისა და ჭალადიდის ტყეებში საშეშე და ნაწილობრივ სამშენებლო მასალის დამუშავება წარმოებდა ამხანაგობების – „დიდია და ქავთარაძე", „დიდია და გაბელია" და სხვების მიერ[2]. სენაკის მაზრის კერძო ტყეების ექსპლუატაციას 1900 წლიდან ეწეოდნენ ნავთის მრეწველი არამიანცი, ჯალალოვი, პოლეშჩუკი და სხვანი[3].

საერთო სამრეწველო აღმავლობის პირობებში ვითარდებოდა ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობაც. სენაკის მაზრის ბუნებრივი სიმდიდრეების ასათვისებლად ახალ პერსპექტივებს შლიდა ამიერკავკასიისა და ფოთის ნავსადგურის მშენებლობა. 1881 წლის მონაცემებით თვით ქალაქ ფოთში მცირე სიდიდის 6 მექანიკური ქარხანა მუშაობდა, სადაც დასაქმებული იყო 62 მუშა და მზადდებოდა 45 000 მანეთის წლიური პროდუქცია[4]. 1886 წლისათვის აქ 8 სახერხია აღრიცხული[5]. ორთქლის ძრავით მომუშავე ქარხნები, გარდა ფოთისა, საექსპლუატაციო ტყის მასივების მახლობლად და, ამავე დროს, მზა ნაწარმის სარეალიზაციოდ, მოსახერხებელ ადგილებშიც იყო დაარსებული. სენაკის მაზრაში ასეთი იყო სოფ. ჭალადიდში მდებარე დ. გამსახურდიას სახერხი, სადაც 1884 წელს დასაქმებული იყო 6 მუშა. 3300 მან. ღირებულების წლიური პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე საღდებოდა[6].

1887 წელს სოხუმის მიდამოებისა და ფოთის მექანიკური სახერხების გარდა, დასავლეთ საქართველოში იყო კიდევ ოთხი მცირე სიდიდის საწარმო. ამათგან სამი შორაპნის და ერთიც სენაკის მაზრაში მოქმედებდა[7]. ერთ-ერთი მსხვილი კაპიტალისტური სამრეწველო საწარმო იყო ცნობილი პედაგოგის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის – ილია ოქრომჭედლიშვილის (1838-1898 წწ.) მიერ სადგურ სამტრედიასთან ახლოს, სოფ. საჭილაოში გახსნილი სახერხი ქარხანა, საიდანაც ხის მასალით მარაგდებოდა ბათუმის სამრეწველო საწარმოები. თვით ქარხანა მდ. ცხენისწყლის საშუალებით ხე-ტყეს სვანეთის მდიდარი ტყის მასივებიდან იღებდა[8]. 1890 წლის იანვარში მან ლეჩხუმის მაზრაში, მდ. ცხენისწყლის ხეობაში, ნ. დადიანისაგან იჯარით აიღო 200000 დესეტინა ტყე, მოიწვია სპეციალისტი ინჟინერი, შეადგინა ცხენისწყლის კალაპოტის გაწმენდის ხარჯთაღრიცხვა, სახერხი ქარხნისათვის გამოიწერა მანქანები და ჩაატარა სხვა მოსამზადებელი სამუშაოები[9]. აბაშის მახლობლად, რიონ-ცხენისწყლის შესართავთან მდებარე საჭილაოს ქარხანა გათვალისწინებული იყო მილიონ კუბურ ფუტზე მეტი ხე-ტყის გადასამუშავებლად[10]. ცალობით დაცურებული მორების შესაჩერებლად ქარხნის ახლოს, მდინარეზე, ერთმანეთისაგან 4-5 არშინის დაცილებით, სამ მწკრივად იყო განლაგებული ხიმინჯებიანი ზღუდეები. მდინარეში ჩაყრილი მორების რაოდენობა 8-9 ათასს და ზოგჯერ მეტსაც აღწევდა, რომლებიც ნაპირზე 200-400 ცალობით იტვირთებოდა[11]. ქარხანაში დასაქმებული იყო დიდძალი მუშახელი, როგორც ახლომდებარე სოფლებიდან, ისე ქუთაისის გუბერნიის სხვა მაზრებიდან. მაგალითად, 1904 წლის მონაცემებით, ქარხანაში დასაქმებული იყო 100, ხოლო ქარხნის გარეთა სამუშაოებზე – 400 მუშა[12].

საჭილაოს სახერხი ქარხნის გახსნით ილია ოქრომჭედლიშვილი, როგორც აღვნიშნეთ, მიზნად ისახავდა ბათუმის სამრეწველო საწარმოთა ხის მასალით მომარაგებას. ქარხანა აგებული იყო იქ, სადაც ცხენისწყალს რკინიგზა კვეთდა. საჭილაო სამტრედიას დაშორებული იყო 3, ფოთს – 60,

---

[1] იქვე, გვ. 24-25.

[2] მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 50

[3] Долгушин А. А., Леса Закавказья и их эксплуатация, Тиф., с. 60.

[4] მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

[5] "Кавказский календар", 1882, с. 218.

[6] სსცია, ფ. 254, ან. 3, საქ. 1508, ფურც. 297-319; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

[7] მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 80, და იქვე მითითებული ლიტერატურა; საისტორიო მოამბე, №9, თბ., 1956, გვ. 104.

[8] მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

[9] მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 26-27.

[10] Кавказское сельское хозяйство, 1894, стр. 82.

[11] იქვე, გვ. 27-28.

[12] გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, დოკ. №1980; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.

ხოლო ბათუმს – 97 ვერსით[1]. „ქარხანაში 3 სახერხი დაზგა იდგა, მათგან ორი ჩარჩოიანი, რომელიც საყუთე მასალას ამზადებდა და ერთი მრგვალხერხიანი. ისინი მოძრაობაში მოჰყავდა 30 ცხენისძალიანი ორთქლის ქვაბით მოქმედ „ჰორიზონტალურ" მანქანას. ქარხანას წელიწადში ერთ მილიონამდე კუბური ფუტის მერქნის გადამუშავება შეეძლო"[2]. საჭილაოში ქარხნის გახსნას ხელის შეშლის გარეშე არ ჩაუვლია. ახალი საწარმოს გახსნას განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა დადიანის მოურავი და ლეჩხუმის მაზრის ადმინისტრაცია. ცალკეულ პირებთან კონფლიქტის შესახებ ი. ოქრომჭედლიშვილი პრესაში წერდა, რომ „ეს ბრძოლა უფრო გამიჭირდა, ვიდრე კლდეთა და ქვათა რღვევა და მტვრევაო". 1894 წლის 20 აგვისტოს გაჩენილმა ხანძარმა ქარხნის დიდი ნაწილი დააზიანა, თუმცა გადარჩა ფიცრების საწყობი შენობა და მოსამსახურეთა სადგომი. ქარხნის დაწვით შეწუხებული საჭილაოს გლეხობა, რომელთაც სამუშაო ადგილზე ჰქონდათ და ტყის მასალის ყიდვაც ადვილად შეეძლოთ, ქარხნის აღდგენის მიზნით თავისი ხარ-კამეჩით სამუშაოდ გამოვიდა. მალე საწარმო განახლდა და კვლავ სრული დატვირთვით ამუშავდა[3]. 1894 წელს ქარხანაში 30 მუშა იყო დასაქმებული, ხოლო წლიური პროდუქციის ღირებულება 25000 მანეთს შეადგენდა. 1897 წლისათვის 60-მდე გაიზარდა საწარმოს მუშების რიცხვი, ხოლო პროდუქციის რაოდენობა – 100 000 მანეთამდე. მუშის დღიური ხელფასი მერყეობდა 50-დან 80 კაპიკამდე, ხოლო ერთი უღელი ხარ-კამეჩით მომუშავე დღეში 1 მანეთსა და 60 კაპიკს იღებდა[4]. 1898 წელს საჭილაოს სახერხმა ქარხანამ ბათუმის ქარხანას 500-600 ათასი ცალი საყუთე მასალა მიაწოდა.[5]

სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლების კაპიტალისტურ საწარმოთა შესახებ მოძიებული ცნობების ანალიზის საფუძველზე მკვლევარი ლ. ბერძენიშვილი დაასკვნის, რომ XX საუკუნის პირველ ათწლეულში სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლების სამრეწველო საწარმოები უწვრილესი საწარმოო ერთეულები იყვნენ. მათი აბსოლუტური უმრავლესობა „სახელოსნოების" ხასიათს უფრო ატარებდა, ვიდრე „ფაბრიკისა" ან „ქარხნისას", ამ სიტყვის ნამდვილი მეცნიერული გაგებით, და, ამდენად, განეკუთვნებოდნენ წვრილ კაპიტალისტურ საწარმოებს. მათ რიცხვში შედიოდნენ ყველაზე პრიმიტიული საწარმოები – აგურის, კრამიტის, წყლის წისქვილები და სხვ. მათი მფლობელნი იყვნენ გლეხობის, ხელოსნების, ვაჭრებისა და, ძალიან იშვიათად, თავადთა წრიდან გამოსული, ან გარედან მოსული საქმოსნები. საწარმოთა ტექნიკური ბაზა უმეტესწილად მეტად პრიმიტიული იყო. ყველა საწარმოო ოპერაცია ხელით სრულდებოდა, მაგრამ ქვეყანა მაინც კაპიტალისტური ცხოვრებით სუნთქავდა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძველზე მიმდინარეობდა[6].

ხელოსნობის მიმართულებით სენაკის მაზრაში არსებულ მდგომარეობაზე კარგ წარმოდგენას იძლევა სამაზრო ერობის ხმოსანთა 1918 წლის ყრილობაზე წარმოდგენილი ტექნიკური განყოფილების ანგარიში, რომლის მიხედვით მაზრაში მოწყობილი იყო საკუთარი სახელოსნო, სამი განყოფილებით: სადურგლო, საზეინკლო-სამჭედლო და თუჯის სადნობი... შემდეგში ვეცდებით, მოვაწყოთ საკუთარი ხე-ტყის სახერხი მანქანაო, – აღნიშნულია ანგარიშში[7].

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ი. ოქრომჭედლიშვილის არქივი, დოკ. №1978, გვ. 1; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 93.

[2] იქვე, გვ. 93.

[3] გაზ. „ივერია", №181, 1894; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

[4] მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 94.

[5] ЦГИА СССР, ф. 22, оп. 2, г. 1958, с. 134; მუშკუდიანი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 95.

[6] ბერძენიშვილი ლ., აღმოსავლეთ საქართველოს სავაჭრო-სახელოსნო დაბა-სოფლები 1865-1917 წლებში, თბ., 1990, გვ. 30.

[7] სცსა, ფონდი 1863, აღწ. 1, საქმე 927, გვ. 31; დავითაია ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 15.

Igor Kekelia
Akaki Tsereteli State University
Edisher Baghaturia
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

FROM THE SOCIO-ECONOMIC HISTORY OF SENAKI (XIX C. 70S-90S)

RESUME

The development of Senaki as a city-like settlement began in 1870. It served as an administrative center and trade-workshop settlement, playing a significant role in farming, cattle breeding, cottage industry, and more.

During the late 19th and early 20th centuries, the socio-economic changes in Akhalsenaki had a positive impact on the town's external appearance and urban development. This was evident in the combination of traditional national architectural forms with new classical building structures, giving the town a vibrant and distinctive look.

იგორ კეკელია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბაშის ხეობის გზებისა და თავდაცვითი ნაგებობების ისტორიისათვის – I

შესავალი

ანტიკური და ფეოდალური ხანის ეგრისის (ლაზეთის) სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამიმოსვლო გზები, გზაჯვარედინები და საგზაო ნაგებობანი. მატერიალურ ძეგლთა ამ ჯგუფის, როგორც ერის კულტურული დონის ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებლის, თაობაზე, მიახლოებითი წარმოდგენის შემუშავება შესაძლებელია არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების ანალიზით. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიულ წყაროებში გზათა მშენებლობის ისტორიის შესახებ პირდაპირი კონკრეტული მონაცემები შეიძლება არც იყოს შემონახული. ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არაპირდაპირი მინიშნებები და ხალხური გადმოცემებიც. სახმელეთო და წყალსავალ გზებთან დაკავშირებული საკითხების გასარკვევად საგულისხმო ცნობებს შეიცავს და დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია აგრეთვე ტოპონიმებს – გეოგრაფიულ სახელწოდებებს.

ძველ საქართველოში გზებისა და ხიდების მშენებლობას რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, კარგად ჩანს შემდეგი ცნობიდან: ძვ. წ. I საუკუნეში მდ. რიონზე, შორაპნის ზემოთ, 120-ზე მეტი ხიდი ყოფილა გადებული. ადრეულ ხანაში უმთავრესად გავრცელებული უნდა ყოფილიყო ხის სახიდე გადასასვლელები, რასაც ადგილობრივი მშენებლობისათვის ხელსაყრელი მაღალხარისხოვანი ხის მასალის დიდი მარაგი და მისი დამუშავების სიმარტივე განაპირობებდა[1]. მომდევნო ხანაში, ქართული სამშენებლო ხელოვნების განვითარების შემდგომ საფეხურზე, გაჩნდა უფრო მტკიცე და ხანგამძლე, ქვის თაღოვან-კამაროვანი ხიდები[2].

დავით აღმაშენებლის ანონიმი ისტორიკოსი წერს, რომ მეფემ „აღაშენნა რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა"[3].

ძველი ლაზიკის სახმელეთო გზების მშენებლობის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის VI საუკუნის ბიზანტიელი ჟამთააღმწერელი, იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსი, იურისტი და დიპლომატი პროკოპი კესარიელი (დაახლ. 507-562... წწ.). მის თხზულებაში გვხვდება საინტერესო ფაქტი სპარსელების მიერ იბერიასა და კოლხიდაში სამხედრო მიზნებისათვის შესანიშნავი საგზაო საფენის შექმნის შესახებ: „მართლაც გაუკვირდება კაცს ომების დროს გამოაშკარავებული ამტანობა და მოხერხებულობა სპარსელებისა, რომლებსაც იბერიიდან კოლხიდაში მიმავალი გზა, რომელიც ყველგან დაქანებული ნაპრალებითა და ჩაბუჩქებული ძნელსავალი ადგილებით იყო დასერილი და ისე დაფარული უღრანი ტყეებით, რომ მსუბუქად დატვირთულ კაცსაც კი გაუჭირდებოდა წინათ აქ გავლა, ისე გაესწორებინათ, რომ არა თუ მთელმა მათმა ცხენოსანმა ჯარმა გაიარა აქ დაუბრკოლებლად, არამედ სპილოებიც გაატარეს, რამდენიც სურდათ, და ისე ილაშქრეს იქ"[4].

პროკოპი კესარიელის ეს ცნობა ნ. კვეზერელს აფიქრებინებს, რომ ბიზანტიელებთან ომის დროს სპარსელების მიერ გაყვანილ ამ გზას რიყის ქვაფენილის სახით უნდა ჰქონოდა ისეთი

---

[1] იხ. **კვეზერელი-კოპაძე ნ.,** საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972, 8.

[2] **კვეზერელი-კოპაძე ნ.,** საქართველოს ძველი ხიდები, 9.

[3] **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, 220.

[4] **გეორგიკა,** ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, თბ., 1934, 152).

საგზაო საფენი, რომელსაც საუკუნეების მანძილზე იყენებდნენ ირანელები და წინა აზიის სხვა ხალხები თავიანთი გზების მშენებლობაზე. „საქართველოში უხსოვარი დროიდანვე უამრავია მდინარეებსა და ხევებში, ზოგან მიწის ზედაპირზედაც, ადგილობრივი ქვის ჯიშების ნაირნაირი ზომისა და ფორმის ბუნებრივი ნატეხები თუ ნამსხვრევები. ძნელად წარმოსადგენია, რომ ეს ხელსაყრელი, გამძლე და მყარი ქვის მასალა ძველად ქართველებს არ გამოეყენებინოთ მიმოსვლის გასაადვილებლად, სამიმოსვლო გზების საფენებად"[1].

ბუნებრივია, რომ ქვეყნის ლაშქრის დიდ მანძილზე გადასროლა-გადაადგილება მეტწილად ქვეყნის სტრატეგიული გზების მაღალ ტექნიკურ დონეზე იქნებოდა დამოკიდებული. ნ. კვეზერელი-კოპაძის სავსებით მართებული შეფასებით, „თუ გზები გაუვალი და ხიდები უვარგისი იქნებოდნენ, მხედრობის მოძრაობაც შენელდებოდა, ხოლო დარტყმის სისწრაფე და მოულოდნელობა განუხორციელებელი დარჩებოდა"[2].

ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა ეგრის-ლაზიკისა და იბერიის (ქართლის) ტერიტორიაზე გამავალი სამდინარო-სახმელეთო მაგისტრალის ისტორიის, მისი როლისა და მნიშვნელობის შესწავლას კავკასიის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს გზა მიუყვებოდა რიონის, ყვირილისა და მტკვრის ხეობებს და, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლებით დგინდება, სწორედ ამ მდინარეების გასწვრივ იყო განლაგებული უძველესი ქალაქები: ფაზისი, ნაქალაქევი (არქეოპოლისი-ციხეგოჯი), როდოპოლისი (ვარდციხე), ქუთათისი, შორაპანი, სურამი, ურბნისი, უფლისციხე, კასპი, მცხეთა, თბილისი, რუსთავი, ხუნანი. „ქვეყნის ცხოვრება ძირითადად თავმოყრილი იყო ამ ხეობებში, აქვე მიემართებოდა სამხრეთ კავკასიის მთავარი სახმელეთო მაგისტრალი, რომლის განშტოებანი მრავალრიცხოვანი გზებისა და ბილიკების სახით გვერდითს ხეობებსაც ერთიან სამიმოსვლო ქსელად აერთიანებდნენ"[3].

წინამდებარე ნაშრომში მატერიალური კულტურის ძეგლების, ნარატიული წყაროებისა და ტოპონიმიკური მასალის ანალიზის საფუძველზე შევეცდებით, წარმოვაჩინოთ სწორედ ამ ძირითადი საგზაო არტერიის განშტოებები, ძველი გზების, საგზაო ნაგებობებისა და ციხე-სიმაგრეების ისტორია, ***აბაშის ხეობის*** (ისტორიული „ჭყონდიდის ქვეყანა", სალიპარტიანო) ისტორიული გეოგრაფიის ჭრილში.

აბაშის ხეობის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

აბაშის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი. ბანძისა და ჭყონდიდის დასავლეთით „დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა /რა/ ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან პჩ აბაში, და მიერითდგან იწოდა აბაშა. ამაზედ არს სახარია, ციხე და სასახლე დადიანისა. ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, და დის ჩდილოდამ სამჭრით. არა არს მას შინა თევზი, თვინიერ კალმახისა"[4].

აბაშის სათავედ ვახუშტი **კავკასს** ასახელებს. **კავკასი, კავკასეთი** იგივე **კავკასიონია,** მაგრამ მეცნიერი კავკასიონის მთიანეთის სხვადასხვა ნაწილს იმ სახელით მოიხსენიებს, რომელ მხარეშიც ის მდებარეობს. ასე, მაგალითად, კავკასი ალანისა, ვახუშტის აღწერით, ეწოდება

---

[1] **კვეზერელი-კოპაძე ნ.,** გზათა მშენებლობა საქართველოში (უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის დამლევამდე), ნაწილი I, თბ., 1974, 31

[2] **კვეზერელი-კოპაძე ნ.,** გზათა მშენებლობა საქართველოში, 20

[3] **კვეზერელი-კოპაძე ნ.,** გზათა მშენებლობა საქართველოში, 18.

[4] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, 777.

კავკასიონის მთიანეთის იმ ნაწილს, რაც კოდორ-ყუბანის წყალგამყოფს წარმოადგენს; ლეჩხუმის კავკასი ახლანდელი ლეჩხუმის ქედია ცაგერის მუნიციპალიტეტში; კავკასი სვანეთისა ეწოდება ენგურის სათავეებს. სვანეთის საზღვრების აღწერისას ვახუშტი ასახელებს „სვანეთსა და ოდიშს შორის კავკასს". მისივე თქმით სვანეთი „(ს)იგრძით არს რაჭის კავკასის თხემიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე..."[1]. მეცნიერის მსჯელობით, აბაშისა და ტეხურის სათავეები კავკასიონის მთავარ ქედზე კი არაა, არამედ იმ ქედზე, რაც წარმოადგენს ოდიშის ჩრდილოეთ საზღვარს: „თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასამდე ჩამოსული სამჴრით და კვალად თაკვერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სვანეთს შორისი"[2]. XVIII ს-ის გერმანელი მოგზაური იაკობ რაინეგსი აღნიშნავს, რომ აბაშის წყალი სწრაფი მდინარეა, რაც სათავეს იღებს სოფელ კემეს ახლოს და უერთდება ჰიპოსს, იბერიის სათავადო საშილიოს საზღვართან[3]. სოფ. კემეს ადგილმდებარეობა დაუდგენელია. ამასთანავე, მდ. აბაშა ჰიპოსს (ცხენისწყალს) კი არ უერთდება, არამედ – მდ. ტეხურს.

მდ. აბაშას მოიხსენიებს აგრეთვე ცნობილი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური ედუარდ აიხვალდი (XIX ს.) და წერს, რომ აბაშა წყალვარდნილიდან 20 ვერსზე იღებს სათავეს. აჩენს ორ წყალვარდნილს. მდინარე კლდეებს შორის, ვიწროებში ძალით გამოდის და ხმაურით ვარდება. ნაპირზე გაზრდილი ხშირი ბუჩქნარი ხელს უშლის ჩანჩქერის თავისუფლად დანახვას, რომელთანაც ფრიალო ნაპირების გამო ჩასვლა შეუძლებელია[4]. როგორც ჩანს, მოგზაური აქ გულისხმობს ონიორეს ულამაზეს ჩანჩქერს მდ. აბაშის ზემო წელზე, სოფ. მეორე ბალდაში, და ჩანჩქერს ინჩხურ-გოჭკადირის საზღვარზე, ოფუცხოეს ჩრდილოეთით.

აბაშა სათავეს იღებს ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში (მარტვილის მუნიციპალიტეტი). მისი სათავე-მდგენლებია **ტობა** და **რაჩხისწყალი**. მდინარის სიგრძე 66 კმ-ია და მარცხენა მხრიდან უერთდება ტეხურს ზანათის ტერიტორიაზე. მემატიანის ცნობით, მდინარის სახელწოდება VIII ს-ის 30-იან წლებში ეგრისის სამეფოში არაბთა ლაშქრობის ისტორიას უკავშირდება. ჯუანშერი თავის თხზულებაში – „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა", მოგვითხრობს: „აღდგეს მდინარენი სასტიკად, და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა, და წარიღო მათგან მკუირცხლი ოცდასამი ათასი. და მიერითგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა"[5] . ასეთივე განმარტებაა მოცემული წარმოშობით გერმანელი მკვლევრის, კარლ ჰანის ნაშრომში („კავკასიის გეოგრაფიული სახელების განმარტებათა პირველი ცდა"[6] .

ვახუშტი მიიჩნევს, რომ „აბაშა" მდინარის გვიანდელი სახელწოდებაა. არაბთა ლაშქრობამდე მდინარე „პირველ სხვის სახელით" ყოფილა ცნობილი, მაგრამ კონკრეტულად თუ რა სახელით, ამის შესახებ ისტორიკოსი არაფერს ამბობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „აბაშა" ამ მდინარის ქვემო წელის, კერძოდ, იმ მონაკვეთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაც აბაშის რაიონის სოფ. ძველი აბაშის მიდამოებიდან ტეხურის შესართავამდე მდებარეობს (ი. სიხარულიძე). თუ გავითვალისწინებთ აკად. ნიკო ბერძენიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ მდინარეს სახელს ადგილი აძლევს, მაშინ ჰიდრონიმი „აბაშა" შესაძლებელია მეტონიმიის გზით (გეოგრაფიული სახელწოდების უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე, ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში – სოფლის სახელწოდების მდინარეზე გადატანით) მიღებულად ჩავთვალოთ.

თუკი „აბაშის" მდინარის ქვემო წელის აღმნიშნელ სახელწოდებად მიჩნევის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას მართებულად მივიჩნევთ, მაშინ შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ზემო წელზე მდინარე უეჭველად იმ მთის სახელით უნდა ყოფილიყო ცნობილი, საიდანაც სათავეს

---

[1] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 773.
[2] **ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 776.
[3] **რაინეგსი ი.,** მოგზაურობა საქართველოში, თბ., 2002, 120.
[4] ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, თბ., 2005, 170.
[5] **ქართლის ცხოვრება,** I, თბ., 1955, 237-238; იხ. აგრეთვე დ. კირთაძე, 2012, 93.
[6] **ჰანი კ.,** კავკასიის გეოგრაფიული სახელების განმარტებათა პირველი ცდა, 1909, 2.

იღებს. ასეთი კი **რაჩხის მთაა.** აბაშის მარცხენა მდგენელის – ტობას პარალელურ სახელწოდებად ჩაწერილი გვაქვს აგრეთვე ტოპონიმი „ტანწყარი". შესაძლებელია ამ ორი ტოპონიმიდან ერთ-ერთი აბაშის ზემო წელის სახელწოდებად გვევარაუდა[1] .

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ვარაუდობდა, რომ სტრაბონის მიერ მოხსენიებული **გლავკოსი** მდ. აბაშა უნდა იყოს: „ცხენიწყალი მარტო როდი შეერთვის ფაზისს, მასთან ერთად შეერთვიან აბაშა და ტეხური. აბაშა ძველად შეიძლება იყოს სტრაბონის გლავკოსი, რომლის შესახებ იგი ამბობს, რომ ცხენისწყალთან ერთად ფაზისს ერთვისო"[2]. აგათია სქოლასტიკოსის ცნობაზე დაყრდნობით აკად. ს. ყაუხჩიშვილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ აბაშის თავდაპირველი სახელწოდება **კათარის წყალი** უნდა ყოფილიყო, ხოლო ტეხურისა – **დოკონისი**[3] .

აბაშას მოიხსენიებს XIX საუკუნის ფრანგი მოგზაური და კონსული ჟაკ ფრანსუა გამბა. მის ჩანაწერებში საუბარია აბაშის კაზაკთა პოსტზე, რაც ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე მდებარეობდა[4]. **აბაშა** ამჟამად ეწოდება ქალაქს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (მუნიციპალიტეტის) ცენტრს ოდიშის დაბლობზე, ამავე სახელწოდების მდინარესა და ნოღელას შორის. 1923 წლამდე აბაშა ერქვა ქალაქის ჩრდილოეთით, 5 კმ-ის დაშორებით, მდ. აბაშის ნაპირზე მდებარე სოფელს, რასაც დღეს **ძველი აბაშა** ეწოდება. აბაშისპირი ნორიოს ტერიტორიულ ორგანოში შემავალი სოფელია და აბაშის მარცხენა ნაპირზე, აბაშიდან 1.5 კმ დაშორებით მდებარეობს. მისი უწინდელი სახელწოდებაა საჩოჩიო (ჩოჩიას გვარის ძირითადი და თავდაპირველი საცხოვრისი)[5].

„ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი"
(გზა ბანძიდან ციხეგოჯ-არქეოპოლისისაკენ)

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ნოქალაქევში მდებარეობდა ლაზების (ეგრისელების) ძველი ქალაქი, რაც ბიზანტიურ წყაროებში ახ. წ. VI საუკუნეში მოხსენებულია „არქეოპოლისად". მიჩნეულია, „რომ თანამედროვე ნოქალაქევში შემონახული ნაქალაქარის სახელწოდება ბიზანტიურ ხანაში იყო „არქეოპოლისი" – ბიზანტიელთაგან შერქმეული, ხოლო ადრეული ქართული სახელი კი – „ციხეგოჯი"[6]. ერთ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში („დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობა") შემონახულია ციხეგოჯის მეგრული ფორმა **„ჯიხანქუჯი"** („ჯიხან-ქუჯისა")[7]. V-VII საუკუნეებში ჯიხანქუჯი//არქეოპოლისი ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი, დედაქალაქი იყო[8].

ციხეგოჯისა და ნაქალაქევის იგივეობა რომ ეჭვს არ იწვევს, ეს დასტურდება „ქართლის ცხოვრების" XVIII საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერების არშიაზე (იმ ადგილის გასწვრივ, სადაც ლეონტი მროველი და ჯუანშერი ციხეგოჯს მოიხსენიებენ), გადამწერის მიერ გაკეთებული მინაწერებით: „ოდიშს ნაქალაქევი" და „ციხე-გოჯი ნაქალაქევია". XVIII ს-ის დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმაც იცის, რომ „...აწ

---

[1] მსჯელობისათვის იხ. **სიხარულიძე ი., კეკელია ი.,** ოდიშის საისტორიო გეოგრაფიის წყაროები. ჟურნ. „ცოტნეიდელი", ტ. VI, თბ., 2013-2014, გვ. 292-297.

[2] **ლამბერტი ა.,** სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, 199.

[3] **კეკელია ი.,** აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2011, 17.

[4] **გამბა ჟაკ ფ.,** მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1987, 128

[5] **კეკელია ი.,** აბაშის რაიონის დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი, ქუთ., 2011, 10

[6] **ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ.,** ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984, 5.

[7] ქართული წერილობითი წყაროების **ციხეგოჯის** მეგრული შესატყვისია **ჯიხანქვინჯი**.

[8] „ნოქალაქევი ეგრისის სამეფოს დედაქალაქი იყო, თუ მეტი არა, ოთხასი წელი მაინც", – წერს პარმენ ზაქარაია. იხ. **ზაქარაია პ.,** ნოქალაქევში 1983-1988 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", III, არქეოლოგიური გათხრები, 1983-1989. თბ., 1993, 14.

სენაკს ზეით, უნაგირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა პირველი მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე... შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კუალად ქალაქი და შემდგომად მოოჴრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა"[1].

ციხეგოჯში ცხოვრების ინტენსიურობა დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როცა ქუჯიმ „აღაშენა ციხეგოჯი" და იგი გახდა ეგრისის საერისთავოს ცენტრი[2]. ძვ. წ. III ს-ის დასაწყისისათვის აქ ვრცელი სამოსახლოს არსებობის უტყუარ საბუთად უნდა მივიჩნიოთ ნაქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ელინისტური ხანის სამაროვანი – ქვევრსამარხები და ორმოსამარხები (ძვ. წ. IV ს.-I სს.). მაშასადამე, ჯერ კიდევ კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდში აქ არსებობდა მსხვილი სამოსახლო, რაც წარმოადგენდა სამეფოს ცენტრალური ოლქის – ეგრისის („შიდა ეგრისის") ერისთავის – ქუჯის რეზიდენციას[3].

როგორც აღინიშნა, ბიზანტიურ წყაროებში არქეოპოლისის პირველმოხსენიებას ვხვდებით ახ. წ. VI ს-ში, ამ საუკუნის 30-60-იანი წლების პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით[4]. ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ისა (527-565 წწ.) და ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იუსტინიანე I-ის კარის ისტორიკოსის – პროკოპი კესარიელისთვის (დაახლ. 507-562... წწ.) ესაა ლაზთა უძველესი ქალაქი. თვით სახელწოდება „არქეოპოლისიც" (ძვ. ბერძნ. Αρχαιόπολις), რაც ბერძნულად სიტყვასიტყვით „ძველ ქალაქს" ნიშნავს, ლაზთა ქალაქის სიძველის, ანუ VI ს-მდე ბევრად ადრე არსებობის მაუწყებელია.

ქართველი მეცნიერების სავსებით მართებული მოსაზრებით, ეგრის-ლაზიკის სამეფოს ახალი დედაქალაქის აღმოცენებისათვის ყველაზე ხელსაყრელ დროდ სამეფოს გაძლიერების, ტერიტორიული გაფართოებისა და რომისაგან თითქმის სრული დამოუკიდებლობის მოპოვების ხანა, ე. ი. ახ. წ. IV საუკუნე უნდა მივიჩნიოთ[5]. იმდროინდელ ხელისუფალთ აწინდელი ნაქალაქევის

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი,** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, 776; მსჯელობისათვის იხ. **კეკელია ი.,** ბანძის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. წგნ.: ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, III, ქუთ., 2021, 5-6.

[2] **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, 24. დადგენილია, რომ ნაქალაქევში მშენებლობის სამი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა. ქალაქის მშენებლობის პერიოდიზაცია გალავნების აგებასათანაა დაკავშირებული. პირველი გალავანი აგებულია ახ. წ. IV ს. I ნახევარში, მეორე – ახ. წ. V ს-ის I ნახევარში, ხოლო მესამე – V-VI სს-ის მიჯნაზე. მსჯელობისათვის იხ. **ზაქარაია პ.,** ნოქალაქევის გამაგრების სისტემა. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", II, 1989, 137, 140, 171, 175, 187; **მისივე,** ნოქალაქევში 1978-1982 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, II, 1989: 73; **ლორთქიფანიძე ბ.,** ქალაქის გარეგნული სახე. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", III, თბ., 1993, 178; **ლომიტაშვილი დ., ლორთქიფანიძე ბ.,** ნოქალაქევის ნაქალაქარის პერიოდიზაცია. „ძეგლის მეგობარი", №2, თბ., 1989, 25-28.

[3]არქეოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა ნოქალაქევის VII უბანი (კვ. – 23, – 3). მისი შესწავლა 1982 წლიდან წარმოებდა დავით ლომიტაშვილის ხელმძღვანელობით. ჭიშკრის ჩრდილოეთით, ორ გალავანს შორის მოქცეულ, 6 მ სიგანის ფართობზე, 2 მ სიღრმის ჭრილში ოთხი ფენა გამოვლინდა: ზედა ფენა ეგრისის სამეფოსდროინდელია; მის ქვემოთ არის ელინისტური ეპოქის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები; ამის ქვეშ კი – ადრეანტიკური ეპოქის კერამიკა. ბოლო, ქვედა ფენა შეიცავს ვერძისა და სხვა, შინაური თუ გარეული ცხოველების ქანდაკებებს და ვანში მოპოვებული ქანდაკებების ანალოგიის გათვალისწინებით სპეციალისტთა მიერ ძვ. წ. VIII-VII სს-ით თარიღდება. **იქვე,** 15. ეს იმას ნიშნავს, რომ ეგრისის საერისთავოს ცენტრად ციხეგოჯის გამოცხადებამდე ბევრად ადრე აქ არსებობდა დასახლება.

[4] **ლომიტაშვილი დ.,** ცენტრალური ეგრისი ახ. წ. IV-VI საუკუნეებში (ნოქალაქევის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1990.

[5]იქვე, 11. არქეოლოგი დავით ლომიტაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ნაქალაქევში ცხოვრების დაწყების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ. წ. VIII საუკუნეა და მისი უფრო ადრე გადატანა ჯერჯერობით გამართლებული არ არის. მკვლევარი ნაქალაქევში ინტენსიური ცხოვრების კვალის დასაწყისად ძვ. წ. VIII-VII სს. მიჯნას მიიჩნევს, რაც მეტ-ნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა I ს-მდე. ახ. წ. I-III სს. შეიმჩნევა ცხოვრების დონის შეწყვეტა, რაზეც მეტყველებს კულტურული ფენის სტერილურობა. ამ ფაქტს დ. ლომიტაშვილი ძვ. წ. I ს-ში კოლხეთში ჯერ პომპეუსის, შემდეგ ბოსფორის მეფის – ფარნაკის და ბოლოს – მითრიდატე პერგამოელის ლაშქრობებით ხსნის. ცხოვრების აღმავლობა უკავშირდება ეგრისის სამეფოს დედაქალაქობის პერიოდს, რაც დაიწყო ახ. წ. III-IV სს. მიჯნაზე და გრძელდება VII ს. დასაწყისამდე. მას შემდეგ ნოქალაქევში ცხოვრების

ტერიტორია აურჩევიათ სამეფოს დედაქალაქად, რასაც, უპირველეს ყოვლისა, მისი შესანიშნავი სტრატეგიული მდებარეობა განსაზღვრავდა. ტეხურის მარცხენა მხარეს, მდინარის ციცაბოკლდიანი ნაპირებით შემოსაზღვრული და მცირე პლატოზე გაშენებული ციხეგოჯი-ნაქალაქევი, ამას გარდა, მდებარეობდა მთისა და ბარის საზღვარზე და აქედან ადვილად შეიძლებოდა მთიან ოლქებსა და ბარის მხარეებზე კონტროლის განხორციელება. ამასთანავე, ***გასათვალისწინებელია ციხეგოჯზე გამავალი უძველესი სავაჭრო-სამხედრო გზის მნიშვნელობა, რითაც შავიზღვისპირა ოლქები ეგრის-ლაზიკის აღმოსავლეთ მხარეებთან, შემდეგ კი ქართლის სამეფოსთან იყო დაკავშირებული.*** „ეს გზა ზღვის სანაპიროდან ჯერ რიონ-ფაზისის ქვემო წელს მიჰყვებოდა, შემდეგ, დაახლოებით აწინდელ სოფ. ისულასთან, ჩრდილოეთით უხვევდა, გაივლიდა ნოქალაქევ-ციხეგოჯს, გეგეჭკორ-მარტვილს, წულუკიძე-ხონს, დედალოურს, გვიშტიბ-წყალტუბო-ქუთაისს და შემდეგ შორაპანსა და რიკოთის უღელტეხილზე გადავლით ქართლს აღწევდა"[1].

რიონის ქვემო წელზე და მის ჩრდილოეთით, რიონის მარჯვენა შენაკადების – ცხენისწყლის, აბაშისა და ტეხურის ხეობებში არქეოლოგიური ძიების გზით დადასტურებული გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამაროვანი (მუხურჩა, „პეტრეშ ნაკარუ")[2], ბრინჯაოსა და რკინის ხანის სამოსახლოები („კეკელური ზუგა", „ნაჭვიშ ზუგა", „ბაღდუდი")[3], ადრეანტიკური დასახლებები (მუხურჩის „ნაწისქვიუ"), გვიანანანტიკური ხანის ქვევრსამარხი (სოფ. ბანძა)[4], ანტიკური ხანის ნამოსახლარები (სერგიეთის „ნაფაცაცუ", ლეხაინდრავოს „გოგიაშ ნაოხვამუ", მარტვილის ტაძრის ფერდობი)[5] და რომაული ვერცხლის მონეტების განძი (სოფ. სეფიეთიდან), უნდა ვიფიქროთ, რომ მჭიდრო კავშირშია რიონის სამდინარო-საგზაო მაგისტრალთან. ამასთანავე, ქუთაისისა და ციხეგოჯ-არქეოპოლისის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ეჭვმიუტანლად დგინდება ამ გზის **გვერდითი შტოების** ფუნქციონირების შესაძლებლობა, ჯერ კიდევ ელინისტურ, ადრეანტიკურ და

საერთო დონე კვლავ ეცემა, თუმცა იგი კვლავ რჩება ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად, მის საბოლოო განადგურებამდე, VIII ს-ის 30-იან წლებამდე, როდესაც ქალაქი შეეწირა არაბთა დამანგრეველ ლაშქრობას მურვან-ყრუს სარდლობით. სწორედ ამ ლაშქრობის შემდეგ უნდა გაჩენილიყო ტოპონიმი „ნოქალაქევი". იხ. **ლომიტაშვილი დ.,** სტრატიგრაფია ნოქალაქევის ნაქალაქარზე (VII უბნის მიხედვით). კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", III, თბ., 1993, 157; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე **მისივე,** ნოქალაქევი I, ძვ. წ. VIII-VII სს. განვითარების I ფაზა. კრ. „სიახლენი უძველეს კოლხეთზე", თბ., 2010, 49-54; **მისივე,** ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII – ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003. **კეკელია ი.,** ბანძის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. წგნ.: ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, III, ქუთ., 2021, 8-10.

[1] **ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ.,** ციხეგოჯი-ნოქალაქევი, თბ., 1984, 12.

[2] **ელიავა გ.,** პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა, თბ., 1987.

[3] **გოგაძე ე.,** კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა (ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით), თბ., 1982; **კეკელია ი.,** მუხურჩის სიძველენი. გაზ. „მახარია", №3 (42), 2004, 16; **მისივე,** არქეოლოგიური ძეგლი ბანძაში (ბაღდუდის გორა-ნამოსახლარი). გაზ. „მარტვილი", №1, 29 იანვარი, 2021, 4.

[4] **მაკალათია ს.,** 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. IV, ტფ., 1928: 182-186; **გვინჩიძე გ.,** ნოქალაქევის ირგვლივ მდებარე ანტიკური ხანის სამარხეული ძეგლები. კრ. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი", II, თბ., 1987, და იქვე მითითებული ლიტერატურა; **კეკელია ი.,** მეომრის სამარხი სოფელ ბანძიდან. გაზ. „მარტვილი", №5, 23 აპრილი, 2021, 4.

[5] **გრიგოლია გ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ.,** დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, თბ., 1973, 17-38; „გოგიას ნაოხვამუ" ეწოდება სამ მოზრდილ ბორცვს მდ. ნოღელის ნაპირზე, კოტორის მასივზე, ერთმანეთის გასწვრივ. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. **ელიავა გ.,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, 1977, 96-97. გ. ელიავა „გოგიას ნაოხვამუს" არქეოლოგიურ მასალას ორ პერიოდს მიაკუთვნებს: ადრეულს ენეოლითის ხანით ათარიღებს, ხოლო მეორეს – ანტიკური ხანით. იხ. **ელიავა გ.,** ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962, 66. მოგვიანებით გამოცემულ ნაშრომში მკვლევარი წერს, რომ ნოღელის ნაპირზე გრძელდება ენეოლითური კულტურის ხაზი, რაც „გოგიას ნაოხვამუს" მიდამოებში მკვეთრად დამახასიათებელი მასალებით შესწავლილ იქნა მუზეუმის ექსპედიციის მიერ. იხ. **ელიავა გ.,** აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების..., 1977, 74-75.

მომდევნო ხანაში აბაშის ხეობის შუა და ქვემო წელზე სამოსახლოთა მნიშვნელოვან კონცენტრაციას სწორედ მდ. ფასისის (რიონის) მაგისტრალი, აგრეთვე ციხეგოჯ-არქეოპოლისისკენ მიმავალი სახმელეთო გზა განაპირობებდა. საგულისხმოა პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ ლაზთა ყველაზე მნიშვნელოვანი დასახლება მდ. ფაზისის მარჯვენა მხარეს მდებარეობს „...და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული...” ირანელთა ერთ ლაშქრობასთან დაკავშირებით პროკოპი კესარიელი შენიშნავს, რომ წაიყვანეს „ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში”.

ვ. ლექვინაძისა და ლ. ხვედელიძის მოსაზრებით, არქეოპოლისი და მისი შემოგარენი ნაკლებად იყო დასახლებული. შესაბამისად, აქ საერთოდ არ ყოფილა განვითარებული საქალაქო მეურნეობა. ამ მოსაზრების დამამტკიცებელ არგუმენტად კი ავტორთა მიერ არქეოლოგიური მასალის სიმცირეა მითითებული[1]. ეს თვალსაზრისი საფუძვლიანადაა უარყოფილი ნ. ლომოურისა და ბ. ლორთქიფანიძის მიერ[2].

ნაქალაქევის შემოგარენი რომ მჭიდროდ იყო დასახლებული, ამაზე მიუთითებს პროკოპი კესარიელის ცნობა, ასევე არქეოლოგიური მონაცემები; კერძოდ, ნოსირში, ნოჯიხევში, ბეთლემსა და მარტვილში მიკვლეული აბანოები თუ ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია. „ციხეგოჯი-არქეოპოლისის გარეგნული სახე გვაძლევს საფუძველს აქ მოსახლეობის სიჭარბეზე, სამშენებლო ხელოსნობის განვითარებაზე და, შესაბამისად, მოსახლეობის სიჭარბის გამო, ხელოსნობის სხვა დარგების (მეთუნეობა, საფეიქრო მეურნეობა, სამშენებლო და საბრძოლო იარაღის ჭედვა და სხვა) განვითარებაზე ვიფიქროთ. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ეს ხელოსნები გალავნით შემოზღუდულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ თუ მის გარშემო განლაგებულ სოფლებში”, – სავსებით სამართლიანად შენიშნავს ბესიკ ლორთქიფანიძე[3]. საგულისხმოა (როგორც მკვლევარი მიუთითებს სტატიის სქოლიოში), რომ აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ბიზანტიელთა მოკავშირე საბირები არქეოპოლისის მახლობლად მდებარე პატარა სოფელში იდგნენ. ეს სოფელი იმდენად ახლოს ყოფილა, რომ არქეოპოლისში მჯდარ სტრატეგოს ბაბას სოფელში გამართული ბრძოლით გამოწვეული ხმაური ღამით კარგად ესმოდა[4]. არქეოპოლისის შემოგარენში მდებარეობს: ჩრდილო-აღმოსავლეთით – **აბედათი** (ონოგურისის ციხე) და **ბანძა,** ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – **კოტიანეთი, საჩიქობავო** და **გეჯეთი.** აგათიასეულ არქეოპოლისთან მდებარე პატარა სოფელში ამათგან ერთ-ერთი უნდა ვიგულისხმოთ. არქეოპოლისში ციხის გარნიზონის ყოფნა გულისხმობს მეციხოვნეთა არა მხოლოდ აქ მსახურობას, არამედ ციხეში მათ ცხოვრებასაც, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად[5].

არქეოპოლისი, როგორც აღვნიშნეთ, ბიზანტიურ წყაროებშია დადასტურებული და იდენტიფიცირებულია მდ. რიონის მარჯვენა მხარეს, ტეხურის ხეობაში, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე არსებულ ციხესთან. იუსტინიანე კეისრის (VI ს.) ცნობის მიხედვით „არქეოპოლისი და როდოპოლისი უდიდესი და ძველი სიმაგრეებია ლაზეთში”[6]. ეს ცნობა გარკვეულ

---

[1] **Леквинадзе В.**, **Хведелидзе Л.**, Указ. соч., 147-148.

[2] იხ. **ლორთქიფანიძე ბ.,** ქალაქის გარეგნული სახე. „ნოქალაქევი-არქეოპოლისი”, III, 1993, 197-198; **ლომოური ნ.**, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესაწვლისათვის, 43; **კეკელია ი.,** ბანძის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. წგნ.: ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, III, ქუთ., 2021, 17.

[3] **ლორთქიფანიძე ბ.,** ქალაქის გარეგნული სახე, 198. **კეკელია ი.,** ბანძა – ესკიზები სოფლის წარსულიდან, III, 18.

[4] იქვე.

[5] იქვე, 197-198.

[6] **პროკოპი კესარიელი,** ბრძოლა პეტრას გარშემო. „გეორგიკა”, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი II, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965: 35-36.

ინტერესს აღძრავს იმდენად, რამდენადაც იუსტინიანეს განსაზღვრება – „უდიდესი", მხოლოდ არქეოპოლისს მიემართება, რადგან მისი ფართობი 20 ჰა-ს უტოლდება[1].

მნიშვნელოვნად გამაგრებული არქეოპოლისი IV-VI სს-ში ბიზანტიელთა და ლაზთა ხელშია. ჯუანშერის ცნობის თანახმად, VIII ს-ის 30-იან წლებში არაბთა ლაშქარს მარვან II იბნ მუჰამადის (ქართული წყაროებით მურვან ყრუს) სარდლობით ეგრისის ქვეყნის ყველა ქალაქსა და სიმაგრესთან ერთად გაუნადგურებია ციხეგოჯიც: „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქუეყანისანი და ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი"[2]. „მას დიდხანს არ დაუკარგავს პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა დედაქალაქის ქუთაისში გადატანის შემდეგაც. ქართულ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროთა ცნობებს მხარს უჭერს არქეოლოგიური კვლევის შედეგებიც", – აღნიშნავს ანდრია აფაქიძე[3]. VIII ს-ის 30-იანი წლებიდან განვითარებული მძიმე პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, რაც მურვან-ყრუს ლაშქრის შემოსევას უკავშირდება, ციხეგოჯი დაქვეითებას იწყებს[4] და როგორც ეგრისის ცენტრი და დედაქალაქი, ასპარეზს უთმობს ქუთათისს. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომ იგი „იყო კუალად ქალაქი და შემდგომ მოოჴრდა ქალაქი. აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა", ნაქალაქევის რიგით ქალაქად გადაქცევას გულისხმობს.

„ქართლის ცხოვრებიდან" დამოწმებულ ფრაგმენტში ყურადღებას იქცევს ცნობა ციხის სამზღუდიანობის შესახებ. ბიზანტიური წერილობითი წყაროების არქეოპოლისი (არხაიოპოლისი) და ქართული მატიანეების „ციხეგოჯი" ერთიდაიმავე პუნქტის სახელწოდებებია. ქართული ისტორიული წყაროების ტრადიციით სწორედ ციხეგოჯში იყო ქუჯის რეზიდენცია და მასვე აუგია აქ პირველად ციხე („ციხე ქუჯისა", „ციხეგოჯი").

ციხის თავდაცვითი სისტემის თავისებურების („სამზღუდე") გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ ეგრის-ლაზიკის სამეფოს დედაქალაქში მთავარი გზა სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, სოფელ ბანძის მიდამოებიდან მოემართებოდა. ხალხური გადმოცემებით, აქ, ბანძაში გაუვლია ციხეგოჯის დასანგრევად მიმავალ მურვან ყრუს, თავისი ლაშქრით. ნ. მურღულიას მოსაზრებით, „არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო სამეფოს ცენტრალურ ნაწილში გამავალი გზებიც, რომლებიც რეგიონში ვაჭრობის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური და ძველი კარტოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან და განსაკუთრებით IV-VI სს-ში, არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა: ცენტრალური ეგრისი ერთმანეთთან აფხაზეთის, იმერეთის და გურიის რეგიონებს აკავშირებდა"[5].

არქეოპოლის-ციხეგოჯზე გამავალი საგზაო კომუნიკაციების შესწავლის თვალსაზრისით ინტერესს იწვევს IV ს-ის II ნახევრის რომაელი გეოგრაფის – კასტორიუსის მიერ შედგენილი „მსოფლიო საგზაო რუკა", რომელიც „Tabula Peutingeriana"-ს სახელწოდებითაა ცნობილი. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ირანული და ბიზანტიური ნუმიზმატიკური მასალა იმაზე მიუთითებს, რომ მცხეთიდან სავაჭრო გზა დასავლეთით, მტკვრის აყოლებით, ურბნისისაკენ

---

[1] მსჯელობისათვის იხ. **ზაქარაია პ.,** ნაქალაქარი ციხე-გოჯი-ნოქალაქევი. „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში", I, სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1999, 5; **ყიფიანი გ.,** ქალაქი როდოპოლისი, თბ., 2012, 4.

[2] **ქართლის ცხოვრება,** ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, 235. მსჯელობისათვის იხ. **ლორთქიფანიძე ბ., ლომიტაშვილი დ.,** მურვან-ყრუს ლაშქრობა ციხეგოჯში წერილობითი წყაროების მიხედვით. თსუ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომები. ტ. III, თბ., 2001, 26-33.

[3] **აფაქიძე ა.,** ძველი ქალაქი არქეოპოლისი ნოქალაქევი. ჟურნ. „ძეგლის მეგობარი", კრ. 19, თბ., 1969, 10-11.

[4] **ლორთქიფანიძე ბ., ლომიტაშვილი დ.,** მურვან-ყრუს ლაშქრობა ციხეგოჯში წერილობითი წყაროების მიხედვით. თსუ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, ტ. III, თბ., 2001, 26-33.

[5] **მურღულია ნ.,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა. ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2012, 142.

გრძელდებოდა, დასავლეთ საქართველოში გადადიოდა და ვარდციხე-როდოპოლისთან უერთდებოდა კასტორიუსის რუკაზე აღნიშნულ კიდევ ერთ მაგისტრალურ გზას, რომელიც ქალაქ არტაშატს[1] სებასტოპოლისთან (სოხუმი) აკავშირებდა. ეს გზა ჯავახეთის (წუნდა) გავლით სამცხეში (ოძრხე) ჩადიოდა, მესხეთის ქედზე მდებარე ზეკარის//რკინისჯვრის უღელტეხილით გადადიოდა ეგრისში, როდოპოლისში (ვარდციხე). აქედან გზა მიემართებოდა ქუთათისისკენ; შემდეგ მიუყვებოდა რიონის მარჯვენა ნაპირს და აღწევდა ფასისამდე (ფოთი). **ქუთათისიდან გზის ერთი შტო ხონი-მათხოჯი-მარტვილი-ბანძის (ან აბედათის) გავლით მიემართებოდა ციხეგოჯისკენ და ცაიშის გავლით სებასტოპოლისს აღწევდა**[2]. სებასტოპოლისიდან შავი ზღვის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ მიმავალი მაგისტრალით შესაძლებელი იყო ტრაპიზონის გავლით ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებთან დაკავშირება. VII ს-ის შუა ხანებიდან ეს სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო მაგისტრალი თავის მნიშვნელობას კარგავს ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს შორის განუწყვეტელი ბრძოლების გამო[3]. მაშასადამე, ამ გზით ამიერკავკასიური სატრანზიტო ვაჭრობა სომხეთის დედაქალაქ არტაშატის საშუალებით მიერთებული იყო ბიზანტიასთან და ირანთან. რუკის XI სეგმენტზე გამოსახულია ქალაქი არტაქსატა (არტაშატი). იგი ორი ერთმანეთზე მიდგმული კოშკის სახითაა დატანილი რუკაზე. არტაშატიდან მარცხნივ მიმართული მაგისტრალი კოლხეთში ჩადის, რომელზეც დატანილია სხვადასხვა სავაჭრო პუნქტები.

---

[1] უწინ დიდი სომხეთის დედაქალაქი. მდებარეობს მდ. არაქსის ნაპირზე, ერევან-ჯულფის გზატკეცილზე.

[2] ნ. მურღულია განსხვავებულად წარმოადგენს „ტაბულა პეუტინგერიანას" XI სეგმენტზე მოცემული გზის მიმართულებას. მისი აზრით მაგისტრალი ქ. არტაშატიდან სებასტოპოლისამდე გამოივლიდა ჯავახეთს, დღევანდელ ბაღდათის რაიონს, შემდეგ ქუთაისს, ხონს, მარტვილს, აქედან ჩრდილოეთით უხვევდა და თამაკონის, კურზუს, ნაფიჩხოვოს, სათანჯოს, წარჩესა და რეკის ციხე-სიმაგრეების გავლით ჩადიოდა სებასტოპოლისში. **მურღულია ნ.,** ნაფიჩხავო და კურზუ – ეგრისის სამეფოს პერიოდის ორი ახალი ციხე ჩხოროწყუს და მარტვილის რაიონებიდან. ამირანი, ტ. 23, თბ., 2011, 62-64; **მისივე,** ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2012, 143-144.

[3]აღნიშნული მაგისტრალის შესახებ იხ. **ლორთქიფანიძე ო., მუსხელიშვილი დ.,** ამიერკავკასიის ძველი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. ქსე, ტ. I, თბ., 1975, 390, და იქვე დასახელებული ლიტერატურა: **ლომოური ნ.,** ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, ნაკვ. 1, თბ., 1958; **ლორთქიფანიძე ო.,** ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 19, №3, თბ., 1957; **მუსხელიშვილი დ.,** ფეოდალური ხანის საქართველოს და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. „ცისკარი", №11, თბ., 1970 და სხვ. ი. მანდანიანის მოსაზრებით, კასტორიუსის რუკაზე გამოსახული გზა გაივლიდა ფარავნის ტბასთან სოფელ ფოკას (პაგას), აქედან – აბულის მთას (აპულუმ), სოფ. ხოსპიოს (ჩასპია), შემდეგ უცნობ პუნქტებს – ად მერცერიუმსა და ად ფონტენ ფელიცემ-ს, და შედიოდა სებასტოპოლისში. ალ ფონტენ ფელიცემ ქართველი ისტორიკოსების ვარაუდით იგივე ვარციხე-როდოპოლისია. ტაბულა პევტენგერიანას რუკის აღნიშნული მაგისტრალი, როგორც ისტორიკოსი გურამ გრიგოლია ფიქრობს, არ შედიოდა ნაქალაქევში, რომელიც ეგრისის დედაქალაქი იყო რუკის შედგენის დროს (III-IV სს.). აღნიშნულ რუკაზე ფოთშიც არ შედის გზა და ასევე გზაზე არ ჩანს კუტაია-ქუთაისი. იხ. **გრიგოლია გ.,** ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, 1994, 106-109. მაშასადამე, ტაბულა პევტენგერიანას რუკის გზა ასახავს მონაკვეთს არტაშატიდან ართვინ-ჭოროხის შესართავის ქალაქებისკენ. პევტენგერიანის რუკის სებასტოპოლისი, გ. გრიგოლიას მოსაზრებით, ამჟამინდელი ციხისძირია, სადაც შედიოდა პევტენგერიანას გზა. იხ. **გრიგოლია გ.,** დასახელებული ნაშრომი, 113.

Igor Kekelia
Akaki Tsereteli State University

FOR THE HISTORY OF THE ROADS AND DEFENSIVE STRUCTURES IN THE ABASHI VALLEY - I

RESUME

Roads, intersections, and road structures played a pivotal role in the socio-economic and political life of Egrisi (Lazeti) during ancient and feudal times. The analysis of archaeological and written sources allows for a discussion of this group of material culture monuments. Concrete historical data about road construction might not always be preserved in historical sources. In such cases, it becomes crucial to consider folk tales. Additionally, toponyms, or geographical names, can offer valuable insights into issues related to land routes.

This study delves into the history of old roads and road structures in the Abasha Valley (historically known as "Chkondidi country" or Salipartiano). It relies on the analysis of material culture monuments, historical sources, and toponymic data.

თამარ მესხი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს და ალექსანდრიის საპატრიარქოს პოზიცია

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურებმა ისარგებლეს რუსეთში მომხდარი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის შეცვლით და 1917 წლის 12 მარტს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, მოიწვიეს კრება, რომელზეც რუსეთის ეკლესიის მიერ 1811 წელს არაკანონიკურად გაუქმებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინეს. იმავე წლის 1 ოქტომბერს, მცხეთობა დღეს, სვეტიცხოვლის ტაძარში მოხდა განახლებული ქართული ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის, ინტრონიზაცია.

ახლადაღსაყდრებულმა კირიონ II-მ 1917 წლის ოქტომბრის ბოლოს აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს (კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის) გაუგზავნა წერილები, რომლებითაც აცნობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და მათგან თანადგომა და თანალოცვა მოითხოვა. სამწუხაროდ, საქართველოს ეკლესიას საპასუხო წერილები არ მიუღია. ამიტომ ქართულ საეკლესიო და სამეცნიერო საზოგადოებაში დღემდე დამკვიდრებულია თვალსაზრისი, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა აღმოსავლეთის არცერთმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ სცნო[1].

კვლევისას აღმოჩნდა, რომ საქართველოს ეკლესიის წიაღში მომხდარ ცვლილებას აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა მყისიერი რეაგირება მოჰყოლია. 1919 წლის ნოემბერში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სინოდის დავალებით, საქართველოს ეკლესიის მაშინდელ მესვეურთ და ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდა და ესაუბრა ტრაპიზონის მიტროპოლიტი ქრისანთოსი (შემდგომში, 1938-1940 წწ. ელლადის მთავარეპისკოპოსი), რომელმაც 1920 წლის 15 ივლისს კონსტანტინეპოლის სინოდს წარუდგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი, რომელითაც სინოდს მოუწოდა, რომ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის შემრიგებლის როლი ეტვირთა, რათა საქართველოს ეკლესიას დაებრუნებინა ის სტატუსი, რაც მას ასი წლის წინ გააჩნდა. ქრისანთოსის მოხსენებითი ბარათი დაიბეჭდა მსოფლიო საპატრიარქოს ოფიციალურ ჟურნალში «Ἐκκλησιαστική Ἀλήθεια»[2].

საქართველოს ეკლესიაში მომხდარ ცვლილებებს სიხარულით შეხვდა აგრეთვე იერუსალიმის ეკლესია, რომლის ოფიციალურ ბეჭდურ ორგანოში Νέα Σιών (№ 15, 1920 და № 16, 1921) დაიბეჭდა არქიდიაკონ კლეოპა კიკილიდისის ოთხი სტატია, რომლებშიც ვრცლადაა მიმოხილული საქართელოსა და ბიზანტიის ურთიერთობა, საქართველოს და ტრაპიზონის იმპერიის ურთიერთობა, ქართველთა წვლილი იერუსალიმის სალოცავების გადარჩენაში და

[1] რ. მეტრეველი, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ასი წლისთავი, კრ. „ლოგოსი“, თბ., 2018, 24.

[2] ვრცლად ამის შესახებ იხ.: თ. მესხი, ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და აღიარებისათვის – XX საუკუნე, კრ. „ლოგოსი“, თბ., 2018, 71-83.

ქართველთა როლი ქრისტიანული კულტურის განვითარებაში. საქართველოს ეკლესია კი უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიად მოიხსენიება[1].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით, 1921 წელს ვრცელი (50 გვერდიანი) სტატია დაიბეჭდა ალექსანდრიის საპატრიარქოს ოფიციალურ ორგანოში Ἐκκλησιαστικὸς Φάρος („ეკლისიასტიკოს ფაროს"), სათაურით: «Ἡ Γεωργιανὴ Ἐκκλησία τὸ Αὐτοκέφαλον καὶ ἡ αὐτοπροαγωγὴ αὐτῆς εἰς Πατριαρχεῖον» („საქართველოს ეკლესია, მისი ავტოკეფალია და საპატრიარქოდ თვითდაწინაურება")[2]. სტატიის ავტორია არქიმანდრიტი გაბრიელ კარაპატაკისი, რომელიც სტატიის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ რადგან რუსეთსა და საქართველოში განვითარებული მოვლენები ეხება არა მხოლოდ აღმოსავლეთის ოთხ მართლმადიდებელ საპატრიარქოს და კვიპროსის ეკლესიას, არამედ სრულიად მართლმადიდებელ სამყაროს, ამიტომ საკითხის სწორად გასააზრებლად გადაწყვიტა, თავისი წვლილი შეეტანა საკითხის გარკვევაში.

ამ განცხადების და იმის გამო, რომ არქიმანდრიტი გაბრიელი ალექსანდრიის ეკლესიაში არ მოღვაწეობდა, ეს სტატია შეიძლებოდა აღგვექვა როგორც ერთი რიგითი სასულიერო პირის თვალსაზრისი, მაგრამ ვინაიდან სტატია ალექსანდრიის საპატრიარქოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში დაიბეჭდა, მაინც ხსენებული საპატრიარქოს პოზიციად მივიჩნევთ, მით უფრო, რომ საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით, ალექსანდრიის საპატრიარქოს სახელით გამოქვეყნებულ სხვა სტატიას ჯერჯერობით ვერ მივაკლიეთ.

გარდა ამისა, გაბრიელ კარაპატაკისის სტატია მკვეთრად განსხვავდება როგორც კონსტანტინეპოლის, ასევე იერუსალიმის ეკლესიის სახელით გამოქვეყნებული სტატიებისაგან. თუ ხსენებულ სტატიებში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკლესიის წარსულზე, არქიმანდრიტ გაბრიელის სტატიაში მიმოხილულია, თუ როგორ და რა ვითარებაში მიიღო ამა თუ იმ ეკლესიამ ავტოკეფალია და რამდენად სამართლიანია საქართველოს ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის აღდგენა და მისი საპატრიარქოდ გამოცხადება. ერთი სიტყვით, არქიმანდრიტი გაბრიელი საკითხს სამართლებრივი პოზიციიდან განიხილავს, რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სტატია ალექსანდრიის ეკლესიის დაკვეთით დაიწერა, რადგან, ისტორიულად, ალექსანდრიის ეკლესიის პატრიარქი მსაჯულის (უფრო სწორად, მომრიგებლის) როლსაც ითავსებს, რაც მის ტიტულში გადმოცემულია სიტყვებით: «…και Κριτής της Οικουμένης»[3] („და *მსოფლიო მსაჯული*").

ამ თვალსაზრისს გვიმყარებს აგრეთვე გაბრიელ კარაპატაკისის მშფოთვარე ბიოგრაფია, რომელსაც ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ:

გაბრიელ კარაპატაკისი (1870-1953 წწ.) დაიბადა კუნძულ კვიპროსზე. ეკლესიური ცხოვრება დაიწყო თორმეტი წლის ასაკიდან, კიკოს მონასტერში. გარკვეული ხნის შემდეგ გადავიდა იერუსალიმის ეკლესიაში, იქიდან – ანტიოქიის ეკლესიაში. გაბრიელ კარაპატაკისს მფარველობდა ანტიოქიის უკანასკნელი ბერძენი პატრიარქი სპირიდონი, რომელიც წარმოშობით კვიპროსელი იყო. 1898 წელს, ანტიოქიის ეკლესიაში განვითარებული მოვლენების გამო, პატრიარქი სპირიდონი იძულებული გახდა გადამდგარიყო. ამიტომ არქიმანდრიტმა გაბრიელმაც დატოვა ანტიოქიის ეკლესია. 1914-1918 წლებში ცხოვრობდა პონტოში (მოღვაწეობდა ბაზელონის მონასტერში), 1919-1921 წლებში – ბათუმში, საიდანაც გადავიდა საბერძნეთში

---

[1] თ. მესხი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს და იერუსალიმის ეკლესიის პოზიცია, გორის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრომათა კრებული, №20, 2021, 49-55.

[2] Καραπατάκης Γαβριήλ (Ἀρχιμανδρίτης), Ἡ Γεωργιανὴ Ἐκκλησία τὸ Αὐτοκέφαλον καὶ ἡ αὐτοπροαγωγὴ αὐτῆς εἰς Πατριαρχεῖον, Ἐκκλησιαστικὸς Φάρος, N20, 1921, 349-489.

[3] ეს ტიტული 1019 წელს მიენიჭა ალექსანდრიის პატრიარქ თეოფილე II-ს, იმის გამო, რომ მშვიდობიანად მოაგვარა ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-სა და კონსტანტინეპოლის პატრიარქ სერგი II-ს შორის არსებული მწვავე დაპირისპირება.

(ხალკიდიკის წმ. ანასტასის სახელობის მონასტერში). ბოლოს ცხოვრობდა ათენში, სადაც გარდაიცვალა 1953 წელს.

გაბრიელ კარაპატაკისმა დატოვა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. თეოლოგიური ნაშრომების გარდა, დატოვა საინტერესო სტატიები იმ დროს განვითარებული რელიგიური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ასე მაგ.: ერთ-ერთი თავისი ნაშრომი, რომელიც 1909 წელს გამოაქვეყნა, მიუძღვნა ანტიოქიის ეკლესიაში განვითარებულ დრამატულ მოვლენებს. ოთხ სტატიაში კი აღწერა ის ტრაგიკული ამბები, რომლებიც 1914-1918 წლებში პონტოში დატრიალდა. ასევე, პიესა მიუძღვნა ჩვიდმეტი წლის პონტოელი ყმაწვილი ქალის დესპინა დიმიტრიუს გმირულ თავგადასავალს.

ვინაიდან არქიმანდრიტი გაბრიელი გარკვეულ ხანს ანტიოქიის ეკლესიაში მოღვაწეობდა და კარგად იცნობდა ანტიოქიის ეკლესიის ისტორიას, ვფიქრობთ, ალექსანდრიის საპატრიარქომ სწორედ ამიტომ დაავალა მას სტატიის დაწერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით.

გაბრიელ კარაპატაკისის სტატია შედგება შესავლის, სამი ნაწილისა და დასკვნისაგან. შესავალში მიმოხილულია რუსეთის იმპერიისა და ეკლესიის მდგომარეობა 1917 წელს რუსეთში მომხდარი თებერვლის რევოლუციის შემდეგ. ამას მოჰყვება იმის თხრობა, თუ როგორ და რა ვითარებაში გამოაცხადა დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიამ და როგორი რეაქცია გამოიწვია ქართველთა ამ გადაწყვეტილებამ რუსეთის ეკლესიაში. ვინაიდან ქართველი სასულიერო და სამეცნიერო საზოგადოებისათვის ეს მოვლენები ცნობილია, ამიტომ სტატიის ამ ნაწილზე ყურადღებას არ გავამახვილებთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ არქიმანდრიტი გაბრიელი საკმაოდ კარგად ყოფილა ინფორმირებული, რაც გასაკვირი არ არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ იმ პერიოდში (1919-1921 წწ.) არქიმანდრიტი გაბრიელი ბათუმში ცხოვრობდა.

სტატიის ძირითადი ნაწილი ეხება შემდეგ საკითხებს: 1. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიებს, ვიდრე რუსეთის ეკლესია დაიქვემდებარებდა, ჰქონდათ თუ არა „სრული“ ავტოკეფალია. 2. საქართველოს ეკლესია სწორად მოიქცა თუ არა, როდესაც თავი საპატრიარქოდ გამოაცხადა, 3. როგორ უნდა გადაიჭრას სადაო საკითხი.

სტატიის პირველ ნაწილში არქიმანდრიტი გაბრიელი ეხება და განიხილავს იმ საკითხებს, რომლებითაც კირიონ II ცდილობს დაასაბუთოს, რომ საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური იყო, რაც იმის დასტურია, რომ კირიონის წერილი მას ხელთ ჰქონდა.

ამის შემდეგ, სტატიის ავტორი ცდილობს გაარკვიოს, როდის მიიღო საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია და ეს ავტოკეფალია იყო „სრული“ თუ „არასრული“, რადგან როგორც თავად მიუთითებს, თანამედროვე მკვლევრებს ტერმინები „ავტოკეფალური“ და „დამოუკიდებელი“ ერთი და იგივე ჰგონიათ. მისივე განმარტებით, „სრული“ ავტოკეფალია და დამოუკიდებლობა აქვს მხოლოდ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს. „არასრული“ და შეზღუდულია ავტოკეფალია მაშინ, როდესაც მიტროპოლიტები და მთავარეპისკოპოსები ექვემდებარებიან პატრიარქს. ანუ, მიტროპოლიტის არჩევას, ქიროტონიას, პატრიარქის მოხსენიების ვალდებულებას და გადასახადებს ადგენს პატრიარქი. ამის საბუთად მოიხმობს ეპიფანე კვიპროსელის, ანტიოქიის პატრიარქ ანასტასიოსის (610 წ.) და ნილოს დოქსაპატრისის (1143 წ.) ნაშრომებს, რომელთა თანახმადაც, არსებობდნენ ავტოკეფალური ეკლესიები, რომლებიც პატრიარქებს ექვემდებარებოდნენ. ამის მაგალითად ასახელებს VII საუკუნეში მოღვაწე ანტიოქიის პატრიარქ ანასტასიოსს, რომელსაც ჰყავდა ავტოკეფალი მიტროპოლიტები: ბეირუთისა, კვიროსისა, მარტირუპოლისისა და ა.შ. ეს მიტროპოლიები არ იყვნენ სრულად ავტოკეფალურები, რადგან ისინი ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ. ასეთად მიაჩნია არქიმანდრიტ გაბრიელს იბერიის ეკლესიაც, რომელიც ექვემდებარებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს და ამას თავად ანტიოქიის პატრიარქი ანასტასიოსიც აღნიშნავს.

გარდა ამისა, არქიმანდრიტ გაბრიელის აზრით, საქართველოს ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოს განმგებლობაში ყოფნა დასტურდება საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტიტულიდან „კათოლიკოსი". საამისოდ იმოწმებს პროკოპი კესარიელისა და სოზომენეს ნაშრომებს, რომელთა თანახმად, კათოლიკოსის ტიტული ეძლეოდა როგორც მღვდლებს, ასევე ეპისკოპოსებს. მღვდლებს, რომლებიც განაგებდნენ რამდენიმე სოფელს (პროკოპი კესარიელი, BP, II, XXV), ეპისკოპოსებს კი – რომლებიც განაგებდნენ რამდენიმე ქალაქს (სოზომენე, Z´, IΘ´). ასევე, „არასრული" ავტოკეფალიის დასტურად მიიჩნევს აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქის, ბალსამონის, მიერ II მსოფლიო კრების მე-2-ე კანონზე დართულ განმარტებას: *„იბერიის მთავარეპისკოპოსს პატივი მიაგო ანტიოქიის სინოდის გადაწყვეტილებამ. ამბობენ, რომ სამეუფეო და დიდი ქალაქის ანტიოქიის პატრიარქის პეტრეს ზეობის დროს სინოდალური იკონომიის საფუძველზე, თავისუფლება და ავტოკეფალია მიენიჭა იბერიის ეკლესიას, რომელიც მაშინ ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა".* არქიმანდრიტ გაბრიელს ბალსამონის ფრაზაში მნიშვნელოვნად მიაჩნია ორი რამ: 1. ბალსამონი, ერთი მხრივ, დაბეჯითებით აცხადებს, რომ მისი წინამორბედი პატრიარქის, პეტრეს, დროს (1054 წ.) საქართველოს ეკლესია ექვემდებარებოდა ანტიოქიის ეკლესიას, მაგრამ ასეთივე მტკიცებით ფორმაში არ საუბრობს იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია უბოძა ანტიოქიის პატრიარქმა პეტრემ, არამედ იყენებს სიტყვას „ამბობენ", ანუ გადმოგვცემს ტრადიციას, რადგან ანტიოქიის პატრიარქის, პეტრეს, ზეობიდან ბალსამონის დრომდე (1203 წ.) გასული იყო 150 წელი. 2. მნიშვნელოვნად მიაჩნია ის გარემოებაც, რომ კონსტანტინეპოლში მცხოვრები ბალსამონი ამ ფაქტის სიზუსტეში დარწმუნებული არ იყო და არც კონსტანტინეპოლის ეკლესიისათვის იყო ცნობილი ანტიოქიის ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებაში კონსტანტინეპოლის ეკლესიას მონაწილეობა არ მიუღია. ეს საკითხი არც მსოფლიო კრებაზე განხილულა. აღნიშნული ფაქტი მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ანტიოქიის საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, რაც განაპირობა მანძილმა და იმ დროისათვის გართულებულმა მიმოსვლის პირობებმა.

არქიმანდრიტი გაბრიელი განიხილავს აგრეთვე ნიკონ შავმთელის (XI ს.), იერუსალიმის პატრიარქების, დოსითეოსისა და ქრისანთოსის, და სხვა სასულიერო პირების ცნობებს. ნიკონის ცნობის მიმართ შემწყნარებლური პოზიცია აქვს, მაგრამ დოსითეოსისა და ქრისანთოსის ცნობებს კრიტიკულად უდგება. მიაჩნია, რომ დოსითეოსმა დაწერა ის, რაც საქართველოში მოისმინა.

საბოლოოდ, არქიმანდრიტ გაბრიელს მიაჩნია, რომ XI საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ მოიპოვა „არასრული" ავტოკეფალია, მსგავსი ტრაპიზონის ეკლესიისა, სადაც მიტროპოლიტს უფლება აქვს აკურთხოს ეპისკოპოსები, ხოლო ეპისკოპოსები ირჩევენ მიტროპოლიტს, რომელიც ქიროტონიისათვის უნდა ეწვიოს მსოფლიო პატრიარქს. ანუ, საქართველოს კათოლიკოსს უფლება ჰქონდა ეკურთხებინა ეპისკოპოსები, ეპისკოპოსებს უფლება ჰქონდათ გამოერჩიათ კათოლიკოსი, მაგრამ კათალიკოსის ქიროტონია ანტიოქიის პატრიარქს უნდა შეესრულებინა.

სტატიის მეორე ნაწილი ეძღვნება საკითხს *„სწორად მოიქცა თუ არა საქართველოს ეკლესია, როდესაც თავი საპატრიარქოდ გამოაცხადა".*

არქიმანდრიტი გაბრიელი აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიის მესვეურთა თანახმად, „950 წელს მცხეთის სამთავარეპისკოპოსო აღყვანილ იქნა საპატრიარქო პატივში და მის მთავარეპისკოპოსს ჰქონდა ტიტული კათოლიკოს-პატრიარქი იბერიისა, ქართლისა და კახეთისა. ასე გრძელდებოდა ვიდრე მას რუსეთის ეკლესია დაიქვემდებარებდა". არქიმანდრიტი გაბრიელი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ „კათოლიკოსი" ნიშნავს მთავარეპისკოპოსს ან ეპისკოპოსს, რომელსაც ექვემდებარება არაერთი სამთავარეპისკოპოსო ან საეპისკოპოსო, მაგრამ თავად კათოლიკოსი და მისი საეპისკოპოსოებიც ექვემდებარებიან პატრიარქს. „კათოლიკოსი" არის

დაქვემდებარებული მღვდელმთავარი, „პატრიარქი“ კი მთავარეპისკოპოსთა მეთაურია. ამიტომ ორივე ტიტულის ერთდროულად ფლობა ოქსიმორონია. თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, როგორც ამას საქართველოს ეკლესია წარმოადგენს, – განაგრძობს არქიმანდრიტი, – მაშინ საკითხავია, საქართველოს ეკლესიის მეთაურს, ვითარცა პატრიარქს, ჰქონდა „სრული“ ავტოკეფალია?

იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ეკლესიას არ ჰქონდა სრული ავტოკეფალია, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის პატრიარქის ტიტულს, რადგან საეკლესიო ისტორიიდან ცნობილია, რომ ყველა პატრიარქს არ ჰქონდა სრული ავტოკეფალია და არც ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას ჰყავს მეთაური პატრიარქის ტიტულით. ამის მაგალითად ასახელებს კვიპროსის ეკლესიას, რომელსაც სრული ავტოკეფალია აქვს, მაგრამ მისი საჭეთმპყრობელი მთავარეპისკოპოსის ტიტულს ატარებს. ასევე იყო ახრიდის ეკლესიაშიც. სამაგიეროდ, არსებობენ ეკლესიები, რომელთა საჭეთმპყრობელები პატრიარქებად იწოდებიან, მაგრამ სრული ავტოკეფალია არ აქვთ. ამის მაგალითად ასახელებს იმ ფაქტს, რომ 1235 წელს მსოფლიო პატრიარქმა გერმანოსმა პატრიარქის ტიტული „შემწყნარებლობით“ მიანიჭა ბულგარეთის (ტირნოვოს) მიტროპოლიტს. ოღონდ, იმ პირობით, რომ არ ექნებოდა სრული ავტოკეფალია და დიპტიქშიც მის სახელს არ მოიხსენიებდნენ სხვა პატრიარქებთან ერთად, როგორც ამას IV მსოფლიო კრების კანონი ითვალისწინებს. ასე რომ, „სრული“ ავტოკეფალიის არმქონე პატრიარქებიც არსებობენ.

თუკი დავუშვებთ, რომ ეს საკითხიც ისე იყო, როგორც ამას საქართველოს ეკლესია წარმოადგენს, მაშინ ვის უნდა ეღიარებინა მისი საპატრიარქო ტიტული? – კითხვას სვამს სტატიის ავტორი და პასუხსაც თავად მოგვახსენებს: ლოგიკურად ეს უნდა გაეკეთებინა ანტიოქიის პატრიარქს, რომელსაც საქართველოს ეკლესია ექვემდებარებოდა, მაგრამ ცნობილია, რომ XI საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქი პეტრე (XI ს.), პატრიარქის ტიტულის მითვისების გამო, აკილიის მიტროპოლიტს დაუპირისპირდა. რაკი პეტრე რომის დაქვემდებარებაში მყოფ მიტროპოლიტს დაუპირისპირდა და უზურპირებული ტიტული დაათმობინა, თავის დაქვემდებარებაში მყოფ იბერიის მთავარეპისკოპოსის მიმართ ასეთ ქმედებას არ ჩაიდენდა, მით უფრო, რომ მაშინ პეტრეს მხარი დაუჭირეს სხვა პატრიარქებმაც. ამიტომ არქიმანდრიტ გაბრიელს შეუძლებლად მიაჩნია, რომ საქართველოს ეკლესიის კათოლიკოსს 950 წელს „კათოლიკოს-პატრიარქის“ ტიტული მიეღო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, **გაბრიელ კარაპატაკისს მიაჩნია, რომ საქართველოს ეკლესიის მესვეურებმა დიდი შეცდომა დაუშვეს, საქართველოს ეკლესიის საპატრიარქოდ გამოცხადებით. ამ ქმედებით დაუპირისპირდნენ არა მხოლოდ რუსეთის ეკლესიას, არამედ ნაპრალი გააჩინეს სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთანაც,**

სტატიის მესამე ნაწილში საუბარია იმ გზებზე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას სადაო საკითხი. გამოთქმულია სურვილი, რომ, პირველყოვლისა, საქართველოს ეკლესიამ თავადაც უნდა გამოიკვლიოს ის საკითხები, რომლებზედაც გამახვილებულია ყურადღება სტატიის წინა ორ ნაწილში. ესენია: 1. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია რამდენად იყო კანონიკური, საქართველოს ეკლესიას ჰქონდა „სრული“, თუ „არასრული“ ავტოკეფალია, 2. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია სცნო ყველა საპატრიარქომ, თუ მხოლოდ ანტიოქიის საპატრიარქომ. 3. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია იყო მსგავსი კვიპროსის ეკლესიის ავტოკეფალიისა, თუ იმ ავტოკეფალიისა, როგორიც ტირნოვოს ეკლესიას მიეცა.

გაბრიელ კარაპატაკისს მიაჩნია, რომ როგორიც არ უნდა იყოს კვლევის შედეგი, გამორიცხულია საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისადმი დაქვემდებარება. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საქართველოს ეკლესია რუსეთისაზე უძველესია. ამასთან, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს რუსეთის სახელმწიფო, რუსეთის ეკლესიისათვის არასოდეს მიუნიჭებიათ უფლება, რომ დაიქვემდებაროს სხვა ეკლესია.

აღმოსავლეთის ეკლესიებთან ურთიერთობის აღსადგენად, საქართველოს ეკლესიამ უნდა იმოქმედოს შემდეგი პრინციპით: 1. აღმოსავლეთისა და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების მესვეურებმა ხელი უნდა მოაწერონ ერთობლივ დოკუმენტს, რომლითაც განაცხადებენ, რომ თანახმა არიან გააგრძელონ არსებობა ერთიან ეკლესიად. 2. ერთიან ეკლესიად გაერთიანებულმა საქართველოს ეკლესიამ განაცხადი უნდა გააკეთოს, ავტოკეფალიის მინიჭებასთან დაკავშირებით. 3. საქართველოს ეკლესიამ უნდა მოითხოვოს, რომ მისმა კათოლიკოსმა მიიღოს პატრიარქის ტიტული. 4. საქართველოს ეკლესიამ უნდა მოითხოვოს არჩევანის თავისუფლება, რომელ ეკლესიას მიეკედლოს, ანტიოქიისა თუ კონსტანტინეპოლისა, რომელიც მასთან უფრო ახლოს მდებარეობს.

ამრიგად, საქართველოს ეკლესიის მიერ 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით, კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის ეკლესიების გარდა, პოზიცია გამოხატა ალექსანდრიის ეკლესიამაც. უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ ანტიოქიის საპატრიარქოს პოზიციასაც.

Tamar Meskhi

Ilia State University, Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies

RESTORATION OF AUTOCEPHALY OF THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH IN 1917 AND THE POSITION OF THE PATRIARCHATE OF ALEXANDRIA

RESUME

The leaders of Georgian Orthodox Church took the advantage of the governmental changes, occurred in Russia, and, on March 12 (25), 1917 restored the autocephaly of Georgian Church, which was uncanonically abolished by Russian Church. This significant event was communicated to the Orthodox Chueches of the east (Constantinople, Alexandria, Antiochia, Jerusalem) in written by Cathoticos Patriarch of Georgia Kirion II in October, 1917 and requested their co-prayer and support. Georgian Church didn’t receive the letters of response. For this reason, up to the present, it is the opinion of Georgian religious and scientific communities that restoration of autocephaly of Georgian Church wasn’t recognized by any of the Orthodox Churches.

As a result of research it was found out that this opinion is not correct. In November 1919, on the order of Constantinople Church, Metropolitan of Trabzon Crysanthos (future Archbishop of Athens and Hellados in 1938-1940) visited Georgian Church. The Metropolitan learned the situation, existing in Georgian Church and presented report (it was printed in the magazine «Ἐκκλησιαστική Ἀλήθεια», 1/8/1920), to the Synod of Constantinople Church, by which he supported restoration of the autocephaly of Georgian Church. Unfortunately, Constantinople Church made no further effective steps, as it faced great danger itself as a result of the World War I.

The World War I posed problems to Jerusalem Church as well. Nevertheless, articles were published in the official press organ of Jerusalem Church Νέα Σιών (N 15, 1920 and N16, 1921) about the contribution of Georgians in development of Christian culture, and Georgian Church was again referred to as the oldest Autecephalous church.

In 1921, the official journal of the Patriarchate of Alexandria «Ἐκκλησιαστικὸς Φάρος» published an extensive article regarding the restoration of Autocephaly of the Georgian Church titled "The Church of Georgia, its Autocephaly and self-promotion as a Patriarchate". The author of the article is Archimandrite Gabriel Karapatakis. The article includes an introduction, three sections and a conclusion.

The introduction deals with the conditions of Georgian Church after the February Revolution of 1917 in Russia and the reaction of the Russian Church to the declared re-establishment of autocephaly by the Georgian Church on March 12, 1917. The following issues are discussed in the article: 1. Whether the churches of Eastern and Western Georgia had a complete Autocephaly before they were subordinated to the Russian Church; 2. Whether it was correct to declare the Georgian Church a patriarchate, and 3. How to resolve the disputed issue. The conclusion of the article is as follows: 1. It is impossible for the Church of Georgia to be subordinate to the Church of Russia, because the Church of Georgia is more ancient than that of Russia. 2. No matter how powerful the Russian state was, the Russian Church was never given the right to subjugate other Churches, especially those more ancient than Russian Church.

As for the issue of relations between the Church of Georgia and Eastern Churches, the Church of Georgia should act according to the following principle: 1. The leaders of the churches of Eastern and Western Georgia should sign a joint document that they agree to continue to exist as a single church. 2. The Church of Georgia combined into a single Church should appeal regarding the recognition of Autocephaly. 3. The Georgian Church should demand that its Catholicos be granted the title of Patriarch. 4. The Georgian Church must demand freedom to choose which church it will unite with - the Antioch or Constantinople Church.

Thus, acknowledgement and recognition of the Autecephaly of Georgian Church was delayed not for the reason of its (Georgian Church) ignoring, but due to the historical disturbances resulting from the World War I.

მურად მთვარელიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრისტე და მარიამი რუჰი ბაღდადის პოეზიაში

ცნობილია, რომ ქრისტესა და ღვთისმშობელს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ყურანში. ისინი ასევე პოპულარული არიან ისლამურ პოეზიაშიც. პროფ. მაგალი თოდუა, წიგნში „მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში“ წერს: „შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ ყურანში მოხსენიებულ იესო პოეტებისათვის საყვარელი პერსონაჟი გახდა, მაგრამ თუ გავიხსენებთ იმას, რომ მთელი სპარსული პოეზია არის სუფიური ანუ ნეოპლატონური, რომლის მიხედვით ჩვენ ვართ უფლის ემანაცია, რომელსაც აქვს უნარი ამაღლდეს და დაუბრუნდეს ისევ ღვთაებას, მაგრამ თუკი ქრისტიანული სწავლებით ჩვენ შეგვიძლია ჩვენი ცხოვრებით უფალთან მისვლა, სუფიზმი მიიჩნევს, რომ ადამიანს აქვს საშუალება 12 საფეხურის გავლის შემდეგ, რომლის დროსაც კარგავს ხორციელ არსებობას, არათუ მივიდეს უფალთან, არამედ გაითქვიფოს მასში, ანუ ღმერთად იქცეს. ქრისტე აღმოჩნდა იდეალური მოდელი ისლამის მოაზროვნეებისათვის. ღმერთი, რომელიც ჩამოვიდა, იცხოვრა, ივნო და აღდგა.

სპარსი პოეტები მუჰამედს კი არ თხოვენ სათხოვარს, არამედ იესოს. მათ იესოს თემაზე უამრავი მხატვრული სახე შექმნეს“.[1]

ეს საკითხი სპარსულ პოეზიის მაგალითზე დამუშავებული აქვთ ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეებს ბორის ზნამენსკის (სახარების პერსონაჟები ყურანში, „მაცნე“ - ენისა დაა ლიტერატურის სერია, თბ. 1985); გ. ლობჟანიძეს (იესო და მარიამი ყურანში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ. 2002) მაგალი თოდუა იესო ქრისტე სპარსულ პოეზიაში“ (თბ. 2004). შედარებით მწირად გამოიყურება ამ თვალსაზრისით აღნიშნული პრობლემის კვლევა თურქულ პოეზიაში.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მკვლევარ თამარ გიორგობიანის პუბლიკაცია „იესო ქრისტე და მარიამი თურქულ პოეზიაში“. მკვლევარი შენიშნავს: „წინამდებარე სტატიით ჩვენ ვეხმიანებით ისლამური აღმოსავლეთის პოეზიის ამ მეტად საინტერესო და აქტუალურ საკითხს და დაინტერესებულ მკითხველს წარმოვუდგენთ თურქი პოეტის ფუზელის (1494-1556) ორი ღაზელის ორიგინალსა და მათ ფილოლოგიურ თარგმანს“. [2]

ჩვენ შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, თუ როგორ აისახა ესო ქრისტე და ღვთისმშობელი მარიამის სახე მე-16 საუკუნის ცნობილი ოსმალო პოეტის რუჰი ბაღდადის შემოქმედებაში..

ვიდრე უშუალოდ საკვლევ საკითხს შევეხებოდეთ, იმდენად, რამდენადაც რუჰი ბაღდადი რინდთა კასტას განეკუთვნებოდა, გვსურს გავარკვიოთ, რინდების დამოკიდებულება ქრისტიანული სარწმუნოებიადმი, როგორც ცნობიილია, „რინდ“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ცბიერს, თაღლითს, მოქეიფეს, ბედოვლათს, გზააბნეულს. ამასთან ერთად, ესენი იყვნენ თავზე ხელაღებული, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლები. ეს რაც შეეხება სხვათა შეფასებას, მაგრამ საინტერესოა რინდების თვითშეფასების გააზრება, რაც რადიკალურად განსხვავდება ზოგადად მიღებული თვალსაზრისისაგან ამ კასტისადმი.

თავის თავს რინდები უწოდებდნენ ვაჟკაცს, კეთილშობილ, დარდიან, პატიოსან ადამიანს. ცნობილი სპარსი რინდი პოეტი ჰაფეზი წერდა: „როდესაც ჩავუვლი ჩემს საფლავს, სიყვარულით დაიჩოქე, მთელი ქვეყნის ლაღი რინდები აქ მოვლენ სალოცავად.“

---

[1] მაცხოვარი და ღვთისმშობელი სპარსულ პოეზიაში. სპარსულიდან ტარგმნა მაგალი თოდუამ, ტბ. 2006. გვ. 17
[2] გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, თბ. 2006, N2, გვ. 19

რინდების სახე ჩნდება ჯერ კიდე მეათე საუკუნის არაბულ პოეზიაში. რინდის, როგორც ამაყი და თავისუფალი ადამიანის ერთგვარი სიმბოლო პოეზიაში სრულყოფილად წარმოადგინა ჰაფეზმა.

ჰაფეზის ხედვით, ამქვეყნად ბოროტება და მაცდურია გაბატონებული, უსამართლოდ აღზევებულან ბრიყვები და რეგვენნი და ზეიმობენ, ხოლო ბრძენთ კი მათ წინაშე აქვთ ხელი გაწვდილი.. სიმდაბლე ცხოვრების კანონადაა ქცეული. მგოსნის სიმღერა ქერის ერთი მარცვლის ფასიც არაა, ის ამაღლებულია საზოგადოებაზე, დასცინის უხამს კანონებს.

რინდთა კასტას ეკუთვნოდნენ გამოჩენილი ირანელი პოეტები სანაი (XII ს), და ჯალალ ედ დინ რუმი (XIII ს).

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რინდები სარწმუნოებაზე მაღლა მდგომნი არიან. ძველ აღმოსავლურ ქალაქებში „რინდების უბნებში“ ცხოვრობდნენ სხვადასხვა სარწმუნოების და ეროვნების მიუსაფარი ადამიანები: ქრისტიანები, იუდეველები, ზოროასტრები, მანიქეველები, ისლამის ერეტიკოსები, მოხეტიალე დერვიშები.

ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ რინდები მე-13 საუკუნეში ცხოვრობდნენ თბილისში, მიგვანიშნებს იმაზედაც, რომ ეს კასტა თავის დროზე საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალში მოქმედებადა. საქართველოში რინდების საკითხს შეეხო ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც იყო ივ. ჯავახიშვილი, საინტერესო გამოკვლევები უძღვნეს აღნიშნულ პრობლემას ცნობილმა მკვლევრებმა ვ, გაბაშვილმა და ე. ჯაველიძემ.

„ქართლის ცხოვრებაში“ რინდები მოიხსენებიან როგორც უზნეო, მდაბიო საქმეთა მკეთებელნი. როგორც ისტორიული წყაროებიდან არის ცნობილი, რინდებთან იყო დაკავშირებული ლაშა-გიორგი, რომლის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და წესთა მასწავლელნი, შეიყუარა თანამოჰასაკენი მოსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა, რომელ ესოდენ უსახურებად მიიწია, რომელ ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვინისა, თაფლუჭისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი, ხოლო რინდნი, მეფისა მისვლასა არ მგონებლნი და ღვინით უცნობო-ქმნილნი, ზედა მიეტევნეს მგუემელნი ძლიერად ვიდრემდე ერთიცა თუალე მარჯუენე ხედვისაგან უხედვო ყვეს“.[1]

ჟამთააღმწერლის პოზიცია რინდების მიმართ მკაფიოდ უარყოფითია. მაგრამ როგორც უკვე შევნიშნეთ, თვით რინდები ამაყობდნენ ამ სახელით. მათი გაგებით, რინდი ასოცირდებოდა ვაჟკაცისათვის დამახასიათებელ ყველა აღმატებულ თვისებასთან.

რაც ეხება რინდების დამოკიდებულებას სარწმუნოებისადმი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია შენიშნული, მათი ერთადერთ სარწმუნოება არის ჭეშმარიტება.

ახლა დავსვათ საკითხი ასე: რა არის მათთვის ეს ჭეშმარიტება? ვფიქრობ, ამ საკითხზე რამდენიმეგზის იძლევა პასუხს რუჰი ბაღდადის პოეზიის ანალიზი.

რუჰი ბაღდადი, როგორც რინდი პოეტი, უსახლკარო, მაგრამ სულიერად მდიდარი შემოქმედი დგება საკუთარ სარწმუნოებაზე მაღლა, რადგან, ისლამის სამყაროს არაერთი პოეტის მსგავსად, თავის პოეზიაში საკმაოდ დიდ სიმპათიებს გამოხატავს როგორც იესო ქრისტესა და მარიამის, ისე ბიბლიური პერსონაჟების მიმართ.

ერთ-ერთ ლექსში პოეტი საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რომ სამყაროში არსებულ ნაწილაკებს სულში მზე უდგათ, მათ თავი წარმოუდგენიათ იმ წმინდა სულად, რომელიც გაბრიელ მთავარანგელოზმა სცხო მარიამს. ისინი მზის თასებით ყოველ ცისმარე ეძლევიან ლხინს, ხოლო ნაბახუსევზე პურმარილს ქრისტეს გვერდით იღებენ. რინდები მტრის მიმართაც

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ. 1959

კი მუსას (მოსეს) კეთილი ხელის მქონენი, ხოლო წარღვნის დროს ნოეს კიდობნის გამომთლელები არიან.

დავას არ იწვევს ის, რომ რუჰი ბაღდადის ეს თვალსაზრისი აშკარად ჰუმანური და ზოგადსაკაცობრიოა. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ეპოქას, მისი ჰუმანიზმი ერთგვარი გარღვევაა იმ რეალური სივრცისა, სადაც მას უხდებოდა ცხოვრება.

ამ ლექსში რუჰი ბაღდადი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რინდები ქრისტეს სუნთქვის შთამაგონებელი გასაღები არიან, ანუ თავად არიან ქრისტეს სუნთქვა, ამავდროულად, ჰიზირის ცხოვრება, ატრიბუტთა ზღვაში ზათის მიმალული მარგალიტები არიან..

ბუნებრივად ისმის კითხვა: ვინ არის ჰიზირი? ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ეს ლეგენდა: ოდესრაც ცხოვრობდნენ ძმები ჰიზირი და ილიასი, რომელთა გზებიც მატი ცხოვრების რომელიღაც მონაკვეთში გაყრილა, განგებას კი მათთვის წელიწადში ერთხელ შეხვედრის უფლება მიუცია. ლეგენდის თანახმად, ამ დღეს ორი ძმა ერთმანეთს ხვდება და ისინი სურვილებს უხდენენ ყველას, ვინც მათ დასახმარებლად მიაკითხავს.

სახელი ჰიზირი, როგორც შენიშნულია, მომდინარეობს არაბული სიტყვიდან „ჰადრ“, „ჰიდირ, რაც ნიშნავს „მწვანეს“. ებრაული განმარტებით „ჰიდირ“ ელია წინასწარმეტყველის აღმინშვნელი ზედმეტსახელია. ანატოლიური რწმენის მიხედვით, იქ სადაც ჰიზირი ფეხს დადგამს, ყველაფერი მწვანდება, ხასხასდება და აყვავილდება. ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ჰიზირი თითქმის ყველა წმინდა წიგნშია ნახსენები. რომელტა მიხედვით ის წარმოგვიდგება როგორც მშვიდობისა და აყვავების სიმბოლო. ჰიზირი უკვდავია. ჰიზირს ხშირად წმინდა გიორგისთანაც აიგივებენ. თუმცა, ძირითადად, ჰიზირი გაზაფხულის, ახლიდან დაბადების სიმბოლოა.

ჰიზირი რუჰი ბარდადის საყვარელი პერსონაჟია.

ქვემოთ გთავაზობთ ტექსტის სიტყვასიტყვით თარგმანს (თარგმანს ვიღებთ პროფ. ელიზბარ ჯაველიძის წიგნიდან) და ჩვენ მიერ გალექსილ ვარიანტს.

ფილოლოგიური თარგმანი:

თუმც გარეგნობით მცირე ატომები ვართ, სულიერ სიღრმეში მზეები ვართ.
წმინდა სულის (გაბრიელის) მიერ მარიამში შთაბერილი სულები ვართ.
მზის თასით ყოველ დილით ვეწევით ლხინს.
ქრისტესთან ერთად ნაბახუსევზე ჯამის მსმელები ვართ.
უგვანო ღვინოს არ დავლევთ, თუ აღთქმა დავდეთ
ჩვენ აღთქმაში მტკიცედ ვდგავართ, ნასუჰები* ვართ.
გველიც რომ იყოს მტერი, მუსას თეთრი ხელი ვართ.
ქვეყნის მწუხარება თუ იქნება ნიაღვარი, ჩვენ ნოეს კიდობანი ვართ.
მოლამ წაიკითხოს მედრესში ორბწკარედის (პოემისა) ახსნა.
ჩვენ გამოგვიწოდე ჯამის ფსკერი (არსი) ე, ჩვენ ახსნის ჭეშმარიტი მცოდნენი ვართ.
სუფი, ჩვენ ფიზიკური თვალით ნუ გვიყურებ,
გახსენი სულის კარი, შემოგვხედე, ნახე რა სულები ვართ!
აუგის მთქმელებს და ცილისმწამებლებს ჩვენ კრიჭაშეკრული ვენახვებით,
მაგრამ ქრისტეს სუნთქვის მქონე რინდების შთაგონების გასაღები ვართ.
ქრისტეს სუნთქვა ვართ. ზერქმევა რუჰი გვაქვს, ჰაზირის** ცხოვრება ვართ.
სახეთა (ატრიბუტთა) ზღვაში ზათის** მალული მარგალიტები ვართ.

პოეტური ვარიანტი:

თუმც ატომნი ვართ, სულში გვიდგას მხოლოდ მზეები,
წმინდა სული ვართ, გაბრიელმა რომ სცხო მარიამს,
ჩვენ მზის თასებით ლხინს ვეწევით ყოველ ცისმარე,
ნაბახუსევზე ქრისტეს გვერდით ვიღებთ პურ-მარილს.

ნასუჰი - კაცის სახელი, რომელიც თაღლითობდა ქალთა აბანოში, მაგრამ სემდეგ აღთქმა დადო, რომ ასეთ რამეს არარ ჩაიდენდა. მისი აღთქმა მიჩნეულია როგორც დაურღვეველი ფიცი.

უგვანო ღვინო ჩვენ არ გვინდა თუ აღთქმა დავდეთ,
ჩვენ ჩვენს აღთქმაში გადავწყვიტეთ ნასუჰებს ვგავდეთ.
გველიც რომ იყოს მტერი, მუსას თეთრი ხელი ვართ,
წარღვნის დროს ნოეს კიდობნების გამომთლელნი ვართ.
დაე, მედრესში წაიკითხოს მოლამ ეს ლოცვა,
ჯამის ფსკერს გვიძღვნი ჩვენ -ჭეშმარიტ მცოდნეებს როცა,
ო, ნუ გვიყურებ, სუფი, ასე მოწყალე თვალით,
აუგის მთქმელთან მხოლოდ ვდუმვართ, პასუხს ვცემთ ამით.
მაშ გახსენ სულის კარი, ნახე, რა სულები ვართ,
ჩვენ ქრისტეს სუნთქვის შთაგონების გასაღები ვართ,
ქრისტეს სუნთქვა ვართ, ვართ ცხოვრება თავად ჰაზირის,
თუმც რუჰი გვქვია, სახეთა ზღვაში სხვა მზე გვიღიმის.
იმ ზღვაში ზათის* მიმალული მარგალიტნი ვართ.

ყურადღება გვსურს გავამახვილოთ ერთი მხრივ მარიამთან და ქრისტესთან მიმართებაში გამოყენებულ მხატვრულ საშუალებებზე, მეორე მხრივ კი იმ ჰარმონიაზე, რომლითაც რუჰი ბაღდადი ერთმანეთის გვერდით, თანაბარი პატივისცემით მოიხსენიებს როგორც ქრისტიანულ, ისე მაჰმადიანურ წმინდანებს.

ჩვენს ყურადღებას ამ პოეტურ ნაწარმოებებში უპირველესად იქცევს ის გარემოება, რომ რინდი პოეტი რუჰი ბაღდადი თავის თავს და ზოგადად, რინდებს მოიხსენებს როგორც სულიწმინდის გამოვლინებას („წმინდა სულ ვართ გაბრელმა რომ სცხო მარიამს“), ამავე დროს ისინი ქრისტეს მხედრები არიან, მის გვერდით იღებენ საზრდოს (ნაბახუსევზე ქრისტეს გვერდით ვიღებთ პურ-მარილს).

ძველი აღქმიდან რუჰი ბაღდადი გამოარჩევს მოსეს, რომლის სასწაულმოქმედი მარჯვენაც მათთვის სწორედ სიკეთის სიმბოლოდ არის ქცეული („გველიც რომ იყოს მტერი, მუსას თეთრი ხელი ვართ“); საერთო უბედურების დროს ნოეს დარად, მათაც შეუძლიათ ადამიანების შეფარება და გადარჩენა. (წარღვნის დროს ნოეს კიდობნების გამომთლელნი ვართ“).

ამ ლექსში პოეტს შემოაქვს კიდევ ერთი იდეა, რომელიც ქრისტიანული მორალის ერთგვარი პოსტულატია, ესაა ადამიანთა, ამ შემთხვევაში რინდთა პოზიცია - დუმილი ბოროტების პასუხად („აუგის მთქმელთან მხოლოდ ვდუმვართ, პასუხს ვცემთ ამით“.)

რუჰი ბაღდადი თავის ლექსებში არაერთგზის ახსენებს ქრისტეს სულს, სუნთქვას, მის სურნელს. სპარსულ პოეზიაში არცთუ იშვიათად არის გამახვილებული ყურადღება ქრისტეს სულზე, მის სურნელზე და ეს მხატვრული სახე ძირითადად მიემართება მიჯნურებს ანუ პოეტთა სამიჯნურო ობიექტი მათთვის სწორედ ქრისტეს სულისა და სურნელის, უფრო მეტიც, იესოს სუნთქვის მქონენი არიან.

მეათე საუკუნის სპარსი პოეტი ჰალაჯი ქალ-ვაჟის სიყვარულს წარმოიდგენს როგორც სიყვარულს მაცხოვრისადმი.

ტრფიალის შენის სახმილზე მზად ვარ,
დავიწვა, როგორც ფშვიადი უდი,
თუ მკერდზე ისე მიმიკრავ, როგორც
მიგიკრავს ხოლმე ჩანგი და უდი.
ვატყობ ნიავმა შენს სიახლოვეს

---

* ზათი - ამჯერად მარად არსებული ღმერთი.

გამოიარა და მოაქვს გუდით,
ქრისტეს სურნელის მსგავსი სურნელი
ამ შენი მუშკის ზილფებს რომ უდის.
(სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ)

ამასთან დაკავშირებით, გია მ. თოფურია წერს: „ქალ-ვაჟთა თავდავიწყებულ სიყვარულში რომ მაცხოვრისადმი სიყვარული იგულისხმება ანუ სატრფო და მაცხოვარი რომ ერთი და იგივეა ეს დაუფარავად არის გადმოცემული სუფი პოეტების მიერ.“.[1]

ასევე საინტერესო მხატვრულ სახედ უნდა მივიჩნიოთ „ქრისტეს სუნთქვა“. სპარს პოეტი სანაის(XII ს.) პოეზიაში:

სამაგიეროდ ტუჩები მისი
მკვდრებს აცოცხლებენ, როგორც წესია,
მარჯნის და ლალის ბაგეთ რომ გახლეჩს,
მიხვდები, როგორ სუნთქავს მესია“.

.. ეს მხატვრული სახე სხვასთან ერთად გვხვდება ათაშ ისპანელის პოეზიაში: „რადგან იესოს სუნთქვა ამოაქვს პირით თაფლივით ტკბილ მაგ შენს ბაგეთ“.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სპარსელი პოეტები მხატვრულ სახედ „ქრისტეს სუნთქვას“ იყენებენ სატრფოსთან მიმართებისას, როცა მისი სიწმინდისა და სიტკბოს ჩვენება სურთ, მათთვის ყველაზე უფრო მოხერხებული შედარება სწორედ უფლის, კონკრეტულადაც ქრისტეს სუნთქვაა, როგორც სიწმინდისა და სიანკარის ერთგვარი გამოხატულება. სხვაგვარ დატვირთვას ღებულობს ეს მხატვრული სახე რუჰი ბაღდადის შემოქმედებაში. აქ პოეტი და მისი თანამოძმე რინდი მეგობრები თავად არიან ქრისტეს სუნთქვის მქონენი: „ჩვენ ქრისტეს სუნთქვის შთაგონების გასაღები ვართ, ქრისტეს სუნთქვა ვართ, ვართ ცხოვრება თავად ჰაზირის“ .

ქრისტეს იხსენებს პოეტი ისეთ კატეგორიაზე მსჯელობისას, როგორიცაა სიყვარული. როგორც პროფ. ელ. ჯაველიძე წერს: „უპირველეს ყოვლისა, რაც თვალში გეცემათ აღმოსავლური ლირიკის ტრადიციების შესწავლის დროს - ეს არის სიყვარულის ცნების გაიგივება მწუხარებასთან. სიყვარული ეს უსაზღვრო მწუხარებისა და სიმძიმილის მიზეზია, სადაც სიყვარული არსებობს, იქ არ შეიძლება დარდი და სევდა არ ბატონობდეს, რუჰი ბაღდადის აზრით, სიყვარულით გამოწვეული დარდი ყველაფერში და ყოველივეში დასადგურებულა. სიყვარულის მწუხარებით შეპყრობილია ცოცხალიც და მკვდარიც, მოსეც და ქრისტეც.[2] მკვლევარს ამის ნიმუშად მოაქვს ერთი ქულიათი:

ფილოლოგიური თარგმანი:
ყველას გადააქვს შენი უბედურება, მხედველშიც დარდია, ბრმაშიც დარდია,
გინდა ჰიზირი, გინდა მეჯნუნი, ყველა სიყვარულის მწუხარების ტყვეა,
ასე მოსულან და ასე წავლენ, ცოცხალშიც დარდი, მკვდარშიც დარდია,
იმ ორ ჯადოქარ თვალის, იმ ორ წმინდა ლალის.
ეი, რუჰი, თუ კითხავ, (მისი დარდი) ქრისტესაც აქვს და მოსესაც.

პოეტური თარგმანი:
ტრფობის ვარამი ტანჯავს ყველას - ბრმას თუ თვალხილულს,
ჰაზირია თუ მეჯნუნია, ამ სევდით ამობს,
ასე მოსულან, ასე წავლენ, დარდობენ მუდამ,
მკვდრებიც, ცოცხლებიც, იმ ჯადოსნურ თვალების გამო.

---

[1] გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, თბ. 2006, N9, გვ. 31
[2] ე. ჯაველიძე, რუჰი ბაღდადი, თბ., 1968, გვ. 129

და, ეი, რუჰი, ჰკითხე წამსვლელს, ჰკითხე მომსვლელსაც,
გეტყვის: ეს დარდი ჰქონდა ქრისტეს და თვით მოსესაც.

და კიდევ ერთი თავისებურება, რაც მარიამისა და ქრისტესადმი რუჰი ბაღდადის დამოკიდებულებაში გამოიხატება, იმაში მდგომარეობს, რომ თუ რუჰის წინამორბედი პოეტის ფუზულის მარიამისა და ქრისტესადმი მიძღვნილ ლექსებში ღვთისმშობელიც და იესოც პოეტის მიმართვის საგანია, რაც თავისთავად გულისხმობს ერთგვარ მორიდებას, სიდაბლიდან სხვა სიმაღლისაკენ ყურებას, რუჰისთან განსაკუთრებით ქრისტე წარმოდგენელია, როგორც ამ საძმოს -რინდთა ერთგვარი თანამონაწილე, მათი საძმოს წევრი, თუმცა ეს ხელს არ უშლის პოეტს, რომ გრძნობდეს ქრისტეს სიდიადეს. ვფიქრობთ, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმ ერთგვარი სულიერი მისწრაფებებით, რაც რუჰი ბაღდადს, როგორც საკუთარ სარწმუნოებაზე მაღლა მდგომ ადამიანს ჰქონდა ქრისტიანული და ბიბლიური წმინდანებისადმი. ელ. ჯაველიძის შენიშვნით „რინდი, თუ შეიძლება ასე ითქვას, რუჰი ბაღდადის პროტესტანტული განწყობის გამოხატვის ერთი საშუალება, პოეტური გზაა“.[1] ჩვენი მხრივ შევნიშნავთ; ამ პროტესტანტული განწყობილების გზაზე რუჰი უმეგობრდება იესო ქრისტეს, რომელიც მისთვის იმდენად ახლობელი ხდება, რომ ვერცერთი მნიშვნელოვანი თავშეყრა მის გარეშე ვერ წარმოუდგენია.

სპარსულ პოეზიაში ქრისტესთან მიმართებით არაერთი მხატვრული სახე შეიქმნა. ის ამა თუ იმ ავტორთან წარმოდგენილია როგორც „მისაბაძი“ –(ნასერ ხოსროვი), „ჭეშმარიტება“ (სანაი); „ღმერთის თანაზიარი“ (ფირდოუსი), „ქრისტეს სურნელი“ (ჰალაჯი), „მკურნალი“ (სეიფ ფერღანელი, ჰალიჯი), „იესოს სუნთქვა“ (ათაშ ისპაანელი), „გადამრჩენელი“ (ჯალალ ედ-დინ რუმი), „გამცოცხლებელი“ (ჰაბიბ ხორასნელი). ყველა ეს სახე არის ამ პოეტების მხრიდან ერთგვარი მოკრძალების გამომხატველი. რაც შეეხება რუჰი ბაღდადს, მისთვის ქრისტე თანამოინახეა, რომლის გვერდით ყოფნა მას უხერხულობას კი არ უქმნის, პირიქით, სასიკეთო საქმეებისათვის განაწყობს.

შეიძლება ითქვას, რომ ქრისტესთან ასე ახლოს არცერთი სპარსი პოეტი არ მისულა. ამ მხრივ ოსმალო პოეტის რუჰი ბაღდადის დამოკიდებულება იესო ქრისტესადმი სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებულია.

მე-16 საუკუნის ცნობილი ოსმალო პოეტის რუჰი ბაღდადის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ იესო ქრისტე და ღვთისმშობელი მარიამი. რუჰი ბაღდადი, როგორც რინდი პოეტი, ყოველგვარ რელიგიაზე მაღლა დგას. ამიტომ მისთვის ახლობელია როგორც მაჰმადიანური ისე ქრისტიანული სარწმუნოების წმინდანები. თუ რუჰის წინამორბედი მაჰმადიანი პოეტების მარიამისა და ქრისტესადმი მიძღვნილ ლექსებში ღვთისმშობელიც და იესოც ამ პოეტის მიმართვის აღმატებული საგანია, რაც თავისთავად გულისხმობს ერთგვარ მორიდებას, სიდაბლიდან სხვა სიმაღლისაკენ ყურებას, რუჰისთან განსაკუთრებით ქრისტე წარმოდგენელია, როგორც რინდთა საძმოს ერთგვარი თანამონაწილე, მათი ძმობის წევრი, თუმცა ეს ხელს არ უშლის პოეტს, რომ გრძნობდეს ქრისტეს სიდიადეს. ვფიქრობთ, ეს გამოწვეული უნდა იყოს იმ ერთგვარი სულიერი მისწრაფებებით, რაც რუჰი ბაღდადს, როგორც საკუთარ სარწმუნოებაზე მაღლა მდგომ ადამიანს ჰქონდა ქრისტიანული და ბიბლიური წმინდანებისადმი.

[1] ე. ჯაველიძე, რუჰი ბაღდადი, თბ., 1968, გვ. 82.

Murad Mtvarelidze
Gori State University

CHRIST AND THE VIRGIN MARY IN THE POETRY OF RUHI BAGHDADI

RESUME

Jesus Christ and Virgin Mary occupy an important place in the works of the famous Ottoman poet of the 16 -th century, Ruhi Baghdadi.

Ruhi Baghdadi as a Rindi poet is above all religions. That is why he is close to both Muslim and Christian saints. If in the poems dedicated to Virgin Mary and Christ by Ruhi's predecessor muslim poets, Virgin Mary and Jesus are the superior objects of this poet's appeal, which in itself implies a kind of evasion, looking from lowliness to another height, for Ruhi, Christ is especially represented as a kind of partner of the brotherhood of the Rinds, a member of their brotherhood, although this does not prevent For the poet to feel the greatness of Christ. We think, it should be caused by the kind of spiritual aspirations that Ruhi Baghdad had towards Christian and biblical saints, as a person standing above his own religion.

ნიკოლოზ ოთინაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქსნის ხეობის ძეგლები

ქსნის ხეობა და ზოგადად საერისთაო მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. აქ თითქმის ყველა ეპოქის ნიმუშებია წარმოდგენილი, როელთაც აქვთ წარწრები ასომთავრული, ნუსხური, მხედრული გრაფიკით. ამასთან მოსახლეობაში დარჩენილია გადმოცემები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია ნებისმიერ ძეგლზე მსჯელობისას.

ამჯერად წარმოვადგენთ ხეობის რამდენიმე ძეგლის ისტორიას, რომლებიც ყოველთვის ჩართული იყვნენ ჩვენი სამშობლოს ისტორიის მატიანეში.

ფიცხელაურების კოშკი

მდებარეობს ქსნის ხეობის სოფელ ოკოთში, მდინარის მარცხენა მხარეს, სოფლის აღმოსავლეთით. თავდაპირველად თვით სოფელი აღმოსავლეთით შემაღლებულ ადგილზე ყოფილა, რომელსაც პატარა უბანი ახშადი ეწოდებოდა, დღეს იგი ნასოფლარია. აქ ცხოვრობდნენ ფიცხელაურები და დოლიშვილები. ეს ბოლო გვარი მოსულა მეჯუდის ხეობის სოფელ დვალიაანთ კარიდან და ფონეტიკური მოვლენის წყალობით ვ-ი გადაიქცა ო ხმოვნად ასეთი დაბოლოების გვარი მივიღეთ დოლიშვილი. ამას ადასტურებს ეპიგრაფიკული წარწერები საფლავის ქვებზე. ფიცხელაურები და ზანგურაშვილები ცხოვრობდნენ დღევანდელი იკოთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. 1690 წელს მეფე ერეკლე პირველ სითარსის წიგნს აძლევს შიოშ და არჯევან ფიცხელაურებს. ამის შემდგომ ამ გვარის ხალხს თვალსაჩინო თანამდებობები ეჭირათ ხეობაში. „1774 წლის ქსნის ხეობის აღწერაში“ მოხსენებულია „ფიცხელაურის ბოქაუთლუხუცესის ყმა გლახა და ბერი“[1].

გამორჩეულია არჯევან ფიცხელაური, რომელმაც ხელში ჩაიგდო დიდი მამულები, სოფელ იკოთში ააგო კოშკი, ჩამოასახლა მთიდან გიგაურები და ამ კოშკის გარშემო დაასახლა. ასე ეწოდა ამ დასახლებას „გიგარაანი“.

კოშკი ნაგებია კლდის ქვით, დუღაბით, წრიულია, სამსართულიანია, პირველი და მეორე სართულები კამრაოვანი გადახურვითაა, მესამე სართული თუნუქითაა დახურული, ამ ოჯახის უფროსი ბოლოს იყო ნიკოლოზ ფიცხელაური, რომელიც იცავდა საგვარეულო სიმაგრეს და ასევე იქვე ახლოს აგებულ წმინდა ნინოს ბაზილიკურ ეკლესიას, სადაც ერისთავების განსასვენებელი არის ეზოში. ბაზილიკა აგებულია ამ სიმაგრის გვერდით, აღმოსავლეთის მხარეს არის ივანე არჯევანისძე ფიცხელაურის განსასვენებელი, აქვს წარწერა „აქ განისვენებს ივანე არჯევანის ძე ფიცხელაური“. ივანე ფიცხელაური, როგორც გადმოგვცემენ, მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ომში და მის დაჭერაშიც მიუღია მონაწილეობა. ძეგლი დღესაც ამაყად გადასცქერის ხეობას.

ასევე გამორჩეული პირია არჯევანის შვილი დოსითეოსი, რომელიც ცხოვრობდა XIX საუკუნის 10-იან წლებში, იგი დაიბადა და ცხოვრობდა იკოთში, საგვარეულო კოშკში, ბერად აღიკვეცა ნათლისმცემლის მონასტერში. ახლოს იყო ანტონ კათალიკოსთან და მისი წყალობით სწრაფად დაწინაურდა. 1801 წელს ის იკორთის წინამძღვარია, მართავდა წილკნის ეპარქიას, ასევე იყო თირის მონასტრის წინამძღვარი. რუსეთის მთავრობამ მას ოსების გაქრისტიანება მიანდო, რასაც წარმატებით უძღვებოდა. 1830 წელს გარდაიცვალა.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი I, დემოგრაფიული ძეგლები, 1967, გვ. 205.

გრუის ციხე

მდებარეობს ქსნის ხეობაში, ალეურას ხეობას რომ შევუყვებით, აღმოსავლეთით ზვიადი მთებია, საიდანაც გზა- ბილიკები არაგვის ხეობაში გადადის. სანამ ციცაბო აღმართები დაიწყება, ალეურას მარჯვენა შენაკად გრუს წყალზე ბევრი ძეგლი მოგტაცებთ თვალს. ამ ხეობას ეწოდება საფერშეთი და მთელ რიგ დოკუმენტებში ასეა ფიქსირებული.

ხეობაში თავდასაცავი სიმაგრეებიდან გამოირჩევა გრუს ციხე, რომელიც სოფელ ქვემო გრუს (აწ ნასოფლარი) სამხრეთ-დასავლეთით, ორი ღრმა ხევის შეერთების ადგილას მაღალ გორაზე არის აღმართული. თვით გორა და ციხე თავის კომპლექსით ბუნებრივად საუკეთესო თავდაცვით ზღუდეს წარმოადგენდა. ციხის კომპექსიდან გადარჩენილია ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხარის კოშკები, რომლებიც ხუთი და ექვსი მეტრის სიმაღლისაა.

ჩრდილოეთის კოშკი ჯერ კიდევ კარგად არის შემონახული, გარშემო აქვს სათოფურები, შიგნით სამეურნეო ნაწილები, თახჩები, წყლის ავზი, შიგნით ასასვლელი კიბეები. მეორე კოშკიც ანალოგიურია, ხოლო უფრო მეტად არის დარღეული. აღნიშნული კოშკები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ სქელი კედლებით, სადაც სხვა კოშკებიც იყო დატანილი, მაგრამ მათი მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი. ყველა კოშკი ცილინდრული ყოფილა. ციხის გალავანიც ნაწილობრივ დანგრეულია.

საფერშეთისა და საერთოდ ქსნის ხეობა ტრაგიკული თავგადასავლებით გამოირჩევა. ცნობილია, რომ საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული განვითარება VII საუკუნის შუა წლებში შეაჩერა არაბთა შემოსევებმა. მათ წინააღმდეგ ბრძოლამ საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. აჯანყებულთა დამორჩილება ხალიფამ სარდალ მურვანს დაავალა, რომელსაც სისასტიკის გამო ქართველობამ „ყრუ“ უწოდა. მურვან ყრუს ლაშქრობის შედეგად შიდა ქართლში განადგურდა მცხეთა, კასპი, ურბნისი და მრავალი სხვა დასახლებული პუნქტი, ხოლო განაპირა რაიონებში ხალხი შედარებით მშვიდად ცხოვრობდა. ასეთ პირობებში VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიქმნა ახალი მსხვილი სამეფო-სამთავროები კახეთისა და ჰერეთის სამთავრო, ეგრისის სამეფო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო და სხვა. დაიწყო პირველობისათვის ბრძოლა, რომელიც ამავე დროს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაც იყო.

ქართლში დაწინაურდა ტბელთა გვარი, რომლებმაც დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს და მხარე მტკიცედ დაიმკვიდრეს. მათი აგებულია ცხინვალის დასავლეთით ბორცვის წმინდა გიორგი, ხოდის ეკლესია, დოდოთის ცხრაკარა და სხვა მთელი რიგი ძეგლები და სიმაგრეები.

ამ დროს დიდ წარმატებას აღწევს კახეთის სამთავროც. ამ დროს კახელები იპყრობენ ქართლის დიდ ნაწილს, ამავე დროს მტკიცედ ფლობის აუცილებელი პირობა იყო საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა.

კახეთის ქორეპისკოპოსმა ფადლა მეორემ ქსნის ხევის შემომტკიცება დაიწყო და პირველად ააგეს ლორწობნის დიდი ციხე, ხოლო მალე დაასრულეს წირქოლისა და გრუს ციხე-სიმაგრეა მშენებლობა, სადაც კახელები იდგნენ და საიმედოდ იცავდნენ ხეობას. კახელებმა ამ ციხეებზე დაყრდნობით არაერთი დამარცხება აგემეს არაბებს.[1]

არაბების საქართველოდან განდევნის შემდეგ ქსნის ხეობის სიმაგრეები და მათ შორის გრუს ციხეც საქართველოს გაერთიანებისათვის სამსახურში ჩააყენეს ქართველმა მეფეებმა, მათ შორის აღსანიშნავია დავით კუროპალატი და მისი შვილობილი ბაგრატი.

დავით კუროპალატმა, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს, დაიბარა ქართლის წარჩინებულნი და ამცნო ბაგრატის გამეფება, მოუწოდა მისადმი მორჩილება, თვითონ კი ტაოს

[1] ქართლის ცხოვრება, I, 1973, გვ. 265.

წასულა. ქართლელი აზნაურები შეთქმულან, კახელების დახმარებით დასცეს უფლისციხე, დაატყვევეს ბაგრატი და დედამისი გურანდუხტი კახეთს წაიყვანეს.

დავითმა დიდძალი ლაშქარი შეკრიბა, ტაოდან მოვიდა და თრიალეთს დადგა. კახელებს მოუწოდა უსისხლოდ გაეშვათ ბაგრატი. კახელებმა დასთმეს ტყვეები, ვერც დავითმა გაბედა შეტევა და ციხეების აღება, შემდგომ ისინი გაერთიანებული საქართველოს სამსახურში ჩააყენეს.

გრუს ციხე დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ქსნის საერისთაოს, ის თავის დროზე გაამაგრა შალვა, შანშე, გიორგი, ელიზბარ და სხვა ერისთავებმა, რომლებიც ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ იბრძოდნენ და მტერს არაერთი დარტყმა მიაყენეს. გრუს ციხე შემდგომაც ემსახურებოდა ქსნის ხეობის მამაც დამცველებს. ჩვენი ვალია სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ბასტიონი შემოვუნახოთ შთამომავლობას.

მეჯუდის ხეობა

ზემო მხარე ეკუთვნოდათ ქსნის ერისთავებს, რაც დაფიქსირებულია „1774-81 წლების საერისთაოს სტატისტიკურ აღწერაში“ სათაურით „ისროლისხევს ატენიდამ, რომელიც ფიცხელაური გოგიას სამოურაოში შედიოდა, არამარტო დასახლება ატენი, არამედ სხვა დასახლებებიც შედიოდა“.

ისროლისხევი, რომელიც დღეს ნასოფლარია, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ 1745 წელს შედგენილ რუკაზე ორი ისროლისხევია აღნიშნული, რომელთაც ზემო და ქვემო ისროლისხევი ეწოდებოდა და სხვადასხვა გვარის ადამიანები ცხოვრობდნენ. დასახლება დასახელებულია საერისთაოს საგვარეულო მატიანეში „ძეგლი ერისთავთა“, რომელიც XIV-XV საუკუნეების მნიშვნელოვანი ძეგლია. „აღიყვანეს და მოახსნეს ხევსა ისროლისასა ნაჯაფუანს, ამან დარგუელ ერისთავმან აღაშენა უკანა ციხე თავსა ისროლისხევისასა.[1]

ისტორიული ისროლისხევი შედგებოდა თემებისაგან, რომელთა გაერთიანება ადრე ფეოდალური ხანისათვის უკვე კარგა ხნის მომხდარი ფაქტია. ეს უნდა მომხდარიყო ერთი სამეფო ხატისათვის დამორჩილების გზით. ასეთი გაერთიანების ცენტრი ჩანს ციცაგიაანთკარის მაცხოვარი. გადმოცემითაც დასტურდება, რომ აქ უცხოვრია უფროს სასულიერო პირს, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი რიგი სოფლები (აწ უკვე ნასოფლარები) გინტურთკარი, სალუქაანთკარი, გოგიაანთკარი, ბერუაანთკარი, დაფიაანთკარი, ნინიკაანი, ასტამაანთკარი, ხახაანთკარი და სხვები, ბიყრის ზემოთ მდინარე მეჯუდის სათავემდე.

ამ ოცი წლის წინ ციცაგიაანთკარში ჯერ კიდევ ორი ოჯახი გვარად ციცაგები სახლობდნენ, რომლებიც შემდგომ ბარად, სოფელ მეჯვრისხევში დასახლდნენ ან გამოდევნილი იქნენ ოკუპანტების მიერ. სწორედ ესენი უვლიდნენ მაცხოვრის ეკლესიას, რომელიც კარგად იყო დაცული და არც მრევლი აკლდათ ბარიდან. ეკლესია სიგრძით 9, სიგანით კი 6 მეტრია, ჰქონდა სახურავი, მოხატული იყო ქრისტეს ცხოვრების მთელი რიგი მომენტებით. დაცული იყო მრევლის მიერ შეწირული მთელი რიგი ნივთები: ქვევრები, ქილები, კეცები, სპილენძის ქვაბები, ჭურჭელი. თახჩებში ინახებოდა ხურდა ფული, რომელიც გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ნივთების შესაძენად. მოწყობილი იყო გადახურული სეფა და სხვა. ეკლესიაში ინახებოდა ხატები, აქ იწერდნენ ჯვარს ბიყრის ზევით მცხოვრები მექორწილენი. ამჟამად ტაძარი მიტოვებულია.

ზემოთ დასახელებულ ატენში „1781 წლის აღწერით“ ცხოვრობდნენ სალუქაშვილები, ელიაურები, ხახაშვილები, ასტამაძეები, ასევე მათი შვილები, შვილიშვილები. ადგილზე რამდენჯერმე მისვლით დავადგინეთ, რომ მდიანრე ისროლისწყლის დასავლეთით ტყეში არის ნასახლარები, რომლებიც ასტამაძეების, ხახაშვილების, ნადირაშვილების, ნინიკაშვილების საცხოვრებელი ადგილები იყო. ისინი სახლობდნენ ჯერ კიდევ არდანგრეული ღვთისმშობლის

[1] მსკი, ნაკ. 30, თბ., 1954.

ეკლესიის სიახლოვეს და თავის სამოსახლოს გორის ატენში ჩამოსახლებული ხახაშვილები ხახაანთკარს უწოდებდნენ.

სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრები ციცაგები თავიანთ უბანს ხახაანთწ უწოდებდნენ და ინფორმატორების გადმოცემით მათი ძველები ცხოვრობდნენ ისროლისწყლის მარჯვენა მხარეს, სადაც მათი წინაპრები სალოცავად დადიოდნენ.

ამასვე ადასტურებენ ნიკოლოზ და დიმიტრი ციცაგები, რომლებიც მათი პაპების მონათხრობის მიხედვით სამოსახლოს არეალს ადასტურებდნენ.

დღეს სეხნია ტოპონიმები ჩვეულებრივი მოვლენაა და ორი ატენის არსებობა უკვე ფაქტია. ორივე ატენში მორუხო ფერის კლდის დიდი მასივებია, რაშიც გადამწყვეტი იყო სახელის დარქმევის მიზანშეწონილობა, რომ სიტყვა ტონის მიხედვით წინაპრებს ატენი ეწოდებინათ. ს.საბა აღნიშნავს: „ტონი არს კლდე დიდი, მაგარი და დაუმშხალველია.

აქვე ცხოვრობდნენ ასტამაძეები, რომელთა მთელი გვარი ჩამოსახლდა სოფელ ხელთუბანში და დაეწერნენ სომხურ გვარზე, ტერტერაშვილებად, მაგრამ მათში გვიან იმძლავრა ქრისტიანობამ და დღეს ნაწილი ისევ ასტამაძეებად ეწერებიან.

ზემო ალევის წმინდა გიორგი (სამება)

მდებარეობს მდინარე ქსნის ხეობაში, ნაგებია უზარმაზარი ხეების ჩრდილში, ნაგები კირის ხსნარით ადგილობრივი ქვამასალით. სახურავი ნაწილობრივ ჩანგრეულია, მაგრამ კარგად ჩანს, რომ გადახურვა თაღოვანი ყოფილა. ძეგლის აღმოსავლეთის მხარეს არის საკურთხეველი. შიგნით არის თახჩები, სადაც მოთავსებულია ჭურჭელი, რომლებიც მლოცველებისაგან არის მოტანილი, ცხავატური ქილები, გარეთ კი ასევე დიდი ზომის ქვევრები. აქვე ვნახეთ ეკლესიის დეკანოზის მოსართავები, წინსაფარი, ქუდი, ჯვარი, ალუმინის პატარა სასმისები, ასევე ვერცხლის ფული.

მეორე თახჩაში ელაგა ხატები წმინდა მარიამის გამოსახულებით, ასევე წმინდა გიორგი, რომელიც შუბით გმირავს ურჩხულს.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი თავის შრომაში აღნიშნავს: „ესე მთა ჰყოფს ქსნის ხევსა და ბაზალეთსა. ამ ალევის მთის თხემსა არს უგუმბათო, მჭვრეტი ქართლ-კახეთისა, ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯვართა ოქროსათა და ვერცხლისათა. დასამსახურებელნი ეკლესიიასანი მრავალნი. კარნი აქვს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რა წარიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა უქმნეს კარნი ოქროსანი და დასდვეს ურემსა ხარბმულსა და მოიღო მუნ“.[1]

რამდენიმე მაგალითია, რომ ალევის სამირამ დაამიზეზა ის პირნი, რომლებმაც ეკლესიის წესი არ შეასრულეს, ზოგი გააშეშა, ზოგი ავად გახდა, ასეთები კი იყვნენ ისინი, ვინც აქედან ნივთები წაიღო, ან ხე მოჭრა და სახლში წაიღო. ბევრი შეწირული ნივთი დაკარგულა და აღარც ოქროს კარი აქვს ტაძარს, რომელიც ჩრდილო კავკასიიდან გადმოსულმა ვაიმლოცველებმა მოიპარეს.

[1] ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, 1997, გვ. 66.

Nikoloz Otinashvili
Gori State University

THE MONUMENTS OF KSANI GORGE

RESUME

The Ksani gorge and Saeristavo in general are rich in monuments of material culture. Samples from almost all eras are presented here. We present the history of several monuments of the gorge, their adventures and merits in the history of Georgia.

The tower of Fitskhelauri is located in the village of Ikoti in the Ksani gorge, on the left side of the river. The tower was built by Arjevan Fitskhelauri, who took over large estates, acquired wealth, moved Gigauris from the mountain, settled in the village, and today this area is called "Gigaraani".

The Gru castle is located in the Aleura gorge on the river Gru, which is distinguished by its grandeur and adventure. At the turn of the 8th-9th centuries, this castle was owned by the Kakheti Chorebishop Fadla II, as well as other castles, through which many defeats were inflicted on the Arabs.

The upper part of the Mejudi gorge was included in the Ksani Saeritavo, which is confirmed by the "Statistical description of the Ksani Saeritavo" of 1774-1781. The monument records a number of surnames that lived in the upper and lower Isroli gorges. Their shrine was the Savior of Tsitsagianthkari, which was the place of marriages. A number of church items were preserved here, which are now lost due to the invasion of foreign tribes.

The Alevi Trinity is built in the Alevi gorge, built of large boulders, has an arched roof and clearly visible altar, vaults, where there are still vessels, a number of items donated by worshippers. There are icons with the image of St. Mary, as well as St. George, who fights the monster with a spear.

Vakhushti Bagrationi mentions the Alevi trinity in his "Description", which notes that there is a large amount of gold and silver in the church, it has a golden door, which is also confirmed by people living there today. A number of things are lost today due to the occupation.

მურმან პაპაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კათოლიკური ფერწერული ტილო ოდიშის სამთავროს ეკლესიებში - მართლმადიდებლურ-კათოლიკური იდენტობის ფაქტი?

წინამდებარე სტატიაში დასმული საკითხი სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა კვლევის საგანი. მისი გაშუქება კი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც იგი, ერთი მხრივ, სისავსეს სძენს თეატინელი მისიონერების, კერძოდ, დონ კრისტოფორო დე კასტელის მრავალფეროვან მოღვაწეობას საქართველოში და, მეორე მხრივ, გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ხელოვნება რელიგიის სამსახურში უფრო ქმედითი საშუალება აღმოჩნდა, ვიდრე საჯაროდ კათოლიკობის ჭეშმარიტების ქადაგება. ფერწერული ტილოები ქართველ მართლმადიდებლებში დიდ იმპულსს აძლევდა ქართულ-ევროპული იდენტობის შეგრძნებას და კათოლიკეზე, როგორც "უცხოზე" წარმოდგენის საზღვრების წაშლას. ამთავითვე აღვნიშნავთ შემდეგს: პირველი, პრობლემის შესწავლა ემყარება პირველწყაროებს, უპირველესად თეატინელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კატელის ცნობებს; მეორე, თეატინელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა 22 წლის მანძილზე (1632-1654 წწ.), დიდად ფასეული ისტორიული ცნობები და 570-ზე თუ ათასზე მეტი ნახატი კარგადაა ცნობილი ქართულ[1] და იტალიურ[2] ენებზე. ცხადია, ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ამ მისიონერის საქართველოში მოღვაწეობა საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ დონ კრისტოფორო დე კასტელის რელაციონებისა და უნიკალური ნახატების წყაროთმცოდნეობითი და კულტუროლოგიური ასპექტების შესწავლა თავის მკვლევარ ელის. ამასთან კავშირში არც იმის უთქმელობა ივარგებს, რომ კასტელის საქმიანობის შესწავლა ქართულ თუ უცხოურ ისტორიოგრაფიაში უყურადღებოდაა დატოვებული. უმთავრესი ნაშრომები აქვე სქოლიოშია წარმოდგენილი, სხვა გამოკვლევების, მათ შორის ჩვენიც, დასახელებისაგან თავს შევიკავებთ, რადგან ისინი არ ეხებიან ჩვენთვის წინამდებარე საინტერესო საკითხს.

ახლა შევეცდებით წარმოვადგინოთ ჩვენს მიერ საინტერესოდ მიჩნეულ პრობლემაზე არსებული ფაქტები და გავაანალიზოთ იგი. მანმადე აუცილებელია კი ზოგადად ითქვას: როგორც აღვნიშნეთ, დონ კრისტოფორო კასტელი 22 წელი მოღვაწეობდა საქართველოში. აქედან ზუსტად თოთხმეტი წელი მან სამეგრელოში[3] დაყო. კრისტოფორო კასტელი, რომელიც 1652 წლიან ქართლისა და სამეგრელოს მისიონის პრეფექტი იყო[4], დიდი ავტორიტეტითა და პატივით სარგებლობდა არა მარტო ოდიშის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კარზე. მასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება და პატივისცემა ჰქონდა ოდიშის

---

[1] დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ბეჟან გიორგაძემ**, თბ., 1976; პატრიცია ანა ლიჩინი. კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები **მურმან პაპაშვილისა**, თბ., 2009.

[2] Licini, Patrizia. Carteggio inedito di D.Cristoforo Casteli chierico regolare missionario in Georgia e Mingrelia, (Ricerca sull'architetttura georgiana, 21. Istituto di materie umanistiche, facoltà di architettura, Politecnico di Milano), Milano, [stamperia MD],1980, pp. XXII-151; Licini, Pastrizia. Cristoforo Castelli e la sua missione in Georgia, "Regnum Dei. Collectanea theatina", XLI, jan-dec, n.III, 1985, pp. IV-226; Majorana, Bernadette. La gloriosa impresa. Storia e immagini di un viaggio secentesco. Sellerio editore Palermo, 1990, 314 p.

[3] 1640 წლის 7 აგვისტოდან 1654 წლის 20 აგვისტომდე.

[4] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657). მისი გამოჩენისას ოდიშის მაცხოვრებლები ამბობდნენ: „აი, წმინდა ლუკა, რომელიც ექიმიც იყო და მხატვარიც“[1]. ეს წარმოდგენა სრულიად ასახავდა სინამდვილეს. ბაროკოს კულტურის წარმომადგენელი დონ კრისტოფორო დე კასტელი მართლაც იყო მხატვარი და ექიმიც. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მისი ყოველდღიურობა საქართველოში გამოიხატებოდა საექიმო საქმიანობასა, მხატვრობასა, ქადაგებასა, საღვთისმეტყველო დიალოგსა და პოლიტიკურ-დიპლომატიურ საქმიანობაში. სწორედ ამ სფეროდან გამოვყოფთ მის სამხატვრო ფერწერულ[2] საქმიანობას.

როგორც ითქვა, კრისტოფორო კასტელიმ სამისიონერო საქმიანობა დაიწყო 1632 წელს ქართლის[3] სამეფოში. აქ მის ფერწერულ საქმიანობაზე არაფერი ვიცით. მხოლოდ ცნობილია, რომ ქართლის მეფემ როსტომმა (1633-1658) მამა კასტელის შესთავაზა გორში ციხე-სიმაგრეების ასაგებად ნახაზებისა და საფორტიფიკაციო პროექტების გაკეთება.[4] მან გორის 15 ციხე-სიმაგრის ნახატი გააკეთა "სპარსეთის ქაღალდის ფურცელზე", რაც იტალიის სამეფო ქაღალდის 10 ფურცელს უდრიდა.[5] მამა კასტელი წერს: "როსტომ ხანს დავუხატე ციხე-სიმაგრე, რომელიც შემდეგ უნდა აეგო. მას ნახატი[6] ისე მოეწონა, რომ საელჩოს ფოსტით თავის ბატონს-სპარსეთის შაჰს-გაუგზავნა. სპარსელმა დიდებულებმა ამ სურათს ბევრი ტაში დაუკრეს. მის გამო მეფერებოდნენ, მოწიწებით მომმართავდნენ, რადგან მინიატურული სურათით გალამაზებული ეს ნახატი საოცრად კარგი აღმოჩნდა."[7] საგულისხმოა, ამ პროექტის, ალბათ ასლი, თან მიჰქონდა მამა კასტელის სამშობლოში დაბრუნების დროს, რაც ჯერ შავ ზღვაზე, ხოლო შემდეგ რომიდან პალერმოში გემის დაღუპვის დროს დაიკარგა. ის წერს: "აქედან ცოტა რამ გადარჩა შავ ზღვაზე და ბოლოს რომიდან პალერმოში გემის დაღუპვის დროს".[8] ბუნებრივია, ეს ფაქტი მამა კასტელის, როგორც მხატვარზე, ამ ასპექტში კი არქიტექტორზე, მაღალ წარმოდგენასა და ავტორიტეტს ქმნიდა, მაგრამ მისი ფერწერული საქმიანობა კი ჯერ გურიაში, ხოლო შემდეგ მთელი ძალით ოდიშის სამთავროში გაიშალა.

გურიის სამთავროში დონ კრისტოფორო დე კასტელი ოთხი წელი მოღვაწეობდა (1634-1640). გურიის მთავარ-კათალიკოს მალაქია II-ის (1625-1639) მფარველობით თეატინელი მისიონერები ნაყოფიერად შეუდგნენ საქმიანობას, რასაც აქ არ შევეხებით.[9] ჩვენთვის

---

[1] იქვე, გვ. 123-124.

[2] კასტელის საქართველოში ყოველდღიურობის სხვა ასპექტი შესწავლილია ჩვენს შემდეგ ნაშრომებში: მურმან პაპაშვილი. "დონ კრისტოფორო დე კასტელი ქართული დიპლომატიის სამსახურში", ჟურნ.: "საისტორიო ვერტიკალები", №7, 2005, გვ. 83-87; მურმან პაპაშვილი. "კრისტოფორო კასტელის ერთი ცნობის გაგების გამო", კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში 1. 1-ლი საერთაშორისო სიმპოზიუმი (6-8 ივნისი, 2017), მასალები, თბ., 2018, გვ. 58-67; მურმან პაპაშვილი. "საქართველოში კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის ერთი ეპიზოდის ანალიზი", გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, №20, 2021, გვ. 69-78; მურმან პაპაშვილი. "კრისტოფორო კასტელისა და კათალიკოს-პატრიარქ მაქსიმე I-ის ერთი საღვთისმეტყველო დიალოგის ანალიზი", გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, №20, 2022; საყურადღებოდ მიგვაჩნია კასტელის ნახატების საფუძველზე ქართველი მამაკაცის სამოსელის შესწავლა ირინა უგრეხელიძის სტატიაში (Ugrekhelidze, Irina. Georgian Men's Dress of XVII Century: According to a Comparative Analysis of the Paintings of the Italian Missionary Cristoforo de Castelli and Georgian Fine Arts'Sources. Linguistics and Culture Review,vol. 5, No S4 (2021), 1161-1175).

[3] კრისტოფორო კასტელიმ სამისიონერო საქმიანობა დაიწყო გორში 1632 წლის 10 ივლისს და აქ ორ წელზე მეტ ხანს დაყო. 1634 წლის ოქტომბერში ის თეატინელ მამა დონ ნტონიო ჯარდინასა და ფრანგ ძმა კლაუდიოსთან ერთად გურიის სამთავროში გადავიდა და აქ განაგრძო სამისიონერო საქმიანობა (Tabagua Ilia M. I rapport tra la Georgia e la santa sede. Vol. I, Tbilisi, 1996, pp. 286-287; პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ.5).

[4] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ.44.

[5] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ.49, სქოლიო 15..

[6] უნდა გავიგოთ პროექტი.

[7] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ.49.

[8] იქვე, გვ. 49-50.

[9] (დაწვრ. იხ: პაპაშვილი მ. საქართველო-ვატიკანის ურთიერთობა XVII-XVIII საუკუნეებში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის მოსაპოვებლად. თბ., 1998, გვ. 141-148).

საინტერესო ასპექტი შემდეგ სურათს გვიხატავს. როგორც კასტელი გვაუწყებს 1636 წელს მთავარ-კათალიკოსმა მალაქიამ თეატინელი მისიონერები შემოქმედიდან ოზურგეთში გადაიყვანა. მთავარმა "...თავისი სასახლის ბაღში, რომელიც დიდი კედლით იყო შემოკავებული, ადგილი მიუჩინა: მისცა პატარა ეკლესია, ბინა, მსახურები და ბაღები."[1] ჩვენი აზრით, სწორედ ეს ეკლესია შეამკო მამა კასტელიმ კათალიკოს მალაქიას თხოვნით[2] ბარის წმინდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის[3] გამოსახულების ფერწერული ტილოთი.[4] როგორც კასტელი წერს, იგი მას ამ ეკლესიაში გამოუსახავს, როგორც ცოცხალი.[5] ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა კასტელი გვაწვდის ინფორმაციას აღნიშნულ საკითხზე. სხვა ადგილას კასტელი გვაუწყებს: გურიის მთავარ-კათალიკოსმა მალაქიამ "...ნახა ჩემი ნახატები ბერძენი და ლათინი წმინდანებისა, რითაც ვაჩვენე შეთანხმება ბერძნებსა და ლათინებს შორის, ასევე ბევრი ლამაზად დახატული სურათები".[6] ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არაა, თუ რა იგულისხმება კასტელის შემდეგ ნათქვამში "...ვაჩვენე შეთანხმება ბერძნებსა და ლათინებს შორის...". მართალია, ავტორი არ გვეუბნება რომელი ბერძენი და ლათინი წმინდანები გამოსახა, მაგრამ ცხდია, მან წმინდანთა სახეები ისე გამოსახა, რომ მნახველებს მათ შორის განსხვავება არ შეემჩნიათ და ისინი ერთმანეთის მსგავსად წარმოადგინათ. თუ ამ ფაქტს იდენტობის ნიშანს მივანიჭებთ, უნდა ვთქვათ, რომ ხელოვნება უფრო ქმედით როლს ასრულებდა მსგავსი წარმოსახვის შექმნაში და კათოლიკეზე, როგორც "უცხოზე" წარმოდგენის წაშლაში თუ არადა უკიდურესად შერბილებაში მაინც. ამ აზრს გვკარნახობს მამა კასტელის დასაცავად კათალიკოს-მთავარ მალაქიას მიერ მისიონერების მოწინააღმდეგე ქართველ და ბერძენ სასულიერო პირებთან შემდეგი არგუმენტის მოხმობა: "მთავარი-კათალიკოსი ამბობდა,-წერს კასტელი,-, რომ ასეთი ადამიანი ამ ქვეყანაში[7] არ გამოჩენილა, არ შეიძლებოდა მისი გაკიცხვა, არამედ მისი [რელიგიური] ცხოვრებით უნდა აღფრთოვანებულიყვნენ, რათა ყველა ავადმყოფს მომსახურებოდა. არ არსებობდა ისეთი საქმე, რომელსაც ის სრულყოფილად არ გააკეთებდა. ამასთანავე, [მთავარი-კათალიკოსი] დასძენდა: ამ ადამიანს ყველა ენაზე შეუძლია წერა, იცის ფრესკული მხატვრობა, ზეთის საღებავებით, ახალ წიგნებს ქმნის, აღადგენს დროთა განმავლობაში გაფუჭებულ სურათებს, აკეთებს ქანდაკებებს, გრავიურებს, შექმნა ნაქარგობები და ა.შ. მისი წყალობით შეიქმნა ულამაზესი ნახატები და, განსაკუთრებით, ქართველი ქალებისა. იგი ძალიან სანდო ადამიანია და ქართველები უყვარს. მას ეპყრობიან როგორც ძმას, შვილს ან მამას და ამ სამთავროდან მისმა წასვლამ შეუძლებელია საყოველთაო გულისტკივილი არ გამოიწვიოს".[8] როგორც ვხედავთ კათოლიკეზე, როგორც "უცხოზე", წარმოდგენას ნიადაგს აცლიდა და იდენტობამდე დაჰყავდა კათოლიკე მისიონერის ისეთ უნარებს, როგორიცაა განათლება, ექიმობა და ფრესკული მხატვრობა. სხვა დასკვნის გამოტანა ნამდვილად გაჭირდებოდა მოხმობილი ამონარიდიდან.

არ შევუდგებით გურიის სამთავროდან ოდიშის სამთავროში მამა კასტელის გადასვლის მიზეზების აქ განხილვას. მოკლედ რომ ვთქვათ, ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის

---

[1] Licini, Pastrizia. Cristoforo Castelli e la sua missione…, pp.85-93; პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 8.

[2] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 148.

[3] ქრისტიანებისათვის საერთო წმინდანის ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის წმინდა ნაწილები 1087 წელს გადაასვენეს ბიზანტიიდან იტალიის ქალაქ ბარიში. საგულისხმოა, რომ პაპმა ურბან II-ის ხელმძღვანელობით აქ 1098 წელს გაიმართა საეკლესიო კრება, სადაც განიხილავდნენ ეკლესიათა უნიის საკითხს.

[4] იგი ტილოზე ზეთით შეუსრულებია კასტელის. ამ უკანასკნელის ინფორმაციით ეს ტილო ცეცხლს გადაურჩა აღნიშნულ ეკლესიაში, რასაც სასწაულს მიაწერდნენ გურიაში. შემდეგ ავტორი წერს, რომ მამა დონ პიეტრო ავიტაბილემ ეს პორტრეტი წაიღო ფლორენციაში, სადაც იგი "...სასახლის ბიბლიოთეკის ფრონტონზე ლამაზი ორნამენტით მოათავსეს იმ სასწაულის შესაბამისად, რომელიც მოხდა გურიაში" (პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 148).

[5] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 47-48.

[6] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 102.

[7] იგულისხმება გურიის სამთავროში.

[8] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 103.

სურვილითა და ხელშეწყობით თეატინელი მამა დონ კრისტოფორო კასტელი 1640 წელს გადავიდა წიფურიაში სამოღვაწეოდ.[1] ამით დიდად გაძლიერდა სამეგრელოში თეატინელთა მისიონი. აქ კასტელის დიდი სიხარულით ელოდნენ მთავარი და თეატინელი მამები.[2] ამასთან დაკავშირებით კასტელი წერს: "სამეგრელოში გაცემული იყო ბრძანება ჩემი მოწიწებითი მოპყრობისა და ქალაქიდან ქალაქში გადასვლის შესახებ. უფლება მქონდა, როცა მომესურვებოდა მთავართან გამოვცხადებულიყავი".[3] უფრო მეტიც, მამა კასტელი ოდიშის მთავარ ლევან II დადიანისაგან განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა: "ზოგჯერ ლევან დადიანთან,-წერს კასტელი,- მისი სარწნუნოების, სქიზმატიკოსების საწინააღმდეგო სიტყვებიც მითქვამს. მისთვის ასეთი რამის თქმას სხვა ვერავინ გაბედავდა და, რადგან თავისუფლებით ვსარგებლობდი, უშიშრად ვლაპარაკობდი პატრიარქებთან, მთავრებთან და მეფეებთან. ისინი ხალისით მისმენდნენ და სიყვარულით მეკიდებოდნენ მაშინაც კი, თუ მე მათი აზრის საწინააღმდეგოს ვიტყოდი".[4]

ჩვენთვის საინტერესო საკითხზე, კასტელის ცნობებიდან გამომდინარე, ქრონოლოგიურ თანმიმდევრობით შეუძლებელია მოვლენების დალაგება. თუ არსებულ ინფორმაციებს შორის ლოგიკურ კავშირს გავაბამთ უნდა ვთქვათ, რომ თავდაპირველად ოდიშის სამთავროში სასულიერო პირები არაკეთლგანწყობით ეკიდებოდნენ მისიონერების მიერ შესრულებულ კათოლიკეთა პორტრეტებს, თუ კათოლიკურ ფერწერას. 1642 წლის 14 სექტემბერს ოდიშიდან პროპაგანდის კარდინალისადმი მიწერილ რელაციონეში კასტელი იუწყებოდა: "მთავარი (ლევან II დადიანი-მ.პ.) ისე არ ელოდება სხვა რამეს, ვიდრე წმინდა სურათებს. ამ დროისათვის ჩვენმა მამებმა განაახლეს ამ ეკლესიების[5] ყველა გამოსახულებები და თუ ადრე მათ სძულდათ ფრანკების (კათოლიკეების-მ.პ.) სურათები, ახლა ისინი ყველა საკურთხეველს ამშვენებს".[6] ამ ფაქტის სხვა საკონტროლო მასალით შემოწმების საშუალება ჯერჯერობით ხელთ არ გაგვაჩნია. და აქვე: ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევაა, როცა კათოლიკე მისიონერებს ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიებში მსგავსი საქმიანობით, ანუ მხატვარ-ფერმწერეებად, ვხედავთ. ერთი სიტყვით, მოტანილი ფაქტი გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ქართველი სასულიერო პირების კათოლიკური ფერწერისადმი დაუთმენლობას უდავოდ ჰქონდა ადგილი. თუმცა უცნობია ამას რა ფორმით გამოხატავდნენ მოწინააღმდეგეები, ან რომელი სახის ფერწერული ტილოებისადმი ჰქონდათ მათ აუტანლობა, ხოლო შემდეგ როდის და რა ფაქტორების გავლენით დაიწყო შეწყნარების პერიოდი. ეს უკანასკნელი დრო რომ დადგა, ამის შესახებ საკუთრივ კასტელი გვაძლევს პირდაპირ ცნობებს. უმჯობესია თვით ავტორს მოვუსმინოთ. ზემოხსენებულ რელაციონეში კასტელი წერდა: "მთავარი გვაჩქარებს, რომ რაც შეიძლება მეტი სურათი გავაკეთოთ, სანამ ამის საშუალება გვაქვს. მას ეჭვი ეპარება, რომ ჩვენ მისი სურვილის დაკმაყოფილებამდე მოვკვდებით. ამიტომ მეორე დღეს დაიჩივლა და თქვა: "რა ვქნა, როცა თქვენ დამაკლდებით, ვინ გამიკეთებს ხატებს".[7] როგორც ამ ამონარიდიდან ჩანს მხოლოდ კასტელი არ იყო დაკავებული ფერწერული საქმიანობით, მაგრამ მისსივე სიტყვებით მთავარს სურდა, რომ მას მოეხატა ზუგდიდის ეკლესია. „მთავარს უნდოდა, რომ მომეხატა მისი მთავარი ეკლესია ზუგდიდში[8] და ამ ნახატებში მეჩვენებინა მისი მეუღლის, დედოფლის ისტორია. კერძოდ, მისი ავადმყოფობა და გარდაცვალება. ყოველივე ეს ეკლესიის კედლებზე უნდა დამეხატა ფრესკების

---

[1] Licini, Pastrizia. Cristoforo Castelli e la sua missione…,p. 94.

[2] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. მ. თამარაშვილის პირადი არქივი, №88, ფურც.17.

[3] Licini, Pastrizia. Cristoforo Castelli e la sua missione…,p. 98.

[4] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 66.

[5] თუ რომელი ეკლესიების (დი ქუესტე ჩჰიესე) ავტორი არ ასახელებს.

[6] Licini, Patrizia. Carteggio inedito di D.Cristoforo Casteli…, p. 35.

[7] იქვე.

[8] სამწუხაროდ ამის შესახებ დღეს არაფერი ვიცით. არც ისაა ცნობილი, რომელ ეკლესიაზე საუბარი, ან კი არსებობს ის კი დღეს.

სახით".[1] როგორც ირკვევა ამ დავალების შესრულებას უძალოდ მყოფი კრისტოფორო კასტელი უმალვე შეუდგა. მისსივე მოწმობით მას ამ საქმეში დონ არქანჯელო ლამბერტიც ეხმარებოდა. მამა კასტელი წერს: "ნახევრად ავადმყოფი გავემართე ზუგდიდში, რათა მომეხატა ეს ეკლესია მამა დონ არქანჯელოსთან[2] ერთად და მთავარ ლევან II დადიანის ბრძანებით იქ მომიწია არა უმეტეს დეკემბრის ბოლომდე დარჩენა".[3] მკაცრი ზამთრის დადგომის გამო მათ მხოლოდ სამუშაოს ნახევრის შეასრულება შესძლეს, ხოლო მეორე ნახევარი, ჩანს, მამა კასტელიმ მარტომ შეასრულა. მოვუსმინოთ მას: "ნახევარი სამუშაოს გაკეთება მე დავიტოვე. მთავრისა და მთელი ქვეყნის საამებლად ახლა დანარჩენისათვის ვემზადები და დაე, უფალმა ინებოს, რომ ეს იყოს დიდებული, რადგან მას ვაკეთებ მეტად მოხერხებულად და მორჩილებისათვის".[4] მთელს ამ ამონარიდში საგულისხმოა ბოლო წინადადება, რომ კასტელი ამ ფერწერულ ტილოს "მეტად მოხერხებულად" აკეთებდა, რათა მას მორჩილება გამოეწვია. ცხადია, ამ ორ სიტყვაში "მეტად მოხერხებულად" და "მორჩილებისათვის" უნდა ვიგულისხმოთ ის აზრი, რომ კასტელიმ ფერწერულ ტილოს ის შინაარსობრივი დატვირთვა მისცა, რომ მნახველში მას ქართულ მართლმადიდებელი და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ერთიანობის შეგრძნება გამოეწვია, უფრო კონკრეტულად, მართლმადიდებელსა და კათოლიკეს შორის იდენტობა დაენახა. მოკლედ რომ ვთქვათ, იგი უნიატურ კონცეფციას ასახავდა. ასეთ განცდას ამ ფერწერულ ტილოში, ვფიქრობთ, იწვევდა იმ მომენტის ასახვა, თუ როგორ მიაქვთ წამლები თეატინელ მამებს ოდიშის დედოფალთან. "ეს იყო,-წერს დონ კრისტოფორო კასტელი,- ნატურალური სიდიდის ფიგურებით დახატული ისტორია, სადაც გამოსახული იყო მომაკვდავი და მიცვალებული დედოფალი, დამწუხრებული მთავარი ქალების, ექიმებისა და ჩვენი მამების (იგულისხმება თეატინელი მისიონერები-მ.პ.), რომელთაც წამლები მიაქვთ, გარემოცვაში".[5]

ამ უკანასკნელი ფაქტიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: თუ თავიდან კათოლიკური ფერწერა მიუღებელი იყო ბერძნი და ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო დასისათვის, მან კრისტოფორო დე კასტელის სწორი ფერწერული კონცეფციითა და ნიჭით სასურველ მიზანს მიაღწია. ამასთან დაკავშირებით უფრო საინტერესოდ მივიჩნევთ კასტელისეულ შეფასებას. ის წერს: "ამ მხარეში მყოფი ბერძენი მხატვრები მაღალ შეფასებას აძლევენ რომაულ ფერწერას, ვინაიდან მათი სურათები სიმშრალით, სიცოცხლის უკმარისობითა და არა ზეშთაგონებით ხასიათდებიან. მოვახერხე, რომ ბერძენი მხატვრების ყურადღება დამემსახურებინა. ბერძენმა მხატვრებმა ქება-დიდება შემასხეს და თქვეს, რომ აღმოსავლეთში ჩემი მსგავსი ფუნჯის, ნახატებისა და ფერწერის ოსტატები არ იყვნენ. მათი აზრით, რამდენადაც მე ვიყავი პირველი ოსტატი, მთავარს (იგულისხმება ლევან II დადიანს-მ.პ.) ყველაფერი უნდა მოეცა, რასაც მოვთხოვდი, რათა ჩემი ნამუშევრებით მესახელებინა მისი ქვეყანა".[6]

ყოველივე ზემოთქმულის კონტექსტში ზუგდიდის ეკლესიაში შესრულებული ფერწერული ტილო ორი სამყაროს რელიგიურ-ისტორიულ ურთიერთობას უპირველესად კულტურულ მნიშვნელობას სძენდა და მას იდენტობის ნიშნით წარმოაჩენდა. უფრო კონკრეტულად ამ კავშირს ხელოვნება უფრო მეტ დინამიზმს აძლევდა, ვიდრე კათოლიკე მამების მიერ კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტების ქადაგება. ამის დასტურია კასტელის შემდეგი სიტყვები: როდესაც ოდიშის სამთავროში "...უცხოელები ანდა დიდი პიროვნებები ჩამოდიოდნენ, მთავარს (იგულისხმება ლევან II დადიანი-მ.პ.) ისინი მაშინვე მიჰყავდა ეკლესიაში და ამ

---

[1] Licini, Patrizia. Carteggio inedito di D.Cristoforo Casteli…, p. 35; პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 116.

[2] ჩვენში საყოველთაოდ ცნობილი თეატინელი მისიონერი დონ არქანჯელო ლამბერტი საქართველოში მოღვაწეობდა 1631-1649 წლებში. აქედან მან სამეგრელოს სამთავროში იღვაწა 17 წელი (1633-1649 წწ.).

[3] Licini, Patrizia. Carteggio inedito di D.Cristoforo Casteli…, p. 35.

[4] იქვე.

[5] პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 116.

[6] იქვე.

მოხარულობას აჩვენებდა, როგორც არაჩვეულებრივს, რომელზეც ყველა პერსონაჟი ბუნებრივი და ცოცხალი გეგონებოდათ. ამბობდნენ, რომ ამ აღტაცების გამოსახატავად სიტყვები არ კმაროდა. გავრცელდა ხმა, რომ ამისი მსგავსი მოხატულობა მთელ ქვეყანაში არ არსებობდა".[1] მოკლედ, ასეთია წყაროთა ის წრე, რომელიც ხელთ გვქონდა ჩვენთვის საინტერესო საკითხის საკვლევად.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ შემდეგი ძირითადი დასკვნა: თეატინელი მისიონერების საქმიანობაში ხელოვნება, საექიმოსთან ერთად, უფრო ქმედითი საშუალება აღმოჩნდა მიზნის მიღწევის გზაზე, ვიდრე საჯაროდ კათოლიკობის ჭეშმარიტების ქადაგება. ფერწერული ტილოები ქართველ მართლმადიდებლებში დიდ იმპულსს აძლევდა ქართულ-ევროპული იდენტობის შეგრძნებას და კათოლიკეზე, როგორც "თავისიანზე" წარმოდგენის ჩამოყალიბებას.

Murman Papashvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CATHOLIC PAINTINGS IN THE CHURCHES OF THE ODISHI PRINCIPALITY - A FACT OF ORTHODOX-CATHOLIC IDENTITY?

RESUME

Theatine missionary Don Cristoforo Castelli worked in Georgia for 22 years (1632-1654). He spent almost 14 years in the principality of Odishi. This article examines the artistic and painting activities of this missionary in the named principality. Based on the report of the same missionary, it was established that he created many paintings in various temples of the principality of Odishi. If at first the Georgian Orthodox clergy did not approve of the Catholic painting, they later held them in high esteem. Based on these facts, the author of this article concludes: art turned out to be a more effective tool for serving religion than the public preaching of Catholicism. The paintings gave a powerful impetus to a sense of Georgian-European identity among Georgian Orthodox Christians and blurred the boundaries of the idea of Catholics as "foreigners."

[1] იქვე, გვ. 117.

გიორგი სოსიაშვილი, იოსებ ალიმბარაშვილი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ოკუპირებული პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (დისევი-კულბითი-ქსუისი)

სოფელი დისევი მდებარეობს მდინარეების პატარა ლიახვისა და მეჯუდის წყალგამყოფი ქედის დასავლეთ მთისწინეთში, მდ. ჭარებულას (აძურის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 980 მ-ის სიმაღლეზე, ცხინვალის აღმოსავლეთით, 15 კილომეტრის დაშორებით.[1]

დისევი საკმაოდ ადრე ჩნდება ქართულ წერილობით წყაროებში. ჯერ კიდევ 1392 წლის მცხეთის საეკლესიო მამულების სიის მიხედვით, სოფელი დისევი სვეტიცხოველს ეკუთვნოდა.[2] გვიანშუასაუკუნეებში დისევი კვლავ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იყო. 1516 წელს ქართლის მეფემ დავით X-მ (1505-1525) და მისმა ძემ დიმიტრიმ, სოფელი დისევი სვეტიცხოველსა და კათალიკოს დოროთეოზს შეწირეს.[3] შესაძლებელია, სწორედ ამის შემდეგ ჩამოყალიბდა დისევში კათალიკოსის სამოურავო.

1698 წელს დისევი და არაშენდა იოანე კათალიკოსს სამოურავოდ უბოძებია ნიკოლოზ დასბაისელაშვილისათვის.[4]

XVIII საუკუნეში დისევის მოურავები გედევანიშვილები გახდნენ. 1747 წელს ანტონ I-მა კათალიკოსს „სვეტიცხოვლის ყმასა“ და „ერთგულობით და თავდადებით ნამსახურს“ პეტრე და ერასტი გედევანიშვილებს დისევის მოურავობა უბოძა, სიგელში აღნიშნულია: „ყოვლის კაცის მოუდევრად, უცილობლად და წამოუსარჩლელად, გქონდეს და გიბედნიეროს ღ~თნ საყდრის სამსახურსა და ჩვენსა ერთგულობასა შინა.“[5]

სიგელი „ყოველის კაცის მოუდევრად, უცილობლად და წამოუსარჩლებლად“ იყო ბოძებული, რაც, თავისთავად გარკვეულ ეჭვს აჩენს იმის შესახებ, რომ გედევანიშვილებს დისევის მოურავის „სახელოში“ შემდავებლები ჰყავდათ. მართლაც, სხვა საბუთიდან ირკვევა, რომ დისევის მოურავობა მანამდე ფირან მაღალაშვილს სჭერია, მაგრამ მას „თავისი ბიძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზ კათალიკოსს იმისათვის ყმა და მამული წაერთმივა სამუდამოდ.“[6]

---

1 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 569.

2 ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე), თბ., 1897, გვ. 197. გადმოცემები იმის შესახებ, რომ დისევი სვეტიცხოველს ეკუთვნოდა გვიანდელი პერიოდის წერილობით წყაროებშიც გვხვდება. ცნობილი სასულიერო მოღვაწე დისევის მკვიდრი დეკანოზი ეროდიონ ოქროპირიძე მოგონებებში წერს: „დისევის მამულები მცხეთის სვეტიცხოველს ეკუთვნოდა... ჩვენც საეკლესიონი ვიყავით. დისევში ეკლესიის გვერდით ცხოვრობდა პატრიარქ-კათალიკოსის წარმომადგენელი არქიმანდრიტი... “ ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული №11, 2016, გვ. 231.

3 თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 334.

4 მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964, გვ. 74.

5 საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. I, ტფ., 1899, გვ. 287, დოკ. 243.

6 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 794-795, დოკ. 277.

1789 წლის 20 მაისს კათალიკოსმა ანტონ II-მ დისევის მოურავად სარდალი იოანე გედევანიშვილი დანიშნა, უფრო ზუსტად, ძველი წყალობა განუახლა და გედევანიშვილებს დისევი მემკვიდრეობით გადასცა.[1]

როგორც ზემოთაც მივუთითებდით, 1559 წლით დათარიღებული სიგელის მიხედვით, სიმონ I-მა სვეტიცხოველს პატარა ლიახვის ხეობაში მამულები უბოძა, მათ შორის: ერედვში ორი კომლი გლეხი, სოფელი ქორდი, სოფელი ზაკუი, სათიხარი, ასევე „დისევი და მონასტერი მისითა შესავლითა და მზღურითა.“[2] დისევთან ერთად, აქ, სავარაუდოდ, იგულისხმება დისევში არსებული ძელიცხოვლის ტაძარი და მისი მამულები. ძელიცხოველის ტაძარს, როგორც ი. მეგრელიძე მიუთითებს, ადგილობრივები დავით აღმაშენებლის აგებულად მიიჩნევდნენ, თუმცა მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბაზილიკური ტიპის ტაძარი X საუკუნის ძეგლია. აქ ერთ დროს სამონასტრო ცხოვრება იყო, ამაზე მეტყველებს ი. მეგრელიძის მიერ მითითებული მინაშენი ძელიცხოვლის ეკლესიაზე, რომელსაც „სამონაზვნო“ ერქვა: „ეკლესიას მთელ სიგრძეზე თაღიანი მინადგამი აქვს კარით აღმოსავლეთიდან, რომელსაც სამონაზვნოს უწოდებენ.“[3] ზემოთ ნახსენებ სიმონ I-ის სიგელში, სავარაუდოდ, ამ მონასტერზე უნდა იყოს საუბარი. ძელიცხოველს, დისევის ტერიტორიაზე თავისი მეურნეობაც ექნებოდა. რაკი დისევის ძელიცხოველი ვახსენეთ, აქვე გვინდა ტაძარზე გამოსახულ წარწერასაც შევეხოთ.

დისევის ძელიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ ი. მეგრელიძემ 6-7 სტრიქონიანი წარწერა ამოიკითხა. მკვლევარი წერს: „დისევის ძელიცხოვლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ზემოთ ვაზის ლერწზე ყურძნის მტევნებია გამოკვეთილი. ამის მარჯვნივ, მტევანს ქვეშ ირემია და მის ქვეშ ლომია გამოსახული, რომელიც ირმისაკენ მიილტვის. ირემი კი ფოთლოვან-ხილოვან ტოტს უდგას. ამ ქვის მარჯვენა ქვაზე პროფილად მდგომარე კაცის თავები შეიმჩნევა; აქვე ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილი 6-7 სტრქონიანი ასომთავრულით შესრულებული (შიგ ლ ნუსხურია) წარწერის კვალია, რომელიც შესწავლას მოითხოვს. ირჩევა ასოები: გს(ლიგატურა-გიორგის?) ო(ან –ე) პს/ნა(ან ე) სლ/სა(სულსა)/ჩემ (მ თუ ვ?) ა/სა.“[4]

თუ ი. მეგრელიძის მიერ მიკვლეულ წარწერაში არსებულ გრაფემების ჯგუფს წავიკითხავთ, როგორც ო-პ-ს (ოქროპირ), მაშინ წარწერიდან ძალიან საინტერესო ინფორმაციას მივიღებთ. ვინ შეიძლება ყოფილიყო დისევის ძელიცხოვლის წარწერაში მოხსენიებული ოქროპირი? ი. მეგრელიძე, როგორც მივუთითებდით, ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე, სადაც ამ წარწერას მიაკვლია, წერს, რომ მდგომარე კაცის თავები იყო გამოსახული, ეჭვგარეშეა, რომ ისინი ტაძრის ქტიტორები იყვნენ. დისევის დასახელებულ ტაძარს ვ. ცინცაძე და რ. მეფისაშვილი X საუკუნით ათარიღებენ.[5] აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში, ტბელთა ფეოდალური საგვარეულოს მიერ არის აგებული არაერთი ტაძარი დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში, რასაც მოწმობს შემორჩენილი წარწერები.[6] მათ შორის ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე ყოფილა X საუკუნის შუა წლებით დათარიღებული ოქროპირ ტბელის ძის მოსახსენებელი. ამ წარწერის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის მ. ბროსე.[7] ეს

---

[1] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ. II, თბ., 1953, გვ. 146, დოკ. 234.

[2] ქართული ისტორიული საბითების კორპუსი, ტ. IV, გვ. 244.

[3] ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 28.

[4] ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 28.

[5] Меписашвили Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной часть исторической провинции Грузии Шида Картли, Тб., 1975, стр. 100; შიდა ქართლი, ტ. I, გვ. 54-56.

[6] გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 52-63.

[7] M. Brosset, Rapports sur un Voyage archeologique dans laGeorgie et dans I Armenie, exsecuteen 1847-1848 dar M. Brosset. Membre de I Academie. Imperiale des Sciens. 2 de Livr. VI, St. Tetesbourg, 1851, p. 57.

წარწერა მოგვიანებით უნახავს ვ. თოფურიასაც.[1] წარწერა ასე იკითხებოდა: „ქ(რისტ)ე ა(დი)დე ოქრ(ო)პირ ძე ტბ(ე)ლ(ი)ს(ა)ი“.[2] ოქროპირ ტბელი ქავთარ ტბელთან ერთად, ტბეთის ბორცვისჯვრის ტაძრის სხვა წარწერაშიც იხსენიება. აღნიშნული წარწერაც დაკარგულია: „ჯ(უა)რო ბ(ო)რცჯს(ა)ო, ა(დ)ი(ე)ნ შვ(ი)ლნი მ(ა)თნი: ოქრ(ო)პ(ი)რ, პდღ-დ (ტბელი და ?) ქ(ა)ვთ(ა)რ.“[3] წარწერას ვ. თოფურია ასე კითხულობდა: „ჯ-რო ბრცსა დნ შჯლნი მთ-ნი ოქრ-აი სპდ-ღდ დვ-თ ქვთრ“. ანუ, „ჯუარო ბორცვისაო ადიდენ შვილნი მათნი ოქროპირი სპდღ(?) დავით ქავთარ“.[4] თუ ი. მეგრელიძის მიერ დისევის ძელიცხოვლის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მიკვლეულ წარწერაში მართლაც ოქროპირი იხსენიება, შესაძლებელია, რომ ბორცვისჯვრისა და დისევის წარწერებში მოხსენიებული ოქროპირი ერთი და იგივე პიროვნება იყოს. არ გამოვრიცხავთ, რომ ოქროპირ ტბელს, ქართლის უფალის-ივანე ტბელის[5] ერთ-ერთ ძეს დისევი ებოძა, რომელმაც თავის მამულში ძელიცხოვლის სახელობის ტაძარი ააგო. შესაძლებელია, დისევში მცხოვრები ოქროპირიძეების გვარი სწორედ ოქროპირ ტბელს უკავშირდებოდეს.[6]

1516 წლით დათარიღებულ დავით X-ის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ შეწირულობის სიგელში აღნიშნულია, რომ სვეტიცხოველს, დისევის მამულებთან ერთად, იქ მცხოვრები ოქროპირიძეთა საგვარეულოს რამდენიმე წარმომადგენელიც გადაეცათ. ოქროპირიძეები მოხსენიებულნი არიან, როგორც „კეთილგვარნი“: „ესე სოფელი დისევი მგვრგვლივ სამძღვრით შემოგვიწირავს ყოვლის კაცის უცილობლად და ულაპარაკოდ, და ჰელშეუვლად მოგვირთმევია. და კაცნი შემოგვიწირავს კეთილგვარნი ოქროპირიძენი-მოსახლენი დავით, ნიკოლოზ და მალიაძე დემეტრე...“[7] „კეთილგვაროვნებაში“, ჩვენი აზრით, ოქროპირიძეების დიდგვაროვნული წარმომავლობა უნდა იგულისხმებოდეს. დისევში მცხოვრებ ოქროპირიძეთა საგვარეულოს არაერთი გამოჩენილი სასულიერო პირის სახელი უკავშირდება. დისეველი ოქროპირიძეები იყვნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე (1824-1907 წ.წ.), ეპისკოპოსი პიროსი (1874-1922 წ.წ.), კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1861-1921 წ.წ.), დეკანოზი ირიდიონ ოქროპირიძე (1862-1933 წ.წ.) და სხვ.[8]

---

[1] ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, ტ. II, თბ., 1924, გვ. 133.

[2] ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, გვ. 181.

[3] იქვე, გვ. 183.

[4] ვ. თოფურია, დასახ, ნაშრომი, გვ. 133.

[5] გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 52.

[6] ზემოთ ნახსენებ დისევის ტაძრის წარწერაში გრაფემების „ს-ლსა მომდევნო ქარაგმას ხელოვნებათმცოდნე ს. მელაძე შემდეგნაირად კითხულობს: „ს[უ]ლსა ტ[ატ]ა[ჲს]ა.“ ეს სახელი, ზ. ოქროპირიძის დაკვირვებით, ძალიან წააგავს ტბეთის ტაძრის სამხრეთ ფასადზე ამოკვეთილ წარწერაში („ს[უ]ლ[ს]ა ც[უა]ტ[აჲ]სა“) მოხსენიებულ სახელს - „ცუატას.“ ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული 2016, № 11, გვ. 229-230. აღსანიშნავია, რომ ოქროპირიძეების წარმომავლობის შესახებ არსებობს განსხვავებული ვერსიაც, რომლის მიხედვით ოქროპირიძეთა წინაპარი სახელად ოქროპირი დისევში ისტორიული დვალეთიდან ჩამოსახლდა. ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, გვ. 23. დისეველი ოქროპირიძეები მიიჩნევენ, რომ თავიანთ გვარის არსებობა დავით აღმაშენებლის (1089-1125 წ.წ.) მეფობიდან იწყება. ამაზე მიუთითებს მემუარებში დეკანოზი ირიოდიონ ოქროპირიძე (1859-1933 წ.წ.) ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული 2016, № 11, გვ. 226.

[7] ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 52.

[8] ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული № 11, 2016, გვ. 223-287; ოქროპირიძეების საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, შემდგენლები: სქიმიღუმენი ისიდორე (ოქროპირიძე), ზურაბ ოქროპირიძე, უჩა ოქროპირიძე, თბ., 2012, გვ. 36-72. დისევიდან სასულიერო მოღვაწეების ასეთი სიმრავლე შემთხვევითი არ იყო. მღვდელი ირიდიონ ოქროპირიძის ცნობით, აღნიშნულ სოფელში ძველთაგანვე არსებულა საეკლესიო სკოლა. აღნიშნულმა სასწავლო დაწესებულებამ: „დააყენა ფეხზე ჩვენი სწავლა-განათლება...აქ იღებდნენ

1447 წლით დათარიღებული დოკუმენტში „შეუვალობის სიგელი გიორგი მეფისა (იგულისხმება ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი VIII (1446-1466 წ.წ. – გ. ს.) სვეტიცხოვლისადმი“ ირკვევა, რომ გიორგის მამამ, ალექსანდრე I-მა დიდმა (1390-1445 წ.წ.), თემურ-ლენგისაგან დაქცეული სვეტიცხოველი აღადგინა, ქართველთა უპირველეს სალოცავის ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები, ალექსანდრე I-ის მემკვიდრემ ხელახლა მოიძია და სვეტიცხოველს დაკარგული მამულები დაუბრუნა: „გამოწულით ვიძიეთ და გულსმოდგინებით ახლად გუჯრითა ამით ჩუენცა დავამტკიცეთ.“ ამ მამულებში დასახელებულია კულბითში არსებული სამი საგლეხო: „გაგელიშვილისა, ლიპარტიშვილი და მიქლუტაური.“[1] როგორც ჩანს, კულბითსა და მის შემოგარენში, ჯერ კიდევ XI საუკუნეში ჰქონდა სვეტიცხოველს მელქისედეკ კათალიკოსისაგან ბოძებული მამულები. სამეფო ხელისუფლებამ ამის შესახებ იცოდა და სწორედ ამიტომ დაუმტკიცა „ახლად გუჯრითა.“[2]

პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში XVI საუკუნეში მამულები ჰქონდათ ძმობილაშვილებს. როგორც მივუთითებდით, 1532-1534 წლებში შედგენილი მცხეთის დაკარგული მამულების ნუსხის მიხედვით, სვეტიცხოვლის კუთვნილი ტერიტორიები სხვადასხვა დიდგვაროვნებს ჰქონდათ დასაკუთრებული. მათ შორის პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი ქორდი ძმობილაშვილებს ეპყრათ.[3] ამავე პერიოდში, როგორც XVI საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებულ მცხეთის საყდრის კუთვნილ მამულების ნუსხიდან ირკვევა, სვეტიცხოვლის საკუთრებას წარმოადგენდა კულბითში არსებული ოთხი კომლი გლეხი, რომელსაც ძმობილაშვილი ფლობდა: „ქართლს-მცხ/ეთის ჯუარი, კუართისა, ქრცხილოვანს ურია ელიოზისძე, სოფელი ქუეშ/ი ქუენითნეველსა, ჭარებელისძე მისით მამულითა, მარცევლისძე მი/სის მამულითა, ჯინჭველისძე მისით მამულითა, ცაყუერისძე მი/სის მამულითა. ძმობილაშვილისა, რაცა აქუს, იმის ჴელი არის ოთხი კუამლ/ი კულბითს.“[4]

XVI საუკუნის მეორე ნახევარში კულბითში მამულები ჰქონდათ ქართლის სამეფო ოჯახის წარმომადგენლებსაც. ამას ადასტურებს 1560 წლით დათარიღებული „საკანონო შეწირულების წიგნი პატრონ კოსტანტინესი მცხეთისადმი“. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, პატრონ კონსტანტინეს კულბითში არსებული მიწა სვეტიცხოვლისათვის შეუწირავს: „მას ჟამსა, ოდეს ჩუენის განაყოფისა ხოსროს ქალი შევირთე, ჩუენ, პატრონმან კოსტანტინე, და პატრონი კ(ათალიკო)ზი გამოგუენახა სჯულისა წესით, როგორცა მართებდა. მიუდექით კარსა და შემოგეხუეწენით ჩუენ, პატრონი კოსტანტინე და ძმანი ჩუენნი: პატრონი გიორგი და მელქსიდეკ. მოგახსენეს და შემოგწირეს მცირე ესე შემოსაწირავი შენ, წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა მცხეთასა ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად და დღეთა ჩუენთა განგრძელებისათვის: ტფილის ქალაქს ერთი სასახლე კალო[უ]ბანს წინ, შარამდინ, მისით სახლ-კარითა და მამულითა და ქულბაქითა, [რისაც დღეს მქონებელი იყოს]; მიწა კულბითს მოგუიხსენებია და შემოგუიწირავს სუეტისს ცხოველისათუის, ჩუენ ბატონსა კოსტანტინეს და ჩუენთა ძმათა.“[5]

ბავშვები, ვაჟები, ქალები, ზნეობრივ და სარწმუნოებრივ აღზრდასა და მწიგნობრობასა...ამ სკოლის საშუალებით გამოჩენილი და სასარგებლო შვილები გამოვიდნენ საქართველოში...“ ზ. ოქროპირიძე, ოქროპირიძეების სასულიერო დასი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული 2016, № 11, გვ. 234. იროდიონ ოქროპირიძის ცნობით, აღნიშნული სკოლა XIX საუკუნეში გააუქმა რუსულმა ხელისუფლებამ. იქვე, გვ. 236.

1 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. III, გვ. 40.

2 „კურბითი“ რომ სვეტიცხოველს ეკუთვნოდა „მატიანე ქართლისაის“ (XI ს.) გვიანდელი ჩანართითაც დასტურდება. როგორც თ. ჟორდანია მიუთითებს, აღნიშნული ცნობა თეიმურაზ ბატონიშვილს (1782-1846 წ.წ.) ეკუთვნის: „კურბითი ძუელადაც ჰქონდა წმინდასა სუეტიცხოველსა...“ თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 2004, გვ. 185.

3 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 137.

4 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, გვ. 196.

5 იქვე, ტ. IV, გვ. 247-248.

1559 წლის 1 დეკემბერს გაცემული ქართლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარის მიხედვით, სხვა სოფლებთან ერთად, საგადასახადო ვალებულებებისაგან თავისუფლდებოდნენ: „სოფელი დისევი და მონასტერი მისითა მზღურითა“ და კულბითს „სამი საგლეხო: გეგელიშვილი, ლიპარიტაშვილი და მიქლუტაური.“[1] (როგორც ჩანს, ხსენებული „სამი საგლეხო“ წინა საუკუნეებშიც სვეტიცხოვლის საკუთრება იყო).

ისევე როგორც შიდა ქართლის სხვა სოფლებში, კულბითში დოკუმენტური წყაროების მიხედვით, გლეხთა სხვადასხვა კატეგორია ცხოვრობდა. თუმცა შედარებით ჭარბობდნენ ბოგანო გლეხები. მაგ. XVII ს. მეორე ნახევრის ზემო ქართლის სადროშოს აღწერის ერთი დავთრის მიხედვით, კულბითიდან მეფის ბრძანებით უნდა გამოსულიყვნენ:

„ქ. კულბითს ბოგანო ბაკურაძე გიორგი კუამლი ერთი
მისი ძმა შალვა ერთი, დათუნა ერთი
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი
კვირიკე, კვამლი ერთი ბოგანო
ძმა იმისი ათანა
იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი
დვალი ზუბიტა კვამლი ერთი ბოგანო
შვილი მისი გოგია, ყაითმაზა ერთი, პაატა ერთი
იმათი ნაშენი ორი ვაჟი
რევაზა დვალი, კუამლი ერთი ბოგანო
ძმა მისი პაატა
იმათი ნაშენი ერთი ვაჟი”.[2]

კულბითელი გლეხები სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს მისდევდნენ და მათი საგადასახადო ვალდებულებებიც მიწათმოქმედებასა, თუ მესაქონლეობაზე იყო დამოკიდებული. სტიქიური მოვლენები ხშირად ამძიმებდა მათ სოციალურ მდგომარეობას. ამას ადასტურებს 1771 წლის 7 ოქტომბერს დავით ქსნის ერისთავის წერილი ერეკლე II-ისადმი: „ღმერთმა ისე თქვენს ორგულს გაუჭირვოს საქმე, როგორც ამ გუერდისძირის კაცს უჭირდეს. მეჯვრისხევიდამ მოკიდებული იმას ზეით სულა და ნამეტნავათ წლეულობითა ...არცევი აიყარა და საქონელი დაკარგეს. ფურცელაძესაც დაეკარგა საქონელი და კულბითელთაც დაეკარგათ საქონელი და ამას გარდა ფურცელაძე, ზარდიაშვილი, ქსუისი, კულბითი და ნახევარი დიციც დასეტყვა, რომ აღარაფერი მოსვლიათ რა და მთის სოფლებში რაც დაიკარგა ან ქალოთებში (სიც:) და ან ოსებში, იმაზე რაღა თავი გაწყინო.“[3]

სტიქიას და სოციალურ პრობლემებს, ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსების თავდასხმებიც ემატებოდა, რაც მოსახლეობის ყოფას კიდევ უფრო გაუსაძლისს ხდიდა.

დისევ-კულბითის მეზობელი სოფლის ქსუისის მოსახლეობისათვის ოსებისაგან „ხიფათების მიღებასა“ და მებატონის ძალმომრეობაზეა საუბარი ერთ დოკუმენტში, რომელიც 1799 წ. 9 მარტით თარიღდება და დავით უთნელიშვილისა და მისი ყმის კაპანაძის საქმის განჩინებას წარმოადგენს. იმერელი კაპანაძე გოგია და მისი ვაჟები: იესე, დათუა და პაატა უთნელიშვილების ყმები იყვნენ დიდი ხნის განმავლობაში. ისინი მფლობელს ქსუისსა და ბერშუეთს დაუსახლებია, მაგრამ, ოსების თავდასხმის შიშით აიყარნენ, ავნევს გადავიდნენ და იესე ამილახვრის ყმები გახდნენ. ამის გამო დავით უთნელიშვილი იულონ ბატონიშვილთან ჩიოდა.

მოპასუხედ სასამართლოზე დათუა კაპანაძე გამოვიდა, რომლის განმარტებით, კაპანაძეების ავნევში გადასვლა და ამილახვრების ყმობის მიზეზი, უთნელიშვილის ძალმომრეობა ყოფილა: „ეგები (ქსუისიდან აყრა, ავნევს გადასვლა და ამილახვრების ყმობა, – გ. ს.) მართალი არის,

---

[1] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 265.
[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 48.
[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 191-192, დოკ. 192.

მაგრამ ჩემი საჩივარი ეს არის: ავნევიდან იასაულით რომ გადმომიყვანე, დამიჭირე და ორმოში ჩამაგდევ და რაც რამ მქონდა ჩემი სულით აქეთი სულ წამართვი. ათი სული ხარი, კამეჩები და ძროხა, ერთი თოფი თხუთმეტ მინალთუნად ნაყიდი, თოფის იარაღი, სახლის ავეჯეულობა და სულად ისე წამართვი რომ ჩემს ბედობაზე აღარა დააგდევ რა. მრავალს გეხვეწე და ერთის დაშავებულის ხარის მეტი აღარა მომეცი რაო", – ჩიოდა კაპანაძე.[1]

1789 წლის კათალიკოსის სახასო და „სააზნაურშვილო" გლეხების დავთრის მიხედვით, კულბითელი ოქროპირიძეები კათალიკოსის მფლობელობაში იყვნენ. დავთარში ვკითხულობთ:

„ოქროპირიძე მღვდელი გიორგი
ოქროპირიძე მღვდელი პეტრე
ოქროპირიძე დავით ღვდლისშვილი ბერი
ოქროპირიძე ქაქუცა
ოქროპირიძე პეტრე
ოქროპირიძე ბერუა
ოქროპირიძე თომა მღვდლისშვილი გაბრიელ."[2]

1781 წლის აღწერაში სოფელ კულბითის ერთი მოსახლე და მერეთის მაცხოვრებლები ერთად არიან აღნუსხული, კულბითში მცხოვრები ფირან ჩერქეზიშვილის მფლობელობაში. დოკუმენტის მიხედვით, ფირანის ყმები მერეთში იყვნენ: პეტრე და შერმაზან გუდაძეები, ნინია და გლახა შავარდენიძეები, გლახა და მანძულა ბეღელურები, გლახა თოდაძე, თამაზა დათუაშვილი, პეტრე გუგუტიშვილი, დათუა ტრამაკიძე, ბერიკა ჯიჯიური, დათუნა კრეხიაშვილი, ბერუა რევანდიშვილი, მოსე ნუკრაძე, ელისე ჯავახი, პაატა ნუკრაძე და შიო ტრამაკიძე. ამავე აღწერის მიხედვით, იგივე მებატონეს კულბითში ეკუთვნოდა გოგია მეტრეველი.[3]

კულბითის და მერეთის მკვიდრნი აქტიურად მონაწილეობდნენ ერეკლე II-ის მორიგე ჯარში. XVIII ს. 70-იან წლებში მეფის ბრძანებით კულბითიდან გამოდიოდა აზნაურიშვილი იორამ ჩერქეზიშვილი, ხოლო მერეთიდან: ფურცელაძის ნაყიდი ტეღაძე ნინია, ზურაბ სუფრაჯის ყმა ასპატელი ოჰანა და ულუმბოს ღთის მშობლის ყმა დეკანოზიშვილი დეკანოზი იოსებ.[4]

ისევე, როგორც პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სხვა სოფლები, დისევ-კულბითი მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა ქართლში ლეკიანობის გავრცელების დროს. ერთ-ერთი გადმოცემით, ლეკებმა დაატყვევეს დისეველი ოქროპირიძეები, რომლებმაც ტყვეობიდან თავი დაიხსნეს, თუმცა, სოფელში არსებული საფრთხის გამო, დისევში აღარ დაბრუნდნენ და ქვემო ქართლში სოფელ კლდეესში გააგრძელეს ცხოვრება.[5] მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ, რომლებიც დისეველ ოქროპირიძეებთან ურთიერთობას აგრძელებენ (გადმოცემა ჩაგვაწერინა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, დისევის მკვიდრმა ზურაბ ოქროპირიძემ).

ზემოთ ნახსენები კულბითელი იორამ ჩერქეზიშვილი იხსენიება 1807 წლის 2 ივნისით დათარიღებულ ქსნის ერისთავთა გაყრილობის წიგნშიც, რომლის მიხედვით, თავად შანშე ერისთავს „ფარდით წილურით" ერგო დეკანოზი ალექსი, ჩერქეზიშვილი იორამ, ასევე

---

1 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, გვ. 92-93, დოკ. 43.

2 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 990, დოკ. 429.

3 ა. თაბუაშვილი ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), გვ. 98-99.

4 ი. ლორთქიფანიძე. საბუთები ერეკლე მეფის მორიგე ჯარის შესახებ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV- , 1947, გვ. 337.

5 1787 წლის 22 აპრილს გაცემული ერთი დოკუმენტის მიხედვით, ოქროპირიძეების ერთი შტო ცხოვრობდა იმერეთში. ამილბარ მაღალაძის ყმა შერმაზან ოქროპირიძის იმერეთიდან გადმოსულა და შემდეგ დისევში კათალიკოსის მფლობელობაში ყოფილა. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, გვ. 368, დოკ. 220.) სავარაუდოდ, შერმაზანის სახლობა დისევიდან იყო წასული და უკან დაბრუნდა.

„კულბითი სახასოთი და ზარდიაშვილი გაბრიელ თავათის მამულით, დღეს რისაც მქონებელნი არიან.“[1]

1795 წლის სიის მიხედვით, იმ სოფელთა ჩამონათვალში, ვისაც „რუსებისათვის მისასყიდი ფქვილი შესწერდა,“ პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, დისევ-კულბითი და ქსუისიც იხსენიებიან. აქედან, დისევისა და ქსუისის მოსახლეობას 10-10 ხარვარი ჰქონდათ შეწერილი, ხოლო კულბითს – 20 ხარვარი.[2]

კულბითელები სხვადასხვა სახის გადასახადებს იხდიდნენ, მათ შორის „კოდის პურსაც.“ მაგ. XVIII საუკუნის ბოლოს შედგენილ „კოდის პურის გადამხდელთა“ სიაში, პატარა ლიახვის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, კულბითიც არის მითითებული.[3]

დისევ-კულბითი მდიდარი იყო ბუნებრივი სიმდიდრეებით. XIX ს. 90-იან წლების აღწერისას, დისევში მოხსენიებულია წყარო, რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩეოდა: „ვისაც კი გააციებდა, წყაროს წყალში იბანავებდა და მორჩებოდა, ამიტომაც შეურქმევიათ „წამალაწყარო.“[4]

კულბითში, ჩერქეზიშვილების ოჯახში გაიზარდა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ვაჟი იულონ ბატონიშვილი. როდესაც რუსული ხელისუფლებისაგან დევნილი იულონ ერეკლეს ძე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, მას თან გაჰყვა ერთგული მხლებელი ფირან ჩერქეზიშვილი, რომელიც, რუსებთან შეტაკებისას, ასო-ასო აუჩეხიათ. მისი ნაწამები ცხედრის ნაწილები კულბითელ ივანე შევარდენიძეს კალათებში ჩაულაგებია, მშობლიურ სოფელში გადმოუტანია და კულბითის მიწისათვის მიუბარებია.[5]

კულბითის ძეგლებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ღვთისმშობლის ეკლესია, რომლის აღწერას ფართო ადგილი დაუთმო გაზეთმა „ივერიამ.“[6] წერილის ავტორი „თანამემამულეს“ ფსევდონიმით წერს, რომ ეს ეკლესია ბატონიშვილ გოჩას აუშენებია და მისი განსასვენებელიც ამავე ეკლესიაში, ჩრდილოეთის სვეტსა და სამკვეთლოს შუაში მდებარეობდა.

კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II (1855-1918 წ.წ.) კულბითის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს გოჩა ბატონიშვილის მიერ აგებულად მიიჩნევდა.[7] ქართულ ისტორიოგრაფიაში გოჩა ბატონიშვილი შეცდომით იყო მიჩნეული, როგორც გიორგი IX-ის (1525-1527 წ.წ.) ვაჟი. ბერი ეგნატაშვილის ცნობით: „ბატონიშვილი გოჩა, რომელი იყო პაპის ძმისწულის შვილი მეფისა სუმონისა...“[8] განსხვავებული ცნობა აქვს ვახტანგ VI-ეს, რომელიც მოწინავე სადროშოს სპასპეტს გოჩა ბატონიშვილს კონსტანტინე II-ის შვილის და დავით X-ის ძმის – ალექსანდრეს შვილიშვილად (გიორგის ძე) თვლის. ფარსადან გორგიჯანიძის მიხედვით, გოჩა სიმონ მეფის „ბიძას შვილი“ იყო. დ. ნინიძის აზრით, გოჩა ბატონიშვილი სწორედ კონსტანტინე II-ის შთამომავალი გახლდათ, რომელიც სიმონ I-ის (1556-1600 წწ.) მიმართ დიდი ერთგულებით გამოირჩეოდა და ამ ერთგულებას შეეწირა კიდეც.[9] როგორც დ. ნინიძე აღნიშნავს: „გოჩაშვილებს ძირითადი მფლობელობა შიდა ქართლში ჰქონდათ, კერძოდ, არც ისე შორს იმ რეგიონიდან, სადაც მეორე განშტოების-დავითიშვილთა მამულებია.“[10] გოჩა ბატონიშვილის

---

1 გსიემ 7486, ისტორიული საბუთები საამილახვროს, საციციანოს და ქსნის საერისთავოს შესახებ, გვ. 441.

2 მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. III, თბ., 1955, გვ. 106-107, დოკ. 76.

3 საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, დ. მუსხელიშვილის რედ. ტ. II, თბ., 2010, გვ. 172-173.

4 გაზ. „ივერია,“ 1890 წ. 4 ოქტომბერი, № 210, გვ. 2.

5 იქვე.

6 იქვე.

7 Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие. Е.К, Тиф., 1901, стр. 312.

8 ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 379.

9 დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია, თბ., 2004, გვ. 259-262.

10 იქვე, გვ. 268.

მამულებში შედიოდა სავარაუდოდ კულბითიც, სადაც როგორც მივუთითებდით, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ტაძარიც აუშენებია და აქვე დაუკრძალავთ.

კულბითის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში დაბრძანებული ყოფილა ქართველთა ერთ-ერთი მთავარი სიწმინდის – ივერიის ღვთისმშობლის იმ სასწაულთმოქმედი ხატის ასლი, რომელიც გაბრიელ ბერმა ათონის ივირონის სიახლოვეს ზღვიდან გამოაბრძანა.[1]

XIX ს. ბოლოს კულბითის ღვთისმშობლის ტაძარი ჟამთა სიავის გამო, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, იგი აღდგენას საჭიროებდა. ადგილობრივ მღვდელს გაბრიელ ოქროპირიძეს ეგზარქოს პალადისათვის დახმარების თხოვნით მიუმართავს. შეიქმნა სპეციალური კომისია გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ივანე სულხანიშვილის, გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილის (შემდგომში კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II), მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების მღვდელ-მონაზონის – მამა ლეონიდის (შემდგომში კათალიკოს პატრიარქი ლეონიდე ოქროპირიძე 1861-1921 წ.წ.) შემადგენლობით. გორის ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძეს ტაძრის აღდგენისათვის ათი თუმანი გაუღია.

კომიტეტს, მშენებლობის დასაწყებად მოლაპარაკება გაუმართავს ბერძენ მშენებლებთან, რომელთაც გარკვეული სამუშაოები ჩაუტარებიათ.

გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ზემოთ ნახსნები სტატიის ავტორი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ „ამ მოკლე ხანში განახლებულ ნიქოზის ტაძარს მიემატება გოჩას ეკლესიაც“ და სხვებსაც მოუწოდებდა: „ყურადღება მიაქციონ ძველს ისტორიულ ნაშთებს და თუ თვითონ თავს ვერ უდვიათ განახლება, სთხოვონ სასულიერო მთავრობას მცოდნე კაცთაგან კომიტეტების დაარსება და ერთმანეთის დახმარებით შეუდგნენ ძველს ტაძრების განახლებას.“[2]

1818 წლის რუსულ კამერალურ აღწერაში, კულბითში მებატონეებად მოხსენიებულნი არიან შანშე და ელიზბარ ქსნის ერისთავები. ასევე, მათი აზნაური ჩერქეზ ჩერქეზიშვილი. ჩერქეზ ჩერქეზიშვილს ოჯახში სულთა რაოდენობა 11-ს შეადგენს, მის მფლობელობაში მითითებულნი არიან: ნინია გუგუტიშვილი (ოჯახის წევრთა რაოდენობა 6 სული), სოსია მეტრეველი (4), თევდორე სიმონიშვილი (19), ნინია ბოგელაური (6), ბერუა ბოგელაური (7), ნინია შევარდენიძე (7), გიორგი ჩალაური (10), გაბრიელ ბექიაშვილი (3), ნინია ტატიური (6), გიორგი დემეტრაშვილი (4), ანდრია ელისაშვილი (5), გიორგი ღონღაძე (2); თავად ელიზბარ ერისთავის მფლობელობაში იყვნენ: ბერუა ტრამაკიძე (3 სული) და გიორგი რევანდიშვილი, მასთან ერთ ოჯახად მცხოვრებ ძმასთან – ნინიასთან ერთად (6).

აღწერაში განმარტებულია, რომ სოფელში ვარგისი მიწის ფართი 300 დღიურს შეადგენდა. სოფელი სარგებლობდა მდ. დისეურას წყლით, ამიტომ მიწა მოსავლიანი იყო. აქ არსებული ციხე-სიმაგრე ეკუთვნოდა ჩერქეზ ჩერქეზიშვილს. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება, მევენახეობა, მებაღეობა და მესაქონლეობა წარმოადგენდა.[3]

გორის მაზრის 1831 წლის საეკლესიო გლეხთა აღწერაში კულბითში მოხსენიებულნი არიან სვეტიცხოვლის ყმები:

ქვრივი ბერუა ოქროპირიძე (ოჯახის წევრთა რაოდენობა 13);
ბერი ოქროპირიძე (6)
ქვრივი პაატა ოქროპირიძე (10);
დათუა ოქროპირიძე (9);
ნიკოლოზ ოქროპირიძე (6);
ქვრივი ბეცია ოქროპირიძე (6);
გიორგი, ოქროპირ ოქროპირიძის ვაჟი (12);

---

1 გაზ. „ივერია,“ 1890 წ. 4 ოქტომბერი, № 210, გვ. 2

2 იქვე.

3 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გვ. 376-378.

ქვრივი ზურაბ ოქროპირიძე (10);

ტეტია ოქროპირიძე (2).[1]

ეკლესიის მფლობელობაში, ცხადია, საეკლესიო ყმებისა და აზნაურების გარდა, სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები და სავარგულებიც შედიოდა (სახნავ-სათესი, საძოვარი, ტყე და ა. შ.). საქართველოში რუსული ეგზარქატის დაწესების შემდეგ, საეკლესიო ხელისუფალთ, დისევის ტყე, ასი დღიურის ოდენობით ოსი გლეხებისთვის ბესტავაშვილების და ლოლაშვილებისთვის გადაუციათ, იმ პირობით, რომ ეკლესიის სასარგებლოდ გადასახადი უნდა გადაეხადათ. ამავდროულად, ტყით დისეველ საეკლესიო გლეხებს ოქრო-პირიძეებსაც უნდა ესარგებლათ. თუმცა, ჩამოსახლებულმა ოსებმა მალევე შეუწყვიტეს გადასახადის გადახდა და ოქროპირიძეებსაც შეუზღუდეს ტყით სარგებლობის უფლება. ამასთან დაკავშირებით, არქიეპისკოპოსმა ევგენიმ[2] 1838 წლის 2 ივლისს წერილი გაუგზავნა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს ფალავანდიშვილს, საიდანაც ირკვევა, რომ იღუმენ იოანეს 1836 წლის 16 ოქტომბრის მიერ სინოდალური კანტორისათვის წარდგენილი მოხსენების მიხედვით, ბესტავაშვილებსა და ლოლაშვილებს მიცემული ჰქონდათ სოფ. დისევის ტყე 100 დღიურის ოდენობით, რის გამოც მათ უნდა გადაეხადათ 12 მანეთი ვერცხლით, მაგრამ, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ისინი უარს ამბობდნენ დადგენილი გადასახადის გადახდაზე და, უფრო მეტიც, საეკლესიო გლეხებს – ოქროპირიძეებს ავიწროებდნენ.

წერილის მიხედვით, სინოდალურ კანტორას არაერთხელ განუხილავს ოქროპირიძეების და ოსების დაპირისპირების საკითხი და იღუმენ იოანესათვის დაუვალებია, უფლება არ მიეცა ოსებისთვის დასახლებულიყვნენ და სახნავ-სათესად გამოეყენებინათ სოფელ დისევის მიწა, სანამ დაკისრებულ ვალდებულებებს არ შეასრულებდნენ.[3]

1886 წლის საოჯახო სიებში სოფელი დისევი აღწერილი არ არის. სავარაუდოდ, იგი კულბითთანაა გაერთიანებული. კულბითის მოსახლეობა ამ დროისათვის 80 კომლს (289 მამაკაცი, 255 ქალი, სულ 544 სული) შეადგენდა. მცხოვრებნი ყველა ქართველი (მართლმადიდებელი) იყო. გლეხობის ნაწილი სახაზინო უწყებას ეკუთვნოდა (24 კომლი, 102 კაცი, 82 ქალი), დისევის და კულბითის მკვიდრთა დიდი ნაწილს კი (47 კომლი, 135 კაცი, 128 ქალი) საეკლესიო გლეხები წარმოადგენდნენ.[4]

დოკუმენტურ წყაროებში შემორჩენილია ცნობები ქსუისის მოსახლეობის შესახებ. 1781 წლის სურსათის გამოსაღების ერთი დავთრის მიხედვით, ქსუისში ვალდებულებები ხუთ კაცს ეკისრებოდა, ესენი იყვნენ:

„ქ. ქსუისს ფუხაური გლახა.

ქ. ქუდაშვილი რევაზა.

ქ. შოშიტაშვილი ნინია.

ქ. ვარამასშვილი გოგილა.

ქ. ბედიანიძე ძაღლუა.“[5]

1804 წლის პირველ კამერალური აღწერის მიხედვით, ქსუისში 15 კომლი (45 მამაკაცი, ამდენივე ქალი, სულ 90 სული) იყო აღრიცხული. სოფელი ქსნის ერისთავებს ეკუთვნოდათ. 1 კომლი (7 სული) გლეხი ჰყავდა ოთარ ამილახვარს. აქვე 1 კომლს (14 სული) ფლობდა

---

[1] Камеральное описание церковных крестьян Горийского уезда, 1831 год; seacsa, f. 254, saqme 1246, gv. 163-164.

[2] იგულისხმება საქართველოს ეგზარქოსი 1834-1844 წლებში ევგენი ბაჟანოვი.

[3] История Юго-Осетий в документах и материалах, т. II, Сталинир, 1960, док. 41.

[4] Свод статистических данных о населении Закавказскаго края, извлеченных из посемейных списков 1886 г., издан по распоряжению Главноначальствующаго гражданскою частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом, Тифлисская Губерния, Горийский уезд, Меджврисхевский участок, Тиф., 1893, #873.

[5] ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII ს. II ნახევარი), გვ. 98.

კათალიკოსი, 4 კომლს (18 სული) - სამეფო კარი, 4 კომლი (21 სული) ჰყავდა აზნაურ გლახა უთნელიშვილს, 1 კომლი (4 სული) – დავით უთნელიშვილს და 1 კომლი (12 სული) – გიორგი უთნელიშვილს. სოფლის მოსახლეობიდან ყველა ქართველი იყო. აღწერის განმარტებით ნაწილში მითითებულია, რომ მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო: „მაგრამ მოსავალი მოჰყავთ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის ოსების მუდმივი თავდასხმების გამო.“[1]

1818 წლის აღწერით, ქსუისის მოსახლეობა თითქმის განახევრებულია. შესაძლებელია ამის მიზეზი შიდა მიგრაციული პროცესი, ან გავრცელებული ეპიდემია იყო. მითითებულ დოკუმენტში აღნუსხულია მხოლოდ 10 კომლი (32 მამაკაცი, 23 ქალი, სულ 55 სული). იმ დროისთვის სოფელი შანშე ერისთავს ეკუთვნოდა. აზნაურთაგან მოხსენიებულნი არიან გლახა და თამაზ უთნელიშვილები, რომელთა მფლობელობაში იყო 3 კომლი ყმა. 1 კომლი საეკლესიო აზნაურს იოსებ გედევანიშვილს ეკუთვნოდა. აღწერის მიხედვით, ქსუისში ცხოვრობდნენ: აზნაური უთნელიშვილი (სახელი მითითებული არ არის, – გ. ს.), მამუკა, გიორგი და ანდრია ტოლიაშვილები, დათუა ჯახოევი, გოგია და ესტატე შოშიტაშვილები, შიო საფერაშვილი. შანშე და ბიძინა ერისთავების მფლობელობაში არსებული ჩობა დუგაზაშვილი (დოღუზაშვილი?) ექვსსულიანი ოჯახით, რომელიც ჩამოსახლებულა „ოსეთიდან 19 წლის წინ,“ ანუ, 1799 წელს.

აღწერის განმარტებით ნაწილში ნათქვამია, რომ „სოფელი სარგებლობს ლიახვიდან (იგულისხმება პატარა ლიახვი, – გ. ს.) გამოყვანილი წყლით, ამიტომ წყალი საკმარისია. მიწა ყველა კატეგორიის მოსახლეობისათვის 234 დღიურია, დასამუშავებლად გამოუყენებელია – 30 დღიური, სოფელში ვენახების რაოდენობა – 7-ია, ტყე – 15 დღიური, წისქვილი – 1. სოფელში არსებული ციხე-სიმაგრე ეკუთვნით მემამულე უთნელიშვილებს. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა.“[2]

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ქსუისის მოსახლეობა 25 კომლს (84 მამაკაცი, 64 ქალი, სულ 148 სული) შეადგენდა. ყველა მათგანი ეთნიკურად ქართველი (მართლმადიდებელი) იყო. სოციალური კატეგორიების მიხედვით, 5 სული თავადაზნაურთა ფენას მიეკუთვნებოდა, 5 – სასულიეროს. 23 კომლი (79 კაცი, 59 ქალი) გლეხიდან ყველა საეკლესიო საკუთრებას წარმოადგენდა.[3]

დისევსა[4] და კულბითში გავრცელებული ონომასტიკური ერთეულებია: წამალა წყარო, ნათლისმცემელი, დისეურა, ბერიჯვარი, ქაშუეთი, კვირაცხოველი, წმინდა მარინეები, ნადიკვრები, გუთნიყლაპია. 2008 წლის აგვისტოს ომამდე აღნიშნულ სოფლებში ცხოვრებდნენ გვარები: ოქროპირიძე, ჩერქეზიშვილი, ტრამაკიძე, თუხარელი, ბელელური, ჩალაური, მეტრეველი, შევარდენიძე, გუგუტიშვილი.

---

1 ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა... გვ. 71.

2 იქვე, გვ. 380-381.

3 Свод... Тифлисская Губерния, Горийский уезд, Меджврисхевский участок, #872.

4 დისევის სახელწოდებას გადმოცემა ერთ ქალბატონს უკავშირებს, რომელმაც ბრძოლაში გამარჯვებულ ძმას ის ტერიტორია გადასცა, სადაც ეს სოფელი მდებარეობს. ლეგენდის თანახმად, ამ ადგილისთვის დისეული, ე. ი. დის ნაჩუქარი უწოდებიათ. მეორე ვერსიით, პატარა ლიახვის ხეობის ამ ნაწილს დავით აღმაშენებლის და ფლობდა, რომელმაც თავისი წილი მამული მეფისაგან ნაწყალობევ ხეობის მკვიდრ ქართველებს უბოძა. ოქროპირიძეთა საგვარეულო სოფლის მოკლე ისტორია, გვ. 25.

Giorgi Sosiashvili*, *Ioseb Alimbarashvili
Gori State University

FROM THE HISTORY OF OCCUPIED PATARA LIAKHVI (DISEVI-KULBITI-KSUISI)

RESUME

In the current article, we bring to the readers attention the history of the three villages located in Patara Likhvi Gorge, Disevi, Kulbiti and respectively Ksusi.

The village of Disevi is located in the western foothills of the watershed of the Patara Liakhvi and Mejuda rivers. On the left side of Charebula (the right tributary of the Azura), 980 m above sea level, 15 kilometers to the east of Tskhinvali.

Disevi appears quite early in Georgian written sources. According to the list of church estates of Mtskheta dating back to 1392, the village of Disevi belonged to Svetitskhoveli. In the late Middle Ages, Disev was still under the patriarchate. In 1516, the King of Kartli David X (1505-1525) and his son Dimitri donated the village of Disevi to Svetitskhoveli and Catholicos Dorotheoz. It is possible that it was after this that the Samouravo of Catholicos was formed in Disevi.

In the second half of the 16th century, representatives of the royal family of Kartli also had estates in Kulbiti. This is confirmed by the "Book of Legal Donation to owner Kostantine Mtskheta" dated 1560. As it is clear from the mentioned document, lord Konstantine donated the land in Kulbiti to Svetitskhoveli: "I gave this time, Khosro's estates division, we, lord Konstantine, and lord K(Athaliko) ziguenaha in the manner of religion, as he ruled. Go to the door and embrace us, lord Konstantine and our brothers: Lords Giorgi and Melkisedek. They reported to you and donated this small donation to you, the Holy Catholic Apostolic See of Mtskheta, for the forgiveness of sins and the prolongation of days: To the city of Tiflis, one palace in front of Kalo[u]ban, Sharamdin, with its house and door and estate and kulbaki, [which the owner should have today]; The land is mentioned to you by Kulbiti and will be donated to you by Suetis Animalistou, our master Constantine and the our brothers.

According to the list of 1795, Disev-Kulbit and Ksuisi are also mentioned in the list of those villages that were "registered to buy flour for the Russians" along with other villages of the Patara Liakhvi valley. From this, the population of Disevi and Ksuisi had 10 kharvars each, and Kulbit - 20 kharvars.

The people of Kulbiti paid various kinds of taxes, including "code bread." E.g. In the list of "Kodi bread payers" compiled at the end of the 18th century, along with other villages of the Patara Liakhvi valley, Kulbiti is also mentioned.

Disev-Kulbiti was rich in natural resources. 19th century In the description of the 90s, a spring in Disevi was mentioned, which was distinguished by its healing properties: "Anyone who caught a cold would bathe in the spring water and get sick, that's why it was called the "Medicinal Spring."

თამარ გოგოლაძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლეგენდა დავით აღმაშენებელზე აკაკის „თვიურ კრებულში“

შესავალი: ისტორიული თქმულება-ლეგენდები, რომლებიც ზეპირი სახით გადმოეცემოდა თაობიდან თაობას, მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან პრესის განვითარებასთან ერთად შემკრებლობითი საქმიანობის გააქტიურების მეშვეობით თანდათან ქვეყნდება. ამდენად იწყება მათი ფიქსირების პროცესი, რაც შემდგომად უკვე ფოლკლორისტიკასა თუ ისტორიოგრაფიაში მკვიდრდება. არსებული თქმულება-ლეგენდები, რომლებიც დაკავშირებული იყო ქართველ ცნობილ მეფეებთან (დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე - (დედოფალი) თუ ტაძრების დაარსებასთან ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტების გარდა შეიცავენ ისტორიული რეალობის ელემენტებსაც, რაც ბევრ საკვლევ თემას ქმნის ფოლკლორისტების, ლიტერატურათმცოდნეებისა თუ ისტორიკოსებისათვის. ერთი ასეთია ლეგენდების ციკლი დავით აღმაშენებელზე, რომლებიც ერთი მთავარი სიუჟეტის გარდა სხვადასხვა ვარიანტების სახით ვრცელდება ორი საუკუნის მანძილზე ბეჭდური თუ ინტერნეტული სახით. მთავარი ლეგენდა ძირითადად უკავშირდება დავით აღმაშენებლის მიერ გელათისა და ვარძიის ტაძრების მშენებლობას, რასაც სხვადასხვა ვარიანტებში ემატება ვახტანგ გორგასალზე ცნობილი ლექს-თქმულების („ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა...“), დარუბანდის კარის ჩამოტანის, დავით მეფის სასწაულებრივი განკურნების (ირმის რძით) ქვეთემები. აქვე შედის სხვადასხვა ზღაპრის სიუჟეტიდან აღებული ფრაგმენტები თუ ჯადოსნური საგნები, რაც ქმნის ერთგვარ კომპილაციურ სიუჟეტურ ქარგას. აღნიშნულ თემებზე სხვადასხვა თვალსაზრისები გამოუთქვამთ ფოლკლორისტებსა თუ ლიტერატურათმცოდნეებს. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა ის „ლეგენდა დავით აღმაშენებელზე“, რომლის პირველი პუბლიკაცია მოხდა 1897 წელს აკაკის „თვიური კრებულის“ პირველ ნომერშივე (სექტემბერი). მას ჩვენ ვუწოდეთ „მთავარი ლეგენდა“, რამდენადაც დანარჩენი ვარიანტები სხვადასხვა დანამატებით ვრცელდებოდა და იკრიბებოდა ზეპირსიტყვიერების შემკრებთა მიერ. სწორედ ასეთი, თითქმის „სპეციალური“ ჟურნალის შექმნა დაისახა 60-იანელმა აკაკი წერეთელმა თავისი „კრებულის“ სახით (1897-1900). ჩვენი სტატიის მიზანია სწორედ „ლეგენდა დავით აღმაშენებლის“ პირველი პუბლიკაციით გამოვარჩიოთ რა შეიტანა, სავარაუდოდ, სახალხო მთქმელმა (ნაამბობი ს. შაქარას მცხოვრებ სინო გ-ძისაგან და ჩაწერილი ვიქ. ებანოიძისაგან) ზღაპრის სიუჟეტის ნაწილების ჩართვით, რაც ვფიქრობთ, საინტერესო იქნება არამარტო ფოლკლორისტების, არამედ ისტორიკოსებისათვის.

ძირითადი ნაწილი: ვიდრე აკაკის „თვიურ კრებულში“ გამოქვეყნებულ „ლეგენდას“ შევეხებოდეთ, ვცადოთ კვლევის პროცესში გავითვალისწინოთ ორი საკითხი: ა) ფოლკლორის რომელ ჟანრს განეკუთვნება ლეგენდა-თქმულება ისტორიულ პირებზე, ბ) რა როლი ითამაშა ლეგენდამ „თვიურ კრებულში“.

როგორც კარგადაა ცნობილი, „ისტორიული მოვლენებისა და ისტორიული პირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ზეპირსიტყვიერ ნაწარმოებებს ეწოდება საისტორიო ზეპირსიტყვიერება. საისტორიო ხალხური სიტყვიერება წარმოშობით სხვადასხვაგვარია. <u>მისი ძირითადი ფონდი ისტორიული მოვლენების უშუალო ანარეკლს წარმოადგენს.</u> ამგვარ ნაწარმოებებს <u>ადგილობრივი</u> ხასიათი აქვს. ისინი ხშირ შემთხვევაში თანამედროვეთა მიერ არიან შექმნილნი. თუმცა ღირსშესანიშნავი მოვლენები და გამოჩენილი ისტორიული პირების მოღვაწეობა მომდევნო საუკუნეთა მთქმელებისთვისაც შთამაგონებელი იყო. ერთი ნაწილი საისტორიო ზეპირსიტყვიერებისა ციკლიზაცია. კონტამინაციის წესით შემდეგ არის

დაკავშირებული ისტორიულ ამბებთან და პირებთან. ამგვარი ნაწარმოებები ტრადიციული სიუჟეტებისა და მოტივების ეპიკური დამუშავების ნიმუშებია. ასეთებია, მაგალითად: ლეგენდა „დავით აღმაშენებელზე", „ლეგენდა თამარ მეფეზე" და სხვ. ამ ნაწარმოებებს საერთაშორისო ხასიათი აქვს. მათ მრავალი პარალელი და ანალოგია ეძებნებათ მსოფლიო ეპოსში"[1] - წერს ქსენია სიხარულიძე და, ყოფს რა პერიოდებად საისტორიო ზეპირსიტყვიერების განვითარებას, დავით აღმაშენებლის ლეგენდას I პერიოდს მიაწერს (V-XIV ს.ს.). აქვე, ქრესტომათიაში შეტანილია „თვიურ კრებულში" პირველად გამოქვეყნებული „ლეგენდა დავით აღმაშენებელზე" (6-7), იგივე მინიშნებით: „ჩაწერილია საქარაში ვიქ. ებანოიძის მიერ. მთქმელი სინო გ-ძე. „აკაკის კრებული", 1897, №1[2]

აკაკის „თვიურ კრებულში" დაბეჭდილა კიდევ ერთი ლეგენდა „დარუბანდის კარები დავით აღმაშენებლისაგან მოტანილი გელათში" (აკაკის „თვიური კრებული", 1897, №4) ჩაწერილი დომენტი თომაშვილის მიერ. მაგრამ ამჯერად ამაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებელზე ლეგენდა ფოლკლორისტიკაში თქმულების ჟანრს მიეკუთვნება, რამდენადაც, როგორც მკვლევარი თეიმურაზ ქურდოვანიძე აღნიშნავს, „თქმულება უძველეს ფოლკლორულ ჟანრს განეკუთვნება და უმეტესად რეალურ ამბავზეა დაფუძნებული. ერთიმეორისაგან ასხვავებენ თქმულებებს, რომლებსაც ეპოსის დონემდე მიუღწევია ... და თქმულებებს, რომლებშიც მოთხრობილია სხვადასხვა შინაარსის უპირატესწილად წარსულში ნამდვილად მომხდარი ამბები".[3] ცოტა ქვემოთ მკვლევარი ფოკლორისტი საუბრობს დავით აღმაშენებლის შესახებ თქმულებაზე „დავითს იხსენიებენ აგრესორთა ალაგმვით ან აღმაშენებლობითი საქმიანობით დაკავშირებულს. თქმულებებში ხაზგასმულია დავითის ძლევამოსილება... მეფე დავითის აღმშენებლობითი საქმიანობაზე შექმნილი თქმულებები ისტორიულად ცნობილ ფაქტებს ასახავს („გელათის ტაძრის აგება"). მშენებლობაში დავითი იყენებს ეშმაკ-ჯორს („ლეგენდა დავით აღმაშენებელზე") ეს მოტივიც ცნობლია საერთაშორისო ფოლკლორში"[4].

ამდენად „ლეგენდად" „თვიურ კრებულში" გამოქვეყნებული ისტორიული ზეპირსიტყვიერი ნიმუში მიანიშნებს დავით აღმაშენებლობით უნარსა და ძლევამოსილებაზე, მკვლევართა აზრით.

„ლეგენდა დავით აღმაშენებელზე", როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკის „თვიურ კრებულში" დაიბეჭდა. აკაკის თხოვნაში კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი (1897 წლის თებერვალი) პოეტი აქვეყნებს ინფორმაციას, რომ „თვიური კრებულის" მესამე განყოფილება მთლიანად მიეძღვნა ხალხურ შემოქმედებას „რადგანაც ამ უკანასკნელს მეტ მნიშვნელობას ვაძლევ სხვა ყოველისფერზეო".[5] აკაკი დიდი ხანი ემზადებოდა ამ ჟურნალის გამოცემამდე, აქვეყნებდა წერილებს ზეპირსიტყვიერებაზე, სთხოვდა ნაცნობ-მეგობრებს ჩაეწერათ სხვადასხვა მასალა, თვითონაც ფინანსური სიდუხჭირის მიუხედავად, საჭიროდ მიიჩნევდა, ცოტა ფული მაინც გადაეხადათ შემკრებლობითი საქმიანობის მიმდევართათვის, უარყოფითად იყო განწყობილი იმ პრინციპის მიმართ, რომლის თანახმადაც ჯერ შეკრებილი მასალა უნდა დაეგროვებინათ, შემდგომ კი შეესწავლათ. „პირველი ადგილი ხალხურ ნაწარმოებში ეკუთვნის იმ სიტყვიერებას, რომელიც საკუთარ ნიადაგზეა აღმონაცენი და, როგორც მისი საკუთარი გრძნობა-გონებისა და თავგადასავლის ნაყოფი, საუკუნეების ბრძმედშია გამოვლილი და ადვილადაც გაირჩევა იმგვარ პოეზიისაგან, რომელიც სხვა უცხო ქვეყნებიდან შემოპარულა და ახალ გემოზე გადაკეთებულა"[6] („ზეპირსიტყვიერების გამო").

---

[1] ქართული ხალხური სიტყვიერება (ქრესტომათია), თსუ, 1970, გვ. 221-222
[2] იქვე, გვ. 227
[3] თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორი, „მერანი", თბილისი, 2001, გვ. 171
[4] იქვე, გვ. 175-176
[5] „კვალი", 1897, №21
[6] ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ.XIII, „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1961, გვ. 256

1895 წელს „კვალის“ რედაქციაში აკაკისა და გიორგი წერეთლის ინიციატივით დაფუძნდა ზეპირსიტყვიერების ფონდი. გიორგი წერეთელმა წერილიც გამოაქვეყნა „კვალში“ („ქართული საეროვნო საქმე“), თანხაც შეაგროვებინა და აკაკის გადასცა. „აკაკიმ რაკიღა ფოლკლორისტული ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“ დაარსა, ფონდი თავის რედაქციაში გადაიტანა“[1] -წერს მკვლევარი თემურ ჯაგოდნიშვილი.

თქმულებას ფოლკლორისტები ხშირად ლეგენდასთან აიგივებენ. ამიტომ „ლეგენდა დავით აღმაშენებელზე“ შეტანილი აქვთ ისტორიულ თქმულებათა ციკლში, რომელიც შეიძლება შეიცავდეს ზღაპრის ელემენტებსაც: „საერთოდ, ზღაპრული ელემენტების დამკვიდრება თქმულებაში იშვიათი არ არის, რადგან ეს ორი ჟანრი (თქმულება, ზღაპარი – თ.გ.) გარკვეული თვისებებით უახლოვდება ერთმანეთს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა თქმულებას არ ჰქონდა შეძენილი სინამდვილეში მომხდარზე მოთხრობის პრეტენზია“[2].

ამდენად „ლეგენდა (თქმულება) დავით აღმაშენებელზე“ ისტორიულ მოვლენასაც გადმოსცემს და მასში შეტანილია ზღაპრის ელემენტი, კერძოდ თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი „ეშმაკის ლაგამი“.

რამდენადაც ისტორიული ფაქტი, კერძოდ გელათის ტაძრის მშენებლობაა გადმოცემული „ლეგენდაში“, ისევ ისტორიულ ამბავს მივუბრუნდეთ: „დავით აღმაშენებელი შესანიშნავი პიროვნება იყო, შორსგამჭვრეტელი და ბრძენი პოლიტიკოსი, უებრო მხედარი და მეომარი, ქვეყნის კეთილდღეობისათვის მზრუნავი... ამ მიზნით ქორონიკონსა 326 ანუ 1106 წ. მოიგონა აღშენება „მონასტრისა“ და „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლუსა“ გელათის ტაძარი ააგო, „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულებათა“, განთქმული თავის „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმნულობისა შესწორებულობითა“[3] - წერს ივანე ჯავახიშვილი. ტაძრის აგება მშენებლებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ მთქმელმა სცადა ეჩვენებინა თვით მეფის, როგორც აღმაშენებლის, პირადი ჩართულობა. ამიტომ ჩაურთო ხშირად თქმულებისათვის დამახასიათებელი ფაქტორი, რომ ტაძარი ძნელად შენდებოდა, რაშიც ბოროტი ძალა უშლიდა ხელს. ეს ბოროტი ძალა – ეშმაკი ანგრევდა ღამით დღისით აშენებულს. და აი დავითმა მოხერხებულობა გამოიჩინა, თვითონ დაუდარაჯდა და, როდესაც ეშმაკი წყლიან ჯამთან მივიდა, სტაცა ხელი. „ეშმაკი ჯორად იქცა, მაგრამ გულადი მეფე მაინც არ შეშინდა. იმან ამოსდო ჯორს პირში ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ“.

შემდგომად დავითმა თვითონაც მიიღო მონაწილეობა ტაძრის აგებაში: „გელათის ტაძრის აგებაზე, დავიტს დიდი შრომა გაუწევია, წყალ-წითლიდან თავისი ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა. ეს ქვები მეტად დიდებია. ისინი არიან დატანებული სამხრეთ-დასავლეთის ყურეში. ერთ მათგანზე დრემდისაც არის, ვითომ დავითის მიერ გაკეთებული მზის საათი. დარუბანდიდან ჩამოუტანია დიდი უშველებელი კარები და მონასტრის გალავანზე დაუკიდია“[4].

„ლეგენდაში“ მოხსენიებულია აგრეთვე დავითის მიერ ვარძიისა და სხვა ტაძრების აგება.

დავუბრუნდეთ ჯორადქცეულ ეშმაკს, რომელსაც დავითი არ იშორებდაო. ჯორი ხშირად ფიგურირებს შუა საუკუნეების ისტორიაში. მისი ამტანობა ცნობილია, მისი წონა ცვალებადობს 370-460 კგ. შორის და შეიძლება შეუსვენებლად გაიაროს 26 კილომეტრი. მას შეიძლება ავკიდოთ საპალნე, რომელიც შეადგენს ჯორის წონის 20%, ანუ 70-90 კგ. ზოგიერთი ჯორი ახერხებს ცოცხალი ტვირთის ტარებას 160 კილოგრამამდე. ჯორს იყენებდა დავითი მატიანის მიხედვით. ატარებინებდა ხელნაწერ წიგნებს, რომელთაც ომის დროს, მოცალეობის ჟამს კითხულობდა.

---

[1] თემურ ჯაგოდნიშვილი, ქართული ფოლკლორტისტიკის ისტორია, თსუ, 2004, გვ. 575

[2] თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოკლორი, თსუ, 2021, გვ. 175

[3] ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1983, გვ. 216

[4] ქართული ხალხური სიტყვიერება (ქრესტომათია), თსუ, 1970, გვ. 227

„ლეგენდის“ ჯორად ქცეული ეშმაკი დამორჩილებული ბოროტი ძალაა, მაგრამ ლაგამი არ უნდა წაჰყარონ, რაც მეჯორემ, (მიუხედავად დავითის გაფრთხილებისა) წაჰყარა, ამ უკანასკნელმა წყალს მიაშურა და გაქრა.

ამდენად „ლეგენდაში“ წარმოჩინდა რეალური ფაქტები: გელათის აგება, მეფის გულადობა, მოხერხებულობა, ბოროტი ძალების დამორჩილების უნარი.

ზღაპრულ ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს იმერეთში კლდეზე ჯორის მიერ სიმწრით დატოვებულ კვალში, რომელსაც „ჯორის კვალს“, ან „ეშმაკის ნაფეხურს“ უწოდებენ, მთქმელის სიტყვით, სწორედ ამ ჯორმა ჩამოიტანა დარუბანდის კარი.

საყურადღებოა, ლეგენდა/თქმულებაში ნახსენები ეშმაკის ჯორად ქცევა, წყალთან მისვლა და წყაროში კვლავ ეშმაკადქცეულის გაუჩინარება, ჯადოსნური საგანი-ლაგამი. სწორედ ეს ლაგამი ითვლება ეშმაკის ხელთ არსებულ ჯადოსნურ საგნად, რომელმაც პატარა ეშმაკის გადამრჩენელ ძუნწ მეცხვარეს თვალი აუხილა. ლაგამი ისევ ეშმაკს დარჩა, მაგრამ თუ „ლეგენდის“ ამბავში სწორედ ლაგამით დაიმორჩილა ბოროტი ძალა ჯორადქცეული ეშმაკი, აქ ძუნწს სწორედ იგი უშლიდა ხელს მავნე თვისებისაგან განთავისუფლებაში. თითქოს მსგავსი არაფერია „ეშმაკის ლაგამსა“ და დავითზე ლეგენდას შორის, მაგრამ რამდენადაც ლაგამი ზღაპრული, ჯადოსნური საგანია, ასე შემოდის კიდეც ისტორიულ თქმულებაში.

„ლეგენდა დავით აღმაშენებელზე“ უფრო ახლოსაა ისტორიულ რეალობასთან და მხოლოდ ჯორადქცეული ეშმაკის დამორჩილება ჯადოსნური ლაგამით აქცევს მას თქმულებად ზღაპრული ელემენტებით.

გამოყენებული მეთოდები. კომპარტივისტული, ისტორიული.

დასკვნა. „ლეგენდა დავით აღმაშენებელზე“ პირველად დაიბეჭდა აკაკის „თვიურ კრებულში“ 1897 წელს (№1). და წარმოადგენს დავით მეფეზე ისტორიული ზეპირსიტყვიერების ნიმუშს, თუმცა მას პუბლიკაციაში „ლეგენდა“ ჰქვია, იგი თქმულების ნიშნებს ატარებს ზღაპრული ელემენტებით.

„ლეგენდაში“ წარმოჩინდა დავით მეფის რეალური თვისებები: გულადობა, განსწავლულობა, მოხერხებულობა, დიდი ფიზიკური ძალა და, რაც ყველაზე მთავარია, აღმაშენებლობა, როგორი ზედწოდებაც მიიღო საქართველოს მეფემ დავითმა. სტატიის მიზანიც ეს იყო, პუბლიკაციის თარიღის დადგენით, მისი ჟანრობრივი სპეციფიკის გამოკვეთით, წარმოგვეჩინა, როგორ ასახავს რეალობას თქმულება (ლეგენდა) ზღაპრული ელემენტების გამოყენებით, რაც ხალხური ნაწარმოებისათვის არის მსმენელის დაინტერესების გაძლიერება.

Tamar Gogoladze
Gori State University

LEGEND OF DAVIT AGHMASHENEBELI IN AKAKI'S "MONTHLY COLLECTION"

RESUME

The past of Georgia and its reflection in legends have become an object of interest of the Georgian society since the 60s of the XIX century. In this regard, the publication of the results of the activities of collecting materials continued on the pages of the press available at that time. In order to activate the mentioned process, Akaki Tsereteli devoted a place to the publication of legends and stories in the second and sometimes third section of the "Monthly collection"(1897-1900). Among them were the legends about King Tamar (recorded in Tskhinvali by Alexander Machabeli) and the legend of Davit Aghmashenebeli (fables, proverbs and riddles)" recorded by V. Ebanoidze. This legend was published in the third section of the very first issue of "Collection" in 1897 (September). It should represent the first publication of the legend of Davit Agmashenebeli, which has undergone changes in various printed and internet versions.

The legend mainly refers to the history of the construction of the Gelati temple and the miraculous transformation of the devil into a mule, the mule on which King David traveled to Georgia, carried books and subordinated evil forces to his will.

The legend contains a part of the story about Davit Agmashenebeli (about the construction of the Gelati temple) and a part of the story from the fairy tale "The Devil's Bridle".

The content of the legend focuses on the strength, skills and prophetic talent of Davit Agmashenebeli.

This legend and its history, published in Akaki's "Monthly Collection" itself, are important for enriching both folklore and historical information about Davit Aghmashenebeli, which is also the purpose of our article.

ირინა გოგონაია
კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

გოგირდი და „გოგირდის წყალი“ როგორც სამკურნალწამლო საშუალება ძველ ქართულ საექიმო წიგნებსა და კარაბადინებში

კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფუნდამენტური სამედიცინო თხზულებები - ქანანელის "უსწორო კარაბადინი" ხოჯაყოფილის "წიგნი სააქიმოΩ", ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის "სამკურნაო წიგნი – კარაბადინი", დავით ბაგრატიონის/დაუთხანის "იადიგარ დაუდი", ასევე, მრავალრიცხოვანი "საოჯახო კარაბადინები" მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა მინერალური წარმოშობის ნივთიერებებზე, რომლებიც გარემომცველი ბუნებიდან მოხმობილი იყო მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალებებთან ერთად, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ მკურნალობა სასიცოცხლო ძალთა განახლებას გულისხმობს: კურნავს ბუნება, ექიმი კი ზრუნავს (ლათ. *Medicus curat, natura sanat)*. აღნიშნული ცნობები ასახავს არსებული სამედიცინო თუ საბუნებისმეტყველო ცოდნის მულტიკულტურულ ხასიათს, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ტრადიციას, ისევე, როგორც ელინურ-ბიზანტიურ და მუსლიმურ-აღმოსავლურ კულტურათა მიღწევებს.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში" ფარგლებში (HE 17-54), ქართული საექიმო წიგნებისა და კარაბადინების მიხედვით გამოიყო 40 - მდე მინერალური წარმოშობის სამკურნალწამლო საშუალება, რომელთა შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ქართული მედიცინის, ისე საქართველოში ქიმიის ისტორიის თვალსაზრისით. მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია კარაბადინებში მოცემულ წარმოდგენებზე გოგირდისა და მისი ზოგიერთი ნაერთის თვისებების შესახებ.

გოგირდი (ქიმიური სიმბოლო – S, ლათინური სახელწოდება - Sulfur, რომელიც სავარაუდოდ წარმოდგება ინდოევროპული ძირიდან "swelp - წვა") უძველესი დროიდან არის ცნობილი; გოგირდი და მისი ნაერთები გამოიყენებოდა თოფის წამლის, ასანთის მომზადებაში, მედიცინასა და ყოფა-ცხოვრებაში. არაბი ალქიმიკოსები გოგირდს განიხილავდნენ როგორც მეტალების წარმოშობის საწყისს. მეტალების წარმოშობის გოგირდ-ვერცხლისწყლის თეორიის თანახმად, რომლის შექმნა უკავშირდება VIII საუკუნის არაბი ალქიმიკოსის აბუ მუსა *ჯაბირ* იბნ ჰაიანის (721-815) სახელს (ის ევროპულ ლიტერატურაში უფრო ლათინიზირებული *გებერის* სახელით არის ცნობილი), ყველა მეტალი დედამიწის წიაღში სწორედ გოგირდისა და ვერცხლისწყლის შეერთებით მიიღება; ყველა მეტალს საფუძვლად ორი პრინციპი უდევს: გოგირდი (ფილოსოფიური გოგირდი), რომელიც წვადობის პრინციპს განასახიერებს და ვერცხლისწყალი (ფილოსოფიური ვერცხლისწყალი) – მეტალურობის პრინციპის გამოვლინება. აქვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიური გოგირდი და ფილოსოფიური ვერცხლისწყალი კონკრეტული ნივთიერებების ტოლფასი არ არის. ჩვეულებრივი გოგირდი და ვერცხლისწყალი უფრო სამხილებია სულიერი პრინციპის, "ფილოსოფიური გოგირდისა და ვერცხლისწყლის" არსებობისა. ჯაბირის მოძღვრების თანახმად, *ხმელი* გამონაორთქლი, რომელიც დედამიწის წიაღში კონდენსირდება, გოგირდს წარმოშობს, ხოლო *ნედლი* – ვერცხლისწყალს (ამ წარმოდგენებში არისტოტელეს მოძღვრების ელემენტები იკვეთება ოთხი თვისების მატარებელი - მხურვალი, გრილი, ნედლი და ხმელი - ოთხი სტიქიის შესახებ); შემდეგ სითბოს მოქმედებით ხდება ამ ორი პრინციპის შერწყმა, რის შედეგადაც ისინი ქმნიან

შვიდ ცნობილ მეტალს: ერთი – ოქრო, მეორე – ვერცხლი, მესამე – სპილენძი, მეოთხე – რკინა, მეხუთე – კალა, მეექვსე – ტყვია და მეშვიდე – ვერცხლისწყალი[1].

აღსანიშნავია, რომ ვახტანგ VI-ს თავის ცნობილ ქიმიის სახელმძღვანელოში "წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის"[2] მეშვიდე მეტალად დასახელებული აქვს "ხარიჩინი" – თუთია: "არვა, რომელ არს სული, ოთხი რიგია: ერთი – ზიბაჟი, რ[ომე]ლ არს ჯივა, მეორე – ნიშადური, მესამე – ზარნიეხი, მეოთხე – ქიბრით, რ[ომე]ლ არს გოგირდი. ჯასადი, რ[ომე]ლ არს ხორცი, შვიდია: ერთი – ოქრო, მეორე – ვერცხლი, მესამე – [მ]ნას, რ[ომე]ლ არს სპილენძი, მეოთხე – [ჰ]ადიდ, რ[ომე]ლ არს რკინა, მეხუთე – კალა, მეექვსე – ტყვია, მეშვიდე – ხარიჩინი". ხარიჩინი (არაბ. ხარსინი, ჰადიდ ახსინი) თუთიას ნიშნავს, და როგორც ჩანს, ვერცხლისწყალი და თუთია აქ ერთმანეთს უპირისპირდება. თავისი სახელმძღვანელოს ამ პარაგრაფის (§167) შედგენისას ვახტანგ VI დაეყრდნო ჯაბირის მემკვიდრის, ირანელი ალქიმიკოსის აბუ ბაკრ არ-რაზის (866 – 925) ცნობილ თხზულებას "საიდუმლოებათა წიგნი".[3]

ჯაბირის წარმოდგენებით, ოქრო, როგორც ყველაზე სრულყოფილი მეტალი, წარმოიქმნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულიად სუფთა გოგირდი და ვერცხლისწყალი აღებულია ყველაზე ხელსაყრელი თანაფარდობით. მიწის წიაღში ოქროსა და სხვა მეტალების წარმოქმნა მიმდინარეობს ნელა და თანდათანობით; ოქროს "დამწიფება" შეიძლება დაჩქარდეს რაღაც "მედიკამენტის" ანუ "ელექსირის" (*al-iksir,* ბერძნ. ξεριον, ანუ "მშრალი") დახმარებით, რომელიც ცვლის გოგირდისა და ვერცხლისწყლის თანაფარდობას მეტალებში და ამ უკანასკნელთ გარდაქმნის ოქროდ და ვერცხლად. ვინაიდან ოქროს სიმკვრივე ვერცხლისწყლის სიმკვრივეზე მეტია (აღსანიშნავია, რომ არაბ ალქიმიკოსებს თავის შრომებში მოყვანილი აქვთ მეტალების სიმკვრივის მნიშვნელობები, რომელთა სხვაობა თანამედროვე მონაცემებთან 1%-ს არ აღემატება: Au, სიმკვრივე -19,30 გ/სმ^3, Hg, სიმკვრივე - 13,534 გ/სმ ^{3}), ითვლებოდა, რომ ელექსირი საკმაოდ მკვრივი სუბსტანციის უნდა ყოფილიყო (მოგვიანებით ევროპაში ელექსირმა "ფილოსოფიური ქვის" სახელწოდება მიიღო, *Lapis Philosophorum).*

არაბი ალქიმიკოსების თვალსაზრისით, "არასრულყოფილი მეტალების" სრულყოფილ მეტალად – ოქროდ – გადაქცევის პროცესი შეიძლება მეტალების "განკურნებასთან" იქნას გაიგივებული, მათი ასეთი მიდგომა არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი, როგორც წესი, ამავე დროს ექიმებიც იყვნენ.

ამრიგად, გოგირდს და მის თვისებებს ძველი დროიდან დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ქართულ სამკურნალო წიგნებსა და კარაბადინებში აისახა ცოდნა გოგირდის ანტისეპტიკური და ანტიპარაზიტული თვისებების შესახებ. კანის პარაზიტული დაავადებების სამკურნალოდ გოგირდის გამოყენება აღწერილია ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის "სამკურნალო წიგნში: "წამალი მუნისა – აიღე ხარის-ძირა, დან[ა]ყე და გაცარ და აიღე ზეთი და გოგირდი, და ძმარი გაურიე, გა[ა]თბე და შემწენ, და უშუელის":)"[4]; დავით ბაგრატიონის "იადიგარ დაუდში" კი გოგირდი ასეა დახასიათებული "გოგირდი, მხურვალე და ხმელი არის, კაცსა რომ მუნი ესხას და ესე გოგირდი თაფლითა ჭამოს და ტანზედაცა შეიცხოს, მუნსა უშველის"[5].

---

[1] Н. А. Фигуровский, История химии, М.: Просвещение, 1979.

[2] ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, შედგენილი ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ელ. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, ელ. მეტრეველის რედაქციით, III ტომი, თბილისი, 1963, ხეც, S 3721.

[3] ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ და ვ. კოკოჩაშვილმა, თბილისი, 1981

[4] ზ. ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო მ.შენგელიამ, რედაქტორი ე.კანდელაკი, თბილისი, 1978, 626, 26.

[5] დ. ბაგრატიონი. იადიგარ დაუდი, გამოცემულია პ. ფირფილაშვილის მიერ (1938 წლის ლ.კოტეტიშვილის გამოცემის მიხედვით), თბილისი, 1985, 219, 14.

მოცემულ პასაჟში გოგირდის სამკურნალო თვისებების ცოდნასთან ერთად, ასევე, კარგად ჩანს, რომ ავტორი იცნობს ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ სისტემას, რომელიც თავის მხრივ ნატურფილოსოფიურ შეხედულებებს ეფუძნება. აღნიშნული მოძღვრების თანახმად, ბუნება შედგება ოთხი საწყისისაგან (ელემენტისაგან/სტიქიისაგან): მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი, რომელთაც ადამიანის სხეულში შეესაბამება: სისხლი, საფრა, ბალღამი და სევდა, რომლებიც გარკვეული თვისებებით ხასიათდებიან, კერძოდ: სისხლი – მხურვალე და ნედლია, საფრა – მხურვალე და ხმელი, ბალღამი – გრილი და ნედლი, "სევდა ... გრილი და ხმელი არის"). ჯანმრთელობისა და ავადობის კონცეფცია უკავშირდებოდა სწორედ აღნიშნული სითხეების ორგანიზმში თანაფარდობას: თუ ეს სითხეები კარგი თანაფარდობითაა შერეული ადამიანი ჯანმრთელია, თუ წონასწორობა დარღვეულია რომელიმე სითხის გაძლიერებით ან შემცირებით – ეს იწვევს ავადმყოფობას.[1]

საინტერესოა, რომ ქართული წერილობითი ძეგლების თანახმად, სამკუნალო მიზნით გამოიყენებოდა როგორც გოგირდი, ისე "გოგირდის წყალი" – გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) წყლები. სავარაუდოა, რომ სპეციფიური სუნის გამო, ეს წყლები სხვა მინერალურ წყლებზე ადრე მიიქცევდნენ ყურადღებას. ადრევე შენიშნული ჰქონდათ გოგირდოვანი წყლების სამკურნალო თვისებები, რაც აისახა კიდევაც თბილისის ქართლის სამეფოს დედაქალაქად გადაქცევასთან დაკავშირებულ ლეგენდაში. ლეგენდის ყველა ვერსიის თანახმად, ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი ამალასათან ერთად მცხეთიდან სანადიროდ გავიდა, გავრცელებული ვერსია მოგვითხრობს, რომ მეფის შევარდენი ხოხობს დააცხრა და ნადავლიანად წყალში ჩავარდა, რომლიდანაც მეფის მხლებლებმა დათუთქულები ამოიყვანეს. ჩვენთვის საინტერესოა ლეგენდის მეორე ვერსია, რომლის თანახმად, მეფემ შველი დაჭრა; დაჭრილმა შველმა წყალთან მიირბინა, ჭრილობა მოიბანა და განკურნებული გაიქცა. მეფემ არემარე დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ იქ მრავლად მოედინებოდა თბილი წყაროები, მოეწონა ეს მიდამო და ქალაქის აშენება ბრძანა, რომელსაც თბილ წყაროთა გამო თბილისი ეწოდა.[2]

გოგირდწყალბადიანი (სულფიდური) წყლები მიეკუთვნება ბალნეოლოგიურ წყლებს და გამოიყენება როგორც გარეგანი (მინერალური წყლის აბაზანები), ისე შინაგანი მოხმარებისთვის (სასმელი, ინჰალაცია, შესხურება, მოსხურება, ოყნები). მოვიყვანოთ "გოგირდის წყლის" გამოყენების მაგალითი "წიგნი სააქიმოჲდან", რომლის მთარგმნელი, ხოჯა ყოფილი, ილია აბულაძის თვალსაზრისით, "შემთხვევითი მწიგნობარ-მთარგმნელი კი არ არის, რამედ მკურნალი-მწიგნობარია, რომელიც გაწვრთნილია როგორც უცხო, ისე მშობლიურ სამკურნალო მწერლობაში, მისი თარგმანის მაღალი თვისებები ნაყოფია გარკვეული ტრადიციისა, რომელიც საქართველოში წინა საუკუნეებში უნდა შემუშავებულიყო".[3] ფრაგმენტი იწყება დაავადების ნიშნების ჩამოთვლით და ზოგადი დახასიათებით: "ნიშანი ურვილისა მანკისაჲ იგი არს, რომელ პირველ სიმსივნე გამოჩნდეს და მაშინ გამწვანდეს, ანუ შავფერად იყოს, და დაწყლულდეს და თხმალი გამოვიდეს. და რაჲ გაძნელდეს, ასოთა ჭამდეს და უფროჲსი რვაას ოცდა ხუთმეტსა შეექნების, და დაუცვეთელსა უფროჲ"[4]. შემდეგ მოცემულია კურნების სქემა, რომელშიც შედის გოგირდის წყლის გარეგანი გამოყენებაც: "კურნებაჲ ურვილისა მანკისა, რომელსა ჰქვიან აქლაჲ

[1] ლ. სამყურაშვილი, ი. გოგონაია, თ. აბულაძე, ლ. შათირიშვილი, ნ. ხიზანიშვილი (ლ. გაბუნიას, მ.კერესელიძისა და კ. მულკიჯანიანის მონაწილეობით), სამედიცინო და ვეტერინარული ხელნაწერები საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში, თ. აბულაძისა და ლ. სამყურაშვილის რედაქციით, თბილისი, 2022.

[2] თბილისის ისტორია, თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, მ. დუმბაძის, ვ. გუჩუას რედაქციით, ტომი I, თბილისი, 1990

[3] ილ. აბულაძე, ძველი ქართულისა და ძველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის, შრომები, IV. თბილისი, 1985

[4] წიგნი სააქიმოჲ. ხოჯაყოფილის თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კოტეტიშვილმა. თბილისი, 1936, 267-268.

არაბულად და სპარსულად ხორაჲ, არხიჯანოს ი[ტყვის]: კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ აფთიმოთისა მატბუხითა და როფისისა იარაჲთა მუცელი დაილბოს, და მანკისა სათავნოჲ ტანისაგან გამოიღოს და ვარჰარამისა წყალი ადუღოს და მანკისა ადგილსა სცხებდეს კარგი არს. და თუ სონიჯი ძმრითა დაალბოს და შემოსდვას კარგი არს. და მიწყით გოგირდისა წყლითა ბანდეს... ”[1].

ტექსტიდან მოყვანილი ფრაგმენტი წარმოაჩენს არსებულ ტრადიციას, რომლის თანახმად, მთარგმნელი მამაკაცის სასქესო ორგანოს სკაბრეზულ სახელს კორექტულად აღნიშნავს შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობით – “რვაას ოცდათხუთმეტი”, მკურნალობის სქემა კი ასახავს XIII საუკუნის ძეგლში მოცემულ წარმოდგენებს გოგირდის წყლის სამკურნალო თვისებებისა და მკურნალობისათვის გამოყენების სფეროების შესახებ.

Irina Gogonaia
Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts

SULFUR AND "SULFUR WATER" AS MEDICINAL REMEDIES IN OLD GEORGIAN MEDICAL BOOKS AND QARABADINS

RESUME

Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts hold an important collection of the fundamental Georgian medical works such as "Incomparable Qarabadin” by Canaanite, "Book of Medicine" by ex-Khoja (khojakhopili), Zaza of Panaskerti - Tsitsishvili's "Medical Book - Qarabadin", David Bagrationi's "Yadigar Daud" as well as numerous so-called “Family Qarabadins”. Thanks to the Shota Rustaveli Georgian Nationa Science Foundation a project “Medical and Veterinary Manuscripts in the Depositories of Georgia and Abroad” (HE 17-54) was conducted at the Centre; the main goal of the project was to carry out multidisciplinary study of Georgian medical manuscripts.

The medical knowledge in the fundamental Georgian medical works is based on the common principle – treatment as a renewal of life forces: Nature heals, and the doctor cares. Therefore, the medicinal remedies that are described in these manuscripts were called from the surrounding nature – substances of plant, animal, and mineral origin. Based on the descriptions of medications in the Old Georgian medical books and qarabadins, up to 40 remedies of mineral origin were identified; the study of remedies is important both in terms of the history of Georgian medicine as well as the history of chemistry in Georgia. In this report, attention is focused on the ideas given in old Georgian Qarabadins about the healing properties of sulfur and “sulfur water” (hydrogen sulfide (sulfide) waters).

The material contained in the Georgian qarabadins shows that the medical knowledge preserved in them was based on centuries-old national traditions and achievements of the Hellenic-Byzantine and Muslim-Eastern cultures.

[1] წიგნი სააქიმოჲ. ხოჯაყოფილის თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კოტეტიშვილმა. თბილისი, 1936, 268, 7.

ელდარ თავბერიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რამდენიმე ეპიზოდი ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობიდან

ილია ჭავჭავაძე ცენტრალური ფიგურაა მე-19 საუკუნის საქართველოსი. იგი არის ამავე საუკუნის მეორე ნახევარის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი ბელადი. ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულება მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეისა და მნიშვნელობის გააზრებასთან. თერგდალეულთა ლიდერს მიაჩნდა, რომ ეროვნული საკითხი მთავარი და გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ამ მოძრაობაში. ილიას მეთაურობით თერგდალეულებმა უაღრესად პროგრესული როლი შეასრულეს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, რომ თერგდალეულები იყვნენ ახალი დემოკრატიული იდეოლოგიის მამამთავრები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი გავლენა მოახდინეს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შემდგომი თაობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებიც ძირითადად სწორი პოზიციებიდან აფასებდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობას საპატიო ადგილი უკავია ცნობილ მწიგნობარს, ისტორიკოსსა და საზოგადო მოღვაწეს ექვთიმე თაყაიშვილს.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ მკითხველისათვის მოგვეთხრო რამდენიმე ეპიზოდის შესახებ ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის პირადი ურთიერთობებიდან.

ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის პირველი შეხვედრა მოხდა 1885 წელს რუსეთში, როცა ექვთიმე უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, ხოლო ილია ჭავჭავაძე ქრთველთა სათავადაზნაურო ბანკის საქმეზე იყო ჩასული პეტერბურგში. მეორე შეხვედრა კი საქართველოში შედგა, როცა ქართველმა საზოგადოებამ გადაწყვიტა სამშობლოში ჩამოესვენებინა რუსეთში ვერაგულად მოკლული დიმიტრი ყიფიანი, არჩეული იქნა კომისია, რომლის წევრებიც სხვებთან ერთად იყვნენ ილია და ექვთიმე.

შემდეგ წლებში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა. ექვთიმე თაყაიშვილმა დაგვიტოვა მოგონებები XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პროცესებზე, რომელიც მეტად ძვირფასი წყაროა იმდროინდელი საზოგადოებრივი ვითარებისა საქართველოში და განსაკუთრებით ილიას როლსა და ადგილზე საქართველოს ისტორიაში, აქვე საუბარია ილიასა და ექვთიმეს პირად ურთიერთობაზე. ჩვენი მიზანია მკითხველს მოვუთხროთ რამდენიმე ეპიზოდის შესახებ მათი ურთიერთობიდან და აგრეთვე გავაცნოთ ექვთიმეს შეხედულება ილიას შესახებ.

გაბრიელ ეპისკოპოსი რომ გარდაიცვალა (1896 წ.) ქუთაისის ინტელიგენციამ ერთობ დააყოვნა მისი დაკრძალვა, რათა საუკეთესოდ მოემზადებინა ქართველი ხალხი მიცვალებულის პატივსაცემად, ბოლოს 10 მარტს გადაწყდა მიცვალებულის დაკრძალვა გელათის მონასტერში. თბილისიდან ილია ჭავჭავაძის თავკაცობით ჩამოვიდა დელეგაცია. ექვთიმე თაყაიშვილიც ერია მათში და სწორედ მან დაგვიტოვა ამ ამბებთან დაკავშირებული საინტერესო მოგონება. სტუმრებს მასპინძლობას უწევდა ნიკო ღოღობერიძე.

ექვთიმეს მოგონებით ამ დროს პოლიციის უფროსად იყო ვინმე სიმონიშვილი, რომელსაც სახელი გაფუჭებული ჰქონდა ქართველებში, რადგან ჩინისა და დაწინაურებისათვის ყველაფერს კადრულობდა. ლევან ჯანდიერმა (ილიას დიდი მეგობარი და ქომაგი), რომელიც იმ დროს თბილისის მაზრის უფროსი იყო, შეიტყო და მატარებელში ყველას ამცნო, რომ სიმონიშვილს

თბილისიდან ზედიზედ მოდიოდა დეპეშა: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое словоь что он скажет"[1] .

გელათის მონასტერში დასვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედართან უამრავი ხალხი მიდიოდა და იყო გაუთავებელი სიტყვები, ზედიზედ გამოდიოდნენ ორატორები, რომლებიც ენამზეობდნენ. ექვთიმე იგონებს, რომ ამ ყოფაში საღამოც შემოგვესწრო და ილიამ გვითხრა: „ჩემი სიტყვის თქმა აღარ ღირს, მაგრამ ცოტა ხანს კიდევ დავიცადოთ და მერე წავიდეთო". ბოლოს მანვე გვითხრა „მივიდეთ ახლა და გამოვეთხოვოთ მიცვალებულსო". ექვთიმე წინიდან მივიდა კუბოს ირგვლივ შემორტყმულ ხალხთან და ხმამაღლა დაიძახა: „ბატონებო, ცოტა ჩამოდექით და გზა მოგვეცით მოგვეცით, ბატონ ილიას ჭავჭავაძეს აქვს სიტყვა მეთქი". ერთი სიტყვით პროვოკაცია მოვუწყვე ილიას", - იხსენებს ბატონი ექვთიმე[2]. ილიას თქმით, გაბრიელ ეპისკოპოსი იყო კაცი, რომელიც „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდ, მან იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს". იგი მოციქულობდა ჩვენის სამშობლოს სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანას და სულსა და გულსა ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდან საუკუნემდე[3].

ილია ჭავჭავაძეს დიდი პატივისცემითა და აღტაცებით მოუსმინა ხალხმა, ლევან ჯანდიერმა მადლობა გადაუხადა ექვთიმეს, რომ აიძულა ილია ეთქვა სიტყვა, ხოლო ეს უკანასკნელი მართლაც შესანიშნავი იყოო – იგონებს ექვთიმე, რადგან ვაგონში წინასწარ წაგვიკითხა და გაგვაცნოო, თვითონ ილიაც კმაყოფილი დარჩენილა, სიტყვა რომ უთხრა განსვენებულს.

ქუთაისში დაბრუნებული სტუმრები ნიკო და სიმონ ღოღობერიძეებს სასტუმრო „კავკაზის" სასადილოში შეუყვანიათ, სადაც მრავლად იყვნენ მოქეიფენი გიორგი შარვაშიძის მეთაურობით (ეს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის ვაჟი იყო, რომელსაც უფლება არ ჰქონდა აფხაზეთში ეცხოვრა და ამიტომ ქუთაისში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა 1918 წელს). გიორგი შარვაშიძეს ილიას დანახვისთანავე წამოუძახია – ოო, ილია გრიგორიჩს გაუმარჯოს, რა სასიამოვნო სტუმარი მოვიდა, აბა ახალი სუფრაო. ექვთიმე თაყაიშვილი არ წერს შარვაშიძე თამადობდაო სუფრას, მაგრამ ქვეტექსტით აშკარაა, რომ ის იყო წინამძღოლი სერობისა.

სტუმრისათვის თავდაპირველად სანუქფო შეუთავაზებიათ, ლანგრით მიურთმევიათ ხუთი ჭიქა, მაგრამ ლაქიას, ნიკო ღოღობერიძის რჩევით, ჩუმად აუცლია ის სანუქფო სასმისები ილიასათვის. კარგა ბლომად სადღეგრძელობის მერე გიორგის თხოვნაზე, მიირთვით ბატონო ილიაო, ილიას უთქვამს: „დიდი სიამოვნებით გეახლებით, მაგრამ გულს მაკლია, რომ პირველად დასალევი ხუთი ჭიქა არ შემისვამსო" - ..ა-ტა-ტა-ტა, ეგ როგორ მოხდა, ახლავე მიართვით ილიას ის ხუთი ჭიქაო", - დაიძახა თამადამ. ნიკო ღოღობერიძემ ხელი წაკრა ექვთიმეს და წასჩურჩულა: „საკვირველი კაცია ეს ილიაო". ბატონი ექვთიმე იხსენებს „მოართვეს აუცილებელი" ხუთი ჭიქა, ილიამაც ნელ-ნელა, გემრიელად შესვა და ბოლოს იმ ჩვენი ამხანაგის სადღეგრძელოც დალია. მართლაც საოცარი კი იყო, გულს მაკლიაო", დინჯად, სერიოზულად უთხრა: არ უნდოდა რომ ვისმე ჩამორჩენოდა იქა!"[4].

ღვინო კი არ სწყუროდა, გიორგი შარვაშიძეს ეკრძალვოდა, სუფრის წეს-დათის ეტალონთან სირცხვილის ჭამა არ უნდოდა. ვერც თვითონ მოიქცეოდა სხვაგვარად ვერც იმას აკადრებდა, თამადა რომ უნდა ყოფილიყო ამ პურობისა[5].

ექვთიმე თაყაიშვილის მოგონებით ილია ჭავჭავაძე თავის რომელიმე თხზულებას რომ მოათავებდა შეყრიდა ლიტერატორებს, მწიგნობრებსა და მეგობრებს, წაუკითხავდა და აზრს შეეკითხებოდა ხოლმე.

---

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, ემიგრანტული შრომები. ტ. I, თბ., 1991, გვ. 414
[2] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 414
[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ, ტ. IV, 2012, გვ. 256
[4] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 416
[5] ელ. თავბერიძე, უბედო მამულის ყმა, ქუთ., 2004, გვ. 42

ერთ-ერთ ასეთ საღამოზე ექვთიმე თაყაიშვილიც აღმოჩნდა მიწვეული. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ილიამ დაწერა „ქვათა ღაღადი". ეს თხზულება მიმართული იყო უმთავრესად პატკანოვისა და ზოგი სხვა ავტორების წინააღმდეგ, რომელნიც უწესური ხერხებით ცდილობდნენ ჩვენი ისტორიისა და კულტურის დამცირებას, ამ საღამოზე ექვთიმეს გარდა იყვნენ ნიკო ცხვედაძე, ნიკო ხიზანიშვილ-ურბნელი, ვლადიმერ (პროკოფი) მიქაძე, ბანკის დირექტორი გრუზინსკი (სახელად მგონი მიშა, ბატონი ექვთიმე საკმაო ასაკში იყო როცა ამას წერდა – ე. თ.) და სხვები. ილიამ რომ კითხვა დაამთავრა, ყველამ ერთხმად მოუწონა, ერთი უბრალო შენიშვნაც კი არავის განუცხადებია. ამან მე (ექვთიმე – ე.თ.) დიდად გამაკვირვა; სხვებს თუ არა ნიკო ხიზანიშვილსა და ვლადიმერ მიქელაძეს, როგორც უფრო ნიჭიერთა და საქმეში ჩახედულთ მაინც უნდა შეემჩნიათ, რომ ილია ზოგ რამეში ცდებოდა. მეტი გზა აღარ იყო და შეეკითხე: თავადო ილია, თუ გაქვთ მეთქი წაკითხული პატკანოვის წერილი? მიპასუხა, არ წამიკითხავს, მაგრამ ხელთა მაქვს დიმიტრი ბაქრაძის პასუხი ამ წერილზე და იქედან ამოვკრიბე ყველაფერიო. მერე ვუთხარი: „რასაკვირველია, თქვენი თხზულება ნამდვილად შესანიშნავია იმ მრავალ ფაქტის გაშუქებით, რომლებიც მოწმობენ გარკვეულ პიროვნებათა უწესურობას, ჩვენ წინააღმდეგ მომართულს, კუტულის მოგზაურობიდან დღემდე; ასეთი მჭერმეტყვრლრბით მათი არაკეთილსინდისიერი მოქმედება სხვას არავის გამოუმჟღავნებია; შესანიშნავი თქვენი სტილიცა და იუმორიც, მაგრამ ფაქტების აღნუსხვაში უთუოდ უნდა შეიტანოთ ცვლილება, თორემ ადვილად გამოგედავებიან მოწინააღმდეგენი, რადგან ზოგან მათ იმას მიაწერთ, რაც ნამდვილად არ უთქვამთ-მეთქი"[1] .

ბატონი ექვთიმე შემდეგ განაგრძობს: „შევატყვე, რომ ილიას ძალიან ეწყინა, მაგრამ რას იზამდა? მივეცი პატკანოვის წერილი, რასაკვირველია მადლობა გადამიხადა და გამოიყენა, გაასწორა, მაგრამ მაინც მითხრა, „მე ქართველებისათვის ვწერ და არა მეცნიერთათვისო". აბა, ილია რომ ამას იტყოდა, სხვებისაგან რარა იყო მოსალოდნელი, ასე იყო თუ ისე, როდესაც „ქვათა ღაღადი" დაიბეჭდა, აღარავითარი ლაფსუსი აღარ დაჰყოლია თან[2] .

ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს, რომ ილია ჭავჭავაძე ხშირად მთხოვდაო წიგნებსა და სტატიებს საქართველოს საკითხებზე და მეც ვუგზავნიდი ხოლმეო. ბატონი ექვთიმე შენიშნავს, რომ ილიას იმიტომაც უხდებოდა ისტორიის საკითხებზე წერა, რომ იმხანად ნამდვილი ისტორიკოსი აღარ გვყავდა, ბაქრაძის შემდეგ, სანამ ივანე ჯავახიშვილი გამოვიდოდა ასპარეზზე. ბაქრაძემდე კი ბროსეს შემდეგ პლატონ იოსელიანი სჯობდა ყველას, ხოლო თუ სცდებოდა, პატიოსნებას სცდებოდა, ოღონდ წარწერების კითხვა ნამდვილად არ ეხერხებოდა.

ილიას დასახასიათებლად ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს მის დამოკიდებულებას იმ ხანგრძლივი და მწვავე კონფლიქტისადმი, რომელიც თედო ჟორდანიასა და ექვთიმე თაყაიშვილს შორის ატყდა. ეს ის პერიოდია, როცა ბატონმა ექვთიმემ დაბეჭდა „სამი ისტორიული ქრონიკა". თ. ჟორდანიამ „ივერიაში" განაცხადა, რომ „მოქცევა& ქართლისაი" მან გადმოწერა პირველად, რომ ათხოვა გადმონაწერი ილია ჭავჭავაძეს, როდესაც იგი „ქვათა ღაღადს" წერდა, და რომ მერე ის რვეული მე წავიღე (ექვთიმემ – ე.თ.). ამ წერილმა სასტიკი შეურაცხყოფა მომაყენა (ექვთიმე – ე.თ.). ამიტომ ჯერ სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე თ. ჟორდანია და რომ არ გამომყვა, მერე დუელში, მაგრამ ამასაც აარიდა თავი[3] .

ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა მათი შერიგება და ექვთიმე გ. ყიფშიძის პირით თავისთან დაიბარა, სახლში ვითარების გასარკვევად. ბოლოს ისინი შეთანხმდნენ, რომ სამედიატორი სასამართლოში გამოიწვევდნენ თ ჟორდანიას. ბატონმა ექვთიმემ ეჭვი გამოთქვა, რომ შეიძლება თ. ჟორდანია არ მოვიდეს, რადგან თავს არიდებსო, მაგრამ ილიას უპასუხნია: „როგორ არ გამოგყვებათ, ეგ ხომ იმის ნიშანი იქნება, რომ ცილისმწამებელიაო?! ილიასვე რჩევით დასახელებული იქნა ორივე მოდავე მხრიდან მედიატორები. თ. ჟორდანიას თურმე ილიას

[1] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 437
[2] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 438
[3] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 445

მხარდაჭერის იმედი ჰქონია, მაგრამ ექვთიმე მომავალი სასიმამროს ივ. პოლტარაცკის დაუმშვიდებია, რომ ილია უსამართლოდ მხარს არ დაუჭერს თედო ჟორდანიასო. ივ. პოლტარაცკის ექვთიმესათვის უთქვამს, „ილიას აქვს ცოტაოდენი ნაკლი, ერთხელ კიდევაც წავეჩხუბე და მთელ წელიწადს ხმას არ ვცემდი, მაგრამ ის კი ყოვლად შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ მან საზოგადო საქმეში ჭეშმარიტებას უღალატოს, ან ოდნავ მაინც გადიხაროს იმისაკენ, ვინც მართალი არ არისო; ამაში დარწმუნებული იყავითო! და მართლაც ილიამ მედიატორებს ვერაფერი უთხრა ჟორდანიას სასარგებლოდ და განაცხადა: „თაყაიშვილი „სამი ისტორიული ხრონიკის" გამოცემამდე ჩემთან არ დადიოდა და მაშასადამე ვერც ამ რვეულს წაიღებდა ჩემგანო (თან ის რვეული ეჭირა ხელში და ათვალიერებდა). როგორც ვრწმუნდები, მე ის რვეული არა მქონია, ის სხვა იყო, უფრო მცირე ტანისა და დაშლილიო: თუნდაც ეს ყოფილიყო, შეუძლებელია თაყაიშვილს წაეღოს, რაკი არ უვლია ჩემთან[1] . ილიას ჩვენების შემდეგ კიდევ ერთი სხდომა ჰქონდა მედიატორებს და საბოლოოდ ბატონი ექვთიმე და ბატონი თედო შეარიგეს. ილიამ კი სიმართლეს დაუჭირა მხარი.

ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე ეპიზოდი ექვთიმე თაყაიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პირადი ურთიერთობიდან, რომელიც თავის მხრივ ამ უკანასკნელის მოღვაწეობის თაყაიშვილისეული შეფასებაცაა. აქვე დავსძენთ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის შეხედულებანი ილია ჭავჭავძის მოღვაწეობის შეფასებაში უნაკლო არაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ XIX საუკუნის 90-იან წლებში ილია ჭავჭავაძის მიმართ ნიჰილისტურად იყო განწყობილი ახალი თაობა, ამ მხრივ ექვთიმეს მოგონებები და შეხედულებანი ილია ჭავჭავაძეზე გაცილებით ღირებულია.

Eldar Tavberidze
Akaki Tsereteli State University

SEVERAL EPISODES FROM THE RELATIONSHIP BETWEEN ILIA CHAVCHAVADZE AND EKVTIME TAKAISHVILI

RESUME

Among the Georgian figures, who mainly appreciated the social activities of Ilia Chavchavadze from the right position, occupies an honorable place a famous scribe, historian and social figure - Ekvtime Takaishvili.

The purpose of our work is to tell the reader about some episodes of personal relations of IliaChavchavadze and Ekvtime Takaishvili. Their first meeting took place in Russia in 1885, when Ekvtime was the third grade student at the university, and Ilia was in St. Petersburg, for the nobility bank affair. The second meeting took place when the Georgian community decided to reburial Dimitry Kipiani, who was killed in Russia. They were elected by a commission whose members together with others were Ilia and Ekvtime.

Memories of Ekvtime Takaishvili gives us an interesting information about the role of Ilia Chavchavadze in the history of Georgia, which are devoted to the processes of the late 19th and early 20th century in Georgia, which is a precious source of the social situation in Georgia, at that time there is also talk of Ilia and Ekvtime's personal relationships.

During the death of Bishop Gabriel (1896), the delegation arrived from Tbilisi with the head of Ilia Chavchavadze. Between the delegation members was Ekvtime too, who left us an interesting memory of these stories. Ekvtime reminds that many people came to the body of Gabriel Bishop in Gelati Monaster, and there were endless words. Ilia was not going to make a speech, but Ekvtime

[1] ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 446

provoked him and forced him to make a public speech. People listened with great respect to Ilia Chavchavadze. Levan Jandieri thanked Ekvtime for the compliance with Ilia's speech.

According to Ekvtime Takaishvili, when Ilia Chavchavadze finished any of his works, he gathered together all writers, scribes and friends to get their opinion about his new works. In order to describe Ilia, Takayshvili recalls his attitude to a long and acute conflict between Tedo Jordania and Ekvtime Takaishvili, Ilia interfered in this conflict and ultimately reconciled Ekvtime and Tedo.

We brought several episodes from personal relationships between Ekvtime Takaishvili and Ilia Chavchavadze, which, in turn, is a personal view of Ekvtime. It should also be mentioned that the views of Ekvtime Takaishvili's works about Ilia Chavchavadze are not impeccable, but if we take into account that 90s of the 19th century, new generation was nihilistically against Ilia Chavchavadze, in that point the memories and views of Ekvtime about Ilia Chavchavadze is more valuable.

კახა კვაშილავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ახალი ცნობები არჩილ II-სა და გიორგი XI-ს შესახებ

თურქეთის პრეზიდენტთან არსებული საარქივო სამმართველოს ოსმალური პერიოდის არქივი 150 მილიონზე მეტ საბუთს ინახავს.[1] აქ დაცული დოკუმენტები მეტად მნიშვნელოვანია თურქეთის მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს და, ზოგადად, კავკასიის წარსულის შესწავლისათვის.[2] ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა ოსმალური სახელმწიფო მასალები. თუმცა, ეს საბუთები მეზობელ ქვეყნებში ინახებოდა. 1990-იანი წლების მიწურულიდან და განსაკუთრებით XXI საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით გააქტიურდა ამგვარი ტიპის საბუთების შემოტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკუთრივ თურქეთშიც აქტიურად მიმდინარეობს საარქივო მასალების გამოქვეყნება და შემდგომ მათი გავრცელება მეზობელ სახელმწიფოებში.

ბუნებრივია, ასეთი სიახლეები ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას საქართველოს ისტორიული წარსულის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ახალი პერიოდის XVII-XVIII საუკუნეების შესახებ გვაქვს სხვადასხვა სახის ადგილობრივი წყაროები, რიგი საკითხი მაინც ბუნდოვანი რჩება. ამისთვის მეტად მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების საისტორიო დოკუმენტების მოშველიება.

ახლახანს, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით, გამოქვეყნდა საქართველოსთან დაკავშირებული ოსმალური დოკუმენტების რეზიუმირებული ვარიანტების კორპუსი ორ წიგნად.[3] წყაროები მეტად მნიშვნელოვან და ზოგჯერ აქამდე უცნობ სიახლეებს გვაცნობენ. ამიტომ XV ს. – XX ს. დასაწყისის პერიოდის მკვლევარი ამ უნიკალურ გამოცემას გვერდს ვერ აუვლის.

აღნიშნულ კრებულში ჩვენ წავაწყდით რამდენიმე საბუთს, რომელიც უკავშირდება არჩილ II-სა[4] (შაჰნაზარ ხანი) და გიორგი XI-ს (შაჰნავაზ II) შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წელს ჩვენ შორეულ ყანდაარში აღსრულებული ქართლის მეფის მოღვაწეობას ცალკე მონოგრაფია[5] მივუძღვენით, აღნიშნული დოკუმენტები ნამდვილად ავსებენ წარმოდგენილ კვლევას.

---

[1] **ზ. შაშიკაძე.** შესავალი, – წგნ.: *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ* (რეზიუმირებული კატალოგი). დოკუმენტები მოიძიეს, დაამუშავეს და ქართულ ენაზე რეზიუმეები დაურთეს ***მ. მახარაძემ, ზ. შაშიკაძემ, ალ. კაშიამ.*** ტ. 1, წ. 1. თბ., 2022, გვ. 13.

[2] **კ. კვაშილავა.** ახალი ოსმალური დოკუმენტი XVIII საუკუნის მიწურულის აფხაზეთის შესახებ, – კრებ.: *მუზეუმი და გლობალიზაცია.* საერთაშორისო კონფრენციის მასალები (*ბათუმი, 5-7 ნოემბერი, 2021*). ბათუმი, 2021, გვ. 54.

[3] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ* (რეზიუმირებული კატალოგი). დოკუმენტები მოიძიეს, დაამუშავეს და ქართულ ენაზე რეზიუმეები დაურთეს ***მ. მახარაძემ, ზ. შაშიკაძემ, ალ. კაშიამ.*** ტ. 1, წ. 1. თბ., 2022; *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ* (რეზიუმირებული კატალოგი). დოკუმენტები მოიძიეს, დაამუშავეს და ქართულ ენაზე რეზიუმეები დაურთეს ***მ. მახარაძემ, ზ. შაშიკაძემ, ალ. კაშიამ.*** ტ. 1, წ. 1. თბ., 2022.

[4] ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ნიკო ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი ნუმერაციით – არჩილ I (**ნ. ჯავახიშვილი.** ქართლის სამეფოს ბაგრატოვან მმართველთა ქრონოლოგიური რიგის დაზუსტებისათვის, – *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები.* XVI. თბ., 2020, გვ. 123)

[5] **კ. კვაშილავა.** გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო, – სერია *„ქართველი მეფეები – პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი“.* ტ. 31. თბ., 2020.

ვახუშტისთან გიორგი XI-ს გამუსლიმების ზუსტი დათარიღება ვერ ხერხდება: მემატიანეს ის 1675-1676 წლების მოვლენებშია აქვს დასახელებული.[1] გ. ჯამბურია ვახუშტიზე დაყრდნობით ფიქრობდა, რომ გიორგი მეფის ისლამზე მოქცევა 1677 წელს უნდა მომხდარიყო.[2] ეს მოსაზრება გაიზიარა მ. ქიქოძემაც.[3] დავით რექტორის ქრონიკებში ეს ფაქტი 1678 წლით თარიღდება.[4]

დელავერის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი რ. მეთზიც ფიქრობს, რომ ქართლის ვალის მიერ ისლამის მიღება სწორედ ქერმანის ბეგლარბეგად დანიშვნის წინ მომხდარა.[5] ამის საფუძველი კი სეხნიას ცნობაა: შაჰმა *„ქორონიკონს ტკზ, გიორგობის-თვის კ* [1699წ. 20 ნოემბერი],*... უბოძა ქირმანის ბეგლარ-ბეგობა და დაარქვა სახელი მამისა, შაჰნაზ“.*[6] საინტერესოა, რომ ანალოგიურს აღნიშნავს ჯ. ჰანვეიც, რომლის ცნობით, გიორგის გამუსლიმება, მოგვიანებით, აჯანყების შემდეგ მომხდარა.[7]

სარწმუნოების შეცვლა იმხანად მეფედ დამტკიცების უმნიშვნელოვანესი პირობა იყო. XVIIს. I მესამედიდან, შაჰ სეფი I-ის ზეობის დროიდან, სპარსეთმა შეცვალა დამოკიდებულება ქართლსა და კახეთთან და ამიერიდან სამეფოების სათავეში გამუსლიმანებულ ბაგრატიონებს სვამდნენ, რომლებიც ირანის სახელმწიფოს თანამდებობის პირები – „ვალი“ – ხდებოდნენ.

ისპაჰანის ამგვარი პოლიტიკა შორსმიმავალ მიზნებს ისახავდა: ბუნებრივია, ბაგრატოვანთა გამუსლიმებას აღმოსავლეთ საქართველოში ირანის პოზიციების გამყარება უნდა გამოეწვია, რასაც შემდგომ მთელი ქრისტიანული მოსახლეობის შიიტურ ისლამზე მოქცევა უნდა მოჰყოლოდა; ამასთან ერთად, შიიტი ქართველი ვალიები პირდაპირ შაჰის კარზე დამოკიდებული აღმოჩნდებოდნენ, რადგან მოსაზღვრე სუნიტებთან (ოსმალეთის იმპერია და მის კონტროლქვეშ მყოფი ჩრდილოეთ კავკასიის მუსლიმები) კონტაქტის დამყარება პრობლემატური უნდა ყოფილიყო.

ამიტომაც, წარმოუდგენელია, რომ გიორგი XI-სათვის ქართლის გამგებლობა სარწმუნოების შეცვლის გარეშე მიეცათ. ეს მით უფრო წარმოუდგენელია, თუკი გავითვალისწინებთ, რომ, მოგვიანებით, როცა მისი ძმისწული – ვახტანგ VI – ისპაჰანში ჩავა ქართლის მეფის („ვალის“) პატივის მისაღებად და იმ დროს ირანი ბევრად რთულ მდგომარეობაში იქნება ჩავარდნილი, ვიდრე ეს XVII ს. 70-იანი წლების ბოლოს იყო, ლევანის (შაჰყულიხანის) ძეს დიდი ხანი მოუწევს შაჰთან გაჩერება, 1712-1716 წწ. ქერმანში ტყვეობაში გაატარებს კიდეც, რათა ქრისტიანობაზე უარი თქვას და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ის

---

[1] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, – *ქართლის ცხოვრება.* ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ***ს. ყაუხჩიშვილის*** მიერ. ტ. 4. თბ., 1973, გვ. 456-457.

[2] **გ. ჯამბურია.** საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVIIს. 30-90-იან წლებში, – წგნ: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* 8 ტომად. ტ. 4: საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე. თბ., 1973, გვ. 350.

[3] **მ. ქიქოძე.** გიორგი XI-ს მოღვაწეობა და თ. კრუზინსკის ცნობების მის შესახებ, – *„ანალები“.* №1, 2000, გვ. 34.

[4] *საქართველოს ისტორიის ქრონიკები.* XVII-XIXსს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. **ავთ. იოსელიანმა**. თბ., 1980, გვ. 343.

[5] **R. Matthee**. Gorgin Khan, – *Encyclopaedia Iranica.* Edited by *Ehsanyarshater*. Center for Iranian Studies. Vol. 11. Columbia University, New York, NY, 2003, გვ. 165.

[6] **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, – წგნ: *ქართლის ცხოვრება.* დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. ნაწილი II: *ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე.* გამოცემული **მ. ჩუბინოვისაგან**. სანქტ-პეტერბურღი, 1854, გვ. 313.

[7] **J. Hanway.** The Revolutions of Persia. *Containig the Reign of Shah Sultan Hussein, with the Invasion of the Afghans, and the Reigns of Sultan Mir Maghmud and His Successor Sultan Ashreff*. Vol. 1. London, 1753, გვ. 28; იხ. ასევე: **მ. ხუბუა.** ქართულ-ირანული ურთიერთობიდან, – *„აკადემიკოსს ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავზე (1899-1939)“.* აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. ტ. V-VI. თბ., 1940, გვ. 248; **დ. კაჭარავა.** ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა XVII საუკუნის II ნახევარში, – წგნ.: *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები.* მთავარი რედაქტორი **რ. მეტრეველი**. ტ. 2. თბ., 1998, გვ. 201.

ქართლის ვალი. ვახუშტი სავსებით ნათლად შენიშნავს, რომ გიორგი ქართლის ვალიდ დამტკიცებისთანავე იქნა გამუსლიმებული.[1]

მართლაც, გიორგი იძულებული გახდა მეფობის სანაცვლოდ სარწმუნოება შეეცვალა და ამ ცნობის დადასტურებას ვპოულობთ ჰოლანდიელი სახელმწიფო მოღვაწის, ორიენტალისტისა და კარტოგრაფის ნიკოლაას კორნელის ვიტსენის (1641-1717) ნაშრომში, რომელმაც საქართველოს შესახებ ცნობები 1697-1699 წლებში ჰოლანდიაში რუსეთის მეფე პეტრე I-თან ერთად მყოფი ალექსანდრე[2] არჩილ II-ს ძისაგან. ევროპელი ავტორი წერს: *„...მეორე ქართველი მთავარი, სახელად გეორგიუსი* (გიორგი XI – **კ.კ.**), *რომელიც ახლა თბილისში მოღვაწეობს*[3], *ასევე განუდგა თავის სარწმუნოებას“.*[4]

ქართლში მოღვაწე კათოლიკე მღვდელი პატრი ჯუსტინო ლივორნელის 1687 წლის 28 მაისით რომის პაპ ინოკენტი XI-სადმი (1676-1689) დათარიღებულ რელაციაში წერს: *„ცხრა წელიწადზე ცოტა მეტია, რომ იგი ურჯულო მაჰმადიანთ აღსარებას აღიარებდა, მაგრამ გარეგნულად, მოჩვენებით ვიდრე გულით; ისიც იმიტომ, რომ მეფობა არ ჩამორთმეოდა“.*[5] ეს რომ მართლა ასე იყო, თვითონ სპარსელებიც დარწმუნდნენ მოგვიანებით, 1709 წელს, როცა ავღანებმა მუხანათურად მოკლეს ქართლის მეფე და გულსაკიდი ჯვარი უპოვეს მკერდზე.[6] როგორც ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, ჯერ კიდევ შაჰ სოლეიმანს (სეფი II) ჰქონდა ცნობები, რომ გორგინ ხანი ერთგული მართლმორწმუნე არ იყო: *„მე მუსურმანი მეგონაო, ის ისევ ქაფარი ყოფილაო“.*[7] კათოლიკე მისიონერები იგივეს ადასტურებენ გიორგი მეფის ძმის – ლევანის – შესახებაც. ის, სპარსეთის დივანბეგის (მსაჯულთუხუცესის) თანამდებობაზე ყოფნის დროსაც მხოლოდ გარეგნულად ინარჩუნებდა მაჰმადიანობას.

საინტერესოა, რომ ერთი ახლად გამოვლენილი ოსმალური წყაროც, რომელიც 1692 წ. 15 ივნისითაა (1103 წ. 30 რამაზანი) დათარიღებული, ადასტურებს, რომ *„ირანის გავლენის ქვეშ მყოფმა ქართლელმა მმართველმა არჩილმა და გიორგიმ ადრე მიიღეს ისლამი და დიდი ხნის განმავლობაში კახეთსა და თბილისს“.*[8]

ამდენად, 1697-1699 წლებისათვის, გიორგი XI გამაჰმადიანებულია, რაც სავსებით ესადაგება „ვალის“ თანამდებობის მიღების პრინციპს.

გიორგი სპარსეთის ხელმწიფისათვის ურჩობის გამოხატვასაც კი არ ერიდებოდა. როგორც ი. კრუშინსკი აღნიშნავდა, ქართლის მეფე ცდილობდა ესარგებლა სპარსეთის გარკვეული დასუსტებით და აღედგინა მისი სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტი.[9] ქართლის მეფე საკმაოდ

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 457.

[2] 1674-1711 წწ. ქართველი ბატონიშვილი, რუსეთის არტილერიის ფუძმედებელი, ამავე ქვეყნის ისტორიაში პირველი გენერალ-ფელდცოიგმაისტერი (1699 წ.).

[3] ქართულ თარგმანში რატომღაც ნახსენებია *„მოღვაწეობს“* მაშინ, როცა ჯ. ვათეიშვილი რუსულ გამოცემაში ამ შემთხვევისათვის სავსებით მართებულ ფორმას *«правит»* (მთავრობს, მართავს) იყენებს (**Д. Л. Ватейшвили.** Грузия и европейские страны. *Очерки истории взаимоотношений*. XIII-XIX века. *В трех томах*. Т. 1: *Грузия и Западная Европа*. XIII-XIX века. *В двух книгах*. Кн. 2. Москва, 2003, გვ. 496). ჰოლანდიურ ორიგინალში ავტორი ხმარობს სიტყვას *“Heerscht”* (**Nicolaas Witsen.** Noord en Oost Tartarye. © 2014 dbnl, – *http://www.dbnl.org/tekst/wits008noor02_01/wits008noor02_01.pdf*), რაც ზუსტად *„მეფობას, მმართველობას“* ნიშნავს.

[4] **ჯ. ვათეიშვილი.** საქართველო და ევროპის ქვეყნები. *XIII-XIX სს. ურთიერთობათა ისტორიის ნარკვევები.* 7 ტომად. ტ. 2: *საქართველო და დასავლეთ ევროპა XVII-XIX სს.* თბ., 2014, გვ. 614.

[5] **მ. თამარაშვილი.** ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე. ტფ., 1902 (რეპრინტული გამოცემა, თბ., 2011), გვ. 264.

[6] **კ. კვაშილავა.** გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო, გვ. 156-157.

[7] **ფარსადან გორგიჯანიძე.** საქართველოს ცხოვრება. *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო* ***გ. ალასანიამ.*** თბ., 2022, გვ. 70.

[8] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 188.

[9] *The History of the Late Revolutions of Persia:* Taken from the Memoirs of **Father Krusinski**, Procurator of the Jesuists at Ispahan. Done Into English, from the Original, Just Published with the Royal License at Paris by Father Du Cerceau. In Two Volumes. Vol. 1. The Second Edition. London, *1733*, გვ. 150.

მტკიცე ხასიათის პოლიტიკოსი იყო, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობა და გაერთიანება მიზნად ჰქონდა დასახული. შესაბამისად, გიორგი, ბუნებრივია, ვერ ეგუებოდა დიდებულთა ცენტრიდანულ ტენდენციებს.[1]

უკვე თითქმის ერთი საუკუნე იყო გასული, რაც კავკასიით რუსეთის სახელმწიფოც დაინტერესდა.[2] მართალია, რეგიონში პოზიციების დასაჭერად მისი შემართება ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტი იყო, თუმცა ამ მიმართულებით არც მისი უშუალო მოწინააღმდეგეებიც – ოსმალეთი და სპარსეთი – იმყოფებოდნენ ძლიერების ზენიტში. ამასთან ერთად, იმ ხანად, როგორც გ. ჟორჟოლიანი შენიშნავს, საქართველოსათვის „საყრდენ ძალას არც ევროპის ქვეყნები წარმოადგენდნენ“.[3] ამიტომ, გასაგებიცაა, რომ რთული საგარეო და საშინაო მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი უფროსი ძმის, არჩილ II-ს[4] მსგავსად, გიორგიც ქვეყნის ხსნას ერთმორწმუნე რუსეთისგან ელოდა.[5] მან 1687 წელს მოსკოვში, არჩილთან ერთად, ელჩობა მიავლინა.[6]

კავკასიის გადაღმა ქართველი ძმები-მეფეების ცქერამ მათ ვერანაირი სარგებელი ვერ მოუტანა. მკვლევარ მ. ქიქოძის სამართლიანი შენიშვნით, „რუსეთი, თავის მხრივ, დაპირებებით ავსებდა ქართველ პოლიტიკოსებს, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო, რომ რუსეთი ირან-თურქეთთან ურთიერთობის დაპირისპირებას მოერიდებოდა და ამდენად დაპირებები შეუსრულებელი რჩებოდა“.[7]

ამიტომაც, საბოლოოდ, არჩილმა იმერეთი დაკარგა. როგორც ალ. ცაგარელი ფიქრობს, კახეთისა და იმერეთის ყოფილი მპყრობელი კარგი ინფორმატორი უნდა გამხდარიყო რუსეთის სახელმწიფოს მესვეურთათვის. შაჰნაზარხანი ძალიან კარგად იცნობდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ რეალობასა და არც სეფიანთა და ოსმალთა იმპერიებში მიმდინარე პროცესები იყო მისთვის უცხო.[8]

გიორგი კი, ამასობაში, ევროპასთან კავშირის დამყარებას ცდილობდა და ოსმალეთთანაც აწარმოებდა შესაბამის მოლაპარაკებებს ირანის წინააღმდეგ.[9] მან, მის ძმას ლევანთან და ბიძაშვილ სულხან-საბა ორბელიანთან ერთად, ქართლის სამეფოს ევროპულ ორიენტაციას დაუდო სათავე. მ. ქავთარიას თქმით, გიორგი XI, ლევანი, ქაიხოსრო და ვახტანგ VI „მიუხედავად ისლამის რჯულის აღიარებისა, მალულად თუ ცხადად ყოველთვის ევროპისკენ ილტვოდნენ და ჩვენში მისიონერთა მოღვაწეობას თანაუგრძნობდნენ. რომის პაპებისა და

---

[1] **კ. კვაშილავა.** გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო, გვ. 32.

[2] **კ. კვაშილავა.** ეტიუდები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან *(მეორე, ჩასწორებული და შევსებული გამოცემა).* თბ., 2019, გვ. 258.

[3] **გ. ჟორჟოლიანი.** საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში (*ქართლ-კახეთი*). თბ., 1987, გვ. 9.

[4] აღსანიშნავია, რომ ამ უიღბლო მონარქს უმაღლეს შეფასებას აძლევდა მარი ბროსე: *„არჩილი შეუდარებლად მაღლა იდგა ყველა იმათზედ, რომელთაც... ედავებოდა გვირგვინს კახეთიდამ წამოსვლის შემდეგ“* (**მ. ბროსე.** საქართველოს ისტორია. ნაწილი II. *მეფეთა და მთავართა გენეალოგიით და ქრონოლოგიით.* ნათარგმნი და განმარტებული *ს. ღოღობერიძის* მიერ. ტფ., 1900, გვ. 215). საინტერესოა, რომ რუსეთში გადახვეწილი არჩილ მეფე ერთ-ერთ მსხვილ მიწათმფლობელად იქცა ნიჟნი ნოვგოროდის მაზრაში, სადაც ის ცდილობდა ადგილობრივი გლეხების განთავისუფლებას მძიმე ღალისაგან (**ნ. გეგელაშვილი.** მეფე არჩილ II როგორც რუსეთის დიდი ფეოდალი (რამდენიმე საბუთი მოსკოვის არქივიდან), – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“.* ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. №3, 1991, 154-171).

[5] **თ. ტივაძე.** საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის მეორე ნახევარში. თბ., 1977, გვ. 177-178.

[6] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 460.

[7] **მ. ქიქოძე.** გიორგი XI-ს მოღვაწეობა და თ. კრუზინსკის ცნობების მის შესახებ, გვ. 34-35.

[8] *Сношения России с Кавказом в XVI-XVIII столетиях*. Речь проф. **А. А. Цагарели**, читанная на годичном Акте Императорского С.-Петербургского Университета 8 февраля 1891 года. СПб., 1891, гвз. 28.

[9] **კ. კვაშილავა.** გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო, გვ. 33.

ლუდოვიკოების დახმარებით სურდათ საქმის მოგვარება და მუსლიმანური სამყაროდან თავის დახსნა".[1]

საბოლოოდ, ქართლის მეფემ, მისი აქტიური ანტისპარსული პოლიტიკის გამო, შაჰის რისხვაც დაიმსახურა. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, „შაჰი ჩქარა დარწმუნდა, რომ გიორგი ქართლის მეფე კიდევ უფრო ნაკლებად აპირებდა ირანის მორჩილებას, ვიდრე შაჰნავაზი (იგულისხმება ვახტანგ V – **კ.კ.**)".[2] ამიტომ შაჰ სოლეიმანმა (სეფი II) დაუმორჩილებელი „გორჯესთანის ვალის" შეჩერება ნაცადი მეთოდებით გადაწყვიტა და მისგან გიორგის ერთადერთი ვაჟიშვილი ბაგრატი ითხოვა.[3] გიორგი კარგად მიუხვდა სოლეიმანის განზრახვას და ითხოვა, შვილი სამშობლოში დაეტოვებინათ. თუმცა, მალე ახალი ბრძანება მოუვიდა: შაჰი უკვე, ბაგრატთან ერთად, გიორგი ძმას – ლევანსაც[4] „იწვევდა" ისპაანში.[5] ვახუშტი ამ ამბებს სხვანაირად გადმოგვცემს: მისი ცნობით, შაჰს ჯერ ლევანი მოუთხოვია, რადგან, მემატიანის ცნობით, შაჰის ეჭვობდა, სწორედ ის წარმართავდა გიორგის პოლიტიკურ კურსს,[6] მაგრამ გიორგის მისი ძის – ბაგრატის – გაგზავნა შეუთავაზებია, რაზეც ისპაანიდან უკვე ახალი ბრძანება მიუღია: ლევანისა და ბაგრატის გაგზავნა, რადგან *„აწ ვცან ერთგულება შენი, ვინაჲთგან არა რიდებ ძეცა"*, – იწერებოდა შაჰი.[7]

გიორგიმ ავჯანყება წამოიწყო და საამისოდ სათანადო მოლაპარაკებებიც აწარმოა კახელებთან, მაგრამ ბოლო წუთს შინაგამცემლობამ ეს წამოწყება ჩაშალა.[8] ამჯერად უკვე წინააღმდეგობის გაწევას ნამდვილად აზრი აღარ ჰქონდა.[9] გიორგიმ ერთადერთი ძე და ძმა 500-კაციანი ამალით სპარსეთში გააგზავნა.[10] ვახუშტის ცნობით, ეს 1688 წელს მოხდა.[11] შაჰმა *„ბატონიშვილი ლევან და ბაგრატ ერათს"* გაგზავნა.[12]

ბაგრატი მალე იქვე, ჰერათში, გარდაიცვალა.[13] სავარაუდოდ, ეს 1695 წლამდე უნდა მომხდარიყო.[14] მაგრამ, საბოლოოდ, სპარსეთის მესვეურებმა გიორგის შვილისა და ძმის მძევლად გაგზავნა არ აკმარეს და იმავე წელს შაჰმა ქართლი ყოფილ პრორუსული ორიენტაციის და ამჟამად კი გამაჰმადიანებულ პროსპარს ნაზარალი ხანს (ერეკლე I) გადასცა, რომელსაც ეს მხარე 1703 წლამდე ეჭირა.[15] კახელი უფლისწულის ქართლში გამეფებით, სპარსეთი ცდილობდა ერეკლე I-სა და გიორგი XI-ს შორს დაპირისპირების ინსპირირებას.[16] ნათესავ ბაგრატიონებს შორის დაძაბულობას, ტახტის გარშემო კინკლაობის გარდა, ალბათ, ისიც ართულებდა, რომ ვახტანგ V შაჰნავაზი მონაწილეობდა 1648 წელს თეიმურაზ I-სა და

---

[1] **მ. ქავთარია.** XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (*ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლაური მემკვიდრეობა*). თბ., 1977, გვ. 14-15.

[2] **ნ.ბერძენიშვილი.**ბრძოლა ქართლ-კახეთის დამოუკიდებლობისათვის, გვ. 280.

[3] **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 309.

[4] ქართლის მომავალი მეფის ვახტანგ VI-ის მამა.

[5] **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 309.

[6] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 460; შაჰის ეს ეჭვი საფუძველს მოკლებული არ იყო.

[7] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 461.

[8] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 461.

[9] **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 309.

[10] **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 309.

[11] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 461.

[12] **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 310.

[13] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 472.

[14] **კ. კვაშილავა.** გიორგი მეთერთმეტე და ქაიხოსრო, გვ. 40.

[15] **გ. ჯამბურია**. ვახტანგ V და საქართველოს გაერთიანების ცდები. *ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იანი წლები)*, გვ. 256.

[16] **ა. თაბუაშვილი.** თეიმურაზ II, – სერია *„ქართველი მეფეები პატრონნი და მსახურნი ქვეყნისანი"*. ტ. 28, თბ., 2020, გვ. 22.

როსტომ მეფეს შორის გამართულ ბრძოლაში, რომელშიც დათუნა ბატონიშვილი (ერეკლე I-ს მამა) მოკლეს.[1]

მეფობადაკარგული გიორგი იმერეთს გადავიდა, სადაც იმხანად ალექსანდრე IV მეფობდა, რომელიც გამეფებდამდე, ქართლში იმყოფებოდა გიორგის მძევლად. თუმცა ვახტანგ V-ის ძე მას, ვახუშტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ზრდიდა ძეებრ“.[2] გიორგიმ შესანიშნავად გამოიყენა ეს მდგომარეობა იმერეთზე გავლენის გასავრცელებლად და ოსმალეთთან კავშირების დასამყარებლადაც. ქართლისა და ოსმალეთის შეთანხმებული მოქმედებებით, ალექსანდრემ 1683 წელს იმერეთის ტახტი დაიჭირა.[3]

თუმცა, იმერეთის ახალი გვირგვინოსანი, როგორც მ. რეხვიაშვილი, სავსებით სამართლიანად შენიშნავს, „ღვიძლი შვილი იყო იმ საშინელი არევ-დარევისა და ზნეობრივი დაცემისა“.[4] ალექსანდრეს უღირსი თვისებებიდან გამომდინარე, მალე მასსა და გიორგი XI-ს შორის ურთიერთობები დაიძაბა, რაც ღია მტრობაში გადაიზარდა. იმერეთს გადასულმა გორგინ ხანმა რუსეთში მყოფ უფროს ძმას დაბრუნება და იმერეთის ტახტის ხელახლა დაჭერისკენ მოუწოდა.

იმერეთის დასაუფლებლად ბრძოლაში, ძმებს ადგილობრივი დიდებულებისგან შემდგარი ალიანსის შეკრება შეუძლებელი შეიქმნა.[5] შაჰნავაზ I-ს მემკვიდრეებმა მზერა სტამბოლისკენ მიმართეს. სულთნის კარი გარკვეული სიფრთხილით მოეკიდა სპარსეთის ვასალთა ამ პოლიტიკურ გეგმას და ჯერ ვითარების გარკვევას სცადა, იმერლები მუხრანბატონთა ბატონობას არჩევდნენ, თუ ალექსანდრესის. საბოლოოდ, 1690 წ. ოსმალეთმა უპირატესობა არჩილს მიანიჭა და იმერეთიც მას გადაულოცა.[6] ალექსანდრე ქართლს გადავიდა ერეკლე I-ს შეეკედლა.[7]

მეფობის შენარჩუნება დიდხანს ვერ შეძლო არჩილმა, რომლის მცდელობამ იმერეთში წესრიგის აღდგენისა, მის მოწინააღმდეგეთა რიგები გაზარდა.[8]

ძმებ მუხრანბატონთა ირგვლივ ვითარება მწვავდებოდა. არც ნაზარალიხანს აწყობდა მოწინააღმდეგე ძალთა გაძლიერება, რაც, მომავალში, ქართლში მის მეფობას გაართულებდა. ამიტომ, ალექსანდრემა და ერეკლე I-მა შუამავლობა ირანს სთხოვეს. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ძმები ოფიციალურად სეფიანთა იმპერიის მოხელეები იყვნენ. ამასთან ერთად, მათი საქმიანობით კი, ირანი მათ დამნაშავეებად მიიჩნევდა. ამიტომ, ბუნებრივია, არც ოფიციალური ისპაჰანი უნდა ყოფილიყო გულხელდაკრეფილი, რომ მისგან განდგომილ გორჯებს თავშესაფარი და მფარველობა ოსმალეთში ეპოვათ.

ისპაჰანმა სტამბოლს არჩილისა და გიორგის ირანისთვის გადმოცემა და იმერეთში ალექსანდრეს დაბრუნება სთხოვა: *„ვინაჲთგან არს ზავი ჩუენს შორის, მომეც არჩილ და გიორგი მეფენი (მიუძღუანნა ძღუენნი დიდნი) და ჰყავ ალექსანდრე მეფედ იმერთა“*.[9] ფარსადანთან ეს ასეა გადმოცემული: *„ჩვენი ყმანი შაჰნავაზ მეფის შვილები, შაჰნაზარ ხან, კახეთის ბატონი თქვენს მამულს იმერეთს ეჭიდებოდა და ქართლის მეფე გიორგი ძმას ეხმარებოდა და ზოგთ იმერეთის თავადთ თავიანთ მემკვიდრეს, მეფეს ალექსანდრეს, წასვლოდენ და შაჰნაზარ ხანს მოსვლოდენ, ვითაც ჩვენსა და ხონთქარს შვა წყობა იყო და ხონთქარის მამულს ეჭიდებოდენ. ორთავ ძმათ ბატონობა წავართვით და ჩვენის საკემწიფოთ გავჰყარეთ... გიორგი მეფე ახალციხის ფაშისას მივიდა და ქრთამის მიცემით კემწიფეს ტყვილათ*

---

[1] **კ. კვაშილავა.** გიორგი XI და ქაიხოსრო, გვ. 15.
[2] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 459.
[3] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 459.
[4] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (*1462-1810 წწ.*). თბ., 1989, გვ. 136.
[5] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (*1462-1810 წწ.*), გვ. 138-140.
[6] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 853.
[7] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 853.
[8] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (*1462-1810 წწ.*), გვ. 138-141.
[9] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 466.

გაშინჯვინეს და მემკვიდრე ბატონი წახდინეს და თქვენის შეწყენის გულისათვის ჩვენგან გამოგდებულს შაჰნაზარ ხანს უშოვნეს და მეფეს ალექსანდრეს თქვენს კარზე მოსვლის გზა შეუკრეს, ღონე გაუწყვიტეს და ჩვენ შემოგვეხვეწა. ახლა ამას მოველით ჭემწიფისაგან, რომ ვითაც საქართველოს ბატონებში უჩხუბარნი ყოფილან და მტრის სახლში არ მისულან, ჩვენი საჭემწიფოც თქვენია და ამას მოგელით, რომ იმერეთი თავის მემკვიდრეს, ბატონს ალექსანდრეს, უბოძეთ და ჩვენს გამოყრილს ყმებს თქვენს მამულში ნუ დააყენებთო“.[1]

ამ მოთხოვნისათვის შაჰ სოლეიმან I-მა დროც შესაფერისი შეარჩია: 1684 წლიდან სტამბოლი „საღმრთო ლიგის“ კოალიციასთან ძალიან მძიმე ომში იყო ჩაბმული[2] და, პარალელურად, სპარსეთთან ურთიერთობის გამწვავება მის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ამასთან ერთად, თავისი საქმე გააკეთა ხონთქრის კარის მოქრთამვამაც[3] და სულთანმა აჰმედ II-მ უარი თქვა ლტოლვილ მუხრანბატონთა მფარველობაზე: *„მაშინ ოსმალთა ვერცხლისმოყუარეთა უბრძანეს ახალციხის ფაშას შეპყრობა და მიცემა მათი* (არჩილისა და გიორგისი – **კ.კ.**) *და გამეფება ალექსანდრესი იმერეთს“*.[4]

1691 წელს მუხრანბატონი ძმები დამარცხდნენ საქართველოში შექმნილ რეალობასთან (რომელიც განპირობებული იყო შინაარსლილობით, ფეოდალური სეპარატიზმით და ავტონომიით და, აგრეთვე, ოსმალეთსა და სპარსეთს შორის 1555 წლის ამასიის ზავის რეჟიმით) დაპირისპირებაში.

საინტერესოა, რომ ახლახანს გამოქვეყნებულ ოსმალურ დოკუმენტებში ვხდებით რამდენიმე საბუთს, რომელიც სწორედ ამ ამბებს ასახავს.

1692 წ. 5 ივნისს არზრუმისა და ახალციხის ფაშებმა ბრძანება მიიღეს ბრძანება, რომ დაეპატიმრებინათ „ისლამის უარმყოფელი“ არჩილი და გიორგი, გადაეცათ ის ირანის ელჩისათვის, ხოლო სპარსელი დიპლომატისგან მიღებული შესაბამისი დოკუმენტაცია კი სულთნის კარის ადმინისტრაციისათვის გამოეგზავნათ.[5]

ზოგადად, ირან-ოსმალეთი ერთმანეთთან უკიდურესად დაპირისპირებული მეზობელი მუსლიმური იმპერიები იყვნენ. ამ კონფლიქტს ამწვავებდა მათი რელიგიური განსხვავებებიც: სტამბოლი სუნიზმს მისდევდა, ისპაჰანი კი – შიიზმს. ამიტომ ორივე მხარე ცდილობდა მოწინააღმდეგეს გამოქცეული გავლენიანი პირი შეეფარებინა და შესაბამის დროს გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. თუმცა, ოსმალეთი, როცა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ცდილობდა სპარსეთის კეთილგანწყობილება შეენარჩუნებინა. ასე, მაგალითად, სულეიმან კანუნმა, რომელიც უნგრეთში სალაშქროდ ემზადებოდა,[6] 1565 წლის 24 აგვისტოს არზრუმის ბეგლარბეგსა და იმერეთის მეფეს უბრძანა, იმერეთიდან გაეძევებინა ქართლის თავადები, რომელნიც დასავლეთ საქართველოში აფარებდნენ თავს.[7] ამასთანავე, იმერეთის მეფე გააფრთხილეს, არ განეხორციელებინა ისეთი ქმედებები, რომელიც ირან-ოსმალეთის ურთიერთობებს დაძაბავდა.[8] იმ ხანებში დასავლეთი საქართველო არზრუმის საფაშოს საკურატორო ზონა იყო. ამიტომ ადგილობრივი ბეგლარბეგსაც მკაცრად მოსთხოვეს (1565 წ. 3 დეკემბრს) ყურადღება მიექცია

---

[1] **ფარსადან გორგიჯანიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 370-371.

[2] **მ. სვანიძე.** თურქეთის ისტორია (*1299-2000*). თბ., 2007, გვ. 220.

[3] ფარსადანს ჩამოთვლილი აქვს ის ძღვენიც, რომელიც სპარსეთმა ოსმალეთის სულთან გაუგზავნა: „გაკეთებული ძვირფასის თვალ მარგალიტ, მურასა და ნაქსოვი, მრავალი ძვირ ფასისა და ცხენები ბედაური მურასაით შეკაზმული და ერთი სპილო ოქროს ტახტითა და სხვა იარაღით შეკაზმული“ (**ფარსადან გორგიჯანიძე.** საქართველოს ცხოვრება, გვ. 370). ჩანს, რომ ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ისპაჰანისთვის, რომ საჩუქარიც ძალიან მდიდარი იყო.

[4] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 466.

[5] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 187.

[6] **მ. სვანიძე.** თურქეთის ისტორია, გვ. 125.

[7] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 60.

[8] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 60.

იმ საკითხებისათვის, რომელიც სტამბოლ-ისპაჰანს შორის დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას დააზიანებდა.[1]

ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ოსმალეთმა გადაწყვიტა არჩილი და გიორგი მისი გავლენის არეალიდან გაეძევებინა.

როგორც ჩანს, ალექსანდრე თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობდა და ოსმალეთისგან მის დაცვას მოელოდა. 1693 წ. 14 ივნისს არზრუმის გუბერნატორმა ვეზირმა ველი ფაშამ სულთნისგან ფირმანი მიიღო, რათა უზრუნველყო იმერეთის მელიქ ალექსანდრეს სამხედრო დაცვა, თუკი მისგან ასეთ თხოვნას მიიღებდა.[2] თუმცა, მალე საკუთრივ ალექსანდრეს მიმართ სტამბოლის დამოკიდებულება შეიცვალა. იმერეთის მეფე იყო *„ხელად-მქცევი, ცუნდრუკი, ულმრთო, ტყჳს მყიდველი“*.[3] ამიტომ 1695 წ. 13 მაისს არზრუმის გამგებელმა ვეზირ მეჰმედ ფაშამ მიიღო ცნობა, რომ მზადდებოდა ალექსანდრეს გადაყენება *„ხელისუფლების ბოროტად გამოყენების გამო“*.[4]

საინტერესოა, რომ მუხრანბატონ მეფეთა ამ პოლიტიკურ აქტივობას ახალციხის საფაშოზეც ჰქონდა გავლენა. სტამბოლმა იეჭვა, რომ ადგილობრივი ფაშა გულგრილი არ იყო ქართლელ თანამოძმეთა მიმართ და 1795 წელს ჩილდირის ფაშას სალიჰს (ვახუშტის მიხედვით – სალიმ[5]) თანამდებობა ჩამოერთვა, რადგან *„მან დაუშვა არჩილის იმერეთის მხარეში შეჭრა“*.[6] ახალციხის ფაშობა ოლთისის სანჯაყ ბეგ იუსუფ ფაშას ებოძა.[7] ახალციხეში ადმინისტრაცია რომ შეიცვალა ქართული ქრონიკებითაც დასტურდება. „ახალციხური ქრონიკების“ მიხედვით, 1795 წ. 25 მაისს *„ფაშობა მოუვიდა მუყარლამა ერთი ბარათლის ხელით“*.[8] სხვათა შორის, სალიჰ ფაშა, საფიქრებელია, რომ გულშემატკივრობდა გიორგისა და არჩილს, რადგან ალექსანდრეს გაძევება და იქ არჩილის გამეფება, სალიჰ ჯაყელის ხელშეწყობით მოხდა.[9] გიორგის გამოქცევაც ტყვეობიდან, ძნელი დასაჯერებელია, რომ ფაშის გარკვეული ნებართვით არ მომხდარიყო. მაგრამ ახალციხეში ადმინისტრაცია ისევ იცვლება და 1695 წ. 18 ნოემბრით დათარიღებული ერთი ფირმანით ჩანს, რომ ბეგლარბეგად ისჰაკ ფაშა ზის.[10]

1695 წელს იმერეთში შეთქმულება მოეწყო და ალექსანდრე IV მოკლეს. როგორც ჩანს, ეს ნოემბრამდე მოხდა, რადგან იმავე წლის 18 ნოემბერს არზრუმის ახალმა ვალის – ვეზირ მუსტაფა ფაშა – ეცნობა, რომ *„იმერეთის ქვეყანას თავს დაესხნენ არჩილი და მისი ძმა გიორგი და მოკლეს მეფე ალექსანდრე“*.[11] მუსტაფა II-მ იმთავითვე შეთქმული დიდებულების უკან შაჰნავაზ I-ს შვილები დაინახა. თუმცა ამის მიზეზიც კი ჰქონდა, რადგან მათ სწორედ არჩილი გაამეფეს იმერეთში.[12] ამასთანავე არზრუმის ბეგლარბეგს ეცნობა, რომ

არჩილის ხელახალი გამეფება ოსმალეთისთვის მიუღებელი იყო. ამიტომ სტამბოლმა 1696 წ. 15 მარტს საქართველოს მოსაზღვრე ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების ოსმალო გამგებლებს და ასევე დასავლეთ საქართველოს ფეოდალებს (გიორგი ლიპარტიან-დადიანს, მამია III გურიელს, გიორგი აბაშიძეს) განკარგულებები გაუგზავნა, რომ არზრუმის, ყარსის, ჩილიდრისა და ვანის ეიალეთებში მყოფმა ჯარებმა უნდა აღკვეთონ *„იმერეთის მხარეში*

---

[1] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 63.
[2] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 189.
[3] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 857.
[4] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 189.
[5] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 733.
[6] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 189.
[7] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 189.
[8] **შ. ლომსაძე.** გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. *ახალციხური ქრონიკები.* თბ., 1979, გვ. 177.
[9] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 852.
[10] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 190.
[11] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 189.
[12] **ვახუშტი ბატონიშვილი**. აღწერა სამეფოსა.., გვ. 858.

შეჭრილი ყაჩაღების არჩილისა და გიორგის გაძევება-განადგურება“.[1] როგორც ვხედავთ, წინა შემთხვევისგან განსხვავებით, აქ უკვე საუბარი არაა, მუხრანბატონ მეფეთა ირანისათვის გადაცემაზე, არამედ ისინი ან უნდა გაძევდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, ან – საერთოდ განადგურდნენ.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფარსადანისა და ვახუშტის მიერ გადმოცემული ამბები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით. აქედან გამომდინარე, ჩვენი მემატიანეების სანდოობა კიდევ უფრო მტკიცდება.

Kakha Kvashilava
Sokhumi State University

NEW INFORMATION ABOUT ARCHIL THE 2ND AND GIORGI THE 11TH

RESUME

The Ottoman period archive of the Presidential Archives of Türkiye contains more than 150 million documents. The documents preserved here are very important for studying the past of the countries neighboring Türkiye, including Georgia and the Caucasus in general. Even in the Soviet period, Ottoman state materials entered the scientific circulation. Since the late 1990ies, and especially since the beginning of the 21st century, the introduction of such documents into Georgian historiography has become especially active. Naturally, such news enriches our understanding of the historical past of Georgia. Although we have various local sources about the new period of the 17th-18th centuries, a number of questions remain unclear. To do this, it is very important to study the historical documents of neighboring countries. In 2022, a collection of consolidated versions of Ottoman documents concerning Georgia was published in two books. Sources tell us very important and sometimes unknown news. Therefore, the researcher of the period of the 15th – the beginning of the 20th centuries cannot ignore this unique publication. In the aforementioned collection, we found several documents relating to Archil II (Shahnazar Khan) and Giorgi XI (Shahnavaz II). The mentioned documents reveal previously unknown news related to the mentioned kings, which further enrich our knowledge about Georgia at the end of the 17th century.

[1] *თურქეთის არქივებში დაცული დოკუმენტები საქართველოს შესახებ...* ტ. 1, წ. 1, გვ. 190-191.

ვაჟა კიკნაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
საქართველოს უნივერსიტეტი

ახალი მასალა ალექსანდრე ორბელიანის ბიოგრაფიისათვის

ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869), ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა 19 საუკუნის საქართველოში. იგი აქტიურად იყო ჩართული 1832 წლის შეთქმულებაში. მასთან ერთად, შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ალექსანდრეს საშუალო ძმა დიმიტრი (1808-1882) და უმცროსი ძმა, პოეტი ვახტანგ ორბელიანი (1812-1890).

მთელი სიცოცხლე ალექსანდრემ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებას და ამ ოცნების განხორციელებისათვის რეალურ ქმედებებს მიუძღვნა.

დამახასიათებელია მისი რეაქცია, როდესაც ალექსანდრე 1840 წელს ორენბურგის გადასახლებიდან საქართველოში დაბრუნდა. იგი წერს: „...თერგის პირზე ჩაველ, იქ დავიჩოქე, ერთ ქვას მოვეხვიე... კიდევ ვნახე ჩემი მშობელი მამულის სამძღვრის პირნი და (ღმერთმა) კიდევ ფეხი დამადგმევინა იმაზედ... ისემც ღმერთმა ყოველს ქართველს იმისთანა გული მისცეს, რა გულით მე იმ წყალის პირიდგან ზევით ამოვედი. აი, ჩემი უკვდავების წყარო, ეს გრძნობაა“.[1]

კიდევ ერთი დამახასიათებელ ციტატას მოვიტანთ მისი ნაწერებიდან. ალექსანდრემ ყველაზე კარგად გაიგო რუსული სახელმწიფოს არსი და გადმოსცა ის თავის უკანასკნელ ნარკვევში: „ახლანდელს და უწინდელ დროზედ შენიშვნა.“ აი, რას წერდა ის: „იგი(ნი) (რუსნი, ვ.კ.) აღმოსავლეთის ბარბაროსებზედ ათკეცად უარესნი ბარბაროსნი და ჯოჯოხეთის ეშმაკებზედ - ეშმაკები (არიან)... იმათი ხელმწიფობა ყველას კეთილად და პატიოსნად აჩვენებს თავსა, მაგრამ კაცობრიობას კი ქვეშ უთხრის (ძირსა) თავის ინტერესისათვის..., მთელს ქვეყნის დასაპყრობად რუსეთისაგან“[2].

ალექსანდრე ორბელიანის და მისი ოჯახის შესახებ, თითქოს ყველა ცნობა და საბუთი გამომზეურებულია, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მასთან დაკავშირებულ კიდევ რამდენიმე უცნობ ფაქტზე.

2017 წ. ალმანახში „პოლონური კავკასია“, გამოვაქვეყნეთ სტატია, რომელშიც, პირველად 150 წლის შემდეგ, დავადგინეთ ვინ იმალება პოლონელი ჯარისკაცის, მწერლის და პოლიტიკური მოღვაწის მათეუშ გრალევსკის წიგნში „ჯ“ მოკლე ფსევდონიმის უკან.[3] ყველა მონაცემი, რომელიც მ. გრალევსკის ამ წიგნშია მოცემული იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი დიდგვაროვანი, რომელიც ავტორს ესაუბრა - ალექსანდრე ორბელიანი იყო, „ჯ“ ინიციალს ამოფარებული რესპოდენტი მათეუშ გრალევსკის, საქმის ცოდნით ესაუბრა საქართველოს წარსულზე, ლიტერატურაზე, XIX ს. 50-იანი წლების საქართველოს მდგომარეობაზე, ცალკე გამოყო ჟურნალ „მნათობის“ დაარსების ისტორია და ძალზე უარყოფითად შეაფასა მიხეილ

---

[1] ი. უთურაშვილი, თეკლა ბაგრატიონი, გამომც. „მეცნიერება“, რედ. ბ. ლომინაძე, თბილისი 1991, გვ. 46

[2] ალ. ორბელიანი, ახლანდელს და უწინდელს დროზედ, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, კრებულის შემდგენელი ნ. ვახანია, გამომც. „ლომისი“, რჩეულთა ბიბლიოთეკა 32, თბილისი, 1990, გვ. 139

[3] ვ. კიკნაძე, ვინ იმალება „ჯ“ ინიციალის უკან მათეუშ გრალევსკის წიგნში „კავკასია“, კრებული: პოლონური კავკასია, ტ. II, რედაქტორი პროფ. მ. ფილინა, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი 2017, გვ. 69-77. სტატიის ინგლისური ვარიანტი გამოქვეყნდა კიშინიოვში: V. Kiknadze, Mateusz Gralewski about 19th c. Georgia, in: Polish-Moldovan Relations to the centenary, of the regarding of independence by Poland, Proceedings of the International Scientific conference, October 22, 2018, Chișinău, Republic of Moldova, Chișinău, 2020, pp. 135-140.

ვორონცოვის მეფისნაცვლობა, სწორედ ალექსანდრე ორბელიანი იყო. სხვა მომენტებს რომ თავი დავანებოთ, მე-XIX ს. ქართველ მოღვაწეთა შორის ერთადერთი, ვინც მიხეილ ვორონცოვის მეფისნაცვლობის პერიოდს (1845-1854) მკვეთრად უარყოფითად ახასიათებდა და მიაჩნდა რომ ქართველების დამონების საქმეში, მან თავისი ფსევდო ლიბერალური პოლიტიკით ბევრად მეტი გააკეთა, ვიდრე სხვა უხეშმა და სალდაფონმა რუსეთის მოხელეებმა - ვიმეორებთ, მხოლოდ ალექსანდრე ორბელიანი იყო. აი, ერთ-ერთი მისი ციტატა მიხეილ ვორონცოვის შესახებ: „ვარანცოვის მახლობლებისგან გამიგონია, მითამც ვარანცოვი ლიბერალი ყოფილიყოს. ეს მართალი არ არის. მართალი ის არის, რომ თავის განძრახვების შესრულებისთვისა, ლიბერალურად ანუ სადაც რა უჯობდა ისე აჩუენებდა თავსა, თორემ იმისი პირველი მშნიშვნელობა (დანიშნულება ვ.კ.) ის იყო, რომ საქმით ძალიან მიკერძოებული იყო თავის მთავრობის აზრებზედ“.[1]

რაც შეეხება ინიციალ-ფსევდონიმ „ჯ“-ს, ის უნდა მომდინარეობდეს ალექსანდრეს ორმაგი გვარის ჯამბაკურ-ორბელიანის პირველი ასო „ჯ“-სგან. ის, რომ ალექსანდრემ პოლონელ მეამბოხე ავტორთან საკუთარი სახელისა და გვარის გამჟღავნება არ ისურვა, სავსებით გასაგებია. შორეული გადასახლებიდან დაბრუნებული ალექსანდრე ორბელიანი საკმაოდ იყო შეშინებული და შემკრთალი. აკაკი წერეთლის მოწმობით, როდესაც ალექსანდრე თავს გადამხდარ ამბებს სიბნელეში ყვებოდა, სანთლებს აქრობდა რომ ღია ფანჯრის გარეთ მისი ჟესტიკულაციით არ მიმხვდარიყვნენ რაზე საუბრობდა ის.[2]

რაც შეეხება კიდევ ერთ უცნობ ფაქტს ალექსანდრე ორბელიანის ბიოგრაფიიდან. საქმე შეეხება ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების მიერ, ჩემი უშუალო წინაპრების (დედის ხაზით): იოანე (ივანე) და მიხეილ სავარელიძეთა მიმართ გაცემულ საბუთს. იოანე და მიხეილ საყვარლიძეები, სავარაუდოდ, სამხრეთ საქართველოდან იყვნენ გადმოსახლებულები თელავის მაზრის სოფელ ხორხელში (ალავერდის მიდამოებში). როგორც ირკვევა, ალექსანდრე ორბელიანს და მის ძმას ვახტანგს მიაჩნდათ რომ ხორხელში ჩასახლებული საყვარელიძეები ორბელიანების ყმები იყვნენ და მათთვის გადასახადების და სხვა ვალდებულებათა დასაკისრებლად თელავის მაზრის საოლქო („ოკრუჟნოი“) სასამართლოსთვის მიუმართავთ. მაგრამ მას შემდეგ რაც ორბელიანები დაწრმუნებულან, რომ ივანე და მიხეილ საყვარელიძეები ტახტის აზნაურები იყვნენ და მათი წინაპრები ერეკლე II-ის დროს გადმოსახლებულან კახეთში (ამას, სხვა საბუთებით ფიცით ამოწმებენ კახეთის თითქმის ყველა თავადური გვარის წარმომადგენლები და ასევე, ცალკე საბუთით, თავად-აზნაურთა მარშალი - აბელიშვილი)[3], ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს თვითონ მიუმართავთ თელავის და თბილისის საოლქო სასამართლოსთვის, ამ საქმის სამუდამოდ შესაწყვეტად. განსაკუთრებით საყურადღებო ფაქტია, რომ ეს ამბავი ხდება 1832 წლის შეთქმულების წინა თვეებში, კერძოდ კი იმავე წლის 27 ივლისს. უთუოდ დასაფასებელია, რომ მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლის მზადების რთულ პერიოდში, ალექსანდრემ და ვახტანგმა ამ კერძო დავისთვის მოიცალეს, რათა საყვარელიძეთა ოჯახის ინტერესები არ დაზარალებულიყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ორბელიანთა ამ ოჯახის საერთო შემოსავალი, საკმაოდ მწირი იყო, ყმები მათ ძირითადად ქვემო ქართლის სოფელ ასან-ხოჯალოში ყავდათ, ავლაბარში პატარა სახლი და გარეთუბანში ბაღი ჰქონდათ. თეკლა ბატონიშვილს მანავში მცირე ზვარი იჯარით აუღია, მაგრამ იქიდან შემოსავალიც არასტაბილური ყოფილა. 1819 წელს ოჯახს ისე გაუჭირდა რომ თეკლა ბატონიშვილმა მთავარმართებელ ერმოლოვს (1816-1827) მიმართა თხოვნით, დახმარებოდა იმპერატრიცა

[1] ალ. ორბელიანი, რუსების დასი ქართველები(სა) ჩემზედ, სიტყვა მამულის ტრაპესზედ, შემდგენელი ნ. ვახანია, გამომც. „ლომისი“, თბილისი 1999, გვ. 67.

[2] აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, რჩეული ნაწერები, ს. გორგაძის და ს. აბაშვილის რედაქციის ტ. I, ტფილისი, 1925, გვ. 84.

[3] ეს ორი საბუთი, (დედანი) ჩვენთან ოჯახში ინახებოდა. 2022 წლის ოქტომბერში გადავეცით თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს და ამჟამად იქ არის დაცული.

ეკატერინე II-ის მიერ მისთვის ნაჩუქარი ბრილიანტის საყურეები (შეფასდა 2500 მანეთად), სახელმწიფო ხაზინას შეესყიდა[1]

ახლა გავეცნოთ ამ საბუთის შინაარსს:

„ჩყლბ წელსა (1832 ვ.კ.) ივლისის კზ (27) დღესა, გაძლევთ ამას, ჩვენ ამის ქვემო ხელის მომწერნი პოდპორუჩიკი ალექსანდრე და ვახტანგი, ვახტანგის ძენი თავადნი ორბელიანოვნი, თქუენ თელავის უეზდის სოფელს ხორხელს მცხოვრებელთ აზნაურთ იოანე და მიხაილ გრიგოლის ძეთა საყვარელიძეთ, მისთვის რომელ, რადგანაც თქვენი აზნაურიშვილობა საქმეებით აღმოჩნდა და წარსულს ჩყკე (1825, ვ.კ.) წელსა მარტის თვესა ჩვენგანმან პირველმან (ე.ი. ალექსანდრე ორბელიანმა, ვ.კ.) მისცა არზა თელავის ოკრუჟნის ნაჩალნიკს სტეფანოვს ჩვენდამი (თქვენი, ვ.კ.) ყმობასა ზედა, სადაც წარმოებს საქმე, და აწ კეთილნებობითა ჩვენითა, დაუტევეთ დავათ იგი, ამიერით არა გვქონდეს დავა თქვენ ხსენებულთ აზნაურთთან, არცა ჩვენ და არცა შთამომავალთა ჩვენთა, ხართ საუკუნოდ და შთამომავლობითად თავისუფალი ჩვენის ყმობიდან; და თქვენს დასარწმუნებლად, მოგეცით წერილი ესე და ამაზედა უნდა ჩვენგანმან პირველგანვე მისცეს არზა თელავის ოკრუჟნის ნაჩალნიკს, რომ მან დააყენოს წარმოება საქმისა და მიეცეს საუკუნოს დავიწყებასა და წერილი ესე დაშთეს უცვალებ(ლ)ად ამა სრულს მტკიცეს ძალას ზედა, რომლისთვის ხელს ვაწერთ: პოდპორუჩიკ თა(ვავადი) ალექსანდრე ორბელიანოვი (ხელრთვა) თა(ვადი) ვახტანგ ორბელიანოვი (ხელრთვა)“.

ამას მოსდევს სასამართლო დადგენილება რუსულ ენაზე: წარმოვადგენთ ამ სასამართლო დადგენილების ქართულ თარგმანს: „1832 წლის 27 ივლისის დღესა, ტფილისის საოლქო სასამართლოში, წინამდებარე ვალდებულება, პოდპორუჩიკ ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანთა მიერ პირადად იქნა წარმოდგენილი და (სასამართლოს) დედნების წიგნში N B 616 ნომრით ჩაიწერა; და რომ ეს (განცხადება) მათი საკუთარი ხელითაა დამოწმებული, ამას, სასამართლო ხელმოწერით და სახაზინო ბეჭდის დასმით ადასტურებს. თავჯდომარე: თავადი ბარათოვი, მდივანი: (ხელრთვა არ განირჩევა).“

Vazha Kiknadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology University of Georgia

THE NEW DATA ABOUT ALEXANDER ORBELIANI

RESUME

During the latter half of the 19th century, Alexander Orbeliani and his family members were widely recognized and esteemed individuals. In our article, we have examined two recently discovered documents shedding light on the biography of Alexander Orbeliani. One of these documents comprises the 'memoirs' of Mateush Gralevski (1826-1891), a Polish warrior, writer, and political figure. In his writings, Gralevski referred to a highly educated and patriotic Georgian nobleman, denoted by the pseudonym "J". We deciphered this pseudonym and are sure that it refers to Alexander Jambacur-Orbeliani.

The second document is a charter issued by Alexander and Vachtang Orbeliani to the Tbilisi (Tiflis) Circuit Court in 1832. In this document, the Orbeliani brothers ordered the Tbilisi Court to

[1] Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, том VII, ч. I, Тифлис 1878, с. 280

halt the trial against Ioann (Ivane) and Mikhail Sakvarelidze, residents of the village Khorkheli in the Telavi district. The Orbeliani brothers initially asserted that this branch of the Sakvarelidze family were peasants obligated to pay tribute to the landowners (the Orbeliani family). However, upon reviewing objective evidence, Alexander and his brother withdrew their claim and terminated the court proceedings. This authentic document is currently preserved in my personal archives.

თამაზ ლაცაბიძე
ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება

ხიდირბეგიშვილების საგვარეულოს ისტორიისათვის

საქართველოს სამეფო-სამთავროების დაშლის შემდეგ, XV ს-იდან ყალიბდება დიდი და მცირე სათავადოები. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ასეთი პირველი სათავადობი სააბაშო და საამირეჯიბო იყო. შემდეგ, XVII საუკუნეში აქვე აღმოცენდნენ ჩხეიძეებისა და ხიდირბეგიშვილების მცირე სათავადოები – შესაბამისად საჩხეიძო და სახიდირბეგიშვილო.

სახიდირბეგიშვილო, რომელიც სურამ-ხაშურის მიმდებარე ტერიტორიებს მოიცავდა, არაერთ დოკუმენტშია დაფიქსირებული. სათავადოს რეზიდენცია სურამში იყო, აქვე იყო ხიდირბეგიშვილების საგვარეულო სასაფლაო – კვირაცხოველის ეკლესია. ხიდირბეგიშვილები ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ, როგორც სურამში, ასევე ხაშურში. აქვე, ხაშურში დღემდე შემორჩენილია ხიდირბეგიშვილების კოშკი, რომელსაც როგორც საცხოვრებელი, ასევე საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. ამ სათავადოს დამფუძნებლები სამხრეთ საქართველოდან გადმოსული ხიდირბეგიშვილები არიან.

იოანე ბატონიშვილი ხიდირბეგიშვილების ხაშურში მოსვლას 1630 წლით ათარიღებს. იგი თავის გენეალოგიურ შრომაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ხიდირბეგიშვილების შესახებ აღნიშნავს: „ესენი არიან გვარით ამილახვარისა გვარისანი... ხიდირბეგის შვილობა მიიღეს ამით, რომელ გათათრდა ამათი წინა-პარი ახალციხეს დროსა დაპყრობისა თურქთაგან, და უწოდეს სახელად ხიდირბეგ და ამის გამო მიიღეს მისთა შთამომავლობათა ხიდირბეგის შვილობა. ხოლო ამა ხიდირბეგის შვილნი მოვიდნენ ქართლსა შინა სურამის ხეობის ადგილს ხაშურსა შინა და მუნ მიუბოძა მეფემან ადგილი იგი წელსა 1630-სა. და ნათელ იღეს ამათ და იწოდენ გვარად ხიდირბეგის შვილებად, და არიან ზოგნი ამათნი გვარნი დაშთომილნი ახალციხეს ხიდირბეგის შვილებად, თათრებად და სხვანი ქართლში მამუკას შვილებად და სხვანი კვალად ხიდირბეგის შვილებადვე“.[1]

იოანე ბატონიშვილის მიერ ხიდირბეგიშვილების წარმომავლობის შესახებ ზემოთაღნიშნულ ისტორიულ ტრადიციას იმეორებს და ადასტურებს ე.წ. „ზედგენისძის საჩივრის წიგნი”, რომლის მიხედვითაც ზედგენისძენი, „...რომელნიც დაშთენ მესხეთ, იგინი თუმცა ამილახვარად არ იხსენიებიან გუარით, გარნა არიან თავადნი, იმერეთს მესხებად წოდებულნი და აზნაურებად. ეს სახედვე ახალციხესა შინა არიან ამილახვრის გვარისანი და ხიდირბეგისა შვილებნიცა თაავდნი ამილახვრიანნი”.[2]

ამრიგად, ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ხიდირბეგიშვილები ზედგენიძეთა (შემდგომში ამილახვართა) გვარიდან გამოდიან. ზედგენიძეთა ერთი ნაწილი ახალციხის მხარეში ოსმალთა გაბატონების შემდეგ გათათრდენ. ზედგენიძეთა სწორედ ეს ნაწილი მოიხსენიებიან ხიდირბეგიშვილებად, რადგან იმავე ტრადიციის მიხედვით, ზედგენიძეთა გვარის იმ წარმომადგენელს, რომელიც გათათრდა, სახელად ხიდირბეგი უწოდეს, რომლის სახელიდანაც შემდგომ წამოვიდა ხიდირბეგიშვილების გვარი.

ხიდირბეგიშვილების მესხეთიდან და ზედგენიძეთა, შემდგომი ამილახვართა გვარიდან წარმომავლობაზე არაერთ დოკუმენტშია მინიშნება. ამ გვარის წარმომადგენლები ხშირად

---

[1] ი. ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1997, გვ 28.

[2] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1955, გვ. 289-290.

ამილახვრიშვილებად მოიხსენებიან. ეს მომენტი XVII-XVIII საუკუნეების არაერთ საბუთში დაფიქსირებულია. ასე მაგალითად:

1698 წლის სამამულო დავის გადაწყვეტის წიგნში მურვანიშვილებთან ერთად გვხვდება ამილახორიშვილიები.[1]

1719 წელს ზურაბ ხერხეულიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის შინდარასა და ბეკამში მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნს ემოწმება მესხი ამოლახვრიშვილი მამუკა.[2]

1725 წელს დათუნა და სხვა ნებიერიძეების მიერ მურვან და ლუარსაბ მურვანიშვილებისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნს ემოწმება ამილახვრიშვილი მამუკა.[3]

1729 წელს „ხიდირბეგიშვილმა ამილახვარმა მამუკამ" „სურამის ბოლოს" ღანიშვილის მამული მისცა ადამ მამაცაშვილს.[4]

1737 წელს თამაზ ხარატიშვილის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნს ემოწმება ამილახორიშვილი ხიდირბეგი.[5]

1753 წლის მარტის დამდეგს მიწის ნასყიდობის სიგელი მისცა „ამილახვრის ხიდირბეგიშვილმა გიორგიმ" მისმა ძმებმა მამუკამ, ქაიხოსრომ, როსტომმა და დემეტრემ თავიანთ მამიდას „მარიამ ამილახვრის ქალს".[6]

XVIII ს-ის 50-იანი წლების აბაზაძეების რამდენიმე საბუთზე გვხვდება მინაწერი: „არის ამისი მოწამე ციხისთავი ამილახორი ხიდირბეგი"[7], რევაზ აბაზაძის მიერ ყაზარ იოსებასშვილისათვის მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნს ემოწმება „კაცთაგან ამილახორისშვილი ხიდირბეგი.[8]

იოანე ბატონიშვილის თანახმად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხიდირბეგიშვილები ქართლში, კერძოდ, ხაშურში, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩანან. რომ, მართლაც, ამ პერიოდიდან უნდა იყვნენ მოსულები ხაშურში ხიდირბეგიშვილები, ამაზე მიგვანიშნებს ორი მომენტი. ერთი ის, რომ თეიმურაზ I-ის სახელთან დაკავშირებულ „სასარდლო წიგნში", რომელიც როგორც ჩანს, მისი ქართლში მეფობის პერიოდში უნდა იყოს შედგენილი, ამილახორის სადროშოში ხიდირბეგიშვილები არ მოიხსენიებიან. „სასარდლო წიგნში" აღნიშნულია: „არის ბატონის ამილახორის დროშაზედ: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავნელიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მროველი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ხერხაულიანი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარეფისკოპოზი, რაც გორს ზედათ აწ სადედოფლო არის, აწ სუეტიცხოველისა და იერუსალიმისა ერთობილნი, ამირეჯიბიანი, თვალდამწვარიანი, დიასამიძე ელისბარ, როსტომ ქავთარაძე, ტატიანი და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა იაღუზიშვილი".[9]

ამრიგად, როცა ეს დოკუმენტი იწერებოდა, ხიდირბეგიშვილები ჯერ კიდევ არ არიან გადმოსულები ქართლში. ეს მაშინ, როდესაც თითქმის ყველა ის ცნობილი გვარი, რომლებიც ზემო ქართლის ამ რეგიონში (სურამი-ხაშური) გვხვდება, თითქმის ყველაა დასახელებული დოკუმენტში (აბაშიძე, აბაზაძე და სხვა). როგორც ჩანს, ხიდირბეგიშვილების ამილახორების სადროშოზე „მიწერა" შემდგომ ხდება, რაც დასტურდება სწორედ მომდევნო პერიოდის დოკუმენტებიდან.

---

[1] ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-1077
[2] ხეც, Hd-9745.
[3] ხეც, Hd-6549.
[4] ხეც, Qd-334.
[5] სცსსა, ფ.1450, დავთ.17/121.
[6] სცსსა, ფ.1450, დავთ. 48/27.
[7] ხეც, Hd-9761.
[8] ხეც, Hd-10338.
[9] ხეც, Hd-2124.

ალექსანდრე ამილახვარი „გეორგიანულ ისტორიაში" აღნიშნავს, რომ „ზემო ქართლი შეადგენს სამფლობელოს ამილახვრებისა და თავადთა გვარებისა. სახელდობრ: 1. აბაშიძეებისა, 2. ფალავანდიშვილებისა, 3. ხერხეულიძეებისა, 4. დავითიშვილებისა, 5. ამირეჯიბებისა, 6. ავალიშვილებისა, 7. ხიდირბეგიშვილებისა, 8. ჩხეიძეებისა, 9. დიასამიძეებისა, 10. სიამარდიშვილებისა, 11. თაქთაქიშვილებისა, 12. შალიკაშვილებისა, 13. მაჩაბლებისა"[1]

ხიდირბეგიშვილებს იცნობს ი. ა. გულდენშტედტიც, რომელიც ქართლის თავადთა გვარების ჩამოთვლის დროს მოიხსენიებს მას[2].

XVII საუკუნეში, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნეში, ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად მოიხსენიებიან ხიდირბეშვილები. დასტურდება ხიდირბეგიშვილების სათავადოც, ე.წ. „სახიდირბეგიშვილო". ხიდირბეგიშვილებს მამულები გააჩნიათ არა მარტო ხაშურისა და სურამის შემოგარენში, არამედ დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფელშიც.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხიდირბეგიშვილები საისტორიო დოკუმენტების მიხედვით, XVII საუკუნის 30-იან წლებიდან ჩანან, რაც ერთგვარად განამტკიცებს იოანე ბატონიშვილის ცნობას ხიდირბეგიშვილებისათვის მეფე თეიმურაზის მიერ 1630 წელს ხაშურის ბოძების ფაქტს. კერძოდ, 1637 წლის როსტომ მეფის მიერ ზაქარია ავალიშვილისადმი მიცემული წყალობის წიგნიდან ჩანს, რომ ხიდირბეგიშვილებს მამული აქვთ სოფელ სომანეთში. წყალობის წიგნის მიხედვით, როსტომ მეფე ზაქარია ავალიშვილს უახლებს მისივე ნაქონი მამულის – სომანეთის, წყალობის სიგელს ხიდირბეგის მესხების გარდა. „...ხიდირბეგის მესხებს გარეთ"– ნათქვამია სიგელში[3].

XVIII საუკუნის 10-20-იანი წლების ერთ-ერთ დოკუმენტში დაფიქსირებულია ხიდირბეგიშვილების „კაცების" გვარები. ეს ის „კაცები" უნდა იყვნენ, რომლებიც ხაშურში სახლობენ და ერთი ნაწილი რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარშიც გვხვდება. ეს „კაცები" არიან: თოფჩიაშვილი, ქიტიასშვილი, ქუზიასშვილი, აბიასშვილი, ტაკვია, ნინია, ქიმერიძე გელია, ქიმერიძე პეტრია, ბაბალია, მენაბდისშვილი, ფოცხვერია, მეღორისშვილი, იაგუნდაშვილი[4]

მამუკა აბაშიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის 1743 წლის 17 ივნისს მიცემულ ყმის ნასყიდობის წიგნში მოწმეთ დასახელებულია ხიდირბეგიშვილი[5]

1752 წელს გიორგი ხიდირბეგიშვილი თავის ძმებთან ქაიხოსროსთან და როსტომთან ერთად დიმიტრი ციციშვილს ჭარტლიულის ზვარს აძლევს სურამში: „ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ხიდირბეგიშვილმა გიორგიმ და ძმამან ჩემან... (აქ სახელი გამოტოვებულია) და ქაიხოსრომ და როსტომ თქვენ ბატონს ციციშვილს დიმიტრის და ძმისწულსა თქვენსა იოვანესა და შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენისა, ასე რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ზვარი ჭარტლიური თავისის სანაპიროთი როგორითაც ძველთაგან სანაპირო და ღობე ქონდეს: აქეთ მურვანისშვილების მიწის მიდგმამდი, ქვეით მარგლითავს მურვანისშვილის მოცემულის მიწის (მიდგმამდი), (იქით) ბაიაშვილის მიწის მიდგმამდი, ზეით კიდევ მურვანისშვილის მიწის მიდგმამდე".[6]

ხიდირბეგიშვილებს გარკვეული სამოხელეო თანამდებობაც სჭერიათ. სვიმონ ამირეჯიბის 1766 წლის 30 მარტის არზაში ყმის თაობაზე, ხიდირბეგიშვილი იასაულია.[7]

---

[1] ა. ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა, თბ., 1997, გვ. 46.

[2] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, I, თბ., 1962, გვ. 227

[3] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ 1955, გვ 141.

[4] ხეც, hd-14827.

[5] ხეც, hd-13805.

[6] ხეც, hd-9299.

[7] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VII, თბ., 1981, გვ. 103.

1798 წლის 16 ივნისის ზაზა და დავით ამირეჯიბების ყმის საქმეზე განჩინებაში ავთანდილ ხიდირბეგიშვილია იასაული[1].

როგორც დოკუმენტებით დასტურდება, ხიდირბეგიშვილებსა და მურვანიშვილებს შორის XVIII საუკუნის 70-იან წლებში ურთიერთობა დაძაბულია. 1771 წლის დამდეგს, ერეკლე II-ის დავალებით, მისი კარის მდივანბეგები იესე მურვანიშვილს და როსტომ და ტეტია ხიდირბეგიშვილებს შორის სასისხლო საქმეს არჩევენ, რომლის მიხედვითაც ამ უკანასკნელთ მურვანიშვილის სასარგებლოდ დაედოთ „...მესამედი თეთრი ოქრო თუ ვერცხლი და ორი ნაწილი იარაღი, პირუტყვი და ვეჯი (ნაღდი)".[2]

ორი წლის შემდეგ, 1773 წლის დასაწყისში, ხიდირბეგიშვილებსა და მურვანიშვილებს შორის კვლავ გართულებულია ურთიერთობა. ამჯერად პირადად ერეკლე II ერევა საქმეში და ზემო ქართლის სადროშოს - საამილახოროს სარდალს რევაზ ამილახორს წერს: „...ხიდირბეგიშვილს მამუკას და როსტომს წიგნი მივწერეთ და დავიბარეთ, მურვანიშვილები სამართალში უჩივიან და ის წიგნი ერთის კაცის ხელით გაუგზავნეთ, რომ კარზედ ჩამოვიდნენ აპრილის 9-ს. რომელიც კაცი გაგზავნო, იასაულათ დაადგეს და ჩქარა გამოგზავნოს".

სხვათა შორის, ზემოაღნიშნულ დაძაბულ ურთიერთობაზე მეტყველებს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მამუკა ხიდირბეგიშვილის წერილს ლუარსაბ მურვანიშვილისადმი. მართალია, წერილი უთარიღოა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი იმავე პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ხიდირბეგიშვილსა და მურვანიშვილებს შორის ურთიერთობა დაძაბულია. ამას ადასტურებს წერილის ტექსტი, რომელიც ეხება ოსიაურელ კოჩაძეს. იგი ხიდირბეგიშვილის მამულიდან არის გაპარული და მისი საქმე უნდა გაარჩიოს ლუარსაბ მურვანიშვილმა. მამუკა ხიდირბეგიშვილი აფრთხილებს ლუარსაბ მურვანიშვილს, რომ საქმე სამართლიანად გადაწყვიტოს: „...ასე რიგით დაიჭირე საქმე, რომ მე და შენ სამდურავი არ მოგვიხდეს, თორემ ქვეყანამ იცის, რომ ჩვენშიდ მტრობა არის და სხვაც არავინ დაიჯერებს შენს სიმართლეს".[3]

ხიდირბეგიშვილებთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალი. ამ გვარის წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ლეკებთან ერთად არბევდნენ ზემო ქართლს. არაერთი დოკუმენტით დასტურდება მათი ურთიერთობა ახალციხის საფაშოსთან. ასე მაგალითად, 1772 წლის 16 ნოემბერს, ახალციხის ფაშის - სულეიმანის წაქეზებით ქართლს შემოსული ლეკის ჯარი როსტომ ხიდირბეგიშვილის წინამძღოლობით მიადგნენ ცხინვალის და „...რაც ციხის გარეთ ხალხი იყო, სულ დაატყვევეს ექვსას სულამდე". მათვე აიღეს და აიკლეს ოსიაურის ციხეც.[4]

1785 წელს სულეიმან ფაშას მიერ ქართლში დასაზვერად გამოგზავნილ ხასან ხანთაძეს ხაშურიდან გორისკენ ხიდირბეგიშვილის მოსამსახურე უწევს მეგზურობას[5] და სხვა.

ხიდირბეგიშვილის გვარის სხვადასხვა წარმომადგენელი ხშირად გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში.

1775 წლის 9 დეკემბრით დათარიღებულ გიორგი ლომოურის მოწმობის წიგნში ლუარსაბ მურვანიშვილთან ერთად მოიხსენიება როსტომ ხიდირბეგიშვილი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მესხეთიდან ქართლში გლეხების გადმოყვანაში[6]

1783 წლის 14 მარტის განჩინებაში ლუარსაბ მურვანიშვილსა და სურამის მამასახლისის დავაზე მოიხსენიება მამუკა ხიდირბეგიშვილი.[1]

---

[1] იქვე, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 69.

[2] იქვე, ტ. IV, თბ. 1972, გვ. 620-621.

[3] ხეც, Hd-6753.

[4] საქართველოს ისტორიის ქრონიკები, XVII-XIX სს, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ა. იოსელიანმა, თბ., 1983, გვ. 133.

[5] იქვე.

[6] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. II, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953, გვ. 100.

დათუა ბადრიაშვილის 1783 წლის 13 ივნისის არზაში მამულის თაობაზე ჩანს, რომ ხიდირბეგიშვილებს ბეკამში ჰყავთ ყმა.[2]

ბერუა ქურდაძის 1785 წლის 28 ნოემბერის არზის მიხედვით, იგი ხიდირბეგიშვილებზეა სურამში „დაგირავებული".„...ამიღეს და ხიდირბეგიშვილებზე დამაგირავეს"[3] – ნათქვამია დოკუმენტში.

ბეცია თარხნიშვილისა და ღვალაძის მამულის საქმეზე 1793 წლის 23 მარტის განჩინებაში მოიხსენიება მამუკა ხიდირბეგიშვილი.[4]

იმავე საქმეზე სხვა პირებთან ერთად, 1793 წლის 18 აგვისტოს განჩინებაში იულონ ბატონიშვილი მამუკა ხიდირბეგიშვილს ავალებს სადავო საკითხის გადაწყვეტას.[5]

1793 წლის 19 სექტემბრის გლახა ფალავანიშვილის ყმის ლუარსაბ ნაგლაძის საქმის განჩინებაში იოანე ხიდირბეგიშვილია მოხსენიებული.[6]

თარხან გიორგისა და მეითარ სოლომონის მამულის საქმეზე 1797 წლის 5 მარტის განჩინებაში კვლავ მამუკა ხიდირბეგიშვილი მოიხსენიება.[7]

იგივე მამუკა ხიდირბეგიშვილი მოიხსენიება იმავე წლის 20 დეკემბრის ყორღანაშვილების ყმების საქმის განჩინებაში.[8]

ზაალ დავითაშვილისა და შანშე რამაზაშვილის მამულის საქმეზე 1800 წლის 13 ივნისის განჩინებაში „შეგდებულ მოფიცრებში" დასახელებულია ქაიხოსრო ხიდირბეგიშვილი.[9]

1800 წლის 4 ივლისის ნინია ხიდირბეგიშვილის ყმების საქმეზე განჩინებით დასტურდება, რომ ხიდირბეგიშვილებს სურამში ებრაელებიც ჰყავთ ყმებად: ისაკა, აბრამა და მათი ძმები.[10]

ხიდირბეგიშვილებს ზემო ქართლის სხვა თავადებთან ერთად გარკვეული ვალდებულება ჰქონდათ სამეფო კარის წინაშე ლაშქარში სამსახურისა და სურსათის „გამოღების" თვალსაზრისით.

1783 წლის 14 ივლისის ზემო ქართლის საქვეყნო ხარჯის ნუსხაში აღნიშნულია, რომ ხიდირბეგიშვილების ყმებს უნდა გაეღოთ „...თეთრი თვრამეტი მინალთუნი" და „პურის კოდი - თვრამეტი".[11]

1784 წლის 10 ივნისის ერეკლე II-ის ბრძანებით რუსის ჯარისათვის სურსათის გამოღების თაობაზე, ხიდირბეგიშვილის ყმებს უნდა გაეღოთ ფქვილი „...ხარვალი ორი, კოდი ზ შვიდი".[12]

ჯარის დაბარების შესახებ, ერეკლე II-ის 1787 წლის 26 დეკემბრის ბრძანების მიხედვით, მამუკა ხიდირბეგიშვილს ლაშქარში უნდა გაეყვანა „აზნაურიშვილი ერთი, გლეხიც ერთი".[13]

იმავე წლით დათარიღებულ ჯარში გამსვლელთა ნუსხაში კვლავ მოიხსენიება „ხიდირბეგიშვილი მამუკა, ერთი აზნაურიშვილით და ერთი გლეხით".[14]

---

[1] ქსძ, ტ.V, თბ., 1974, გვ. 552.
[2] ქსძ, ტ.VII, თბ., 1981, გვ. 207.
[3] ქსძ, ტ.VII, თბ., 1981, გვ. 671.
[4] ქსძ, ტ. V, თბ., 1974, გვ. 676.
[5] ქსძ, ტ.V, თბ.1974, გვ. 678.
[6] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.V, თბ., 1974, გვ. 621.
[7] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, თბ., 1977, გვ. 19.
[8] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, თბ., 1977, გვ. 48.
[9] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, თბ., 1977, გვ. 203.
[10] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, თბ., 1977, გვ. 211.
[11] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ. 70.
[12] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 147.
[13] იქვე, გვ. 152.
[14] იქვე.

1789 წლის 19 თებერვლის ერეკლე II-ის ბრძანებით მამუკა ხიდირბეგიშვილი ყარაბაღში გასაგზავნ ჯარში სამი კაცით უნდა გასულიყო.[1]

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" მოხსენიებული მამუკა ხიდირბეგიშვილი სხვა წყაროებშიც დასტურდება. როგორც ჩანს, იგი ქართლის სამეფო კარისაგან საკმაოდ დაფასებული და წარჩინებული თავადია. ეს კარგად ჩანს გიორგი XII-ის მიერ 1799 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებიდან. ამ ბრძანების ძალით „...ამასთან (ე.ი. მამუკა ხიდირბეგიშვილთან-თ.ლ.) და ამის ყმასთან საქმე არავისა აქვს, არც ჩვენს ძმებსა და არც ჩვენს შვილებსა, ყველამ უნდა იცოდნენ. უჩვენოთ ვერც რას შეაწერენ და ვერც არასა სთხოვენ, რაც სათხოვარი იქნება, ჩვენ სახელდობრ შევაწერთ და გამოვართმევ, უჩვენოთ ამასთან და ამის ყმასთან საქმე არავის აქვს და ვერც არას შეაწერთ და ვერც არას გამოართმევთ, ყველამ ასე იცოდეს, რომ ეს სამეფო თავადი არის."[2]

გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) დანართში - „ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სიაში", - შეტანილია ხიდირბეგიშვილის გვარიც. აქვე მოიხსენებიან მისი აზნაურების - ნათისშვილის და ოღძალის გვარები[3]

ხიდირბეგიშვილის აზნაურები - ნათისშვილები და ოღძალებიც, არაერთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება. იოანე ბატონიშვილი ნათისშვილის შესახებ შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ამათი წინაპარი მოვიდა სტამბოლიდგან ბერძენთა გვარი, რომელსა ეწოდა ნათან და დაესახლა ახალციხეს და იყო მუნ აზნაურად მიღებულ, და ოდეს ათაბაგი შეიქმნა მაჰმადიანი, ესენიც აიყარენ და შთამოყვნენ ხიდირბეგის შვილებს ქართლშია და დაეშენენ მუნ და არიან ცნობილ მცირე აზნაურად მეფისაგან დროსავე ლუარსაბისა მეფისა 1612 წ. და მეფის ირაკლის დროსაც იყო გლახა ნათისშვილი მიჩნეული მეცნიერებისა გამო..."[4]

ნათიშვილი რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში დაფიქსირებულია გორათში.[5]

ოღძალების გვარის შესახებ, იოანე ბატონიშვილი შემდეგს აღნიშნავს: „ამათნი წინა-პარნი არიან მკვიდრნი ადგილის ოღთისა და მის გამო მიიღეს გვარადცა ოღთაელობა და არიან მცირე აზნაურნი, ცნობილნი დროსვე მეფისა თეიმურაზისასა..." მეორე ვარიანტით: „არის სურამის ხეობიდანვე ძველად ოძელი სოფლიდამ და ადგილისა გამო გაუვარდა ოღძელი, ესენი იყვნენ დროსა თეიმურაზ მეფისასა 1640 წელს".[6]

სურამის ხეობაში არ ფიქსირდება სოფელი ოღთა ან ოძელი, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს ოღძელის გვარი, როგორც ამას იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს. აქ იგი, ალბათ, სოფელ ოძისს გულისხმობს, რომელსაც იგი სურამის წყლის ხეობის აღწერის დროს აფიქსირებს.[7] თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ სოფელ ოძისში აზნაური აბაზაძეები მკვიდრობდნენ.

ყურადღებას იქცევს ხიდირბეგიშვილებსა და სურამელ მანაშერაშვილებს შორის ყმობის თაობაზე დავა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართველი ებრაელების მაღალ სამართლებრივ მდგომარეობაზე ფეოდალურ საქართველოში.

დავა ხიდირბეგიშვილებსა და მანაშერაშვილებს შორის ასე წარიმართა: 1708 წელს დომენტი კათალიკოსმა წყალობის წიგნი მისცა ისხაკა მანაშერაშვილს. ვგებულობთ, რომ მანაშერაშვილები იმერეთიდან გადმოსულან და სვეტიცხოვლის ყმები გამხდარან. ამასთან დაკავშირებით წყალობის წიგნში ნათქვამია: „...კურთხეულმან და სრულიად საქართველოს მაკურთხეველმა და მამადმთავარმა კათალიკოზ-პატრიარქმა პატრონმა დომენტიმ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, წიგნი II, თბ., 1974, გვ. 156.

[2] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. III, ტფ., 1910, გვ. 182.

[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 484, 489.

[4] ი. ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ. 1997, გვ. 100.

[5] ხეც, H -1294.

[6] ი. ბაგრატიონი, შემოკლებითი აღწერა..., გვ. 101.

[7] ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 44.

ბატონისშვილმან ესე უკუნისამდე ჟამთა გამოსადეგი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძეთ შენ, ისრაელს მანაშეშვილ ისხაკას და ძმასა შენსა შალომასა და იოსებს და მომავალსა სახლისა თქვენისა ყოველთავე. ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თქვენ იმერეთიდამ გარდმოხვედით და სვეტიცხოველს ეყმევით და ჩვენ სვეტისცხოვლის ქრცხილვანს დაგასახლეთ და სვეტისცხოლის ბეგარა დაგდევით. წელიწადში მცხეთას ორს ლიტრას სანთელს მისის შულოთი მოიტანდეთ ხელმარხვაში და რაც ბაჟი გამოგვიდოდეს, იმასაც ჩვენს მებაჟეს მოსცემდეთ. ამასდა გარდა არა გეთხოებოდესთ რა არა სახემწიფო ბაჟი და სათხოვარი, არა ბაჟი, არა სამოურაო ბაჟი, არა საამილახორო, არა საბატონიშვილი ბაჟი, არა ქრცხილვანის ბაჟი, არა ალის ბაჟი, არა სურამის ბაჟი, არა ახალდაბის ბაჟი, არა გეთხოვებოდესთრა, არც ულაყი და ტიკი და ტომარა ერთის საჩვენოს ბაჟისა და სანთლის მეტი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და სვეტისცხოვლის სამსახურსა შინა. და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხოს".[1]

გავიდა თითქმის 90 წელი და 1798 წელს დაიწყო ხიდირბეგიშვილების დავა მანაშერაშვილებთან ყმობის თაობაზე. ხიდირბეგიშვილები მათ ყმობაზე აცხადებენ პრეტენზიას, ხოლო მანაშერაშვილები საეკლესიო ყმებად აცხადებენ თავს. მდგომარეობა იმდენად იძაბება, რომ საჭირო გახდა დავაში სამეფო კარის ჩარევა. მანამდე კი, 1798 წლის 24 ივლისს იხაკა მანაშერაშვილმა და მისმა ძმებმა ბატონყმობის წიგნი მისცეს მამუკა ხიდირბეგიშვილს:

„ეს წიგნი მოგართვით ჩვენა ბატონს ჩვენს მამუკას და თქვენს შვილს იოვანეს მე, ხიზნისშვილს ხახამ ისხაკმა, ძმამა ჩემა აბრამა, დავითმა და მანუახ და მოშამა. ასე, რომ თქვენი ყმა გახლდით და ცოტა რამა სანდურავი და ლაპარაკი მოხდა. მერე ისევ ერთმანეთის გული შევაჯერეთ, ისევ ბატონყმობაზე გავრიგდით. როგორც აქამდინა მწყალობელი ბატონი ბძანდებოდით და ჩვენა ერთგული მოსამსახურე ყმანი გახლდით ისევა ერთგული მოსამსახურე ჩვენა ვიყვნეთ, ისევ მწყალობელი თქვენა უნდა იყვნეთ. დღეს და დღეის იქით ერთმანეთ[თ]ან სიყვარულის და ერთმანეთ[თ]ან ტკბილი ბატონყმობის მეტი საქმე აღარ გვქონდეს".[2]

1798 წლის 5 აგვისტოს კათალიკოს-პატრიარქი ანტონი თავის მხრივ წერილს აძლევს მამუკა ხიდირბეგიშვილს მანაშერაშვილების მისთვის დანებების თაობაზე: „ჩვენ, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან, ძემან მეფისა ირაკლი მეფისამან, ანტონი. ესე წერილი მოგეც შენ, მამუკა ხიდირბეგისშვილს და შვილსა შენსა იოანეს. ასე რომე ურია ხახამ ისხაკამ და იმისმა ძმამ აბრამამ დომენტი კათალიკოსის სიგელი მოგვართვეს და რაც სახელი და გვარი სწერია იმ სიგელში, ჩვენ ვართო და მით სვეტისცხოვლის ყმობა თქვეს და მოგვახსენეს, შენ მიუგებდი, ამ პასუხს - თქვენ ეგენი არა ხართ. რომელიც მაგ სიგელში სწერიან, ისინი სხვანი არიანო. ჩემნი ყმანი ხართ, ხიზანის შვილებიო. თუნდა სვეტ[ი]ცხოველში დავიფიცამ და მის მერმეთ როგორც მოხდა ჩვენ აღარ დაგაფიცეთ და ისევ შენ დაგანებეთ და დაგიწერეთ. ის წერილიც დაგკარგოდა და მეორის გაახლებას დაგვეაჯე და გაგიახლეთ და გიბოძეთ წერილი, მაგრამ იმ მეორის წერილის შემდგომადაც კიდევ თქვენმა ლაპარაკებმა და საჩივრებმა გაიარა. მერმე ამ ურიებს შენთვის ბატონყმობის წერილი მოეცა ჩვენის მალვით. მასუკან შენ ის წერილი გვაჩვენე და მე იმ წერილს არ დავჯერდი და ერთი ურია შენ, რომ წარმოაყენე ის ამბობდა, ეს დომენტი კათალიკოსის წერილი ამ ურიებმა იყიდეს ოთხ მინალთუნათო და სხვას გვარის კაცისა არისო. ჩვენ ამ ურიის ლიტონს სიტყვას არ ვეწმუნენით და ბრეთს გავგზავნეთ. ავალიშვილებს, რომ დაბადება აქვს, ის თავისი მოწმობა იმ დაბადებაზედ დავაფიცებინეთ და მისთვის შენვე დაგანებეთ ეს ურიები თავისის შვილებით და მამებით. მაგრამ დომენტი კათალიკოსის წერილმა უნდა გვიპოვნოს ის ურიები, თუ სად არიან, რომ ეკლესიას თავისი ყმები არ დაეკარგოს და სურამელებს მუჯალამა რომ შეეწერათ, ეს ურიები სვეტისცხოვლის

[1] საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. 1, თბ., 1940, გვ. 165-166.
[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 25/44

ყმანი არიანო, ტყუილათ რათ მიაწერეს მოსამართლემ და მოთანამდე მე ვალის ქვეშ იქნება თუ ჯარიმას არ წაართმევს იმ სურამელებს. ჩვენ ამ ურიებისათვის ძალიან გვინდოდა რომ გარდაგვეხდევინებინა, მაგრამ შენ გვევედრე და ამისთვის აღარ გარდავახდევინეთ-რა"[1]

1799 წლის 18 სექტემბერს მანაშერაშვილებმა ფარნაოზ ბატონიშვილს არზა მიართვეს, რომელშიც აღნიშნულია: „ღმერთმა ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ძის ფარნაოზის ჭირი მოსცეს მანაშერაშვილებს ხახამს ისხაკს, აბრამიას, დავითას, მანვახას და მოშიას. მათ სიმაღლეს ამას მოვახსენებთ: ჩვენი მამა-პაპა სვეტისცხოველის ყმანი ყოფილან და მათის უწმინდესობის დომენტი კათალიკოზის წიგნიც გვქონდა. ამას წინათ ბატონს პატრიარხთან უჩივლეთ და სვეტისცხოვლისათვის კიდეც გამოგვიტანა. მასუკან ბატონის დედოფლის პირის ფარეშამ და ქეთანამ (?) კათალიკოზი შეაწუხეს და მრავალი ქრთამიც დახარჯეს და კათალიკოზისგანაც ეს წიგნი აიღეს, რომ მამუკავ შენს ძმებს გარდა მარტო შენთვის მამიცია. ამ მამუკამ რაკი რომ თავისთვისს გვიშოვნა და თავის ძმებს წილი აღარ დაუდვა. შფოთი ჰქონდათ ჩვენზედა და კათალიკოზთანაც ასე უჩივლეს, თუ რომ ჩვენი ყმა არის სამკვიდრო ოჯახისა, ხომ საყოველთაო არის და თუ ეკლესიისა არის ეკლესიასა ჰქონდესო. მათს უწმინდესობას სურამელთათვინაც მოწმობის მოწერის ოქმი მოეწერა და ჩვენც სასამართლოში დავებარებინეთ. სურამელთაც მოწმობის მუჯალამა დაგვიწერეს და ჩვენც სამართალში ვიახელით, მაგრამ ჩვენის ცოდვით და უძლურებით ჩვენი თავი ასე შეგვაბეზღეს. რამდისამე მიზეზით არც ჩვენის მოწმების მოწმობა შეიწყნარეთ და არც ჩვენს საჩივარს ყური მიუგდევით და ამას გევედრებით და სანატრელს ხელმწიფეს მამას გაფიცებთ ჭეშმარიტის გამოძიებით სამართალი მოგვცე და ეკლესიის მოვალე ნუ გახდები და ნურც ჩვენ გაგვხდი ეკლესი[ი] მოვალეს, ღმერთი გაგიმარჯვებს"[2]

ფარნავაზ ბატონიშვილმა იმავე წლის იმავე დღეს განიხილა მანაშერაშვილების საჩივარი და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო: „მეფის ძე ფარნავაზ გაუწყებთ სურამში მსახლობელნო ქართველნო, სომეხნო და ურიებო! ამ არზის პატრონებს რომ ასე მოუხსენებიათ, ამაზედ ღმერთს გაფიცებთ და თქვენს სარწმუნოებას და თქვენს სულს, ამათი საქმე რომელთაც როგორ იცოდეთ ღმერთის წინაშე ამის აღიღათი ჭეშმარიტებით მოგვახსენეთ"[3].

სურამში მოძიებული იქნა ინფორმაცია მანაშერაშვილების ხიდირბეგიშვილების ყმობასთან დაკავშირებით და ფარნაოზს აცნობეს: „ჩვენ, სურამის სამღვდელონი გიორგი და ტერ-მიქელ ჩვენს ხელმწიფეს ბატონიშვილს ფარნავაზს ამას მოვახსენებთ: ჩვენ ხომ იმ ჟამის მომსწრე არა ვართ და ამ მოხუცებულთ კაცთ ეს მოწმობა ფიცით ასე მოგახსენეს ჩვენის თანდასწრებითა.

მე, სურამის მამასახლისი გაბრიელ, ჩემს ბატონს ამას მოვახსენებ: ამას წინათ, რომ მანაშერაშვილი ხიდირბეგიშვილს მათ უწმინდესობასთან უჩიოდა, მანაშერაშვილმა თავიც სამართლით გაიტანა სვეტისცხოველის ყმათა, მაგრამ პირის ფარეშმა და ქეთენამა ბატონი პატრიარხი შეაწუხეს და ქრთამიც დახარჯეს და ოქმიც ასე უბოძა მამუკას - მარტო შენთვის მიბოძებიაო.

ხემწიფეს ბატონისშვილი ფარნავაზს მე, მარდახია ურია ამას მოვახსენებ: მანაშერასშვილებს აღიღათი, რომ გვებძანებინა, ღმერთსა ვფიცავ და თქვენს თავსა, რომ ამათი საქმე ასე იყო: ძველითგან სვეტისცხოველის ყმა ყოფილან. ავის დროს მიზეზით აყრილან და სურამს ხიზნათ მოსულან. რაკი რომ ურიები ყოფილან, ჩვენს მამა-პაპათ სახლის ადგილიც მიუციათ და სხვა რიგი ნუგეშიცა. იმ ჟამათ ბატონის ბძანებით ხიდირბეგისშვილებს ციხე ბარებიათ და ამ მიზეზით მიუმძლავრებიათ. ჩემის მამა-ბიძებისაგანაც ასე ვიცი და მეც ასე მახსომს. ამას წინათ კიდევ სანატრელი ბატონი არბოს, რომ ბძანდებოდა, ხიდირბეგისშვილებს მურვანისშვილებისათვინ სისხლს აძლევინებდა იმ ჟამად, ჩვენ, სურამლებიც იქ გახლდით. სანატრელმა ბატონმა მიბძანა, შენ ხომ სურამის მოხუცებული და მამსწრე კაცი ხარო,

[1] იქვე.
[2] სცსსა, ფ. 1450, დავთ. 25/46.
[3] იქვე.

ხიდირბეგისშვილისა ასეთი სამკვიდრო ყმა და მამული უნდა გამოარჩიო, რომ არც სახემწიფო იყოს, არც საეკლესიო და არც სხვისა ვისიმე სადაო იყოსო. მან ამილახვრისშვილს გამატანა და მდივანბეგებთან და თავადისშვილებთან გამისტუმრა, რომ გიორგი ერისთავიც იქ ბძანდებოდა. ხაშური აძლიეს ნახევარი, ჩვენი სახასო მამული იყო და ბატონმა არ ინება მიცემა. მანაშერაშვილები აძლიეს და სვეტისცხოვლის ყმა, რომ იყო, არც ამისი მიცემა ინება. ქიტიაშვილი აძლიეს და დედოფლის ყმა იყო ოსეყრელი და არც ეს ინება და ხიდირბეგისშვილს სამკვიდრო ბებიასშვილი და კალატოზისშვილი მისცეს.

მე, ბინია ურია ღმერთსა ვფიცავ და ჩემს დაბადებას. რომელიცა, რომ ამ მარდახას მოუხსენებია, ამის მომსწრეცა ვარ. ამას გარდა კიდევ, მანაშერასშვილს იოსებას მამა-ჩემა ქალი მისცა. ერთხელ ხიდირბეგმა იოსებას თეთრის თხოვნა დაუწყო. იოსება გაექცა, კათალიკოზის ყმა ვარ და იმასთან წავალო. ხიდირბეგ ბიძაჩემს შემოეხუწა, ოღონც ეს შენი სიძე შემომარიგე, აღარც თეთრსა ვთხოვ და არც-არას შევაწუხეფო. ამ პირობით მოაბრუნა ბიძაჩემა.

მე, ნებიერიძე გაბრიელ ღმერთსა ვფიცავ და ჩემს ხელმწიფესა, რომ ჩემს მამა-ბიძათაგან და ძველი კაცებისაგან ეს მანაშერაშვილები სვეტისცხოველის ყმათ გამიგონია.

მე, ციხისთავი კაკალაშვილი ბერი ღმერთსა ვფიცამ და თქვენს თავსა, რომ ძველის კაცებისაგან ეს მანაშერაშვილები სვეტისცხოვლის ყმათ გამიგონია. მე, ლოტუასშვილი არუთენა ღმერთსა ვფიცამ და თქვენს მზესა. მამაჩემი მამასახლისი იყო და ას წლამდინ მიწევნული კაცი იყო და იმისგან გამიგონია, რომ ეს მანაშერაშვილები სამცხეთონი ყოფილან. ამას გარდა ამას წინათ სურამის ბაჟი მეჭირა. ხიდირბეგისშვილის კაცებს ყველას ბაჟს ვართმევდი და ამ მანაშერასშვილებმა კი არ მამცეს. ბატონთან უჩივლე. ნიკოლოზ მდივანბეგზედ ოქმი მიბოძა, ბაჟი გამოურთვი და მოეცო. მდივანბეგმა, რომ ბაჟის თხოვნა დაუწყო, მანაშერასშვილებმა დომენტი კათალიკოზის ყმობის წიგნი მოუტანეს. მერე მდივანბეგმა მიბძანა, საწყევარი საქმე რათ გინდაო, სამცხეთო ყოფილაო და აღარ გამამართმევინა".

როგორც 1800 წლის 4 ივლისის საბუთიდან ჩანს, საკითხზე იმსჯელა „მსაულთშეკრებულებამ". მანამდე კი ნინია ხიდირბეგიშვილმა გიორგი XII-ეს დამატებით ვახტანგ VI დავთარი წარუდგინა, რომლის მიხედვითაც ჩანდა, რომ მანაშერაშვილები ხიდირბეგიშვილის ყმებად ეწერენ. მეფემ ვახტანგ VI-ის დაცთარიცა და მომჩივნებიც „მსაჯულთშეკრებულებაში" წარგზავნა: „ხიდირბეგიშვილი ნინიას სურამელი თავისი ყმები ურიანი ისაკ, აბრამ და იმისი ძმები, რომ სვეტიცხოვლის ყმობით ედავებოდენ და ურიათ განაჩენით ფიცი დაედვათ, შემდგომად იმ განაჩენის დაწერისა ხიდირბეგისსვილს ნინიას მათის უმაღლესობის მეფისათვის მეფის ვახტანგის დავთარი მიერთმია, რომელშიაც ამ მოჩივართ ურიათ ისაკ, აბრამასა და მის ძმათ, მამა-ბიძებისა და განაყოფის სახელები სურამში ხიდირბეგისშვილის ყმად ეწერა. მათს უმაღლესობას მეფეს, მეფის ვახტანგის დავთარიცა და ორნივ მოდავენი ჩვენ მსაჯულთშეკრებულებასთან წარმოეგზავნა და ოქმით ებძანა, ეს დავთარი გაჩხრიკეთ და სამართალი ისე უსაჯეთო".[1]

გაიმართა სასამართლო ექვსი მსაჯულის მონაწილეობით.

„ჩვენ მეორედ უმაღლესის ბძანებისაებრ გამოძიება ვყავით და სამართალში ვალაპარაკეთ.

ურიანი ამბობდნენ: ამ მეფის ვახტანგის დავთარში, რომ მანაშერა ურია ხიდირბეგისშილის ყმად სწერია, ჩვენ იმისი შვილები ვართ, ცხინვალიდამ ავიყარენით, სურამს ხიზნად მოვედით და მძლავრობით ყმად დაგვიჭირეს და ხიზნის შვილებად დავთარში დაგვწერესო.

ხიდირბეგიშვილი მიუგებდა: თქვენ ჩემი მკვიდრნი ყმანი ხართ, როგორც ძველი დავთარი აცხადებსო და დომენტი კათალიკოზის სიგელში რომ სვეტიცხოვლის ყმად მანაშერა ურია, ისაკა, შალომა და იოსებ სწერია, ისინი სხვანი არიანო".

„მსაჯულთშეკრებულებამ" გადაწყვიტა: „რადგან შესწამებს ხიდირბეგიშვილი, რომ თქვენ იმათი შვილები არა ხართ, ისინი სხვანი არიანო და მეფის ვახტანგის დავთრით ყმად ეჭიდება,

[1] იქვე, ფ. 1450, დავთ. 25/40.

ამისთვის მარტო მოჩივართ ურიათაგან ფიცი კმასაყოფელად ვერ შევრაცხეთ. და ჩვენ რომ განაჩენით მარტო მოჩივართ ურიათ ფიცი დავადევით, იმავ განაჩენს მეფის ვახტანგის დავთრით, რომელშიაც ხიდირბეგისშვილის ყმად აცხადებს, მხოლოდ ეს შევსძინეთ, რომ ორის შეგდებულის მოწმით შეჰფიცონ, ორი ურია სურამიდამ და ორი ურია ცხინვალიდამ, რომელიც ხიდირბეგისშვილს უნდოდეს, შეუგდოს ; ოთხში ორი იშოონ და ხუთთავ ძმა რის მოწმით ავალიანთ დაბადებაზე ასე შეჰფიცონ, რომ „რომელიც დომენტი კათალიკოზის სიგელში ურიანი - მანაშერა, ისაკა, შალომა და იოსები სწერია სვეტიცხოვლის ყმად, ჩვენც იმათი შვილებიც ვიყვნეთ და სვეტისცხოველის ყმანიც ვიყვნეთ. თუ არ მძლავრობით, სამართლით თქვენ ჩვენთან საბატონყმოდ საქმე არა გქონდესთ“. თუ ასე შეჰფიცეს, დარჩება სვეტიცხოველს, და თუ ვერ შეჰფიცეს, დარჩებათ ხიდირბეგისშვილებს“.

მანაშერაშვილები აცხადებდნენ, რომ „ურიათ მოფიცარი არ აძესო“, რაზეც „მსაჯულთეკრებულებამ“ „გამოძიება ჰყვეს“ და აღმოჩნდა, რომ ებრაელის მოფიცრად „შეგდება“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო: „ამ ურიების მხარეს მოდავენი რომ ამბობდენ, ურიათ მოფიცარი არ აძესო, ამაზე გამოძიება ვყავით. ახალდაბელმა ურიამ ისაკამ მოგვახსენა მოსამართლეთ: დედოფალთან სარჩელი გვქონდა და განაჩენით ლეჩხუმელთ ურიათ შეგდებული მოფიცარი დაედვათო. კიდევ ამირეჯიბმა ზაზამ იმოწმა: მე იასაულათ ვიყავ რომ ფალავანდიანთ ურიებს შეგდებული მოფიცარი დაედვათ და ასე შეჰფიცესო. ამით უმეტესად დავამტკიცეთ, რომ, როგორც ამ განაჩენში სწერია, ასე უნდა აღსრულდეს“.

„მსაჯულთშეკრებულების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება გიორგი XII დაამტკიცა.

1800 წლის 25 ივლისს მანაშერაშვილები ყმობის წიგნს აძლევენ ხიდირბეგიშვილს: „ესე წიგნი მოგართვი მე, შენმა ყმამა მანაშერაშვილმა აბრამამა და ჩემა შვილმა იოსებამა და აბათარამა შენ, ბატონს ჩემს ხიდირბეგიშვილს ივანეს, შვილსა შენსა დავითს და დემეტრესა. ასე რომა მე და თქვენ ბატონყმობაზე ლაპარაკი მოგვივიდა მალზე. ბატონთანა და კათალიკოსთან ვჩიოდით, დიდხანაც ვიდავეთ და ვილაპარაკეთ, მაგრამ ღმერთმა და სამართალმა ჩემი თავი შენ მოგცა ყმათა დღსა და დღეის იქით ვფიცამ ღმერთსა და ჩემს დაბადებას, შენს უკეთესი არც ბატონი მინდოდეს, არც ძველთაგან მყოლოდეს. ახლა მამცემია თავდებათ ღმერთი და ჩემი წმინდა დაბადება. კაცთაგან კაკონაშვილი აკოფა, კოჟი[ა]ს[შვილი] დავითა. თუ დღეს და დღეის იქით ან ბატონთან გიჩივლო, ან შენი ურიგო, ან ბატონთან, ან ყმას ტან ვთქვა და გიმტყუნო, ჩემი დანაშაული ნახო რამე, ამა ჩემა თავდებებმა პასუხი მოგცენ და მე ამა ჩემს თავდებებს თუ უმტყუნო რამე, ღმერთთან და ბატონთან პასუხი გავცე. თუ უმტროთ და უხთოთ, ან მტერმა, ან სიკვდილმა არ აყარა, თავის ნებით აიყარა და წავიდეს სადმე, პასუხი ჩვენ მოგცეთ. არის ამისი მოწამე ალელი მამინაშვილი გაბრიელა, ფასუაშვილი როსტომა. მე, კაკონასშვილს აკოფს დამიწერია აბრამას ყაბულით, მოწმეც და ყაბულიცა მაქვს ამისი...

მართალია, ფიცი შემოგვაგდეს ოთხის მოფიცრით, ფიცი დაგვედვა და ვეღარ შემოგფიცეთ. ღმერთმაც და სამართალმაც ჩემი თავი შენ მოგცათ. ამა წიგნისა მე აკოფა [კაკონასშვილი] და კოჟიასშვილი დავით სამს წლის თავდები ვართ“.[1]

1801 წლის 3 თებერვალს ხიდირბეგიშვილებსა და მანაშერაშვილებს შორის დავას წერტილი დაუსვა დავით ბატონიშვილმა, რომელმაც მანაშერაშვილები სვეტიცხოვლის ყმებად გამოაცხადა:

„მათის იმპერატორების დიდებულება ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ნებით ჩუენ სრულიად საქართველოისა და სხუათა მემკვიდრემ და მმართებელმან რუსეთის ღენერალ-ლეიტენანტმა და კავალერმან მეფის გიორგი მეათსამმეტისა ძემან დავით ხელახლა განვაახლე შეწირულება ესე და შემოგწირე ადრიდანვე შეწირული ურიაები მანაშერაშვილები ხახამი ისაკია, დავით, აბრამია, მონაოზა, მოშია, შენ დიდსა ცათა მობაძავსა და სამოციქულო კათოლიკე ეკლესიასა მცხეთას და მას შინა ღვთივ-აღმართებულსა სვეტსა ცხოველსა. კვართსა

[1] იქვე, ფ. 1450, დავთ. 25/45.

საუფლოსა და მირონსა უკვდავმყოფელსა, რათა ამიერითგან წერილითა ამათ იყოს გახლებული შეწირულება ესე მტკიცედ და უცვალებლად და ნუმცა ვინ იქნებიან მკადრენი შემდგომათაც შინა შეხებად და შლად შეწირულებასა ამის წერილისა, რათა არა დიდსა მას ეკკლესსისა რისხვასა ქვეშე შევარდნენ, არამედ იყვნენ დამამტკიცებელნი ამისნი, რომლისათვისაცა მიიღებენ მადლსა და კურთხევასა ღვთისაგან უკუნისამდე".[1]

ხიდირბეგოვების მიერ მანაშერაშვილების საეკლესიო ყმებად აღიარების დასტურად უნდა მივიჩნიოთ ერთი გვიანდელი საბუთი, რომელიც წარმოადგენს ყარამან ხიდირბეგოვის კნეინა კეკელას მიერ ბინო მაშერაშვილისადმი მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნს. მასში ნათქვამია: „ესე ამიერიდგან უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი ნასყიდობის სიგელი დაგიწერე და მოგეცით ჩვენ, სურამში მცხოვრებელმან თავადმა ყარამა[ნ] ხიდირბეგოვის კნეინა კეკელამა და შვილმა ჩემა შაშამა და ჩიტომა და მიხაკამა და მაზლმა ჩემა თავადი ხიდირბეგოვის ივანეს ძემა დიმიტრი ხიდირბეგოვმა და მაზლისწულმა ჩემა ილიკომ და მამავალმან სახლისამან ჩვენისამა თქვენ, ამავე სურამში მცხოვრებთა საეკლესიო ყმათა ბინო მანაშერაშვილსა და შვილსა შენსა მოშესა და ელიასა და მამავალსა სახლისასა შენსასა. მას ჟამსა როდეს დამჭირდა და მოგყიდე ჩვენი მამა-პაპისა სამკვიდრო სურამში მდებარე ბაღის ადგილი თავისის სამძღვრებითა: თავს ნინიკა გაგოშიძის მიდგმამინ, ბოლოს კიდევ გაგოშიძის მიდგმამდინა, ერთი გვერდი ისევ გაგოშიძის მიდგმამდინა, მეორე გვერდი ფრონე წყლამდინა. ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, ესე იგი ექვსი თუმანი. მოგცეს ღმერთმა და გიბედნიეროს და მოგახმაროს, როგორათავ სხვათა ალალთა მონასუიდეს მოხმარებოდეს. ესე ამიერიდამ არავითარ გედაოს ვინმე, არცა ჩვენ და არცა მომავალი ჩვენი სახლისა. უკეთუ წამოგედაოს ვინმე ამ ჩვენს მოსყიდულს ბაღის ალაგზე, პასუხი ჩვენ მივცეთ და ანუ ვინცა სიგელსა ამ[ა]სა ხელი შლად ყოს, მასამც რისხამს პირი მღთისა და ყოველი მისი წმინდანი, ამინ!"[2]

მოტანილი ვრცელი ამონარიდები საბუთებიდან, მიგვანიშნებს იმ მდგომარეობაზე, რომ ფეოდალურ საქართველოში შესაძლებელი იყო დაბალი ფენის წარმომადგენლების დაპირისპირება სოციალურად მაღლი ფენის წარმომადგენელთან და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. ამ შემთხვევაში გამონაკლისს არც სხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ. კერძოდ, ებრაელს შეეძლო ქართული მართლმსაჯულებიდან მიეღო იურიდიულად სწორი გადაწყვეტილება. იგი ქართველებთან თანაბარი უფლებით სარგებლობდა მართლმსაჯულების დროს. უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როცა სამეფო კარი მოითხოვს მართლმსაჯულების დროს ეს თუ ის პირი, ამ შემთხვევაში ებრაელი, განსაჯონ ებრაული სამართლით. ასეთ მიდგომას პრეცენდენტი არ მოეპოვება მსოფლიოში, მით უფრო ებრაელების მიმართ.

მოგვიანებით, 1838 წელს საეკლესიო გლეხების აღწერის მასალებში სურამში დაფიქსირებულია სვეტიცხოველის ყმები:

1. მანაშერ მანაშერაშვილი, აქვს დუქანი
   მისი ძმა - შამოელი
2. ბინო მანაშერაშვილი, აქვს სამკვიდრო მიწა
   მისი ვაჟიშვილები: მოშე, იოსები
   მისი ძმა - მანუახი
   ამის ვაჟიშვილი - დავითი
3. ამათი ბიძაშვილი - მანუახი.[3]

* * *

[1] იქვე, ფ. 1450, დავთ. 25/42; იხ. აგრეთვე, სეიემშ, I, თბ., 1940, გვ. 217-218.
[2] ხეც, Hd – 2497.
[3] იქვე, ფ. 254, ანაწ. 1, საქ. 2045, ფურც. 114.

1850 წელს „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის“ მიერ დამტკიცებულ „[აღმოსავლეთ] საქართველოს თავადთა და აზნაურთა წოდებას მიკუთვნებულ პირთა სახელდებითი საოჯახო სიაში“ შეტანილია ხიდირბეგიშვილების სამი ოჯახი:

1. ივანე დიმიტრის ძე ხიდირბეგიშვილი
მისი ცოლი ბარბარე; მათი ვაჟიშვილები: ყარამანი,
დიმიტრი; ყარამანის ცოლი კეკელა; მათი ქალიშვილი
სოფიო.
2. ვახტანგ ლევანის ძე ხიდირბეგიშვილი
მისი ცოლი ნინო; მათი ვაჟიშვილი ლევანი.
3. დავით ივანეს ძე ხიდირბეგიშვილი
მისი ცოლი ანასტასია; მათი ქალიშვილები: ეფემია,
ეკატერინე[1]

1886 წლის საოჯახო აღწერების თანახმად სურამში ხიდირბეგიშვილების შემდეგი ოჯახები ცხოვრობდნენ:

1. თავადი ლევან ვახტანგის ძე ხიდირბეგოვი (47)
მისი ვაჟიშვილი - ზაქარია (6)
მისი მეუღლე - ნინა ივანეს ასული (45)
მისი ქალიშვილი - მარიამი (10)
2. თავადი ილია დიმიტრის ძე ხიდირბეგოვი (31)
მისი ვაჟიშვილი - ვასილი (2)
მისი მეუღლე - სალომე გრიგორის ასული
მისი ქალიშვილები: მარიამი (4), ანა (1885)
მისი დედა - მარიამ იორამის ასული (55)
3. თავად ივანე ხიდირბეგოვის ქვრივი ელისაბედ ზაალის ასული (39)
4. თავადი ხიდირბეგოვის ქვრივი კეკელა გიორგის ასული (61)
5. თავადი მიხეილ ყარამანის ძე ხიდირბეგოვი (31)
მისი მეიღლე - ვარვარა (18)
6. თავადი ალექსი ყარამანის ძე ხიდირბეგოვი (34)
მისი ვაჟიშვილები: დიმიტრი (9), გიორგი (6), ვასილი (3),
ნიკოლოზი (2)
მისი მეუღლე - ნინა დიმიტრის ასული (34)
მისი ქალიშვილი - ვარვარა (2)[2]

* * *

2018 წლისათვის საქართველოში ფიქსირდებოდა 58 ხიდირბეგიშვილი. აქედან თბილისში - 36, იმერეთში -8, სამცხე-ჯავახეთში - 3, შიდა ქართლში - 11[3]

---

[1] ·ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ. 2005, გვ. 252.
[2] სცსსა, ფ. 254, ანაწ. 3, საქ. 1700, ფურც. 42-204.
[3] გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 2018, გვ. 1059.

Tamaz Latsabidze
Khashuri Municipality Museum Union

FOR THE HISTORY OF THE KHIDIRBEGISHVILIS FAMILY

RESUME

The disintegration of the Georgian Kingdom into separate principalities was followed by the formation of large and small principalities. In the second half of the 17th century, in the extreme west of Shida Kartli, a small principality of Khidirbegishvilis emerged, which included the territory of Khashuri and Surami. Along with other similar principalities, the Khidirbegishvilis principality played an important role in the life of the region.

მარიამ მარჯანიშვილი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

იასონ კერესელიძე - რიგით მე-13

„ქართული რასსა რაინდული სისხლით არის აცეცხლებული. ეს არ არის არც უბრალო სიტყვა, არც უბრალო თავის ქება. საქართველოს ისტორია რაინდობის პათოსით იმართებოდა ყოველთვის, რაინდობა ჩვენი ეროვნული პროფილის შნოიანი ხაზულია“, - ბრძანებდა გრიგოლ რობაქიძე.

კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულისა და გორში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ბიბლიოთეკებისა და თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის - მათე კერესელიძის მიერ ახმიანებული სულის მალული სიმები მისი ვაჟები იასონი, ლეო და გიორგი გახლდნენ, მათთვის თავისუფლება ბოროტისათვის სრულად შეკრული და სიკეთისათვის უხვად გზა გახსნილი იყო.

უფროსი ძმა იასონი უმცროსებისათვის ნამდვილი კერპი იყო. სწორედ, ამ სიყვარულითაა გამსჭვალული 1956 წლით დათარიღებული გიორგი კერესელიძის ეპისტოლე: „იასონის სურათი აქ გავადიდებინე და მაქვს, მაქვს აგრეთვე იასონის შვილების (ბავშვობის სურათი). დღეს კი უკვე დიდნი არიან...

ერთი პირობა იასონის ბავშვების ბერლინში ჩამოყვანასაც ვაპირებდი, გადაწყვეტილიცა გვქონდა თამარსა და მე, - ხოლო ბევრმა ჩემგან დამოუკიდებელმა გარემოებამ ხელი შემიშალა. ეხლა არა ვნანობ. საქართველოს თავისი შვილები თვითონ სჭირიან და მათი გაფანტვა დედამიწის ზურგის სხვა და სხვა კუთხეებში დიდი ეროვნული დანაკლისია...“[1]

მათეს უფროს ვაჟს იასონ კერესელიძეს ქალ-ვაჟი დარჩა.

ერთი წლის შემდეგ თავის დას ელენე გლურჯიძეს გიორგი კერესელიძე იასონის ცოლ-შვილის სურათების გამოგზავნას ისევ თხოვდა: „...შენთან მეორე სათხოვარი მაქვს: იასონის ცოლ-შვილის სურათები თუ გაქვს, ნუ დაიშურებ, ერთი მათგანი მომაწოდე...

იასონის ერთი მშვენიერი სურათი გავადიდებინე უკეთესს ფოტოგრაფს და ვამაყობ ჩემ ნაცნობთა და მეგობართა წინაშე მისი სილამაზით, მისი ტანის ახოვანობით. ბერლინში გავადიდებინე და ვინახავ როგორც განძს ოჯახისას...“[2]

ბუნებრივია, ემიგრაციაში მყოფი ძმის გიორგი კერესელიძის ცნობიერების ნაკადში მოუშუშებელ ჭრილობად რჩებოდა უფროსი ძმის ტრაგიკული ბედი.

დიდი იყო შვილებზე დედის მარიამ ყანჩელის გავლენა, რამეთუ თუ რაიმე შექმნეს დიდი საკაცობრიო მამაკაცებმა, ეს უნებლიეთ დედაკაცის ზეგავლენით იყო. ბუნებრივია, შეუგნებელი დედა ვერ აღზდის შეგნებულ მოქალაქეს, ოჯახი დედამ უნდა აქციოს სკოლად, აღზარდოს შვილში ქართული სული, ამცნოს თავისუფლება და მოვალეობა. ჯერ კიდევ ყმაწვილები კაცები იყვნენ მათეს ვაჟები, როცა მთელი ოჯახი თბილისში გადასახლდა.

იასონ კერესელიძის სილამაზეზე აგენტურული ცნობებიც მეტყველებენ: „მაღალი, 35 წლის, კარგი აღნაგობის, აქვს შავი მოკლე თმა, მოგრძო სახე, შავი წარბები, სწორი თხელი ცხვირი, წვერს იპარსავს, ატარებს ინგლისურ პატარა ულვაშს, აქვს მშვიდი სიარულის მანერა, არის ქართული ტიპაჟი, აცვია მოკლე კრაველის ქურქი, შავი გალიფე შარვალი, შავი ფეხსაცმელი, უკეთია ოფიცრის ბრტყელი ქამარი.

ვაჟკაცსა და მოხდენილ იასონ კერესელიძეს, რომ იტყვიან მთელი დუნია იცნობდა.

---

[1] კერესელიძე გ., ვეზინე, 4 ენკენისთვე, 1956
[2] კერესელიძე გ., ვეზინე, 4 ენკენისთვე 1957.

მან ყმაწვილობიდანვე პირადი ინიციატივითა და შრომით მიზნად ხალხის სამსახური დაისახა. იგი ბოლომდე დარჩა უპარტიოდ, რამეთუ სურდა უფრო თავისუფლად ესუნთქა. მისი მიზანი იყო დიდ 60-იანელთა იდეის მსახურება, რათა ხალხში წერა-კითხვისა და წიგნიერებისადმი მიდრეკილება გაევრცელებია. ამ საქმეში მას თითქმის ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება უწყობდა ხელს, როგორც ზნეობრივათ, ისე მატერიალურათ. იასონს მამის მსგავსად ყველა უმწიკლო პიროვნებად აღიარებდა და ხელს უწყობდა, რითაც სულ მალე როგორც ხალხის მსახურმა ქართველი საზოგადოების დიდი ნდობა მოიპოვა.

ზურგზე წიგნებწამოკიდებული იასონი ზაქარია ჭიჭინაძის მსგავსად საქართველოს ყველა კუთხეში სასურველ სტუმრად იყო მიღებული. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იასონ მეწიგნეს ხალხი „გრძელ იასონად“ - მოიხსენიებდნენ: „ნეტა სად დაიკარგა ჩვენი „გრძელი იასონი“?! რა იქნა, რომ აქამდის წიგნები აღარ მოგვაწოდაო.“

დიდი მუშაობა გასწია მან ზაქარია ჭიჭინაძესავით სამუსლიმანო საქართველოშიც, სადაც წერა-კითხვა ნაკლებად იყო გავრცელებული.

„იასონ მეწიგნემ“ შეაჩვია ხალხს წიგნი და ამასთან მან შეისწავლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ზნე-ჩვეულებანი, მათი გასაჭირი. იგი ამ მოგზაურობისას ბევრ მასალებს აგროვებდა ხალხის საჭიროებაზე და პერიოდულ გამოცემაში მათ ბედსა და უბედობაზე მრავალ წერილს ბეჭდავდა ხან თავისი და ხან სხვადასხვა ფსევდონიმებით. ქვეყნისათვის თავდადებული იასონ კერესელიძე პოპულარულ წიგნებს ხშირად მისივე ხარჯით გამოცემდა და რაშიც არავითარი მოგება, ზარალის მეტი არა რჩებოდა რა.“

მათე კერესელიძესა და მარიამ ყანჩელს 6 შვილი ჰყავდა. აქედან ბედუკა სულ პატარა დაიღუპა. ოჯახმა ღირსეულად გაზარდა 4 ვაჟი და ერთი ქალი.

მრავალშვილიანი ოჯახის დედას ხალხთან დაახლოების უმთავრეს კრიტერიუმად საგანმანათლებლო მოღვაწეობა მიაჩნდა, რადგან ისწავლო და ასწავლო, სწორედ ესაა სამშობლოს მთლიანობისა და კეთილდღეობის მტკიცე საფუძველი.

გორში ყველამ იცოდა მარიამ კერესელიძის ქართული წიგნის მაღაზია, რომელიც კოპინაშვილის სახლში ოქონის ეკლესიის მახლობლად იმყოფებდა და ისყიდებოდა ყოველგვარი ქართული წიგნი. ამის შესახებ განცხადებები გაზეთების „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა.

ალბათ, სწორედ ამიტომ გაჰყვა წიგნების გამავრცელებლობის საქმეს მათი უფროსი ვაჟი იასონ კერესელიძე.

იმ დროისათვის სამწერლო - სამწიგნობრო სარბიელზე იასონ კერესელიძე ყველაფერი იყო იმდენად, რამდენადაც ისინი ხელს უწყობდნენ თვისით ნასწავლ, სკოლის გარეშე აღზრდილ თანამემამულეებს და აზიარებდნენ მშობლიურ კულტურა-ლიტერატურას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ წიგნის გამომცემლები თავიანთი საქმიანობით დიდ სიკეთეს აკეთებდნენ ქართული წერა-კითხვის გავრცელებაში. მეწიგნეთა შორის ზაქარია ჭიჭინაძესავით იასონ კერესელიძე პირველი იყო ქართველ კლასიკოსთა წიგნების გამავრცელებელ - გამომცემელთა შორის, რომლებიც აჭარა-ქობულეთის ქართველ მუსლიმანთა შორის გასავრცელებელ ლიტერატურაში არაბულ ლოცვებს ქართული ასოებით ბეჭდავდნენ, თანაც იაფად. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა რომ იასონი უფასოდაც ურიგებდა წიგნებს გაჭირვებულ მოწაფეებს და ამიტომაც მუდმივად ვალში იყვნენ.

ახალ წიგნებს კი წინასწარ ხელის მოწერით შეგროვილი ფულით ბეჭდავდნენ. თან ასე გამოცემულ წიგნებს ხელის მომწერთა სიასაც ურთავდა, რითაც დიდად ეხმარებოდა ქართული წიგნების პროპაგანდას.

იასონ კერესელიძე, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველგან ქართველი ერის ენისა და ქართველობის იდეის მქადაგებელი იყო. იგი მუდამ ღრმა ძილში ჩაფლულ თანამემამულეთა გამოღვიძებას, გათვითცნობიერებასა და მათ საერთო საქმეში ჩაბმას მოძღვრავდა.

ახალგაზრდა გამავრცელებელი ეროვნულ ერთიანობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა და ხშირად არწმუნებდა ქართველ კათოლიკეებს, მუსლიმანებსა და ებრაელებს იმაში, რომ მართალია რჯულითა და სარწმუნოებით სხვადასხვაობის მიუხედავად ეროვნებით ერთნი გახლავართო. ამ აზრის ქადაგება იმ დროს, როცა ცარიზმი არა თუ სარწმუნოებრივად, არამედ გვარტომობლივადაც ქართველთა ერთიანობას მახვილს სცემდა და ერთს მეორისაგან თიშავდა.

„იასონ მეწიგნე“ პირნათლად იდგა ხალხის სამსახურში და ქართველი საზოგადოების ნდობასაც იმსახურებდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაშინ როცა რომანოვების მთავრობამ „ტირიფონის ველის“ სამხედრო პოლიგონად გადაკეთება და იქაური გლეხების აყრასა და გადასახლებას გეგმავდა იგი პირველთაგანი იყო, რომელმაც პრესის საშუალებით ხმა აღიმაღლა. იგი არ მოერიდა არავითარ საშიშროებას, არიგებდა ხალხს რათა არ დამორჩილებოდნენ მთავრობის დადგენილებას და არაფრით არ გადასახლებულიყვნენ. ხალხის ერთსულოვნებითა და შეუპოვრობით გადაწყვეტილება მალე შეიცვალა, რაშიც ლომის წილი პირველ მსოფლიო ომითაც იყო გამოწვეული. აღსანიშნავია, ერთი ასეთი ფაქტიც, როცა „გრძელმა იასონმა“ აჭარიდან ჩამოიყვანა რამდენიმე ბავშვი და სასწავლებელში მიაბარა იმ მიზნით, რომ ისინი სწავლის დამთავრების შემდეგ კვლავ აჭარაში დაბრუნდებოდნენ და სწავლა-განათლების საქმეში გარკვეულ წილს შეიტანდნენ. კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობასთან ერთად იასონ კერესელიძე ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაზეც ზრუნავდა.

იასონ კერესელიძე, რომელიც 1917 წლიდან უკვე თავად იყო წიგნის გამომცემელი. საგანმანათლებლო მოღვაწეობა დაუფასდა და მალე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრი გახდა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ემიგრანტ რევაზ გაბაშვილის მოგონებიდან ერთი ამონარიდი: „1911 წლიდან დაწყებული საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაციამდე, მთელი 10 წელიწადი დიდი ილიას მიერ დასახული ქვეყნის ეკონომიკურად განვითარებისათვის შეიქმნა კოოპერაციათა ფართო ქსელი: „დიდი ლილო“-ს მერძეობა, „კახეთის - მეღვინეობა“, „ქართლის“ - მეხილეობა, სიღნაღის მაზრის „მეთანბაქეობა“, მთიულეთის - მეცხვარეობა „მწყემსი“; გომის-მეპურეობა - „სინდიკატი“ და სხვა. და ამათი შემაერთებელი - წარმოკავშირი“. ყველა ეს იყო ეკონომიკური აღორძინება საქართველოსი, ყველა მხრიდან უცხო კაპიტალის და კაპიტალისტების“ განდევნით, კოოპერაციის საშუალებით; კერძო ვაჭრობისა - საზოგადოებრივით.

კოოპერაციების მოძრაობა ითვალისწინებდა: „შემოქმედ კოპერაციების“ - შექმნას, შემდეგ - „ფინანსიურის“ და მხოლოდ ნაწილობრივ - გამნაწილებელს“.

მთიულეთის - მეცხვარეობა „მწყემსის“ ხელმძღვანელი იყო შალვა ქარუმიძე. რაკი კოოპერატიულ მოძრაობაში ჩაიყოლიეს მეცხვარე - მწყემსები, მათ წიაღშივე ჩამოყალიბდა „მატყლის მონოპოლიაც“, რაც მატყლის შეძენას ითვალისწინებდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კოოპერატივები ერთ დიდ ამხანაგობაში იყვნენ გაერთიანებული და მისი პირველი თავმჯდომარე ივანე ციციშვილი გახლდათ. და მას „წარმოკავშირი“ ანუ „მწარმოებელ კოოპერატივების კავშირი“ დაერქვა.[1]

სწორედ, მთიულეთის - მეცხვარეობა - „მწყემსის“ წევრი გახდა 1922 წლიდან იასონ კერესელიძე, რადგან ეკონომიურად შეჭირვებულს მარტო წიგნის გამომცემლობითა და რეალიზაციით უჭირდა ცოლ-შვილის რჩენა. იგი თბილისში გრუზენშტენსკის ქუჩაზე მეულლესთან, პატარა ქალ-ვაჟთან ერთად და ასევე არასრულწლოვან ცოლის და-ძმასთან ერთად ცხოვრობდა.

ასევე გრუზენშტენსკის ქუჩის 7 სახლში მათთან ერთად ცხოვრობდა მამამისის მათე კერესელიძის უმცროსი ძმა ევგენი, რომელიც სახალხო საფინანსო კომისარიატში მუშაობდა და

[1] გაბაშვილი რ., „დაბრუნება“, ტ. 3, 1992 გვ. 186.

იყო ძველი ბუჰღალტერი. ობლად დარჩენილ ძმიშვილებს ევგენი დიდ ყურადღებას აქცევდა და მათ სწავლა-განათლებაზეც ზრუნავდა.

პროფესიით წიგნების გამომცემელი იასონ კერესელიძე პატიოსნად ასრულებდა ქართველთა შორის წერა-კითხვისა და წიგნების გამოცემა-გავრცელების საქმეს. იგი 1923 წლის 23 აპრილს მიცემულ ჩვენებაში ხაზგასმით აღნიშნავს: „რაც შეეხება ჩემს პარტიებში მუშაობას, არამგონია საქართველოში აღმოჩნდეს იმისთანა კაცი, რომელმაც სთქვას, რომ მე როდესმე პარტიებში მიმუშავია. ამას ვამბობ, არა იმიტომ რომ ჩემი სურვილია დავფარო ჩემი პარტიულობა, არამედ იმიტომ, რომ სრულიად გულწრფელად მსურს ვაღიარო ჩემი ნამოქმედარი თქვენს წინაშე, რათა ბოლო მოეღოს ამდენი ხნის გაუგებრობას ჩემსა და თქვენს შორის. მთავარი მიზეზი ჩემი აქამდის სიჩუმისა იყო ის, რომ არ მსურდა გამეხვია რამდენიმე პირი ხათაბალაში, რომელთა გავლენითაც და ჩემი ხათრიანობითაც ვმოქმედებდი მცირე საქმეებში“[1]

იასონ კერესელიძის ჩვენებების მიხედვით და დამოწმებით ვკითხულობთ შემდეგაც:„როდესაც საქართველოში გადატრიალება მოხდა, მე პირადად დიდრყევას განვიცდიდი, არ ვიცოდი რა ბედი ეწეოდა ჩვენს ქვეყანას და ხალხს, რომლის სამსახურსაც მთელი ჩემი ყმაწვილკაცობა და ენერგია შევალიე და სხვა სამსახური არამქონია იმის მეტი, როგორც მცირე და დამონებული ერის შვილი სულ მის უიღბლო მდგომარეობას დავსტიროდი. ჩემი შეხედულება ახალ მთავრობაზე გადატრიალების დროს და ეხლაც ესეთი იყო, რომ საქართველოში არსებული პარტიები და დანარჩენი ქართველობა მთავრობას უნდა შესთანხმებოდა რა გააღონიერებდა ჩვენს ქვეყანას. ეხლა გაცილებით უკეთეს პირობებში იქნებოდა ვიდრე ეხლა ვართ და არც ამდენი სისხლი და მსხვერპლი მოხდებოდა, რაც ისედაც მცირე ერს უდიდეს ზიანს აყენებს და მის ნაცვლად, რომ მამა-პაპათა მიერ გადმოცემული ანდერძი, რომ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს დაუძინებელ და მოსისხლე მტერ ოსმალთა და სპარსთა მიერ გატაცებულ ქართველობას (რომელიც მრავალთ არიან ოსმალეთში და სპარსეთში), რომელთა ნატვრაც არის უკან საქართველოში დაბრუნება ვცდილიყავით უკან საქართველოში დაგვებრუნებინა. ჩვენში არსებულ მოუსვენართა წყალობით უფრო და უფრო ვფანტავთ ჩვენი ქვეყნის შვილთ, რაც არამცთ თუ ამსრულებელია მამა-პაპათა ანდერძისა და მთელი ქართველი ხალხის სურვილისა. არამედ ასეთი მდგომარეობა ჰქმნის ისეთ პირობებს, რომ ჩვენი ქვეყნის შვილებს ვკარგავთ, საქართველოს გარეშე ქვეყნებში გარეკვითა და გადასახლებით. კარგათ ვიცი რომ ეს პირობები შეიცვლება, მთავრობის მიერ აღებული გეზი თავისას იზამს და ყველა ისინი, ვინც ამდენი ვაივაგლახის ამტეხნი და მიზეზნი არიან ქართველი ერისა და მისი სინდისის წინაშე პასუხს აგებენ“.[2]

იასონ კერესელიძე მართლაც არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. მისთვის პარტია იყო საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია. როგორც იგი იხსენებდა არაერთხელ დომებია სპირიდონ კედიასა და ვეშაპელს მისი პარტიაში გაწევრიანება.

„კაცო ნაციონალისტი კაცი ხარ მოდი ჩვენთან იმუშავეო. მაგრამ ნეიტრალური პიროვნება ვიყავი, საქართველოში არსებულ პარტიებს თანაბრად ვუყურებდი და ჩემთვის მიუღებელი იყო პარტიულ ჩარჩოში ჩაჯდომა“, - წერდა იასონ კერესელიძე.[3]

იასონ კერესელიძეს პიროვნებაზე ბევრს მეტყველებს აგრეთვე ერთი ასეთი ამონარიდი რეზო გაბაშვილის წიგნიდან: „მახსოვს, მცხეთაში რომ „პანიკად“ შეიქმნა ყველაზე წინ, შავი ნაბდით, და წითელი ცხენით უკან მიაჭენებდა რაფიელ ინგილო. (ივანიცკი) და თურმე იასონ კერესელიძე მისძახოდა: „სირცხვილი, სირცხვილი, სად გარბიხართ? სადა?“-ო და ორიოდე კაცილა ვამშვიდებდით და ვაწყნარებდით „პანიკიორებს“ უარესი არ მომხდარიყო, ერთმანეთი არ დაეჭყლიტათ, არ გაეთელათ. გაღმა ვ. გოგვაძეს ჯავშოშნოსანი სჭექდა, გამოღმა - ერთმა

[1] „მშვიდობით ძმებო გვხვრეტნენ ამაღამ!“, 2016, გვ. 225.
[2] იგივე, გვ. 226.
[3] იგივე, გვ. 226

მტვრიანმა ყუმბარამ, - ხალხი დააფრთხო. სად იყვნენ მაშინ ნაქები ენა - მჭერმეტყველნი! „მოწინავენი“... გაქცევაში“.[1]

ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ძმებიდან სამშობლოში შეხვდა იასონი, ვახტანგი და ლეო კერესელიძეები, ხოლო გიორგი კერესელიძე გერმანიაში ცხოვრობდა და საქართველოში საერთოდ არ ჩამოსულა.

იასონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც აქტიურობდა, რათა დაებრუნებიათ აჯანყების გზით დაკარგული თავისუფლება.

ასე რომ, პირდაპირ თუ ირიბად იასონს მაინც უხდებოდა სამშობლოში დარჩენილ მისი ძმების მეგობრებთან ურთიერთობა და მათი დავალებების აღსრულება. იგი თავის ჩვენებაში ასახელებს ალექსანდრე ასათიანს, რომელმაც თხოვა ოსმალეთში მყოფ ლეო კერესელიძის დაცვის თანამშრომელთან ვინმე სულეიმანთან შეხვედრა. ეს უკანასკნელი კი დაინტერესებული იყო ჯემალ ფაშას მკვლელობის ამბით. მასვე თხოვა ალექსანდრე ასათიანმა პოლკოვნიკ ნარიკელაძესთან შეხვედრა და სიტყვიერად დაავალა, რომ ამ უკანასკნელმა იასონ ჯავახიშილის თხოვნით 10 დღის განმავლობაში დაამზადოს ცნობები და დანარჩენი კი თავად იცისო.

1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციამ ხალხის მღელვარება გამოიწვია. მართალია, გამარჯვებამ დიდხანს ვერ გასტანა, მაგრამ ამ გამოსვლამ მთელი საქართველო გამოაფხიზლა. მოძრაობა თავდაპირველად ჯერ სვანეში დაიწყო.

გვემულმა ქვეყანამ ჯერ მშვიდობიანად სცადა მოეგვარებინა მდგომარეობა, მაგრამ როდესაც დაინახა ყველა საშუალება მოუსპეს, უკიდურეს ზომას აჯანყებას მიმართა.

1921 წლის გაზაფხულიდან იწყება შეიარაღებული პარტიზანული გამოსვლები, რომლებმაც თითქმის მთელი საქართველო მოიცვა.

კახეთსა და ხევსურეთში შეიარაღებულ გამოსვლებს სათავეში ჩაუდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი, ცხენოსანთა დივიზიის პირველი ასეულის უფროსი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი.

იგი სამეგრელოში დავით ჭავჭავაძესთან მოლაპარაკების შემდეგ თბილისში ხვდება ილია ჭავჭავაძის დისწულს, საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლს გენერალ კონსტანტინე აფხაზს და მოსალოდნელი ბრძოლების თაობაზე.

1921 წლის მაისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი და პოლკოვნიკი გიორგი თუხარელი თბილისში ხვდებიან სვანების წარმომადგენლებს - პოლკოვნიკ ნესტორ გარდაფხაძეს და მოესწრო დადეშქელიანს. გეგმის თანახმად პირველად გამოვიდოდნენ სვანები და ქუთაისს მოადგებოდნენ და როდესაც რუსული სამხედრო ძალები აჯანყების ჩასაქრობად გაეშურებოდნენ, ჩოლოყაშვილი თუშ - ფშავ - ხევსურებთან ერთად თბილისს შეუტევდა.

1921 წლის ივლისში ქაქუცა კახეთში ადგენს პარტიზანულ რაზმს - „საქართველოს შეფიცულები“. ქაქუცას ხელმძღვანელობით ქართლსა და კახეთში იქმნება რაზმები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

რუსებისაგან შევიწროებული სვანები 1921 წლის შემოდგომაზე იძულებული ხდებიან ნაადრევად დაიწყონ აჯანყება, რადგანაც ვერ ახერხებენ ქაქუცას შეფიცულებთან ერთად გამოსვლებს.

აჯანყებული სვანები სექტემბერში ბიძინა პირველის, მოესწრო დადეშქელიანის, ნესტორ გარდაფხაძის მეთაურობით ხელში იღებენ ძალაუფლებას და ამხობენ წითელი არმიის ნაწილებს. ამბოხებული სვანები თითქმის ნახევარი წელიწადი უმკლავდებოდნენ წითელი არმიის ნაწილებს, მაგრამ მარტონი აღმოჩდნენ და დამარცხდნენ.

ფშავ-ხევსურებიც ქაქუცას ხელმძღვანელობით ქიზიყიდან ტყეში გადიან. 1922 წლის აპრილში ერთი მიზნით ერთიანდებიან საქართველოში არსებული ეროვნულ- დემოკრატიული,

[1] გაბაშვილი რ., „დაბრუნება“ ტ.3, 1992, გვ. 337.

სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური, სოციალ-რევოლუციური პარტია და „სხიველები“. მათი გაერთიანებით ყალიბდება „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“.

ის მოიხსენიებოდა ასევე, როგორც „პარიტეტული კომიტეტი“ და „ინტერპარტიული კომიტეტი“.

ზემო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ტექსტი „დამკომის“ თავმჯდომარემ გოგიტა ფაღავამ 1922 წლის 5 მაისს პარიზში ნოე ჟორდანიას გაუგზავნა. 1922 წლის აგვისტოში „დამკომთან“ შეიქმნა გაერთიანებული სამხედრო ცენტრი, რომელიც კოორდინაციას უწევდა სამხედრო ოპერაციებს. მისი ხელმძღვანელები იყვნენ ჯერ ივანე ნარიკელაძე, შემდეგ კი დათა ვაჩნაძე.

აჯანყებისათვის მზადებას სამხედრო ცენტრი აწარმოებდა, რომლის შემადგენლობაში იყო თავმჯდომარედ - გენერალი კოტე აფხაზი. წევრები: გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი და პარტიზანული რაზმის უფროსად კახეთში პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ხოლო ქართლში მიხეილ ლაშქარაშვილი ინიშნებიან.

„დამკომის წევრები“ ვერ თანხმდებიან ერთდროულად გამოსვლისა და აჯანყების დაწყების დღეზე. მათ თელავიდან საქართველოს კათალიკოსი ამბროსი უთვლის, რომ გადაწყვეტილი აქვს მანაც მიიღოს ხალხის გამოსვლაში მონაწილეობა და თხოვს ეს ეცნობოს ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მასთან შეთანხმებით აჯანყება 27 სექტემბერს, ალავერდობის დღეს დაიწყოს.

„ამ დღეს მე ვიქნები ალავერდში და წმინდა ნინოს ჯვრით დავლოცავ და ვაკურთხებ მებრძოლ ქართულ რაზმებს და თვითონ გავყვები მათ ბრძოლაში. რჯულისა და ერისათვის სიკვდილი მწყურია. ვეღარ ვიტან ამ შეგინებულ, ნაძრახ ქართულ სიცოცხლესო,“ - უთვლიდა ქართველ მამულიშვილთა ბანაკს კათალიკოსი.

შეთანხმების მიუხედავათ 1922 წლის აგვისტოში მაინც იწყება აჯანყება კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. ჩოლოყაშვილის მეთაურობით მეამბოხენი დუშეთის ციხიდან ათავისუფლებენ პოლიტიკურ პატიმრებს. საბჭოთა რუსეთის არმიასთან შეტაკებისას ჩოლოყაშვილი ბრძოლის ველზე 80 მკვდარს ტოვებს. მთელი თბილისი პანიკას ეძლევა.

რუსული ჯარები და რუსოფილი ქართველი აგენტები აჯანყებულებისათვის ყოველგვარი დახმარების საშუალებას წყვეტენ.

1921 წლის შემოდგომას საქართველოში ოკუპანტი რუსების წინააღმდეგ ყველა პარტიები გაერთიანდნენ და დაარსეს გაერთიანებული ორგანო „დამკომი“ (დამოუკიდებელი კომიტეტი). მასში შედიოდნენ შემდეგი პოლიტიკური პარტიები: საქართველოს სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, სოციალ-რევოლუციონერთა პარტია და „სხიველები“. თავდაპირველად „დამკომს“ თავმჯდომარეობდა ნ. ქარცივაძე, ხოლო 22 წლის შემდეგ - კ. ანდრონიკაშვილი.

საერთო კომიტეტის პარალელურად საზღვარგარეთაც დაარსდა საერთო კომიტეტი იმავე პარტიული შემადგენლობით, რომელსაც დიპლომატიური მუშაობა ევალებოდა უცხოეთში.

თბილისში დამკომის ხელმძღვანელობით დაარსდა შემდეგი კომისიები: 1. წითელი ჯვრის, 2. ფინანსიური, 3. სარედაქციო და 4. სამხედრო.

თითოეულ მათგანს თავიანთ დარგში მუშაობა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბება ევალებოდა.

აჯანყებისათვის ხალხის დარაზმვა ორ მხრივ წარმოებდა: 1. პოლიტიკური პარტიების ორგანიცაზიების აღდგენას „დამკომში“ შესული პარტიების წარმომადგენლები აწარმოებდა. ხოლო 2. ქართველი ხალხის მხედრულად დარაზმვასა და აჯანყებისათვის მომზადებას კი სამხედრო ცენტრი ასრულებდა, რომელიც 1922 წლის მარტში შემდეგი შემადგენლობით ჩამოყალიბდა: თავმჯდომარე გენერალი კოტე აფხაზი, წევრები: გენერალური შტაბის გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარლამ წულუკიძე, პოლკოვნიკი გოგი ხიმშიაშვილი და პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი (ქართული მეორე დივიზიის შტაბის უფროსი).

პარტიზანული რაზმის უფროსად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი კახეთში პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი დაინიშნა, ქართლში კი მიხეილ ლაშქარაშვილი.

1922 წლის აგვისტოში კახეთსა და ხევსურეთში აჯანყება მაინც მოხდა. მართალია, ის სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ საქართველოს პატრიოტებმა გმირულად იბრძოლეს. დამარცხების მიუხედავად ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1922 წლის 12 მარტს თავის მომხრეებთან ერთად, იძულებული იყო ტყეში გახიზნულიყო და იქიდან ეწარმოებინა ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საბჭოური დაზვერვა ყოველნაირად ცდილობდა მოეპოვებია ინფორმაცია ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის საქმიანობის, სამომავლო გეგმების თაობაზე, რისთვისაც საიდუმლო აგენტებს აგზავნიდა მისი გარემოცვის შესასწავლად. სწორედ, ამ საიდუმლო აგენტების მსხვერპლი გახდა იასონ კერესელიძე, რომელიც ყოველთვის იქ იდგა, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა.

იასონ კერესელიძის 1923 წლის 12 მაისის ჩვენებით ჩანს, რომ იგი „გაერთიანებული იყო საზოგადოება „მწყემსში", სადაც „მე ვმუშაობდი. ის და ცისკარაული „მწყემსში" ჩასაწერად მოვიდნენ. თავიდან ერთმანეთი ვერ ვიცანით, შემდეგ მე ვიცანი და მანაც გამიხსენა. არაბული ჩემი ოთახიდან გავიდა. გიგო არაბულს 1922 წლიდან ვმეგობრობდი. იგი კორიდორში ცისკარაულთან ლაპარაკობდა, როდესაც მე გამოვედი და მან მითხრა, რომ „მწყემსის" გარდა კიდევ სხვა საქმეც ჰქონდათ და რადგან ჩემ გარდა თბილისში სხვა ნაცნობი ვერ ნახეს, მთხოვეს, ალექსანდრე პაპიაშვილის რესტორანში წავყოლოდი და მათთვის მომესმინა." [1]

1922 წლის 3 ნოემბრის ჩვენების თანახმად იასონ კერესელიძემ საქმესთან დაკავშირებით აჩვენა შემდეგი: კითხვაზე რა ურთიერთობა გვქონდათ ხევსურებთან, რომლებთან ერთადაც რესტორანში იყავით? იასონ კერესელიძის პასუხი ასეთია: „ხევსურებს საერთოდ არ ვიცნობდი, ისინი მეცხვარეებად გავიცანი და მათთან კარაქის შესახებ მქონდა საუბარი, რომლის გაცვლაც უნდოდათ ტანისამოსსა და მარილზე. რაც დავპირდი, იმიტომ რომ თავად ვიყავი ამით დაინტერესებული. მე ვთხოვე ფულის სესხება გ. მაღალოვს, რომელიც, სავარაუდოდ, კადეტის ქ. 4 ან 6-ში ცხოვრობს, რომ მეყიდა ხევსურებისგან კარაქი, რათა მისი ყიდვა-გაყიდვით ცოტა ფული მომეგო და ამით ცოტახენი თავი მერჩინა. ისინი მართლაც წავიყვანე რესტორან „პურ-ღვინოში"... არანაირი კავშირი ხევსურებთან არ მქონია, გარდა კარაქზე საუბრისა და მათი ამხანაგობა „მწყემსში" გაერთიანების სესახებ, რომლის წევრიც მე გახლავართ. გარდა ამისა, შემიძლია დავამატო, რომ იმის ნაცვლად ჩამედინა დანაშაული, რომელსაც მე მაბრალებთ, პირიქით, უკვე დავწერე ახსნა-განმარტება საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის, ოკუჯავას სახელზე, რომ მოეცათ ჩემთვის უფლება, წავსულიყავი ხევსურეთში და შემერიგებინა შეიარაღებული გაქცეული ხევსურები. ამ საკითხზე ხევსურებსაც ველაპარაკე, რომ რაც შეიძლება სწრაფად მომხდარიყო მათი შემორიგება. გარდა ამისა, ხევსურეთში ბევრი მეგობარი და ნაცნობი მყავს, რომელთა დახმარებითაც შევძლებდი საქართველოსთვის მხოლოდ სარგებელი მომეტანა და რასაც არანაირი კავშირი არ აქვს იმ ბრალთან, რომელსაც მიყენებენ, კერძოდ, ბანდიტებთან კავშირს. იასონ კერესელიძე ამავე დაკიხვის ოქმის მიხედვით ორ კითხვაზეც სცემს შემდეგ პასუხს:

„- რას იტყვით ჩოლოყაშვილის წერილის შესახებ, რომელიც არაბულს უპოვეს?

- წერილის შესახებ არაფერი ვიცი, მხოლოდ ვნახე, რომ საქართველოს საგანგებო კომისიაში მას ჩამოართვეს წერილი და თქვეს, რომ ჩოლოყაშვილისგან იყო.

- კიდევ რა შეგიძლია დაამატოთ თქვენს ნათქვამს?

- ვიმეორებ, სათქმელი არაფერი აღარ მაქვს და თავს დამნაშავედ არ ვცნობ. იმის ნაცვლად, რომ მომეტანა სარგებელი საბჭოთა საქართველოსთვის და ხევსურები

[1] „მშვიდობით ძმებო, გვხვრეტენ ამაღამ! 2016, გვ. 232.

მთავრობისთვის შემომერიგებინა, დამაპატიმრეს და მთელი ეს დრო უდანაშაულოდ ვიმყოფები ციხეში, მაშინ, როდესაც შემეძლო სარგებლის მოტანა.“[1]

- საქმეში არსებული დოკუმენტების მიხედვით პატიმრები გადაყვანილი იქნა „ზაკჩეკაში“, სადაც იასონ მათეს ძე კერესელიძე გაძლიერებული დაცვით საკანში მარტო მოათავსეს. ასევე ცალ-ცალკე მოათავსეს ორი ხევსური მიხეილ ზურაბის ძე არაბული და დიმიდრი დავითის ძე ცისკარაული.

იასონ კერესელიძის საქმის შემდეგომი მსვლელობისას გაირკვა, რომ მის ოჯახში 1922 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს საგანგებო კომისიის მიერ გაცემული 5169 ორდენის მიხედვით ჩეკას კომისარმა გრუზენშტეინსკის 7 მდებარე კერესელიძის ბინაში ჩაატარა ჩხრეკა და ამოიღო ოფიცრის სამხრეები, სხვადასხვა მიმოწერა, ვაზნები, ფოტოსურათები და რუკები. ჩხრეკისას ასევე აღმოაჩინეს მოწმობა, რომ იგი იყო მეცხვარეთა ამხანაგობის წევრი და საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს N54 (წევრი). და, რაც მთავარია, დაპატიმრების დროს იპოვეს შემდეგი სახის მოწმობა: „ამის წარმომდგენი ამხ. იასონ კერესელიძე არის ნამდვილათ კახეთის წითელი პარტიზანული რაზმის უმწყობრო გუნდის უფროსის თანაშემწე, რომელიც იმყოფება პირველ საარტილერიო დივიზიონთან, რასაც ვამოწმებ ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით.“

კონკრეულად იასონ კერესელიძე არც ერთი პარტიის წევრი არ ყოფილა. მისთვის პარტია იყო საქართველოს დამოუკიდებლობა და დემოკრატია. იგი საქართველოში არსებულ პარტიებს თანაბრად უყურებდა და მისთვის მიუღებელი იყო პარტიულ ჩარჩოში მოქცევა. მიუხედავად ამისა მას პირდაპირ თუ ირიბად მაინც უხდებოდა სამშობლოში დარჩენილ მეგობრებთან ურთიერთობა და მათი დავალების შესრულება. საბჭოთა დაზვერვა ყოველნაირად ცდილობდა მოეპოვებინა ინფორმაცია ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის საქმიანობაზე. რისთვისაც საიდუმლო აგენტებს აგზავნიდა ჩოლოყაშვილის გარემოცვის შესასწავლად.

სწორედ, ამ საიდუმლო აგენტის მსხვერპლი გახდა იასონ კერესელიძე, რომელიც ყოველთვის იდგა იქ, სადაც საქართველოს ბედი წყდებოდა.

არაადამიანური წამებისა და ზეწოლის შემდეგ იასონ კერესელიძეც 1923 წლის 21 მაისს ვაკის პარკის ტერიტორიაზე 14 თავდადებულ მამულიშვილთან ერთად დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის იასონ კერესელიძე რიგით მე-13 გახლდათ და მისი დაპატიმრება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე დანარჩენი „დამკომის“ წევრებისა.

განაჩენი სისრულეში 24 საათში იქნა მოყვანილი. „15 ქართველი ვაჟკაცის „დანაშაული“ სამშობლოს სიყვარული და საქართველოსთვის ბრძოლა იყო. ის, რასაც საბჭოთა ხელისუფლება „ბანდიტურ მოძრაობას“ და მუშურ-გლეხური სახელმწიფოს „ღალატს“ უწოდებდა, სინამდვილეში, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო.

ზვარაკად შეწირულმა 15-მა ქართველმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ისინი „უშიშნი იყვნენ“ და სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ამაყობდნენ იმით, რომ „ვკვდებით, როგორც შეშვენის ნამდვილ ქართველს“-ო, „გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს, მშვიდობით ძმებო! გვხვრეტენ ამაღამ“, - ხმამაღლა ყვიროდა სიმონ ბაგრატიონ მუხრანსკი და მის სიტყვებს მოჰყვა თურმე იასონ კერესელიძის მძლავრი ხმით დაწყებული დამოუკიდებლობის ჰიმნი „დიდება“, რომელსაც აყვნენ სხვებიც.

ბუნებრივია, იდეისათვის თავგანწირულ მამულიშვილებს ღრმად სწამდათ, რუსთაველის უკვდავი სიტყვები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

„სამხედრო ცენტრის“ საქმეზე დაპატიმრებულები 1923 წლის 21 მაისს, გამთენიისას, 4 საათსა და 30 წუთზე დახვრიტეს.

და, დღესაც, ამ ფაქტიდან საუკუნის გასვლის შემდეგაც „სამხედრო ცენტრის“ საქმეზე სახელი და დიდება კვლავ ნათლითაა მოსილი.

---

[1] იგივე, გვ. 174.

Mariam Marjanishvili
Kutaisi State Historical Museum

IASON KERESELIDZE – 13-TH IN A ROW

RESUME

"Georgian race is inflamed with knightly blood. This is neither a simple word nor a simple self-praise. "The history of Georgia has always been governed by the pathos of chivalry, which is an integral part of our national profile," said Grigol Robakidze.

A large part of Georgians gifted with this chivalrous spirit could not reconcile with the occupation of Georgia by Soviet Russia. While one part of the independent and democratic Georgia went abroad with the aim of restoring Georgia's independence through international law, those who remained in the homeland decided to implement this act by fighting under the command of General Kote Abkhazi. For this purpose, in the fall of 1921, an independent committee ("Damkom") was established in Georgia to act against Russia.

It is true that the goals and hopes of the chosen Georgians could not be justified, as arrested for the "Military Center" case, they were shot on May 21, 1923, at 4:30 in the morning. But despite the passing of a century, the immortal heroism of those 15 shot dead, who did not kneel and hummed the anthem of independence "Glory" under the leadership of Iason Kereselidze in jail, still lives forever in the nation's memory.

Iason Kereselidze, the 13th among those shot, was the elder brother of Leo and Giorgi Kereselidze, members of "White Giorgi", for whom freedom was fully closed for the evil and abundantly open for the good.

ზურაბ ოქროპირიძე
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შიდა ქართლის ტბელი ერისმთავრები კლდეისის ეკლესიის სამშენებლო წარწერებში

სოფელი კლდეისი ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. იგი მდინარე ხრამის მარცხენა შენაკადის – კლდეისის წყლის მარჯვენა მხარეს საკმაოდ მაღალ ადგილზე, ზღვის დონიდან 1380 მეტრზეა გაშენებული. სოფელი ადრე ორ – დიდ და პატარა კლდეისად იყოფოდა. პატარა კლდეისს ძველად ხორხებს, ასევე ქეშელას.[1] დიდ კლდეისს კი – კლდეისარს უწოდებდნენ.[2] ორივე ტოპონიმი ზუსტად შეესაბამებოდა ამ დასახლების რელიეფს – ადგილმდებარეობას. იგი კლდოვანი აგებულების, ასევე სტრატეგიული მნიშვნელობის გამო მთელი ხეობის კრებსით სახელად მოიაზრებოდა, რისთვისაც დაერქვა კიდეც ხევს (მდინარეს) მისი სახელი.

კლდეისის წარსულით ჩემი გვარის ისტორიის კვლევისას დავინტერესდი. ქვემო ქართლის ეს სოფელი ერთ-ერთია იმ დასახლებათაგან, რომელშიც ჩემი მშობლიური სოფლიდან – დისევიდან (პატარა ლიახვის ხეობა) მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში გახშირებული ლეკიანობის გამო ოქროპირიძეთა ერთი ნაწილი გადმოსახლდა.

მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ეს მიდამო ბაღვაშთა საგანმგებლო არეალს წარმოადგენდა. კლდეისი მოხსენიებულია 1543 წლის ქართლის მეფის, ლუარსაბ I განჩინებაში ბარათაშვილთა გაყრის საქმეში, რომლის მიხედვით კლდეისი თავადებს – ფარიშად და გიორგი ბარათაშვილებს გადაეცათ.[3] კლდეისი და ხორხები ერთმანეთის გვერდით იხსენიებიან იოანე ბაგრატიონის "ქართლ-კახეთის აღწერაში".[4] ამავე პრინციპით არიან ისინი განლაგებულნი ვახუშტის მიერ შედგენილ რუკაზე. 1721 წლის ქვემო ქართლის აღწერით დიდი და პატარა კლდეისი ითვლებოდა მებატონე თამაზ ყარაბუდახიშვილის მიწებად (აღწერის მიხედვით დიდ კლდეისში უცხოვრია ხუთ ოჯახს, პატარაში – ორს).[5] კლდეისის გეოგრაფიულ მდებარეობასა და მის სიძველეებს თავის შრომაში ეხება ვახუშტი ბატონიშვილი. იგი ყურადღებას ამახვილებს პატარა კლდეისის (ხორხების) განვითარებული შუა საუკუნეების ხანის ციხესა და ე.წ. საყინულეზე. მეცნიერი ახსენებს რა კლდეისის ხევს (ამ შემთხვევაში მდინარეს, კლდეისის წყალს, რომელიც, როგორც ითქვა, ხეობაში შემავალი სოფლების გამაერთიანებელი სახელი-ტოპონიმია), აღნიშნავს, რომ იგი ერთვის ქციას და „გამოვალს ბენდერის გამოკიდებულს მთასა. ხორხებს არს ქუაბი კლდისა, რომელ არს ზამთარ თბილ, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ. მას წყაროს ჰყინავს და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი. ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის. ამის დასავლით არს ციხე, და არა არს აქაცა ვენახნი და ხილნი..."[6] კლდეისში მდებარეობს საქართველოში ერთ-ერთი უძველესი წმინდა გიორგის ეკლესია (V- VII საუკუნეები). ასევე ხორხების მიდამოებში, საყინულესაკენ მიმავალი გზის სიახლოვეს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი დიდი, დაუმუშავებელი ქვებით ნაგები ნამოსახლარები. გადმოცემით მას თავდაცვითი ზღუდე ერტყა გარს. ცხადი ხდება, რომ კლდეისსა და მის მიმდებარე ტერიტორიებს ქვემო ქართლის ამ მხარეში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებდა მასზე გამავალი მეტად მოხერხებული სამშვილდის

---

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, VII, თბ., 1984, გვ.708;
[2] ქ.ს.ე, III, 1978, გვ 525;
[3] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.IV, თბ., 1972, გვ. 33;
[4] იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა,1986, გვ. 50;
[5] იასე ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, წ. II, თბ., 1938, გვ. 91;
[6] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, თბ.,1973, გვ. 321-322;

თრიალეთთან დამაკავშირებელი გზა. იგი ასახვას ჰპოვებდა მხარის დასახლებების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. აღნიშნული გზა „ქედ-ქედ მიდიოდა, გაუვლიდა წმინდა გიორგის ეკლესიას და ქციაზე ჩადიოდა... აქედან კლდეისში შეიძლებოდა ასვლა".[1] საჭიროების შემთხვევაში სამშვილდე-თრიალეთის გზას საიმედოდ კეტავდა სოფლის დასავლეთით მდებარე ვახუშტის მიერ ზემოთ ნახსენები ციხე-სიმაგრე.

განსაკუთრებული ინტერსის აღმძვრელია დიდი კლდეისის შუაგულში მდგარი X საუკუნის ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია. მოგვიანებით მისთვის სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან პატარა სამლოცველოები მიუშენებიათ. აღნიშნული ტაძარი და სოფლის სხვა სიძველეები 5-6 წლის წინ კლდეისში სტუმრობის დროს მოვინახულეთ. ეკლესია ძლიერ დაზიანებული იყო. მისი ეზო კედლებიდან ჩამოშლილი მასალით, მათ შორის ჩუქურთმიანი და ორნამენტიანი ქვებით იყო მოფენილი. ტაძარი რესტავრაციის გამო ხარაჩოებში იყო ჩასმული (დღეისათვის იგი აღდგენილია). კლდეისელმა მასპინძლებმა, იქ მყოფმა მეცნიერ-რესტავრატორებმა მიამბეს ნაგებობის კედლებზე, ასევე ძირს ჩამოყრილ ქვებზე არაერთი სამშენებლო წარწერის შესახებ. მართლაც, სამხრეთი კარის თავზე დადებული ბალავრის ქვის (რომლის მარცხენა ნახევარი ჩამონგრეული იყო) გარდა, წარწერების კვალი შეიმჩნეოდა აღმოსავლეთის კედელზეც. სამწუხაროდ, მკვლევარ ნ. შოშიაშვილის მიერ გამოცემულ „ქართული ლაპიდარული წარწერების" პირველ ტომში (1980) კლდეისის ეკლესიის წარწერები ვერ მოხვდა. თუმცა, საინტერესო აღმოჩნდა გასული საუკუნის დასაწყისში ქვემო ქართლში სიძველეთა შესწავლის მიზნით ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობა და იქ ნანახ-განცდილის ამსახველი პუბლიკაციები. მეცნიერზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ღვთისმშობლის ტაძრისა და კლდეისელების შეჭირვებულ მდგომარეობას. თავის რუსულენოვან წერილში იგი მიმოიხილავს ადგილობრივთა ყოფას. წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი ეკლესიის შესახებ წერს: „სოფლის ცენტრში არის ძველი ეკლესია... სიგრძე 15 არშინია, სიგანე – 17. აქვს ერთი კარი სამხრეთიდან... მთავარი ეკლესიის კედლები შედარებით გადარჩენილია... კარები და თაღოვანი სარკმელები ლამაზი ჩუქურთმებითაა მორთული. კედლებიდან ჩამოცვენილი ქვები იქვე ყრია... სამხრეთი კარის თავზე დევს დიდი ბალავრის ქვა სიგრძით 3 არშინი, სიგანით – მისი ნახევარი. მასზე დახვეწილი ორნამენტებია გამოსახული. მაღლა ნახევარ წრეს უვლის ყურძნის ლერწები, დაბლა – შუაში, დიდი ჯვარია. ქვის მარცხნივ და მარჯვნივ ხუცური წარწერებია. ეტყობა, ეკლესიას ბევრი წარწერები ჰქონდა, მაგრამ ყველა ვერ შემოინახა კედლებმა..."[2] მიუხედავად რთული პირობებისა, მეცნიერმა შეძლებისდაგვარად მოახერხა გადარჩენილი წარწერების წაკითხვა, რაშიც იქაურ ოქროპირიძეთა გადმოცემით, დიდი დახმარება გაუწევიათ მათ წინაპრებს. ექვთიმესეული წაკითხვით სხვა პირებთან ერთად იხსენიებიან ივანე ერისთავთ-ერისთავი, ქავთარ ტბელი და სპირიდონ დაღუდი. აღნიშნულ პირთა მოსახსენიებლები სხვათაგან განსხვავებით ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე – სამხრეთი კარის თავზე უნაკლო მხატვრულობით გაფორმებული თაღისა და ბალავრის ქვაზე გამორჩეული ხელწერითაა ამოკვეთილი, რაც აშკარად მეტყველებს დასახელებულ ინდივიდთა განსაკუთრებულობაზე. ყველაზე საპატიო – სატრიუმფო თაღზეა შესრულებული ივანეს მოსახსენებელი (წარწერა თაღის მარჯვენა მხარესაა, იგი ყველაზე კარგადაა შემონახული. მოსახსენიებელი ჩვენი იქ ყოფნის დროსაც კარგად იკითხებოდა. მარცხენა ნაწილი, როგორც ითქვა, განადგურებულია): „ქ˜ე შ˜ე ჲვ˜ნე" („ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ჲვ(ა)ნე"). სპირიდონ დაღუდის (მკვლევრის ვერსიით) მოსახსენიებელი, როგორც ექვთიმე წერს, კარის თავზე დადებული ბალავრის ქვის შუაში ამოკვეთილი დიდი ჯვრის მარცხნივაა, ქავთარ ტბელისა კი – მარჯვნივ:

„ქ˜ე შ˜ე სპ˜ნდ˜ღდ

[1] დევი ბერძენიშვილი, ნარკვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014, გვ.95;

[2] Е. Такайшвили, Археологическія экскурсіи, разисканія и замъетки, выпускъ IV, Тфл., 1913, стр. 116-120.

“ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე სპ(ირიდო)ნ დ(ა)ღ(უ)დ”

„ქ˜ე შ˜ე ქვ˜თ˜რ

“ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ქ(ა)ვთ(ა)რ ტბ(ე)ლნი.

კიდევ ერთი წარწერა, რომელიც ექვთიმეს კედლიდან ჩამოქცეული ქვებიდან ამოუკითხავს, ამტკიცებს, რომ ტაძარი ერისთავთ-ერისთავს ივანეს აუშენებია: „ქ სხ˜ლითა ღ˜ათა, მებ˜თა წ˜სა ღმ˜ შბ˜ თა აღვაშენე ესე ეკლეს˜ჲ [გლეთ]? ივ˜ნე ე˜ ე˜ მან...”

„ქ ს(ა)ხელითა ღ(მრთის)ათა, მე(ოხე)ბ(ი)თა წ(მიდი)სა ღმ(რთი)შ(ო)ბლ(ისა(თა აღვაშენე ესე ეკლეს(ია)ჲ [გლეთ]? (ხომ მარ უნდა იყოს ტბელ? ზ.ო.) ივ(ა)ნე ე(რისთავთ) ე(რისთავ)-მან”.[1] ექვთიმეს მიერ ამოკითხული სახელები – ივანე, ქავთარ, ქარაგმა – სპ˜ ნდ˜ ღდ და მათი გამაერთიანებელი მრავლობითის ფორმა – ტბელნი, უთუო კავშირში უნდა იყვნენ შიდა ქართლის ამავე ეპოქის ტაძრების – ერედვის წმ. გიორგის, ტბეთის ბორცვისჯვრის, დოდოთის ცხრაკარასა და სხვათა წარწერებთან. საქმე გვაქვს შიდა ქართლის მფლობელ ტბელთა ფეოდალური სახლის ცნობილ წარმომადგენლებთან, რაც ერთგვარ სიურპრიზად წარმოჩნდება. გამოდის, რომ ტბელები არა მარტო შიდა ქართლში უფლობენ, არამედ მათი ძალაუფლება იმავდროულად ქვემო ქართლშიც – სამშვილდის მიმდებარე ტერიტორიებზეც ვრცელდება. ეს ფაქტი ტბელ ფეოდალთა გავლენას კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს სძენს. უდავოა, რომ კლდეისის ორივე წარწერის ივანე ერისთავთ-ერისთავი ერთი და იგივე პიროვნებაა. იგია ტაძრის ამგები, ქავთარ I ტბელის ძე, ტბეთის ბორცვისჯვრისა და სხვა ტაძართა მაშენებელი, შიდა ქართლის უფალ-გამგებელი და პატრიკიოსად წოდებული, ტბელთა ფეოდალური სახლის მამამთავარი X საუკუნის შუა წლებში. შიდა ქართლის ეკლესიების წარწერებში ივანე ტბელის სახელი მრავალგზის გვხვდება: ერედვში - „ქართლის უფალი” (ეს იოანე I ტბელია), დოდოთში – ერისთავი, ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიის კედლებზე – X საუკუნის შუა წლებში, როგორც ცოცხალი – ეკლესიის მაშენებელი და ბალავრის დამდები, მეორე ნახევარში – როგორც გარდაცვლილი, პატრიკ ტბელი. მკვლევარი ნ. შოშიაშვილი დოდოთის სამშენებლო წარწერასაც ერედვის ეკლესიის მთავრი წარწერის მსგავსად 910-იანი წლებით ათარიღებს და მათში მოხსენიებულ „ქართლის უფალსა” და ივანე ერისთავს ერთი და იგივე პირად თვლის.[2] ამ მოსაზრებას არ იზიარებს აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე. იგი ფიქრობს, რომ დოდოთის წარწერა გვიანდელია, კლდეისის წარწერების თანადროულია და ორივე X საუკუნის 50-70-იან წლებშია შესრულებული. შესაბამისად, მკვლევრის დასკვნით, დოდოთისა და კლდეისის ეკლესიათა კედლებზე ამოტვიფრული ორივე ივანე ერთმანეთის იდენტურია. ზაზა ალექსიძის ვერსიით, ამავე პერიოდს ეკუთვნის წორბისის (ქვის) ეკლესიის წარწერაც და მასში მოხსენიებული ივანეც იგივე პიროვნებაა.[3] ჩვენი აზრით, ასევე ტოლობის ნიშანი უნდა დაისვას ტბეთისა და კლდეისის ეკლესიების წარწერებში მოხსენიებულ პატრიკ ტბელსა და ერისთავთ-ერისთავ ივანეს შორის. რაც შეეხება მის მამას – ქავთარ I ტბელს, მას დოდოთის ცხრაკარას წარწერებიდან ვიცნობთ, რომელიც დათარიღებულია 914 წლის ახლო ხანებით. სავარაუდოდ, იგი ძეა ან ძმისშვილი ერედვის წმინდა გიორგის ეკლესიის ვრცელი წარწერის მთავარი გმირის – X საუკუნის პირველი ათწლეულების ქართლის უფალ იოანე I ტბელისა.

ზემოთ აღნიშნული იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ტბელთა ფეოდალური სახლის გავლენები X საუკუნის დასაწყისიდან თანდათან ძლიერდება და იგი სცდება შიდა ქართლის ფარგლებს. ტბელთა ძლიერება პიკს აღწევს აღნიშნული ასწლეულის შუა და შემდგომ წლებში (80-იან წლებამდე), რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ ფეოდალური სახლის თავკაცს იოანე მეორე ტბელს, რომელიც ქვემო ქართლის ნაწილის მფლობელადაც გვევლინება. მისი შვილები არიან კლდეისის ეკლესიის კარის თავზე მოხსენიებული ქავთარ ტბელი და

---

[1] Е. Такайшвили, Археологическія экскурсіи, разисканія и замъетки, выпускъ IV, Тфл., 1913, стр. 116-120.

[2] ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი I, თბ., 1980, გვ. 175.

[3] ზ. ალექსიძე, ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო, ანალები, 2011, N1, გვ. 29-50;

ექვთიმეს მიერ სპირიდონ დაღუდად წაკითხული პირი. პირველი საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ქავთარ II უნდა იყოს – ქართველ დიდებულთა წინამძღოლი მეფე ბაგრატ III-თან ბრძოლაში. მკვლევარ ვ. თოფურიას ცნობით, ასევე მისი ძეები იყვნენ ოქროპირი და დავითი. მისეული წაკითხვით ტბეთის ბორცვისჯვრის აღმოსავლეთ ფასადზე ამოტვიფრულ მოსახსენიებლებში ივანე ტბელის ძეთა სახელები ასე თანმიმდევრობს: „ჯუ(არ)ო ბ(ო)რცვის(ა)ო ა(დი)დენ შვ(ი)ლნი მ(ა)თნი! ოქრ(ო)პ(ი)რ, სპდ˜ღდ, დ(ა)ვ(ი)თ, ქ(ა)ვთ(ა)რ![1] როგორც ვხედავთ, ორივე – კლდეისისა და ტბეთის წარწერებშიც იოანე ტბელის ერთ-ერთი ძის სახელი (სპდ˜ღდ) თითქმის მსგავსი ქარაგმებითაა გამოსახული. მისი სწორად წაკითხვა ჩვენს დრომდე ვერავინ შეძლო. მკვლევრები ამ ქარაგმის გასწვრივ კითხვის ნიშანს სვამდნენ (ნ. შოშიაშვილი, ვ. თოფურია...). ყველაზე ახლო მის გახსნასთან ექვთიმე თაყაიშვილი მივიდა, თუმცა ზაზა ალექსიძის თქმით, შეცდა - ვერ დაუშვა, რომ ესოდენ რთულ ქარაგმაში ქართულისთვის უჩვეულო სახელი იმალებოდა. მან ფონემათა ჯგუფი ორ ერთეულად გაყო: პირველი – სპ˜ნ, სახელად, სპირიდონად, მეორე კი – დ˜ღდ - გვარად, დაღუდად მიიჩნია. ასეთმა წაკითხვამ წარწერის შინაარსობრივ-ენობრივი შეუთანხმებლობა გამოიწვია. ამომკვეთი ივანე ტბელის ძეთა სახელებს კვეთდა, ამიტომ ბოლოში მრავლობითის ფორმას - „ტბ˜ ლნ˜ ი“ ურთავდა. ექვთიმეში, რადგან იგი დაღუდს ქავთარის ძმად (ტბელად) არ მოიაზრებდა, კითხვას აჩენდა რატომ სვამდა ავტორი გვარის მნიშვნელობის აღმნიშვნელ სიტყვას მრავლობითში. ხსენებული თავსატეხის ამოხსნას ხელი შეუწყო 2008 წელს სირიაში ბიზანტიური ციხე-სიმაგრე ბალატუნუსის ერთ-ერთი ბურჯის ნანგრევებში აღმოჩენილმა ორენოვანმა ქართულ-ბერძნულმა წარწერამ. აკად. ზაზა ალექსიძის ინფორმაციით, ორივე ტექსტის ფოტომასალა სათანადო გამოკვლევით ახლო აღმოსავლეთის (დამასკოს) ფრანგულა ინსტიტუტის კოლეგა-მეცნიერს ჟულიენ ალიკოს ქართული ასომთავრული წარწერის წაკითხვის მიზნით მისთვის გამოუგზავნია. ტექსტის ბერძნული ვარიანტი უკეთ ყოფილა შენახული, ქართული კი – ძლიერ დაზიანებული. ფრანგი მეგობრისთვის გარკვეული რჩევების მიცემისა და ორივე ვარიანტის ურთიერთშეჯერების შემდეგ ქართველმა მკვლევარმა ბერძნული წარწერის ქართული ვერსია ასე ჩამოაყალიბა: „ღმრთის შეწევნით, ეს ღვთივკურთხეული კასტრონი (ციხე-სიმაგრე ზ. ო.), რომელიც უკეთილშობილესმა კატეპანმა ნიკეტასმა, პატრიკიოსმა და ანტიოქიის რექტორმა მტრულ ბარბაროსებს ხელიდან გამოსტაცა ქრისტესმოყვარე რომანოსისა და ზოიას მმართველობის დროს, აშენებულ იქნა პატრიკიოსისა და ლაოდიკეის სტრატეგოსის სპანტაგუდე ტეპელის ძის მიერ ივნისის თვეში, ინდიქტიონი 14, სამყაროს შექმნიდან წელსა 6539“ (რომაული წელთაღრიცხვით – 1031 წ.).[2] მეცნიერის განმარტებით, ქართული თარგმანის საკუთარი სახელი სპანტაგუდე ბერძნული ტექსტის „სპანტაგოუდჰ“ - მე-11 საუკუნის „ბიზანტიური ბერძნულის და ქართული ენის ფონეტიკური თავისებურებების გათვალისწინებით ქართულად შესაძლებელია გადმოიცეს ასეთი ფორმებით: სპანტაღუდი, სპანდაღუდი, სპანტაღუტი... მე გადმოვეცი „სპანტაღუდი“ ფორმით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ქართულისთვის... „ტეპელი“ // „ტიპელი“, რა თქმა უნდა, ბიზანტიური გამოთქმაა ქართული ანთროპონიმისა „ტბელი“.[3]

რაც შეეხება მნიშვნელოვნად დაზიანებულ ქართულ წარწერას, რომლის უმეტესი სიტყვაც ქარაგმული იყო, მკვლევარს მისი აღდგენა ბერძნული ტექსტის გამოყენებით მოუხერხებია: „ესე ვითა ზ(ე)მო ბ(ე)რძ(უ)ლ(ა)დ სწ(ე)რია, მე, პ(ა)ტრ(ი)კმ(ა)ნ სპ(ა)ნტ(ა)ღ(უ)დ ტბ(ე)ლ(ი)ს ძ(ე)მ(ა)ნ, ავ(აგ)ე ხუთი ესე ციხე შ(ე)წ(ე)ვ(ნითა) ღ(მრ)თ(ი)-სათა. მე, პ(ა)ტრ(ი)კმ(ა)ნ და

[1] ვ. თოფურია, შიდა ქართლში დაცული ზოგიერთ სიძველეთა წარწერები, საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 134;
[2] ზ. ალექსიძე, ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო, ანალები, 2011, 1, გვ. 33.
[3] იქვე, გვ. 33-34. ჩვენი აზრით ტბეთისა და კლდეისის წარწერების გათვალისწინებით, უფრო სწორი ფორმა უნდა იყოს სპანდაღუდი, რადგან ქარაგმებში, ორივეგან დ თანხმოვანს კითხულობენ მკვლევრები.

ლ(აო)დ(ი)კს სტრ(ატე)გმ(ა)ნ, სპ(ა)ნტ(ა)ღ(უ)დ ტბ(ე)ლ(ი)...“[1] ზ. ალექსიძე შენიშნავს, რომ სპანდაღუდის ტიტულატურის აღდგენა ბოლომდე ვერ ხერხდება. სამაგიეროდ, ქართული წარწერა აზუსტებს, რომ ტბელმა პატრიკმა ხუთი ციხე ააგო (ან აღადგინა). სინამდვილეში, როგორც სტატიის ავტორი მიუთითებს, ხუთ ციხეში ხუთი ბურჯი უნდა იგულისხმებოდეს, რომლებითაც გამაგრებული იყო ბალატუნუსის სიმაგრე. წარწერის მიხედვით, სპანდაღუდ ტბელის ძე პატრიკიოსისა და სტრატეგოსის ტიტულს ატარებს. იგი ითვლებოდა, ბიზანტიის იმპერიის კარზე უმაღლესი რანგის ჩინად. „სპანტაღუდი იყო ლაოდიკეის თემის განმგებელი და სარდალი...“[2] აქვე უნდა ითქვას, რომ ტბეთის ბორცვისჯვრის მე-10 საკუნის შუა წლების ბალავრის დადების წარწერებში ივანე ტბელიც პატრიკიოსის ტიტულით იხსენიება,[3] რაც კვლავ ტბელთა ძლიერებასა და ბიზანტიელთაგან მათ აღიარებაზე მიუთითებს. საბოლოოდ, სირიული აღმოჩენისა და ქართველი მეცნიერის კვლევის წყალობით, გაცხადდა ივანე II ტბელის ერთ-ერთი ძის, ტბეთისა და კლდეისის წარწერებში მოხსენიებული სპ˜ნდ˜ღდ-ის ვინაობა (პირობითად იგი სპანდაღუდ პირველია, ბალატუნუსისა კი – მეორე, ტბელთა შთამომავალი). როგორც ბერძნული წარწერიდან ირკვევა, ბიზანტიელებს ციხე ბრძოლით დაუბრუნებიათ, რომელშიც უთუოდ დიდი წვლილი უნდა შეეტანა სპანდაღუდ ტბელს. მან თავად ითავა დანგრეული ციხის აღდგენა. რის აღსანიშნავადაც ქართველ და ბერძენ ოსტატებს 1031 წელს ციხის კედლებზე ამოაკვეთინა ორენოვანი წარწერა.

ამ გამოკვლევის შემდეგ კლდეისისა და ტბეთის წარწერები სრულყოფილ სახეს იღებენ: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე სპ(ა)ნდ(ა)ღ(უ)დ

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე ქ(ა)ვთ(ა)რ ტბ(ე)ლნი“.

ჯ(უა)რო ბ(ო)რცვს(ა)ო, ა(დი)დ(ე)ნ შვ(ი)ლნი მ(ა)თნი: ოქრ(ო)პ(ი)რ, სპ(ან)დ(ა)ღ(უ)დ, დ(ა)ვ(ი)თ, ქ(ა)ვთ(ა)რ“.

კლდეისის ღვთისმშობლის ეკლესია, ისევე როგორც ტბეთის ბორცვისჯვარი, სავარაუდოდ X ს-ის შუა ან II ნახევარში, ბაგრატ მესამესთან ტბელთა დაპირისპირებამდეა (980-იან წლებამდე) აგებული. მათი თანადროულია ორივე ტაძრის წარწერებიც, რადგან მეფესთან მარცხის შემდეგ საეჭვოა მათ შესძლებოდათ ქვემო და თუნდაც შიდა ქართლში ეკლესიათა მშენებლობა და მათზე საკუთარი მოსახსენიებლების ამოტვიფვრა. როგორც აღვნიშნეთ, კლდეისისა და ტბეთის წარწერათა სპანდაღუდი ტბელთა თავკაც და ქართლის უფალ ივანე II ტბელის შვილია. ბალატუნუსისა კი – ზ. ალექსიძის მოსაზრებით, უფრო მისი შვილთაშვილი უნდა იყოს – სპანდაღუდ II ტბელი. მეცნიერი დოკუმენტებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ იგი სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად საქართველოდან ბიზანტიაში მიემგზავრება 1020-ან წლებში, სადაც ერთგული სამსახურისთვის მალე ებოძება იმპერიის უმაღლესი სამოხელეო ტიტული (1031 წლისთვის, წარწერის ამოკვეთის დროს, ის უკვე ფლობს ამ ტიტულს).[4] ბალატუნუსის ციხის აღმდგენი სპანდაღუდი II ტბელი იხსენიება ასევე შავი მთის კალიპოს მონასტრის 1040 წლის ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელსაც ასევე იმოწმებს მკვლევარი: „ქრისტე, მფლობელო ყოველთა არსთაო, ადიდე ორთავე ცხოვრებათა სპანდაღუტ პატრიკი“.[5] აღნიშნულის მიხედვით იგი ცოცხალია და კვლავ პატივშია.

---

[1] იქვე, გვ. 35.

[2] ზ. ალექსიძე, ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო, ანალები, 2011, 1, გვ. 36-37.

[3] ნ.შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი, I, თბ., 1980, გვ. 180-182.

[4] ზ. ალექსიძე, ბიზანტიის იმპერიის უცნობი ქართველი დიდი მოხელე და მისი საგვარეულო, ანალები, 2011, N1, გვ. 38.

[5] იქვე გვ. 38-39.

დავუბრუნდეთ კლდეისის წარწერებს. ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვების გათვალისწინებით („ტაძარზე ეტყობა ბევრი წარწერა იყო და შეიძლება ყველა ვერ შემოინახა კედლებმა“), სრულიად დასაშვებია, რომ ეკლესიის კედლებზე ტბელთა დიდი საოჯახოს სხვა წევრთა სახელებიც იხსენიებოდა და წარწერები უბრალოდ განადგურდა. ტბელთა წარწერების გარდა, ექვთიმე კიდევ რვა მოსახსენებელს ასახელებს: სამხრეთი კარის მარჯვნივ – ზაქარია გიორგის ძისა, აღმ. კედლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში – ვინმე მიქაელ ადარმადისა. მეცნიერს ტაძრიდან ჩამოყრილ ქვებზე ამოუკითხავს ვაჩე ერისთავთ-ერისთავის, კვირიკე მცირეს, მზისთვალისას, როსებას და ქვის მთლელთა მოსახსენიებლები. საინტერესო და ორიგინალური წარწერებით გამოირჩევა ეკლესიის ეზოში არსებული საფლავის ქვები, მათ შორის მჭედლისა და სამუშაო იარაღის გამოსახულებები. ერთ-ერთ საფლავის ქვას აწერია: „შეიწყალე სული მოდანასი“, მეორეს - „მომიხსენე უფალო ამა საფლავსა მდებარე ყარაბუდახისშვილი თამარის ასული ანახანუმი“. ეს ეპიტაფიები, ოსტატისა და სამუშაო იარაღის ფიგურები დაახლოებით XVIII საუკუნის შუა წლებს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან ამ პერიოდში აქაურობას სწორედ ყარაბუდახისშვილები ფლობდნენ. ისინი აქვე იკრძალებოდნენ, რომელთაც სავარაუდოდ, ამავე ხანებში აღადგინეს დაზიანებული ტაძარი. ინტერესს იწვევს ერითავთ-ერითავ ვაჩეს ვინაობა. აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდში ვაჩე ერისთავი იხსენიება კუმურდოს ტაძრის სამხრეთ ფასადზე.[1] იგი, წოდებიდან გამომდინარე, წარჩინებული და გავლენიანი პირია, ალბათ ტბელების ახლო მოკავშირე და თანამოაზრე. ასევე დიდებულთაგანი და ტბელებთან დაახლოებული უნდა იყოს კვირიკე მცირე. სხვა შემთხვევაში მათი მოსახსენიებლები არ ამოიკვეთებოდა ივანეს მიერ აგებულ ტაძარზე. წარწერებში მოხსენიებულ სხვა პირებსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინათ ტაძრის მშენებლობაში.

ძნელია იმის გარკვევა, შიდა ქართლის მმართველი ტბელები უფლებრივად რა მიმართებაში იყვნენ ქვემო ქართლთან, თუმცა წარწერებიდან გამომდინარე, სერიოზული გავლენა რომ აქვთ, ცხადია. კლდეისის წარწერები იმდროინდელია, როდესაც ივანე ტბელის ძლიერება პიკს აღწევს. მათი აღზევების ხელშემწყობ ფაქტორად, როგორც ცნობილია, აფხაზთა მეფეები გვევლინებიან. „ტბელები სარგებლობენ აფხაზთა მეფეების შიდა ქართლში ექსპანსიით, გამოდიან მათ მოკავშირეებად და სანაცვლოდ აფხაზთა მეფეებისაგან ქართლის გამგებლობას იღებენ... ივანე კონსტანტინე აფხაზთა მეფის მოკავშირეა...“[2] აღნიშნულის დადასტურებაა ერედვის ტაძრის სამშენებლო წარწერა, რომელიც ტაძრის აგებასთან ერთად კონსტანტინეს კახეთში წარმატებულ ლაშქრობას ეხება. მართალია, ტბელებს ზოგჯერ ეძაბებოდათ ურთიერთობა აფხაზთა მეფეებთან, მაგრამ როგორც ჩანს, ისინი მთელი X საუკუნის განმავლობაში ინარჩუნებენ პოზიციებს (980-იან წლებამდე). ქართლ-კახეთის გარდა, აფხაზთა (დასავლურ-ქართული სამეფო) მეფეების თვალი უფრო შორს – ქვემო ქართლსაც სწვდება, სადაც ამ დროს სომეხი ბაგრატუნები მძლავრობენ. ისტორიკოს ალ. აბდალაძის გამოკვლევით, „ლიხს-იქეთის მეფეები ქვემო ქართლისთვის იბრძოდნენ. ისინი არამარტო შიდა ქართლის, არამედ მთელი აღმოსავლეთ საქართველოს, მათ შორის ქვემო ქართლის დაუფლებასაც ცდილობენ“.[3] მისი აზრით, აფხაზთა მეფეებს განზრახული ჰქონდათ ქვემო ქართლიდან სომეხთა განდევნა. ქვემო ქართლზე აფხაზთა სამეფოს პრეტენზიები იკითხება სამშვილდის სიონის სამშენებლო წარწერაშიც (X ს. შუა წლები), რომელშიც ტაძრის მაშენებელი ძმები ვარაზბაკურ და ივანე ერისთავები ეკლესიის აგების დაწყების ჟამს კონსტანტინეს (აფხაზთა მეფე) მეფობით განსაზღვრავენ: „მეფობასა კონსტანტინესა დაიდვა საძირკველი ხელითა მამფლისა და ერისთავისა ვარაზბაკურისათა... და ძმაი მისი იოვანე“[4]... საფუძვლიანი ვარაუდია, რომ ტბელები ქვემო ქართლის დაუფლებისათვის ბრძოლაშიც აფხაზ მეფეთა ერთ-ერთი მთავარი საყრდენები

[1] ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი I, თბ., 1980, გვ. 266.
[2] გ. სოსიაშვილი, დიცის წარწერები, თბ., 2017, გვ. 58.
[3] ალ. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982, გვ. 207.
[4] ნ. შოშიაშვილი, ქართული წარწერების კორპუსი I, თბ., 1980, გვ. 230-236.

არიან. თავის მხრივ, ისინიც სარგებლობენ ამ მდგომარეობით და კიდევ უფრო ზრდიან საკუთარ გავლენას. ჩვენ შეიძლება ვერც წარმოვიდგინოთ ამ გავლენის მასშტაბები. იკვეთება, რომ ტბელები ერთ-ერთ უძლიერეს საფეოდალო სახლს წარმოადგენენ IX-X საუკუნის საქართველოში. ისინი შიდა ქართლის პარალელურად ქვემო ქართლშიც აგებენ ეკლესიებს (არ გამოირიცხება, რომ კლდეისის მიმდებარედ მათ სხვა ტაძრებიც აეგოთ), კვეთენ საკუთარ მოსახსენიებლებს, რაც გვარაუდებინებს, რომ ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის კლდეისი და კლდეისის ხეობის სოფლები აფხაზ მმართველთა ხელშეწყობით ტბელთა მფლობელობაშია. სხვანაირად აქ, სამშვილდის რეგიონში მათ არავინ ააშენებინებდა ეკლესიას. ქართველ დიდებულთაგან ქავთარ ტბელის გამორჩევა მათ წინამძღვრად ბაგრატ მეფესთან წინააღმდეგ ბრძოლაში, იმის მომასწავებელია, რომ იმჟამინდელ საქართველოში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთი მთავარი ტონის მიმცემნი ტბელები იყვნენ. მდგომარეობა რადიკალურად იცვლება ბაგრატ III მარცხის შემდეგ. გამარჯვებულმა მეფემ შური იძია ამბოხებულებზე, ყველა პრივილეგია წაჰგვარა ტბელებს. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართველმა დიდებულებმა „იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი, მიეგებნეს ბრძოლად თავსა მოღრისისასა. იხილა რა ბაგრატ, აღუზახნა სპათა თვისთა... შეებნეს, იოტნეს ქართველნი (დიდებულნი ზ. ო.): „რომელნიმე დახოცნეს, რომელნიმე დაიპყრნეს და სხუანი მეოტნი გარდაიხუეწნეს...“[1] უპირველესად ეს ტბელებს შეეხებოდათ. სავარაუდოდ, ერთ-ერთი მიზეზი სპანდაღუდის ბიზანტიაში წასვლისა ეს უნდა ყოფილიყო. უცილობლად ქართლის ტბელ ერისთავთა დევნას უკავშირდება მათი წარმომადგენლის (თუ წარმომადგენლების) გამოჩენა სვანეთში, სადაც იქაური სოციალური და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით, უფრო დაცულად იგრძნობდნენ თავს. პავლე ინგოროყვას გამოცემული წიგნიდან - „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, რომლის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს „მატიანე სუანეთისა კრებისაი“ (მე-13 ს-ის II ნახევარი), ირკვევა, რომ ტბელებმა სვანეთში სათავე დაუდეს სამ საგვარეულოს: ტბელიანებს, სპანდიანებს და სპანდაღუდიანებს. ლეშტერის თემში (N23) გვხვდება ივანე ტბელიანი, მაის თემში გიორგი (N107) და ფურთუხ (N67) ტბელიანები. რაც შეეხება სპანდაღუდიანს, ავტორმა იგი ექვთიმეს მსგავსად ორად – სახელად – სპანდად და გვარად – ღუდიანად გაჰყო. სპანდა ღუდიანი მომაი 324-ე ნომრით იხსენიება ეცერის თემში. ცხმარის თემში 21-ე ნომრით ვხვდებით გიორგი სპანდიანს, ხოლო ბეჩუში უკვე „ტბელს“ სახელის ფუნქცია აქვს – აქ მერვე ნომრად დასახელებულია „ტბელის დედა მთვარე“, 73-ედ კი - „ტბელი ასიანისა“.[2]

კლდეისის ტაძრის წარწერათა სიმრავლე, მათში წარჩინებული პირების მოხსენიება ხეობაში ამ დასახლების უპირატესობის მაჩვენებელია. ამასთან, სოფელს ერთიორად მატებდა მნიშვნელობას კლდეისის (ხორხების) ციხე, რომელსაც სავარაუდოდ, ტბელების შემდეგ ადგილობრივი ერისთავები განაგებდნენ. სპეციალისტთა მოსაზრებით, აქ იყო შექმნილი საციხისთავო. მას ემორჩილებოდა კლდეისის ხევის სოფლები.[3] ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კლდეისი იყო ამ მიდამოს ცენტრი, მხარის მფლობელ თავად - ერისთავთა რეზიდენცია.

---

[1] „ქართლის ცხოვრება“, ტ.I, თბ., 1955, გვ. 276.

[2] პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 121-155.

[3] დ. ბერძენიშვილი, ნარვევები ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან, თბ., 2014, გვ. 222.

Zurab Okropiridze
Gori State University

TBELI RULERS OF SHIDA KARTLI IN THE BUILDING INSCRIPTIONS OF THE CHURCH OF KLDEISI

RESUME

Ekvtime Takaishvili visited the church of the Virgin of Kledeisi (10th century, Kvemo Kartli, Tetritskaro municipality) at the beginning of the 20th century. Along with other inscriptions, he read on the walls of the cathedral the mentions of Ivane Eristavi, Kavtar Tbeli and, by mistake (Titlo SP~ND~GHD), Spyridon Daghudi. Their comparison with the persons mentioned on the temples of the same era in Shida Kartli (Eredvi, Tbeti) clarified the identity of these individuals. It turns out that the builder of the temple is Ivane Tbeli – who governed Shida Kartli. Kavtari and the so-called Daghudi - his sons. A Georgian-Greek inscription found in Syria in 2008, which mentioned Patrikos „Spantagude, son of Tepel“, played a huge role in the correct reading of the above-mentioned titlo. Academician Z. Aleksidze ascertained that the unknown Georgian nobleman - Spantaghudi was behind the mysterious titlo. He was forced to leave Georgia and became a high-ranking official of the Byzantine Empire. One fact is also interesting: after the defeat of Bagrat III, a part of the Tbelians took refuge in Svaneti, where the lineages of the Tbelians, Spandians and Spandaghudians originated.

კახაბერ ქებულაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პავლე მარდალეიშვილი - მოღალატე თუ მსხვერპლი?

1921 წლის 11 აპრილს ქუთაისში ჩასულ საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ფილიპე მახარაძეს ქუთაისის რევკომის თავმჯდომარემ დავით ლორთქიფანიძემ და ადგილობრივმა ბოლშევიკებმა „მენშევიკების მიერ ნაწამები და დახოცილი", ცნობილი ბოლშევიკი ტერორისტის – პავლე მარდალეიშვილის და საბჭოთა რუსეთის დაზვერვის აგენტის პოლკოვნიკ ნიკოლოზ ივანოვის დამწვარი გვამების ფოტოსურათები უჩვენეს.

ფ. მახარაძეს განკარგულებით, ფოტოსურათები უნდა გაედიდებინათ და ქუჩებში გამოეკიდათ, რათა ხალხს კარგად დაენახათ „ჯალათი მენშევიკების ინკვიზიტორობა".

ფ. მახარაძის ბრძანებით ქუთაისისა და თბილისის ცენტრალურ ქუჩებში თვეობით იყო გამოფენილი დაღუპულ ბოლშევიკთა გადიდებული ფოტოები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთი „კომუნისტი" წერდა: „მენშევიკების ქუთაისიდან უკან დახევის დროს მათმა ჯალათებმა გამოიყვანეს ციხიდან რამდენიმე კომუნისტი, მათ შორის ვ. მარდალეიშვილი, წაიყვანეს საღორიას ტყეში და მხეცურად წამების შემდეგ გაგლიჯეს და გვამი დასწვეს"[1].

დ. ხვადაგიანის შეფასებით, „ივანოვ–მარდალეიშვილს საქმე" საოკუპაციო ხელისუფლების პირველი და მძლავრი პროპაგანდული აქცია იყო, რომლის უკანაც რეალურად დამოუკიდებელი საქართველოს და საბჭოთა რუსეთის სპეცსამსახურების მძიმე და დაუნდობელი ბრძოლის ეპიზოდი იდგა, თუმცა ქართველი ბოლშევიკები უარყოფდნენ ამას და დაღუპულებს „უდანაშაულო მსხვრპლად" წარმოაჩენდნენ, რომლებიც წინა ხელისუფლების სისასტიკეს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით ემსხვერპლნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ბოლშევიკებს მეფის რუსეთის ხელისუფლებასთან მრავალი წლის სისხლისმღვრელი პოლიტიკური ბრძოლა აკავშირებდათ, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ მათ მთავარ პროპაგანდისტულ სამიზნედ მაინც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და „მენშევიკების სამწლიანი მმართველობა" აირჩიეს, რისთვისაც დიდი ხნის განმავლობაში აღარ გადაუხვევიათ" [2].

ვინ იყო პავლე მარდალეიშვილი? იგი დაიბადა 1884 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ მაღლაკში. 1905 წლიდან მუშაობდა ჭიათურაში და ეწეოდა რევოლუციურ საქმიანობას, ითვლებოდა ტერორისტად და ასევე ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. 1906 წელს ჟანდარმერიამ დააპატიმრა და ვიატკის გუბერნიაში გადაასახლა, სადაც 1907 წელს გამოიქცა და არალეგალურად ცხოვრობდა ფოთში. 1909 წელს მკვლელობის ბრალდებით კვლავ დააკავეს, მაგრამ ისევ გაიქცა. 1914 წელს მესამედ დაპატიმრებულს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ უვადო კატორღა მიუსაჯა და შლისელბურგის საკატორღო ციხეში გადააგზავნა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გაათავისუფლეს, რის შემდეგაც ბოლშევიკ თევდორე შავიშვილისა და სერგო ქავთარაძესთან ერთად ფინეთში წავიდა. იმავე წლის გაზაფხულზე თბილისში დაბრუნდა და კავშირი დაამყარა ცნობილ ბოლშევიკებთან კამოსთან (სიმონ ტერ-პეტროსიანთან), არკადი ელბაქიძესთან და სხვებთან. ამ პერიოდში იგი იყო ბოლშევიკების თბილისის კომიტეტის სამხედრო ინსტრუქტორი, წვრთნიდა ბოლშევიკურ მებრძოლ რაზმებს და ამარაგებდა იარაღით, რომელის ირანიდან შემოქონდა.[3] 1918 წლის გაზაფხულზე ქუთაისის ბოლშევიკური კომიტეტის მიერ დაინიშნა ლეჩხუმის ბოლშევიკური

---

[1] გაზ. „კომუნისტი", 1921, 12 მარტი, 12, გვ. 3

[2] დ. ხვადაგიანი, საბჭოური პროპაგანდა, როგორც ტრადიცია. საზოგადოებრივი არქივი. საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის ელექტრონული ბლოგი, 2021-01-30

[3] ს. ბოცვაძე, მ. ნიკოლეიშვილი, პ. ვაჭრიძე, ქუთაისი გზამკვლევი, ქუთ., 1960., გვ. 145

ავჯანყების ერთ–ერთ მეთაურად. 1919 წლის სექტემბერში პ. მარდალეიშვილმა ა. ელბაქიძესთან ერთად შეიარაღებული თავდასხმა განახორციელა თბილისში ვიზიტად მყოფ მოხალისეთა არმიის გენერალ ბარათოვზე, რომელიც მძიმედ დაიჭრა. ასევე დაჭრეს გენერალ ბარათოვთან მყოფი პირები - ქართველი გენერალი ილია ოდიშელიძე და ბარათოვის ადიუტანტი პოლკოვნიკი სელიმ ალხავი, ხოლო მათი თანმხლევი პირები - ვასილ ჟუჟიაშვილი და შალვა სამაკაძე დაიღუპნენ[1]. 1920 წლის 3 მარტს პ. მარდალეიშვილი კვლავ დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა ლეჩხუმის, დუშეთისა და ცხინვალის ანტისაბჭოთა ავჯანყებების იარაღით მომარაგება, ქართულ არმიაში ბოლშევიკური აგიტაცია და მობილიზაციისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე სადგურ რიონის სარკინიგზო ხიდის აფეთქების დაგეგმვა და სამზადისი. პ. მარდალეიშვილი „მთავარი სარკინიგზო ხაზის მწყობრიდან გამოყვანით მიზნად ისახავდა ქართული ჯარისა და გვარდიის ზურგის მომარაგების და გადაადგილების შეფერხებას, რაც საბჭოთა რუსულ არმიას თბილისზე შეტევას გაუადვილებდა. სწორედ მაღლაკელი ტერორისტებისათვის ასაფეთქებელი მასალის გადაცმის მომენტში დააკავეს იგი განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლებმა, ტერორისტებში ჩანერგილი ნიჟარაძის საშუალებით, რომელიც ასევე სოფელ მაღლაკიდან იყო და როგორც ჩანს, იოლად მოიპოვა ტერორისტების ნდობა”[2] .

დაპატიმრებული პ. მარდალეიშვილი სხვა ბოლშევიკებთან ერთად რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე 14 მაისს გაათავისუფლეს. მოგვიანებით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, გაავრცელა განცხადება, რომ დააპატიმრებდნენ იმ პირებს, რომლებიც არ წყვეტდნენ საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას, თუ ისინი სამი დღის განმავლობაში არ დატოვებდნენ საქართველოს საზღვრებს. 23 ივნისს პ. მარდალეიშვილი, რომელმაც ეს მოთხოვნა არ შეასრულა კვლავ დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1921 წლის იანვრიდან პ. მარდალეიშვილი სხვებთან ერთად ქუთაისის ციხეში გადაიყვანეს, სადაც იგი იმყოფებოდა 9 მარტამდე. ქუთაისში წითელი არმიის შესვლის შემდეგ, 23 მარტს, ნიკოლოზ ივანოვის, პავლე მარდალეიშვილისა და სხვა დაღუპული წითელარმიელების ცხედრები ქუთაისის საგუბერნიო რევკომმა ღულაძის მინდორზე (ახლანდელი ნინოშვილის ბაღი) სამხედრო პატივით დაკრძალა და მას „ძმათა სასაფლაო” უწოდა[3] . საბჭოთა ოფიციალური წყაროების (გაზეთი „კომუნისტი“, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ და სხვ.) პროპაგანდისტული მანქანა ქუთაისის ციხეში 1921 წლის 9 მარტს მომხდარი ფაქტის ამგვარ ვერსიას გვთავაზობს: 8 მარტს, ღამით ქუთაისის საპყრობილეში მივიდნენ თბილისის მილიციის უფროსი ვლადიმერ სულაქველიძე, ქუთაისის მილიციის უფროსი სილიბისტრო მაღნარაძე, ამბერკი ადეიშვილი და ასევე რამდენიმე შეიარაღებული მილიციელი – ბონდო გაბილაია, ესტატე ფიჩხაია, გოგი თოფურიძე, გოგორიშვილი და სხვებმა, რომლებმაც ციხიდან გამოიყვანეს ნიკოლოზ ივანოვი, პავლე მარდალეიშვილი და დავით უკლება (კრიმინალი), წაიყვანეს საღორიას ტყეში და დახვრიტეს. შემდეგ ცხედრებს ნავთი გადაასხეს და დაწვეს[4] .

„მენშევიკი ჯალათების მიერ ჩადენილი სიმხეცის“ გამოსააშკარავებლად „ამ წუთის შემდეგ ივანოვისა და მარდალეიშვილის საქმე“ იქცა საბჭოთა პროპაგანდის საყვარელ თემად; ათწლეულების შემდეგ კი მას იყენებდნენ პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, როდესაც თავად უკვე მილიონობით ადამიანის განადგურება მოესწროთ“ [5].

რატომ იძიეს ნ. ივანოვსა და პ. მარდალეიშვილზე ასე სასტიკად შური ქართველმა მილიციელებმა? შეიძლება ვიფიქროდ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო საქმის კურსში არ იყო აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და ქვედა რგოლის ჩინოსნებმა თვითნებურად განაწყვიტეს იმ

---

[1] მსჯელობისათვის იხ. ს. კეთილაძე, გამოჩენილი რევოლუციონერი, გაზ. „ქუთაისი“, N223, 13 ნოემბ., 1974, გვ.3

[2] დ. ხვადაგიანი, დამწვარი გვამების საქმე. ჟურნ. „ისტორიანი“, N12(84), 2017, გვ., 39

[3] იქვე

[4] პ. მარდალეიშვილის შესახებ იხ. ქსე, ტ. VI, თბ., 1983, გვ. 430; მსჯელობისათვის იხ. ბ. ალადაშვილის ბლოგი: საქართველოს მთავარი პრობლემა მტრის აგენტურა იყო, არის და... კვლავ იქნება, 2021, 15 ივნისი, ელექტრონული ბლოგი, 12:40

[5] დ. ხვადაგიანი, დამწვარი გვამების საქმე. ჟურნ. „ისტორიანი“, N12(84), 2017, გვ. 40.

პირების დასჯა, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანეს საქართველოს ოკუპაციაში. შესაძლოა ისინი თვლიდნენ, რომ ქვეყნის მოღალატეები სათანადოდ უნდა დასჯილიყვნენ და სიცოცხლით ეგოთ პასუხი.

Kakhaber Kebuladze
Akaki Tsereteli State University

PAVLE MARDALEISHVIL - „TRAITOR OR VICTIM”?

RESUME

On April 11, 1921, the Chairman of Kutaisi Revcom David Lortkipanidze and local Bolsheviks showed Philippe Makharadze _ the Chairman of the Georgian Revcom, the photos of the burnt bodies of the famous Bolshevik terrorists _ Pavle Mardaleishvili and the agent of the Soviet Russian Intelligence, Colonel Nikoloz Ivanov _ „who were tortured and slaughtered by the Mensheviks’’.

By the order of Ph. Makharadze, the photos had to be enlarged and posted in the streets, so that people could see „the inquisitor nature of the executioner Mensheviks”. By the order of Ph. Makharadze, the enlarged photos of the killed Bolsheviks had been posted in the central streets of Kutaisi and Tbilisi for several months.

„The case of Ivanov-Mardaleishvili” was the first and powerful propagandistic action of the occupation government, which in fact reflected the hard and merciless battle between the special services of Independent Georgia and Soviet Russia in the background, though Georgian Bolsheviks denied this and presented the dead as ’’faultless victims”, who were sacrificed to the brutality of the previous government only due to political reasons.

პავლე მარდალეიშვილი

ნიკოლოზ ივანოვი

ყოფილი ღულაძის მინდორი, ახლანდელი ნინოშვილის ბაღი (ქუთაისი)

დავით შავიანიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აჭარის და ტაო-იმერხევის ისტორიულ-კულტურული ყოფის ზოგიერთი საკითხი (უახლესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

ეთნოლოგიური მეცნიერების ცოდნა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის რელიგიურ-პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული, სოციალური მდგომარეობის კვლევის თვალსაზრისით. აღნიშნულის დასტურია აჭარასა (ხიხაძირის თემი) და ტაო-იმერხევის ქართულ სოფლებში 2022 წლის ზაფხულში გამართული ეთნოგრაფიული და დიალექტოლოგიური ექსპედიციების მიმდინარეობის დროს მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებით ***(ქართველთა ეთნიკური -კულტურული ისტორიის, რელიგიურობისა და ქართულ ენის ფლობის, ნოვაციების მიღება-რეგულირების შესახებ...)*** დადასტურებული, მეცნიერებისთვის საინტერესო სიახლეები; კვლევის შედეგად წარმოჩენილი ყოფით-კულტურული ცხოვრების დღემდე უცნობი სინამდვილე[1].

XVI საუკუნის 70-იან წლებში ოსმალეთმა სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად დაპყრობილ აჭარაში ზემო და ქვემო აჭარის საჯანყები შექმნეს და ახალციხის (ჩილდირის) ვილაიეთს შეუერთეს. ქართველთა მაჰმადიანური ჯგუფები გაჩნდნენ თურქთა მიერ დაპყრობილ და ანექსირებულ მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ქრისტიანობის დამთმობი ქართველი, ხალხის გაგებით, ქართველი აღარ იყო, თუმცა ქართველი მაჰმადიანი მაინც ინარჩუნებდა თავის ეთნიკურ სახეს. თავს არა თურქად, არამე ადგილობრივ „იერლიდ“ აღიარებდა[2].

1921 წლის რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებით, აჭარა რუსეთს, ართვინის, არტაანის და ყარსის ოკრუგები თურქეთს დარჩა.

საისტორიო მონაცემების მსგავს ინფორმაციას გვაწვდიან ეთნოგრაფიული მასალებიც; გვამცნობენ რომ „**ადგილობრივთა ლამის მსხვერპლად ქცევა**“, სოციალურ-კულტურულად „**უკანდახეული**“ მდგომარეობა განაპირობა თურქობის და მერე „**რუს-კომუნისტობის**“ თანამედროვე ქართველ მესვეურთაც „**წინ წყალი და უკან მეწყერის**“ პოლიტიკამ.

ეთნოგრაფიული მასალები გვაწვდიან ინფორმაციას თურქეთის მფლობელობაში მყოფი საქართველოს ნაწილ აჭარიდან ტაო-იმერხევის სოფლებში გადასახლების შესახებ.

ეთნოგრაფიული მასალები:

„მტერმა დაგვტყეპა. თურქის მერე რუსმა გაათავა ქართველი. ნაწილი, ჩვენი დედეები აქ მოსულან ქართულის გადასარჩენად. გადუუწყვეტიენ ტყევნარში გევდეთ, ჩვენი თავი მუარჩინოთ“ (ხევაი. სოფელი ბიჩაქ ჩილარი. 2022).

„ვერც საქართველო გვიყურებდა, აფხაზეთ-ოსეთივით, ვერ გვყურადობდნ. მსხვერპლი ვართ რუსობაში გამართული „ვაჭრობის, ვინ უკეთესია“, ვინ უნდა აერჩიათ თავისად“ (სოფელი კალოთა. 2022).

თავსდატეხილ უბედურებაში აჭარის და ტაო-იმერხევის ქართველობაში მძლავრობდა ცოდნა იმისა, რომ ხელი შეწყობოდა საკუთარეროვნულის განვითარებას, სოციალურ გარემოში ადაპტირებას, საკუთარი თავის შეცნობას. სხვადასხვა და ყველა ქმედება

---

[1] ეთნოგრაფიული მასალები არა მხოლოდ ეთნოლოგიური და საისტორიო მეცნიერებისთვისაა პირველწყარო. აღნიშნულიდან გამომდინარე თითოეულ საკითხთან დაკავშირებით წარმოვადგენთ დღემდე უცნობ ეთნოგრაფიულ მასალებს ვრცლად. აქვე ვიტყვით, რომ ჩვენთვის პრიორიტეტია მასალების შინაარსობრივი მხარე და ისიც, რომ არ დავკარგოთ დიალექტური ლექსიკა.

[2] რ. თოფჩიშვილი, რელიგიური სიტუაცია საქართველოში ზოგადისტორიული მიმოხილვა. ეთნოისტორიული ეტიუდები წიგნი I ენა და კულტურა თბილისი 2005.

ფსიქოლოგიურ საფუძველზე იყო მიბმული და ეფუძვნებოდა ობიეტურ სურვილს, მიზანს გადაერჩინათ ეთნიკური კულტურა.

ეთნოგრაფიული მასალა:

ჩაღმა ჩარგულო ვენახო, სად წადი და სად მოგნახო.
მოგნახე და აღადგინე, შენ ძირ-ფესვებს ვენაცვალე, ნანინა, ნანინაო.

(სოფელი ვერნები.2022)

„ვინც თლად არ დავბეჩდით, ვუხსნიდით, რომ ერთი ძირ-ფესვი ვართ ქართველები. ახლა ვარ მუსლიმანი, მარა ეროვნება ქართველი ვარ. შენ სამშობლოში ცხოვრობ, ქართველი კაცი ხარ და მუსმლიმანობის გამო თურქად თქვა თავი, ღალატია“ (სოფელი თხილვანა. 2022).

ისტორიაა ის, მუსულმანობაში მყოფი აჭარისა და ტაო-იმერხევის სოფლების ავტოქტონი ქართველები თავს ახსენებდნენ ქართველად დარჩენის აუცილებლობის შესახებ ნაქსოვებზე, სამოსელზე, ქუდებზე, სამკაულებზე ჯვრის ფორმის სიმბოლოების ამოქარგვით. გარდაცვლილ-ის საფლავზე ჯვრის ფორმის მსგავსი ქვის დადების წესით (საჭიროების დროს კითხვაზე პასუხი იყო: „მხოლოდ ნიშია იმისა, გავიგოთ თავი საით აქვს და ფეხები საით მიცვალებულსო“) ქართულ წარწერიანი და ჯვრიან ქვებით; ახსოვდათ, რომ ერთობის და ძლიერების სიმბოლო იყო „დედაბოძი“/„ბურჯი“ („ბურჯისთვის“ „გურჯის“ დარქმევით ვახსე-ნებდით თავს, რომ უნდა ქართველებად დავრჩენილიყავით“); არ ივიწყებდნენ სელიმ ხიმშიაშვილს და ყოველი წლის სამ ივნისს „სელიმობის“ დღესასწაულის აღნიშვნით თავს ახსენებდნენ, რომ „საქართველო უთავოდ სხვას არ დარჩება“; საზრდოობდნენ იმით, რომ ხიხანის ციხეზე თამარი ცხოვრობდა და „დასაფლავებულია იქვე, თუ იქვე ახლოს შავშეთში, თუ იმერხევის რომელიღაც სოფელში.

ეთნოგრაფიული მასალა:

პარხალში ყოფილა თამარა. გაუყიდია საყურე და იმით რუ უუშენებია. ხვარათებდენ და ვიცით თამარა (ჭილათი. 2022).

სავრიათში - თამარა დედოფალს გორეებზე სათვალთვალო ადგილები უკეთებისა მტრისგან დასაცავად. პარხალში „ტუნელი გაუკეთებია“, მთაში ადიოდა, იარაღის სამალავი იყო და კაცისაც (ელიას ხევი. 2022).

კავკასიძეები დუუსახლებია, ხელი შუუწყვია თამარას. ციხე უუშენებიენ (ხევაი. 2022).

„აქ ამოსულა ქუთაისიდან „დედეი“, მუუტანია ვაშლის ნერგი და „ქუთაისური ვაშლი“ ვამბობთ. ვიცით, ქუთაისი ჩვენია“ (ხევაი. 2022).

ლეგენდა „მასისის მთაზე“: „მასისი“ ღმერთის ადგილია. ღმერთი რომ მიწას ანაწილებდა ამ თაზე ყოფილა. ეს მთა და გარეშემო თავისთვის ნდომია. განაწილების მემრე მისულა ქართველები. თქვენ თუ ჩემ სახელზე ილოცეთო, თქვენი იყოსო, უთქვამს ღმერთს“ (ქობაი. 2022).

ლეგენდა „მამაოს ადგილზე“: „ქელაზორი“ – „მამაოს ადგილი“. ეკლესია იყოო აქ. წყალი მუუყვანია ღვდელს“ (ხევაი. 2022).

ხიხძირის ხეობელი, გმირი ალის 10-12 შვილი მარტო იგერიებდა მტერს. ერთხელაც მტრის სამას კაციანმა ჯარმა დიიჭირა. ვეზირებმა ურჩიეს, ნუ მოკლავ, გოგო მიეცი და მამამისთან ერთად მოგიტანსო ქართველების თავებს. მამის და ნენეს რჯულის უარყოფის მერე ხელმწიფემ ალის შვილი ლოდით დაალოდვინა. გოგომ ღამე ორი ცხენი მიიყვანა, ახსნა ლოდი და გამოიპარენ. თათრის ხელმწიფემ: „გოგო მომპარა, გადამირჯულებს, პირშავი დავრჩითო“ და ჯარი გამოუყება. ბიჭის მამამ სიზმარი ნახა, შვილი გასაჭირშია, დახმარება ჭირდებაო. დააკიჟინა მამამ, თან მუუსწრო, ჯარს რომ უსწორდებოდა. ალიმ, ჯარის უფროსს, „სამასი წლის ვარ, არ გავმუსლიმანებულვარ და არც ჩემი შვილი იზამს სხვასო“. მოჭრა თავი მტრის უფროს მისი გაქრისტიანებული შვილი კი რძლად მოიყვანა.

აღნიშნულ, მზაობით გაჯერებულ ენისა და ეთნიკურ ნიშანთა გადამ-რჩენელ-შემნარჩუნებელ დამოკიდებულების საფუძველია ის, რომ განწყობა მზაობაა ქცევის განხორციელებისადმი. ეს მზაობა კი მოთხოვნილებასთან ერთად ჩნდება სათანადო სიტუაციის, გარემო და ადამიანის ფსიქიკის საშუალებით[1].

კულტურულ-ცნობიერი, ტექნოლოგიური, სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისითაც მოდერნიზებულმა მსოფლიომ მოიტანა უკეთესი მატერიალურ-კულტურული ყოფის ძიების სინამდვილე. შესაბამისად ტაოსა და იმერხევის ქართველობაც გაედინა, გაედინება დიდ ცენტრებში. იკლო ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა ოდენობამაც ქართულ სოფლებში. ტაოსა და იმერხევის ქართულ სოფლებში ქართული ენით საუბარი ძირითადად შეუძლიათ დაახლოებით სამოც წელგადაცილებულებს, მეტ ასაკისანებს.

აღნიშნული, არასასურველი რეალობის მიუხედავად ქართული ენა, როგორც ქართველთა კულტურის ნაწილი დღესაც უზრუნველყოფს ამყარებს ტაოს და იმერხევის ავტოქტონ ქართველთა ნაციონალური ერთობის შენარჩუნებას, ეთნიკური (ნაციონალური) თვითიდენტიფიკაციის ხარისხს.

ეთნოგრაფიული მასალა:

„ქართული დიდი ენაა. ერთი სიტყვა ოზდაათი ფერათ ითქმება, ზოგი აჰა, ბევრი. ქართულზე დიდი რომანი დიიწერება, იმფერია, სავსე ხარ. სხვა ენაზე გადასწიო, დაპატარავდება. სხვა ენაზე იმხელას მცოდნელი ვეღარ იქნება. მარტო ტიფლისის, ბათუმელი, ქუთაისის ენითაც არ დიიწერება. აქიური, კუთხის ენაც უნდა იცოდეს. თავდან დიდ იყო. მოსულა მტერი და თქვენკე შერეულია ოსმანის, რუსის. **ორჟინალი**, **შვილოვნელი ენა** აქაა, ვინახავთ“ გვითხრეს მთხრობელებმა ხევაში.

აჭარაში არასოდეს ყოფილა მივიწყებული მშობლიური ქართული. ამ ფონზე ლეგიტიმურია აჭარელთა კითხვა: „როდემდე უნდა გაგრძელდეს Cvenza „თათარის“ ძახილი“?

ხიხაძირის თემსა და ტაო-იმერხევის ქართულ სოფლებში მოძიებული ეთნოგრაფიული ლექსიკა საინტერესოა როგორც დიალექტური ფორმების შესწავლის, ისე ქვეყნის ეთნიკურ-კულტურული, პოლიტიკური ისტორიის, თვითშეგნების, სამყაროს შემეცნების ვალსაზრისით.

გუდა კაცი - მსხვილი, დიდწონიანი ადამიანი. უფრო ხშირად იტყვიან მამაკაცზე. ტერმინი „გახუმრების“ მნიშვნელობისაა. ქართულის დიალექტებშიც, მაგალითად იმერულში, იმერულის ოკრიბულ თქმაში ხშირად შეხვდები მსგავს ტერმინს; **იყლარჭვის - ვეღარ დეილაპარაკა**. ითქმება, როცა პიროვნება გახაზავს საკუთარ მდგომარეობას, სუვრვილს, თავისადმი ხაზგასმულ დამოკიდებულებას. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ თქმას ქალების მისამართით თითქმის არ გამოიყენებენ. **შდრ.**, **იყლარჭება/იტყლარჭება** გვხვდება იმერულ დიალექტშიც; **გააპარა ჭკუა - თავს ვეღარ აკონტროლებს**. იტყვიან გადამთვრალ ადამიანზე; **ახლებანი** ახლობელია ტაურ-იმერხეულში; სალიტერატურო ქართულის **ბღარჭის** იდენტურია **ღარჭი**, **ღენჭი** და **ბახალა**. მნიშვნელოვანია ის, რომ ტაო-იმერხეულში ტერმინი უფრო ხშირად მიემართება ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ შვილსაც; **სიკვდილ არ ეშველება** - აღნიშნული თქმა, იგივე -„სიკვდილს არ ეშველება“, „სიკვდილს წინ ვერავინ დაუდგებას“ მნიშვნელობით ხშირია ქართულ სალიტერატუროსა და დიალექტებშიც; **შიგვიჭამა - მოგვიკლა; ბევრი დაწვა - ბევრი გარდაიცვალა** (**იმერხეული მეტყველების მაგალითი**: „ბევრი დაწვა კორონას დროს. შიგვიჭამა კორონამ ტარიელი[2]“); **მიასხამს** გამოიყენება **მიიყვანს** მნიშვნელობით: „მიასხამს დილით სკოლაში მანქანა, შუადღეს მოასხამს“; **შეხედ**ა - **მოუარა**, **ყურადღება მიაქცია**, **მიხედა**.

ჩვენ მიერ დადასტურებული და სხვა უამრავი, ქართული ცნობიერების, ეთნიკური ღირებულებების ამსახველი ეთნოგრაფიული ლექსიკის კვლევის შედეგები გვახსენებს „ჩვენებურე-

[1] https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/dimitri-uznadze-V-III.pdf

[2] საუბარია პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეზე.

ბის“ სურვილს, რომ „**თუ მეტად შევხედავთ**“(/**ყურადღებას მივაქცევთ**) კიდევ შეძლებენ გარკვეული დროით შეინახონ ქართული, ყოფით-კულტურული ცხოვრების წესები, ქართულ ენა.

კულტურათა შერევის საფუძველზე აჭარის და ტაო-იმერხევის ქართველებშიც იცვლებოდა პიროვნების სახელები. მემკვიდრეობითი სახელი, გვარი და გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელიც, როგორც ოსმალომ, ისე რუსკომუნისტებმა აჭარაში გამოიყენეს გენეალოგიური ხაზის აღსარევად. ოღლობაში[1] **ბეჩობის** (გაუნათლებლობა) გამო ბევრს თავის ძველი გვარი აღარც ახსოვდა. რუსები გვარების მიცემით „თურქობის კვალს“ სპობდნენ, მაგრამ, იყო შემთხვევები, როცა საკუთარ გვარმივიწყებულებს სისხლი ერეოდა:

ეთნოგრაფიული მასალა:

„სოფლის მმართველობით „საბჭოებში“ გარჩევინებდნენ გვარებს და ეს გვარი შეიძლება შენ „ოღლობამდელ“ გვართან ახლოც არ ყოფილიყო. იმდენად მიივიწყა ძველი, რომ ვერავინ იბრუნებს ძირძველ გვარს“ (ტაკიძეები 2023წ).

ტაოსა და იმერხევის მკვიდრი ქრთველებიდან ბევრი გეუბნება ძველ გვარს, ფუძე საცხოვრისიდან მიგრაციის და ვერაფერს ძირსალოცავთან, საცხოვრისთან ურიერთობის შესახებ; იციან ქართულის მსგავსად, სუფიქსით გაფორმებული გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელები(/„**გვარზიები**“ და „**თური**“), გიყვებიან მათი წარმოშობის ისტორიებს.

შედარებისთვის., „თური“ გვარის მეორე მემკვიდრეობითი სახელია სამეგრელოში.

მიქელაძეები „**მოხდილები**“, „**აღათახუმები**“ და „**კობრები**“ („**კობრები**“ ხალხის, ჩვენებური წესის მოწინააღმდეგეები იყვნენ, ამიტომ დაერქვათ) იყვნენ; **დუმბაძეები** „**ალავერდოღლები**“; არიან „**იალამ ოღლები**“; ბაკი ბაკოს მკვიდრი **ნაკაშიძეები** შალეულობით ვაჭრობდნენ და „**შალიკ ოღლები**“ იყვნენ; ხულოის ალმედან ამოსული **აბულაძე** „**ყადიროღლია**“; **სურმანიძეები** „**ბიძოღლები**“ და „**დარიოღლები**“ არიან.

ქეჩის მკეთებელი **ყაჭიშვილები** აჭარიდან არიან. ამჟამინდელი გვარია „**ქეჩეჯი**“; „**ბათმაზები**“ (**დოლენჯიშვილი**) მოხერხებულები იყვნენ, არ **ჩეეფლობოდნენ**; **აიდინები** „**თათარიშვილები**“ არიან (ხასიათის თვისებების გამო); **კულუშიშვილები** ტყვიის მკეთებელები იყვნენ; „**ყანთაროღლუ**“ (**ყანთარაშვილი**); „**კედელაშვილები**“ მშენებლენი ყოფილან; ქობაის მკვიდრობენ „**თორნოღლები**“, „**ინჯეს ოღლები**“(„ქალის ხმასავით წმინდა ხმიანი, მომღერლები“); „**ფერჩოღლები**“ („ფერჩოღლი“ ბევრთმიანია: „თვალში ვერ იხედებოდნენ ისეთი თმები ქონდენ“) აჭარიდან არიან.

კულუშიშვილების თურია „**კულუშიანთი**“, **დოლენჯიშვილების** „**დოლენჯიანთი**“, **ყაჭიშვილების** „**ყაჭიანთი**“. მიდიხარ, მაგალითად „ყანთარიანთში“, „ყანთარიანთიდან“ მოხვალ. ასე ხევაიში (ხევაი. ბიჩაქ ჩილარი. 2022).

„დიდ ნენეებს“ შეუქმნია ბევრი ადგილის სახელები, სხვა კაცებს. მუუცია მნიშვნელობა. უთქვია სახელი, გუდუუციენ. სახელის მნიშვნელობა ახლამდე არ დავიწყებულა“.

ხიხაძირის თემის სოფლების ტოპონიმია: **წაბლიძირი**; **ლაბაშური**; **სერიყანა**; **სახნაური**; **ბელაური**; **დიდვანაკი**; **მადიძირი**; **ტბის უბანი**; **საყავრია**; **სამზიარი**; **თელნარები**; **ჩიროშვილების ადგილი**; **მაცივარი**; **ძაღლამერე**; **მუმსუი**; **ყარაგოლა**; **სატიკნია**; **იასაღი**; **ნაილევი**; **კალოთის ღელე**; **კვახურის ღელე**.

---

[1] აღმოსავლელი ხალხის წინაპარ ძველ თურქებში გავრცელებული პირველშობილი მამაკაცის სახელი „ოღლი“/„შვილი“, გადაკეთდა პატრონიმად, ან გვარად მომავალი თაობებისთვის და ნიშნავდა, რომ ის ეკუთვნოდა მამაკაცს, მამის შვილს (მსჯელობისათვის იხილე: https://ik-ptz.ru/ka/testy-ege---2014-po-literature/istoriya-vozniknoveniya-russkih-otchestv-i-familii-kak-i-kogda-na-rusi.html); მსჯელობ ისათვის იხილე: დ. შავიანიძე, ქართული გვარსახელები (ზემო აჭარის რამდენიმე სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია “დიდაჭარობა“ (მასალები) 2010; დ. შავიანიძე, 2009 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია დიდაჭარაში, სხალთის ეპარქია. ტბელ აბუსერისძის ხსენებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია, (მასალები), 2009 წ.

ტაო-იმერხევის ტოპონიმიაც (**ელიას ხევი; ფილავრეთი; ახოსწორი; ფერი გოლი; დაღარული ქვაბელეთი; კვირიკეთი; დინგი კარი; ტყიპირი წყაროთი; სავრიათი; ობნიენთი; კუმაშეთი; ციალეთი; უშარეთი; ბასლე კარი; ოლენჯი კარი**[1]; **ქაცახეთი; წინჭალა; გობზევლაი**) ქართველთა ეთნიკურ-კულტურული ისტორიის ამსახველია. ქართველურის მსგავსია ტოპონიმთა სახელდების და გაფორმების წესი.

ტაო-იმერხევის ქართველების დიდ ნაწილში ქართულის შენარჩუნების საქმეში „ერთგვარი მაკარნახებელი", ადამიანებთან ურთიერთობების განმსაზღვრელი იყო სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებში გამოვლენილი ცხოვრების წესი/„სჯული".

„ჩვენებურებისთვის" აჭარელთა მსგავსად კმაყოფილების საფუძველი სტუმრის სახლში მიპატიჟებასთან ერთად სუფრის „**მირიგებაა**". სწამთ, რომ, სტუმრის მასპინძლობა ადამიანური წესია და ამას „**ვენახიანი**" კაცი შეძლებ. „ვენახი" გაქვს, ესე იგი, სახლობ, სათესიც გაქვს, მოყვარე გიხარია. მტრის პასუხის გაცემა შეგიძლია. სტუმარს შიიყვან, სუფრას „მუურიგებ", გვითხრა ქობაის მკვიდრმა ჰუსეინ იაზიჟმა (2022 წ).

ტაოელებმა იციან „სისხლის ძმის"/**ზურგმიყუდებელი ძმადნაფიცის** შესახებ: „ძმადნაფიცი", დასაყრდენი კაცია. ჩემი სისხლით ძმებია: **შერიფი**, **მუსტაფა**, **ნეჯათი**. ზურგმისაყუდებელი, სულ შენგან უნდა, ემალვი, მარა არ ღალატობ" (ბიჩაქ ჩილარი. 2022).

„ზურგმიყუდებული ძმადნაფიცის" აღსანიშნად ტაოში გამოიყენება დედ-მამის შვილის აღმნიშვნელი „ქარდეშის" დიალექტურ ფორმა **ყარდაშ**.

ძუძუნაწოვნები: „დედა წასულა ტყეში. დაგვიანებულა. მე ჩავყამებულვარ და მოუწოვებია **ფატმა ხალას** (/**ბიცოლა**). ის დედაა ჩემი, მისი შვილები ძმებია. ქალი მუშაობს, სახლში ტოვებს ბავშვს. აწოვებს სხვა და ამიტომ უფრო ბევრია ძუძუნაწოვნები".

აჭარაშიც და ისტორიული საქართველოს ნაწილ ტაო-იმერხევშიც ტრადიციული ქართული ცხოვრების წესის ცოდნა აწესრიგებდა საოჯახო ურთიერთობებს. აწმყოს საოჯახო ურთიერთობებზე გავლენას ახდენს სამეურნეო-ყოფითი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ბაზისი.

ეთნოგრაფიული მასალები:

„კაცი და ქალი ვთანხმდებით ერთმანეთში, ვსაქმობთ. რატო გავაბრაზო? გული მომივა, მუუვა გავშორდები. მემრე გიმიხდება გული და მოვალ. ნაკითხია ქალი? იმუშაოს თავრობაში. ზურგით ქვას ვზიდავ და შევხედავ სხვაგან არ გუუშობ"[2] (ჭილათი. 2022).

„სახლიში ცხოვრობს ძმები. ერთი ოჯახია, ერთად საქმის კეთება. „მოთოხნო უნდა რომ მეიცოხნოო და კეთთებოდა ერთა". მერე ცალკე კეთება გაჩდა, ვინცხა რომელაი თავისთვინ ირჯება, თავისთვინ გადის. გაყოფის დროს ძმებს თანაბარი წილი. დასაც უყოფს" (იმერხევი. ქოქლიეთი. 2022).

კვლევით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ქართული ცხოვრების წესში გავრცელებული ბუნებითი თანასწორების მაგისტრალური ხაზი არ მოშლილა. ირკვევა, რომ: **ა.** ერთურთის დამჯერ და „მიმყოლ" ცოლ-ქმარს ოჯახი „გამართული" ჰქონდათ; **ბ.** „წინამძღოლი და ერთგული" ქალი არა მხოლოდ ქმრის, ოჯახის და სანათესაოს მხრიდან იმსახურებდა პატივისცემას. **გ.** ქალს ჰქონდა, დღეს სრულად აქვს თავისუფალი გადაწყვეტილების უფლება. „თუ ქალი ტვინი ექნება, ის იქნება უფროსი. ტვინი უნა ქონდეს". **დ.** მიუღებელი იყო ცოლ-ქმრული ღალატი. ქმარისგან ცოლის ღირსების შემლახავად მოპყრობა, იყო, არის მკაცრად დასჯადი; **ე.** ქალს „საშოვარში" სხვა ქვეყანაში არ უშვებენ ტაოელი და იმერხეველი ქართველები. „თავრობაში" მუშაობას არც ადრე უშლიდნენ; **ვ.** ძირითად და უმრავლეს შემთხვევებში მიუკერძოებელი იყო, არის ქმრისაგან ცოლის მიტოვების, ან პირიქით მომხდარ შემთხვევაში წარმოქმნილი ქონებრივი დავა; ქორწინებაში ყოფნის დროს შეძენილი შვილის

[1] „კარი" ტაოურშიც აჭარულის და ქართულის სხვა დიალექსტების მსგავსად ნიშნავს „წინა ადგილს"

[2] რა თქმა უნდა გვხვდება ქალის უფლებათა შემზღუდველი ურთიერთობებიც, მაგრამ ყველა მსგავს შემთხვევაში მთხრობელები დასძენენ: „ამფერ ურთიერთობების გამტარებელთა **სიბლაყვეს**, **გასაგდებობის** შესახებ.

იყო მზითევის სამემკვიდრეოს ნაწილიც („**ბახალა**“ გათხუვდება და იქოურობაა მისი. წილს მიცემენ მამა, ძმა. თუ კაცს „ბახალას“ მიხედვის თავი არ აქვ, ნუ წიიყვანს. „**ნაჩარი**“ [მდარე, ცუდი, უხეირო. ჯავახური ლექსიკონი. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=13892] თუა სიძე წაგართმევს მიწას); **ზ**. სახეზეა ქორწინების უმთავრესი ნიშნის, ნიშნობის ბეჭდის/ერთობის მოწმეობის არსებობის სინამდვილე...

დაკრძალა-გლოვის რიტუალები ეთნოსის მიერ შექმნილი, ქვეყნის შესაბამისი პერიოდისთვის დამახასიათებელი, რელიგიურ-ყოფითი ცხოვრების, სოციალური პროცესების შესწავლის წყაროა.

ანალიზის შედეგად ირკვევა: დასაფლავების ადგილის (სურვილი; მიწის მოსავლიანობის და სირბილის; მეწყრიანობის/„ფეხის ძირიდამ არ წავა ისეთი“), მიცვალებულთან, გარდაცვლილის სულთან, ზოგადად, გარდაცვალებით გამოწვეულ ჭირთან, დამოკიდებულების, საფლავის მოწყობის, ეკონომიკური, რელიგიური დოგმებით დადგენილი ნორმების ცვალებადობის შესახებ.

აჭარასა და ტაო-იმერხევში დღე უმრავლეს შემთხვევაში უკვე არის მესამე, დრო კი მზის ჩასვლამდე.

ისლამური გავლენის გამო საფლავის ქვაზე ვერ დაახატავდნენ, ვერ დააწერდნენ ეპიტაფიას. ხშირი იყო და არა მასიური შემთხვევები აჭარაში, როცა სახელსა და გვარსაც არ აწერდნენ; აღნიშნული „**ბეჩობის**“ მოწერიგება მთიან აჭარაში დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლებდან.

ჩვენი მასალები საინტერესოა დაავადების მკურნალობის, პროფილაქტიკის შესახებ ხალხის მიერ დაგროვებული ემპირიული ცოდნის თვალსაზრისით.

სოფელ სკვანაში მოძიებული მასალებით, ტუბერკულიოზიანები „სპეციალურად ჰყავდათ ახორში[1] დღეში ერთ საათს“.

აღნიშნულთან დაკავშირებით დავსძენთ, რომ ისტორიის, შენარჩუნებული, თუ მეტ-ნალკებად გადარჩენილი ყოფით-კულტურული ცხოვრების შესწავლის საქმეში წერილობით ტექსტების, საისტორიო წყაროების, ჩანაწერების რიგის პირველწყაროა მეხსიერებაში (/ხალხის მუზეუმ-არქივი!) შემონახული ეთნოგრაფიული მასალები. თუმცა, იმისათვის, რომ დამტკიცდეს ხალხური მკურნალობის ჩვენ მიერ მოძიებული მეთოდის ჭეშმარიტება, საჭიროა მომავლის კვლევა მეცნიერების შესაბამისი დარგების წარმომადგენლებთან ერთად.

მართალია სატომო, ან სადაურობის მანიშნებელი სუფიქსით ნაწარმოები სახელები ცოცხლად წარმოგვიდგენენ დიდი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენას (ნ. ბერძნიშვილი), თუმცა მიუღებელია ის, რომ ამა, თუ იმ ხალხის სახელები მთელი საქართველოს მსგავსად ტაოსა და იმერხევის მკვიდრებშიც „**წამოძახების**“ სახელებადაა ქცეული.

სომეხი - ცუდი, ეშმაკი კაცი; ხშირად გაიგონებ: „სომეხის გაგდებული“, „სომეხის გაზდილი“; „არ გვიყვარან. ხვალ აღარაა შენ უკან თუ დღეს იყო“...

აზერი - ცუდი. „აზერი ფუშტია. შიგპირდება, რომ დავტყეპოთ, ხვალ მის მხარესაა“.

ქურთი, „ ქურდს ვეტყვით. არ იცის შენი. არ გვიყვარან“.

რუსი „იმიტო არ გვიყვარს ქართველები მიგვტყეპენ“.

დასკვნის სახით:

ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების კვლევის გზაზე უმნიშვნელოვანესი და სანდო წყაროა ეთნოგრაფიული მასალები.

საქართველოს ისტორიული მხარის, აჭარის ამჟამინდელ რელიგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ აჭარაში უკვე სახეზეა მასიური მობრუნება მშობლიური, ქრიასტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიისაკენ.

---

[1] ჩვენი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აჭარაში „**ახორის**“ გარეშე სახლები მასიურად შენდება 1970-იანი წლებიდან.

ისლამის შემნარჩუნებელი ადამიანების ასაკობრივი ზღვარი შეიძლება ითქვას, რომ ისაზღვრება 65-70 წლიდან ზევით.

გვხვდება გაორებული რელიგიური მოცემულობის კატეგორია.

საშურია ცოდნა იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ტრადიციულ და ახალ სამეურნეო-ყოფით, კულტურულ ურთიერთობებს გავლენა მოახდინოს ქვეყნის განვითარებაზე.

Davit Shavianidze
Akaki Tsereteli State University

SOME ISSUES OF HISTORICAL AND CULTURAL TRADITIONS OF ADJARA AND TAO-IMERKHEVI
(ACCORDING TO THE LATEST ETHNOGRAPHIC MATERIALS)
RESUME

In the paper, we present the results of studying interesting news for scientists that are confirmed by the ethnographic materials found during the ethnographic and dialectological expeditions held in the Georgian villages of Adjara (Khikhadziri community) and Tao-Imerkhevi in the summer of 2022:

1. In spite of being ruled by foreigners, the mentality, language, and cultural makeup were completely preserved in Adjara and among the autochthonous Georgians of Tao-Imerkhevi. The result of knowing the story told and brought by the legends, with the characteristics of the Georgian culture, religious history, the description of the cross stones, the various symbols-ornaments painted on the parts of the house, is that the change of faith did not cause the Adjarians to leave the space of the Georgian ethnic culture. Even the inhabitants of Tao-Imerkhevi, "if we look hard"(/pay more attention) will be able to keep the Georgian, cultural life rules, the Georgian language for some time.
2. The socio-culturally "reverse" situation of the Adjarians and Tao-Imerekhevi indigenous Georgians, the "victimization of local people" was caused by the so-called “water in the front and landslide behind” policy of the Turks and then the "Russian-Communists" as well as their modern Georgian masters.
3. The enemy's attempt to demolish the most important area of social-cultural life supported by the rule of exogamy failed to produce results in Adjara. No blood was mixed. The autochthonous Georgians of Tao-Imerkhevi also observe the rule of non-mixing of blood as much as possible; They know about artificial kinship (“zurgmikudebulebi”, “dzudzunatsovrebi”).
4. Surnames and hereditary names ("turi" in Tao), toponyms, ethnographic-dialect vocabulary tell us about the existence-cultural, traditional life of Georgians.
5. About the healing purpose of the so-called “house with akhori)" (houses without "akhori" have been built in Adjara since the 1970s).
6. Remaining the Adjarians the Georgians, the survival of the Georgian-Kartvelian language in Tao and Imerkhevi was also due to the role played by women, raising their children in accordance with the Georgian tradition.
7. The basis of the rule of Muslim life "ingrained in us" of women's obedience is "also something pitiable established by lack of education”. The principle of natural equity characteristic of Georgia has not changed in Adjara.
8. It turns out the replacement of "embassy" with "other means"; that "a family created only by the will is not a family. There was an intervention, however, if it stood on any "unwanted", the case would fail.
9. The rules of grave arrangement and burial in Adjara became free from Islamic influences. The custom of burying the dead on the third day established in Adjara is not fully Christian. The circumstances leading to the practice of burying the dead in one's own yard are revealed.